

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში

II

უნივერსიტეტების წვლილი
ბოლონიის პროცესში

რედაქტორები:
ხულია გონზალესი
რობერტ ვაგენარი

2005

დეუსტოს უნივერსიტეტი

გრონიგენის უნივერსიტეტი

თუნინგის ვებგვერდები:

საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში:

http://europa.eu.int/comm/education/policies/educ/tuning/tuning_en.html

<http://tuning.unideusto.org/tuningeu>

www.rug.nl/let/tuningeu

თუნინგი ლათინური ამერიკა

<http://tuning.unideusto.org/tuningal>

www.rug.nl/let/tuningal

თუნინგის პროექტს მხარს უჭერს ევროკომისია სოკრატეს პროგრამის ფარგლებში. წიგნში მოცემული პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორების მოსაზრებებს და ევროკომისია პასუხისმგებელი არაა მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე.

© Tuning project

თუნინგის პროექტის ფარგლებში მომზადებული ნებისმიერი მასალა მისი ოფიციალური მონაწილეების საკუთრებაა. სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ თავისუფლად გამოსცადონ და გამოიყენონ მასალები წყაროს მითითებით.



თუნინგი ქართულად თარგმნა და დაბეჭდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

მთარგმნელები:

ლალი ბაქრაძე - შესავალი; 1. თუნინგის მიზნები და მეთოდოლოგია; 2.1. თუნინგის ნიმუში; 2.2. დარგობრივ სფეროებში მიღებული შედეგების შეჯამება; 2.2.1 ბიზნესის ადმინისტრირება; 2.2.4. განათლების მეცნიერებები; 5.1. ბიზნესის ადმინისტრირება; ლექსიკონი;

ლია ღლონტი - 2.2.2 ქიმია; 2.2.3. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები; 2.2.7. მათემატიკა; 2.2.8. საექთნო საქმე; 2.2.9. ფიზიკა; 3. პროგრამის დიზაინი და განხორციელება (3.5.1 -ის გარდა); 4. ხარისხის ამაღლება; 5.3. საექთნო საქმე;

დავით კიზირია - 2.2.5. ევროპისმცოდნეობა; 2.2.6. ისტორია; 3.5.1. ისტორია; 5.2. ევროპისმცოდნეობა.

რედაქტორი: ლია კაჭარავა

არ შეიძლება გამოცემის არცერთი ნაწილის, ყდის ჩათვლით, რეპროდუქცია და გადაცემა არცერთი ფორმით, ელექტრონული თუ ფოტო მასალის სახით, გამომცემლის წინასწარი ნებართვის გარეშე.

დიზაინი: IPAR, S. Coop - Bilbao

ფოტო: ჰაი გეურტსი

ISBN 978-9941-0-0305-9

თბილისი 2008

სარჩევი

შესავალი	5
----------	---

პირველი ნაწილი

1. თუნინგის მიზნები და მეთოდოლოგია	21
1.1. თუნინგის მიზნები	21
1.2. თუნინგის მეთოდოლოგია	25
2. დარგობრივი სფეროები და აკადემიური ხარისხის პროფილები ბოლონის პროცესში	37
2.1. თუნინგის ნიმუში	37
2.2. დარგობრივ სფეროებში მიღებული შედეგების შეჯამება	43
2.2.1 ბიზნესის ადმინისტრირება	43
2.2.2 ქიმია	52
2.2.3. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (გეოლოგია)	69
2.2.4. განათლების მეცნიერებები	77
2.2.5. ევროპისმცოდნეობა	98
2.2.6. ისტორია	104
2.2.7. მათემატიკა	115
2.2.8. საექთნო საქმე	125
2.2.9. ფიზიკა	143
3. პროგრამის დიზაინი და განხორციელება	170
3.1. შესავალი	170

3.2. კრედიტების სისტემა, სტუდენტის დატვირთვა და სწავლის შედეგები	171
3.3. სტუდენტის დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები: თუნინგის მიდგომა	173
3.4. კომპეტენციაზე დაფუძნებულ აკადემიურ პროგრამებში სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები	212
3.5. სწავლების, სწავლისა და შეფასებისადმი მიდგომები და დარგობრივი სფეროს კომპეტენციები	237
3.5.1. ისტორია	237
3.5.2. საექთნო საქმე	253
4. ხარისხის ამაღლება	279
ხარისხის ამაღლება პროგრამულ დონეზე: თუნინგის მიდგომა	279
მეორე ნაწილი	
5. დარგობრივი სპეციფიკური კომპეტენციები	343
5.1. ბიზნესის ადმინისტრირება	343
5.2. ევროპისმცოდნეობა	351
5.3. საექთნო საქმე	359
6. მონაწილეები და ორგანიზაციული სტრუქტურა	377
6.1 დაწესებულებების რუკა	377
6.2. მონაწილეთა სია	378
6.2.1. მაკოორდინირებელი ჯგუფი	378
6.2.2. მენეჯმენტ კომიტეტი	378
6.2.3. დარგობრივი ჯგუფები	379
6.3. ორგანიზაციული სტრუქტურა	383
7. ოქროს საბადო: შესაბამისი ვებგვერდები და ლიტერატურა	384
8. ლექსიკონი	395

შესავალი

ბოლონიის პროცესი, მისი განხორციელებისათვის განსაზღვრული ათწლიანი პერიოდის (1999-2010) შუაგზაზე იმყოფება. თუნინგის პროექტი, რომელიც ამჟამად ხუთ წელს ითვლის ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრების მიერ ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერიდან ერთი წლის შემდეგ 2000 წელს დაიწყო. ბოლონიის პროცესის განვითარების, მასში უფრო და უფრო მეტი ქვეყნების ჩართვისა და მის ძირითად მიზნებზე მკაფიო ფოკუსირების კვალდაკვალ თუნინგის საქმიანობის მასშტაბებიც გაიზარდა. მან მოიცვა ახალი გეოგრაფიული არეალები და შეიმუშავა ახალი სტრატეგია, რათა პასუხი გასცეს უმაღლესი განათლების საჭიროებების მზარად კომპლექსურ გაგებას.

თუნინგი აქტიურადაა ჩართული ბოლონიის პროცესში, თანამშრომლობს და შეთანხმებულად საქმიანობს მის სხვა მნიშვნელოვან მოქმედ პირებთან. თუნინგი იმ ფაქტის გაცნობიერებაა, რომ საბოლოო ჯამში, ბოლონიის პროცესში უნივერსიტეტებმა, მათმა პერსონალმა და სტუდენტებმა, მათი სპეციფიკური ცოდნისა და გამოცდილების გამო, უნდა შეიმუშავონ შესაბამისი და კონკრეტული სტრატეგიები ინოვაციების დასაწერად. თუნინგი უნივერსიტეტების მიერ მართული პროექტია, რომლის მეშვეობითაც უნივერსიტეტებმა ევროპული ინტეგრაციისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნით წარმოქმნილ ახალ გამოწვევებსა და ახალ შესაძლებლობებს ეფექტიანი, სისტემატური და კოორდინირებული თანამშრომლობით უპასუხეს.

წინამდებარე წიგნის განზრახვაა მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას თუნინგის პროექტის მეორე ფაზის შედეგებზე. ეს უკანასკნელი ვრცელი ფორმით ხელმისაწვდომია თუნინგის ვებგვერდზე პროექტის პირველი ფაზის შედეგებთან ერთად. წინამდებარე შესავალში ჩვენ, პირველ რიგში, განვიზრახეთ წარმოვადგინოთ თუნინგი ინოვაციის უფრო ზოგად კონტექსტსა და უმაღლესი განათლების ხარისხისათვის ძიებაში და მეორეც უზრუნველვყოთ აღნიშნულის სინთეზური აღწერა.

თუნინგმა თავი მოუყარა შესაბამისი სფეროების მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს 27 ევროპული ქვეყნის 135 ცნობილი უმაღლესი სასწავლებლიდან. მან უზრუნველყო სტრუქტურირებული გარემო ერთობლივი მუშაობისათვის, როგორც დიდი რაოდენობის საპილოტე დარგობრივი სფეროების საკითხებზე, ასევე მთლიანად უმაღლესი განათლების რელევანტურ ასპექტებზეც. დიალოგებისა და დებატების

კარგად ორგანიზებულ პროცესში მათ მიაღწიეს ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე აკადემიური პროგრამების არსის განმსაზღვრელი ელემენტების ღრმა გააზრებას. ორივე, საერთო და განსხვავებული ელემენტების იდენტიფიცირება და ფორმულირება განხორციელდა საზოგადოდ გასაგები რედაქციით. თუნიგმა დაამტკიცა, რომ არის ეფექტური გზა საერთაშორისო კონსესუსის მისაღწევად, იმავდროულად პატივსცემით ეპყობა – და ცხადია, პოზიტიურადაც იყენებს – საგანმანათლებლო ტრადიციების მდიდარ მრავალფეროვნებას, სხვადასხვა დარგობრივი სფეროს სპეციფიკურ გამოცდილებასა და ცოდნას. პროექტის მიმდინარეობის პროცესში შემუშავდა საერთო ლექსიკა, შეთანხმებული ლექსიკონი და კონცეპტუალური ჩარჩო. ამგვარად, ის ხელს უწყობს დიალოგს სხვადასხვა აკადემიურ ტრადიციას შორის და ეხმარება ურთიერთგაგებასა და გამჭვირვალობას უნივერსიტეტებსა და დაინტერესებული მხარეების იმ ფართო წრეს შორის, რაც საბოლოო ჯამში არის საზოგადოება. მან სტიმული მისცა უმაღლეს განათლებაში პროგრამების ახლებურად გააზრების, განვითარებისა და ინოვაციის პროცესს. ამ ყველაფერმა შექმნა ყველა მონაწილისათვის ინტენსიური და მომთხოვნე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, საჭირო და ღირებული სასწავლო პროცესი.

შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის დონეზე განათლების მაღალი ხარისხის ძიების პროცესში წვლილის შეტანის სურვილი გახდა თუნიგის პროექტის დაწყების ძირითადი მიზეზი. განათლების მაღალი ხარისხი, როგორც ბოლონის, ასევე ლისაბონის პროცესის ძირითადი მიზანია. ორივემ აჩვენა პოლიტიკური სურვილი და ნება გააძლიეროს და აამაღლოს ევროპის ეკონომიკური სივრცე ძლიერი ევროპული უმაღლესი განათლების სექტორის შექმნის მეშვეობით. ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ ინიციატივები მხარდაჭერილი და თანხვედრილი უნდა იყოს ძლიერი ავტონომიური უნივერსიტეტების კოორდინირებული საქმიანობით. უნივერსიტეტებისა და ზოგადად უმაღლესი სასწავლებლების როლის მნიშვნელობა ნათელია არა მარტო განათლების მინისტრებისთვის, არამედ ასევე სხვა ძირითადი მხარეებისთვისაც. ეს კარგად ჩანს ევროკომისიის ანგარიშებში: *უნივერსიტეტების როლი ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში* (2003) და *გონებრივი ძალების მობილიზება ევროპაში: მიეცეთ უნივერსიტეტებს საშუალება შეიტანონ თავიანთი სრულფასოვანი წვლილი ლისაბონის სტრატეგიაში* (2005) და ანგარიშში: *ბერლინიდან ბერგენამდე* – ევროკავშირის წვლილი. უფრო მეტიც, თვით უმაღლესმა სასწავლებლებმაც, თავისი ორგანიზაციების მეშვეობით, გამოთქვეს პრეტენზია ამ პროცესში თავიანთ ძირითად როლთან დაკავშირებით, რისი დადასტურებაცაა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სალამანკის, გრაციისა და გლაზგოს შეხვედრები.

კიდევ ერთი ძირითადი მხარე – სტუდენტები – როგორც ევროპული ორგანიზაციის - “ევროპაში სტუდენტების ეროვნული კავშირების” (ESIB), ასევე ეროვნული სტუდენტური ასოციაციების მეშვეობით აღიარებს უნივერსიტეტების ძირითად როლს ინოვაციებისათვის შესაბამისი

სტრატეგიების შემუშავებაში. პროფესიულმა ორგანიზაციებმა და დამსაქმებლებმაც უფრო კარგად გააცნობიერეს უმაღლესი სასწავლებლების როლი. პროცესის შემდეგი მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოები და მათი ევროპული ასოციაცია, ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელი (ENQA), რომლის ძირითად ამოცანასაც საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხის განვითარება და შენარჩუნება წარმოადგენს.

ამ ზოგად პანორამაში თუნინგის სპეციფიკური როლია აკადემიური პერსონალის ცოდნისა და გამოცდილების სტიმულირება და ჩართვა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის საყოველთაო პროცესში. თუნინგის საქმიანობის ძირითადი ნაწილი ფოკუსირებულია დისციპლინების როლზე. თუნინგის ეს ასპექტი ასახავს შეხედულებას, რომ მხოლოდ მათ, ვისაც გააჩნია სწავლებისა და კვლევის რეალური ცოდნა და მოწინავე გამოცდილება, ახალ ტარნსნაციონალურ კონტექსტში შეუძლიათ შექმნან ჩარჩო ახალი პროგრამების ჩამოსაყალიბებლად და უზრუნველყონ მათი ხარისხი, როგორც შემუშავების, ასევე განხორციელების პროცესში. მაღალი ხარისხის მქონე ძლიერი უნივერსიტეტები მზად იქნებიან შეხვდნენ ახალ გამოწვევებს, გაუმჯობესებისა და ცვლილებების სურვილით. თუნინგმა უზრუნველყო პლატფორმა, რომელიც იძლევა ზემოაღნიშნულის უკეთ განხორციელების გაგებას.

პირველი ფაზა

თუნინგის პირველ ფაზაში (2000-2002) ჩამოყალიბდა აკადემიური ხარისხის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგია. იგი დაეფუძნა კარგად განსაზღვრულ პროფილებს, რომელიც განიმარტა კომპეტენციებით აღწერილი სწავლის შედეგებით და დაუკავშირდა ECTS კრედიტებზე დაფუძნებულ სტუდენტის დატვირთვას. აკადემიური პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის თუნინგმა შეიმუშავა ათვლის წერტილები. პროცესი შეიძლება შეჯამდეს, ეგერეთ წოდებული, „თუნინგის ხარისხის განვითარების დინამიური წრით“. თუნინგის პირველი ფაზის შედეგები ხელმისაწვდომია, როგორც წიგნით, ასევე თუნინგის ვებგვერდზე.

თუნინგის პირველ ფაზაში ყურადღება დაეთმო პროფილების კონცეფციას. თუნინგის მიხედვით, აკადემიური ხარისხის პროფილი უნდა დაეფუძნოს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესს. ამ დაინტერესებულ მხარეებს არ წარმოადგენენ მხოლოდ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, მათ შორის არიან უმაღლესდამთავრებულები, დამსაქმებლები და პროფესიული ორგანიზაციები. ეს უკანასკნელი სამი ჯგუფი გამოხატავს მნიშვნელოვან კავშირს საზოგადოების საჭიროებებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფებთან კონსულტაცია მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და

შემდგომი სრულყოფის პროცესში, თუნინგი დარწმუნებულია, რომ საბოლოოდ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის რეალურ შემუშავებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს უნივერსიტეტის ფორმალური ორგანო, ისევე როგორც შესაბამისი აკადემიური პერსონალი. მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელი შესაძლო საუკეთესო გზებით შეძლებს საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის მომზადებას მისი, როგორც მოქალაქისა და საზოგადოების წევრის, მომავალი როლისათვის. საბოლოო ჯამში, ისინი, უნივერსიტეტის ორგანოები და პერსონალი, არიან ყველაზე უკეთ აღჭურვილნი, რათა განსაზღვრონ საგანმანათლებლო პროგრამის მიწოდებისათვის აუცილებელი პირობები – აკადემიური პერსონალის, ლოჯისტიკის და ტექნიკური დახმარებისა და ასევე კურსის ერთეულების და პროგრამის დიზაინთან მიმართებაში.

თუნინგი სრულად აცნობიერებს დარგისთვის სპეციფიკური ცოდნისა და უნარების განვითარების აუცილებლობას, როგორც საუნივერსიტეტო აკადემიური პროგრამების საფუძველს. მიუხედავად ამისა, ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადი კომპეტენციების ანუ ტრანსფერული უნარების განვითარებასაც. ზოგადი კომპეტენციების მნიშვნელობა სტუდენტის მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, დასაქმებასა და მოქალაქეობასთან მიმართებაში, სულ უფრო და უფრო აღიარებული ხდება. როგორც თუნინგ I-ის შემადგენელი ნაწილი, პროექტში ჩართული თითოეული აკადემიური სფეროსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციები განსაზღვრის მიზნით, განხორციელდა კონსულტაციები უმაღლესდამთავრებულებთან, დამსაქმებლებსა და აკადემიურ პერსონალთან. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე რელევანტურად მიჩნეული ზოგადი კომპეტენციები უმნიშვნელოდ განსხვავდება სხვადასხვა სფეროსათვის, საერთოდ გამოიკვეთა გასაოცარი მსგავსება სხვადასხვა დარგს შორის. ყველა სფეროში ტიპური აკადემიური კომპეტენციები, ისეთები როგორცაა ანალიზისა და სინთეზის უნარი, სწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარი განისაზღვრა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი. ზემოაღნიშნული გასაოცარი მსგავსების გამოკვეთის მიუხედავად, უმაღლესდამთავრებულები და დამსაქმებლები ფიქრობდნენ, რომ დასაქმებისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ზოგადი კომპეტენციებიც, რომელთა კავშირი ტრადიციულ აკადემიურ სწავლასთან ნაკლებად მკაფიოა. ეს კომპეტენციებია, მაგალითად, ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ პირობებში ადაპტაციის შესაძლებლობა, ზრუნვა ხარისხისათვის, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, ავტონომიურად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმვის შესაძლებლობა, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე და ასევე ინტერპრესონალური კომუნიკაცია. უმაღლესდამთავრებულებისა და დამსაქმებლების აზრით ზოგიერთი ზემოაღნიშნული კომპეტენცია უფრო გამოყენებადია და აუცილებელია სხვებთან შედარებით, მათი უფრო მაღალ დონეზე განვითარება. მათი აზრით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადი

კომპეტენციების გარკვეულ რაოდენობას, რათა სტუდენტები უკეთესად მოამზადონ თავიანთი მომავალი დასაქმებისათვის.

თუნინგი 1-ის შვიდმა საპილოტე დარგობრივმა ჯგუფმა (ბიზნესის ადმინისტრირება, ქიმია, განათლების მეცნიერებები, ისტორია, გეოლოგია/დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, მათემატიკა და ფიზიკა), ასევე მოამზადა სამუშაო დოკუმენტები და განსაზღვრა ყველაზე რელევანტური დარგობრივი კომპეტენციები. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინის სტრუქტურებში არსებული განსხვავების გამო, შვიდივე ჯგუფის მიდგომა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, შედეგის მისაღებად ყველა ჯგუფმა მსგავსი პროცედურები გამოიყენა. დისკუსიებით, თანაზიარი ცოდნის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა ქვეყანაში დისციპლინის სწავლებისა და სწავლის გზების განსაზღვრით, მიიღწა ურთიერთგაგება და კონსესუსი თითოეული დარგის სასიცოცხლო ბირთვთან დაკავშირებით. შემუშავებული დოკუმენტები წარმოადგენდა სამუშაო დოკუმენტებს, საგანს შემდგომი გადამოშავებისა და ცვლილებებისათვის: გასაგებია, რომ განათლება წარმოადგენს ძალიან დინამიური საქმიანობის სფეროს, განვითარებისა და ინოვაციების უწყვეტ საგანს.

თუნინგის პირველ ფაზაში დიდი ყურადღება დაეთმო ECTS კრედიტების როლს სასწავლო პროცესის ორგანიზების საქმეში. თუნინგი I -მა დაასკვნა, რომ ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა (ECTS) უნდა მივიღოთ, როგორც ევროპის ერთადერთი საკრედიტო სისტემა და ის ეროვნული საგანმანათლებლო სისტემებში რაც შეიძლება სწარაფად უნდა ჩაერთოს. ამასთან, თუნინგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანი განმარტებები უნდა გაკეთდეს კრედიტების სისტემის იდეასა და მის პრაქტიკული განხორციელებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში გაჩნდა წინადადება, რომ ECTS ტრანსფერის სისტემა შეცვლილიყო კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემით. სტუდენტთა დატვირთვაზე დაფუძნებული, დროში გაზომილი კრედიტები გამოვიყენოთ, როგორც საერთაშორისო მობილობის მიზნით, ასევე ჩვეულებრივი სტუდენტებისთვისაც, მაგრამ კრედიტებს მიეცეს აბსოლუტური სიდიდე და არა ფარდობითი, როგორც ეს იყო გათვალისწინებული ECTS-ის საწყის ფაზაზე. მეორე, თუნინგი ამტკიცებდა, რომ წინსვლის ერთადერთი რეალისტური გზა იყო კრედიტის (და შედეგად, სტუდენტის დროში ასახული დატვირთვის ან სწავლის მოცულობის) სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებთან დაკავშირება. სწავლის ეს შედეგები გამოხატულ უნდა იქნეს სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციებით. თუნინგის საქმიანობის შედეგია ახალი, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა, რომელიც გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ისევ ძველი სახელით ECTS არის ცნობილი და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ახალ სახელმძღვანელოში: “ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა”, რომელიც ევროკომისიამ 2004 წლის ზაფხულში გამოაქვეყნა.

თუნიგის პირველი ფაზის განმავლობაში სიცხადისა და თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდა განმარტებები შემდეგი ტერმინებისათვის: პროფილი, სწავლის შედეგები და კომპეტენციები. მიღებულ დეფინიციებზე მუშაობა გაგრძელდა პროექტის მეორე ფაზაშიც. თუნიგი მკაფიოდ ასხვავებს ერთმანეთისაგან სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს. ამჟამად თუნიგი იყენებს ცხრილში, ქვემოთმოცემულ დეფინიციებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო დებატების ამჟამინდელ ფაზას. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება მცირედით განსხვავებული დეფინიციებიც.

თუნიგის დეფინიციები

- სწავლის შედეგები არის განაცხადი თუ რას უნდა მოელოდეს სტუდენტი. კერძოდ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს მას სწავლის დასრულების შემდეგ. ის შეეხება კურსის ერთეულს / მოდულს ან სწავლის მთელ პერიოდს: მაგალითად, სწავლის პირველ ან მეორე საფეხურის პროგრამებს. სწავლის შედეგები განსაზღვრავს მოთხოვნებს კრედიტების მისაღებად. მათი ფორმულირება ხდება აკადემიური პერსონალის მიერ.
- კომპეტენციები ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციაა. კომპეტენციების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენციები ფორმირდება სხვადასხვა კურსის ერთეულის/მოდულის მიერ და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე. კომპეტენციების გამომუშავება ხდება სტუდენტების მიერ.
- სწავლის შედეგები გამოიხატება კომპეტენციების მეშვეობით. კომპეტენციები შეიძლება განვითარდეს უფრო მაღალი ხარისხით, ვიდრე ეს სწავლის შედეგების მიერაა მოთხოვნილი.

შემდგომი განვითარება

თუნიგის პირველი ფაზის დამთავრების შემდეგ, მრავალ სიახლეს გაჩნდა. მათი ნაწილი პირდაპირ დაკავშირებულია თუნიგის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან და ადასტურებს, რომ თუნიგის მიზნები და ამოცანები მჭიდრო კავშირშია ევროპული უმაღლესი განათლების დღის წესრიგთან, და რომ თუნიგის საქმიანობით შესაძლებელი გახდა ფოკუსირება უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური პერსონალის არსებითი როლზე.

ამ პერიოდის მთავარი ღონისძიება იყო 2003 წლის სექტემბერში ბოლონიის პროცესის მინისტრთა კონფერენცია ბერლინში. ამ სამიტზე იდენტიფიცირებული პრიორიტეტები მიუთითებს, რომ ბოლონიის პროცესში აკადემიურ პროგრამებს ცენტრალური როლი მიენიჭათ. ცხადია, რომ სხვა საკითხებს შორის კურიკულუმის დონეზე განათლების ხარისხს ასევე ენიჭება ძირითადი როლი. და ბოლოს, კვალიფიკაციების ცნობის საკითხი უკავშირდება აკადემიური პროგრამების თავსებადობასა და შესაძარისობას საერთო ათვლის წერტილების გამოყენების მეშვეობით. კონცეპტუალური ჩარჩო, რომელსაც ეფუძნება ბერლინის კომუნიკე, სრულ თანხმობაშია თუნინგის მიდგომებთან. ამას ცხადყოფს გამოყენებული ფორმულირებები, მაგალითად, მინისტრები მიუთითებენ, რომ აკადემიური ხარისხები უნდა აღიწეროს სასწავლო დატვირთვის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და პროფილების ტერმინებით.

ბერლინის კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენს, ბოლონიის პროცესის სამუშაო ჯგუფის მიერ *კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს* (EQF) შექმნის ინიციატივა, რომელიც თავისი არსითა და ფორმულირებებით სრულ თანხმობაშია თუნინგის მიდგომებთან. კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო იყენებს, როგორც “ხარისხის ერთობლივი ინიციატივის”(JQI) ასევე თუნინგის შედეგებს. “ხარისხის ერთობლივი ინიციატივის” მიერ შეიქმნა კრიტერიუმების ნაკრები სხვადასხვა საფეხურს შორის აშკარა და ზოგადი განსხვავების საჩვენებლად. ეს კრიტერიუმები ცნობილია როგორც “დუბლინის მახასიათებლები(დესკრიპტორები)”. დასაწყისიდანვე “ხარისხის ერთობლივი ინიციატივა” და თუნინგი განიხილებოდნენ როგორც ურთიერთშემავსებელი პოქტები. “ხარისხის ერთობლივი ინიციატივა” ფოკუსირებულია საფეხურების შესაძარობაზე, მაშინ როდესაც თუნინგი აღწერს საფეხურების შესბამის აკადემიური ხარისხის პროგრამებს დისციპლინის დონეზე. სამივე ინიციატივის (EFQ, JQI, თუნინგი) ძირითადი მიზანი ევროპული უმაღლესი განათლების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. ამასთან დაკავშირებით, კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო არის წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, ასევე კრედიტებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოების ჩამოყალიბებას. ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და საზოგადოებას შორის დიალოგისა და კონსულტაციების გამართვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებობს პარალელები კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოსა და თუნინგს შორის - კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოს შემთხვევაში ეს მართებულია მთლიანად უმაღლესი განათლების სისტემასთან მიმართებაში, ხოლო თუნინგთან კი აკადემიური ხარისხების პროფილებთან მიმართებაში.

კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს სამუშაო ჯგუფის ანგარიში 2005 წლის იანვარში მოიწონეს კოპენჰაგენში გამართულ ბოლონიის სემინარზე და მიიღეს მინისტრების სამიტზე, რომელიც გაიმართა 2005 წლის 19-20 მაისს ბერგენში. მინისტრების სამიტის მოსამზადებლად ბოლონიის

სემინარების მთელი სერია ჩატარდა. თუნიგის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები ორგანიზებული იყო: ირლანდიის მიერ პროფესიულ განათლებისა და მომზადების და უმაღლესი განათლების ურთიერთობების შესახებ; სწავლის შედეგების შესახებ ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ და სწავლის აღიარების შესახებ ლატვიის მთავრობისა და ევროპის საბჭოს მიერ. თუნიგი ყველა მათგანზე მიწვეული იყო, როგორც ერთ-ერთი მომხსენებელი.

ბერლინის შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ გაწეული სამუშაოა, რომელიც მან განახორციელა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA), უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციისა (EURASHE) და ევროპაში სტუდენტების ეროვნულ კავშირებთან (ESIB) მჭიდრო თანამშრომლობით, რათა შეექმნათ ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებული სტანდარტები, პროცედურები და მითითებები. 2005 წლის თებერვალში უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA) გამოაქვეყნა თავისი ანგარიში “ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი და ინსტრუქცია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის”. ის მოიწონა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციამ (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულმა ასოციაციამ (EURASHE) და ევროპაში სტუდენტების ეროვნულმა კავშირებმა (ESIB) და მიიღო ბერგენის სამიტმა. აღნიშნული ანგარიში ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც შიდა, ასევე გარე სტანდარტზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიგნით ხარისხის კულტურის განვითარებისათვის ის გვთავაზობს ძალზედ ღირებულ ათვისების წერტილებს. ამ სფეროში ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციამაც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი თავისი “ხარისხის კულტურის” პროექტით. აქ ისევ უნდა აღინიშნოს, რომ თუნიგის მიერ გაწეული სამუშაო, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ხარისხზე ორიენტირებასთან დაკავშირებით, ავსებს ყველა აღნიშნულ ძალისხმევას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლონის პროცესი წმინდად ევროპულ ჩარჩოებში დაიწყო, ამჟამად ის სულ უფრო მზარდ ყურადღებას აქცევს მსოფლიოს სხვა ნაწილებს. ინფორმაციის მიღების სურვილი და სხვა კონტინენტების უნივერსიტეტების ინტერესი ცხადია ამაღლებს ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობას. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში თუნიგი დიდი ინტერესის ობიექტია. თუნიგ II-ში მონაწილეთა წრის პირველ გაფართოება მოხდა. პროექტში ჩაერთნენ პროცესის ახალი და პოტენციური წევრები. შედეგად, წარმოიშვა ინიციატივა თუნიგში ტემპუს-ტასისის წევრი ქვეყნების ჩართვის შესახებაც. ეს ქვეყნები, უკრაინის ჩათვლით, ჩართულნი არიან თუნიგის მესამე ფაზაში (2005-2006). ინტერესი გამოიხატა ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიც, მათ შორისაა რუსეთის ფედერაცია, იაპონია, კანადა, ინდოეთი და ავსტრალია.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანი განვითარებაა “თუნინგი ლათინური ამერიკა” (Tuning America Latina). აღნიშნული პროექტი დაფუძნდა წამყვანი ევროპული და ლათინურ-ამერიკული უნივერსიტეტების მიერ 18 ლათინურ-ამერიკული ქვეყნის განათლების მინისტრებისა და რექტორების კონფერენციასთან მჭიდრო კოოპერაციით და ამჟამად საქმიანობს როგორც ევროკომისიის “ევროპის დახმარების” (Alfa EuropeAid) პროექტი. პროექტში მონაწილეობს 62 უნივერსიტეტი ლათინური ამერიკიდან და ეს რიცხვი უახლოს მომავალში 182-მდე გაიზრდება. ამ პროექტით თუნინგი დგას ახალი გამოწვევის წინაშე, მოახდინოს თავისი შესაძლებლობების დემონსტრირება ყველა ჩართული ქვეყნისა და ინსტიტუტის მრავალფეროვნების სრული ინტეგრირებით. “თუნინგი ლათინური ამერიკას” წარმატება გლობალური განზომილების ათვლის წერტილს გახდება თუნინგის პროექტისათვის.

მსოფლიო კონტექსტში უნდა ვახსენოთ ასევე ევროკომისიის ინიციატივა ერაზმუს-მუნდუსი. თუნინგის მსგავსად ერაზმუს-მუნდუსიც ორიენტირებულია აკადემიური ხარისხის პროგრამებზე, განსაკუთრებით კი სამაგისტრო პროგრამებზე. “ევროპის ფლაგმანის,” ერაზმუს-მუნდუსის სამაგისტრო პროგრამების უპირველესი მოთხოვნაც კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების მაღალი ხარისხის არსებობაა. ეს ითხოვს აკადემიური ხარისხის პროფილის ერთობლივ შემუშავებასა და ყველა პარტნიორის შეთანხმებას სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, სასწავლო დატვირთვის განაწილებაზე, ისევე როგორც სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომებზე. ერაზმუს-მუნდუსის პროგრამის განსაკუთრებული მოთხოვნაა დაუბრკოლებელი და სრული აღიარება. ამაში ევროპულმა და საერთაშორისო ათვლის წერტილებმა და სტანდარტებმა უნდა ითამაშონ მთავარი როლი.

თუნინგის საქმიანობამ და მიგნებებმა წვლილი შეიტანა უმაღლეს განათლებაში მიმდინარე რეორიანტაციის მთავარ პროცესში, რესურსებზე დაფუძნებული მიდგომიდან, სტუდენტზე ორიენტირებულსა და შედეგზე დამყარებულ მიდგომაზე გადასასვლელად. თუნინგის პროექტის მეორე ფაზაში აქცენტი გადატანილ იქნა ახალ კონტექსტში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების როლზე. ეს კონტექსტი ორიენტირებულია სტუდენტების დატვირთვაზე, სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომებსა და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაზე.

სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სწავლის პერიოდის დასრულების შემდეგ, მოითხოვს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების როლების ტრადიციული აკადემიური გაგების ცვლილებას. სტუდენტზე ორიენტირებულ სისტემაში სტუდენტებმა უნდა დაიკავონ უფრო აქტიური პოზიცია. პრაქტიკაში შესაბამისი ბალანსი უნდა მოიძებნოს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს შორის და მათი განვითარების სტიმულირების გზები კონსოლიდირებულ უნდა იქნეს. როგორც პარადიგმის ცვლილების ნაწილი შეიძლება შევნიშნოთ, რომ

ბოლო წლებში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ზოგადი კომპეტენციების გათვალისწინების მნიშვნელობა სულ უფრო აღიარებული ხდება. სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ზოგადი კომპეტენციების ფორმირების, გამომუშავებისა და შეფასების ყველაზე ეფექტური გზების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით თუნიგმა დაასკვნა, რომ საუკეთესო შედეგები მიიღება, როდესაც ზოგადი კომპეტენციების ფორმირებისათვის აუცილებელი სწავლება/სწავლის საქმიანობა ინტეგრირებულია დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ სასწავლო პროცესში. ზოგადი კომპეტენციების მხოლოდ ძალზედ შეზღუდული რაოდენობისა და მხოლოდ გარკვეული სფეროებისათვის შეიძლება იყოს სასარგებლო ისეთი დამოუკიდებელი კურსების შემოტანა, რომელთა კონკრეტული მიზანიც ერთი ან რამდენიმე ზოგადი კომპეტენციის განვითარებაა. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი კომპეტენციების ფორმირებისათვის ცოდნის ნებისმიერი სფერო ქმნის შესაბამის კონტექსტსა და გარემოს. თუნიგის მეორე ფაზაში დიდი ყურადღება დაეთმო იმის გამოკვლევას, თუ როგორ შეიძლება კომპეტენციების სწავლა, სწავლება და შეფასება.

მომავლის მიმართულებით

ბერგენის კომუნიკეში უმაღლესი განათლებაზე პასუხისმგებელმა ევროპის მინისტრებმა დაადასტურეს უნივერსიტეტების პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვანი როლი, შემდეგი სიტყვებით: “განსაკუთრებით აღვნიშნავთ ბოლონიის პროცესში – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი პერსონალისა და სტუდენტების, როგორც პარტნიორების ცენტრალურ როლს. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში მათი მონაწილეობა ბოლონიის პროცესში უფრო მნიშვნელოვანი ხდება - ჩვენ მოვუწოდებთ მათ გააგრძელონ და გააძლიერონ მუშაობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად. მივესალმებით ბოლონიის პროცესისადმი ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აშკარა მხარდაჭერას. გვესმის, რომ საჭიროა დრო კურიკულუმებზე სტრუქტურული ცვლილებების გავლენის ოპტიმიზაციისათვის, და ამგვარად, ევროპისათვის აუცილებელი ინოვაციური სწავლებისა და სწავლის პროცესების დანერგვის უზრუნველსაყოფად.”

მინისტრებმა ასევე აღნიშნეს უმაღლესი განათლების სექტორსა და დამსაქმებლებს, სოციალურ პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის კოოპერაციის მნიშვნელობა. ამით ხაზგასმულია კონსულტაციების მნიშვნელობა, რომელიც თუნიგის პროექტის ერთ-ერთ მახასიათებელია. ეს ასევე შეეხება ბოლონიის პროცესის შემდეგი სამიტისათვის, რომელიც 2007 წელსაა დაგეგმილი, განსახორციელებელ სამ სამოქმედო მიმართულებასთან (აკადემიური ხარისხების სისტემა,

ხარისხის უზრუნველყოფა და აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების აღიარება) თუნიგის პროექტის რელევანტურობას.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პუბლიკაციაში, „ტენდენციები IV“ აღნიშნულია უნივერსიტეტების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი. ეს ანგარიში მიუთითებს, რომ ბოლონის პროცესისათვის კრიტიკული მომენტი კურიკულუმების რეფორმაზე გადის. მასში ხაზგასმულია ინფორმაციის რეალური საჭიროების ფაქტი. სწავლის შედეგებზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავებასთან დაკავშირებით თუნიგი განისაზღვრა, როგორც ინფორმაციის ძირითადი წყარო. ანგარიშში ასევე გამოკვეთილია, რომ თუნიგმა თავისი როლი უნდა ითამაშოს, სტუდენტის დატვირთვის შეფასების მეშვეობით, კურსის ერთეულებზე კრედიტების განაწილების მხრივ საუკეთესო მაგალითების გამოვლენაში¹.

ევროკომისიის ბოლო კომუნიკე ასევე ორიენტირებულია უნივერსიტეტების მნიშვნელობაზე ლისაბონის სტრატეგიის მისაღწევად: ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებაში ევროპა უნდა გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი. ეს დოკუმენტი, “ევროპის ინტელექტუალური კაპიტალის მობილიზაცია”, გლობალურ კონტექსტში წარადგენს ევროპის უნივერსიტეტების თანამედროვე მდგომარეობას და მიუთითებს წინსვლის ზოგიერთ გზებზე. დოკუმენტში იდენტიფიცირებულ სუსტი წერტილებია: ფრაგმენტაცია, იზოლაცია და დიალოგის ნაკლებობა სოციალურ და ეკონომიკურ გარემოსთან, რაც გლობალურ გარემოცვაში უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს გაუგებარს ხდის. კომუნიკეში ასახულ შემდეგ შემფოთებას წარმოადგენს უნიფიცირებისა და გადაჭარბებული რეგულაციის ტენდენცია, რაც ორიგინალობისა და გამორჩეულობის საწინააღმდეგოდ მუშაობს. ასეთივე შემფოთება არსებობდა ასევე თუნიგის საწყის ეტაპზეც. ამიტომაც ეძებდა თუნიგი ბალანსს საერთო ფორმულირებებსა და ათვლის წერტილებს შორის, რაც წახალისებდა სოციალურ და ინტერნაციონალურ გაგებას და ხელს შეუწყობდა აღიარებას, მრავალფეროვნებასა და ავტონომიას. დოკუმენტში ხაზგასმულია მრავალფეროვნებისა და ავტონომიის მნიშვნელობა სხვადასხვა კულტურის, აკადემიური ტრადიციის, სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომის, სწავლის შედეგისა და კომპეტენციის მიღწევის გზებისათვის, უფრო მეტიც აკადემიური ხარისხისათვისაც. ავტონომიური და მრავალფეროვანი აკადემიური ხარისხების პროფილები ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგის საფუძველზე უნდა შემუშავდეს, რაც თავისი ბუნებით დინამიური პროცესია.

ვიმედოვნებთ, რომ თუნიგი სასარგებლო ინსტრუმენტი იქნება ბოლონის პროცესის მომავლისათვის. ამჟამად თუნიგის მთავარი სამოქმედო ხაზი იმ დონეზეა განვითარებული, რომ მისი განხორციელება უკვე შესაძლებელია. დადგა შედეგების გავრცელების დრო, უკვე შესაძლებელია მათი გამოყენება საპილოტე ჯგუფს გარეთ, ყველა

¹ Sybille Reichert and Christian Tauch, Trends IV: European Universities Implementing Bologna. An EUA Report (Brussels 2005), p.18 and 26.

დაინტერესებული უმაღლესი სასწავლებლის მიერ. პროექტის მესამე ფაზაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება თუნინგის, ერაზმუსის თემატური ქსელისა და პროფესიული ასოციაციების ერთობლივ მუშაობას. ეს კოოპერაცია ძალიან ნაყოფიერია და მისი პროდუქტი უახლოეს ხანებშია მოსალოდნელი. ამჟამად, ოცი თემატური ჯგუფი მჭიდროდაა ჩართული თუნინგის სამოქმედო ხაზის განხორციელებაში. კონკრეტული შედეგების მიღება, შეთანხმებულ კომპეტენციებთან, შედეგების რეზიუმესა და სადისკუსიო დოკუმენტებთან დაკავშირებით, მოსალოდნელია 2005-2006 წლებში. თუნინგის კონფერენციებზე, რომლებიც გაიმართება თუნინგი III-ის ფარგლებში, თემატური ქსელებისა და ასოციაციების მონაწილეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საერთოევროპული კონფერენციები დაგეგმილია თუნინგის შემდეგ საკითხებზე: კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების გამოყენება სამსაფეხურიან სისტემაში; აკადემიური ხარისხებისა და სწავლის პერიოდების ცნობა; ECTS-ის კრედიტები და სტუდენტთა დატვირთვა ბოლონის მიხედვით; პროგრამების დონეზე სწავლების, სწავლისა და შეფასების ასევე ხარისხის ამაღლებისადმი მიდგომები. ამ კონფერენციებით განზრახულია თუნინგის საპილოტე პროექტის შედეგებზე საჯარო დისკუსიის გამართვა, მათი დამტკიცება, შემდგომი განვითარება და განსახორციელებლად მათი მომზადება.

წიგნის შესახებ

წინამდებარე წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად. პირველი აჯამებს თუნინგ II-ის შედეგებს, რომელიც ფოკუსირებულია კურიკულუმის დიზაინის განვითარებასა და მის განხორციელებაზე.

პირველი თავი მიმოიხილავს ზოგადად თუნინგის პროექტის და კონკრეტულად თუნინგ II-ის მიზნებსა და შედეგებს. ის ასევე იძლევა განმარტებებს თუნინგის მეთოდოლოგიის შესახებ.

მეორე თავში მკითხველი გაეცნობა ცხრა “ნიმუშს” ანუ “შედეგების რეზიუმეებს”, რომლებიც საერთო ფორმატის ფარგლებში წარმოადგენენ მონაწილე დარგობრივი ჯგუფის მიგნებების კომპლექსურ მაჩვენებლებს. ნიმუშის ფორმა შეიქმნა, რათა უზრუნველყოფილიყო პროექტის მიგნებების მისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათთვისაც ვისაც არ გააჩნია კონკრეტული დისციპლინის შესაბამისი ცოდნა. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი ნიმუშები ხელმისაწვდომი გახდება სხვა დარგობრივი სფეროებისათვისაც.

მესამე თავი სახელწოდებით: კურიკულუმის დიზაინი და განხორციელება, ეხება მაღალი ხარისხის კურიკულუმების შექმნისა და მათი განხორციელების მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული თავის პირველი ნაწილი ეხება ECTS-ის კრედიტების, სწავლის შედეგებისა და სტუდენტების დატვირთვის ურთიერთკავშირს. თუნინგმა შეიმუშავა ახალი მიდგომა უმაღლესი განათლების პროგრამებში სტუდენტების დატვირთვის განსაზღვრისათვის. აღნიშნული თავი, მთელი რიგი

კურიკულუმებისათვის მოიცავს წარმატებული გამოცდილების მაგალითებს, ისევე როგორც დაგეგმვის ფორმებს სტუდენტის დატვირთვის გაანგარიშების დასახმარებლად. ამ თავის მეორე ნწილი ეხება ცენტრალურ საკითხს, თუ როგორ დავაკავშიროთ კომპეტენციებით ფორმულირებული სასურველი სწავლის შედეგები, სწავლების, სწავლისა და შეფასების ყველაზე ეფექტურ მიდგომებთან. ის ეფუძნება თუნინგის დარგობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებულ ექსტენსიურ სამუშაოს და გვთავაზობს თუნინგ II-ის უმნიშვნელოვანესი და საჭირო წვლილის პირველ თვალსაზრისს, რაც შედეგზე დაფუძნებული კურიკულუმის დიზაინისათვის სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებისა და სტრატეგიის კონკრეტული მინიშნებაა.

მეოთხე თავი ფოკუსირებულია აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლებაზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის უფრო შესაბამისი და ეფექტური გზის ძიება წარმოადგენდა თუნინგის პროექტის დაწყების მნიშვნელოვან მიზეზს. ეს თავი არა მარტო გვაწვდის აკადემიური პროგრამების დიზაინის, განხორციელებისა და გადაცემის პროცესში, ასევე ხარისხის კულტურის განვითარებაში თუნინგის მეთოდოლოგიის პოტენციური როლის თეორიულ აღწერას, არამედ ის ასევე გვთავაზობს პრაქტიკულ, "ნაბიჯ-ნაბიჯ" მიდგომას ხარისხის ასამაღლებლად. თავი სრულდება წარმატებული პრაქტიკის მაგალითებით, აკადემიური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას განსახილველი ძირითადი კითხვების ჩამონათვალითა და კურიკულუმის შეფასების მოდელით.

წიგნის მეორე ნაწილი მოიცავს საბაზო ინფორმაციას თვით პროექტის შესახებ, ასევე შერჩეული დარგობრივი ჯგუფების ზოგიერთ სიღრმისეულ მასალას. ანალოგიური მასალა დანარჩენი დარგობრივი ჯგუფებისათვის გამოქვეყნებულია თუნინგის ვებგვერდზე.

და ბოლოს, ნება გვიბოძეთ მკითხველის ყურადღება მივაპყროთ წიგნის ბოლოში მოყვანილ მასალაზე: "ოქროს საბადო" – სასარგებლო ინტერნეტგვერდებისა და ბიბლიოგრაფიული მითითებების სია – და თუნინგის პროცესში შემუშავებული ტემინების ლექსიკონი.

პროექტის განხორციელების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის აკადემიურ პერსონალთან. თუნინგის პროექტი გამორჩეულია გასაოცარი ტალანტით, ექსპერტიზით, გულუხვობით, ლოიალობითა და ერთგულებით. დიდ მადლობას ვუხდით აკადემიურ პერსონალს, ყველას, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იყო ჩართული განხორციელებულ საქმიანობაში. თუნინგ II-ის "ახალმოსულებმა", პროექტში ჩართული ახალი ქვეყნების წევრებმა, იესვე როგორც პროექტთან მოთანამშრომლე თემატურმა ქსელებმა სერიოზულად გაამდიდრეს პროექტი, როგორც თავიანთი ცოდნით და გამჭრიახობით, ასევე ახალი იდეებითა და საკითხებით. ბუნებრივია ჩვენ მადლობას ვუხდით მათ, ვინც თავიდანვე ჩართული იყო პროექტის მომზადების პროცესში. მათ გამოავლინეს გასაოცარი თანამიმდევრულობა

და წარმოსახვა ღია და კონსტრუქციული დიალოგისათვის ახალი გზებისა და გადაწყვეტილებები ძიებაში. ორივემ, ძველმა და ახალმა წევრებმა, აჩვენეს, რომ ევროპულ აკადემიურ საზოგადოებას აქვს ფართო მასშტაბები და შესაბამისი ხედვა, რათა პასუხი გასცეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს საერთაშორისო დონეზე. დღევანდელი გლობალური საზოგადოება მოითხოვს ამ ტიპის ხედვასა და პასუხისმგებლობას.

ამ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მმართველი კომიტეტის წევრების თავდადება და სიბრძნე. წარმოადგენდნენ რა პროექტის საყრდენს, ისინი არა მარტო ატარებდნენ დიდ პასუხისმგებლობას, არამედ დისკუსიებსა და დებატებს აძლევდნენ კონსტრუქციულ და მასტიმულირებელი მიმართულებას. მათ გამოავლინეს კონსესუსისა და შედეგების მიღწევის უნარი, რაც საზოგადოდ ასე სასარგებლოა ევროპის უმაღლესი სასწავლებლებისათვის. განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ანა კეთერინ ისააკს აღნიშნული წიგნის რედაქტირებაში დახმარებისათვის.

მადლობა ეკუთვნით, ასევე სპეციალისტთა ჯგუფებს და მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციას (ENQA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციას (EURASHE), ENIC/NARIC, ევროპაში სტუდენტების ეროვნულ კავშირებს (ESIB) და ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციას (EUA). განსაკუთრებით კი ევროპაში სტუდენტების ეროვნულ კავშირებს (ESIB) და ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციას (EUA) თუნინგ II-ის განხორციელებაში სრულფასოვანი და ღირებული იდეებისა და კომენტარებისათვის.

ჩვენ ღრმა მადლიერება უნდა გამოვხატოთ ევროკომისიის და, განსაკუთრებით განათლებისა და კულტურის გენერალურ დირექტორატის წინაშე, არა მარტო მისი სულგრძელი ფინანსური, არამედ ასევე მორალური მხარდაჭერისთვისაც, მისი დაინტერესების, რჩევებისა და წვლილისათვის.

პროექტის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ასისტენტები ინგრიდ ვან დერ მეერი და პაბლო ბენეიტონე, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების ასისტენტი მაიდა მარტი მალეტა. პროექტის შეუფერხებელი მიმდინარეობა მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი. თუნინგის ყველა წევრი გამოთქვამს მადლიერებას ამ აუცილებელი საქმისათვის. მათ გამოავლინეს თუნინგის ერთგულება და ღრმა გააზრება.

ხულია გონზალესი (დეუსტოს უნივერსიტეტი)
რობერტ ვაგენაარი (გრონინგენის უნივერსიტეტი)
თუნინგის პროექტის თანაკოორდინატორები

ბილბაო და გრონინგენი, ნოემბერი, 2005.

პირველი ნაწილი

1

თუნინგის მიზნები და მეთოდოლოგია

1.1. თუნინგის მიზნები

საუნივერსიტეტო სივრცეში ბოლონიის პროცესის განხორციელება თუნინგის პროექტის საფუძველი და შინაარსია. პროექტი მიზანად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების თვასებადობასა და შესადაარობას, ევროპის დონეზე გამჭვირვალობისა და აკადემიურ აღიარების ხელშეწყობას, სასწავლებლებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისა და ამდლების მეთოდოლოგიის მოწოდებით. თუნინგი მხარს უჭერს და გვთავაზობს შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, დაფუძნებულს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგებსა და სტუდენტის დატვირთვის ამსახველ ECTS კრედიტებზე.

თუნინგის პროექტი ორიენტირებულია არა განათლების სისტემებზე, არამედ საგანმანათლებლო სტრუქტურებსა და სწავლის შინაარსზე. მაშინ როდესაც განათლების სისტემები ძირითადად მთავრობების პასუხისმგებლობის სფეროშია მოქცეული, საგანმანათლებლო სტრუქტურები და შინაარსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენს.

ბოლონიის დეკლარაციის შედეგად ევროპული ქვეყნების განათლების სისტემების უმეტესობა რეფორმირების პროცესშია. რაც ევროპაში სხვადასხვა ეროვნული სისტემის თანხვედრის მისაღწევად მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების პირდაპირ ეფექტს წარმოადგენს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ეს რეფორმები, თავის მხრივ, გახდა საწყისი წერტილი ახალი დისკუსიისათვის: კურიკულუმების თუნინგი სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომების თვალსაზრისით.

უფრო კონკრეტულად, პროექტის მიზანია მთელ რიგ დარგებში, პირველი და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხებისათვის, განსაზღვროს ათვისების წერტილები ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებისათვის. თავდაპირველად ეს შემდეგ დარგებში განხორციელდა: ბიზნესის ადმინისტრირება, ქიმია, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები(გეოლოგია), განათლების მეცნიერებები, ისტორია, მათემატიკა და ფიზიკა; ხოლო, შემდეგ, როგორც თუნინგის მეორე ფაზის (2003-2004) ნაწილი ისეთ დარგებში როგორცაა: ევროპისმცოდნეობა და საექთნო საქმე. იმავდროულად, მრავალმა ევროპულმა თემატურმა ქსელმა დაიწყო თავისი სფეროს აღწერა ათვისების წერტილების საფუძველზე. ეს საყოველთაო პროცესი ევროკომისიის მიერაა მხარდაჭერილი.

სახელი თუნინგი პროექტისთვის შეირჩა იმის საჩვენებლად, რომ უნივერსიტეტები კი არ ცდილობენ თავიანთი პროგრამების “ჰარმონიზაციას” ან გეგმავენ ერთი უნიფიცირებულის ან დეტალური ინსტრუქციის მქონე ან უკვე განსაზღვრული ევროპული კურიკულუმის განხორციელებას, არამედ ისინი დაინტერესებულნი არიან ათვლის წერტილების შექმნით და სტიმულს აძლევენ პროგრამების დაახლოებასა და ერთნაირ გაგებას. ევროპული განათლების მდიდარი მრავალფეროვნების დაცვა თუნინგის პროექტის უმთავრეს საკითხია და მის განზრახვაში არ შედის აკადემიური პერსონალისა და დარგის სპეციალისტების დამოუკიდებლობის შეზღუდვა ან ადგილობრივი თუ ეროვნული აკადემიური წრეებისათვის ზიანის მიყენება.

მეორე ფაზა

თუნინგ პროექტის მეორე ფაზის პირველი მიზანი სწავლების, სწავლისა და შეფასების საკითხებთან მიმართებაში შემდგომი მიდგომების შემუშავება და თუნინგ შედეგების ხარისხის უზრუნველყოფასა და ამაღლებასთან დაკავშირებაა. გარდა აღნიშნულისა, განახლდა და დაიხვეწა I-III რიგის ამოცანებთან (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, ECTS-ის როგორც დაგროვების სისტემა გამოყენება) დაკავშირებული მეთოდოლოგია და შედეგები.

თუნინგის პროექტის პირველი ფაზის მონაწილეებად ძირითადად შეირჩა უნივერსიტეტები, თავისი ტრადიციული გაგებით. ეს გაკეთდა ორი მიზეზით: 1) არჩეულ დარგობრივ სფეროებთან კარგი თანხვედრის მიღწევა და 2) ხვადასხვა ქვეყნების მიხედვით დაწესებულებების შესადარი ტიპის შექმნა. პროექტის შემდგომი გართულებისაგან თავის არიდების მიზნით სამეცნიერო სფეროებიდან შეირჩა გამოკვეთილი დარგები. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ტიპის დარგებისათვის უფრო ადვილი იქნებოდა პროფესიული პროფილებისა და სასურველი შედეგებისათვის ორიენტირების განსაზღვრა ცოდნის, გაცნობიერებისა და უნარ-ჩვევების ტერმინების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომის წარმატებულად აღიარების შემდეგ, ახალ გამოწვევას წარმოადგენდა თუნინგის შედეგების სხვა სფეროებში გამოყენება.

ამდენად, პროექტის მეორე ფაზის მეორე მნიშვნელოვან საკითხი თუნინგის მეთოდოლოგიის ორ ახალ სფეროში განხორციელებაა: ინტერდისციპლინური პროგრამისათვის შეირჩა ევროპისმცოდნეობა, ხოლო გამოყენებითი მეცნიერებისათვის საექთნო საქმე. ეს ორი სფერო წარმოადგენს კარგ მაგალითს სხვა დარგების შესაბამისი ტიპებისათვის.

თუნინგის პირველ ფაზაში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ ევროკავშირისა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის (EFTA)

წვერი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. თუნიგ 2-ის მესამე მნიშვნელოვანი საკითხი პროექტის გაფართოება და მასში ევროკავშირის ახალი წევრებისა და კანდიდატი ქვეყნების ჩართვაა. შედეგად, 100 უნივერსიტეტისგან შემდგარი წრე კიდევ 35 დაწესებულებით გაფართოვდა, რომელთაგანაც 20, ცენტრალური ევროპის ქვეყნებია.

აღნიშნული სამი ძირითადი მიზნის გარდა, პროექტის მეორე ფაზაში პირველი ფაზის კიდევ ერთმა მიღწევამ განიცადა შემდგომი განვითარება. კერძოდ, ჩამოყალიბდა პლატფორმა, რომელიც ევროპის დონეზე ბოლონის პროცესის განსახორციელებლად ქვეყნებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და პერსონალს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაცვლას შეუწყობს ხელს. ეს მოიცავდა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შემდგომ განვითარებას კომპეტენციებით აღწერილი სწავლის შედეგების საფუძველზე.

თუნიგ 2-ის პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- თუნიგის პირველი ფაზის საპილოტე პროექტის შედეგების შემდგომი განვითარება და დაზუსტება. კერძოდ, საზოგადოდ მისაღები და გასაგები ტრანსფერული/ზოგადი უნარების იდენტიფიცირება, ასევე ცოდნის, შინაარსისა და დარგობრივი უნარებისათვის საერთო მნიშვნელის იდენტიფიცირება;
- ევროპული კრედიტებისა და ტრანსფერის სისტემის, როგორც კურიკულუმის კონსტრუირებისა და მოდიფიცირების საფუძველის გამოყენების ტესტირება. ამასთან, კურიკულუმის ამოსავალი წერტილი შეთანხმებული კომპეტენციები და სწავლის შედეგებია;
- თუნიგის პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში შემუშავებული სტუდენტის დატვირთვის გაზომვის ზოგადი მეთოდოლოგიის დაზუსტება, რათა მეთოდოლოგია გახდეს გამოყენებადი და განხორციელდეს მისი ტესტირება დისციპლინების დონეზე;
- ბიზნესის, ქიმიის, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია), განათლების მეცნიერებების, ისტორიის, მათემატიკის და ფიზიკის პირველი და მეორე საფეხურისათვის დონის მახასიათებლების დეტალური დაზუსტება;
- ევროპის მასშტაბით უმაღლეს განათლებაში თანხვედრის მაღალი დონის შემდგომი სტიმულირება სულ მცირე შემდეგ დისციპლინებში: ბიზნესი, ქიმია, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები(გეოლოგია), განათლების მეცნიერებები, ისტორია, მათემატიკა და ფიზიკა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს შეთანხმებულ სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმების საერთო სტრუქტურების განვითარებისა და დიპლომების აღიარებისა და ევროპული ინტეგრაციის ამაღლების მეშვეობით;

- სწავლის, სწავლების, შეფასებისა და შეფასების სხვადასხვა მიდგომების იდენტიფიცირება და განვითარება კურიკულუმის კონსტრუირების, სწავლის შედეგების და კომპეტენციების ჩარჩოს ფარგლებში;
- თუნინგის შედეგების დაკავშირება ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებასთან;
- თუნინგის შედეგებზე პროფესიული ორგანოებთან ერთად მსჯელობა;
- აკადემიური ხარისხების პროფილების, კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების საზოგადოდ მისაღები ჩამონათვალის შემუშავება ცოდნის, უნარებისა და შინაარსის მეშვეობით ორ ახალ სფეროში: საექთნო საქმე და ევროპისმცოდნეობა;
- ორი ახალი ევროპული ქსელის შექმნა ინტერდისციპლინური სწავლებისა (ევროპისმცოდნეობა) და გამოყენებითი მეცნიერების (საექთნო საქმე) სფეროებში. მათ შეუძლიათ წარმატებული პრაქტიკის მაგალითების ჩვენება, ინოვაციისა და ხარისხის წახალისება როგორც აზრთა ურთიერთგაცვლისას, ასევე შესადარისი სფეროებისათვისაც;
- ყველა არსებული თემატური ქსელების გაერთიანება, აღნიშნულ ქსელებში თუნინგის საპილოტე პროექტის მიერ შემოთავაზებული შედეგების და გამოცდილების ტესტირებისა და განვითარებისათვის;
- საგანმანათლებლო სტრუქტურების გამჭვირვალობის ხელშეწყობა და ინოვაციების მხარდაჭერა გამოცდილების გაზიარებისა და წარმატებული მაგალითების იდენტიფიცირების მეშვეობით;
- თუნინგის პროცესის გაღება გამოყენებითი ხასიათის უნივერსიტეტებისა და წევრობის კანდიდატი ქვეყნებისათვის;
- პროცესში ჩართულ უნივერსიტეტებს, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციას, რექტორთა ეროვნულ კონფერენციებსა და სხვა შესაბამის კვალიფიციურ ორგანოებს, განსაკუთრებით პროფესიულ ორგანიზაციებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს შორის კავშირების ჩამოყალიბება, რათა მივაღწიოთ თანხვედრას სწავლებაში;
- კოორდინირებული საქმიანობა საგანმანათლებლო სტრუქტურების თუნინგის პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან, განსაკუთრებით ბოლონის პროცესის სამუშაო ჯგუფთან, განათლების სამინისტროებთან, რექტორთა კონფერენციებთან (მათ შორის ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია), ხარისხის უზრუნველყოფის ორგანიზაციებსა და სააკრედიტაციო ორგანოებთან, ENIC-NARIC-თან, ისევე როგორც უნივერსიტეტებთან.

1.2 თუნინგის მეთოდოლოგია

თუნინგის დევიზი: საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და პროგრამების შემუშავება მრავალფეროვნებისა და ავტონომიის საფუძველზე

თუნინგის პროექტის ფარგლებში, კურიკულუმების გაგებისა და მათი შესადარობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა მეთოდოლოგია. დარგობრივ ჯგუფებში დისკუსიების გასამართად განისაზღვრა მიდგომის ხუთი რიგი:

- 1) ზოგადი (საერთო აკადემიური) კომპეტენციები,
- 2) დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციები;
- 3) კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS-ის), როგორც დაგროვების სისტემის როლი;
- 4) სწავლის, სწავლებისა და შეფასების მიდგომები;
- 5) საგანმანათლებლო პროცესში ხარისხის ამაღლების როლი (შიდაინსტიტუციურ ხარისხის კულტურაზე დაფუძნებული სისტემების განსაკუთრებული მნიშვნელობა).

თუნინგის პროექტის პირველ ფაზაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა პირველ სამ საკითხზე. მეოთხე და მეხუთე საკითხებს დროის სიმცირის გამო ნაკლები ყურადღება დეთმო, მაგრამ პროექტის მეორე ფაზაში (2003-2004) მათ ცენტრალური ადგილი დაიკავეს.

თითოეული ზემოაღნიშნული საკითხი წინასწარ განსაზღვრული პროცესის მიხედვით განვითარდა. ევროპის დონეზე არსებული მდგომარეობის შესახებ განახლებული ინფორმაცია ამოსავალი წერტილი იყო. ეს ინფორმაცია შემდგომში გახდა, ამჯერად უკვე, ცხრა დარგობრივი სფეროს ექსპერტთა ჯგუფების განსჯისა და დისკუსიის საგანი. ამ ჯგუფების ნამუშევარი, დამტკიცებული შესაბამისი ევროპული ქსელების მიერ, უზრუნველყოფს გაგებას, შინაარსსა და დასკვნებს და შეიძლება განვიხილოთ როგორც მოქმედი ძალის მქონე ევროპულ დონეზე. საერთო ჯამში, მიდგომის 5 რიგი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს “დაარეგულირონ” თავიანთი კურიკულუმები ავტონომიურობის დაკარგვის გარეშე და იმავდროულად მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების სტიმულირება სიახლეების დასანერგად.

თუნინგის მოდელი

გარდა აღნიშნულისა, თუნინგმა შეიმუშავა კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელებისა და გადაცემის მოდელი, რომლის შეთავაზებაც შესაძლებელია ერთი სასწავლებლის, ან ერთობლივად ორი ან მეტი სასწავლებლისათვის. სასწავლო პროგრამის - როგორც ლოკალური ან

საერთაშორისო დონის, ასევე ინტეგრირებულის (ერთობლივი აკადემიური ხარისხის) - შემუშავების პროცესისათვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ნაბიჯები:

1. საბაზო პირობების დაკმაყოფილება

ყველა სასწავლო პროგრამისათვის:

- რეგიონულ/ეროვნულ/ევროპულ დონეზე განსაზღვრულია თუ არა პროგრამის სოციალური საჭიროება? განხორციელდა ეს დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები, პროფესიონალები და პროფესიული ორგანიზაციები) კონსულტაციის საფუძველზე?
- აკადემიური თვალსაზრისიდან გამომდინარე არის თუ არა პროგრამა საკმარისად საინტერესო? იდენტიფიცირებულია თუ არა საერთო ამოსავალი წერტილები?
- განისაზღვრა პროგრამისათვის აუცილებელი სასწავლებლის შიდა ან, თუ საჭიროა, გარე (პარტნიორი) რესურსების ხელმისაწვდომობა?

ერთზე მეტი სასწავლებლის მიერ მოწოდებული საერთაშორისო აკადემიური ხარისხის პროგრამებისათვის:

- არსებობს თუ არა შესაბამისი სასწავლებლების ვალდებულება? რა საფუძველით: ოფიციალური ხელშეკრულება ან სტრატეგიული ალიანსი?
- არსებობს თუ არა საკმარისი გარანტიები იმისათვის, რომ პროგრამა სამართლებრივად აღიარებული იქნება სხადასხვა ქვეყანაში?
- თუ არსებობს შეთანხმება პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელიც გაწერილია სტუდენტის სასწავლო დატვირთვაზე დაფუძნებული ECTS-ის კრედიტების შესაბამისად?

2. აკადემიური ხარისხის პროფილის დეფინიცია

3. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, ასევე სწავლის შედეგების (ცოდნის, გაცნობიერების

და უნარების თვალსაზრისით) აღწერა, რომელებიც უნდა შესრულდეს

4. იმ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რომელსაც სტუდენტი შეიძენს

საგანმანათლებლო პროგრამაში

5. კურიკულუმში გადატანა: შინაარსი (ჩამოთვლილ უნდა იქნეს საკითხები) და სტრუქტურა

(მოდულები და კრედიტები)

6. საგანმანათლებლო ერთეულებსა (კურსი/მოდული) და აქტივობებში გადატანა,


განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად

7. სწავლებისა და სწავლის (მეთოდები, ტექნიკა და ფორმატი) მიდგომების, ასევე სტუდენტის

შეფასების მეთოდების (როცა საჭიროა, მასალის შემუშავება) განსაზღვრა
 8. ხარისხის განუხრელი ამაღლების მიზნით, შესაბამისი შეფასების სისტემის განვითარება.

აღნიშნული პროცესი ასახულია შემდეგ სქემაში:

თუნინგის ხარისხის განვითარების
 დინამიური წრე



ეს მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ პროგრამები შეიძლება და უნდა გაუმჯობესდეს არა მარტო უკუგების, არამედ წინსვლის საფუძველზეც და ითვალისწინებდეს განვითარებას, როგორც საზოგადოებაში, ასევე შესაბამის აკადემიურ სფეროში. მოდელში ეს ილუსტრირებულია პროგრესირებადი წრეების სახით.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS)

თუნინგის ერთ-ერთ მთავარი ინოვაციაა სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და ECTS-ის სასწავლო დატვირთვაზე დაფუძნებული კრედიტების დაკავშირება. როგორც თუნინგის პირველი ფაზის ნაწილი, აუცილებელი გახდა ECTS-ის ახალი კონცეფციის განვითარება. ეს კონცეფცია გულისხმობს კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემად გარდაქმნას, რომელშიც კრედიტი არა შეფარდებითი, არამედ აბსოლუტური ერთეულია და სწავლის შედეგებთანაა დაკავშირებული. ECTS-ის ახალ სისტემაში კრედიტების მინიჭება დამოკიდებულია კურსის

ერთეულის ან მოდულისათვის სასურველი სწავლის შედეგების სრულ მიღწევაზე. მისი ფილოსოფია და მახასიათებლები ასახულია დოკუმენტში “საგანმანათლებლო სტრუქტურები, სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვა და ECTS კრედიტების კალკულაცია”, რომელიც საფუძვლად დაედო ECTS ახალ ცნობარს, რომელიც გამოაქვეყნა ევროკომისიამ 2004 წლის ზაფხულში.²

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

ორ ან სამ საფეხურიანი სისტემის შემოღება აუცილებელს ხდის ყველა იმ სასწავლო პროგრამის რევიზიას, რომელიც დაფუძნებული არაა საფეხურების კონცეფციაზე. პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს ამ პროგრამების დიზაინის გადასინჯვა, ვინაიდან საფეხურიანი სისტემაში თითოეული საფეხური განიხილება, როგორც დამოუკიდებელი ერთეული. პირველი ორი საფეხური არა მარტო შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, არამედ შრომის ბაზარზე გასვლის საშუალებასაც იძლევა. აღნიშნული მიუთითებს კომპეტენციების კონცეფციის, როგორც სწავლის შედეგების საფუძვლის, გამოყენების რელევანტურობაზე.

თუნიგე განასხვავებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, რათა გამოყოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მხარეების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების, როლები. სწავლის პროცესის სასურველი სწავლის შედეგები ფორმულირებულ უნდა იქნეს აკადემიური პერსონალის მიერ ამ საქმიანობაში უპირატესად სტუდენტთა წარმომადგენლების ჩართვით, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის საფუძველზე. სწავლის პროცესის განმავლობაში სტუდენტი იძენს ან ავითარებს კომპეტენციებს. სხვა სიტყვებით:

- სწავლის შედეგები არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები მიმართულია კურსის ერთეულზე ან მოდულზე, ან კიდევ სწავლის მთელ პერიოდზე: მაგალითად, სწავლის პირველ ან მეორე საფეხურის პროგრამებზე. სწავლის შედეგები განსაზღვრავს მოთხოვნებს კრედიტების მისაღებად.
- კომპეტენციები ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაციაა. ამ კომპეტენციების გამომუშავება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია. კომპეტენციები ყალიბდება სხვადასხვა კურსის ერთეულის/მოდულის მიერ და ფასდება სხვადასხვა ეტაპზე.

² ECTS User's Guide: http://europa.eu.int/comm/education/socrates_ects.html

დოკუმენტის ქართული თარგმანი იხილეთ: www.mes.gov.ge

კომპეტენციებიდან განასხვავებენ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს. მართალია, თუნინგი ადასტურებს დარგობრივი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის პროგრამების საფუძვლის, მნიშვნელობას, მაგრამ ხაზგასმულია ასევე ის ფაქტიც, რომ დრო და ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე ზოგად კომპეტენციების ანუ ტრანსფერული უნარების განვითარებას. ეს უკანასკნელი კომპონენტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სტუდენტის უკეთ მოსამზადებლად საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც დასაქმების შესაძლებლობებსა და წარმატებულ მოქალაქეობაში გამოიხატება.

თუნინგი განასხვავებს ზოგადი კომპეტენციების სამ ტიპს:

- ინსტრუმენტული კომპეტენციები: კოგნიტური (შემეცნებითი), მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და ლინგვისტური უნარები;
- ინტერპერსონალური კომპეტენციები: სოციალური უნარების მსგავსი ინდივიდუალური უნარები (სოციალური ინტერაქცია და კოოპერაცია);
- სისტემური კომპეტენციები: მთელ სისტემასთან დაკავშირებული უნარები (აღქმის, დამოკიდებულებისა და ცოდნის კომბინაცია; საჭიროა ინსტრუმენტული და ინტერპერსონალური კომპეტენციების წინასწარი ფორმირება).

თუნინგ I-ის ფარგლებში ფართომასშტაბიანი კონსულტაციები ჩატარდა დამსაქმებლებთან, აკადემიურ პერსონალთან და უმაღლესდამთავრებულებთან, შესაბამის აკადემიურ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციების იდენტიფიცირებისათვის. მართალია, ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციების ნაკრები სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფის მიხედვით უმნიშვნელოდ განსხვავდება, მაგრამ კომპეტენციათა უმეტესობისათვის დარგებს შორის საოცარი მსგავსება აღმოჩნდა. ყველა სფეროში ტიპური აკადემიური კომპეტენციები, როგორცაა ანალიზისა და სინთეზის უნარი, სწავლისა და პრობლემის გადაჭრის უნარი, იდენტიფიცირებულ იქნა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი. უმაღლესდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა გამოავლინეს საოცარი შეთანხმება და მიუთითეს, რომ დასაქმებისათვის ასევე მნიშვნელოვანია სხვა ზოგადი კომპეტენციებიც: მაგალითად, პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ სიტუაციასთან მორგების უნარი, დაინტერესება განათლების ხარისხით, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, ავტონომიურად მუშაობის შესაძლებლობა, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ ზოგიერთი ზემოაღნიშნული კომპეტენცია უფრო გამოყენებადია და ამდენად აუცილებელია მათი უფრო მაღალ დონეზე განვითარება. მათი აზრით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ზოგადი კომპეტენციების გარკვეულ რაოდენობას, რათა სტუდენტები უკეთესად მოემზადონ თავიანთი მომავალი სამუშაოსათვის.

ფართომასშტაბიანი საკონსულტაციო პროცესის შედეგების ნახვა შესაძლებელია თუნიგ I-ის გამოცემებსა და თუნიგის ვებგვერდზე.

დარგობრივი კომპეტენციები განისაზღვრა ცხრა დარგობრივ სფეროში: ბიზნეს ადმინისტრირება, ქიმია, განათლების მეცნიერებები, ევროპისმცოდნეობა, ისტორია, გეოლოგია (დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები), მათემატიკა, საექთნო საქმე და ფიზიკა. კომპეტენციების ეს ნაკრები აისახა პროექტის ცხრა დარგობრივი ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტებში. წიგნის შესავალში უკვე ნახსენებია, რომ ამ ცხრა ჯგუფის მიდგომები განსხვავებულია დისციპლინების სტრუქტურებს შორის განსხვავებულობის გამო. მიუხედავად ამისა, შედეგის მისაღებად ყველა ჯგუფი ასრულებდა მსგავს პროცედურას. დისკუსიებით, თანაზიარი ცოდნის ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა ქვეყანაში დისციპლინის სწავლებისა და სწავლის გზების ასახვით, მიღწეულ იქნა ურთიერთგაგება და კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის თითოეული დარგის სასიცოცხლო ბირთვი. შედეგად მიღებული დოკუმენტები³ სამუშაო დოკუმენტებია, საგანი შემდგომი გადამუშავებისა და ცვლილებებისათვის.

თუნიგის კომპეტენციები განსაზღვრულია, როგორც კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების ათვლის წერტილი და არა როგორც განვითარების შემაფერხებელი. ისინი კურიკულუმის კონსტრუირებისას ავტონომიურობისა და მოქნილობის საშუალებას იძლევიან. იმავდროულად, ისინი უზრუნველყოფენ საერთო ენას იმის აღსაწერად, თუ რა მიზანს ისახავს კურიკულუმი.

სწავლის შედეგების გამოყენება უფრო მეტი მოქნილობის საშუალებას იძლევა, ვიდრე ტრადიციულად დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამა, ვინაიდან ისინი აჩვენებენ, რომ განსხვავებული გზებით შეიძლება შესაძარ შედეგებამდე მისვლა; ასევე ბევრად უფრო იოლია სწავლის შედეგების აღიარება, როგორც პროგრამის შემადგენელი ნაწილის ან როგორც სწავლის შემდეგ საფეხურზე დაშვების პირობის. მათი გამოყენება პატივს სცემს სხვა ინსტიტუტების ავტონომიას, ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო კულტურებს. ამასთან, აღნიშნული მიდგომა მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა არა მარტო გლობალურ, ევროპულ, ეროვნულ ან ინსტიტუციურ ჩარჩოებში, არამედ ასევე ერთი პროგრამის კონტექსტშიც. ეს კონცეფცია შეჯამებულია შემდეგი სქემით:

³ დოკუმენტების ნახვა შესაძლებელია თუნიგის ვებგვერდზე, ასევე პროექტის პირველ წიგნში.

სწავლის შედეგები: განსხვავებული
გზები, რომელთაც მივყევართ
შესადარებელ შედეგებამდე




მეორე საფეხურის
სწავლის შედეგები:

განსხვავებული გზები
(60)90-120ECTS კრედიტი

მრავალფეროვნების
საშუალება

პირველი საფეხურის
სწავლის შედეგები:

განსხვავებული გზები
180- 240 ECTS კრედიტი



სტუდენტზე ორიენტირებულობა


სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების გამოყენება აუცილებელია, რათა სასწავლო პროგრამები, მათი შემადგენელი კურსის ერთეულები ან მოდულები გახდეს სტუდენტზე კონცენტრირებული / შედეგზე ორიენტირებული. ამ მიდგომის მოითხოვნაა, რომ სწავლის პროცესში სტუდენტის მიერ მისაღწევი საკვანძო ცოდნა და უნარ-ჩვევები განსაზღვრავდნენ სასწავლო პროგრამის შინაარსს. სწავლის შედეგები და კომპეტენციები კონცენტრირებულია როგორც დარგის, ასევე საზოგადოების მოთხოვნებზე, რომელიც წარმატებული მოქალაქის ჩამოყალიბებასა და დასაქმების შესაძლებლობებს გულისხმობს. დღემდე ბევრი სასწავლო პროგრამა კონცენტრირებულია პერსონალზე, რაც პრაქტიკაში პროგრამების რესურსებზე ორიენტირებულობას ნიშნავს. ისინი ხშირად ასახავენ აკადემიური პერსონალის დაინტერესების სფეროებისა და გამოცდილების კომბინაციას, რასაც პროგრამები მიყავს კურსების გარკვეულ დანაკარგთან და ამიტომ ისინი არ არიან საკმარისად დაბალანსებულნი და ეფექტურნი. თუნიინგი სრულად აღიარებს პერსონალის გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენების მნიშვნელობას, მაგრამ ეს არ უნდა იყოს პროგრამის დომინანტი ასპექტი.

შედეგზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამაში ძირითადი აქცენტი კეთდება აკადემიური ხარისხის ან კვალიფიკაციის პროფილზე. პროფილი განისაზღვრება აკადემიური პერსონალის და მტკიცდება უფლებამოსილი

ორგანოს მიერ. პროფილი საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებულ და აღიარებულ საჭიროებებს უნდა დაეფუძნოს. პრაქტიკაში შიდა დაინტერესებული მხარე აკადემიური საზოგადოებაა, ხოლო გარე დაინტერესებული მხარეები არიან: დამსაქმებლები(ორგანიზაციები), უმაღლესდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ადგილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა ზომით. ამასთან, თითოეული საგანამანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია აკადემიური პერსონალის დასკვნებსა და გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულმა პერსონალმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სპეციფიკურ მახასიათებლებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესაბამისი დარგობრივი სფეროსთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: რა ქმნის ბიზნესის პროგრამას ბიზნესის პროგრამად. თუნინგ აკადემიური ჯგუფების ფარგლებში, შესაბამისი დისციპლინებისათვის, განისაზღვრა ასეთი მახასიათებლების ნაკრები. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა ეგრეთ წოდებულ ნიმუშში, ან შედეგების რეზუმეში, რომელიც საერთო ფორმატის ფარგლებში მოიცავს კომპლექსურ მითითებებს და ეფუძნება უფრო ვრცელ დოკუმენტს.

საფეხურებიან სისტემაში თითოეულ საფეხურს უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგების საკუთარი ნაკრები, რომელიც ფორმულირებულია კომპეტენციებით. აღნიშნულის ვიზუალიზაცია შესაძლებელია შემდეგი სქემის გამოყენებით:

სწავლის შედეგები და კომპეტენციები
სასწავლო პროგრამებში



როგორც უკვე აღნიშნა, სწავლის შედეგები ფორმულირებულია ორივე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე ინდივიდუალური კურსის ან მოდულის დონეზე. ინდივიდუალური ერთეულის (კურსი/მოდული) სწავლის შედეგები უერთდება საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. სიტუაცია ჩამოსაყალიბებელი კომპეტენციებისათვის მეტ-ნაკლებად შესაძარბებელია. კომპეტენციების განვითარება პროგრესულად მიმდინარებს. ეს ნიშნავს, რომ მათი ფორმირება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დონეზე, კურსის ერთეულების ან მოდულების გარკვეულ რაოდენობის მიერ. პროგრამის დაგეგმვის ფაზაში უნდა გადაწყდეს თუ რომელ ერთეულში უნდა ჩამოყალიბდეს ესა თუ ის კონკრეტული კომპეტენცია. თუნინგი დარწმუნებულია, რომ კურსის ერთეულის ან მოდულის ზომებიდან გამომდინარე, თითოეული ერთეულისათვის სწავლის შედეგებში 6-8 კომპეტენციაზე მეტის ჩართვა მიზანშეწონილი არაა. ამასთან, შეიძლება არსებობდეს კომპეტენციები, რომელთა ფორმირება აშკარა არაა. მხოლოდ ის კომპეტენციები უნდა აღინიშნოს დეტალურად, რომელთა შეფასებაც ფაქტიურად შესაძლებელია. შემდეგი სქემა გვიჩვენებს კურსის ერთეულებს ან მოდულებს შორის კომპეტენციების გადანაწილების შესაძლო მიდგომებს:

**სწავლის შედეგები და
კომპეტენციები სასწავლო
პროგრამებში**



მაგალითი

კურსის ერთეული / სწავლის შედეგები	კომპეტენციები								
	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
ერთეული 1		X			X				
ერთეული 2	X			X			X		
ერთეული 3		X				X		X	
ერთეული 4	X		X						X


(X: ეს კომპეტენციები ფორმირებული და შეფასებულია; ისინი მოხსენიებულია ამ ერთეულის სწავლის შედეგებში)

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, თუნინგისათვის ერთმანეთთან გაურკვევლად დაკავშირებული კურსის ერთეულების ჯამი არ წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამა განხილულ უნდა იქნეს როგორც თვითმყოფადი ორგანიზმი. რაც უფრო ჰოლისტიკურ მიდგომას მოითხოვს. სტუდენტზე კონცენტრირებულ/შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა ერთეული ერთმანეთთან ერთი ან სხვა გზითაა დაკავშირებული. ეს ეხება არა მარტო კურსის ერთეულებს ან მოდულებს, რომლებიც შეადგენენ

კურიკულუმის ძირითად ნაწილს ან ბირთვს, არამედ ასევე დამატებით და არჩევით კურსებს. კარგად დაგეგმილ პროგრამაში დამატებითა და არჩევითა კურსებმა უნდა გააძლიერონ საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი.

თუნიგ ხედვით, კურიკულუმი შეიძლება დავინახოთ როგორც დიდი ნამცხვარი, განსხვავებული დონეებით, რომელშიც ყველა ნაჭერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, როგორც ჰორიზონტალურად ასევე ვერტიკალურად. უფრო ფორმალური საგანმანათლებლო ტერმინებით: კურსის ერთეულების ან მოდულების სწავლის შედეგები ავსებს სწავლის საერთო შედეგებს და ანვითარებს კომპეტენციების დონეს, ამასთან, სრულად ითვალისწინებს სხვა კურსის ერთეულებში მისაღწევ სწავლის შედეგებს. ეს კონცეფცია ვიზუალიზირებულია უფრო სქემატური ფორმით:

პირველი საფეხურის პროგრამა



მოდელი უშვებს კომპეტენციებით აღწერილ სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესიას. თითოეული კურსის ერთეულს აქვს თავისი როლი საერთო კურიკულუმში. ის განასხვავებს სამ 60 კრედიტიან პერიოდს, რომელიც თავის მხრივ ორდააა გაყოფილი. ეს არის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ყველაზე ტრადიციული გზა: სემესტრს მიყოლებული სემესტრი. ამასთან ერთად იგი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია სხვა ალტერნატივა. მაგალითად, სტუდენტს შეუძლია ისწავლოს პროგრამის ერთი ნაწილი უფრო გაღრმავებულად და ამისთვის იღებს ორ ერთეულს (ან ნაჭერს) ვერტიკალზე თუ ერთეულის წინაპირობა (დაშვების პირობა) ამის შესაძლებლობას აძლევს. ვინმემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ სტუდენტს,

რომელიც სწავლობს ენას, თავდაპირველად შეუძლია კონცენტრირება მოახდინოს ენის შესწავლაზე და შემდეგ ყურადღება გაამახვილოს ლიტერატურაზე ან ლინგვისტიკაზე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ოფიციალური თანამიმდევრობა შეიძლება განსხვავებული იყოს. ის ასევე გვიჩვენებს, რომ განცალკევებული ერთეულები, რომლებიც სხვა კონტექსტში წარმატებულად მისდევს ერთმანეთს, შესაძლებელია მოერგოს კურიკულუმს წინასწარი აღიარების პრინციპის საფუძველზე. რაც შეიძლება ძალზედ რელევანტურია სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში(LLC) კონტექსტისა და უფრო მოქნილი პროგრამებისათვის.

ბოლონის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სასწავლო პროგრამებისა და სწავლის პერიოდების თავსებადობისა და შესადარობის მიღწევა. აღნიშნული მიზნის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა დონეების, სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და კრედიტების სისტემის კონცეფციების გამოყენება. ამ მიზნის მხარდაჭერის შემდგომი გზა კურიკულუმის თანაბარი ზომის ერთეულებზე დაფუძნებაა. საგანმანათლებლო პროგრამების მოდულარიზაცია ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას, მობილურობასა და აღიარებას. მას ასევე შეუძლია დაეხმაროს საგანმანათლებლო პროგრამებს გახდნენ სასწავლებლად უფრო რეალურნი, ვინაიდან შემოაქვს ინსტრუმენტი სტუდენტის სასწავლო დატვირთვის დასაბალანსებლად პროგრამის სხვადასხვა ფაზის განმავლობაში.

დონეები

საფეხურების გამოყენება ავტომატურად იწვევს დონეების კონცეფციის შემოღებას. აუცილებელია საფეხურის დონეებისა და საფეხურის შიგნით დონეებს შორის ერთმანეთისაგან განსხვავება. თითოეული ასეთი დონისათვის საჭიროა ინდიკატორების გამოყენება. მათ დონეების მახასიათებლებს უწოდებენ. ბოლონის პროცესის ფარგლებში, ეგრეთ წოდებული “ერთობლივი ხარისხის ინიციატივის” ექსპერტთა ჯგუფის მიერ თითოეული საფეხურისათვის შემუშავდა ზოგადი მახასიათებლების ნაკრები, რომლებსაც “დუბლინის დესკრიპტორებს” უწოდებენ. აღნიშნული მახასიათებლები მოიწონეს ევროპის განათლების მინისტრებმა, როგორც ანგარიშის, “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციის ჩარჩოს” ნაწილი. თუნინგი და “ერთობლივი ხარისხის ინიციატივის” მიდგომები სრულად თავსებადი და ურთიერთშემავსებელია.

იმის გამო, რომ საფეხურის მახასიათებლები პრაქტიკულად წარმოადგენენ დონის მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ საფეხურის დონეს, თუნინგის მიერ გამოითქვა აზრი, რომ ამ მახასიათებლებს ეწოდოს საფეხურის დონის მახასიათებლები, რათა გავარჩიოთ ისინი შუალედური ანუ ქვედონის მახასიათებლებისაგან. თუნინგმა შეიმუშავა საფეხურის დონის მახასიათებლები

საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე პროექტში ჩართული ყველა სფეროს პირველი და მეორე საფეხურისათვის. დებატები მიმდინარეობდა ასევე ქვედონეების მახასიათებლების შემუშავების შესაძლებლობაზე, მაგრამ საბოლოო შეთანხება არ იქნა მიღწეული. წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, უნივერსიტეტების პირველ საფეხურზე შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი ქვედონეები: საბაზო ან ფუნდამენტური, საშუალო და მოწინავე. მეორე საფეხურზე განსხვავება შეიძლება გაკეთდეს შემდეგ ქვედონეებს შორის: მოწინავე და სპეციალიზირებული.

მომზადებულია ხულია გონზალესისა და რობერტ ვაგენარის მიერ.

2

დარგობრივი სფეროები და აკადემიური ხარისხის პროფილები ბოლონის პროცესში

2.1 თუნინგის ნიმუში

დარგობრივ სფეროებს შორის სწრაფი შედარებისა და გაგების უზრუნველსაყოფად, შემუშავდა ნიმუში, რომელიც გამოიყენება თითოეული დარგობრივი სფეროს შედეგების შესაჯამებლად. ამ შეჯამების მიზანია ძალზედ მოკლედ წარმოგვიდგინოს ძირითადი ელემენტები დარგის სწრაფად გასაცნობად.

თითოეული შეჯამება სინთეზურად გვიჩვენებს დარგობრივი ჯგუფის მიერ ინტენსიური და აქტიური დისკუსიების შედეგად მიღწეულ კონსენსუსს. თითოეული მათგანი ეფუძნება უფრო ვრცელ დოკუმენტს, რომელიც, თავის მხრივ, დარგობრივი ჯგუფის ნამუშევრის უფრო დეტალურ თვალსაზრისს ასახავს. განზრახულია ამ დოკუმენტების - დამტკიცების შემდეგ - საერთო ათვლის წერტილებად გამოყენება თითოეული აკადემიური სფეროს მიხედვით.

ნიმუში იძლევა ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- დარგობრივი სფეროს შესავალი;
- აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება;
- სწავლის შედეგები და კომპეტენციები: საფეხურის დონის მახასიათებლები;
- სტუდენტის დატვირთვა და ECTS.

ის ასევე იძლევა წარმატებული გამოცდილების მაგალითებს:

- სწავლების, სწავლისა და შეფასების და
- ხარისხის ამალღების.

დარგობრივი სფეროს შესავალი განსაზღვრავს დარგის ადგილს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში. გვიჩვენებს კონკრეტული სფეროს სპეციფიკურობას და გვამღევს ძირითად კოორდინატებს მის გასაგებად. ის გვთავაზობს კონტექსტსა და საფუძველს.

ნიმუშის დანიშნულებაა ასახოს დარგობრივი სფეროს ძირითადი პროფილები, თუმცა უარს არ ამბობს მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე აკადემიური ხარისხის პროფილების დიზაინში. აკადემიური ხარისხის პროფილის ჩამოყალიბება ხორციელდება პროგრამის დაგეგმვის საწყის საფეხურზე. ის დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ საჭიროებასა და შესაძლებლობასთან. მოსალოდნელია, რომ უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ორი ერთნაირი პროფილი ვერ იარსებებს. აკადემიური ხარისხის პროგრამის საჭიროებებზე პასუხის გასაცემად და ხანდახან მის გასაგებადაც კი არ არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა. ეს მრავალფეროვნებისა და ინოვაციურობის ნიშანია და მნიშვნელოვანია, რომ ეს მრავალფეროვნება იზრდება. აკადემიური ხარისხის პროფილის დაგეგმვა, შემუშავება და წერილობით ჩამოყალიბება არის მომენტი, როდესაც უნდა განისაზღვროს იმ ელემენტების კომბინაცია, რომლებიც კონკრეტულ პროფილს სპეციფიკურ ნიშანს აძლევენ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ელემენტების საინტერესო ნაკრებს, რომელთა მეშვეობითაც კონკრეტული უნივერსიტეტის, დეპარტემენტის აკადემიური ხარისხის ან მისი მფლობელის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.

როდესაც ცოდნის ახალი სფერო ჩნდება აკადემიური ხარისხის პროფილი შეიძლება განვიხილოთ როგორც მთლიანად ინოვაციური. ასეთ შემთხვევებში დისციპლინის მითითება ხანდახან ძალზედ მოუხერხებელია, ვინაიდან ასეთი აკადემიური ხარისხი თავისი ბუნებით ხშირად ინტერდისციპლინური ან მულტიდისციპლინურია. თუმცა, უკვე არსებულმა აკადემიური ხარისხის პროგრამებმა, დაამტკიცეს თავისი საჭიროება საზოგადოების განვითარებისათვის. რაც შეეხება ახალ პროგრამებს, ცხადია უმაღლესი სასწავლებლების პასუხისმგებლობაა მისცეს განათლება მოქალაქეებს ყველაზე ეფექტური გზებით, საზოგადოებისა და დარგობრივი სფეროს განვითარების გათვალისწინებით. ნებისმიერ შემთხვევაში, სასარგებლოა და თუნინგის მიხედვით აუცილებელიც კი, რომ ყოველი საგანმანათლებლო პროგრამა დაეფუძნოს კარგად დასაბუთებულ და კარგად აღწერილ აკადემიური ხარისხის პროფილს, რომელიც მუდმივი განხილვებისა და განახლების საგანია.

თუნინგმა გამოავლინა, რომ აკადემიური სფეროების უმრავლესობაში, მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხის პროფილები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე პირველი საფეხურის პროფილები. ეს გასაკვირი არაა, ვინაიდან მეორე საფეხური სპეციალისზაციის პერიოდია და ხშირად ასახავს შესაბამისი უნივერსიტეტის კონკრეტულ გამოცდილებას. ხანდახან ეს აკადემიური ხარისხები მითითებულია, როგორც ზოგადი ან სპეციფიკური პროფილის, კვლევითი ან პროფესიული პროფილის და ა. შ. თუნინგს მიაჩნია, რომ ეს მრავალფეროვნება შესანარჩუნებელია:

იმ შემთხვევაში, თუ ის ფორმულირებულია თანამიმდევრულად ქვეყნისა და დარგობრივი სფეროს დონეზე და იმ შემთხვევაში, თუ გამჭვირვალობისათვის ადეკვატური ინსტრუმენტებით შესაძლებელია

პროფილებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირება და შესაბამისი აღიარების მოპოვება.

საერთოდ (პირველი და მეორე საფეხურის), აკადემიური ხარისხის პროფილი განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ სწავლის შედეგებისა და ჩამოყალიბებული კომპეტენციების შერჩევას. უმაღლეს სასწავლებელს/ფაკულტეტს შეიძლება გააჩნდეს სპეციფიკური გამოცდილება ან პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია პროფესიონალების გარკვეული ტიპისათვის განათლების მიცემის მნიშვნელობის განსაკუთრებულ ხედვაზე. ამ გაგებით აკადემიური ხარისხის პროგრამას შეიძლება ჰქონდეს მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, რომელშიც ნახსენებია აკადემიური ხარისხის მინიჭების ადგილი. აკადემიური ხარისხის პროფილი გვიჩვენებს, რომ სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების კომბინაციას გააჩნია განსაკუთრებული თვისება, რომელიც გამოარჩევს მას სხვა აკადემიური ხარისხის პროფილისაგან.

პროფილი მოიცავს ელემენტებს, რომლებიც საერთო საფუძვლით განსაზღვრავენ ურთიერთობას კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს იმავე საფეხურის დონის სხვა აკადემიურ ხარისხებთან. ამ ელემენტების იდენტიფიცირების გზა ეგრეთ წოდებული “დუბლინის მახასიათებლების” გამოყენებაზე გადის. ეს უკანასკნელი ეფუძნება კომპეტენციების დონეების განმასხვავებელი შემდეგ ხუთ ელემენტს:

- ცოდნა და გაცნობიერება
- ცოდნის და გაცნობიერების გამოყენება (თეორიიდან პრაქტიკაში გადატანა);
- ინფორმირებული დასკვნის გაკეთება;
- საკომუნიკაციო უნარები;
- შემდგომი სწავლის უნარი.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს წვლილს, ხოლო თუნიგმა უზრუნველყო დისციპლინათა კონტექსტისა და ამ ელემენტებისა და დონეების მკაფიოდ გადმოცემა.

როგორც აღინიშნა, აკადემიური ხარისხის პროფილი ნათარგმნია სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებში, რომელიც აკადემიური ხარისხის იდენტურობის ბირთვს წარმოადგენს. სწავლის შედეგები და კომპეტენციები გადამწყვეტია აღიარებისათვის. თუნიგ მიუთითებს ფაქტზე, რომ მუდმივცვალებად საზოგადოებაში, დასაქმებაში მაღალი მობილობით, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ზოგად ანუ ტრანსფერულ კომპეტენციებს. ყველა აკადემიური ხარისხის პროფილმა პროგრამის სასურველ შედეგებთან მიმართებაში უნდა გააკეთოს არჩევანი ყველაზე შესაფერ ტრანსფერულ კომპეტენციებთან დაკავშირებით. თუნიგმა სტრუქტურირებული კონსულტაციები ჩაატარა უმაღლესდამთავრებულებთან, დამსაქმებლებსა და აკადემიურ პერსონალთან, ყველაზე რელევანტური ზოგადი კომპეტენციების განსაზღვრის მიზნით.

თითოეული დარგობრივი ჯგუფი შეთანხმდა თავისი სფეროსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციების ნაკრებზე. ასევე, ზოგად კომპეტენციებთან – ანალიზისა და სინთეზის უნარი, პრობლემის გადაჭრის უნარი და ა. შ. – დაკავშირებულმა კონსულტაციის პროცესმა საინტერესო ვარიაციები აჩვენა, როდესაც ისინი გამოიყენეს ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორცაა ფიზიკა, ისტორია ან სამართალი.

კერძოდ, დისციპლინასთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს (ცოდნა, გაცნობიერება, უნარი და შეძლება) მკაფიო გავლენა უნდა ჰქონდეს კურიკულუმზე. კვლავ, სასწავლო სიტუაციებისა და გზების მრავალფეროვანებისათვის აქ საკმარისი ადგილია, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ეს თავსებადი იყოს აკადემიური ხარისხის პროფილთან და ჰქონდეს დამოწმების მისაღები დონე იმაზე, რასაც აკადემიური საზოგადოება, პროფესიული ორგანოებთან დიალოგში განიხილავს, როგორც “საერთო”, “განმსაზღვრელ” ელემენტებს. ამ მინიმალური ბირთვით უნდა მოხდეს მათემატიკის აკადემიური ხარისხის ამოცნობა, ასეთივე წარმატებით საექთნო საქმეც უნდა გახდეს ცნობადი.

ერთმანეთის ყურადღებით მოსმენისა და განსხვავებული მიდგომების შესწავლაზე დაფუძნებული ინტენსიური სადისკუსიო შეხვედრების შემდეგ, თუნიზის დარგობრივ ჯგუფებს საშუალება მიეცათ მიეღწიათ კონსენსუსისათვის იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს, რათა მიაღწიოს სწავლის ძირითად შედეგებს და შეიძინოს ძირითადი კომპეტენციები: აღიარებისათვის გადამწყვეტი ელემენტები. თუნიზი გვთავაზობს შეთანხმებულ სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს დარგების მზარდი რაოდენობისათვის. ისინი წარმოადგენენ ათვლის წერტილებს მაიდენტიფიცირებელი ბირთვის განსაზღვრისთვის, რათა ხელი შეეწყოს შესადარობასა და აღიარებას.

ანალიზის შემდეგ ელემენტს წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვაზე დაფუძნებული კრედიტების სისტემა. თუნიზი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ პროფილის განსაზღვრა და აკადემიური ხარისხის პროგრამის სწავლის შედეგებზე შეთანხმება საკმარისი არაა. აბსოლუტური აუცილებლობაა, რომ პროგრამის მოცულობა და დატვირთვა შეესაბამებოდეს დროს, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტს მიაღწიოს სწავლის შედეგებს. სხვა სიტყვებით საგანმანათლებლო პროგრამა მოცემულ ვადებში შესრულებადი უნდა იყოს. ECTS გამოყენება არა მარტო იძლევა პროგრამის შესრულების გარანტიას, არამედ სასურველი სწავლის შედეგების პროგრამის სხვადასხვა ელემენტის წონასთან კავშირით ხელს უწყობს პროგრამის დაბალანსებას.

და ბოლოს, უმეტეს შემთხვევაში ნიმუში იმოწმებს სწავლების, სწავლის, შეფასებისა და ხარისხის ამალღების მიდგომებს. სწავლების, სწავლის და შეფასების მეთოდები და ტექნიკები სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია. მათ შეუძლიათ სპეციფიკურობა შესძინონ ცალკეულ პროგრამას, იმ გაგებით, რომ საგანმანათლებლო გამოცდილებების ბუნებასა

და ხანგრძლივობას გავლენა აქვს აკადემიური ხარისხის ტიპზე ან მის ხანგრძლივობაზეც კი. ასევე, ხარისხის ამალღების მითითება წარმოადგენს კურიკულუმის იმ განზომილებას, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. ხარისხის უზრუნველყოფის იდეა აკადემიური პროგრამის დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების მთელ პროცესს უნდა გასდევდეს თან.

რეზიუმეს სახით: ნიმუშში აკადემიური პროგრამა ლიმიტირებულია კონკრეტული დარგობრივი სფეროს ტიპური აკადემიური ხარისხით. ის ასახულია კომპეტენციებით გამოხატული სწავლის შედეგებით, რომლებიც უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ათვლის წერილები. კრედიტები გვიჩვენებს დროის იმ რაოდენობას, რომელიც ჩვეულებრივად აუცილებელია სასურველი სწავლის შედეგების მისაღებად. სწავლების, სწავლისა და შეფასების პუნქტი საშუალებას იძლევა დავგეგმოთ, განვიხილოთ და ავსახოთ მიზნების მიღწევის საუკეთესო გზები. ხარისხის ამალღება ნიმუშში ნახსენებია, რათა გაზარდოს ინფორმირებულობა სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან განვითარებების შესახებ და მიუთითოს პროცესის თანამიმდევრულობის გარანტირებისა და გარე შემოწმების შესაძლებლობების განხილვის მნიშვნელობაზე.

დანართი

თუნიზის დარგობრივი სფეროების მიერ მიღებული შედეგების
შეჯამების ნიმუში
(დარგობრივი სფეროს სახელწოდება)
(სულ 8-12 გვერდი)

1. შესავალი დარგობრივ სფეროში

დარგობრივი სფეროსა და მისი ძირითადი მახასიათებლების ზოგადი აღწერა: გაგებულია თუ არა ის ერთნაირად ყველა ევროპული ქვეყნის მიერ, თუ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები; არსებობს თუ არა სხვა არსებითი ასპექტები, რომლებიც ნახსენები უნდა იყოს მიმოხილვაში.

2. აკადემიური ხარისხის პროფილ (ებ)ი

(ცხრილის ფორმით)

დარგობრივ სფეროში შემოთავაზებული ტიპური აკადემიური ხარისხები:

- პირველი საფეხური (დარგობრივი სფეროს სახელი/სპეციფიკური ნაწილი);
- მეორე საფეხური (დარგობრივი სფეროს სახელი / სპეციფიკური ნაწილი);

- მესამე საფეხური (დარგობრივი სფეროს სახელი / სპეციფიკური ნაწილი);

აკადემიური ხარისხის მფლობელების ტიპური დასაქმების სფეროები (პროფესიების რუკა)

- პირველი საფეხური;
- მეორე საფეხური;
- მესამე საფეხური.

დარგობრივი სფეროს როლი სხვა აკადემიური ხარისხის პროგრამებში. რომელი პროგრამები და რა გზებით.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

(ცხრილის ფორმით)

- პირველი საფეხური (დარგობრივი და ზოგადი);
- მეორე საფეხური (დარგობრივი და ზოგადი);
- მესამე საფეხური (დარგობრივი და ზოგადი).

განსხვავებული საფეხურებისათვის, შესაბამის დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებში (ზოგადი კომპეტენციების თუნინგის სიიდან), რომელი წარმოადგენს სწავლის ძირითად შედეგს. ასევე გასათვალისწინებელია მისაღწევი კომპეტენციის დონე (რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს კურსდამთავრებულს).

კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

4. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და ECTS-ის კრედიტები

ტიპური აკადემიური ხარისხის პროგრამის სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ასახული კრედიტებით:

- პირველი საფეხური (180 -240?);
- მეორე საფეხური (60-90-120?);
- მესამე საფეხური (120-180-240?).

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, მოცემულ სფეროში არსებული ტენდენციები და განსხვავებები.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

დარგობრივი სფეროს შესაბამისი კომპეტენციების მისაღწევად, სწავლის, სწავლებისა და შეფასების, საუკეთესო გამოცდილების სამი მაგალითი.

6. ხარისხის ამაღლება

თუნინგის ინსტრუმენტების გამოყენებაზე დარგობრივი სფეროსათვის დაკავშირებული დაკვირვებები პროგრამის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცესში.

2.2 დარგობრივი სფეროების მიერ მიღებული შედეგების შეჯამება

თუნინგი ხელს უწყობს დარგის თითოეული სფეროსთვის საკვანძო მახასიათებლების განსაზღვრას. როგორც პროექტის ნაწილი, შემუშავდა ე. წ. შედეგების შეჯამება შემდეგი დისციპლინებისათვის:

- ბიზნესის ადმინისტრირება;
- ქიმია;
- დედამიწის მეცნიერებები (გეოლოგია);
- განათლების მეცნიერება;
- ევროპის მცოდნეობა;
- ისტორია;
- მათემატიკა;
- საექთნო საქმე;
- ფიზიკა.

აღნიშნულის ნახვა შესაძლებელია მომდევნო ფურცლებზე, ან თუნინგის ვებგვერდზე.

2.2.1. ბიზნესის ადმინისტრირება

1. შესავალი

ბიზნესის პროგრამების შემუშავების (ან უკვე შემუშავებულია) განსხვავებული გზების არსებობის გამო ძალზედ რთულია ევროპაში პირველი და მეორე საფეხურის ბიზნეს პროგრამების მიზნის, შინაარსისა და დარგობრივი კომპეტენციისათვის ერთი საერთო სტანდარტის შეთავაზება. მიუხედავად ამისა, ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს გარკვეული მსგავსება პირველი საფეხურის მიზნების, შინაარსისა და დარგობრივი კომპეტენციებთან მიმართებაში, მაშინ როდესაც შეხედულებები უფრო მეტად განსხვავდება მეორე საფეხურის პროგრამებზე. რაც შეეხება მესამე საფეხურს, დიდი მრავალფეროვნების არსებობის გამო, ის ფორმალურად არც განხილულა.

საერთოდ, ბიზნესორგანიზაციების (კერძო ან საჯარო) მუშაობის მახასიათებლები და მიზნები შეიძლება მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან აღიწეროს. ყველაზე ხშირად გამოყენება ბიზნესორგანიზაციის ბაზისური ფუნქციის იდენტიფიცირება "ფასეულობის ქსელის პერსპექ-

ტივის” მეშვეობით, რომელსაც მივეყვართ ბიზნესორგანიზაციების შემდეგ ფუძემდებლურ ფუნქციებთან:

- შესყიდვა;
- პროდუქტის და/ან მომსახურების წარმოება;
- გაყიდვა და მარკეტინგი;
- მომსახურება რეალიზაციამდე, რეალიზაციისას და რეალიზაციის შემდეგ.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს მთელი რიგი დამხმარე ფუნქციები, როგორცაა: კომპანიის ინფრასტრუქტურის; კომპანიის სტრუქტურისა და სისტემების; საინფორმაციო სისტემებისა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის დაგეგმვა, განვითარება და შენარჩუნება.

ბიზნესის უმაღლესდამთავრებულები ძირითადად ჩართულ უნდა იყვნენ ბიზნეს ორგანიზაციის ეკონომიკურ, საგეგმო და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საკითხებში. ზოგადთეორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ამას მივეყვართ იმ შემდეგ ზოგად უნარებთან, რომელიც მოითხოვება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციისა და სხვადასხვა დარგობრივ სფეროში, რათა უმაღლესდამთავრებულები მოემზადონ მუდმივცვალებად ბიზნეს-გარემოსათვის:

ანალიზი გულისხმობს, განისაზღვროს:

- გარემო, რომელშიც პრობლემის გადაჭრა ხდება;
- დაშვება და ამოცანები პრობლემის გადასაჭრელად;
- პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი რესურსები და კომპეტენციები.

არჩევა ნიშნავს, მაგალითად:

- გადაწყვეტილების მიღების უნარის ქონას;
- არჩევანის გაკეთებასთან ასოცირებული რისკებისა და გაურკვევლობების გაცნობიერებას;
- გაკეთებულ არჩევანზე დასკვნებისა და შედეგების ფორმულირებას;
- არჩევანის დაცვისა და არგუმენტირების უნარს.

განხორციელება მოითხოვს შემდეგ უნარებს:

- დაგეგმვა და ორგანიზება;
- მართებული გარემოს ჩამოყალიბება;
- ცვლილებების მართვა;
- არგუმენტირება და საქმის დამთავრება;
- აღქმა და ინფორმირებულობა;
- ლიდერობის უნარები.

2. აკადემიური ხარისხის პროფილ(ებ)ი და დასაქმება

კომპეტენციების მიხედვით, ბიზნესის პროგრამები და კურსები შეიძლება დახასიათდეს კომპეტენციების 3 ძირითად კატეგორიაზე ხაზგასმით:

1. ძირითადი ცოდნის კურსები;
2. ცოდნის გასაღრმავებელი კურსები, შემდეგი შესაძლო ორიენტაციით:
 - ვერტიკალური;
 - ჰორიზონტალური;
 - მრავალფეროვანი.
3. ზოგადი უნარების კურსები (დარგისგან დამოუკიდებელი), გაყოფილია:
 - ინსტრუმენტულ კომპეტენციებად;
 - ინტერპერსონალურ კომპეტენციებად;
 - სისტემურ კომპეტენციებად.

აღნიშნული კატეგორიების პრიორიტეტულობა დამოკიდებულია საფეხურზე.

ტიპური აკადემიური ხარისხები ბიზნესისათვის

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი
პირველი	<p>ბაკალავრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში კომპანიის მისიის ძირითადი საკითხებზე ზოგადი წარმოდგენის მიცემაზეა მიმართული. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტების მომზადება მიმდინარეობს ძირითადი ცოდნის კურსებისა და ზოგადი უნარების (დარგისგან დამოუკიდებელი) კურსების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხები მოიცავს კურსებს: ექსპლუატაციის მენეჯმენტს/ლოჯისტიკას; გაყიდვასა და მარკეტინგს და დამხმარე ფუნქციებს, რომელსაც იძლევა ისეთი კურსები, როგორცაა: ორგანიზება; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; ფინანსები და საბუღალტრო აღრიცხვა; ზოგადი მენეჯმენტი. ამას ემატება ზოგადი ცოდნის კურსები, ჩვენ გამოვავლინეთ ინსტრუმენტული უნარების კურსები, როგორცაა: ეკონომიკა (მაკრო და მიკრო); რაოდენობრივი მეთოდები (მათემატიკა, სტატისტიკა, ბაზრის კვლევა); სამართალი (ნაციონალური და/ან საერთაშორისო); საინფორმაციო ტექნოლოგიები (ცალკე ან სხვა კურსებთან ინტეგრირებული). ასევე ემატება პერსონალური და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარების კურსები, როგორცაა: ენის კურსები (ცალკე ან სხვა კურსებთან ინტეგრირებული) და პრეზენტაციის/კომუნიკაციის/ჯგუფში მუშაობის კურსები (ცალკე ან სხვა</p>

	კურსებთან ინტეგრირებული). პირველი საფეხურის დასასრულს სისტემური უნარები (ტრანსფერული) დოკუმენტირებულია საბაკალავრო თეზისით, ინტერნატურით ან საქმიანობით, რომელიც ახდენს სხვადასხვა ბიზნესის სფეროში პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას. ბაკალავრის აკადემიური ხარისხების პროგრამების უმრავლესობა არსებობს სპეციალიზაციის გარკვეული ხარისხით ზემოხსენებულ სფეროებში.
საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი
მეორე	მაგისტრის ხარისხი ჩვეულებრივად ფოკუსირებულია ცოდნის გასაღრმავებელ კურსებზე, შესაძლო ორეინტაციით ვერტიკალური მიმართულებაზე, სადაც სტუდენტი აღრმავებს პირველი საფეხურის დისციპლინას, ან ჰორიზონტალურ/ინტრა-დისციპლინარულ მიმართულებაზე, სადაც სტუდენტი ამტებს ბიზნესის ახალ დარგობრივ სფეროებს, ან მრავალფეროვანი, რაც ნიშნავს ბიზნესთან არაპირდაპირ დაკავშირებული კურსებისა და
საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი
	საკითხების ჩართვას. მაგალითად, ფსიქოლოგია ან ინჟინერია. სამაგისტრო პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს თეზისის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელშიც ჩვეულებრივად ჩართულია კონკრეტული ბიზნესკომპანიის საქმიანობის ერთი ან მეტი სფერო. მეორე საფეხური მოიცავს პროგრამების დიდ მრავალფეროვნებას, სპეციალიზაციის სხვადასხვა ტიპით.
მესამე	სადოქტორო ჩვეულებრივად მოითხოვს ამომწურავ თეზისში ასახული, მნიშვნელოვანი და ორიგინალური კვლევის განხილვასა და დაცვას

ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიების რუკა)

საფეხური	დასაქმება
პირველი	ძირითადად, პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი საშუალებას აძლევს მათ მფლობელებს დაიკავონ თანამდებობები ექსპლუატაციის მენეჯმენტში/ლოჯისტიკაში; გაყიდვებსა და მარკეტინგში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, ფინანსებსა და საბურალტრო აღრიცხვაში; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; სხვადასხვა ტიპის სპეციალიზირებული ანალიზის

	ფუნქციით ორგანიზაციაში ჩვეულებრივად სტაჟიორის დონეზე.
მეორე და მესამე	მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი ნიშნავს, რომ მისი მფლობელს შეუძლია დაიკავოს სპეციალისტის პოზიცია ექსპლუატაციის მენეჯმენტში/ლოჯისტიკაში; გაყიდვებისა და მარკეტინგში, ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, ფინანსებსა და საბურალტრო აღრიცხვაში; სტრატეგიულ დაგეგმვაში; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; ანალიზის სხვადასხვა ტიპის ფუნქცია, ხანდახან სტაჟიორის სამუშაო ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ბიზნესის როლი სხვა აკადემიური პროგრამებში

ბიზნესთან დაკავშირებული ბევრი დისციპლინა დაფუძნებულია ისეთი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წვლილზე, როგორცაა მათემატიკა, სტატისტიკა, ფსიქოლოგია, ინჟინერია, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ფილოსოფია. მეორეს მხრივ ბიზნესის მთელი რიგი სფეროები დაკავშირებულია ან გავლენას ახდენს სხვა აკადემიური ხარისხების პროგრამაზე. მაგალითად, საგნები: ორგანიზაცია და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ბუნებრივად წარმოადგენენ თითქმის ყველა თანამდებობის ნაწილს, რომელსაც უმაღლესდამთავრებულები იკავებენ. ამ მიზეზით, ძალზედ რთულია ბიზნესისა და სხვა დისციპლინების ურთიერთობის სრულყოფილი ჩამონათვალის გაკეთება.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

პირველი საფეხური			
საკვანძო	დარგობრივი	საკვანძო	ზოგადი
კომპეტენციები		კომპეტენციები	
სტუდენტს უნდა შეეძლოს: <ul style="list-style-type: none"> - საკუთარ გარემოში კომპანიის ანალიზისათვის ინსტრუმენტების გამოყენება და შეფასება; - კომპანიის სპეციფიკურ გარემოში მუშაობა და იყოს სპეციალისტი გარკვეული ზომით; - სხვა ფუნქციებთან კოორდინირება; - თვით-გაცნობიერება; - იმ პრინციპების 		<ul style="list-style-type: none"> - პროფესიის საბაზო ცოდნა; - სწავლის სფეროს საბაზო ცოდნა; - ინტერდისციპლინურ ჯგუფთან მუშაობის უნარი; - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენები უნარი; - ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი; - კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული უნარი; - სწავლის უნარი; 	

<p>არგუმენტირება, რომლებიც გამოყენებული იქნება პრობლემის გადასაწყვეტად, ძირითადად ოპერაციულ ან ტაქტიკურ დონეზე;</p> <ul style="list-style-type: none"> - შეთავაზებული გადაწყვეტილების დაცვა; - გადაწყვეტილების მიღებისათვის მომზადება, ძირითადად ოპერაციულ ან ტაქტიკურ დონეზე; 	<ul style="list-style-type: none"> - მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების უნარი.
--	---

მეორე საფეხური

<i>საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები</i>	<i>საკვანძო ზოგადი კომპეტენციები</i>
<p>სტუდენტს უნდა გააჩნდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> - პირველი საფეხურის კომპეტენციები; - სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უნარი; - ხელმძღვანელობის ქვეშ კვლევის ჩატარების უნარი; - დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; - ჰოლისტიკური დასკვნის გაკეთების უნარი და სტრატეგიული გადაწყვეტილების კრიტიკული შეფასების შესაძლებლობა; - ცვლილებების მართვის უნარი; - საერთაშორისო მობილობა და ინტერკულტურული გაგება. 	<ul style="list-style-type: none"> - ანალიზისა და სინთეზის უნარი; - პრობლემების გადაჭრა; - თვითკრიტიკის უნარი; - მეორე ენის ცოდნა.

მესამე საფეხური

<i>საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები</i>	<i>საკვანძო ზოგადი კომპეტენციები</i>
<ul style="list-style-type: none"> - დამოუკიდებელი, ორიგინალური, და საბოლოო ჯამში გამოქვეყნებადი კვლევის განხორციელების 	<ul style="list-style-type: none"> - სპეციფიკურ სფეროში საექსპერტო უნარები; - კვლევის უნარი; - შემოქმედებითი მიდგომა;

<p>უნარის დემონსტრირება ბიზნესის ერთ ან მეტ სფეროში ან ბიზნესის ანალიზთან, არჩევანთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ სფეროში.</p>	<ul style="list-style-type: none"> - მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემა; - კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი.
--	--

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

ბიზნესი ფოკუსირებულია კერძო და საჯარო ორგანიზაციებში ფასეულობის შექმნაზე. ამ მიზეზით, ბუნებრივია, რომ ბიზნესპროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები განათლებასა და კვლევაში თანამშრომლობენ ამ ორგანიზაციებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი საკონსულტაციო პროცესი მიმდინარეობს.

სტუდენტების ჩართვასთან დაკავშირებით, აქ როგორც ჩანს არაა ბევრი ფორმალიზებული კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესპროგრამებს სტუდენტებისათვის. მიუხედავად ამისა, აქ მოსალოდნელია მზარდი კოოპერაცია.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS კრედიტები

საფეხური	ECTS კრედიტები (25-30 სტუდენტის სამუშაო საათი)
პირველი	ძირითადად 180 და გამონაკლის შემთხვევაში 240
მეორე	60, 90 ან 120 (ჩვეულებრივ)
მესამე	ძირითადად, სამწლიანი ფილოსოფიის დოქტორის პროგრამები

ევროპული ქვეყნების უმეტესობა პირველი საფეხურის ბაკალავრის ხარისხს ანიჭებს 180 კრედიტის შემდეგ. პირველი მოდელი დღეს ყველაზე მიღებულია. ზოგიერთი ქვეყანა ცვლილებების პროცესშია, რათა თავისი არსებული პროგრამები მიუსადაგონ “ბოლონიის” მოდელს. განსხვავებული მოდელებია მეორე საფეხურზე. მაგისტრის ხარისხი ენიჭება 60, 90 ან 120 კრედიტის გამომუშავების შემდეგ.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

მთელი პროგრამის შინაარსის დონის მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს დაინტერესებული მხარეების მოლოდინი სწავლის შედეგებთან მიმართებაში. რეკომენდირებულია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განიხილონ პროგრამის დასრულების შემდეგ მიღწეული

უნარები. განხილვისას უნდა გაირკვეს, მიიღეს თუ არა სტუდენტებმა სასწავლო პროცესში უნარები რათა ჩამოაყალიბონ:

1. საფუძველი,
2. საკვლევო პრობლემა,
3. მეთოდოლოგია,
4. ანალიზი,
5. დასკვნა,
6. რეკომენდაციები,
7. ლიტერატურა,
8. პრეზენტაცია/ენა/კომუნიკაცია,

როცა მათ წინაშე წამოიჭრება ბიზნესის კონტექსტიდან წამოსული პრობლემა. შეფასების ეს კრიტერიუმები წარმოადგენენ კრიტერიუმებს, რომლებსაც ლექტორები ხშირად იყენებენ სემინარის, პროექტის, სამეცნიერო თეზისისა და ა. შ. შესაფასებლად.

საუკეთესო გამოცდილება

პირველი საფეხურის პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ზოგადი განათლების მიღებაზე, იმისათვის, რომ სტუდენტები გაეცნონ ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციას, გარემოს, რომელშიც ხორციელდება ეს ფუნქციები და მათ ურთიერთდამოკიდებულებას. სწავლებისა და სწავლის ამ მიზნების მისაღწევად, ბიზნესორგანიზაციის პრობლემების სტრუქტურირების უნართან ერთად სტუდენტისთვის იმავდროულად აუცილებელია მთელი რიგი საბაზო დამხმარე ინსტრუმენტების, საორგანიზაციო და კომუნიკაციური უნარების გათავისება. სწავლის პირველი საფეხურის ამ მიზნების მისაღწევად, სტუდენტმა უნდა გამოსცადოს სწავლების ისეთი სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა: ტრადიციული ლექციები და სავარჯიშოები, სემინარები, პროექტზე მუშაობა და კომპანიაში წამოჭრილი შედარებით მარტივი, პრაქტიკული ჯვარედინფუნქციური პრობლემების ანალიზი. აღნიშნულთან დამატებით და დაკავშირებით, სტუდენტმა ასევე უნდა გამოსცადოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი მიღწეული სწავლის შედეგების დოკუმენტირებისათვის. ეს ნიშნავს, რომ კურსის სწავლის მიზნები უნდა შეწყვილდეს სწავლებისა და სტუდენტის შეფასების შესაფერის მეთოდებთან. რისი მეშვეობითაც სტუდენტები არა მარტო განახორციელებენ დოკუმენტირებას თავიანთი საბაზისო ცოდნის დონისა, არამედ ისეთი უნარებისაც, როგორცაა: დამხმარე ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმიანობის ორგანიზება, რეკომენდაციებისა და შედეგების არგუმენტირება და კომუნიკაცია. ეს ნიშნავს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პირველ საფეხურზეც კი უნდა გამოიყენოს სტუდენტის შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები.

განსაკუთრებით, შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც ამაღლებენ სტუდენტის ორგანიზაციულ, კომუნიკაციურ და სისტემურ კომპეტენციებს. პირველი საფეხურის შემდეგ სტუდენტების აქვთ, დასაქმების, მობილობისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობა.

სწავლება მეორე საფეხურზე ეფუძნება პირველ საფეხურის ძირითად ცოდნას. რაც შეეხება მიმართულებას, ის შეიძლება იყოს ვერტიკალური, ჰორიზონტალური ან მრავალფეროვანი. დარგობრივი ჯგუფის განზრახვაში არ შედის რაიმე სახის რეკომენდაციების მიცემა, გარდა იმისა, რომ ეს მიმართულებები უნდა დაეფუძნოს პირველ საფეხურზე მიღებულ ცოდნას. მეორე საფეხურზე, ისევე როგორც პირველზე, სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შესაბამის სფეროში სტიმული მისცეს არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მოამზადოს სტუდენტები პრობლემის გადასაჭრელად რელევანტური ინსტრუმენტების გამოსავლენად, ისევე როგორც სტიმული მისცეს ორგანიზებისა და კომუნიკაციის უნარებს და ბოლოს, სტუდენტებმა შეძლონ ბიზნესორგანიზაციის ფართო კონტექსტში პრობლემის გადაწყვეტის გზების პრეზენტირება.

6. განათლების ხარისხის ამაღლება

სტუდენტზე ორიენტირებულ ხარისხის განზომილებებს წარმოადგენენ:

- მობილობა;
- დასაქმება;
- სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მეთოდები: ბიზნესპროგრამების შემუშავება კურსებით, რომლებიც დაფუძნებულია ზოგად და დარგობრივი კომპეტენციებზე: შინაარსის, განხორციელებისა და შეფასების თვალსაზრისით

შედეგები:

- სწავლის შედეგები აღწერილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით;
- სტუდენტის დატვირთვა;
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა, რომელიც სწავლის შედეგებს სამუშაო დატვირთვასთან აკავშირებს.


ძირითადი დაინტერესებული მხარეები, რომლებიც უნდა ჩაერთონ ხარისხის ამაღლებაში:

- აკადემიური პერსონალი;
- სტუდენტები;
- უმაღლესდამთავრებულები;
- დამსაქმებლები.

აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეებს თავისი წვლილი შეაქვთ:

- გამოცდილებით;
- ცოდნით;
- მოთხოვნით/საჭიროებით/სურვილით.

განათლების ხარისხის ამაღლების ძირითადი პროცესი, რომელშიც ჩართულია ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე შეიძლება აღიწეროს შემდეგი მოდელით:



2.2.2. ქიმია

1. შესავალი დარგობრივ სფეროში

ქიმია ფიზიკასა და ბიოლოგიასთან ერთად ძირითად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რიგს მიეკუთვნება. ამ საგნის არსი ერთნაირად არის გაგებული ევროპისა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. აქამდე არსებობდა გარკვეული საერთო მიდგომა (შეთანხმება), თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ქიმია უნივერსიტეტებში. ფიზიკა და მათემატიკა ქიმიკოსმა სწავლების პირველ წელს უნდა აითვისოს იმდენად, რამდენადაც მათი ასპექტები ქიმიის გაგების საფუძველს ქმნიან. როგორც წესი, ამას ფიზიკისა და მათემატიკის დეპარტამენტები უზრუნველყოფენ, თუმცა ხანდახან თავად ქიმიკოსები ასწავლიან ამ ორ საგანს სათანადო დონეზე.

დამოკიდებულება ქიმიასა და ბიოლოგიას შორის უფრო რთული და კომპლექსურია. ბიოლოგია ტრადიციულად წარმოადგენდა საგანს, რომელიც აღწერთა და კლასიფიკაციით შემოიფარგლება, მაგრამ თანამედროვე ბიოლოგია გასცდა ამ ჩარჩოებს და დღეს უნივერსიტეტებში ბიოლოგიის დარგი მრავალმხრივ ვითარდება.

ქიმიკოსები ხშირად ამბობენ, რომ “თანამედროვე ბიოლოგია – ეს ქიმიაა”, რადგანაც ბევრი რამ ბიოლოგიაში შეისწავლება მოლეკულურ დონეზე. ასე რომ ბიოლოგს დღეს ქიმიის უფრო ღრმა ცოდნა სჭირდება, ვიდრე უწინ, ისევე როგორც ქიმიკოსებს ბიოლოგიის მეტი ცოდნა სჭირდებათ.

ეს აისახა ბიოქიმიის პროგრამების რაოდენობის ზრდასა და განვითარებაში, რომლებიც ცდილობენ გააერთიანონ ბიოლოგია და ქიმია.

თუმცა ბიოქიმია ევროპაში ერთნაირად არ ისწავლება: ის შეიძლება წარმოადგენდეს ქიმიის დეპარტამენტის პროგრამას ნაწილს ან არა. ასე რომ ევროპის უნივერსიტეტებში არ არსებობს ქიმიკოსებსა და ბიოქიმიკოსებს შორის დისკუსიის ერთიანი პლატფორმა.

შეიძლება ამის შედეგია “ქიმიურ ბიოლოგიაში” ახალი აკადემიური პროგრამების განვითარების მზარდი ტენდენცია. ეს პროგრამები სოლიდურ ქიმიურ ბაზას ეყრდნობა, მაგრამ ბიოლოგიის მრავალ ელემენტს მოიცავს. მაგრამ იქაც, სადაც მსგავსი პროგრამები არ არსებობს, სავსებით ნათელია, რომ ქიმიკოსს სჭირდება ბიოლოგიაში გარკვეული ცოდნა (კომპეტენცია), და ამისათვის დამატებითი მიმართულება, განხრა იქნა იდენტიფიცირებული. ქიმიის ტრადიციული მიმართულებებია ორგანული, არაორგანული და ფიზიკური ქიმია (ანალიზური ქიმია ბევრის მიერ განიხილება როგორც დამოუკიდებელი მიმართულება, მაგრამ ამასთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არსებობს: ანალიზური ქიმია ხშირად არაორგანული ქიმიის კურსის ფარგლებში ისწავლება). ახალ მიმართულებას უწოდებენ “ბიოლოგიურ ქიმიას”, და თუნინგის პროექტზე მომუშავე ქიმიკოსების ჯგუფს მიაჩნია, რომ თანამედროვე ქიმიის სწავლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) ამ საგნის სწავლება აუცილებელია, იმდენად, რამდენადაც ის კურსდამთავრებულის სავალდებულო კომპეტენციებს უზრუნველყოფს.

2. აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება

ტიპური აკადემიური ხარისხები

საფეხური	აკადემიური ხარისხი
პირველი	ქიმიის ბაკალავრი (BSc in Chemistry) იხ. www.eurobachelor.net
მეორე	ქიმიის მაგისტრი (MSc in Chemistry) მაგისტრის ხარისხი შეიძლება იყოს კვლევითი, ან უფრო ხშირად, კვლევითი და პრაქტიკული პროგრამების ნარევი, რომელიც მოიცავს ევრობაკალავრის რეკომენდაციის ერთ-ერთ ქვედისციპლინას)
მესამე	ქიმიის დოქტორი (PhD in Chemistry) კვლევითი ხარისხია, რომელიც მოითხოვს გამოცდასა და დისერტაციის დაცვას.

ქიმიის კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიათა რუკა)

საფეხური	დასაქმების სფერო
პირველი	დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა, პრაქტიკულად არ მოგვეპოვება ინფორმაცია, რადგანაც სხვაგან პრაქტიკულად პირველი საფეხურის კურსდამთავრებულები ჯერ არ არსებობენ.

მეორე	აქ ინფორმაცია არ გვაქვს არც ბრიტანეთისა და ირლანდიიდან, რადგანაც არსებული სამაგისტრო პროგრამები ერთწლიანი პროფესიული პროგრამების სახით არსებობს და გამიზნულია ქიმიურ/ფარმაცოლოგიურ ინდუსტრიაში მომუშავე პირთათვის.
მესამე	უმრავლესობა სავარაუდოდ საქმდება ქიმიურ/ფარმაცოლოგიურ ინდუსტრიაში და სიცოცხლის შემსწავლელ კომპანიებში. არაქიმიური პროფილით დასაქმების შემთხვევები ასევე ცნობილია, განსაკუთრებით ქვეყნებში, სადაც სუსტად ან საერთოდ არ არის განვითარებული ქიმიური ინდუსტრია.

ქიმიის როლი სხვა აკადემიურ პროგრამებში

ქიმიის სწავლება მნიშვნელოვანია ისეთი დარგების საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში, როგორცაა: ბიოქიმია, ქიმიური ბიოლოგია, ქიმიური ინჟინერია, ფიზიკა, მექანიკური/ ელექტრული ინჟინერია.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

დუბლინის მახასიათებლები შემუშავდა ისე, რომ შეიძლება მისი პირდაპირი მისადაგება ქიმიის სფეროს აკადემიური ხარისხებისადმი. შედეგად შეიქმნა “ქიმიის ბუდაპეშტის მახასიათებლები”, რომელიც ქვემოთ არის მოცემული პირველი და მეორე საფეხურისათვის.

პირველი საფეხური
<p>პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი ქიმიაში⁴ ენიჭებათ სტუდენტებს რომლებმაც შესაბამისი შეფასების შედეგად დაადასტურეს, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> - გააჩნიათ ქიმიის ძირითადი მიმართულებების ძირეული ცოდნა: არაორგანული, ორგანული, ფიზიკური, ბიოლოგიური და ანალიზური ქიმია; და აგრეთვე მათემატიკისა და ფიზიკის ცოდნა საჭირო მოცულობით; - გააჩნიათ ქიმიის სხვა მიმართულებების⁵ საფუძვლების ცოდნა; - ლაბორატორიული კურსების საფუძველზე განვიითარეს ქიმიაში პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სულ მცირე არაორგანულ, ორგანულ და ფიზიკურ ქიმიაში, სადაც ისინი როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად მუშაობდნენ;

⁴ ევრობაკალავრის კვალიფიკაცია.

⁵ ისეთი როგორცაა კომპიუტერული ქიმია, მასალების ქიმია, მაკრომოლეკულური ქიმია და რადიოქიმია.

- განვიტარეს ზოგადი უნარ-ჩვევები ქიმიის კონტექსტში, რომელთა გამოყენება სხვა მრავალ კონტექსტშია შესაძლებელი;
- შეიძინეს სტანდარტული ცოდნა და კომპეტენცია, რომელიც მათ მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების გასავლელათ ესაჭიროებათ.

ამ აკადემიური ხარისხის მქონენი (პირველი საფეხურის კურსდამთავრებულები):

- შეძლებენ რელევანტური სამეცნიერო მონაცემების მოპოვებას, ინტერპრეტაციასა და დასკვნების გაკეთებას, რომლებიც შესაბამის სამეცნიერო და ეთიკურ საკითხებს ასახავენ;
- შეძლებენ ინფორმაციის, იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციას მომზადებულ აუდიტორიასთან;
- ექნებათ კომპეტენცია მოერგონ დასაქმების სფეროებს ქიმიის ინდუსტრიის ჩათვლით;
- ექნებათ განვითარებული სწავლის უნარი, რომელიც აუცილებელია სწავლის გაგრძელებისათვის (დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით)

მეორე საფეხური

მეორე საფეხურის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებმაც შესაბამისი შეფასების შედეგად დაადასტურეს, რომ:

- გააჩნიათ ცოდნა (და შეუძლიათ მისი გაცნობიერება), რომელიც ეყრდნობა და ავრცობს ბაკალავრიატში მიღებულ ცოდნას ქიმიაში, და ქმნის საფუძველს კვლევით კონტექსტში იდეების განვითარებისა და გამოყენებისათვის;
- გააჩნიათ კომპეტენცია დასაქმდნენ პროფესიონალ ქიმიკოსად ქიმიისა და ამ ინდუსტრიის მონათესავე სფეროებში;
- გააჩნიათ სტანდარტული ცოდნა და კომპეტენცია, რომელიც მესამე საფეხურის აკადემიური პროგრამების დაძლევის საფუძველს ქმნის.

მეორე საფეხურის კურსდამთავრებულები:

- შეძლებენ ცოდნისა და პრობლემათა გადაჭრის უნარის გამოყენებას ახალ ან უცნობ გარემოში ქიმიასთან დაკავშირებულ მულტიდისციპლინურ კონტექსტში;
- შეძლებენ ცოდნის ინტეგრაციასა და კომპლექსურ მოქმედებას, დასკვნების გამოტანას არასრული ან ლიმიტირებული ინფორმაციის პირობებში, რომელიც ასევე ასახავს კვლევასთან დაკავშირებულ

ეთიკურ საკითხებს;

- შეძლებენ დასკვნებისა და მათი გაკეთებისათვის საჭირო ინფორმაციის კომუნიკაციას როგორც პროფესიულ, ასევე არაპროფესიულ აუდიტორიასთან მკაფიოდ და ცალსახად;
- განავითარეს სწავლის უნარი, რომელიც აუცილებელია სწავლის გაგრძელებისათვის დამოუკიდებელ პირობებში და ექნებათ საკუთარი პროფესიული განვითარების პასუხისმგებლობა.

ქიმიის სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა ევრობაკალავრის ჩარჩო პირველი საფეხურისათვის. ეს ჩარჩო პირდაპირ შეესაბამება ზოგადი კომპეტენციების თუნიზის სიას და აყალიბებს დარგობრივ კომპეტენციებს. პირველი საფეხურის ზოგადი კომპეტენციები არის (ჩამონათვალი კომპეტენციების მნიშვნელობას არ ასახავს):

- ცონდის პრაქტიკული გამოყენების უნარი;
- დაგეგმვა და დროის მენეჯმენტი;
- მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიითი კომუნიკაცია;
- მეორე ძირითადი ევროპული ენის ცოდნა;
- ანალიზისა და სინთეზის უნარი (ზოგადი და არა ქიმიური მნიშვნელობით);
- სწავლის უნარი;
- ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვების უნარი);
- ახალ გარემოსთან შეგუების უნარი;
- პრობლემების გადაჭრა;
- გადაწყვეტილების მიღება;
- ჯგუფური მუშაობა;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- ეთიკური საკითხების ცოდნა და გაცნობიერება.

დარგობრივი კომპეტენციების შესახებ დისკუსიის დროს, პირველი საფეხურისათვის გამოიყო:

1. ქიმიასთან დაკავშირებული კოგნიტური უნარები და შესაძლებლობები
 - 1.1. ქიმიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების, კონცეფციების, პრინციპებისა და თეორიების ცოდნისა და გაცნობიერების დემონსტრირების შესაძლებლობა.
 - 1.2. ამ ცონდის გამოყენების შესაძლებლობა ამ თუ მომიჯნავე სფეროებში ხარისხობრივი და რაოდენობრივი პრობლემების გადაჭრისათვის.
 - 1.3. ქიმიური ინფორმაციისა და მონაცემების შეფასების, ინტერპრეტაციისა და სინთეზის უნარი.
 - 1.4. კარგი მენეჯმენტისა და პრაქტიკის ამოცნობისა და გამოყენების შესაძლებლობა.

- 1.5. ინფორმირებული აუდიტორიისათვის სამეცნიერო მასალისა და არგუმენტების პრეზენტაციის უნარი როგორც წერითი, ასევე ზეპირი ფორმით.
- 1.6. ქიმიურ ინფორმაციასთან დაკავშირებული მონაცემთა დამუშავებისა და კომპიუტერული უნარები.

2. ქიმიასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარები

- 2.1. ქიმიურ მასალებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვის უნარი მათი ფიზიკური და ქიმიური თვისებების გათვალისწინებით.
- 2.2. სტანდარტული ლაბორატორიული პროცედურების განხორციელების უნარი, რომელიც სპეციალური აპარატურის გამოყენებას გულისხმობს სინთეზური და ანალიზური საქმიანობისას, როგორც ორგანულ, ასევე არაორგანულ სისტემებთან მიმართებაში.
- 2.3. ქიმიური თვისებების, მოვლენებისა და ცვლილებების მონიტორინგის უნარი დაკვირვებისა და გაზომვის გზით და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების უნარი.
- 2.4. ლაბორატორიული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და შესაბამის თეორიებთან მათი შესაბამისობა.

თუნინგის მესამე ფაზაში ქიმიის ჯგუფი გეგმავს განაგრძოს მუშაობა დარგობრივ კომპეტენციებზე.

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

თუნინგის ქიმიის ჯგუფი შედგებოდა ქიმიის თემატური ევროპული ქსელის (European Chemistry Thematic Network - ECTN) წევრებისაგან, რომელიც 1996 წლიდან წარმატებით მუშაობს. ქსელს ევროკავშირის კომისია აფინანსებს. ქსელი ძირითადად აკადემიურ ინსტიტუტებს მოიცავს. საკმაოდ რთულია ინდუსტრიის წარმომადგენლების ჩართვა მათი დროის უკმარისობის გამო. მიუხედავად ამისა, ქიმიის რამდენიმე ეროვნული საზოგადოება ECTN-ის წევრია, და ეს საზოგადოებები ინდუსტრიის წარმომადგენლებსაც მოიცავს. ეს საზოგადოება ცდილობს მეტად ჩართოს ინდუსტრიის წარმომადგენლები და გააღრმავოს კონტაქტი ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა ევროპის ქიმიური ინდუსტრიის საბჭო (European Chemistry Thematic Network - ECTN). თუმცა დისტანცია CEFIC-სა და ინდუსტრიას შორის მაინც დიდია. ასე რომ ჩვენ ვერ მივაგენით კორექტულ მექანიზმს ევროპულ დონეზე, რომ ჩაგვეერთო ინდუსტრია ჩვენს დისკუსიებში.

ეროვნულ დონეზე სიტუაცია განსხვავებულია. ასე მაგალითად, 2004 წლის ნოემბერში გერმანიაში ჩატარდა ერთდღიანი შეხვედრა, რომელშიც

მონაწილეობდნენ როგორც აკადემიური, ისე სამრეწველო სფეროების წარმომადგენლები. განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს სხვადასხვა საფეხურის კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემა წარმოადგენდა. გარდა ამისა, ინდუსტრიის წარმომადგენლებს აუხსნეს ბოლონის რეფორმების არსი, მათი მნიშვნელობა და გავლენა ქიმიის სწავლებისათვის გერმანიაში. მსგავსი შეხვედრები სხვა ქვეყნებშიც ტარდება.

სხვა პოტენციური შესაძლებლობას წარმოადგენს დიალოგი აკადემიურ წრეებსა და სტუდენტებს შორის, როგორც შედგა ბოლონის სემინარზე “ქიმიის სწავლება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში” დრეზდენში (გერმანია), 2004 წლის ივნისში. ამ შეხვედრაში 25 ქვეყნის ორასამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, მაგრამ ორგანიზატორთა მრავალრიცხოვანი მცდელობების მიუხედავად, ჩაერთოთ სტუდენტები, მათი მონაწილეობა თითქმის ნულოვანი იყო. ამის ერთ-ერთ მიზეზად გვესახება ის, რომ მიუხედავად სტუდენტთა ევროპული ორგანიზაციის ESIB –ის არსებობისა, ქიმიკოს-სტუდენტთა მსგავსი ორგანიზაცია არ არსებობს.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

ტიპური აკადემიური პროგრამების მოცულობა, გამოსახული ECTS კრედიტებით

საფეხური	ECTS კრედიტები
პირველი	180
მეორე	120
მესამე	პროგრამების ხანგრძლივობა საშუალოდ 3-4წელია

დარგობრივი ტენდენციები და განსხვავებები უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფარგლებში

ქიმია ერთადერთი დარგია, რომლისთვისაც ბაკალავრიატის ევროპული ჩარჩო შეიქმნა (ქიმიის ევრობაკალავრი). ევრობაკალავრის სერტიფიკატი ხელმისაწვდომია დაინტერესებული ინსტიტუტებისათვის, და მის მიღებას სოკრატეს პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის კომისია უწყობს ხელს.

ქიმია ასევე ერთადერთი დარგია, რომლისთვისაც სპეციალური ბოლონის სემინარი გაიმართა: “ქიმიის სწავლება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში” დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში (გერმანია), 2004 წლის ივნისში. სემინარის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც სწავლების სამივე საფეხურს მოიცავს, შეიძლება ნახოთ 2005 წლის ბერგენის სამიტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.bologna-bergen2005.no “ბოლონის სემინარის” სათაურით.

ქიმიის ინდუსტრია ევროპაში კვალიფიკაციად მნიშვნელოვანია და 3 მილიონამდე ადამიანს ასაქმებს. ბევრ მათგანს აკადემიური ხარისხი სწორედ ქიმიაში აქვს მიღებული, და ინდუსტრია იწყებს ევროპაში ახლად შემორებული აკადემიური ხარისხების პრობლემის გაცნობიერებას.

ტრადიციულად ქიმია სამ მთავარ მიმართულებად იყოფა: ორგანული, არაორგანული და ფიზიკური. ზოგ ინსტიტუტში მეოთხე, ანალიზური ქიმია, ცალკე მიმართულების სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ ხშირად არაორგანული ქიმიის ნაწილად განიხილება. როგორც არ უნდა იყოს, ქიმია ბიოლოგიის მიმართულებით ვითარდება, ასე რომ ბევრ ქვეყანაში შემოდის ახალი პროგრამები “ქიმიურ ბიოლოგიაში” (გარდა ამისა არსებობს მასთან მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელი დისციპლინა “ბიოქიმია”). სავარაუდოდ ბიოლოგიური ქიმიის ეს ახალი მიმართულება მალე დაემატება სამ ძირითად მიმართულებას.

ქიმია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სფეროა, ასე რომ ევროპის ქვეყნებში არ არის პრინციპული განსხვავება პროგრამებს შორის. ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას პროგრამულ დონეზე ლაბორატორიული კურსებისათვის განკუთვნილი დრო წარმოადგენს. ლაბორატორიები ძვირია და მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს მოითხოვს, ასე რომ არსებობს ფინანსური პრობლემების გამო (როგორც ყოველთვის უნივერსიტეტებში) ლაბორატორიული კურსების შემცირების გარკვეული ტენდენცია.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდები და ტექნიკა ინსტიტუტებისა და ქვეყნების განსხვავების გათვალისწინებით

ქიმიის შემთხვევაში განსხვავება ინსტიტუტებსა და ქვეყნებს შორის დიდი არ არის. ასე რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები და ტექნიკა პრინციპულად არ განსხვავდება, განსხვავებულია მათი გამოყენების ხარისხი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პრაქტიკულ კურსებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქიმიკოსის განათლებაში. იმავდროულად ეს სწავლების ყველაზე უფრო ძვირი კომპონენტია, რადგანაც მოითხოვს ლაბორატორიებს, ზედამხედველობას, ძვირადღირებულ აპარატურასა და ქიმიურ სუბსტანციებს და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სტუდენტთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის არაა შესაძლებელი სტუდენტებმა ისეთი მოცულობის პრაქტიკული სწავლება მიიღონ, როგორც ეს მოეთხოვებათ პირველ საფეხურზე. ეს დეფიციტი შესაძლოა მეორე და მესამე საფეხურზე ანაზღაურდეს, მაგრამ აქ სტუდენტთა რაოდენობა უფრო მცირეა.

კომპეტენციის განვითარება

ინტენსიური დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების დაყოფა. ზოგ დარგობრივ სფეროში არის შემოთავაზება დაინერგოს კრედიტების გარკვეული რაოდენობის სპეციალური კურსები, რომლებიც ზოგადი კომპეტენციის განვითარებას მოხმარდება და წაკითხული იქნება სხვა დარგის წარმომადგენლის მიერ. ჩვენი აზრით, ქიმიის შემთხვევაში ეს არაა საჭირო და ზიანის მომტანიც კი შეიძლება იყოს. კომპეტენციების ეს ორი ტიპი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ხშირად განუყოფელია.

ზოგად კომპეტენციებზე ჩვენმა მუშაობამ ნათლად აჩვენა, რომ ზემოთ აღნიშნული კომპეტენციების განვითარება შესაძლოა ნორმალური სასწავლო პროცესის ფარგლებში (თუმცა მასწავლებლები და სტუდენტები წარსულში ამას ასე არ აღიქვამდნენ). ერთადერთი საკვანძო კვალიფიკაცია, რომელიც დამატებით მუშაობას მოითხოვს, არის ჯგუფური მუშაობის უნარის გამომუშავება, რაც წარსულში კურიკულუმში არ იყო შესაბამისად ასახული. სხვა საკვანძო კომპეტენციები ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის მსვლელობისას გამომუშავდება და არ იქნება გამოყოფილი დარგობრივი სწავლებისაგან.

ზოგ ქვეყანაში სპეციალურ საკითხად განიხილება დასაქმების პრობლემა, რადგანაც ბოლონის დეკლარაციის გამოთქმა “შრომის ბაზართან შესაბამისობა” არასწორედ იქნა გაგებული თარგმანის უზუსტობის გამო. ჩვენ ქიმიკოსებს ხშირად გვგონია, რომ ქიმიის ბაკალავრი ვერ დასაქმდება ქიმიის ინდუსტრიაში, მაგალითად, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქამდე უბრალოდ არ არსებობდნენ ბაკალავრები ზოგ ქვეყანაში. მაგრამ თანდათანობით ნათელი ხდება, რომ სიტუაცია იცვლება და მრეწველობა შეცვლის თავის დამოკიდებულებას, როდესაც ინსიტუტები შესთავაზებენ და აუხსნიან მას ქიმიის ბაკალავრის რაობას დიპლომის დანართის მეშვეობით.

რამდენად საზიანო შეიძლება იყოს დისკუსია დასაქმების შესახებ ნათლად ჩანს, თუ ჩვენ ისტორიის ბაკალავრის საკითხს განვიხილავთ. ამ სპეციალისტების დასაქმება ნამდვილად შეიძლება, მაგრამ არა ისტორიის მრეწველობაში! ისინი დასაქმებადი არიან მათი ზოგადი კომპეტენციის გამო და რიგ შემთხვევებში დასაქმდებიან “ისტორიასთან დაკავშირებულ” სფეროებში.

ეს ასეა ქიმიკოსების შემთხვევაშიც, როგორც ამას დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში არსებული ვითარება გვაჩვენებს. აქ ქიმიკოსი ბაკალავრი საქმდება როგორც ქიმიის სფეროში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ევროპას სჭირდება ბაკალავრები ქიმიის ცოდნით, სადაც არ უნდა დასაქმდნენ ისინი!

დარგობრივი კომპეტენციის გამოყენება: სამი მაგალითი

განვიხილავთ კომპეტენციის გამოყენების სამ ასპექტს, როგორცაა სწავლება, სწავლა და შეფასება. მასალის შეგროვების მიზნით კითხვები დავუსვით ქიმიის ჯგუფის წევრებს. სამი ასეთი კითხვა აქაა მოყვანილი:

როგორ ეხმარებით სტუდენტებს ამ კომპეტენციის მიღწევაში თქვენი სწავლების მეთოდებით?

რა სასწავლო აქტივობაში არიან ჩართული თქვენი სტუდენტები ამ კომპეტენციის განვითარების მიზნით?

როგორ აფასებთ, მიაღწია თუ არა და რამდენს სტუდენტმა ამ კომპეტენციას?

შეირჩა ათი დარგობრივი კომპეტენცია და ჯგუფის წევრებს უნდა ეპასუხათ მათთვის განკუთვნილი კომპეტენციების შესახებ სამივე კითხვაზე. სწავლების პირველი საფეხურისათვის ჯგუფის წევრების მიერ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად წინასწარ განსაზღვრული კომპეტენციები შეიძლება განვიხილოთ როგორც ქიმიკოსის განათლების ჭეშმარიტი “საკვანძო კომპეტენცია”. ქვემოთ მოყვანილია სამი მაგალითი. ყველა შემთხვევაში მოცემულია შესაბამისი კომპეტენცია.

ნელოვანი ფაქტების, კონცეფციების, პრინციპებისა და თეორიების ცოდნისა და გაცნობიერების დემონსტრირების შესაძლებლობა (საფრანგეთი, GGrand Ecole). შესაბამისი ზოგადი უნარები: პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება, მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, პრობლემების გადაჭრა, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

როგორ ეხმარებით სტუდენტებს ამ კომპეტენციის მიღწევაში თქვენი სწავლების მეთოდებით?

ლექციები, პრობლემური კლასები, პრაქტიკული მეცადინეობა და კვლევითი პროექტები. ცოდნა და გაცნობიერება მოწმდება წერილობითი ფორმით კითხვებზე პასუხის გაცემით (პრობლემური კლასები ან გამოცდები) ან კვლევითი პროექტის ზეპირი პრეზენტაციით, ან ჯგუფის წინაშე კითხვებზე პასუხების წარდგენით.

რა სასწავლო აქტივობაში არიან ჩართული თქვენი სტუდენტები ამ კომპეტენციის განვითარების მიზნით?

ლექციები, პრობლემური კლასები, პრაქტიკული მეცადინეობა, საწარმოო პრაქტიკა და კვლევითი პროექტი.

როგორ აფასებთ, მიაღწია თუ არა და რამდენად სტუდენტმა ამ კომპეტენციას?

წერილობითი (ხანდხან ზეპირი) გამოცდის მეშვეობით, პრაქტიკული სამუშაოს უწყვეტი შეფასებით და პრობლემური კლასებით. კვლევითი პროექტის შეფასება მოიცავს ზეპირ პრეზენტაციას, რომელშიც ფასდება როგორც სამეცნიერო სამუშაო, ასევე კომუნიკაციის უნარი.

შეფასებული სამუშაო სტუდენტს უბრუნდება. სამუშაო ყოველთვის ნიშნით ფასდება და სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ეცნობებათ ჯგუფში რანჟირების შესახებ. სტუდენტებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ, ესაუბრება კურსის კოორდინატორი ან, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი.

ყოველ სემესტრში არის შეხვედრა, რომელსაც ყველა მასწავლებელი და კლასების არჩეული წარმომადგენლები ესწრებიან. ამ შეხვედრაზე განიხილება იმ სტუდენტების მოსწრება, ვინც ვერ მიაღწია მინიმალურ მოთხოვნებს, განისაზღვრება ამის გამომწვევი მიზეზები და, საჭიროების შემთხვევაში ხდება გასაუბრება სტუდენტთან.

ახალი პრობლემების შეცნობისა და ანალიზის შესაძლებლობა და მათი გადაჭრის სტრატეგიების დაგეგმვა (ნორვეგია). შესაბამისი ზოგადი უნარები: პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება, მშობლიურ ენაზე წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, ანალიზისა და სინთეზის უნარი, პრობლემების გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.

როგორ ეხმარებით სტუდენტებს ამ კომპეტენციის მიღწევაში თქვენი სწავლების მეთოდებით?

სტუდენტები ზედამხედველობის ქვეშ ასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოს, უნარები მუშავდება კითხვა-პასუხის სესიების დროს და ა.შ. მიღწეული შედეგების აისახება ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიშში, რომლიც სათანადო თეორიას უნდა ასახავდეს.

რა სასწავლო აქტივობაში არიან ჩართული თქვენი სტუდენტები ამ კომპეტენციის განვითარების მიზნით?

ლაბორატორიული მეცადინეობა, ანგარიშების ამ უნარების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდია.

როგორ აფასებთ, მიაღწია თუ არა და რამდენად სტუდენტმა ამ კომპეტენციას?

სტუდენტების ლაბორატორიული მუშაობა უწყვეტად ფასდება ლაბორატორიაში მყოფი პერსონალის მიერ და ანგარიშები გულდასმით მოწმდება. ასევე მნიშვნელოვანია ლაბორატორიული სამუშაოს დასრულების შედეგ ჩატარებული გამოცდები.

პრაქტიკული კვლევების დაგეგმვა, დიზაინი და განხორციელება (ესპანეთი). შესაბამისი ზოგადი უნარები: პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება, დაგეგმვა და დროის მენეჯმენტი, მშობლიურ ენაზე წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის უნარი, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი, ანალიზისა და სინთეზის უნარი, ახალ გარემოსთან შეგუების უნარი, პრობლემების გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი, ეთიკური საკითხების გაცნობიერება.

როგორ ეხმარებით სტუდენტებს ამ კომპეტენციის მიღწევაში თქვენი სწავლების მეთოდებით?

პრაქტიკული სავარჯიშოებისა და მაგალითების გამოყენებით: კითხვის მკაფიოდ ჩამოყალიბება, სტუდენტები უნდა გაეცნონ და მათ უნდა დავეხმაროთ კორექტული სტრატეგიის სქემის განვითარებაში. საშინაო დავალებები შერჩეულ საკითხებზე სტუდენტებს ჯგუფური მუშაობის პროცესში ეხმარება. კლასში ჩატარებული სამუშაოს დისკუსია, შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით.

რა სასწავლო აქტივობაში არიან ჩართული თქვენი სტუდენტები ამ კომპეტენციის განვითარების მიზნით?

სემინარები და ინდივიდუალური კონსულტაციები. მონაწილეობა დისკუსიებში პრეზენტაციის შემდეგ ანალიზი.

როგორ აფასებთ, მიაღწია თუ არა და რამდენად სტუდენტმა ამ კომპეტენციას?

საშინაო დავალების შემოწმება ინდივიდუალური მუშაობის დროს.

6. განათლების ხარისხის ამაღლება

პროექტის ფარგლებში განისაზღვრა ახალი პროგრამების შექმნისათვის საჭირო ეტაპები:

1. აკადემიური და პროფესიული პროფილის განსაზღვრა: სწავლის შედეგებისა და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატში თარგმნა
2. კურიკულუმის ფორმატით თარგმნა
3. მოდულებისა და სწავლების, სწავლისა და შეფასების ფორმატში თარგმნა
4. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა: მონიტორინგის, შეფასებისა და განახლების პროცედურების შემუშავება

ეს მიდგომა ქიმიის შემთხვევაში არ შეიძლება თანაბრად იქნეს გამოყენებული პირველი, მეორე და მესამე საფეხურის პროგრამებთან მიმართებაში. აუცილებელია დისკუსიის გაგრძელება პირველი და მეოთხე პუნქტების და არა საფეხურების შესაბამისად.

აკადემიური და პროფესიული პროფილის განსაზღვრა: სწავლის შედეგებისა და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ენაზე თარგმნა

პირველი საფეხური

ევროპაში არსებობს აკადემიური და გამოყენებითი საბაკალავრო პროგრამები, მაგრამ როგორც ჩანს, ქიმიის დარგში მხოლოდ მცირე რაოდენობითაა გამოყენებითი პროგრამები. ასეთი პროგრამები უფრო ხშირად ქიმიური ინჟინერიის სფეროში გვხვდება. ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ უფრო ხშირია 180 კრედიტიანი პროგრამები, თუმცა ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში ცხადია ტენდენცია 240 კრედიტიანი პროგრამებისაკენ. ესპანეთს ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა კატალონიაში საპილოტო 180 კრედიტიანი პროგრამა ხორციელდება.

ჩვენ არ განგვიხილავს განსხვავება 180 და 240 კრედიტიან პროგრამებს შორის. აქ ბევრია პოლიტიკური და არა დარგობრივი მიზეზი.

მეორე საფეხური

სავარაუდოდ “აკადემიური” ტიპის სამაგისტრო პროგრამები პოსტბოლონიის ევროპაში ნორმად იქცევა. დრეზდენის სემინარზე შემდეგი რეკომენდაციები შემუშავდა:

- სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს 120 კრედიტს;

- სამაგისტრო ნაშრომი სულ მცირე 30 კრედიტს უნდა მოიცავდეს და კვლევითი სამუშაო ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ხელი არ შეუშალოს სტუდენტის მობილობას;
- მეორე საფეხურზე უნივერსიტეტებს მძიმე კონკურენცია მოუწევთ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე საუკეთესო სტუდენტებისათვის. ასე რომ მათ მიმზიდველი პროგრამების შექმნა მოუწევთ, რომლებშიც ინდივიდუალური სტრუქტურები აისახება;
- “ევრომაგისტრის პროფილის” დეფინიცია ევრობაკალავრთან ანალოგიით შეუძლებელია მისი სპეციალიზაციის მაღალი ხარისხის გამო. მიუხედავად ამისა, ერთობლივი აკადემიური ხარისხის პროგრამა ERASMUS MUNDUS-ის ფარგლებში შეიძლება სანიმუშო იყოს ქიმიაში ჭეშმარიტი “ევროპული” კვალიფიკაციის განვითარებისათვის;
- მეორე საფეხურზე სწავლის წინაპირობები მოქნილი და გონივრულად შერჩეული უნდა იყოს პროგრამების მიმზიდველობის მიზნით. გათვალისწინებული უნდა იყოს ლისაბონის კონვენციით განსაზღვრული ხელმისაწვდომობა. ქვოტების სისტემა არ უნდა შემოიღონ, რადგანაც ეს უგულებელყოფს როგორც კერძო პირის, ისე ინსტიტუტის უფლებებს;
- სპეციფიკური სიტუაციების მოგვარებისათვის მეტი მოქნილობა უნდა გამოვიჩინოთ (ორიენტაციის შეცვლა, არაევროპელი სტუდენტები, განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტები)
- საუკეთესო სტუდენტებს უნდა შეექმნათ პირობები სადოქტორო პროგრამებზე სამაგისტრო პროგრამის დასრულების გარეშე გადავიდნენ, როგორც ეს ჰელსინკის “ბოლონიის სერიის” მაგისტრტურის კონფერენციაზე აღინიშნა;
- საყოველთაოდ მიღებულია, რომ მეორე საფეხურის კვალიფიკაციის მიღწევისათვის ჯამში საშუალოდ ხუთი წელია საჭირო, თუმცა ზუსტი ხანგრძლივობა დამოკიდებულია სწავლის შედეგებზე. იქ, სადაც სქემა 4+1 და არა 3+2 არის, შესაძლოა ერთწლიან პროგრამაზე ჩარიცხვისათვის საჭირო გახდეს დამატებითი კურსები ან სამუშაო გამოცდილება;
- სამაგისტრო პროგრამის საგნები მოთხოვნის საფუძველზე ინგლისურად უნდა ისწავლებოდეს, შესაძლებლობის ფარგლებში.

ბრიტანეთის მეორე საფეხურის ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა უფრო “პროფესიული” ხასიათისაა, მაგრამ კონტინენტურ ევროპაში ეს ტენდენცია არ შეინიშნება. პირიქით, სახეზეა 90-120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამების განვითარება ჰელსინკის რეკომენდაციების მიხედვით. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საკითხი მაგისტრის ხარისხის მიღების გარეშე ჯერ კიდევ განხილვის ეტაპზეა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ სათანადო მექანიზმები მალე დაინერგება.

მესამე საფეხური

ქიმიაში მესამე საფეხურს მხოლოდ აკადემიური პროფილი აქვს. ტრადიციულად ის მხოლოდ კვლევითი (როგორც ფუნდამენტური, ისე

გამოყენებით) კომპონენტისგან შედგება და ერთი ხელმძღვანელის ზედამხედველობით ხორციელდება; განუსაზღვრელი პერიოდის შემდეგ სრულდება დოქტორის ხარისხის (ან მისი ეროვნული ეკვივალენტის) მინიჭებით დისერტაციის დაცვისა და ადგილობრივი რეგულაციის შესაბამისად ჩატარებული გამოცდის შემდეგ.

მიუხედავად ამისა, ვითარება ევროპაში არაერთგვაროვანია. უფრო მეტად იკვეთება ამ აკადემიური მოდელიდან დაშორების ტენდენცია სტრუქტურირებული დოქტორანტურის მიმართულებით. შესაბამისად იზრდება ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელობა ახალი ტიპის სადოქტორო პროგრამების შემუშავებისათვის.

ECTN კვლევის შედეგად, რომელიც 2002 წელს ჩატარდა, ევროპაში "საშუალო" დოქტორმა უნდა:

- 3-4 წელი მოახმაროს დისერტაციას
- მასწავლებელ-ასისტენტის მუშაობა შეასრულოს
- ზედამხედველობს ერთი ხელმძღვანელი
- უნდა დაწეროს უშუალო ანგარიშები დისერტაციის დაწერამდე
- სულ მცირე ერთი პუბლიკაცია უნდა გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში
- შეასრულოს გარკვეული მოცულობის (60 ECTS) სასწავლო კომპონენტი
- სულ მცირე ერთ გამომცდელთან ჩააბაროს საჯარო ზეპირი ან წერილობითი გამოცდა
- შეასრულოს სამუშაო თავის სამშობლოში.

დრეზდენის ბოლონის სემინარის რეკომენდაციები მესამე საფეხურთან მიმართებაში:

- სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები, რომლებიც სასწავლო კომპონენტს მოიცავენ (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) უნდა გახდეს ევროპული დოქტორანტურის ტიპური მოდელი. კვლევა კვლავინდებურად უნდა იყოს ამ პროგრამების წამყვანი ნაწილი. "დაუსწრებელი" დოქტორანტურა უნდა შენარჩუნდეს იმ ინსტიტუტებში, სადაც ის ადრეც არსებობდა.
- საშუალოდ დოქტორანტურაში სწავლაზე ევროპაში 3-4 წელი უნდა დაიხარჯოს. პროგრამის კვლევითი ნაწილი არ უნდა გამოიხატოს კრედიტებით.
- ECTS გამოყენებულ უნდა იქნეს სასწავლო კომპონენტის აღწერისათვის. შესაძლოა რანჟირების სისტემის გამოყენება შეუძლებელი იყოს, ამიტომ დასაშვებია რომ კრედიტები ნიშნებზე არ იყოს დამოკიდებული. შეიძლება იქნეს გამოყენებული კრედიტების ფართო ჩარჩო (20-დან 60-მდე). ცხადია, დასაშვებია ეროვნული შეფასების სისტემის გამოყენება.
- კვლევითი და სასწავლო კომპონენტების გარდა სადოქტორო პროგრამის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილია სწავლება (ასისტენტის პოზიციით) და

ზოგადი უნარების გამომუშავება, რომლებიც ქიმიის ევრობაკალვრის დოკუმენტშია ჩამოთვლილი.

- ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშავონ ნიშნების ფურცლის ფორმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სასწავლო კომპონენტის შესახებ. ამ დროს დასაშვებია არ იქნეს გამოყენებული დიპლომის დანართის სტანდარტული ევროპული ფორმა.
- ინსტიტუტები უნდა წახალისდეს, შექმნან ბაკალავრიატის შემდგომი სწავლების სკოლები (Graduate School) დეპარტამენტების ან რეგიონის დონეზე, რათა გაიზარდოს ცნობადობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, გაიზარდოს კვლევითი პოტენციალი და ხელი შეეწყოს კოოპერაციას პერსონალსა და სტუდენტებს შორის.
- კვლევითი ქსელების ეროვნული სტრუქტურები უნდა გაფართოვდეს კვლევების ინტერნაციონალიზაციის მიზნით. დოქტორანტებმა კვლევისათვის განკუთვნილი დროის ნაწილი სხვა ინსტიტუტებში უნდა გაატარონ, სასურველია საზღვრაგარეთ.

კურიკულუმის ფორმატით თარგმნა

პირველი საფეხური

კურიკულუმის შემუშავება აკადემიური პრესონალის პასუხისმგებლობაა. სასურველია მათი თავისუფლება უმიზეზოდ არ შეიზღუდოს, მაგრამ ამავე დროს უნდა განისაზღვროს სტანდარტები.

ქიმიის ევრობაკალვრის მიზანი არ არის კურიკულუმის დეტალური განსაზღვრა. ის უბრალოდ გთავაზობთ:

ა) სულ მცირე სავალდებულო კურსების/მოდულების 90 კრედიტიან ბაზას:

- ორგანული ქიმია
- არაორგანული ქიმია
- ფიზიკური ქიმია
- ანალიზური ქიმია
- ბიოლოგიური ქიმია
- ფიზიკა
- მათემატიკა

ბ) ნახევრად სავალდებულო კურსები, რომლებიც სხვა მიმართულებებსაც მოიცავს (თითო სულ მცირე 5 კრედიტიანი)

გ) არჩევითი კურსები

დ) 15 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი

ამ ლიმიტის ფარგლებში ინსტიტუტს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს.

მეორე საფეხური

სამაგისტრო პროგრამის მთავარი ნაწილი კვლევითი კომპონენტია, რომელიც 30-სა და 60 კრედიტს შორის შეიძლება მერყეობდეს (30 კრედიტი შეიძლება ნორმა გახდეს, მაგრამ ეს ჯერ საბოლოოდ არაა გარკვეული).

სამაგისტრო პროგრამაში ნამდვილად იქნება სავალდებულო სასწავლო კომპონენტი, მაგრამ ის ძალიან მოქნილი იქნება და უნდა არსებობდეს კავშირი სასწავლო კომპონენტსა და არჩეულ კვლევით მიმართულებას შორის.

სამაგისტრო პროგრამა ბაკალავრიატის უბრალო გაგრძელება არაა.

რამდენადაც სასურველია საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოს შემუშავება (ევრობაკალავრი), მსგავსი ჩარჩოს არსებობა მაგისტრატურის დონეზე არაა საჭირო.

მესამე საფეხური

კურიკულუმი არაა განსაზღვრული. იდეალური იქნება, ყოველ დოქტორანტს შეეძლოს მისი კვლევითი თემატიკის შესაბამისი კურსების შერჩევა.

მოდულებისა და სწავლების, სწავლისა და შეფასების ფორმატით თარგმნა

პირველი საფეხური

თარგმნა მოდულების ფორმატით დეპარტამენტის საქმეა. თუმცა ევრობაკალავრის ფარგლებში განსაზღვრული სწავლების, სწავლისა და შეფასების კრიტერიუმები რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს განსაზღვრავს. სამაგისტრო პროგრამები შეიძლება იყოს მხოლოდ კვლევითი, ან უფრო ხშირად, კვლევითი და სასწავლო კომპონენტის ნაზავი, რომელიც როგორც წესი, მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან ერთ-ერთს. კურსებს მჭირდო კავშირი აქვთ ინდუსტრიასთან.

მეორე საფეხური

მართებულია იგივე, რაც პირველი საფეხურისათვის. ცხადია, იცვლება კომპეტენციები.

მესამე საფეხური

მნიშვნელოვანი ასპექტია შეფასება. ორი საკითხია ჩართული, ორივე დისერტაციასთან კავშირში. პირველ რიგში, დისერტაციის შეფასება უნდა ხორციელდებოდეს გამჭვირვალე კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, გარეშე ექსპერტების მონაწილეობით. მეორე მხრივ, საბოლოო გამოცდის უკიდურესად განსხვავებული პროცედურები გარკვეულ წილად საჭიროებს ჰარმონიზაციას.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა: მონიტორინგის, შეფასებისა და განახლების პროცედურების შემუშავება

პირველი საფეხური

მონიტორინგი გულისხმობს უმათავრესად სტუდენტების აკადემიური მოსწრების (შეფასების შედეგების) შემოწმებას. იმავდროულად უნდა შეიქმნას კურსდამთავრებულთა დასაქმების/სწავლის გაგრძელების მონაცემთა ბაზა. ცხადია მონიტორინგი მოიცავს უკუკავშირს სტუდენტებისგან ინდივიდუალურ კურსებთან/მოდულებთან მიმართებაში. ისევე როგორც უკუკავშირს სასწავლო დატვირთვისთან მიმართებაში. უნდა შეფასდეს კორელაცია დატვირთვისა და სტუდენტთა მოსწრებას შორის. უწყვეტ რეჟიმში უნდა ხდებოდეს მონაცემთა განახლება.

მეორე საფეხური

იგივე, რაც პირველ საფეხურზე.

მესამე საფეხური

მონიტორინგი რთული პროცესია. პირველ რიგში უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან მათი კურსდამთავრებულების დასაქმების მონაცემთა ბაზა. ერთ-ერთი ელემენტი შეიძლება იყოს უმაღლესდამთავრებულთა პროგრამა. ამ მონაცემთა ბაზის დახმარებით შესაძლოა არჩეულ პროფესიულ სფეროში კურსდამთავრებულთა წარმატების შეფასება.

2.2.3. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

1. შესავალი

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მიზანია დედამიწის შესახებ ცოდნის დაგროვება, რათა შეისწავლოს წარსული, გაიგოს აწმყო და იწინასწარმეტყველოს და გავლენა იქონიოს მომავალზე. პირველ რიგში ეს არის ჩვენი და სხვა პლანეტების მასალების, პროცესებისა და ისტორიის შესწავლა. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები გვთავაზობენ ამომწურავ განათლებას ბუნების კომპლექსური სისტემებისადმი სისტემური მულტი და ინტერდისციპლინური მიდგომით. მოცულობითი სავსე პრაქტიკა, ანალიტიკური უნარების ფართო სპექტრი და კურსდამთავრებულთა წახალისება, გადაწყვეტილების მიღებისათვის გამოიყენონ დაკვირვებისა და ანალიზის უნარი, წარმოადგენს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის თავისებურებებს.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ დედამიწისა და მისი სისტემების ცოდნა და გაცნობიერება როგორც კერძო პირებისათვის, ისე მთლიანად

საზოგადოებისათვის განუზომლად მნიშვნელოვანია, და, შესაბამისად, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში პირველი ამოცანაა სწორედ ასეთი განათლების მიღება. შესაბამისად, სხვადასხვა მიდგომაა საჭირო, რათა ევროპაში მოხერხდეს ამ საგნისათვის დამახასიათებელი უზარმაზარი მოცულობის ინფორმაციის წარდგენა ბაკალავრიატის დონეზე.

სხვა მეცნიერებების კონცეფციები, თეორიები და მეთოდოლოგიები ხშირად გამოიყენება და მიესადაგება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს. შესაბამისად, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების აკადემიური პროგრამების შემადგენელი ნაწილია ეს საბაზისო დისციპლინებიც. შესაძლოა გამართლებული იყოს ჰუმანიტარულ, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა გარკვეული ელემენტების შემოტანაც დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამებში.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები ავითარებს აზროვნების სტილს, რომელიც სწორედ ამ დარგისთვისაა დამახასიათებელი და ნაკლებად ტრანსფერულია. ესაა⁶:

- 1) ოთხგანზომილებიანი ხედვა – დედამიწაში მიმდინარე პროცესების სივრცითი და დროითი აღქმა;
- 2) საველე და ლაბორატორიულ პირობებში მოპოვებული მონაცემებისა და თეორიული ცოდნის ინტეგრაციის უნარი დაკვირვების, აღქმის, სინთეზისა და მოდელირების მეშვეობით;
- 3) დღევანდელ დღეს გარემოში მიმდინარე პროცესების გაგება;
- 4) დედამიწის რესურსების გამოყენებისა და კონსერვაციის ცოდნა და გაცნობიერება.

2. აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება

ტიპური აკადემიური ხარისხები

საფეხური	აკადემიური ხარისხების მაგალითები
----------	----------------------------------

⁶ ესაა ინდიკატური და არა სავალდებულო.

პირველი	საფეხური აკადემიური ხარისხების მაგალითები პირველი ბაკალავრის ხარისხი უფრო ჰოლისტურია და მრავალ დისციპლინას მოიცავს: გეოლოგია (მინერალოგია, პეტროლოგია, სედიმენტარული გეოლოგია, რესურსების გეოლოგია, სტრუქტურული გეოლოგია, ტექტონიკა, პალეონტოლოგია, სტრატოგრაფია); ფიზიკური გეოგრაფია (გეომორფოლოგიის ჩათვლით); ნიადაგმცოდნეობა; ჰიდროგეოლოგია და ჰიდროლოგია, გეოფიზიკა; გეოქიმია; გარემოს გეოლოგია; საინჟინრო გეოლოგია; ოკეანოლოგია და გარემოს შემსწავლელი მეცნიერება. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები შეიძლება წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან კომპონენტს ისეთი მულტიდისციპლინური აკადემიური ხარისხების შემადგენლობაში, როგორცაა რესურსების და
საფეხური	აკადემიური ხარისხების მაგალითები
	გარემოს მენეჯმენტი და დაგეგმვა; ატმოსფერო, კლიმატი და პალეოკლიმატი. მეორე სამაგისტრო პროგრამა ან მხოლოდ კვლევითი, ან უფრო ხშირად, კვლევითი და სასწავლო კომპონენტების ნაზავი შეიძლება იყოს, რომელიც როგორც წესი მოიცავს ერთ-ერთს ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან. ამ პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს პროფესიული კომპონენტი წარმოადგენს. მესამე სადოქტორო პროგრამა კვლევითი ხასიათისაა, მოითხოვს გამოცდასა და დისერტაციის დაცვას.
მეორე	სამაგისტრო პროგრამა ან მხოლოდ კვლევითი, ან უფრო ხშირად, კვლევითი და სასწავლო კომპონენტების ნაზავი შეიძლება იყოს, რომელიც როგორც წესი მოიცავს ერთ-ერთს ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან. ამ პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს პროფესიული კომპონენტი წარმოადგენს.
მესამე	სადოქტორო პროგრამა კვლევითი ხასიათისაა, მოითხოვს გამოცდასა და დისერტაციის დაცვას.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებათა პროგრამების კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიათა რუკა)

საფეხური	დასაქმების სფეროები
პირველი	უმცროსი გეოლოგი; დედამიწი/ბუნების/გეოგრაფიის მასწავლებელი დაწყებით კლასებში
მეორე და მესამე	ინდუსტრია (ჰიდროკარბონი, მინერალები და ა.შ.) საჯარო სამსახური (კვლევითი ინსტიტუტები და ა.შ.) კონსულტაცია (კერძო სააგენტოები და ა.შ.)

	<p>უნივერსიტეტები (კვლევა და განათლება) საჯარო სამსახური (ნიადაგის, წყლის რესურსების, ფიზიკური დაგეგმვის, კატასტროფების, გარემოს კონსერვაციის, აგრიკულტურის სააგენტოები) კერძო კომპანიები (წყალსაქაჩები და ა.შ.) დედამიწის/გეოგრაფიის/საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასწავლებელი საჯარო სკოლაში მუზეუმები საინჟინრო გეოლოგია სამეცნიერო ჟურნალისტიკა და ა.შ.</p>
--	---

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა როლი სხვა აკადემიურ პროგრამებში

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები ნაწილობრივ ფარავს სხვა აკადემიურ პროგრამებს, როგორცაა გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, სამოქალაქო ინჟინერია, გეოგრაფია და არქეოლოგია. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები⁷ ბევრის მიერ განიმარტება როგორც საინჟინრო გეოლოგიის, მაღაროთა ინჟინერიის, ნავთობის ინჟინერიის და ფიზიკური გეოგრაფიის ნარევი, მაშინ როდესაც სხვები ამ ჩამონათვალს კიდევ დაამატებდნენ ოკეანოგრაფიასა და მეტეოროლოგიას. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები ხელს უწყობს დედამიწის რესურსების ექსპლუატაციისა და შენახვის პრობლემის გაგებას.

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამები მოითხოვს საბაზო ცოდნას განსაკუთრებით ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში, ზოგი მათგანი შეიძლება კურიკულუმის ორგანული ნაწილი იყოს. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები ასევე მნიშვნელოვანია სამართლისა და ეკონომიკისათვის, ქალაქისა და ქვეყნის დაგეგმარებისათვის, ადამიანის გეოგრაფიის, პოლიტიკისა და სოციოლოგიისათვის, აგრეთვე მენეჯმენტის, ბიზნესისა და უსაფრთხოების კვლევებისათვის. სტუდენტები ხშირად ლექციებს დეპარტამენტის ფარგლებს გარეთ ისმენენ და აქვთ ორმაგი ხარისხების მოპოვების საშუალება.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

პირველი საფეხური			
საკვანძო	დარგობრივი	საკვანძო	ზოგადი
კომპეტენციები		კომპეტენციები	
-	დედამიწის თვისებების, მასალების, პროცესებისა და	-	დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი

⁷ დარგის ფრთო ბუნებიდან გამომდინარე ეს ჩამონათვალი ინდიკატურია და არა სავალდებულო.

<ul style="list-style-type: none"> - ისტორიის ფართო ცოდნა - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების საზოგადოებრივი მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის გათავისება - დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებთან დაკავშირებული სხვა დისციპლინების ადეკვატური ცოდნა - საველე და ლაბორატორიულ პირობებში მოპოვებული მონაცემების დამოუკიდებელი ანალიზი და მიღებული შედეგების აღწერა, ანალიზი, დოკუმენტირება და მოხსენება - ფართო გაგებით სივრცით და დროით კონტექსტში მსჯელობა - მარტივი რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება დედამიწის სისტემებთან მიმართებაში 	<ul style="list-style-type: none"> - ზოგადი საბაზისო ცოდნა - პროფესიის საფუძვლების ცოდნა - მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია - მეორე ენის ცოდნა - ელემენტარული კომპიუტერული უნარები - ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი - ცოდნა უსაფრთხოების შესახებ - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფართო საზოგადოებისათვის
მეორე საფეხური	
<ul style="list-style-type: none"> - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სულ მცირე ერთი სფეროს სიღრმისეული ცოდნა - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პრობლემების განსაზღვრის, გადაჭრის სტრატეგიის განსაზღვრისა და გამოყენების უნარი - დედამიწის პროცესების ინტერაქციის გაგება და მათი შედეგების შემოწმება - საფუძვლიანი ანგარიშის შექმნის უნარი (რეზიუმეთი) 	<ul style="list-style-type: none"> - კვლევითი უნარები - ანალიზისა და სინთეზის უნარი - პრობლემების გადაჭრა - ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვების უნარი)
მესამე საფეხური	
<ul style="list-style-type: none"> - დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ორიგინალური და პუბლიცირებადი კვლევითი შედეგების მიღება 	<ul style="list-style-type: none"> - შემოქმედება - კრიტიკული და თვით-კრიტიკული მიდგომა - ახალი იდეების გენერირების უნარი

კონსულტაციები და ინტერესებულ მხარეებთან

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროფესიები წარმოდგენილია აკადემიური საზოგადოებებით, რომელთაგან მრავალი მე-19 საუკუნიდან

არსებობს. პროფესიული საზოგადოებები აღმოცენდა როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე მე-20 საუკუნის ბოლოს, ზოგი მათგანი ზემოთ მოხსენებულ აკადემიურ საზოგადოებებთანაა ასოცირებული. საზოგადოებების ამ ორივე ტიპს შეუძლია აკადემიური ხარისხების აკრედიტაციაში მონაწილეობა. ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნების უმრავლესობაში პროგრამის აკრედიტაცია ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება. მაღაროების, ჰიდროკარბონისა და წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოებს ხანგრძლივი ტრადიციული თანამშრომლობა აკავშირებს უნივერსიტეტების დედამიწის შემსწავლელ დეპარტამენტებთან და გეოლოგიურ ექსპედიციებთან, მუზეუმებსა და გარემოს დაცვით სააგენტოებთან. ზოგადად, ეს არის ჯანსაღი და უწყვეტი დებატები პროფესიისათვისა და საზოგადოებისათვის საჭირო დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების განათლების შესახებ.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

საფეხური	ECTS კრედიტები
პირველი	უმთავრესად 180 ან 240 კრედიტი
მეორე	60, 90 ან 120 კრედიტი
მესამე	უმთავრესად სამი წელი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ

ბევრ ქვეყანაში ბაკალავრის ხაირისხის მინიჭება 180 ან 240 კრედიტის დაგროვების შემდეგ ხდება. აქედან პირველი მოდელი უფრო ფართოდ არის გავრცელებული. არსებობს რამდენიმე ინდივიდუალური პროგრამა კრედიტების განსხვავებული რაოდენობით (150 და 210 კრედიტი) და უახლოეს მომავალში მათი შეცვლა ნაკლებ მოსალოდნელია. მრავალი ქვეყანა გარდამავალ პროცესშია და არსებული პროგრამები გადაყავს ბოლონის მოდელზე. სავარაუდოდ იარსებებს როგორც 180, ისე 240 კრედიტიანი პროგრამები და ეს იქნება არა ქვეყნებზე, არამედ უნივერსიტეტებზე დამოკიდებული. მეორე საფეხურის პროგრამების ფართო არჩევანი არსებობს 60, 90 და 120 კრედიტიან ფარგლებში. ნაკლებად სტანდარტიზებულია მესამე საფეხურის პროგრამები. ბევრ ქვეყანაში დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება მხოლოდ მაგისტრის ხარისხის მქონე პირს აქვს. სინამდვილეში ბევრი სტუდენტი სამ წელიწადზე მეტ ხანს ანდომებს დოქტორანტურაში სწავლას, თუმცა სულ უფრო ხშირად ადმინისტრაცია საჯარიმო ღონისძიებებს იყენებს ამ პრაქტიკის აღსაკვეთად.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

ჯგუფს მიაჩნია, რომ მიუღებელია მზა რეცეპტების შექმნა სწავლების, სწავლისა და შეფასების პროცესთან მიმართებაში და სხვადასხვა მეთოდიკა

უნდა იქნეს გამოყენებული განსხვავებული პროგრამების მიერ. ეს იმით არის განპირობებული, რომ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამები შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს ორიენტირებული და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში მოიაზრებოდეს. სხვადასხვა ინსტიტუტებს, ასევე განსხვავებული მიდგომა აქვთ და სასწავლო რესურსების განსხვავებულ კომბინაციებსა და მოდულებს იყენებენ ტრადიციული პროგრამების ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში სასწავლო პროცესში მონაწილე პერსონალს უნდა შეეძლოს სწავლების, სწავლისა და შეფასების საკუთარი მეთოდის გამოხატვა სწავლის შედეგების ფორმით. ეს მეთოდები კარგად უნდა განემარტოს სასწავლო პროცესში მონაწილე სტუდენტებს.

სწავლა, სწავლება და შეფასება ურთიერთდაკავშირებული უნდა იყოს კურიკულუმის შემუშავების პროცესში და შესაბამისად შერჩეულ პროგრამაში განსაზღვრული ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის. კვლევა ხელს უწყობს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების კურიკულუმის შემუშავებას. კვლევაზე ორიენტირებული პროგრამები ავითარებს სპეციფიკურ დარგობრივ ცოდნასა და უნარებს.

ჯგუფს მიაჩნია, რომ შეუძლებელია სტუდენტმა მიიღოს დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დამაკმაყოფილებელი ცოდნა სავსე პრაქტიკის გარეშე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწავლების ეს ფორმა და მიღებული გამოცდილება უდიდესი მნიშვნელობისაა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების განათლებაში. ჩვენ განვმარტავთ 'სავსე პრაქტიკას' როგორც რეალურ სამყაროზე დაკვირვებას ხელთარსებული ყველა მეთოდით. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ცოდნისა და გაცნობიერების პროგრესისათვის ბევრია დამოკიდებული აკურატულ დაკვირვებასა და აღწერაზე სავსე პირობებში. გარდა ამისა, სავსე სამუშაოები სტუდენტს ასწავლის არასრული მონაცემების საფუძველზე გონივრული დასკვნის გაკეთებას. სტუდენტებს და დამსაქმებლებს ეს სწავლის მნიშვნელოვან ასპექტად მიაჩნიათ. სავსე სამუშაოებისათვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარება, შესაბამისად, აუცილებელია სტუდენტებისათვის, თუ ისინი დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სფეროში აპირებენ მუშაობას. დამატებით, სავსე პრაქტიკა უვითარებს სტუდენტებს ზოგად საკვანძო კომპეტენციებს (როგორცაა ჯგუფში მუშაობის უნარი, პრობლემების გადაჭრა, ურთიერთდამოკიდებულება კოლეგებთან და ა.შ.), რომლებიც მნიშვნელოვანია დამქირავებლებისათვის და ასევე ღირებული მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონტექსტში.

არსებული პროგრამები დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების სფეროში იყენებენ სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების ფართო სპექტრს სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობის მიზნით. ეს მეთოდები რეგულარულად უნდა მოწმდებოდეს და ფასდებოდეს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ზოგადი და დარგობრივი

კომპეტენციების მუდმივი განახლების პროცესის პარალელურად და გამოყენებულ იქნეს კურიკულუმის შემმუშავებლების მიერ.

საუკეთესო მაგალითები

სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდი	მიღებული საკვანძო კომპეტენციები
<p>საველე პრაქტიკა რომლის დროსაც სტუდენტებს პირველად უჩვენებენ რეალურად არსებულ პრობლემას, უვითარებენ საჭირო უნარებს და ითხოვენ პრობლემის ანალიზს (როგორც წესი მცირე ჯგუფებში) და ამ ანალიზის წარდგენას. ეს სავარჯიშო ხორციელდება ბაკალავრიატის მეორე ან მესამე წელს.</p>	<ul style="list-style-type: none"> - დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი - სივრცით და დროით კონტექსტში აზროვნების უნარი - მარტივი რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება დედამიწის სისტემებთან მიმართებაში - მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია - უსაფრთხოების მეთოდების ცოდნა - გარემოს კომპლექსურობის გაგება - პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი
<p>ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება პირველ წელს, სხვა პლანეტების (მაგალითად, მარსის) შესწავლის უახლესი ინფორმაცია. როგორც წესი, სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული წინასწარი ინფორმაცია გამოყენებადი ვებ-გვერდების შესახებ დამოუკიდებელი კვლევის დაწყებამდე. სტუდენტებს შეუძლიათ როგორც ჯგუფში, ისე დამოუკიდებლად მუშაობა და მოპოვებული ინფორმაციის რეზიუმე უნდა წარმოადგინონ. სტუდენტებმა ამ მონაცემების პრეზენტაცია უნდა მოახდინონ სემინარზე და ის უნდა შეფასდეს.</p>	<ul style="list-style-type: none"> - კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული ჩვევა - ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი - დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი - ანალიზისა და სინთეზის უნარი - სივრცით და დროით კონტექსტში აზროვნების უნარი - ხარისხის მნიშვნელობის გაცნობიერება - მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია
<p>ლაბორატორიაში მასალების ანალიზი პეტროლოგიური და ბინოკულარული მიკროსკოპის გამოყენებით და ამ მასალების კლასიფიცირება. ეს სავარჯიშო უნდა მოიცავდეს ნიმუშის კომპონენტების (მინერალი, ქანი თუ ნამარხი)</p>	<ul style="list-style-type: none"> - კომპიუტერზე მუშაობის ელემენტარული ჩვევა - ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი - საველე და ლაბორატორიულ პირობებში მოპოვებული მასალის ანალიზი და მიღებული

<p>აღწერასა და ამოცნობას, ზუსტი და დეტალური ანგარიშის შექმნას და მონაცემთა გარკვეულ რაოდენობრივ ანალიზს. მასალის ნიმუშები შესაძლოა სავლე პრაქტიკის დროს იქნეს მოპოვებული.</p>	<p>შედეგების აღწერა, დოკუმენტირება და წარდგენა</p> <ul style="list-style-type: none"> - პროფესიის საფუძვლების ცოდნა - ბუნებრივი მასალების დეტალური აღწერა და დოკუმენტაცია - დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - ხარისხის მნიშვნელობის გაცნობიერება
---	---

6. განათლების ხარისხის ამაღლება

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ჯგუფი, აღიარებს რა ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელობას პროგრამების შექმნისა და განხორციელების პროცესისათვის, ყურადღებას ამახვილებს სავლე პრაქტიკის როლზე აკადემიური პროგრამის ხარისხისათვის. “კომპენსატორული კულტურის” თანამედროვე ტენდენცია, გაზრდილი ხარჯები და პროგრამების მოდულარიზაცია სულ უფრო ართულებს პირველი საფეხურის პროგრამებში სავლე პრაქტიკის ინტეგრაციას. სავლე პრაქტიკა სამი მოდელის მიხედვით ხორციელდება: სტუდენტთა დიდი ჯგუფისათვის პედაგოგის მიერ ბუნებრივი მოვლენების/ლანდშაფტის დემონსტრირება; მცირე ზომის ჯგუფებში პრობლემის გადაჭრაზე მუშაობა; და ინდივიდუალური ან ორკაციანი პროექტები სავლე პირობებში კონკრეტული პრობლემის ანალიზის მიზნით. ყველა ეს მოდელი უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების და მუშაობისათვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებისათვის. პროფესიული საზოგადოებები, როგორც წესი, ითხოვენ იმის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომ კურსდამთავრებულმა შეასრულა სავლე პრაქტიკა ან პროგრამის ფარგლებში, ან პროფესიულ აღიარებამდე. სტუდენტებს მოსწონთ სავლე პრაქტიკა და ეს მათ სამეცნიერო ნაწილის შესწავლას უადვილებს. სრულყოფილი, უსაფრთხო, კარგად დაგეგმილი და განხორციელებული სავლე პრაქტიკის პროგრამა აამაღლებს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ყველა აკადემიური პროგრამის ხარისხს.

2.2.4. განათლების მეცნიერებები

1. შესავალი

განათლება მულტიდისციპლინური დარგია და მთელი რიგი საბაზო დისციპლინებისაგან შედგება, კერძოდ: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ფილოსოფია, გამოყენებითი ლინგვისტიკა, კურიკულუმის შემუშავება, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, სოციალური ანთროპოლოგია და ისტორია. მასწავლებელთა განათლების შემთხვევაშიც, ასევე სხვადასხვა სასწავლო საგანი (მათემატიკა, ენა და ლიტერატურა, საბუნებისმეტყველო საგნები, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება და ა. შ.) გამოიყენება სწავლების, სწავლისა და შეფასების ბუნების ასახსნელად სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მრავალფეროვნების კონტექსტში. იმის გამო, რომ დარგი ორიენტირებულია ადამიანებზე, მას მორალურ და ეთიკურ ფასეულობებს მაღალი პრიორიტეტი აქვს.

დარგი გაყოფილია ორ ფართო, მაგრამ მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროდ: მასწავლებელის განათლება და განათლების მეცნიერებები⁸.

მასწავლებლის განათლება

სადღეისოდ ევროპაში საშუალო სკოლის ყველა მასწავლებელს, დაწყებითი სკოლის თითქმის ყველა და სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლების უმეტესობას აქვს პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი ან ეკვივალენტური განათლება. ბევრ, თუ არა უმეტეს, ქვეყანაში კურიკულუმის კომპონენტები და მიღწევების სტანდარტები შეესაბამება განათლების სამინისტროს ან პროფესიული ორგანოების, მაგალითად, მასწავლებელთა საბჭოების მიერ განსაზღვრულ ნაციონალურ რეგულაციებს, რაც პროგრამების ჰომოგენურობას უზრუნველყოფს. რიგ ქვეყნებში უნივერსიტეტების ავტონომიურობის უპირატესობიდან გამომდინარე სხვადასხვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს შორის შესაძლებელია სერიოზული განსხვავებების არსებობა. მიუხედავად ამისა, მომავალმა მასწავლებელმა უნდა შეიძინოს მთელი რიგი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს აუცილებელს მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად, თავისი დარგის ან კურიკულუმის სფეროში; ასევე სრულად უნდა იყოს გათვითცნობიერებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის განათლების თეორიასა და პრაქტიკაში, განათლების ეროვნულ პრიორიტეტებსა და სწრაფცვალებად და არაპროგნოზირებად სოციალურ კონტექსტში მასწავლებლის, როგორც პროფესიონალის როლზე.

განათლების მეცნიერებების სამუშაო ჯგუფის მონაწილე ქვეყნების 50%-ში პირველი ან მეორე საფეხურის დონე ასევე ითვალისწინებს მასწავლებელთა განათლების საწყის კურსებს უნივერსიტეტის მასწავლებლების, პროფესი-

⁸ ISCED 1997 classification; see http://www.unesco.org/education/nfsunesco/doc/isced_1997.htm

განათლება

14. მასწავლებელთა მომზადება და განათლების მეცნიერებები

მასწავლებელთა მომზადება სკოლამდელი დაწესებულების, საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი სკოლებისათვის, ასევე პროფესიული, პრაქტიკული და არაპროფესიული საგნებისათვის, ზრდასრულთა განათლებისათვის, მასწავლებელთა ინსტრუქტორებისა და ინვალისიტი ბავშვებისათვის. მასწავლებელთა მომზადების ზოგადი და სპეციალური პროგრამები.

ჩვენ არ ვიყენებთ ტერმინს მასწავლებელთა მომზადება, როგორც წესი გამოიყენება ტერმინი მასწავლებელთა განათლება.

განათლების მეცნიერებები: კურიკულუმის განვითარება არაპროფესიულ და პროფესიულ დისციპლინებში. განათლების შეფასება და ტესტირება და გაზომვა, საგანმანათლებლო კვლევები, სხვა საგანმანათლებლო მეცნიერებები.

ული კოლეჯის მასწავლებლებისა და საექთნო საქმის კონსულტანტებისათვის.

ქვეყნების უმეტესობა ასევე უზრუნველყოფს უწყვეტი პროფესიულ განვითარების პროგრამებს მასწავლებლებისათვის, განათლების სხვა პროფესიონალების, ჯანდაცვის მუშაკებისა და სხვებისათვის (რაც შეიძლება სავალდებულოც იყოს), მაგრამ ყოველთვის არ მიყავს უფრო მაღალ კვალიფიკაციასთან. მიუხედავად ამისა, მეორე და მესამე საფეხურის დონეზე აკადემიური ხარისხები ფართოდ ხელმისაწვდომია მათთვის, ვისაც სურს მათი დაუფლება.

განათლების სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა ანომალიური სიტუაცია მასწავლებელთა განათლებასთან დაკავშირებით, პირველ და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხების განხორციელების კონტექსტში. ეს ანომალია განსაკუთრებით შესამჩნევია მასწავლებელთა განათლების თანამიმდევრულ მოდელში, სადაც სტუდენტი სწავლობს ერთ ან ორ აკადემიურ დისციპლინას (180-240 ECTS) მასწავლებლის განათლების დიპლომისშემდგომი (60-90 ECTS) კომპონენტის წინ. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტმა მასწავლებლის განათლების საწყისი კვალიფიკაციის მოსაპოვებლად შეიძლება ჯამში 240-320 კრედიტი დააგროვოს, ქვეყნების გარკვეულ რაოდენობაში ამ გზით აკუმულირებული 300+ ECTS არ ნიშნავს მეორე საფეხურის დიპლომს იმ ფაქტის მიუხედავად, რომ დიპლომისშემდგომი კომპონენტი შესაძლებელია, მნიშვნელოვანწილად, პასუხობდეს მეორე საფეხურის დონის მახასიათებლებს.

- ბოლონის პირველ და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხების სტრუქტურასთან მასწავლებელთა განათლების შესაბამისობისა და მისი სხვა დისციპლინების სფეროებთან შესადარობის უზრუნველყოფის მიზნით, განათლების სამუშაო ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ ზემოაღნიშნულს ხელი უნდა შეეწყოს მასწავლებელთა განათლების პირველი და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხების სტრუქტურით. შემოთავაზებულია მეორე საფეხურის დიპლომისაკენ მიმავალი შესაძლებელი გზების გარკვეული რაოდენობა:
- პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხს არჩეულ დისციპლინაში, 180-240 კრედიტს, მოსდევს თანამიმდევრული მოდელის მასწავლებლის განათლების დიპლომი 90-120 კრედიტის ოდენობით (მინიმუმ 90 კრედიტი იქ, სადაც დისციპლინის დიდაქტიკა ან პედაგოგიკა ჩართულია პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხში) და მოიცავს კვლევითი მომზადების კომპონენტს.
- პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხს არჩეულ დისციპლინაში, 180-240 კრედიტს, მოსდევს მეორე საფეხურის თანამიმდევრული მოდელის მასწავლებლის განათლების დიპლომი 60 კრედიტის ოდენობით, რომელსაც ასევე მოსდევს დროში ლიმიტირებული მეორე საფეხურის დიპლომი განათლების მეცნიერებებსა ან სტრუქტურირე-

ბულ შესავალში (მოიცავს კვლევით მომზადებას) 60 კრედიტის ოდენობით.

- პირველი ციკლს, სადაც სასწავლო დისციპლინა (დისციპლინები) და განათლების კომპონენტი ერთროულადაა მოწოდებული 240 ECTS-ში, მოსდევს მეორე საფეხურის დიპლომი განათლების მეცნიერებებში/ სტრუქტურირებულ შესავალში (მოიცავს კვლევით მომზადებას) 60 კრედიტის ოდენობით.

განათლების მეცნიერებები

პირველ საფეხურის დონეზე განათლების მეცნიერების პროგრამებს შორის მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებაა, მაგრამ ყველა მათგანი მოიცავს საგანმანათლებლო პროცესების, სისტემებისა და მიდგომების და ასევე იმ კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტის დეტალურ შესწავლას, რომელშიც მოქმედებდნენ. მთელ ევროპაში დიდი თანხვედრაა განათლების მეცნიერების პირველი აკადემიური ხარისხის საკვანძო კომპონენტების ფოკუსსა და კონტექსტთან დაკავშირებით. ყურადსაღებია, რომ ნებისმიერი მოცემული პროგრამის სპეციფიკური შინაარსი და ფოკუსი იცვლება მისი გაცხადებული მიზნებისა და ობიექტური მიზნების მიხედვით, მაგრამ შეესაბამება სტუდენტების საჭიროებებს. იმ დროს როცა არსებობს მასწავლებელთა განათლების მეორე საფეხურის პროგრამები, მათი უმეტესობა ფართო ხასიათისაა და უფრო მართებული იქნება თუ მათ განათლების მეცნიერებებს ვუწოდებთ, როგორც ეს სადოქტოროს შემთხვევაში ხდება.

2. აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება

განათლების პროგრამებში ამჟამად აქტივობების მთელი რიგი შეინიშნება, ბოლონის სამ საფეხურიან მოდელთან დაკავშირებით. მაშინ, როცა ზოგიერთმა ქვეყანამ (გაერთიანებული სამეფო, ირლანდია) სამსაფეხურიანი მოდელი დიდი ხნის წინ მიიღო და დანარჩენებიც ამ მხრივ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან, განათლების სამუშაო ჯგუფში არ არსებობს ქვეყანა, რომელშიც არ მიმდინარეობდეს დისკუსია ბოლონის პროცესის განხორციელების შესახებ.

ტიპური აკადემიური ხარისხები მასწავლებლის განათლებაში

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი
პირველი	<p>სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლების, ასევე სხვა სექტორების მასწავლებლების მ. შ. განათლების მეცნიერებების, საგნობრივი და/ან სპეციფიკური პედაგოგიური პროგრამების ხანგრძლივობა განსხვავებულია ევროპის მასშტაბით. სტუდენტები ჩვეულებრივად სწავლობენ ერთ ან ორ აკადემიურ დისციპლინას ან ერთდროულად (უფრო ხშირად სკოლამდელი/დაწყებითი/საშუალო) ან პროგრამის განათლების კომპონენტის წინ (უფრო ხშირად საშუალო). საშუალო სკოლის ყველა მასწავლებელმა პირველი საფეხურის დონეზე უნდა ისწავლოს თავისი არჩეული სასწავლო საგანი და რაც შესაძლებელია წინ უსწრებდეს მასწავლებლის განათლების ელემენტს ისე როგორც შეესაბამება მასწავლებლის განათლების თანამიმდევრულ (consecutive) მოდელს, როდესაც აკადემიურ ხარისხს მოსდევს ერთწლიანი ინტენსიური განათლების პროგრამა, როგორც ეს გვხვდება გაერთიანებულ სამეფოში, ირლანდიასა და ესპანეთში. ზოგიერთ ქვეყანაში მასწავლებლის სტატუსის მისაღებად საჭიროა მომზადება მეორე საფეხურის დონეზე, მაგალითად, ფინეთი.</p>

<p>მეორე</p>	<p>მასწავლების განათლებაში შემოთავაზებული უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების ფართო სპექტრი ხშირად მაგისტრის ხარისხით სრულდება, მაგრამ ზოგჯერ ასევე ვხვდებით დიპლომის შუალედურ დონეს. მეორე საფეხური ჩვეულებრივად საშუალებას აძლევს პროფესიონალს გაიღრმავოს სპეციალიზაცია არჩეულ სფეროში ან მიიღოს კვალიფიკაცია ახალში. მაგალითად, პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის მფლობელი (წმინდა) მათემატიკაში აგრძელებს მეორე საფეხურზე რათა გახდეს მათემატიკის მასწავლებელი. მეორე საფეხურის მასწავლებლის განათლების ტიპური აკადემიური ხარისხი სხვებთან ერთად მოიცავს სპეციალური საჭიროების მქონეთა განათლებას, ძიძების განათლებას, კურიკულუმში სპეციალურ საგანთან დაკავშირებული დიდაქტიკას, ზრდასრულთა განათლებას, ინსტრუქტაჟსა და კონსულტირებას. მეორე საფეხურის პროგრამების უმეტესობას აქვს ძლიერი სასწავლო კომპონენტი, რომელიც მხარდაჭერილია ემპირიული და/ან თეორიული თეზისით ან დისერტაციით, რომელიც პროგრამის ბოლო მესამედს (ან მეტს) ითვლის. სასწავლო კომპონენტი შეიძლება მოიცავდეს ისეთი პროფესიული უნარების განვითარებას, როგორცაა სისტემატური დაკვირვება, ტესტირება, დიაგნოსტიკა და კონსულტირება, ისევე როგორც ცოდნის გაღრმავება და გაფართოვება. ბევრ ქვეყანაში, მთლიანად კვლევაზე დაფუძნებული მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხის მიღებაცაა შესაძლებელი, რომელიც ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, დაკავშირებულია მესამე საფეხურთან.</p>
<p>მესამე</p>	<p>კვლევითი დოქტორანტურა, ჩვეულებრივად მოითხოვს ამომწურავ თეზისში აღწერილ, საერთაშორისო დონის, მნიშვნელოვანი და ორიგინალური კვლევის განხილვასა და დაცვას. ბევრ ქვეყანაში არსებობს მოლოდინი, რომ სწავლის საწყისი ეტაპი უნდა მოიცავდეს კვლევითი ცოდნისა და უნარების განვითარების სასწავლო კომპონენტს და კვლევითი პროექტის პრაქტიკულ დაგეგმვას აკადემიური ხარისხის ემპირიული და/ან თეორიული კომპონენტისათვის.</p> <p>ძალზედ ცოტა ქვეყანაში (დანია, პორტუგალია, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო) შემოიღეს (ან ამჟამად მიმდინარეობს მისი შემოღება) ახალი ფორმის სადოქტორო ხარისხი ძლიერი პროფესიული ფოკუსით. ეს პროფესიული დოქტორანტურა მოიცავს საგნის უფრო გაძლიერებული შესწავლის შეფასებულ კომპონენტს და კვლევითი დოქტორანტურის მსგავს, მაგრამ უფრო შემცირებულ, ორიგინალურ კვლევაზე დაფუძნებულ თეზისს.</p>

ტიპური აკადემიური ხარისხები განათლების მეცნიერებებში

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი
პირველი	<p>განათლების მეცნიერებებში პირველ აკადემიურ ხარისხს აქვს ტენდენცია მულტიდისციპლინარულობისაკენ სხვა საგნების ძლიერი ელემენტებით. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთში პირველი აკადემიური ხარისხი განათლებაში ფოკუსირებულია განათლებაზე ფართო გაგებით და მთელ მისი კომპლექსურობით. პროგრამები იყენებენ ფართო დიაპაზონის ინტელექტუალურ რესურსებს, თეორიულ პერსპექტივებს და აკადემიურ დისციპლინებს, რათა განმარტონ განათლების არსი და კონტექსტი, რომელშიც ის ხორციელდება. ტიპური აკადემიური ხარისხი უნდა მოიცავდეს განათლების პრინციპებს, განათლების ისტორიას, განათლების სოციოლოგიას, ზრდასრულთა განათლებას, განათლების ფსიქოლოგიას, ახალგაზრდობასთან და/ან სათემო მუშაობას, კურიკულუმის განვითარებას, განათლების ადმინისტრირებას, ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საქმეს, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, საბიბლიოთეკო საქმესა და ინფორმაციის მენეჯმენტს, სოციალურ განათლებას, სპეციალურ საჭიროებების განათლებას, საგანმანათლებლო პოლიტიკას, საგანმანათლებლო ინოვაციას, სკოლის მენეჯმენტს. პირველი აკადემიური ხარისხის დონეზე სახეზეა საგანმანათლებლო კვლევის სპეციალური კომპონენტის არსებობის მზარდი ტენდენცია. ეს კომპონენტი მოიცავს ისეთ საგნებს, როგორცაა საგანმანათლებლო კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, კვლევის მეთოდები და მოდელები განათლებაში და სტატისტიკის საფუძვლები.</p>
მეორე	<p>ისევე როგორც მასწავლებელთა განათლების მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი, განათლების მეცნიერებების მეორე საფეხური საშუალებას აძლევს პროფესიონალებს გაიღრმავონ სპეციალიზაცია თავის არჩეულ სფეროში სპეციალიზაცია მოიცავს: განათლების ფსიქოლოგიას, განათლების მენეჯმენტს, განათლების ანთროპოლოგიას, განათლების ფილოსოფიას და განათლების სოციოლოგიას. მეორე აკადემიური ხარისხის უმეტესობა შედგება სასწავლო კომპონენტისაგან, მაგრამ კვლევაზე დაფუძნებული დისერტაცია ან გამოყენებითი პროექტი შეადგენს სულ მცირე 30%-ს. რამდენიმე ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთი, ფინეთი, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო (ამ უკანასკნელში განათლების ფსიქოლოგიაში), ზოგიერთი მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხის პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ მუშაობას პროფესიულ გარემოში. ისევე როგორც მასწავლებლის განათლებაში, შესაძლებელია კვლევაზე დაფუძნებული მეორე საფეხურის დამთავრებაც. განათლების მეცნიერებებში მეორე საფეხურის ტიპური აკადემიური ხარისხებია: სპეციალური საჭიროებების განათლება; მესამე ასაკის განათლება; ინტერკულტურული განათლება; განათლების პროცე-</p>

	სის შეფასება; სკოლის მენეჯმენტი; ზრდასრულთა განათლება; თავისუფალი დროის (დასვენების) განათლება; სოციალური პედაგოგია.
მესამე	შეესაბამება ზემოაღწერილ მასწავლებლის განათლების მესამე საფეხურს.

განათლების მეცნიერებებში უმაღლესდამთავრებულთა ტიპური დასაქმების სფეროები (პროფესიების რუკა)

საფეხური	დასაქმება
პირველი	<p>მასწავლებლის განათლება სკოლის მასწავლებელი, ძიძის განათლება, უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული განათლება. განსაზღვრული სასკოლო საგნის (მაგალითად, მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ენები) მასწავლებელი. შეუძლია სამსახურის მოძებნა ასევე განათლების სისტემის გარეთ (კომუნიკაცია, ბიზნესი და სხვა).</p> <p>განათლების მეცნიერებები ყველა ტიპის განათლების პროგრამები ანვითარებს აზროვნებისა და საქმიანობის იმ გზებს, რომლებიც ხასიათდება მაღალი ტრანსფერულობით და ამ პროგრამების უმაღლესდამთავრებულების ნახვა შესაძლებელია მთელ რიგ პროფესიებში: სამუზეუმო საქმე, ახალგაზრდობის ლიდერობა, სათემო საქმიანობა, გამომცემლობა (საგანმანათლებლო მასალების დაგეგმვა და შეფასება), ადგილობრივ და ეროვნულ საგანმანათლებლო ადმინისტრაციები, კონსულტირება განათლებაში, განათლების მენეჯმენტი, საგანმანათლებლო მომსახურება, ისეთი სპეციფიკური ჯგუფების სწავლება, როგორცაა მოზარდები, მესამე ასაკის დახმარება, იმიგრანტთა დახმარება და პერსონალის მენეჯმენტი, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით გამოირჩევა შვედეთში.</p>
მეორე	<p>მასწავლებლის განათლება სკოლის მასწავლებელი (მაგალითად, ფინეთი), ლიდერობა და მენეჯმენტი; საგანმანათლებლო დაწესებულებებში უფრო სპეციალური და საზედამხედველო როლი; მკვლევარი; კონსულტანტი/მრჩეველი; სპეციალური განათლების კოორდინატორი; განათლების ფსიქოლოგი (გაერთიანებული სამეფო).</p> <p>განათლების მეცნიერებები თავის არჩეულ სფეროში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე ან თავის სპეციალიზაციასთან დაკავშირებულ ახალ პოზიციაზე დაწინაურების შესაძლებლობა, მკვლევარი.</p>
მესამე	მასწავლებლის განათლება და განათლების მეცნიერება/მეცნიერებები

	<p>უნივერსიტეტის, პოლიტექნიკურისა და კოლეჯის ლექტორი; მკვლევარი; სამინისტროსა და მასწავლებელთა განათლების სააგენტოს პროფესიონალები; სულ უფრო მზარდი რაოდენობა პოულობს სამუშაოს დამოუკიდებელ კვლევით ინსტიტუტებში; ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე (განათლების ეროვნული საბჭო, რეგიონული განვითარების ცენტრები) განათლების ადმინისტრირებაში კვლევისა და განვითარების სამსახურები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები; წამყვანი პოზიციები კურიკულუმის განვითარებაში.</p>
--	--

დარგობრივი სფეროს როლი სხვა აკადემიური ხარისხების პროგრამებში

განათლების მეცნიერებები და მასწავლებელთა განთლება ბევრ სხვა აკადემიურ პროგრამასთანაა დაკავშირებული.

- მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საგნის ცოდნის ბაზა. აქედან გამომდინარე, სკოლის კურიკულუმთან დაკავშირებული ყველა საგანს აქვს გარკვეული კავშირი განათლებასთან.
- განათლების მეცნიერებები შეიძლება შეადგენდეს სხვა აკადემიური ხარისხის პროგრამების ნაწილს ისეთ სფეროებში, როგორცაა: ისტორია, ბიზნესი, ან სხვა საგნებთან ერთობლიობაში, მაგალითად ისტორიასა და ბიზნესის ადმინისტრირებასთან ერთად სამუხეუმო საქმეში.
- ევროპის ბევრ უნივერსიტეტში სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მცირე კომპონენტის თავისუფალი არჩევანის უფლება აქვთ დაამ კომპონენტის შესასრულებლად ბევრი მათგანი ირჩევს განათლების მოდულს. ასეთები არიან მაგალითად, ფსიქოლოგიის, სხვა სოციალური მეცნიერებების (სოციოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები), ან იმ სფეროების სტუდენტები, რომლებსაც თავისი პირველი აკადემიური ხარისხის შემდეგ შეუძლიათ სწავლა მასწავლებლის განათლების პროგრამებით გააგრძელონ.
- განათლების ზოგიერთ სფეროებში, მაგალითად, განათლების ფსიქოლოგია, საწყის პირველ აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიაში შეიძლება მოსდევდეს სამაგისტრო დონე განათლების ფსიქოლოგიაში. განათლების ფსიქოლოგად მუშაობისათვის, ჩვეულებრივად მოითხოვება კლინიკაში მუშაობის ან მასწავლებლობის გარკვეული გამოცდილება
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებთან დაკავშირებული პროგრამების უმეტესობის ნაწილს შეიძლება შეადგენდეს განათლების მოდული.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები, საფეხურის დონის მახასიათებლები

განათლების მეცნიერებებში იდენტიფიცირებული კომპეტენციები თავსებადია კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოსა და დუბლინის მახასიათებლებთან. ამასთან, განათლების სამუშაო ჯგუფი აღნიშნავს, რომ კომპეტენციების ჩამონათვალი არაა ამომწურავი ან საბოლოო. ეს იდენტიფიცირებული კომპეტენციები მხოლოდ მაჩვენებლის ფუნქციას ატარებს და ასეც უნდა იქნეს გამოყენებული.

პირველი საფეხური	
<p>კომპეტენციების უმეტესობა (ზოგადი და დარგობრივი/სპეციფიკური) საერთოა როგორც მასწავლებელთა განათლების, ასევე განათლების მეცნიერებებისათვის; ზოგიერთი კომპეტენცია სპეციფიკურია მასწავლებელთა განათლებისათვის. ყველა კომპეტენცია არ შეიძლება სრულად განვითარდეს პირველი საფეხურის დამთავრებისას. მათი განვითარება გრძელდება პროფესიული ცხოვრების უწყვეტობის პირობებში და ხშირად ფოკუსირებულია პროფესიული განვითარებისა და მომზადების პერიოდზე, მაგრამ აუცილებელი არაა მათი ფორმალური განათლების კონტექსტში განვითარება.</p>	
საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები	საკვანძო ზოგადი კომპეტენციები
<p><i>საერთო მასწავლებლის განათლებისა და განათლების მეცნიერებების /კვლევებისთვის</i></p> <p>მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს, ისევე როგორც განათლების მეცნიერებების პროგრამების უმაღლესდამთავრებულებს, უნდა შეეძლოთ ეფექტიანად მუშაობა სამ ურთიერთგადამფარავ სფეროში. მათ უნდა შეძლონ:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუშაობა შესწავლილი საგნის ცოდნით და ინფორმაციით, ასევე საგანმანათლებლო საკითხებითა და მათი თეორიული საფუძვლებით; - მუშაობა თავის კოლეგებთან – მოსწავლეებთან /პრაქტიკანტებთან, მასწავლებლებთან და განათლების სხვა პარტნიორებთან. რაც მოიცავს 	<p><i>საერთო მასწავლებლის განათლებისა და განათლების მეცნიერებების /კვლევებისთვის</i></p> <ul style="list-style-type: none"> - სწავლის უნარი; - საკომუნიკაციო უნარები; - ჯგუფში მუშაობის უნარი; - საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; - პრობლემების გადაჭრის უნარი; - ავტონომიურობა; - რეფლექციის უნარი; - ინტერპერსონალური უნარები; - დაგეგმვა და დროის მენეჯმენტი; - გადაწყვეტილებების მიღება; - მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემა; - ეთიკური შეხედულებები; - კრიტიკული და თვითკრიტიკული აზროვნების უნარები; - თავისი სწავლისა და საქმიანობის გაუმჯობესების უნარი, რომელიც მოიცავს სასწავლო და კვლევითი

<p>სპეციალურ კონტექსტში ადამიანის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული კომპლექსური სიტუაციების ანალიზის უნარს.</p> <ul style="list-style-type: none"> - მუშაობა საზოგადოებასთან – ლოკალურ, რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ და უფრო ფართე გლობალურ დონეზე, რაც მოიცავს შესაბამისი პროფესიული ფასეულობების განვითარებას და მათ შესაბამის კონტექსტსა და პრაქტიკაში გააზრების უნარს. - რეფლექციის უნარი, რომელიც მოიცავს საკუთარი და სხვების ღირებულებათა სისტემის, განვითარებისა და გამოცდილების კრიტიკული გააზრების უნარს. <p><i>მასწავლებლის განათლება</i></p> <ul style="list-style-type: none"> - კომპეტენცია სწავლების/სწავლისა და შეფასების მთელ რიგ სტრატეგიებში; მათი თეორიული საფუძვლების ცოდნა. - სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კონტექსტის მიუხედავად ყველა მოსწავლისათვის სწავლის ხელშემწყობი თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნის უნარი. 	<p>უნარების განვითარებას;</p> <ul style="list-style-type: none"> - ანალიზის, სინთეზის, შეფასების, პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების შემუშავების უნარი; - პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება.
მეორე საფეხური	
საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები	საკვანძო ზოგადი კომპეტენციები
<p><i>საერთოა მასწავლებლის განათლებისა და განათლების მეცნიერებების /კვლევებისთვის</i></p> <ul style="list-style-type: none"> - მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის კომპეტენცია; - სპეციფიკურ საგანმანათლებლო კონტექსტში საქმიანობის ადაპტირების უნარი; 	<p>საერთოა მასწავლებლის განათლებისა და განათლების მეცნიერებების /კვლევებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> - კვლევის განხორციელების უნარი; - ლიდერობის უნარი; - საკომუნიკაციო უნარები, მოიცავს უფრო მაღალ პროფესიულ საკომუნიკაციო უნარებს; - საკუთარი საქმიანობის რეფლექციისა და შეფასების უნარი;

<ul style="list-style-type: none"> - ძირითად საგანმანათლებლო სფეროში ცოდნისა და გაგების განვითარება არჩეულ პროფესიული სპეციალიზაციაში: განათლების მენეჯმენტი და ადმინისტრირება, კურიკულუმის განვითარება, საგანმანათლებლო პოლიტიკა, ზრდასრულთა განათლება, პრობლემური სწავლა, საბავშვო ლიტერატურა; - საქმიანობის განსახორციელებლად დისციპლინის შესაბამისი კვლევების გამოყენების უნარი; - საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამისი ფასეულობების გააზრების უნარი. 	<ul style="list-style-type: none"> - ცოდნის განვითარებასა და შექმნასთან ასოცირებული მოწინავე კოგნიტური უნარების განვითარება.
<p>მასწავლებელთა განათლება და განათლების მეცნიერებები, მესამე საფეხური</p>	
<p>საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები</p>	<p>საკვანძო ზოგადი კომპეტენციები</p>
<ul style="list-style-type: none"> - განათლების სფეროში არსებული მოწინავე ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილის შექმნა და აღქმა; - პერსონალური პასუხისმგებლობისა და ფარო ავტონომიური ინიციატივის გამოჩენა კომპლექსურ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში, პროფესიულ ან ეკვივალენტურ კონტექსტში, რომელიც უკავშირდება განათლებას, როგორც ფართო სფეროს; - გარკვეულ საგანმანათლებლო და პროფესიულ კონტექსტებში ცოდნის გამოყენების ფართო გავლენების კრიტიკის უნარი; - სოციალური ნორმებისა და განათლების გარკვეულ სფეროში არსებული ურთიერთობებისა ყურადღებით განიხილვა და გააზრება, ქმედებების 	<ul style="list-style-type: none"> - ახალი ცოდნის შექმნა და ინტერპრეტირება ორიგინალური კვლევის ან სხვა მოწინავე სამეცნიერო მიღწევების მეშვეობით, რომელთა ხარისხი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აკმაყოფილებს კოლეგების მხრიდან განხილვას; - სწავლის სფეროსთან ასოცირებული წამყვანი უნარების, ტექნიკის, ინსტრუმენტების, პარაქტიკული საქმიანობის და/ან მასალების მნიშვნელოვანი წრის დემონსტრირების შესაძლებლობა; - ახალი უნარების, ტექნიკების, ინსტრუმენტების, პარაქტიკული საქმიანობისა და მასალების განვითარება; - აბსტრაქტულ პრობლემებზე იმგვარი რეაგირება, რომელიც აფართოვებს და თავიდან განსაზღვრავს არსებულ პროცედურულ ცოდნას; - კვლევისა და ინოვაციების შედეგების შესახებ კომუნიკაცია

<p>წარმართვა მათი შეცვლისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> - ორიგინალური კვლევის განხორციელების შესაძლებლობა; განათლების სხვადასხვა სფეროში და/ან სკოლის პედაგოგიკაში დამოუკიდებელი, ორიგინალური და საბოლოოდ გამოქვეყნებადი კვლევის შესრულების დემონსტრირების უნარი. 	<p>კოლეგებთან;</p> <ul style="list-style-type: none"> - კრიტიკულ დიალოგში ჩართვა; პროფესიული ინტერესების სფეროში კომპლექსური სოციალური პროცესების გენერირება და გაძლიერება; კრიტიკული კომპეტენციები ე. ი. კრიტიკული და თვითკრიტიკული აზროვნების უნარი; - საზოგადოების წინაშე სამეცნიერო კვლევის პრეზენტირება და დაცვა; - შემოქმედებითობა.
---	--

დარგობრივი კომპეტენციები განათლების მეცნიერებებში

დარგობრივი კომპეტენციების ქვემოთმოყვანილი სია შემუშავებულია განათლების მეცნიერებების სამუშაო ჯგუფის მიერ და შეფასებულია ყოფილი სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკვლევაში.

განათლების მეცნიერებები

1. საგანმანათლებლო კონცეფციის, თეორიის და პოლიტიკის საკითხების სისტემური ანალიზის უნარი.
2. დარგობრივი ცოდნის ასპექტებსა და საგანმანათლებლო პოლიტიკასა და კონტექსტში მათ გამოყენებას შორის პოტენციური კავშირების იდენტიფიცირების უნარი;
3. საკუთარი ღირებულებების სისტემაზე რეფლექციის უნარი;
4. იმ თეორიებისა და კონცეფციების განხილვის უნარი, რომლებიც გვხვდება განათლების მეცნიერებებში;
5. სასწავლო პროცესის კომპლექსურობისა და მოსწავლეთა/სტუდენტთა მრავალფეროვნების აღიარების უნარი;
6. იმ განსხვავებული კონტექსტების ცოდნა, რომელშიც შეიძლება განხორციელდეს სასწავლო პროცესი;
7. სასწავლო პროცესში მონაწილეების განსხვავებული როლების ცოდნა;
8. საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების გაგება;
9. სხვადასხვა კონტექსტში საგანმანათლებლო კვლევის განხორციელების უნარი;
10. კონსულტირების უნარი;
11. სკოლის გაუმჯობესების/განვითარების პროექტების მართვის უნარი;
12. საგანმანათლებლო პროგრამების მართვის უნარი;
13. საგანმანათლებლო პროგრამების/მასალების შეფასების უნარი;
14. ახალი საგანმანათლებლო საჭიროებებისა და მოთხოვნების დანახვის/განჭვრეტის უნარი;

15. მულტიდისციპლინარული საგანმანათლებლო ჯგუფის კოორდინირების ან გაძლიერების უნარი.

მასწავლებლის განათლება

16. მოსწავლის წარმატებებისა და მიღწევებისათვის ხელშეწყობა;
17. კომპეტენცია სწავლება/სწავლის მთელ რიგ სტრატეგიებში;
18. მოსწავლეებისა და მშობლების კონსულტირების კომპეტენცია;
19. შესაბამისი სასწავლო საგნის ცოდნა;
20. ჯგუფებთან და ინდივიდებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
21. სწავლის ხელშემწყობი კლიმატის შექმნის უნარი;
22. ელექტრონული რესურსების გამოყენებისა და სასწავლო გარემოში მისი ინტეგრირების უნარი.
23. დროის ეფექტური მართვის უნარი;
24. საკუთარი საქმიანობის რეფლექციისა და შეფასების უნარი;
25. უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერების უნარი;
26. მოსწავლის მიღწევებისა და სწავლის შედეგების შეფასების უნარი;
27. კომპეტენციები პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტაში;
28. მოსწავლის მრავალფეროვან საჭიროებებზე რეაგირების უნარი;
29. სწავლების/სწავლის გარემოს გაუმჯობესების უნარი;
30. სპეციალური საგანმანათლებლო კონტექსტისათვის კურიკულუმის ადაპტირების უნარი.

კონსულტაციების პროცესი დაინტერესებულ მხარეებთან

თუნიზის პროექტის პირველ ფაზაში განათლების სამუშაო ჯგუფმა გაიარა კონსულტაციები ყოფილ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა აკადემიურ პერსონალთან, რათა დაედგინა თავისი შეხედულებები დარგობრივ(სპეციფიკურ) და ზოგად კომპეტენციებზე, რომლებიც რელევანტური იქნებოდა მასწავლებლის განათლებისა და განათლების მეცნიერებების დარგობრივი სფეროებისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა ამ კონსულტაციების შედეგად მიღებულია კომპეტენციების საჩვენებელი ჩამონათვალი. თუნიზის პირველ და მეორე ფაზაში სამუშაო ჯგუფი დრო და დრო გადიოდა კონსულტაციებს ასევე სხვა აკადემიურ პერსონალთან, რათა მიეღო უკუკავშირი კოლეგებისაგან მათ მიერ წამოწეულ საკითხებზე, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის გაანგარიშებაზე.

განათლებასთან დაკავშირებული პროფესიები ფართოდაა წარმოდგენილი პროფესიული ორგანოებით, სწავლულთა საზოგადოებებითა და მარეგულირებელი ორგანოებით, რომელთა უმეტესობა მიეკუთვნება ევროპულ ქსელებს. ზოგიერთ ქვეყანაში ამჟამად იქმნება სხვა პროფესიული მარეგულირებელი ორგანოების, მაგალითად, სამედიცინო საბჭოები, მსგავსი სასწავლო საბჭოები. იქ, სადაც ასეთი საბჭოები ან სხვა სააკრედიტაციო ორგანოები არსებობს, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებები მასწავლებლის განათლებისა და განათლების მეცნიერებების პროგრამების განსახორციელებლად საჭიროებენ პროფესიულ აკრედიტაციას და ვალდებულნი არიან გაიარონ კონსულტაციები ამ ორგანოებთან და ხელი შეუწყონ სააკრედიტაციო ვიზიტებს. ბევრ ქვეყანაში სტუდენტებს, როგორც დაინტერესებულ მხარეებს, ასევე მათ ეროვნულ ორგანოებს, შეიძლება ჰყავდეთ წარმომადგენელი სააკრედიტაციო ორგანოში ეროვნულ დონეზე.

მასწავლებლის განათლების პროგრამასა და სტუდენტების სასწავლო პრაქტიკას შორის მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან (ანუ სკოლის მასწავლებლებთან ან დირექტორებთან) უწყვეტ კონსულტაციებს თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთობის შესახებ, ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ მასწავლებლის განათლების პროგრამის რომელი ნაწილი უნდა გაუმჯობესდეს, რათა უკეთ შეესაბამებოდეს "დღევანდელი სკოლის რეალობას".

სხვა დაინტერესებული მხარეებს წარმოადგენენ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლები. მაგალითად, ბაზარზე მზარდად ორიენტირებულ საზოგადოებაში მშობლები, როგორც "მომხმარებლები" ირჩევენ სკოლებს თავისი შვილებისათვის და ამით ზეწოლას ახდენენ სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რათა მათ რეაგირება მოახდინონ მომხმარებლების მოთხოვნებზე და შესაბამისი განათლება მისცენ მასწავლებლებს.

უნივერსიტეტები, რომლებიც ახორციელებენ განათლების მეცნიერების პროგრამებს (ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტიკურ მეცნიერებებთან, ჟურნალისტიკასთან შესაძლო კომბინაციით) სულ უფრო ხშირად ატარებენ ყოფილი სტუდენტების და შესაბამისად მათი დამსაქმებლების გამოკითხვას, რათა გაარკვიონ თუ რომელი პროფესიები უნდა დააკავშირონ ერთმანეთს, რომ შრომის ბაზარის საჭიროებებზე იყვნენ ორიენტირებულნი.

სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებთანაც რეგულარულად მიმდინარეობს კონსულტაციები მასწავლებელთა განათლებასა და განათლების მეცნიერებაში, წარმოადგენენ დამსაქმებელთა ჯგუფები, ისეთები როგორცაა სკოლის დირექტორების ეროვნული ორგანიზაციები, ან განათლების ფსიქოლოგები, საკონსულტაციო ორგანიზაციები, მასწავლებელთა კავშირები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, ადგილობრივი განათლების ადმინისტრატორები და სხვა.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

ძალზედ რთულია ამ საკითხის კონტურების მოხაზვა ბოლონის პროცესამდე და პოსტბოლონიურ სტრუქტურებს შორის განსხვავების ჩვენების გარეშე. ბოლონიამდელ პირველ საფეხურს შესაძლოა 300 ECTS -ის ეკვივალენტიც კი შეედგინა და ახალი სამართლებრივი ბაზა, რომელსაც მივყევართ ქვემოთმოყვანილ ციფრებამდე, მხოლოდ ნაწილობრივადაა

განხორციელებული. ამასთან, ქვემოთმოყვანილი მონაცემები შეგროვებულ იქნა განათლების სამუშაო ჯგუფის წევრებიდან. მასწავლებლების განათლება წარმოადგენს არათანამიმდევრულობის მაგალითს ბოლონის პროცესის განხორციელებასთან მიმართებაში.

საფეხური	ECTS კრედიტები
პირველი	<p><i>მასწავლებლის განათლება</i></p> <p>180 – 240 კრედიტი თუ მთლიანად განთავსებულია პირველ საფეხურზე; სადაც გაყოფილია პირველ და მეორე საფეხურებს შორის მთლიანი ჯამი შესაბამისად უფრო დიდია. საშუალო სკოლის მასწავლებლისთვის ეს შეიძლება შეადგენდეს პირველი საფეხურის 180 – 240 კრედიტს დამატებული 60-80 კრედიტის ეკვივალენტი ერთწლიანი სადიპლომო კურსი. ეს სადიპლომო კურსი შეიძლება წარმოადგენდეს მეორე საფეხურის ელემენტს, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ის პირველი საფეხურის დიპლომია, მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია პირველი საფეხურის შემდეგ. დაწყებითი სკოლის მასწავლებლის სტატუსისათვის ფართოდაა გავრცელებული ინტეგრირებული აკადემიური ხარისხი 240 კრედიტის ოდენობით. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში თანამიმდევრული მოდელი ასევე შესაძლებელია დაწყებითი</p>
მეორე	<p><i>მასწავლებლის განათლება და განათლების მეცნიერებები</i></p> <p>60-120. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერეჯერობით ყველა ქვეყანას არ აქვს გაყოფილი პირველი და მეორე საფეხურის პროგრამები. ერთწლიანი დიპლომი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს მეორე საფეხურის კვალიფიკაციას, მაგრამ ყოველთვის არ ხდება მისი ECTS-ის კრედიტებით გაზომვა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საბაერძნეთში, ტერმინი „მასწავლებლის განათლება“ მხოლოდ პირველი საფეხურის დონეზე არსებობს, შემდეგ საფეხურზე კი ყველასთვის გამოიყენება ტერმინი „განათლების მეცნიერებები“.</p>
მესამე	<p><i>მასწავლებლის განათლება და განათლების მეცნიერებები</i></p> <p>120 პოსტმეორე საფეხური ე. ი. იქ სადაც მეორე საფეხური დაკავშირებულია სადოქტორო შრომასთან. სხვაგვარი, 180, ჩვეულებრივ ასოცირებულია მესამე საფეხურის დასრულებულ სწავლასთან. ბევრ ქვეყანაში სადოქტოროს ხანგრძლივობა ჯერ არაა განსაზღვრული კრედიტებში და დასრულების ჩვეულებრივი ვადა შეიძლება დასრულებული სწავლების 4-6 წელს ან მეტს შეადგენდეს.</p>

უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცის ფარგლებში მოცემულ დარგობრივ სფეროში არსებული ტენდენციები და განსხვავებები

განათლება და მომზადება ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკის პრიორიტეტია. ევროკავშირში განათლებისა და მომზადების სისტემის

განვითარების სტრატეგიული მიზნები განისაზღვრა და ევროპულ დონეზე დეტალურ პროგრამაზე გადაწყვეტილება მიღებულია. ევროკომისია, განათლებისა და კულტურის გენერალური დირექტორატი მასწავლებლის განათლებასა და საგანმანათლებლო კვლევებს განიხილავს, როგორც „სასიცოცხლოს“ ლისაბონის მიზნების მისაღწევად. ეს პოზიცია განმეორდა საბჭოს მადრიდის შეხვედრაზე და ასევე საბჭოს და კომისიის ერთობლივ ანგარიშში „განათლება და მომზადება 2010“. ცოდნაზე დაფუძნებული და დინამიური, ნასწავლი საზოგადოება დამოკიდებულია მრავალფეროვან კონტექსტში მომუშავე (მაგალითად, სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, @-სწავლება, ინკლუზიური განათლება, საუნივერსიტეტო განათლება) მაღალკვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებზე. როგორც შედეგი, პედაგოგებისა და განათლებასთან დაკავშირებული პროფესიებით მომუშავეთა საწყისი განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება გახდა სწრაფი გაფართოების, დივერსიფიკაციისა და პროფესიონალიზაციის საგანი. ამკარა გახდა შემდეგი ტენდენციები:

- განათლების სფეროს აკადემიური პერსონალის როლი უნივერსიტეტის პედაგოგების მომზადებაში. თუნიგის პროექტში წარმოდგენილი ქვეყნების 50%-ში უნივერსიტეტის პედაგოგებისათვის ამჟამად არსებითს წარმოადგენს საწყისი განათლება სწავლებაში;
- სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოიჩინდა, როგორც კვლევის განსაკუთრებული სფერო;
- მაშინ, როდესაც წევრ ქვეყნებს შორის, მასწავლებლის განათლებასა და განათლების მეცნიერებებში, ზედაპირულ დონეზე სახეზეა ამკარა ნაციონალური განსხვავებები, ბევრ მსგავსებასა და საერთოს ვხვდებით უფრო ღრმა სტრუქტურულ დონეზე. რაც ევროპული მოდულებისა და კურსები განხორციელების საშუალებას იძლევა და ეს ტენდენცია უკვე შესამჩნევია;
- მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად და ახლაც ბევრ ქვეყანაში, მასწავლებლის განათლება დაფუძნებული იყო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე, ზოგიერთი მთავრობა ამჟამად პრიორიტეტს ანიჭებს კაბინეტურ კვლევას, თავდაჯერებული, რომ საგანმანათლებლო პრაქტიკასთან ეს პირდაპირ შესაბამისობაში იქნება. ამას მივყევართ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის, როგორც მასწავლებლის განათლების ფილოსოფიის, ზრდასთან;
- შესაბამისად, ქვეყნების სულ უფრო მზარდ რაოდენობაში, მასწავლებელთა საწყისი მომზადების პროგრამებში ხორციელდება კვლევითი კომპონენტის ჩართვა. ამასთან, ეს ელემენტი ჯერ არ გამხდარა ევროპის მასშტაბით პირველ საფეხურზე მასწავლებელთა მომზადების ყველა მოდელის ინტეგრალური ნაწილი. მიუხედავად

ამისა, კვლევის კომპონენტი ჩვეულებრივად წარმოადგენს მეორე საფეხურის ყველა პროგრამის ინტეგრალურ ნაწილს.

- ყველა, განსაკუთრებით მეორე და მესამე, საფეხურისათვის მზარდ ტენდენციას წარმოადგენს დაუსწრებელი სწავლება. ეს დაკავშირებულია პარალელურ - პირველი საფეხურის შემდეგ თვითდაფინანსების - ტენდენციასთან, რომელიც უკვე კარგად ჩამოყალიბებულია ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგრამ განუხრელად ვრცელდება მთელ ევროპაში;
- მასწავლებლის განათლებაზე კანდიდატთა რაოდენობა იზრდება. მასწავლებლების დეფიციტის, ეკონომიკური დაცემისა თუ ალტრუიზმის გავლენით, სხვა სფეროს ჩამოყალიბებული პროფესიონალები უბრუნდებიან სწავლებას. ამ კანდიდატებს ჩვეულებრივად აქვთ აკადემიური ხარისხი სხვა დარგებში და ხშირად აკრედიტაციის გზით ლებულობენ დაშვებას მათ მიერ არჩეულ მასწავლებლის განათლების პროგრამაზე. ამკარაა, რომ ასეთ, უკვე ჩამოყალიბებულ კანდიდატებს პოზიტიურად ეპყრობა აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.
- ევროპაში გამოჩნდა პროფესიული დოქტორანტურა (გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, პორტუგალია). ამან შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს განათლებასთან დაკავშირებული სფეროების პროფესიონალებისათვის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების შესაძლებლობის ტენდენციას;
- სადოქტორო სწავლების კიდევ ერთ ტენდენციას წარმოადგენს მოძრაობა სწავლის ხანგრძლივობის შემცირება წლების/სასწავლო დატვირთვის გონივრული ზღვრებისაკენ (ძირითადად მოტივირებულია უნივერსიტეტებში ხელმძღვანელობის რეალური ღირებულების ანალიზით);
- მეორე საფეხურის დონეზე პროგრამების მიერ დისტანციური ელემენტების შემოთავაზება და ინტერნეტ რესურსების, როგორც სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ნაწილის, გამოყენება სულ უფრო მზარდი ტენდენციის სახეს იღებს.

5 სწავლა, სწავლება და შეფასება

განათლების მეცნიერებები, სერიოზული პრაქტიკული საფუძვლების მქონე მრავალი აკადემიურ პერსონალით, ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული სწავლა, სწავლება, შეფასების მიდგომებით. სასწავლო პროცესში წარმატებული მაგალითების შეგნებული დემონსტრირება განათლების მეცნიერებების აკადემიური პერსონალის დიდი ხნის ტრადიციას წარმოადგენს. სტუდენტების კომპეტენციებზე ორიენტირებული კურიკულუმის შემუშავებისა და სწავლა, სწავლება და შეფასების თუნინგის მიდგომები უკვე კარგადაა ჩამოყალიბებული განათლების ისეთ სფეროში, როგორცაა მასწავლებლის განათლება; ასევე ვითარდება ზრდასრულთა განათლების და კომპეტენციების

განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ძალზედ ღირებული პედაგოგიური გამოცდილება. ქვემოთ მოყვანილია წარმატებული გამოცდილების სამი ინდიკატორი განათლების მეცნიერებებიდან, რომლებიც შესაძლებელია ასევე რელევანტურია სხვა დისციპლინებისთვისაც.

წარმატებული გამოცდილება

დაკვირვების უნარების განვითარება (პირველ ან მეორე საფეხურის სწავლა და სწავლება)

ჩამოყალიბებული კომპეტენციები:

- გარკვეულ კონტექსტში ადამიანის სწავლისა და განვითარების კომპლექსური სიტუაციების ანალიზის უნარი მ. შ. საკუთარი სწავლის;
- საგნობრივად აღწეროს რა არის შესწავლილი, მოახდინოს მისი კატეგორიზაცია და ანალიზი; განახორციელოს მოვლენის დაკვირვებაზე დაფუძნებული, თეორიულად მყარი შეფასება;
- შეაფასოს თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია საკუთარ ფასეულობებსა და მრწამსს კონკრეტულ მოვლენაზე დაკვირვების განხორციელებისას;
- ანალიზისა და შეფასების განვითარების ხელშესაწყობად გამოიყენოს ფაქტები ლიტერატურიდან და კვლევებიდან.

სწავლა, სწავლების და შეფასების მეთოდი

ეს მეთოდი ხშირად ასოცირებულია სწავლებისა და სწავლის საკითხზე ან პრობლემაზე დაფუძნებულ მიდგომასთან.

დაკვირვება სამუშაო და სასკოლო პრაქტიკის ძირითადი ელემენტია. დაკვირვების უნარების გამომუშავებისათვის პრაქტიკა შეიძლება დაიწყოს ძალიან კონკრეტული, ადვილად დასაკვირვებელი და აღსაწერი (მინიმალური დასკვნა) მოვლენით (ვინ ვის ესაუბრება, რამდენჯერ განმეორდა X და ა. შ.) და თანდათანობით ჩაერთოს უფრო გართულებული, „დასანახად“ და აღსაწერად ნაკლებად ადვილი მოვლენები (მაქსიმალური დასკვნა), ისეთი როგორცაა: რა როლს თამაშობენ ადამიანები, რა მიზანი აქვს კონკრეტულ საქმიანობას.

კონსულტანტის ხელმძღვანელობით განხორციელებული დაკვირვებიდან სტუდენტებს შეუძლიათ გადაინაცვლონ თავიანთ სასწავლო პრაქტიკის სფეროში რეალურ დაკვირვებაზე. თითოეულ ადრეული დაკვირვების ამოცანას მოსდევს სავარჯიშო მის კრიტიკულ გააზრებაში, სდაც სტუდენტს მოეთხოვება დაკვირვების აღწერების გაზიარება, მოვლენების კატეგორიებად დაყოფა

(ანალიზი) და შეფასება, თუ რაზე იქნა დაკვირვება განხორციელებული და მისმა საკუთარმა ფასეულობებმა რა ზეგავლენა იქონია დაკვირვების განხორციელებაზე. საქმიანობის დასრულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ლიტერატურის მოძიება, განსაკუთრებით მეორე საფეხურის დონეზე. სასწავლო პრაქტიკაზე განხორციელებული დაკვირვების დაბოლოებაა სამუშაო შეხვედრები კოლეგებთან და პრაქტიკის კონსულტანტთან.

პორტფოლიოს შეფასება (პირველი და მეორე საფეხური, სწავლა და შეფასება)

ჩამოყალიბებული კომპეტენციები:

- რეფლექცია;
- ავტონომიურად გადაწყვეტილების მიღება, როგორც თითმართვადი სწავლის ნაწილი;
- კომპეტენციების ნაკრები, რომელიც შეესაბამება იმ კურსის ერთეულს ან პროგრამას, რომელიც პორტფოლიოს ბაზაა.

სწავლა, სწავლების და შეფასების მეთოდი

პორტფოლიოს შეფასება, ჩვეულებრივად აყალიბებს საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს ან სექციას, ვიდრე ცალკეულ მოდულს და დაფუძნებულია სტუდენტის შრომის მიზანმიმართულ ნიმუშზე, რომელიც შერჩეულია გარკვეული კომპეტენციებზე ორიენტირებული კრიტერიუმების მეშვეობით. პორტფოლიო იქმნება მთელ რიგ კომპეტენციებში სტუდენტის ცოდნისა და უნარების ხაზგასასმელად და სადემონსტრაციოდ. პორტფოლიო ასევე უზრუნველყოფს მეთოდს რეფლექციისათვის, სტუდენტს სთავაზობს საკუთარი ნამუშევრის თვითკრიტიკის შესაძლებლობას და შერჩეულ კონტექსტში აფასებს ინტერპერსონალური ურთიერთზემოქმედების ეფექტურობას.

ტიპური გამოყენება შესაძლებელია სამუშაო პრაქტიკაზე, სადაც პორტფოლიო უზრუნველყოფს მთელ რიგ სასწავლო საქმიანობაში სტუდენტის ჩართულობის აღწერას. დასრულებული პორტფოლიო შეიძლება შემდგომში გამოყენებულ იქნეს სამუშაოს მისაღები ინტერვიუს მოსამზადებლად.

პორტფოლიო, ჩვეულებრივად სტუდენტის მიერ შეგროვილი მონაცემების საერთო ჯამიდან შერჩეული ნაკრებია (რომელიც შეიძლება მოიცავდეს შეფასებულ ნამუშევარს, არტეფაქტებს, სტუდენტის პროფილს, დღიურებს და ა. შ.) და ახდენს გარკვეული დროის პერიოდში კომპეტენციების განვითარების დემონსტრირებას. სულ ახლახან საინფორმაციო ტექნოლოგიები იქნა გამოყენებული ვებზე დაფუძნებული პორტფოლიოს შესაქმნელად, რომელიც ახდენს სტუდენტის, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების და ასევე სხვა უნარების დემონსტრირებას.

კვლევის მეთოდები (მეორე და მესამე საფეხურის მომზადება, სწავლება, საწავლა, შეფასება)

ჩამოყალიბებული კომპეტენციები:

- კვლევის მეთოდებისა და მათი შესაბამის პარადიგმების ცოდნა;
- საგანმანათლებლო კვლევებში გამოყენებული საერთო მეთოდების კარგი ცოდნა და
- მათი პრაქტიკაში გამოყენება, მონაცემთა ანალიზი და სხვა;
- განხორციელებადი და გამოკვლევადი პრობლემის დასმისა და მისი კვლევისათვის შესაბამისი მეთოდების შერჩევის უნარი.

სწავლა, სწავლების და შეფასების მეთოდი

განათლებაში სტუდენტთა უმეტესობა ახორციელებს დამოუკიდებელ კვლევით პროექტს და არ მუშაობს, როგორც კვლევითი ჯგუფის ნაწილი. აკადემიური დაწესებულების გარედან მოსული სამუშაო გამოცდილების მქონე ადამიანთა უმეტესებას თავდაპირველად ესაჭიროება დახმარება შესაბამისი კვლევითი წინადადების შესამუშავებლად. ტიპური მაკრო საქმიანობაა:

- დისკუსია საგანმანათლებლო კვლევების ბუნების შესახებ; ინფორმაციის მიცემა და მოძიება საგანმანათლებლო კვლევებში კვლევის ძირითადი მეთოდების შესახებ;
- საკვლევი პრობლემის ბუნების განხილვა;
- კონკრეტული კვლევის ობიექტისა და მიზნების შესაბამისად, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისათვის გამოყენებული ძირითადი მეთოდების, ტექნიკებისა და ინსტრუმენტების განხილვა;
- დისკუსია კვლევის გეგმის შემუშავების შესახებ.

სტუდენტები ჩართულნი არიან მთელ რიგ პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორცაა კვლევის პრობლემისა და მიზნების განსაზღვრა; მონაცემების შესაგროვებლად შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება; მონაცემთა ანალიზისათვის ანალიზის შესაბამისი მეთოდების შემუშავება და გამოყენება; ლიტერატურაში მეთოდების მოძიება და არსებულ საჭიროებასთან მათი რელევანტურობის შეფასება. მიღწევების შეფასება დაფუძნებულია სტუდენტის შემუშავებულ კვლევით გეგმაზე, რომელიც ხშირად გამოიყენება, როგორც მათი კვლევითი წინადადების ბაზისი.

6. ხარისხის ამაღლება

ერთ-ერთ გამორჩეულ გზას, რომელიც საშუალებას იძლევა ამაღლდეს, როგორც მასწავლებლის განათლების, ასევე განათლების მეცნიერებების პროგრამების ხარისხი, წარმოადგენს აქტიური პარტნიორობა დამსაქმებლებსა და პროფესიულ ორგანოებთან. მათგან პირველი (დამსაქმებლები), სამუშაო ადგილებზე თანამშრომლობის მეშვეობით, პრაქტიკული თვალთვლით უზრუნველყოფს ადნიშნული პერიოდის სოციალურ საჭიროებებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას. მეორე კი, თავისი მაკონტროლებელი და მარეგულირებელი ფუნქციების მეშვეობით, უზრუნველყოფს სტანდარტის შენარჩუნებას ეროვნულ და სულ უფრო მზარდად საერთაშორისო დონეზე. გარე პარტნიორებთან მსგავსი ურთიერთქმედება ჯერჯერობით ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის არაა დამახასიათებელი.

აკადემიური პერსონალი, განათლების დეპარტამენტებიდან და ფაკულტეტებიდან, მონაწილეობს ან უძღვება კვლევების უმეტესობას, რომელიც შეეხება უმაღლეს განათლებაში (ისევე როგორც განათლების სხვა სექტორებში) ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს და ამგვარად, პრაქტიკა განათლებაში ეფუძნება მტკიცებულებებს.

ხარისხის შეფასების პროცესი ძალიან კომპლექსურია და შესაბამისად მოითხოვს ინსტრუმენტებისა და მონაწილეების მრავალფეროვნებას. შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცესში სულ უფრო მზარდ სახეს ღებულობს სტუდენტების ჩართვა, რაც მათი როგორც მოაზროვნე პრაქტიკოსებად განვითარების ნაწილს წარმოადგენს.

შიდა მონიტორინგის მთელი რიგი პროცედურები უზრუნველყოფს ღია სისტემის არსებობას, სადაც მიმდინარეობს დისკუსია გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, სტუდენტების კითხვარები; სტუდენტური დისკუსიები და ფოკუს ჯგუფები, თანამშრომლების თვალსაზრისი, სტუდენტთა შეფასებების განხილვა და ა. შ. პროგრამების წლიური განხილვა, რომელშიც ასევე შეიძლება ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, ისევე როგორც პედაგოგები; კოლეგების დაკვირვებები. ზოგიერთ ქვეყანაში (გაერთიანებული სამეფო, ირლანდია) აკადემიური ხარისხის ყველა დონეზე გარკვეული ზომით ასევე ჩართულია გარე შემფასებელიც.

განათლების ბევრ დეპარტამენტში ხორციელდება აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება მოკლევადიანი კურსების, კონფერენციებისა და სემინარების მეშვეობით. მასწავლებელთა განათლება უნივერსიტეტის პედაგოგებისათვის ხდება ხარისხის გაუმჯობესების ჩვეული გზა, რომელიც მრავალი დაწესებულების მიერ გამოყენებული უწყვეტი სწავლის სტრატეგიის ნაწილია.

კონსულტაციების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოების მიერ, შემუშავებული გარე შეფასება უზრუნველყოფს ორიენტირს დეპარტამენტისა და პერსონალური რეფლექციისა და გაუმჯობესებისათვის. თუმცა, თუნინგის ჯგუფის განათლების სპეციალისტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს გაერედან მხოლოდ

მსუბუქ ჩარევას. საგრძნობია, რომ გარე სააგენტოს შფასებები ძალიან ხშირად დაკავშირებულია უფრო მომავალ დაფინანსებასა და “ფულის მნიშვნელობასთან” ან პოლიტიკური მომენტის შთაბეჭდილებებთან, ვიდრე სტუდენტის სწავლის გაუმჯობესებასთან.

2.2.5. ევროპისმცოდნეობა

1. შესავალი დარგობრივ სფეროში

ევროპული კვლევები ფოკუსირებულია ევროპის კონტინენტზე ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ განვითარებების ანალიზზე მთლიანობაში და მიდგომების მხრივ არის როგორც მულტიდისციპლინარული ასევე ინტერდისციპლინური (იხ. ქვემოთ).

აკადემიური ხარისხების დისციპლინარულ კომპოზიცია მრავალფეროვანია. ტიპური საგნებია: სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკს და საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, სოციოლოგია, ბიზნესის ადმინისტრირება. ასევე, განსხვავებებია სტრუქტურაში, შინაარსსა და სწავლების/სწავლის მიდგომებში, ნაციონალური ტრადიციებისა და ფაკულტეტის/დეპარტამენტის შესაბამისად, სადაც ეს პროგრამები ხორციელდება (მაგალითად, სამართალი, ეკონომიკა თუ პოლიტიკა). და ბოლოს, დღეისათვის არსებობს აქცენტების გარკვეული განსხვავებულობა ერთი მხრივ ახალი (და კანდიდატი ქვეყნები) და მეორე მხრივ უფრო დიდი ხნის წვერი ქვეყნების პროგრამებს შორის, ვინაიდან ევროპული ინტეგრაციის საკითხებში სასწრაფო მომზადების საჭიროება იგრძნობა. თუმცა, არის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მსგავსება პროგრამების მიზნებსა და კომპეტენციებში, რომელთა ხელშეწყობასაც ისინი ესწრაფიან. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ევროპისმცოდნეობა არის შედარებით ახალგაზრდა დარგობრივი სფერო და ახალ განვითარებებს უნდა მოველოდეთ გარკვეული პერიოდიში დაგროვილი გამოცდილებისა და სხვადასხვა ქვეყნის აკადემიურ პერსონალს შორის ცოდნის ურთიერთგაზიარების შედეგად. ევროპისმცოდნეობის დარგობრივი ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მიდგომების მრავალფეროვნება სასარგებლოა და ერთგვაროვანი პირობების დაწესების მცდელობა დიდი შეცდომა იქნებოდა.

2. აკადემიური ხარისხების პროფილები და დასაქმება

ტიპური აკადემიური ხარისხები

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხები
პირველი	ჩვეულებრივად შესაძლებელია ტიპური აკადემიური ხარისხების ორი განსხვავებული ჯგუფის იდენტიფიცირება: <ul style="list-style-type: none"> - ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი (დარგობრივ სპეციფიკურ სფეროში დამხმარე და სპეციალიზირებული კურსებით, მაგალითად, სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ისტორია, ბიზნესის ადმინისტრირება, სოციოლოგია და.ა.შ.) - სპეციფიკური დარგობრივი სფეროს ბაკალავრი (მაგალითად, სამართალი, ხელოვნებებში, ეკონომიკა, ისტორია, ბიზნესადმინისტრირება, სოციოლოგია და ა.შ.) ევროპისმცოდნეობის სპეციალიზაციით.
მეორე	ტიპური აკადემიური ხარისხების ასევე ორი განსხვავებული ჯგუფი შეიძლება გამოიკვეთოს <ul style="list-style-type: none"> - ევროპისმცოდნეობის მაგისტრი (დამხმარე და სპეციალიზირებული კურსებით სპეციფიკურ დარგობრივ სფეროში, მაგალითად, სამართალი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ისტორია, ბიზნესადმინისტრირება, სოციოლოგია და.ა.შ.) - სპეციფიკურ დარგობრივ სფეროს მაგისტრი (მაგალითად, სამართალი, ხელოვნებებში, ეკონომიკა, ისტორია, ბიზნესადმინისტრირება, სოციოლოგია და ა.შ.) ევროპისმცოდნეობის სპეციალიზაციით
მესამე	საზოგადოდ არ არსებობს Ph.D. საფეხური ევროპისმცოდნეობაში და სახეზეა დოქტორანტურაში კონკრეტულ დარგებზე სწავლის გაგრძელების ტენდენცია. არსებობს ბევრი დოქტორანტურა ევროპული ინტეგრაციის სფეროსთვის დამახასიათებელი თემებით, რომელიც ერთზე მეტ დისციპლინას უკავშირდება და დოქტორანტებს ხშირად შეხვდებით ევროპული კვლევების დეპარტამენტსა თუ ცენტრებში.

დარგობრივ სფეროებში კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიათა რუკა)

პირველი საფეხური: საჯარო სექტორი და სამთავრო სააგენტოები, არასამთავრო სექტორი (ნაციონალური და საერთაშორისო), საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპული ინსტიტუტები, ბიზნესი და სხვა კერძო სექტორი, მედია და საინფორმაციო ცენტრები.

მეორე საფეხური: საჯარო სექტორი და სამთავრობო სააგენტოები, არასამთავრობო სექტორი (ნაციონალური და საერთაშორისო), ევროპული ორგანიზაციები და საერთაშორისო ინსტიტუტები, განათლება, კვლევები, პოლიტიკური ორგანიზაციები, ბიზნესი და სხვა კერძო სექტორი, მედია და საინფორმაციო ცენტრები.

დარგობრივი სფეროს როლი სხვა აკადემიური პროგრამებში

საგანმანათლებლო პროგრამები ბევრ დარგობრივ სფეროში, განსაკუთრებით სამართალში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ისტორიაში, სოციოლოგია და ბიზნესის ადმინისტრაცია შეიცავს ევროპულ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ კურსებს. ევროპული ინტეგრაციის სპეციალისტებს ასევე ხშირად სთხოვენ უზრუნველყონ შესაბამისი კურსები ამგვარ პროგრამებში, განსაკუთრებით როგორც კურიკულუმების ევროპიზაციის შედეგს. შესავალი დონისათვის ეს კურსები შესაძლოა ზოგადი ხასიათის იყოს (განსაკუთრებით ბაკალვრის აკადემიური ხარისხის პროგრამებისათვის), ან შესაძლოა სპეციალური ბუნების – მაგალითად, ევროპული ინტეგრაციის ასპექტების შესწავლისას კონკრეტული დისციპლინის შიგნით.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები - საფეხურის დონის მახასიათებლები

როგორც ზემოთაა აღნიშნული, ევროპისმცოდნეობა, როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინურია და ამ ორი გზის განსხვავება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: “მულტიდისციპლინარულად” განისაზღვრება კურსი, რომელშიც ევროპისმცოდნეობის რელევანტური დისციპლინები პარალელურად შეისწავლება; “ინტერდისციპლინურად” გამოიხატება კურსი, რომლის ზოგი ან ყველა დისციპლინა საკმარისად დაახლოებულია, რათა მოხდეს სინთეზი. ამ კომპეტენციების გამომუშავებაში სტუდენტების პროგრესის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პედაგოგიური და პრაქტიკული გამოწვევა არსებობს, მაგრამ ყველაზე ტიპური მოდელი საფეხურების მიხედვით შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს შემდეგი სახით:

- პირველი საფეხურის მოდელი წარმოიქმნება პირველი ნაწილიდან, რომელშიც შესაბამისი დისციპლინები პარალელურად შეისწავლება. ადეკვატური შესავალის შემდეგ, შესაძლოა ერთი ან ორი სრული სასწავლო წელი, კურსი მთავრდება ინტეგრაციისა ან სინთეზის მომენტით, რომელის დროსაც ყველა დისციპლინა ავსებს ერთმანეთს შესაბამის პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ გარემოში;
- თუ მეორე საფეხური იღებს სტუდენტებს რომელთაც წარმატებით დაამთავრეს ზემოთაღწერილი ტიპის პირველი საფეხურის კურსი, ის შეიძლება იყოს სრულიად ინტერდისციპლინური;

- თუ მეორე საფეხური იღებს სტუდენტებს, რომლებმაც მონოდარგობრივი მიმართულებით მიიღეს განათლება, მაშინ ის უნდა გაგრძელდეს მულტიდისციპლინურიდან ინტერდისციპლინურის მიმართულებით პირველი საფეხურის პროგრამის ანალოგიით, თუნდაც ზედა საფეხურზე.

ამასთან, მიდგომებში არსებობს არსებითი განსხვავებები. მაგალითად, შვედეთში მოდელი შებრუნებულია. პირველი საფეხურის პირველი ორი წლის განმავლობაში აქცენტი გადატანილია სპეციფიკური პრობლემების ან საკითხების ერთობლიობათა ინტერდისციპლინურ სწავლებაზე, მომდევნო ეტაპებზე კი მნიშვნელოვანი დისციპლინური სპეციალიზაციით. თუმცა, ყოველი პროგრამა ესწრაფის - დიდი ან მცირე ხარისხით - უზრუნველყოს ორივე, როგორც მულტიდისციპლინური, ასევე, ინტერდისციპლინური სწავლის შედეგები.

რადგან საგანმანათლებლო პროგრამების დისციპლინარულ კომბინაციები განსხვავებულია და ზოგი სტუდენტი იღებს მაგისტრის აკადემიური ხარისხს ევროპისმცოდნეობაში, დარგობრივ სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის გარეშე, რთულია ზუსტი დიფერენცირება პირველ და მეორე საფეხურის დარგობრივ მახასიათებლებს შორის. ამასთან, მეორე საფეხურის დისკრიპტორი ხაზს უსვამს მიღწევათა უფრო გაღრმავებულ დონეს, კვლევებზე მეტი აქცენტით.

პირველი საფეხურის მახასიათებლები
<p>პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ევროპისმცოდნეობაში უნდა შეეძლოთ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ინტერდისციპლინურ სფეროში მუშაობა; - ზეპირი კომუნიკაცია საკუთარ და საერთაშორისო ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით; - სფეროს მულტიდისციპლინარულობისა და მისი დისციპლინებს შორის კავშირების აღქმის ჩვენება; - ევროპისა და ევროპული ინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების გაგების დემონსტრირება; - ევროპული ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაგების დემონსტრირება
მეორე საფეხურის მახასიათებლები
<p>მეორე საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ევროპისმცოდნეობის სფეროში უნდა ჰქონდეთ:</p> <ul style="list-style-type: none"> - უნარი მოახდინონ ინტერპრეტირება ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში; - განსხვავებული დისციპლინარული მეთოდოლოგიების ინტეგრირებულად გამოყენების უნარი;

- საკმარისი კომპეტენციები განახორციელოს კვლევა ხელმძღვანელობის ქვეშ;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი;
- ევროპისა და ევროინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტირების უნარი;
- ზეპირი კომუნიკაციის უნარი საკუთარ და საერთაშორისო ენაზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით
- კულტურული მრავალფეროვნების გაცნობიერება და საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა;

შენიშვნა: პირველ და მეორე საფეხურებისათვის მახასიათებლების იდენტიფიცირება ემყარება ორივე: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების არსებობის დაშვებას. ამასთან, რიგ უნივერსიტეტში ევროპისმცოდნეობის პროგრამა მხოლოდ პირველი ან მხოლოდ მეორე საფეხურის დონეზეა. ამ შემთხვევაში სპეციფიკური დონის მახასიათებლები შესაძლოა მსუბუქად მოდიფიცირდეს.

კონსულტაციების პროცესი დაინტერესებულ მხარეებთან

არსებობს რამდენიმე აკადემიური და პროფესიული ორგანო ევროპისმცოდნეობის სფეროში. კერძოდ, ევროპული ქვეყნებში უმეტესობაში არსებობს ევროპული საზოგადოების კვლევების ნაციონალური ასოციაციები (national European Community Studies Associations (ECSA) და პერიოდულად იმართება ECSA მსოფლიო კონფერენციები. ჟან მონეს პროგრამამ (The Jean Monnet programme) შექმნა დახელოვნების ცენტრები და ხელი შეუწყო ევროინტეგრაციაში მოდულების განვითარებას მთელ მსოფლიოში. გარდა ამისა, არის შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული რამდენიმე სხვა გაერთიანება, მაგალითად, როგორცაა ევროპული იდეის კვლევის საერთაშორისო საზოგადოება (International Society for the Study of European Ideas). ყველა ეს ნაციონალური და ტრანსნაციონალური ორგანოები, უზრუნველყოფენ სპეციალისტების ერთ სივრცეში გაერთიანებას და წვლილი შეაქვთ ევროპისმცოდნეობის კურიკულუმის გამდიდრებაში.

იმავედროულად, გრძელდება დებატები “ევროპული თემატიკის” შესახებ, სპეციფიკური დარგობრივი სფეროების საზღვრებს შიგნითაც, განსაკუთრებით კი ევროკავშირის მზარდი მნიშვნელობისა და ევროპულ საკითხების გაცნობიერების გაზრდილი საჭიროების გამო. აკადემიურ საზოგადოებასა და დაინტერესებულ მხარეთა შორის ურთიერთსასარგებლო კავშირები (საჯარო და კერძო სფეროში, ასევე, არასამთავრობო სექტორისა და, სამთავრობო წარმომადგენლებს შორის და ა.შ.) ასევე უზრუნველყოფენ დარგის განვითარებას.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

ევროპის მცოდნეობაში აკადემიური პროგრამების სასწავლო დატვირთვა ტიპურია ECTS სისტემისათვის.

საფეხური	ECTS კრედიტები (25–30 საათი)
პირველი	ძირითადად 180 და მცირე შემთხვევებში 240
მეორე	60,90 ან 120 (ჩვეულებრივ)
მესამე	ძირითადად ფილოსოფიის დოქტორის (Ph.D) პროგრამა სამწლიანი ხანგრძლივობით

დანართი

ევროპის მცოდნეობისათვის კურიკულუმის ბირთვი

ევროპის მცოდნეობაში შემდეგი კომპეტენციები უნდა იყოს განხილული, როგორც ბირთვი პირველი და მეორე საფეხურებისათვის:

პირველი საფეხურისათვის:

- ევროპული იდეების/კონცეფციების ცოდნა;
- ევროპული ინტეგრაციის ცოდნა;
- ევროპული ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკის ცოდნა;
- ევროკავშირის პოლიტიკის ცოდნა;
- ევროპა მსოფლიოში;
- ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარი;
- შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით საკუთარ და საერთაშორისო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

მეორე საფეხურისათვის:

- ევროპული იდეების/კონცეფციების ცოდნა;
- ევროპული ინტეგრაციის ცოდნა;
- ევროპული ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკის ცოდნა;
- ევროკავშირის პოლიტიკის ცოდნა;
- ევროპა მსოფლიოში;
- ინტეგრირების გზით განსხვავებული დისციპლინური მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი;
- ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი;
- შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით საკუთარ და საერთაშორისო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

2.2.6 ისტორია

1. შესავალი

მარტივად რომ ვთქვათ, ისტორია არის წარსულის შესწავლა. ის ფართოდაა წარმოდგენილი როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, ასევე სკოლებში. ის მოიცავს არა მხოლოდ აკადემიურ დისციპლინას და კვლევის სფეროს, არამედ არის მნიშვნელოვანი ასპექტი „ზოგად კულტურის“. უპირველესყოვლისა, ისტორიის სწავლება ავითარებს მოქნილ ინდივიდს, ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისთვის.

ევროპის გაფართოებისა და დღევანდელი სწრაფად ცვალებადი მსოფლიოს კონტექსტში, ისტორია სპეციფიკური პრობლემების და დიდი შესაძლებლობების წინაშე დგება. როგორც სოციალური ცნობიერებისა და ჯგუფური/რეგიონული იდენტობის ერთ-ერთი უპირველესი ფორმა, ისტორია მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალურ ერთიანობაში. მართლაც, შესაბამისად გაგებულ და გამოყენებულ ისტორია დაგვეხმარება დავძლიოთ აგრესიული დაპირისპირება, რომელსაც არსებობს სხვადასხვა ეროვნებასა და ჯგუფს შორის.

თუნიგში ჩართული დარგობრივი სფეროებიდან, ისტორია ყველაზე მრავალფეროვან სურათს აჩვენებს დარგობრივი სამუშაო ჯგუფის მონაწილე ქვეყნებში. ეროვნული საუნივერსიტეტო და სასკოლო სისტემები განსაზღვრავენ კონტექსტს, რომელშიც სრულიად ბუნებია სასწავლო „შინაარსების“ დიდ ნაწილი, დაკავშირებულია თითოეული ქვეყნის ეროვნულ კულტურასა ან წარსულის ხედვაზე. მეტიც, ისტორიის ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ თითოეულის ნაციონალური კულტურისა და სწავლების ტარდციით შექმნილი თეორიული და პრაქტიკული წინაპირობები, ხშირად მკვეთრად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე სწავლების სტრუქტურა და იდეა რა უნდა გაკეთდეს პროგრამის საწყის ეტაპზე და როგორი უნდა იყოს მისი შემდგომი ეტაპი ძალიან განსხვავებულია. ამიტომაც, ისტორიის ჯგუფი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად ან სასარგებლოდ კურიკულუმის ბირთვის იდენტიფიცირებას და ამჯობინებს შეიქმნას შეთანხმებული ათვლის წერტილები, რომლებიც დაეფუძნება როგორც დარგისთვის სპეციფიკურ, ასევე ზოგად კომპეტენციებს, რომელთა ირგვლივაც შემუშავდება სხვადასხვა ქვეყნის პროგრამები.

ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ფართო განსხვავებაა არა მხოლოდ სწავლების ინტელექტუალურ წინაპირობებში, არამედ ისტორიის კურსდამთავრებულთა როლის აღქმაშიც. ზოგ ქვეყანაში პრიველი და მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი ისტორიაში ზოგადი ხასიათის აკადემიური ხარისხია, რომელსაც ხშირად ახალგაზრდები იღებენ ისტორიის სწავლების ან კვლევის სფეროში კარიერის გაგრძელების მიზნის გარეშეც, სხვაგან იგივე ხარისხი მხოლოდ ისტორიის სწავლებისა და წინასააღიქტორო ეტაპისთვის მოსამზადებელი საფეხურია და საუნივერსიტეტო და აკადემიურ მკვლევარებს ამზადებს. ადრე ისტორია კარგ პოზიციაში იყო და შეიძლება ითქვას ექსპანსიასაც კი ახორციელებდა.

უკანასკნელ ხანს კი ისტორიის მიმართულებით სტუდენტთა რაოდენობა მცირდება მასწავლებლის პოზიციების უკმარისობის გამო.

2. ხარისხის პროფილები

ტიპური აკადემიური ხარისხები

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი
პირველი	<p>ძირითადად ინსტიტუტები სთავაზობენ სპეციფიკურ პირველი საფეხურის აკადემიურ ხარისხს ისტორიაში, ან ზოგ შემთხვევაში ისტორიის სტუდენტები იღებენ უფრო ზოგად ხარისხს (ჰუმანიტარული მეცნიერებები და ა.შ), სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისტორიაზე ორიენტირებულ კურსის ერთეულებს. ზოგ ქვეყანაში ხელოვნების ისტორია და მსგავსი საგნები მიჩნეულია დარგობრივი სფეროს ნაწილად; ზოგან ისინი განცალკევებულია. იმისდა მიხედვით თუ რა აკადემიურ და კულტურულ კონტექსტთან გვაქვს საქმე, ისტორია შეიძლება დაკავშირებული იყოს ფილოსოფიასთან, გეოგრაფიასთან, ლიტერატურასთან, არქეოლოგიასთან, კლასიკურ სწავლებასთან, საარქივო საქმესთან, ეკონომიკასთან, იურისპრუდენციასა და საბიბლიოთეკო მეცნიერებებთან.</p>
მეორე	<p>მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი ისტორიაში ხშირად შემოთავაზებული. როგორც წესი მეორე საფეხურის ხარისხისაკენ მიმავალი სამუშაო მოიცავს როგორც საკურსო სამუშაოს, ასევე წერითი ფორმით წარმოდგენილ კვლევას. მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხი შეიძლება იყოს სპეციფიკურ ქრონოლოგიურ ან თემატურ სფეროში. სხვადასხვა ქვეყანასა თუ სასწავლებელში ეს შეიძლება განისაზღვროს აკადემიური ხარისხის სახელწოდებაში (შუასაუკუნეების ისტორია, თანამედროვე ისტორია, ქალთა ისტორია). სხვაგან ჩვეულებრივად მხოლოდ ისტორიას უწოდებენ. აქაც კურიკულუმი დამოკიდებულია კონკრეტულ აქცენტებზე. მეორე საფეხურზე ხშირად ვხვდებით აკადემიურ ხარისხს ისეთ საგნებში, როგორცაა ეკონომიკის ისტორია, ან ისტორიასთან დაკავშირებულ ისეთ დარგებში, როგორცაა საარქივო საქმე, სამუზეუმო საქმე, არქეოლოგია და ა.შ. ზოგ ქვეყნებში ისტორიის მასწავლებლები სპეციალურ ხარისხს იღებენ, ზოგან კი ხარისხი რჩება ისტორიაში ხოლო მასწავლებლის მომზადება ან პროგრამის შემადგენელი ნაწილია ან ცალკე პროგრამაა.</p>
მესამე	<p>როგორც წესი, დოქტორანტურა არის ისტორიაში (ან ქვედარგებში ან ისეთ მონათესავე დარგებში, როგორცაა ეკონომიკის ისტორია და სამართლის ისტორია). აქ მოითხოვება გამოცდა და მნიშვნელოვან და ორიგინალურ დისერტაციაში აღწერილი კვლევის დაცვა, რომელიც თავისი ზომითა და ტიპოლოგიით სამეცნიერო მონოგრაფიის ტოლფასია. ამ აკადემიური ხარისხის სწავლების კომპონენტი განსხვავებულია და დღეს სხვადასხვა</p>

	ქვეყანაში ეს პროპორცია დისკუსიის საგანია.
--	---

ისტორიის კურსდამთავრებულთა საქმიანობა (პროფესიული რუკა)

საფეხური	დასაქმების სფეროები
პირველი	პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი ვარგისია მომსახურებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროში: საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონული ადმინისტრაციები, კადრების მენეჯმენტი, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები. ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირება და შეფასება მის სხვადასვა გამოვლინებებში არქივების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ჩათვლით.
მეორე	ისტორიის მეორე საფეხურის უმაღლესდამთავრებულები, სწავლების ეროვნული ორგანიზების სპეციფიკის შესაბამისად, შეიძლება დასაქმდნენ საშუალო, ან თუნდაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აგრეთვე უფრო საპასუხისმგებლო პოზიციებს იკავებენ პირველი საფეხურისათვის მოხსენებულ ორგანიზაციებში.
მესამე	უმეტეს შემთხვევაში, დოქტორის აკადემიური ხარისხი ასოცირდება აკადემიურ ან კვლევით საქმიანობასთან.

დარგის როლი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში

ისტორიის სწავლა და სწავლება დიდ ადგილს იკავებს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. ამის გამო ისტორიის ჯგუფმა ჩაატარა კონსულტაციები და განსაზღვრა კომპეტენციები და დონეები, კურსის ერთეულის მაგალითის გათვალისწინებითაც კი.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარული პროგრამების უმეტესობა მოითხოვს, რომ სტუდენტმა გაიაროს ისტორიის კურსის ერთეული მაინც, თუნდაც კრედიტების მცირე მოცულობით, მაგალითად, 5 კრედიტი. ისტორიის მონათესავე სფეროებში (ეს სხვადასხვაა სხვადასხვა ქვეყნისთვის) ისეთები, როგორცაა გეოგრაფია, ფილოსოფია, ლიტერატურა ან ლინგვისტიკა, ხელოვნების ისტორია, არქეოლოგია, საარქივო საქმე, კომუნიკაციები – ისტორიის შესწავლა მოითხოვება. ზოგიერთ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ დარგებში ან ისეთ სფეროებში, როგორცაა არქიტექტურა ან სამართალი, ისტორია შეიძლება იყოს არჩევითი. ისტორია, კერძოდ თანამედროვე ისტორია და არა ევროპული ისტორია სავალდებულოა პოლიტიკურ მეცნიერებებში აკადემიური ხარისხისთვის და აგრეთვე ფიგურირებს ევროპისმცოდნეობაში, ტურიზმისა და ჟურნალისტიკის პროგრამებზე.

3. სწავლების შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

სწავლების ტიპი	მიღწევების აღწერა
<p>ისტორიის კურსი* სხვა დარგობრივი სფეროს სტუდენტთათვის</p> <p>*კურსის ქვეშ ვგულისხმობთ სასწავლო საქმიანობას, რომელიც უნდა შეფასდეს და მიენიჭოს კრედიტები</p>	<p>ისტორიის კურსი(ან კურსები), რომელიც სხვა დარგის აკადემიური ხარისხის მინიმალურ კომპონენტს წარმოადგენს, შესაძლებლობას უნდა აძლევდეს სტუდენტს (მასშტაბისა და დროის შესაძლებლობების ფარგლებში) განავითაროს რეალობის იტორიული პერსპექტივა. ეს გულისხმობს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კაცობრიობის წარსულის კრიტიკული გააზრებას და იმის გაგებას, რომ წარსული გავლენას ახდენს ჩვენს აწმყოსა და მომავლზე და ჩვენს მიერ მათ აღქმაზე; 2. გაგება და პატივისცემა იმ შეხედულებებისა, რაც შეიქმნა სხვადასხვა ისტორიულ ფონზე; 3. ძირითადი ისტორიული პერიოდებისა და მოვლენების დიაქრონული ჩარჩოს ზოგადი გაგება; 4. პირდაპირი შეხება ისტორიკოსის საქმესთან, თუნდაც შეზღუდულად, კონტაქტი ორიგინალურ წყაროებთან და პროფესიული ისტორიოგრაფიული კვლევებიდან შექმნილ ტექსტებთან.
<p>ისტორია, როგორც შესაბამისი აკადემიური ხარისხის ნაწილი სხვა ან უფრო ზოგად საგნებში (დამატებითი სპეციალობა ან ორმაგი აკადემიური ხარისხი)</p>	<p>ზოგადი მიზნები იგივეა, რაც ზემოაღნიშნული, მაგრამ მიღწევის დონე უფრო მაღალია, კონტექსტი უფრო მდიდარი და დეტალური.</p> <p>ნებისმიერ შემთხვევაში თუკი კურსი მოიცავს ისტორიის სწავლებას, სტუდენტს, რომელიც დაამთავრებს სწავლის პროგრამას უნდა გააჩნდეს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სულ მცირე ორი ფართო ქრონოლოგიური პერიოდის (რომლის ფარგლებშიც ისტორია ჩვეულებრივად დაყოფილია, როგორც ანტიკური ხანა, შუასაუკუნეები, თანამედროვე) საკითხების, საშუალებებისა და მეთოდოლოგიის ზოგადი ცოდნა, ისევე როგორც ზოგიერთი მნიშვნელოვანი დიაქრონულ თემების ცოდნა. 2. უნარი წარადგინოს წერილობითი და ზეპირი ფორმით დასრულებული, დისციპლინის წესების მიხედვით – კვლევითი ნაშრომი, რომელშიც გამოჩნდება ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, დოკუმენტების დამუშავების და მისი ისტორიულ პრობლემასთან მიმართება.
<p>ისტორია პირველი საფეხურის ისტორიის სტუდენტებისთვის</p>	<p>ძირითადი მიზნები იგივეა რაც ზემოთ. სტუდენტს ისტორიის პირველ საფეხურის ბოლოს უნდა ჰქონდეს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზოგადი ცოდნა და ორიენტაცია, ფლობდეს

	<p>მეთოდოლოგიას და საშუალებებს ყველა ქრონოლოგიურ ეტაპზე, რომელსაც ისტორია მოიცავს. ანტიკურიდან დღევანდელობამდე;</p> <ol style="list-style-type: none"> 2. ერთ-ერთი ეტაპის ან დიაქრონული მოვლენის სპეციალური ცონდა; 3. ისტორიული ინტერესების, კატეგორიების და პრობლემების დროში ცვალებადობისა და ისტორიული დებატების ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ და პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირების გაცნობიერების უნარი; 4. უნარი ზეპირად და წერილობით წარმოადგინოს - დისციპლინის წესის შესაბამისად - საშუალო მოცულობის კვლევა, რომელშიც აისახება ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, პირველადი წყაროების ფლობა და მათი გამოყენება ისტორიოგრაფიულ პრობლემასთან მიმართებაში.
<p>ისტორიის მეორე საფეხურის აკადემიური ხარისხისათვის</p>	<p>სტუდენტს, რომელიც ეუფლება მეორე საფეხურის აკადემიურ ხარისხს ისტორიაში, უნდა ჰქონდეს მაღალ ხარისხში აყვანილი საგნისთვის სპეციფიკური თვისებები, უნარები და კომპეტენციები (დანართი) მისი მომავალი საქმიანობა ეფუძნება პირველი საფეხურის დროს მიღებულ დონეს.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უნდა ჰქონდეს სპეციფიკური, ფართო, დეტალური და თანამედროვე ცოდნა მინიმუმ ერთი დიდი ქრონოლოგიური ეტაპისა, მეთოდოლოგიების, მიდგომებისა და ისტორიული ორიენტაციის ჩათვლით; 2. კარგად იცნობდეს სივრცით, ქრონოლოგიურ და თამატურ შედარებით მეთოდს, რისი მეშვეობითაც ჩაატარებს კვლევას. 3. უნდა აჩვენოს დაგეგმვის, განხორციელების და წარდგენის, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, უნარი - დისციპლინის წესების შესაბამისად- და შეძლოს კვლევის მეშვეობით წვლილი შეიტანოს მნიშვნელოვან ისტორიოგრაფიულ პრობლემის გადაწყვეტაში.

კონსულტაცია

თუნიგის პირველი ფაზის დროს განხორციელებული საწყისი კონსულტაცია მიმართული იყო უმაღლესდამთავრებულებზე, დამსაქმებლებსა და აკადემიურ პერსონალზე. ჩვენს კონსულტაციას სამი სპეციფიკური რამ ახასიათებს: 1) ვინაიდან ისტორიის კურსდამთავრებულების რაოდენობა დიდია, მათი დასაქმება კი პირდაპირი პროფესიული გზით არ ხერხდება, გართულდა მათი დასაქმების სფეროების იდენტიფიცირება; 2) ჩვენ ვმუშაობდით ისტორიკოსთა

ქსელთან და ყველა წევრი და კანდიდატი ქვეყნის აკადემიურ პერსონალთან განხორციელდა კონსულტაცია; 3) რადგან ისტორიის სწავლება ხელს უწყობს ზოგად კომპეტენციებს, რაც სასარგებლოა როგორც მოქალაქეობის, აგრეთვე პერსონალური განვითარებისა და დასაქმე-ბისათვის, ჩვენ მოვიცავით სამივე მათგანი ზოგად კომპეტენციებზე კონსულტაციების დროს და აღმოვაჩინეთ რომ ისინი მართლაც მნიშვნელოვანია უმაღლესდამთავრებულებისთვის, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალისათვის.

თუნიზის შედეგები ყველა დონეზე განიხილა ისტორიის თემატურმა ქსელმა (CLIOHnet) და იმსჯელა სოკრატეს პროგრამის ყველა წევრი ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე. ეს შეხვედრები ახლაც გრძელდება და წევრი ინსტიტუტების მუშაობის შედეგად უმჯობესდება საბოლოო პროდუქტი. სპეციალური რეკომენდაციები მიიღეს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლა ატარებენ კურიკულუმის რეფორმას ბოლონის სტრუქტურის შესაბამისად.

4. სამუშაო დატვირთვა და ECTS

საფეხური	ECTS კრედიტები
პირველი	180 არის ყველაზე გავრცელებული. ზოგიერთი პროგრამა იყენებს 240 კრედიტსაც.
მეორე	ყველაზე გავრცელებულია 120 კრედიტი.
მესამე	კრედიტები ყოველთვის არ გამოიყენება. მესამე საფეხურისათვის ყველაზე მცირე 3 წელია. ზოგიერთ ქვეყანაში სწავლის პერიოდი უფრო ხანგრძლივია, დე იურე ან დე ფაქტო. სხვადასხვა სახის ვარიაცია თუ რა დრო უნდა დაეთმოს მთლიანად, დამოკიდებულია იმაზე, თუ მესამე საფეხურის დამთავრება და დისერტაციის დაცვა სავალდებულოა აკადემიური მუშაობის დასაწყებად, თუ როგორც ეს ზოგ ქვეყანაშია მიღებული, შესაძლებელია საუნივერსიტეტო ან კვლევითი პოზიციის დაკავება და პარალელურად მესამე საფეხურზე სწავლა. უკანასკნელ შემთხვევაში პროცესი შეიძლება უფრო დიდხანს გაგრძელდეს, რადგან პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელება დასწრებული სწავლის ფორმატით არ მიმდინარეობს.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სისტემა არსებობს ისტორიის სფეროში სასწავლო გარემოს შესაქმნელად და საკვანძო კომპეტენციის მისაღებად. ცხადია, რომ ყველა ეროვნული სისტემას

საკუთარი ლოგიკა და შიდა ბალანსი აქვს, რომელშიც უნივერსიტეტის სწავლის, სწავლების და შეფასების მეთოდები ჩვეულებრივი წესების ფარგლებშია, პროფესორები და სტუდენტები ავითარებენ სპეციალურ სტრატეგიებს საჭირო კომპეტენციების გამოსამუშავებლად. ეს ნიშნავს, რომ თითოეული სისტემა მეტ-ნაკლებად თვითკმარია და სხვა სისტემებიდან იმპორტირებული ნაწილობრივი და ეპიზოდური დეტალები სასურველი შედეგის მომტანი არაა. ქვემოთ მოყვანილი წარმატებული მაგალითები არჩეულია სხვადასხვა შესაძლო მიდგომის საჩვენებლად.

აუცილებელი არაა ჩამოვთვალოთ ყველა წარმატებული მაგალითები. დარგობრივი ჯგუფი თანხმდება გარკვეულ პრინციპებზე, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა ქვეყანაში:

- თითოეულმა სტუდენტმა უნდა გამოსცადოს სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მიდგომა, ორივე, რადგან ეს არის საუკეთესო გზა სტუდენტებისთვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმატებით სწავლობენ სხვადასხვა სიტუაციაში. აგრეთვე იმიტომ, რომ სხვადასხვა ზოგადი კომპეტენცია ყალიბდება სწორედ განსხვავებული სწავლისა და სასწავლო გარემოს პირობებში.

- ისტორიის სწავლება არ უნდა არსებობდეს კვლევისგან დამოუკიდებლად: ყველაზე ზოგადი და ელემენტარული ისტორიის კურსის ერთეულიდან და კვლევითი მომზადების ყველაზე მაღალ დონემდე, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს პირდაპირი კონტაქტი თუნდაც შეზღუდული რაოდენობის ორიგინალურ დოკუმენტებთან და პროფესიულ ისტორიოგრაფიულ შრომებთან.

კომპეტენციების ჯგუფები	სწავლა/სწავლება და შეფასების მიდგომები
<p>საგნის ზოგადი ცოდნა; ანალიზი და სინთეზი;</p> <p>სხვადასხვა პერიოდის სხვადასხვაგვარი ისტორიოგრაფიული შეხედულებების გაცნობიერება;</p> <p>ისტორიული დებატების მიმდინარე ბუნების გაცნობიერება;</p> <p>ისტორიული პრობლემების იდენტიფიკაციის უნარი;</p> <p>წყაროების ახლებურად გამოყენების უნარი;</p>	<p>(ბოლონია) ლექციებზე ისტორიოგრაფიული პრობლემის გამოსაკვეთად წარმოდგენილია სიტუაციური ანალიზები მასწავლებელთა კერძო კვლევების საფუძველზე ან სამეცნიერო ჟურნალების მაგალითების გამოყენებით.</p> <p>განიხილება მათი გადაწყვეტის განსხვავებული მეთოდოლოგიები. გაშუქებულია ის გზები, რომლებშიც ახალი დოკუმენტაციის აღმოჩენა გავლენას ახდენს არსებული წყაროების გაგებაზე.</p> <p>მცირე ჯგუფების სემინარზე სტუდენტებს სთხოვენ მოიძიონ საინფორმაციო წყაროები მოცემული ისტორიული პრობლემისთვის. მათ აგრეთვე თავად უნდა გამოკვეთონ ისტორიული პრობლემა.</p> <p>სტუდენტებს უნდა აუხსნან, რომ ნებისმიერი ინფორმაციის წყარო და სავარაუდო გადაწყვეტა უნდა იქნეს განხილული, მიუხედავად იმისა ეთანხმება თუ არა ეს მათ სამუშაო ჰიპოთეზას.</p>

<p>შედარებისა და დაკავშირების უნარი.</p>	<p>წახალისებული ინტელექტუალური პატიოსნება და სამეცნიერო მეთოდების გამოყენება. სტუდენტებს მოეთხოვებათ შეიმუშაონ საკუთარი სამუშაო ჰიპოთეზა და საგულდაგულო სამეცნიერო მეთოდი.</p> <p>სტუდენტებმა უნდა შეადარონ და დააკავშირონ სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნა და მეთოდოლოგია, იმისთვის რომ გადმოიტანონ ინოვაციური პრაქტიკა ერთი სფეროდან მეორეში.</p> <p>სტუდენტებს უნდა მოეთხოვოთ პრობლემის დასმა, წყაროების მოძიება, მათი გულდასმით ანალიზი და შედეგების წერილობით მიწოდება. რადგან სემინარების დროს დისკუსია არ ფასდება, ღიაობის მაქსიმალური გარემოსა და ინტელექტუალური გაცვლის გარემოს შექმნის მიზნით, წერილი შედეგი უნდა შეფასდეს მკაფიოების, თანმიმდევრულობის და მეთოდის მიხედვით. საბოლოო გამოცდა ზეპირია, სადაც სტუდენტი განიხილავს ზოგად და სპეციფიკურ საკითხებს ლექტორთან და სხვა თანამშრომელთან ერთად. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ორივე: შეფასდეს მიღწეული და დავეხმაროთ სტუდენტს შედეგების გავლენის კრიტიკულ გაცნობიერებაში.</p>
<p>ანალიზისა და ინფორმაციის საჭიროების გაცნობიერება, წყაროსა და მეთოდის კრიტიკული გააზრება;</p> <p>ინფორმაციის დამოკიდებულებებისა და ღირებულებების კომპლექსური ხასიათის გაცნობიერება, კრიტიკული ხედვის კონსტრუქციული გზით გამოხატვის უნარი;</p> <p>საკუთარ ღირებულებების, გამოცდილებისა და პერსპექტივების კრიტიკული გააზრების უნარი.</p>	<p>(ტურკუ) სტუდენტებს იღებენ პირველი კურსის ისტორიოგრაფიაში. ის ფოკუსირებულია წარსულის „ცოდნის“ მახასიათებლებზე და იმავდროულად აჩვენებს თუ როგორაა დაკავშირებული ღირებულებები, ცოდნა და შეხედულებები სხვადასხვა კულტურულ კონტექსტთან და ცვლის დროის განმავლობაში. კურსი სალექციო კურსით იწყება, რომელიც ასევე მოიცავს სავარჯიშოებს, მსჯელობასა და მაგალითებს სხვადასხვა საუკუნის ისტორიოგრაფიული ტექსტების მაგალითზე. მეთოდოლოგიურ კურსში წახალისებული და შეფასებულია კრიტიკული და თვითკრიტიკული აზროვნება.</p> <p>საწყისი კურსის შემდეგ სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სემინარებში. წერენ წყაროს კრიტიკულ ანალიზს და აკეთებენ პრეზენტაციას, ზეპირად გამოთქვამენ საკუთარ კონსტრუქციულ კრიტიკულ მსჯელობას. მეორე წლის პროსემინარში ყველა სტუდენტი იღებს ოპონენტის როლს ან აკრიტიკებს სხვა სტუდენტის კვლევას და მიყავს სემინარის დისკუსია. კურსები ძირითადად ფასდება წერილი გამოცდის საშუალებით. ორი სამეცნიერული იწერება რამდენიმე საათიანი გამოცდის დროს. შეფასება ხდება კვლევის ნაწერის</p>

	საფუძველზე, დისკუსიისა და წერიტი გამოცდის.
<p>კრიტიკულობა და თვითკრიტიკულობა;</p> <p>დღევანდელობისა და წარსულის რთიერდამოკიდებულების კრიტიკული აღქმა. სხვა ეროვნებებისა და კულტურების შეხედულებების პატივისცემა</p>	<p>(CLIOHnet) ისტორიის ქსელმა ვებზე (www.clioh.net) განათავსა ექსპერიმენტული, ვებზე დაფუძნებული, მასალები სახელწოდებით „ბირთვის ბირთვი“. მოდელი ჩვეულებრივი სტუდენტისგან ითხოვს 50-60 საათს და ამდენად, 2 კრედიტს შეესაბამება. მასალა შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც მოკლე, ინტენსიური კურსი ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, ჯგუფური მეცადინეობის ან საკლასო სწავლა სწავლების პირობებში. იგი გამოიყენება, როგორც შესავალი ნაწილი უფრო დიდი მოდულისთვის, ანდა შეიძლება დაიყოს ცალკეალკე სასწავლო ერთეულებად.</p> <p>„ბირთვის ბირთვი“ -ს სპეციფიკურობა მის პანევროპულ და შედარებით ხასითშია. მასალა წარმოადგენს მასწავლებელთა და სტუდენტთან თანამშრომლობის შედეგს სოკრატეს სხვადასვა ქვეყანაში. ისინი შექმნილია იმ მიზნით, რომ სტიმულირება გაუკეთონ სტუდენტებს რათა საკუთარი ისტორიული ხედვა შეადარონ სხვა ქვეყნების სტუდენტების ხედვას.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ თუნინგის კომპეტენციებზე შემდგომი მუშაობა და ათვლის წერტილი ელექტრონულ მასალებში გრძელდება ისტორიის ქსელის (CLOH net) პილოტურ პროექტში, რომელსაც კოორდინაციას უწევს ტურკუს უნივერსტეტი.</p>

შეჯამებისთვის, ხაზი უნდა გაესვას, რომ თუნინგის მთავარ ასპექტია გამოცდილების გაზიარება სწავლისა და სწავლების მიდგომის საკითხებში. განსაკუთრებით, თუკი შესაძლებელია კადრების მობილობა და გამოცდილების გაზიარება. (სოკრატეს მობილობის პროგრამები) მიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ უკეთესად გაიგონ საკუთარი საგანმანათლებლო სისტემა, თავიანთი სუსტი და სიძლი მხარეები, ან ამა თუ იმ გადაწყვეტილების მართებულობა. ძირითადი კომპეტენციებზე ჯგუფი შეთანხმებულია, მისი მიღწევის გზებზე კი აზრი იყოფა. საბოლოო ასპექტი, რაც აღნიშვნის ღირსია, არის ის, რომ აუცილებელია სხვადასხვა სფეროში აზრების გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წავახალისოთ, გამოვიმუშაოთ და შევაფასოდ ზოგადი კომპეტენციები.

6. ხარისხის ამაღლება

ისტორიის დარგობრივი სფეროს ათვლის წერტილები და კომპეტენციები ვითარდებოდა პროგრამების ხარისხისა და მათი განხორციელების შესახებ არსებული დებატების თანადროულად. პირდაპირი ურთიერთქმედების შესაძლებლობა განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო, რადგან დარგობრივი ჯგუფის წევრებს კომუნიკაცია ჰქონდათ ისტორიის თემატური ქსელის წევრებთან, რომლებიც აგროვებდნენ ინფორმაციას დარგობრივი სფეროს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და გაუმჯობესების თუნინგის ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე. მეორე მხრივ, ბევრ ქვეყანაში, სადაც ბოლონიის პროცესი გამოიყენება, დარგობრივი ჯგუფის წევრები ჩართულნი იყვნენ კომპეტენციებსა და სწავლის შედეგებზე დაფუძნებული ახალი პროგრამების შემუშავებასა და ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო ელემენტების ჩამოყალიბებაში. ამდენად,, მათ შეუძლიათ საკუთარი გამოცდილება შემოიტანონ დარგობრივი სფეროს ჯგუფში. სხვა მხრივ, პან ევროპული გამოცდილება (ათვლის წერტილები, კომპეტენციები, თანაზიარი ცოდნა გაზიარება სწავლების, სწავლისა და შეფასების შესახებ) თუნინგის საკითხში შეიძლება გამოვიყენოთ და შევაფასოთ სხვადასხვა ეროვნულ და ადგილობრივ კონტექსტში.

ისტორიის დარგობრივმა ჯგუფმა ისტორიის თემატური ქსელის საშუალებით (CLOHnet) მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ და ENQA-ს მიერ განხორციელებულ TEEP 2002 პროექტში. TEEP 2002 საშუალება მოგვცა აღმოგვეჩინა მიგნებები ხარისხის უზრუნველყოფის „პრაქტიკულ“ პროცესში. ამ გამოცდილებამ კარგი ბაზისი მოგვცა ინსტიტუტების აღსაჭურვად შესაბამისი მეთოდოლოგიითა და დახმარებით ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. ისტორიის ქსელის მიგნებები ხელმისაწვდომია მისი წევრი და სხვა ინსტიტუციებისთვის.

დანართი

ისტორიის დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი უნარებისა და კომპეტენციების ნუსხა

გთხოვთ გაითვალისწინოთ: ეს არის იმ 30 დარგობრივი სპეციფიკური კომპეტენციის სია, რასაც დაეფუძნა კონსულტაციები აკადემიურ პერსონალთან. ეს კომპეტენციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კურიკულუმის შედგენისას. იგი არ მოიცავს ყველა კომპეტენციას და არ არის გათვალისწინებული, რომ სტუდენტი ყველა ამ კომპეტენციას განავითარებს.

1. დღევანდელ ისტორიულ მდგომარეობასა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკული აღქმა;

2. ისტორიული ხედვების განსხვავებულობის გაცნობიერება სხვადასხვა პერიოდსა და კონტექსტში;
3. სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის მოსაზრებებისა ცოდნა და პატივისცემა;
4. თანამედროვე ისტორიული კვლევისა და მსჯელობის ხასიათის ცოდნა;
5. წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა;
6. თანამედროვე ისტორიული მსჯელობის მიმდინარეობებისა და საკითხების ცოდნა;
7. კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებული ცოდნა;
8. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია ისტორიოგრაფიისთვისაა სახასილო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით;
9. კომუნიკაცია უცხო ენაზე ისტორიოგრაფიისთვის სახასილო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით;
10. ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და ორიგინალური დოკუმენტების კითხვის უნარი საკუთარ ენაზე, რათა სტუდენტმა სათანადოდ შეაჯამოს, ციტირება მოახდინოს და კატალოგის გაკეთება შესძლოს;
11. ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და ორიგინალური დოკუმენტების კითხვის უნარი უცხო ენაზე, რათა სტუდენტმა სათანადოდ შეაჯამოს, ციტირება მოახდინოს და კატალოგის გაკეთება შესძლოს;
12. საკუთარ ენაზე წერის უნარი და სხვადასხვა ტიპის ისტორიოგრაფიული წერის გამოყენების უნარი;
13. უცხო ენაზე წერის უნარი და სხვადასხვა ტიპის ისტორიოგრაფიული წერის გამოყენების უნარი
14. ინფორმაციის მოძიების საშუალებების ფლობა, ბიბლიოგრაფიული, საარქივო ინვენტარის მოხმარება, ელექტრონული რეფერენციები;
15. სხვადასხვა პერიოდის შესწავლისთვის აუცილებელი უნარები და საშუალებები (პალეოგრაფია, ეპიგრაფია);
16. კომპიუტერული და ინტერნეტ რესურსების ფლობა ისტორიული ან მსგავსი მონაცემების დამუშავებისას (სტატისტიკური და კარტოგრაფიული მეთოდი, მონაცემთა ბაზის შექმნა);
17. კლასიკური ენების ცოდნა;
18. ადგილობრივი ისტორიის ცოდნა;
19. საკუთარი ნაციონალური ისტორიის ცოდნა;
20. ევროპის ისტორიის ცოდნა შედარებითი პერსპექტივისთვის;
21. ევროპული ინტეგრაციის ისტორიის ცოდნა;
22. მსოფლიო ისტორიის ცოდნა;
23. სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტრუმენტების გამოყენების ცოდნა (ლიტერატურული კრიტიკა, და ენის ისტორია, ხელოვნების ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, სამართალი, სოციოლოგია, ფილოსოფია და ა.შ.);

24. სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევის მიდგომების და მეთოდების ცოდნა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, გენდერული);
25. კვლევის საგნის დასახვის უნარი, იმისთვის, რომ წვლილი შეიტანოს ისტორიოგრაფიულ ცოდნასა და დებატებში;
26. კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ზეპირსიტყვიერება ა.შ) აღმოჩენისა და გამოყენების უნარი;
27. მრავალმხრივი ისტორიული მასალის თანმიმდევრული ორგანიზების უნარი;
28. დისციპლინის კანონების მიხედვით კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გადმოცემის უნარი;
29. კრიტიკული კანონების შესაბამისად სწორედ კომენტირების, ანოტირების და რადაქტირების უნარი;
30. ისტორიული დიდაქტიკის ცოდნა
31. სხვა (მიუთითეთ)

2.2.7. მათემატიკა

1. შესავალი დარგობრივ სფეროში

მათემატიკა, მისი აბსტრაქტული ბუნების გამო თითქმის ყველა დისციპლინაში გამოყენებადია, რადგანაც ის იმ თვისებებს განსაზღვრავს, რომელიც საერთოა სხვადასხვა სფეროებისათვის. მისი, როგორც დისციპლინის ფესვები მოიძებნება ყველა ძირითადი ცივილიზაციის უძველეს წყაროებში. მათემატიკა აღმოცენდა როგორც პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის სისტემატიზაცია ისეთ სფეროებში, როგორც იყო მიწათმოქმედება (აქედან გამომდინარე შეიქმნა გეომეტრია), მშენებლობა, ომი და კომერცია. შემდგომში მათემატიკა განვითარდა აბსტრაქციის გზით და ჩამოყალიბდა მეცნიერებად, რომელიც იყენებს დედუქციას მკაფიოდ ჩამოყალიბებული დაშვებების საფუძველზე დამაჯერებელი დასკვნების გაკეთებისათვის.

მათემატიკა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა არა მარტო მეცნიერებისა და ტექნოლოგიისათვის, არამედ თითქმის ყველა სიტუაციისათვის, რომელიც ანალიტიკურ მოდელურ მიდგომას საჭიროებს, დისციპლინისგან დამოუკიდებლად. ბოლო ათწლეულებში მკვეთრად გაიზარდა მათემატიკის გამოყენება მეცნიერებისა და ტექნოლოგიის და ინჟინერიის ტრადიციულ სფეროთა ფარგლებს გარეთ, მაგალითად ფინანსებში, ბიოლოგიასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში.

სტატისტიკა, როგორც დისციპლინა, მათემატიკის შიგნით წარმოქმნა ალბათობიდან და განვითარდა მე-19 საუკუნეში “ოფიციალური სტატისტიკის” ზრდასთან ერთად. ამჟამად ის წარმოადგენს მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის და დაკვირვებისა და

ექსპერიმენტული შესწავლის მეცნიერებას. სტატისტიკა მთავარ და მზარდ როლს ასრულებს, *inter alia*, მედიცინაში, ხარისხის კონტროლსა და მენეჯმენტში, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში, ბიზნესსა და ეკონომიკაში.

მათემატიკის პროგრამები განსხვავდება თეორიული და გამოყენებითი ასპექტების მიხედვით. ზოგი პროგრამა ფართოა, მაშინ როცა სხვა უფრო ვიწროა და კერძო სფეროებში სპეციალიზაციის საშუალებას იძლევა, როგორცაა სტატისტიკა ან ფინანსური მათემატიკა. ყველა მათგანისათვის საერთოა საკვანძო სწავლის შედეგები, რომლებიც ქვევითაა მოცემული.

2. აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება

ტიპური აკადემიური ხარისხები

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხი (დისციპლინის / სპეციფიკური ნაწილის სახელი)
პირველი	<ul style="list-style-type: none"> • მათემატიკა • გამოყენებითი მათემატიკა • მათემატიკური ფიზიკა • მათემატიკა და სტატისტიკა • მათემატიკა და განათლება • ფინანსური მათემატიკა/ მათემატიკური ფინანსები • მათემატიკური ინჟინერია
მეორე	<ul style="list-style-type: none"> • მათემატიკა • სტატისტიკა • ფინანსური მათემატიკა • მათემატიკური ინჟინერია • მათემატიკა და განათლება • ბიომათემატიკა
მესამე	მათემატიკის ნებისმიერი სპეციალიზაციის სფერო

მათემატიკის კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიათა რუკა)

პირველი საფეხური

საფეხური	დასაქმების სფერო		
	პროგრამის პროფილი	პროფესიების კატეგორია/ჯგუფი	პროფესიების მაგალითი
პირველი	მათემატიკა	მრეწველობა	მენეჯმენტის კონსულტანტი
	მათემატიკა	მრეწველობა	მოდელების შემქმნელი
	მათემატიკა	სახელმწიფო სტრუქტურები	მეტეოროლოგი
	მათემატიკა და განათლება	განათლება	მათემატიკის მასწავლებელი საბაზო სკოლაში
	მათემატიკა სტატისტიკაში სპეციალიზაციით	მრეწველობა და სახელმწიფო სტრუქტურები	სტატისტიკოსი
	მათემატიკა (შესაძლოა სპეციალიზაცია ფინანსებში, სტატისტიკასა და ეკონომიკაში)	საბანკო/სადაზღვევო საქმე	სადაზღვევო კომპანიის კონსულტანტი, ბანკირი, ბუღალტერი
	მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები	მრეწველობა/საბანკო საქმე	კომპიუტერული პროგრამების ანალიტიკოსი
მეორე	მათემატიკა (ნებისმიერი სპეციალიზაცია)	უნივერსიტეტი	მკვლევარი/მასწავლებელი
	მათემატიკა	მრეწველობა	მენეჯმენტის კონსულტანტი
	მათემატიკა	მრეწველობა	მკვლევარი / მოდელების შემქმნელი
	მათემატიკა	სახელმწიფო სტრუქტურები	მეტეოროლოგი
	მათემატიკა და განათლება	განათლება	საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი
	მათემატიკა სტატისტიკაში სპეციალიზაციით მეორე დონეზე	მრეწველობა/სახელმწიფო სტრუქტურები	სტატისტიკოსი (მაღალი დონის)
	მათემატიკა სპეციალიზაციით ფინანსებში, სტატისტიკასა და ეკონომეტრიკაში მეორე დონეზე	საბანკო/სადაზღვევო საქმე	სადაზღვევო კომპანიის კონსულტანტი, ბანკირი, ბუღალტერი

	მათემატიკა სპეციალიზაციით მეორე დონეზე	მრეწველობა/თავდაცვის სფერო	მკვლევარი
მესამე	მათემატიკა (ნებისმიერი სპეციალიზაცია)	უნივერსიტეტი	მკვლევარი/ მასწავლებელი
	მათემატიკა	მრეწველობა	მენეჯმენტის კონსულტანტი
	მათემატიკა	მრეწველობა (ფარმაცია, აერონავტიკა, ელექტრონიკა და ა.შ.)	მკვლევარი / მოდელის შემქმნელი
	მათემატიკა	სახელმწიფო სტრუქტურები	მეტეოროლოგი
	სტატისტიკა	მრეწველობა, კერძოდ ბიოტექნოლოგია და მედიცინა	მკვლევარი/ მასწავლებელი
	ფინანსური და სადაზღვევო საქმის მათემატიკა	საბანკო/ სადაზღვევო საქმე	სადაზღვევო კომპანიის კონსულტანტი, ბანკირი
	ალგებრა/რიცხვთა თეორია/დისკრეტული მათემატიკა	სახელმწიფო სტრუქტურები	მკვლევარი / კრიპტოლოგი

დისციპლინის მნიშვნელობა სხვა აკადემიური პროგრამებისათვის

მათემატიკა საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უმრავლესობის აუცილებელი ნაწილია, კერძოდ ფიზიკის, მაგრამ ამავე დროს ქიმიისა და სულ უფრო მეტად ბიოლოგიის. მათემატიკის ზოგი კურსი ჩართულია ბიზნესისა და ეკონომიკის პროგრამებში; სტატისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სფეროებსა და აგრეთვე ჰუმანიტარულ დარგებშიც, სადაც მათემატიკის სხვა კურსები კურიკულუმში არ შედის.

ხშირად მათემატიკა ორმაგი აკადემიური ხარისხების შემადგენელი ნაწილია, როგორცაა მათემატიკა და ეკონომიკა, მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები, მათემატიკა და ბიოლოგია, მათემატიკა და ფიზიკა.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

დუბლინის მახასიათებელი აღწერს ზოგად კომპეტენციებს, რომლებიც უნდა გამოიმუშავონ სტუდენტებმა სწავლის პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე. მათემატიკის პროგრამებმა სავარაუდოდ ისეთი

კომპეტენციების განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, როგორცაა “არგუმენტების ჩამოყალიბება და გამყარება და პრობლემათა გადაჭრა”, თუმცა ამავე დროს მზარდი ყურადღება ეთმობა კომუნიკაციის უნარების განვითარებასაც. თუნინგ-ის პროექტის ფარგლებში განსაზღვრული მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციები: ანალიზისა და სინთეზის უნარი, სწავლისა და პრობლემების გადაჭრის უნარი უნდა განვითარდეს სწავლების სამივე საფეხურზე. შესაბამისად, დუბლინის მხასიათებლისა და თუნინგის პროექტის ზოგადი კომპეტენციები სამივე საფეხურის კონტექსტში განიხილება, ხოლო დარგობრივი კომპეტენციები მოცემულია პირველი და მეორე საფეხურისათვის

ნებისმიერი მათემატიკოსი უნდა ფლობდეს საკვანძო უნარებს:

- მტკიცებულების უნარი
- სიტუაციის მათემატიკური მოდელირების უნარი
- მათემატიკური მეთოდებით პრობლემის გადაჭრის უნარი

დაკვირვების შედეგად ზოგი დარგობრივი კომპეტენცია პირველი და მეორე საფეხურისათვისაა აღწერილი ერთად.

პირველი საფეხური	საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები	საკვანძო ზოგადი კომპეტენციები
<p>საფეხურის მხასიათებელი: მათემატიკის პირველი საფეხურის კურსდამთავრებულები:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეიძენენ მათემატიკის ბაზისური კონცეფციების, პრინციპების, თეორიებისა და შედეგების ცოდნას - შეძლებენ კომპლექსური გამონათქვამების აზრის გაგებასა და ახსნას მათემატიკური ენისა და ნოტაციის გამოყენებით - ექნებათ მათემატიკური აზროვნების, მანიპულაციისა და კალკულაციის უნარები - შეძლებენ მყარი მტკიცებულებების შემუშავებას - ექნებათ 	<p>I დონე</p> <p>შინაარსი. მათემატიკა, რომელიც ყველა მეცნიერმა უნდა იცოდეს: ბაზისური ალგებრა და არითმეტიკა, წრფივი ალგებრა, კალკულუსი, ბაზისური დიფერენციალური და ინტეგრალური კალკულუსი, სწავლის შედეგები.</p> <p>პირველი დონის დასრულებისას სტუდენტი შეძლებს</p> <p>ა) მათემატიკის ზოგი თეორემისა და მათი დამტკიცების გაგებას;</p> <p>ბ) მათემატიკური პრობლემების ამოხსნას, რომელიც არა ტრივიალურია, და სტუდენტისათვის ადრე ნაცნობი პრობლემების მსგავსი;</p>	<ul style="list-style-type: none"> - “ელემენტარული” მათემატიკის სიღრმისეული ცოდნა - ლოგიკური მათემატიკური არგუმენტების შექმნისა და განვითარების უნარი დაშვებებისა და დასკვნების მკაფიო განსაზღვრით - რაოდენობრივი აზროვნების შესაძლებლობა - რაოდენობრივი მონაცემებიდან ხარისხობრივი ინფორმაციის მოპოვების უნარი - მათემატიკისა და სიმბოლოების ენაზე პრობლემების ფორმულირების

<p>მათემატიკური მტკიცებულებების სხვადასხვა მეთოდების პროფესიული გამოყენების უნარი</p>	<p>გ) მათემატიკური ტერმინების ენაზე თარგმნოს არა-მათემატიკურ ენაზე მოცემული მარტივი პრობლემები და თარგმანი გამოიყენოს ამ პრობლემების გადაჭრისათვის.</p> <p>II დონე შინაარსი. მთავარი “მათემატიკური საგნების” ბაზისური თეორია, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბაზისური დიფგანტოლებები - ბაზისური კომპლექსური ფუნქციები - ალბათობა (გარკვეული დონის) - სტატისტიკა (გარკვეული დონის) - ნუმერული მეთოდები (გარკვეული დონის) - ზედაპირებისა და რკალების ბაზისური გეომეტრია - ალგებრული სტრუქტურები (გარკვეული დონის) - დისკრეტული მათემატიკა (გარკვეული დონის) <p>სწავლის შედეგები. მეორე დონის დასრულებისას სტუდენტი შეძლებს:</p> <p>ა) მათემატიკური შედეგების დამტკიცებას ახალი მეთოდით;</p> <p>ბ) მათემატიკურ ენაზე თარგმნოს საშუალო</p>	<p>უნარი ისე, რომ გაადვილდეს მათი ანალიზი და ამოხსნა</p> <ul style="list-style-type: none"> - ექსპერიმენტული და დაკვირვებითი კვლევის დიზაინი და შედეგების ანალიზის უნარი - კომპიუტერული მეთოდების გამოყენების უნარი მათემატიკური პროცესების დახმარებისათვის და ინფორმაციის მოპოვებისათვის - სპეციფიკური დაპროგრამების ენისა და/ან კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.
---	---	--

	<p>სირთულის პრობლემები, მოცემული არა-მათემატიკურ ენაზე, და გამოიყენოს თარგმანი ამ პრობლემების გადაჭრისათვის;</p> <p>გ) პრობლემები ამოხსნას ორიგინალური მათემატიკური მეთოდებით;</p> <p>დ) შექმნას მათემატიკური მოდელები არა-მათემატიკური პროცესების აღწერისა და ახსნისათვის.</p>	
<p>მეორე საფეხური</p>	<p>საკვანძო დარგობრივი კომპეტენციები</p>	
<p>საფეხურის მახასიათებელი: სწავლის შედეგები. მეორე საფეხურის წარმატებული დასრულებისას სტუდენტი შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მათემატიკური ლიტერატურიდან საკითხის წაკითხვასა და გარჩევას და ოსტატობის გამომჟღავნებას გააზრებული ზეპირი ან წერიითი ანგარიშის ფორმით; - სპეციალიზაციის სფეროში კვლევის ინიცირებას. 	<ul style="list-style-type: none"> - აბსტრაქციის უნარი ფორმალური თეორიების ლოგიკური განვითარებისა და მათ შორის ურთიერთკავშირის განვითარების ჩათვლით. - რეალური ცხოვრებისეული სიტუაციის მათემატიკური მოდელირების უნარი და მათემატიკური ექსპერტიზის ტრანსფერი არა-მათემატიკურ კონტექსტში. - მზაობა ახალი სფეროების ახალი პრობლემების ამოხსნისათვის. - პრობლემების გაგებისა და მათი 	

	<p>მნიშვნეოვანი ნაწილების აბსტრაქტების უნარი.</p> <ul style="list-style-type: none"> - კომპლექსური პრობლემების ოპტიმიზაციის ფორმულირების უნარი და გადაწყვეტილების მიღება და ამოხსნის ინტერპრეტაცია პრობლემის ორიგინალურ კონტექსტში. - მათემატიკური არგუმენტების ადეკვატური გამოყენების უნარი აუდიტორიისათვის გასაგებ ფორმაში - მათემატიკის სწავლებისა და სწავლის პროცესის ცოდნა. 	
--	---	--

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარდა კონსულტაციები ზოგადი და ზოგი დარგობრივი კომპეტენციის თაობაზე თუნინგ I პროექტის ფარგლებში სპეციალური კითხავრის მეშვეობით. მეცნიერები გამოკითხულნი იყვნენ უფრო დეტალურად დარგობრივი კომპეტენციების შესახებ. შედეგები გამოქვეყნდა პუბლიკაციაში “ევროპაში მათემატიკის აკადემიური ხარისხების ერთიანი ჩარჩოსაკენ”, რომელიც ასევე გამოქვეყნდა მათემატიკოსთა ევროპული საზოგადოების ბიულეტენში. ეს სტატია ასევე ფართოდ გავრცელდა ეროვნულ დონეებზე.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

მაშინ როდესაც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის უდიდესი ნაწილი 180 კრედიტიანი პროგრამებისკენ იხრება, ესპანეთი, პორტუგალია და ირლანდია, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის აბიტურიენტთა

ასაკის გამოც, 240 კრედიტიანი პროგრამებისკენ იხრება პირველი საფეხურისათვის. თუნინგ-ის ჯგუფს მიაჩნია, რომ თუ პედაგოგიური კვალიფიკაციის მიღება პირველი საფეხურის აკადემიური პროგრამის ფარგლებში უნდა ხდებოდეს, მაშინ 240 კრედიტიანი პროგრამა გამართლებულია. მეორე საფეხურზე სამეცნიერო ნაშრომის გათვალისწინებით რეკომენდირებულია 90-დან 120 კრედიტამდე.

საფეხური	ECTS კრედიტები
პირველი	უფრო გავრცელებულია 180 კრედიტი, თუმცა არსებობს 240 კრედიტიანი პროგრამებიც.
მეორე	უფრო გავრცელებულია 120
მესამე	სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა როგორც წესი სამი წელია.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

მათემატიკის სწავლა და სწავლება, როგორც წესი, შემდეგი ასპექტების კომბინაციას წარმოადგენს:

- ლექციები წარმოადგენენ დროის მხრივ ძალიან ეფექტურ საშუალებას სტუდენტებისათვის მასალის დიდი მოცულობის მიწოდებისათვის. ზოგ შემთხვევაში სტუდენტები იძენენ მომზადებულ სალექციო კონსპექტებს ან სახელმძღვანელოებს; სხვა შემთხვევაში ლექციის მსვლელობისას ჩანაწერების გაკეთებაა რეკომენდირებული.
- სავარჯიშოების სესია ხშირად ორგანიზებულია ლექციებთან ერთად. ხორციელდება ჯგუფურად მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, ან ინდივიდუალურად საშინაო დავალების ფორმით, რომელიც მერე მოწმდება. სავარჯიშოებს ორმაგი მიზანი აქვს: მაგალითების საფუძველზე თეორიული მასალის გაგება და პრობლემის ამოხსნისათვის მისი გამოყენება. მათემატიკაში სავარჯიშოები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც გაცნობიერება აქ ხორციელდება არა უბრალოდ დამახსოვრების, არამედ პრაქტიკის საფუძველზე.
- საშინაო დავალება. მართალია, მოითხოვს ლექტორის ან მისი ასისტენტის დიდ დროს, მაგრამ საშინაო დავალება სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდია, როდესაც სტუდენტი მისი შესაძლებლობების ზღვარს იგებს. საშინაო დავალება ასევე იძლევა ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც სტუდენტი მისი მოსწრების ნათელ სურათს იღებს. მიუხედავად ამისა, საშინაო დავალებას ხშირად აძლევენ, მაგრამ ძალიან იშვიათად აფასებენ, გამონაკლისია მცირე ზომის ჯგუფები.
- კომპიუტერული ლაბორატორიები ბოლო დროს მათემატიკის სწავლებაში ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენენ, ქმნიან რა საგნის ექსპერიმენტულ ასპექტს. მათი მეშვეობით ისწავლება არა

მარტო კომპიუტერულ მეცნიერებებთან დაკავშირებული საგნები, არამედ სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა, დინამიკური სისტემები და ა.შ.

- პროექტები ხორციელდება ინდივიდუალურად ან მცირერიცხოვან ჯგუფებში და, როგორც წესი, გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებებიდან მასალის მოგროვებას კომპლექსური პრობლემების გადაჭრის მიზნით. მცირერიცხოვან ჯგუფებში შესრულებული პროექტები ავითარებს ჯგუფში მუშაობის უნარს (რომელიც მნიშვნელოვან ზოგად კომპეტენციას წარმოადგენს). პროექტი შეიძლება მოიცავდეს მნიშვნელოვან გამოთვლით/კომპიუტერულ ელემენტებს, როგორც ეს ზემოთ აღნიშნულ კომპიუტერულ კომპეტენციაში იყო ნახსენები. პროექტები, განსაკუთრებით კი დამამთავრებელ წელს შესრულებული პროექტები, ასევე ავითარებენ სტუდენტის ვერბალური და წერიტი კომუნიკაციის უნარს.
- დისერტაცია აუცილებელია მეორე საფეხურისათვის, სადაც იგი უნდა მოიცავდეს ბიბლიოგრაფიულ კვლევასაც და ა.შ.

სწავლის, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო მაგალითები ზოგი დარგობრივი კომპეტენციისათვის:

კომპეტენცია: მათემატიკისა და სიმბოლოების ენაზე პრობლემების ფორმულირების უნარი ისე, რომ გაადვილდეს მათი ანალიზი და ამოხსნა.

ეს კომპეტენცია აუცილებლად მოიცავს მარტივი პრობლემის ტოლობის სახით გამოსახვის უნარს, გამოთქმის სიმბოლურ/მათემატიკურ ენაზე გამოხატვის უნარს და პირიქით, და ამოხსნისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას: იმის ცოდნას, როდის არის ამოხსნა მართებული. ეს კომპეტენცია ვითარდება სავარჯიშოების ამოხსნა/შეფასების, პროექტზე მუშაობისა და პრობლემების გადაჭრის მეშვეობით, სადაც ამოხსნის მეთოდს შეუძლია ამოხსნის მიზანშეწონილობის ილუსტრირება.

კომპეტენცია: ექსპერიმენტული და დაკვირვებითი კვლევის დიზაინი და შედეგების ანალიზის უნარი.

ამ კომპეტენციის ერთ-ერთი ინტერპრეტაცია არის ის, რომ პირველი საფეხურის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ ფუნქციონირებადი სემენტების კოდის შექმნა მაღალი დონის ენაზე, ინპუტის შეცდომების შესწორება (ანუ სინტაქსის მათემატიკის გაგება), და შემდგომ მონაცემთა ინტერპრეტაცია (მაგალითად ფაზის ცარიელი პორტრეტი). ზოგადად, კომპიუტერის მეშვეობით ჩატარებული ანალიზი უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს, შესაბამისად ექსპერიმენტის სათანადო დიზაინი მზარდი მნიშვნელობის კომპეტენცია ხდება. ლაბორატორიული მეცნიადინეობა ამ კომპეტენციის განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

კომპეტენცია: აბსტრაქციის უნარი ფორმალური თეორიების ლოგიკური განვითარებისა და მათ შორის ურთიერთკავშირის განვითარების ჩათვლით.

ეს მოიცავს შემდეგ უნარებს:

- მათემატიკური ობიექტების გაგება/გაცნობიერება
- ფორმალური წესების დაცვით მანიპულირება მათემატიკური ობიექტებით
- სწორ და არასწორ ოპერაციებს შორის განსხვავების ნახვა
- აქსიომების, დეფინიციებისა და თეორემების როლის გაგება

სტუდენტებს ასწავლიან სხვადასხვა ფორმალურ მათემატიკურ თეორიას. ისინი სწავლობენ თეორიების ლიმიტს და შემდეგ სწავლობენ, თუ როგორ შეიძლება რეალობის ზოგი ასპექტი გარდაიქმნას ფორმალურ თეორიად მას შემდეგ, რაც გამოირიცხება შემთხვევითობა კერძო პრობლემასთან მიმართებაში. სტუდენტები სწავლობენ და იგებენ ზოგ თეორემას, ახორციელებენ გარკვეულ მანიპულაციებს ფორმალური წესების დაცვით და ამოწმებენ საკუთარ სამუშაოს.

6. განათლების ხარისხის ამაღლება

თუნინგის შემოწმების ფორმა პროგრამების შემუშავებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბოლონის რეფორმის ფარგლებში” გვთავაზობს ახალი პროგრამების შექმნის მექანიზმს. ის ასევე შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც ათვლის წერტილი არსებული პროგრამების მოდიფიკაციისათვის, ანუ ECTS კრედიტებისა და სწავლის შედეგების დაწერისათვის.

2.2.8. საექთნო საქმე

1. შესავალი

საექთნო საქმე ჯანდაცვის სფეროდან პირველი რეგულირებადი და პრაქტიკული დისციპლინაა, რომელიც თუნინგის პროექტმა მოიცვა. ეს პროფესია ინგლისურ ენაში აღინიშნება არა ტრადიციული არსებითი სახელით, არამედ ზმნა ”ექთნობით - nursing” (Agan, 1987). საექთნო საქმე პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიაა, და საერთო აღიარებით, ერთდროულად ხელოვნება და ასევე მეცნიერებაა. ის იღებს ცოდნასა და ტექნიკას საკუთარი ცოდნის ბაზიდან, ტრადიციებიდან, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან. საექთნო საქმე განსხვავებულია ევროპაში საზოგადოებაში ექთნების როლის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემების ორგანიზების მიხედვით, საკანონმდებლო ბაზისა და ანგარიშვალდებულების მიხედვით და ადგილობრივი შრომის ბაზრისა და ეკონომიკის შესაბამისად.

საექთნო საქმეში აკადემიური პროგრამების დიზაინი ექვემდებარება ორ ევროპულ ნორმატიულ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს ექთნების პრაქტიკის უფლებას და “ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელ ექთანთა” კვალიფიკაციას. ეს არის 1977 წლის 27 ივნისის სექტორალური დირექტივა 77/453/EEC და 1989 წლის 10 ოქტომბრის დირექტივა 89/595/EEC (consolg 1977L0453 დათარიღებული 31/07/2001). საექთნო საქმის სხვა სპეციალობები ამ სპეციფიკურ, სექტორულ დირექტივებს არ ექვემდებარება, მაგრამ ემორჩილება ზოგად სისტემურ დირექტივას (1988 წლის 21 დეკემბრის 89/48/EEC). საერთაშორისო დონეზე, ბევრმა ქვეყანამ მიაღწია ან ცდილობს მიაღწიოს პირველი საფეხურის ეკვივალენტურ (ხშირად აღინიშნება როგორც კურსდამთარებელი – “graduate”) სტატუსს საექთნო საქმეში რეგისტრაციის დონეზე.⁹

სექტორული დირექტივა არ ახდენს აკადემიური მიღწევის სპეციფიკაციას. საექთნო საქმის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალიზებულია პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, საუნივერსიტეტო კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ან ამ სამის ნარევი. რეგისტრაციის შემდგომ, ბევრ ქვეყანაში შეზღუდულია სწავლის გაგრძელება განსაკუთრებით შემდგომ საფეხურებზე. იმ ქვეყნებში, სადაც რეგისტრაცია არ არის თანდართული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით, ექთნებს სჭირდებათ აკადემიური და/ან პროფესიული სწავლა პირველ საფეხურზე (მაგალითად, გერმანიაში). პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეორე საფეხურის პროგრამები საექთნო საქმისგან განსხვავებულ დისციპლინებს მოიცავს და ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ არ შეიქმნება საექთნო საქმის ბაკალავრიატის შემდგომი ცენტრები.

პროფესიულ/აკადემიურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება საექთნო საქმის ბუნებისა და შინაარსის, ექთნების კომპეტენციის, სწავლების, კლინიკური სწავლებისა და გადაწყვეტილების მიღებისა და პროფესიული სიძნელეების შესახებ ძირითადად ქალების მიერ დომინირებად სფეროში. საექთნო საქმეს ტრადიციულად განაგებს ჯანდაცვისა და არა განათლების სამინისტრო, გამონაკლისია რეგისტრაციის საკითხი. ამ შემთხვევისათვის იქმნება სპეციალური პროტოკოლი, რომელიც არეგულირებს ორი სამინისტროს თანამშრომლობის საკითხს. ტექსტში საილუსტრაციოდ მოყვანილია ზოგი ევროპული განმარტება საექთნო საქმის ბუნების შესახებ არასპეციალისტი მკითხველისათვის; აქვია მოცემული საექთნო საქმის თანამედროვე პრობლემატიკა. ამ სტატიაში ექთანი განიმარტება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელოს მიხედვით (International Labour Organisation’s guide – ILO, 1977) როგორც პირველი დონის პროფესიონალი ექთანი. ასეთ ექთანს მიღებული აქვს განათლება და პრაქტიკა “საჭირო მეტად კომპლექსური და საპასუხისმგებლო ფუნქციების

⁹ ამ ტექსტში ტერმინი „რეგისტრაცია“ იხმარება იმ ექთნების აღწერისათვის, რომლებმაც მიაღწიეს საექთნო საქმის ზოგადი დირექტივის შესაბამის ეროვნულ კვალიფიკაციას. ზოგ ქვეყანაში შესაძლოა იხმარებოდეს ტერმინი „პრაქტიკული საქმიანობის ლიცენზია“. საექთნო საქმის სტუდენტი ამ კონტექსტში არის პიროვნება, რომელიც გადის სწავლებას კვალიფიკაციის მიღწევისათვის.

შესრულებისათვის და აქვს ამ ფუნქციების განხორციელების უფლება”.
 თუნინგის პროექტში, პირველი დონის ექთანის უკვე პროფესიონალია.

2. აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება

საექთნო საქმის ტიპური აკადემიური ხარისხები
საექთნო საქმის კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიათა რუკა)

დონე (პირველი ან მეორე საფეხური)	ქვედისციპლინა/სპეციალიზაციის სფერო	პროფესიის კატეგორია/ჯგუფი	სპეციალიზაციის/კატეგორიის შესაბამისი პროფესიების სია	საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი (მოკლე აღწერა)	ყველაზე მნიშვნელოვანი დარგობრივი კომპეტენციები	ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციები
1. პირველი საფეხური	EU-ს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის მიღწევისათვის საჭირო კურსები ზოგადი ექთნისათვის; ზოგ ქვეყანაში არის სპეციალიზაცია პედიატრიული, ფსიქიატრიის, სასწავლო დარღვევების და ა.შ.	ქვეყნის ტრადიციების შესაბამისად რეგისტრირებული ექთანი სახელმწიფო და კერძო სექტორში. ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის სფეროს სხვა პროფესიების ხელმისაწვდომობა. სხვა პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიების ხელმისაწვდომობა (სტიუარდესა, მომსახურების სფერო)	ასრულებს EU ზოგადი დირექტივის მოთხოვნას – 3 წელი 4600 საათი. თეორიული და კლინიკური სწავლების დადგენილი შინაარსი	ყველა მნიშვნელოვანი დარგობრივი კომპეტენციები ლიდერობაზე, ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაზე, ასევე კვლევით უნარებზე	ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში; ეთიკური საკითხების გაცნობიერება	
2. პირველი საფეხური	რეგისტრირებული ექთნის კურსები პირველი საფეხურის ხარისხის მოსაპოვებლად: ზე-მთა აღნიშნულს უნდა დაემატოს: სპეციალური კლინიკური საექთნო საქმე ლიდერობა, მენეჯმენტი ადმინისტრაცია განათლება საზოგადო-	ქვეყნის ტრადიციების შესაბამისად რეგისტრირებული ექთანი სახელმწიფო და კერძო სექტორში. ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის სფეროს სხვა პროფესიების ხელმისაწვდომობა. სხვა პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიების ხელმისაწვდომობა (სტიუარდესა, მომსახურების სფერო)	- ლიდერობა, ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტი და ადმინისტრირება - კლინიკური საექთნო სპეციალობები პრაქტიკული კომპეტენციებით ან მათ გარეშე - ზოგადი საექთნო სწავლება - კვლევითი მეთოდები - ექთნების განათლება			

	ებრივი ჯანდაცვა			
1. მეორე საფეხური	კლინიკური სპეციალი- ზაცია ან საექთნო საქმე	ექთნებ- ის მას- წავლებე ლი; სპეციალ ისტი ექთანი	აქცენტი კლინიკურ ცოდნაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე და/ან საექთნო საქმის თეორიასა და პრაქტიკაზე; ჯანდაცვის სფეროს ეთიკა	ანალიზი, პრობლემ- ის გადაჭრა კვლევა ან მონაცემებ ზე დაყრდნო- ბილი უნარები თვითრეფ ლექსია ეთიკა
2. მეორე საფეხური	აქცენტი ლი- დერობაზე, მენეჯმენტსა და ადმინის- ტრირებაზე	ექთანი ან ჯანდ- აცვის მომსახუ რების მენეჯე- რი	აქცენტი ლიდერობასა და მენეჯმენტზე; ფინანსები და ეკონომიკა	
3. მეორე საფეხური	აქცენტი გა- ნათლებაზე	ექთნების მასწავლე ბელი	კლინიკური და/ან თეორიული სწავლება	ინტერპერსო ნა-ლური უნარები სწავლების თეორია დარგობრივი ცოდნა
4. მეორე საფეხური	კვლევითი მეთოდები	კვლევითი კარი- ერა აკადემი ური კარიერა	აკადემიური კარიერა ან ჯანდაცვის სფეროში კვლევების აუდიტი	კვლევითი მეთოდები ეთიკა და მმართველო- ბა

როგორც ცხრილშია მოცემული, თუნინგის პროექტის ფარგლებში საექთნო საქმის რეპრეზენტაცია ასახავს თანამედროვე ევროპაში მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურსა და სოციალურ-კულტურულ გავლენას. ქვეყნების მიხედვით პროფილი (დანართი 1) გვიჩვენებს სხვაობას და ზოგ შემთხვევაში ნაკლოვანებებსაც ექთნების განათლებაში. სტუდენტები, რომლებსაც სურთ პროფესიული საქმიანობის დაწყება პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, სწავლობენ შესაბამის ფაკულტეტზე უმთავრესად თავად საექთნო საქმეს. ფართო კონტექსტში პირველი ან მეორე საფეხურის აკადემიური კვალიფიკაციები რეგისტრირებული ექთნისათვის შესაძლოა ხუთ კატეგორიად დაიყოს, რომლებიც ექთნების ტიპურ კარიერას ასახავს:

- ლიდერობა, ჯანდაცვის სფეროს მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- კლინიკური საექთნო სპეციალობები;
- ზოგადი საექთნო სფერო;
- კვლევის მეთოდები;
- ექთნების განათლება.

ბევრი ამ კურსებიდან პრაქტიკაში ფასდება.

გარდა ამისა, ექთნები სწავლობენ ინტერპროფესიულ/მულტიდისციპლინურ კურსებს, მაგალითად, ჯანმრთელობის განათლება, მედიცინა და სოციალური უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, კვება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კონსულტაციები. ასევე ვითარდება „კონსულტანტ ექთნის“ პროფილი პროფესიულ და/ან სადოქტორო (მესამე საფეხურის) დონეზე. 2000 წელს ევროკავშირის კომისიის მიერ შეიქმნა რეგულაციები ანგარიში¹⁰, რომელშიც გაანალიზებულია ევროპაში სპეციალისტი ექთნების მდგომარეობა (XV/98/09/E). განისაზღვრა მობილობის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორები და გაკეთდა აქცენტი „ლიმიტირებული ტრენინგის პირობებში ექთნების პროფესიული აქტივობის“ შესახებ.

დისციპლინის როლი სხვა აკადემიური პროგრამებისათვის

საექთნო საქმესთან დაკავშირებული აკადემიური და პროფესიული პროგრამების რეგულირებადი ბუნების გამო ეს დისციპლინა იშვიათად მონაწილობეს სხვა აკადემიურ პროგრამებში. თუმცა არაა გამორიცხული, რომ არსებობდეს ერთობლივი სწავლება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროფესიებთან და დისციპლინებთან ერთად. მაგალითად, შესაძლოა არსებობდეს ექთნებისა და სოციალური მუშაკების მომზადების ერთობლივი პროგრამები. ამის მსგავსად, ექთნებს შეუძლიათ სხვა პროგრამების საგნებით ისარგებლონ (მაგალითად, ფარმაკოლოგია, ეთიკა, კვლევა, ჯანმრთელობის სოციოლოგია და ფსიქოლოგია), მაშინ, როდესაც „წმინდა“ საექთნო საგნები სხვა პროგრამების სტუდენტების მიერ იშვიათად იქნება არჩეული. ინტერპროფესიული სწავლება პირველ საფეხურზე პრერეგისტრაციულ დონეზე იზრდება, თუ არსებობს საერთო კომპეტენციები ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სხვა პროფილის სტუდენტებთან.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები - საფეხურის დონის მახასიათებლები

დონის მახასიათებლები საექთნო საქმეში

ცნობილია რომ პირველი, მეორე და მესამე საფეხურის დონეები მიესადაგება საექთნო პრაქტიკას, საექთნო საქმის სწავლებას, საექთნო საბუნებისმეტყველო ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ადგილობრივი წესებისა და ტრადიციების მიხედვით. ეს დამოკიდებულია საექთნო საქმის დეპარტამენტის ადგილზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგალითად, არის ის დამოუკიდებელი, თუ მედიცინის, ჰუმანიტარული

¹⁰ http://europa.eu.int/comm/internal_market/en/qualifications/nursesintro.htm

თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილია. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „საექთნო საქმე“ გამოიყენება ამ სტატიაში პროგრამებისათვის, რომლებიც პრაქტიკულ კომპეტენციებს, როგორც ხარისხის მიღების წინაპირობას მოიცავენ. ეს ჯერ არ არის შემუშავებული მეორე და მესამე საფეხურის დონეებისათვის. სხვა პროგრამებისაგან განსხვავების მიზნით, ტერმინი „საექთნო საბუნებისმეტყველო მეცნიერება“ გამოიყენება ტერმინ „საექთნო საქმის სწავლებასთან“ ერთად. სიტყვა „საბუნებისმეტყველო მეცნიერების“ გამოყენება არ ნიშნავს ექთნობის პოზიტივისტური მოდელის უპირატესობას.

აღიარებულია, რომ ზოგ ქვეყანაში საექთნო საქმეში ორი ტიპის სადოქტორო პროგრამა არსებობს. პირველი ტრადიციული ემპირიულ/თეორიული ბაზის მქონე დოქტორანტურაა. მეორე კი „პროფესიული ან კლინიკური“ დოქტორანტურა. ეს უკანასკნელი შეიქმნა, რადგანაც ექთნებს სპეციალისტობის მეტი პროფესიული და აკადემიური შესაძლებლობა გაუჩნდათ.

ქვომოთ მოცემული მახასიათებლები შეიქმნა დუბლინის მახასიათებლების www.jointquality.org და სხვა ეროვნული ჩარჩოების გათვალისწინებით. ეს მახასიათებლების მხოლოდ სამუშაო ვერსიაა და მეტ კონსულტაციებს მოითხოვს.

საფეხურების დონის მახასიათებლები

<p>პირველი საფეხურის დონეების მახასიათებლები სამუშაო მიმდინარეობს</p>
<p>კომპეტენციის პროფილი რეგისტრაციის კვალიფიკაციისათვის საექთნო საქმის ბაკალავრი შეიძენს სპეციფიკურ კომპეტენციებს აკადემიურ გარემოში შემუშავებული პროგრამის გავლის შედეგად, რომელიც სამეცნიერო-კვლევით ნაწილსაც მოიცავს. პროგრამა უნდა მოიცავდეს სავალდებულო თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც შეთანხმებული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეებსა და კონპეტენტურ უწყებებთან. კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს საექთნო საქმისათვის მნიშვნელოვანი დისციპლინებისა და მეთოდოლოგიების საბაზისო ცოდნა. ამან კურსდამთავრებულს უნდა მისცეს პროფესიული ფუნქციების შესრულების კვალიფიკაცია და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს სწავლის გაგრძელება მეორე ან მესამე საფეხურზე მონათესავე პროგრამებით.</p>
<p>კომპეტენციის მიზნები საექთნო საქმის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს: ინტელექტუალური კომპეტენცია: - პროფესიათა დაკავშირებული საკითხების აღწერის, ფორმულირებისა და კომუნიკაციის უნარი და გადაწყვეტილების</p>

მიღების კომპეტენცია;

- პროფესიასთან დაკავშირებული საკითხების თეორიული ანალიზისა და პრაქტიკაში მისი გამოყენების კომპეტენცია;
- საკუთარი სწავლის სტრუქტურირება.

პროფესიული და აკადემიური კომპეტენცია:

- საექთნო საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენება და შეფასება;
- საექთნო საქმის ცენტრალური თეორიების, მეთოდოლოგიებისა და კონცეფციების ცოდნა;
- საექთნო პრაქტიკის სხვადასხვა ტიპის დოკუმენტირება, ანალიზი და შეფასება;
- კვლევის უტილიზაცია და განვითარება მტკიცებულებებზე დაყრდნობილი (evidence-based) საექთნო საქმის განვითარებისათვის.

პრაქტიკული კომპეტენცია:

- პრაქტიკული საექთნო საქმის პროფესიული ფლობა და ლიცენზიის რეგისტრაციისათვის საჭირო უნარების დემონსტრირება (იხ. პირველი საფეხურის კომპეტენციები);
- გადაწყვეტილებების მიღება და გამართლება საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით;
- პერსონალური ინტეგრაციის დემონსტრირება და საექთნო საქმის ეთიკის ფარგლებში მოქმედება;
- მულტიდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარი და მზაობა;
- საექთნო საქმისათვის რელევანტური პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა.

ფორმალური ასპექტები

მიღების წინაპირობები

უნივერსიტეტის მოთხოვნები ან ექვივალენტური (მოიცავს პიროვნების ვარგისობას, რომელიც დისციპლინისა და ეთიკურ მზაობას ეყრდნობა)

მოცულობა: 180-240 კრედიტი (ჩვენ გთავაზობთ სამომავლო პროგრამებში მინიმუმ 90 კრედიტის გათვალისწინებას პრაქტიკული კომპეტენციისათვის, გარდა ამისა პროგრამის მოცულობა უნდა იყოს სულ მცირე 210-240¹¹ კრედიტი).

სწავლის გაგრძელების საშუალება: მეორე საფეხური/სამაგისტრო პროგრამები

პროფესიული თეორიული და პრაქტიკული პროგრამები. ლიდერის, მენეჯერის, კლინიკური სპეციალისტის, განმანათლებლისა და/ან მკვლევარის კარიერა.

¹¹ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საექთნო საქმე განსაკუთრებული შემთხვევაა.

**მეორე საფეხურის დონეების მახასიათებელი
სამუშაო მიმდინარეობს**

კომპეტენციის პროფილი პრაქტიკის გარეშე კვალიფიკაციისათვის

საექთნო საქმის მაგისტრს უნდა გააჩნდეს კომპეტენცია, მიღებული კვლევით გარემოში. კურსდამთავრებული მზადაა დასაქმებისათვის შრომის ბაზარზე მისი აკადემიური დისციპლინის (საექთნო საქმე), პროფესიული კომპეტენციის (ექთნობა) შესაბამისად და შეუძლია კვლევის გაგრძელება (სადოქტორო პროგრამები).

პირველი საფეხურის კურსდამთავრებულთან შედარებით, მეორე საფეხურის კურსდამთავრებულს ისე აქვს განვითარებული თავისი კომპეტენცია, რომ შეუძლია მეცნიერული თეორიებისა და მეთოდის გამოყენება დამოუკიდებლად როგორც აკადემიურ, ისე პროფესიული კონტექსტში.

თუ კანდიდატი სწავლობს მეორე საფეხურზე კლინიკურ საექთნო საქმეს პრაქტიკული კომპეტენციით, მაშინ ამ პირმა უნდა შეძლოს სპეციალური ან კომპლექსური საექთნო საქმის განხორციელება.

კომპეტენციის მიზნები

პირველი საფეხურის/ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხის კომპეტენციების გარდა, მეორე საფეხურის კურსდამთავრებულს/საექთნო საქმის მაგისტრს უნდა გააჩნდეს:

ინტელექტუალური კომპეტენციები:

- საექთნო საქმის რთული პროფესიული და აკადემიური საკითხების კომუნიკაციის მკაფიო და ცალსახა უნარი როგორც პროფესიონალებთან, ასევე დილეტანტებთან;
- საექთნო საქმის კომპლექსური სამეცნიერო საკითხების დამოუკიდებლად, სისტემატურად და კრიტიკულად ფორმულირებისა და ანალიზის უნარი;
- დამოუკიდებლად საკუთარი კომპეტენციის განვითარებისა და სპეციალიზაციის უნარი

პროფესიული და აკადემიური:

საექთნო საქმესთან დაკავშირებული რთული საკითხების ანალიზისათვის სხვადასხვა მეთოდის მიზანშეწონილობის განსაზღვრის უნარი აკადემიური და პროფესიული პერსპექტივიდან;

- დემონსტრირება:

აკალავრის დონეზე მეტი სპეციალობის გაგების

აკალავრის დონესთან შედარებით უფრო ფართო აკადემიური პერსპექტივის

აკლავრის დონესთან შედარებით ახალი აკადემიური კომპეტენციების

- საექთნო საქმეში კვლევითი სამუშაოს სრულყოფილი გაცნობიერება და შესაბამისად კვლევით კონტექსტში აქტივობის უნარი;
- პრაქტიკაზე დაფუძნებულ პროფესიაში (კვლევის ეთიკა და მართვა) პრაქტიკისათვის კვლევის მნიშვნელობის გაცნობიერება;

პრაქტიკული კომპეტენციები:

- გადაწყვეტილებების მიღება და გამართლება/დასაბუთება, რომლებიც ასახავს სოციალურ და ეთიკურ პასუხისმგებლობას, საექთნო საქმესა და საექთნო კვლევას და საჭიროების შემთხვევაში ანალიზის ჩატარება, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისათვის ადეკვატურ საფუძველს შექმნის;
- განვითარების სამუშაო რომელიც ეფუძნება სამეცნიერო, თეორიულ და/ან ექსპერიმენტულ მეთოდებს საექთნო საქმესა და საექთნო კვლევაში.

სპეციფიკური დარგი საექთნო საქმის კლინიკური/პრაქტიკული მაგისტრი (პრაქტიკა) ჯერ კიდევ შესამუშავებელია. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მოდელები არსებობს, რომელიც ინსტიტუციურ ასპექტებს ასახავს. მივესალმებით კომენტარებს.

ფორმალური ასპექტები

მიღების წინაპირობები:

პირველი საფეხურის წარმატებულად დასრულებული შერჩეული პროგრამები ან პროფესიული ეკვივალენტი (პროფესიული პრაქტიკული პროგრამებისათვის, რომლებიც გულისხმობს პიროვნების დისციპლინურ და ეთიკურ შესაბამისობას).

მოცულობა: 90 ან 120 კრედიტი (ჩვენი რეკომენდაციით პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებულია სპეციალისტის პრაქტიკაზე, უნდა მოიცავდნენ კრედიტებს პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებისათვის და პროგრამის მოცულობა ამ შემთხვევაში 120 კრედიტი უნდა იყოს).

სწავლის გაგრძელების საშუალება: დოქტორანტურა ან სპეცილიასტი საექთნო საქმეში.

იხ. სტატიები 1 და 2.

მესამე საფეხურის დოქტორების მახასიათებლები
სამუშაო გრძელდება

აღიარებულია, რომ ზოგ ქვეყანაში საექთნო საქმეში ორი ტიპის სადოქტორო პროგრამა არსებობს. პირველი ტრადიციული ემპირიულ/თეორიული დოქტორანტურა. მეორე -“პროფესიული ან კლინიკური” დოქტორანტურა. ეს უკანასკნელი შეიქმნა, რადგანაც ექთნებს

ჰქონოდათ დახელოვნების მეტი აკადემიური და პროფესიული შესაძლებლობა.

კომპეტენციის პროფილი

საექთნო საქმის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ექნება კომპეტენციები, რომლებიც ეფუძნება ემპირიულ სამუშაოზე აგებულ საგანმანათლებლო პროგრამას და მოიცავს დამოუკიდებლად შესრულებულ ორიგინალურ კვლევას. საერთაშორისო კონტექსტში კურსდამთავრებული შეძლებს კვლევის განხორციელებას, კვლევითი და სამასწავლებლო ამოცანების დეტერმინირებას აკადემიურ, ჯანდაცვის სფეროებში და სხვა ორგანიზაციებში, სადაც საჭიროა საექთნო საქმის სფეროში ფართო და დეტალური ცოდნა. მათი კვლევა ეფუძნება კვლევის შესაბამის მეთოდებს საექთნო საქმეში, და ამით მიაღწევს კვლევის ეფექტს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს უტოლდება.

კლინიკურად ორიენტირებული დოქტორანტურის კურსდამთავრებული ატარებს ემპირიულ სამუშაოს, რომელიც ფოკუსირებულია პრაქტიკაზე და ეფუძნება სამსახურეობრივ ფუნქციებს. *თუნიგის მესამე ფაზაში დამატებითი სამუშაო ჩატარდება ამ კომპეტენციებსა და პროფილზე.*

კომპეტენციის მიზნები

მეორე საფეხურის კომპეტენციებს ემატება მესამე საფეხურის კურსდამთავრებულის კომპეტენციები:

ინტელექტუალური კომპეტენციები:

- საექთნო საქმის სპეციფიკურ სფეროში დარგობრივი, თანამედროვე და დეტალური ცოდნის როგორც წერილობით, ასევე ზეპირი კომუნიკაცია და დაცვა/გამართლება;
- გრძელვადიანი უწყვეტი კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად ფორმულირება და სტრუქტურირება.

“პროფესიული” დოქტორი შეძლებს:

- საექთნო საქმის სპეციფიკურ სფეროში დარგობრივი, თანამედროვე და დეტალური ცოდნის როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით კომუნიკაციასა და დაცვა/გამართლებას კოლეგების, მეცნიერთა ფართო ფენისა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე;
- გრძელვადიანი უწყვეტი კვლევითი პროექტის ფორმულირებას, სტრუქტურირებასა და გაძღვლას;
- დასახული შედეგის მიღწევას.

პროფესიული და აკადემიური:

- საექთნო საქმის სფეროში კვლევის წარმოება საერთაშორისო დონეზე და საერთაშორისო კონტექსტში;

- საექთნო მეცნიერების მეთოდების შესაბამისობის დამოუკიდებელი ინიცირება, ფორმულირება, სტრუქტურირება, გაძლიერება და შეფასება;
- სპეციალისტის ცოდნის დემონსტრირება და თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების გაგება საერთაშორისო დონეზე;
- საკუთარი კვლევის მიმართ პასუხისმგებლობის გამოჩენა (კვლევის ეთიკა).

“პროფესიული” დოქტორი შეძლებს:

- საექთნო საქმეში კვლევის წარმოებას პროექტის საერთაშორისო გამოყენებისა და მნიშვნელობის გააზრებით;
- საექთნო საქმის მეთოდის შესაბამისობის დამოუკიდებელ შეფასებას კლინიური პროექტებისათვის;
- სპეციალისტის ცოდნის დემონსტრირებასა და მხარდაჭერას, რომელიც ეფუძნება უახლეს თეორიებსა და მეთოდებს. ამ ცოდნის უნდა ადაპტირება უნდა მოხდეს პრაქტიკის სოციალურ და კულტურულ კონტექსტთან;
- გამოიჩინოს საკუთარი კვლევის მიმართ პასუხისმგებლობა (კვლევისა და პრაქტიკის ეთიკა).

პრაქტიკული კომპეტენცია:

- აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის დაგეგმვა და შენარჩუნება რთული ამოცანებისათვის, რომლებიც ემყარება საექთნო საქმის თეორიებს და/ან კვლევის მეთოდებს;
- გადაწყვეტილების მიღება კომპლექსური დოკუმენტაციის საფუძველზე/კლინიკური მონაცემები;
- პროფესიული/კლინიკური პრაქტიკისათვის, საზოგადოებისა და პოლიტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ახალი და რთული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, შეფასება და სინთეზი;
- ინოვაციური მიდგომების განვითარება საექთნო საქმის პრაქტიკაში, რომელიც პაციენტზე/კლიენტზეა ორიენტირებული.

საექთნო საქმის “პროფესიული დოქტორანტურის” სპეციფიკური კლინიკურ/პრაქტიკული დარგობრივი მიდგომა შემუშავების პროცესშია. მივესალმებით კომენტარებს.

ფორმალური ასპექტები
მიღების წინაპირობები:

მეორე საფეხურის წარმატებულად დასრულებული შერჩეული პროგრამები ან პროფესიული ეკვივალენტი (პროფესიული პრაქტიკული დოქტორანტურისათვის, რომლებიც გულისხმობს პიროვნების

დისციპლინურ და ეთიკურ შესაბამისობას).

მოცულობა: 180 ან 240 კრედიტი პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებისათვის საჭირო კრედიტების ჩათვლით. ზოგ ქვეყანაში პროგრამის ხანგრძლივობა არაა გამოხატული კრედიტებით.

სწავლის გაგრძელების საშუალება: აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სხვა პროგრამები არ არსებობს. აკადემიური და პროფესიული საზოგადოებების წევრობა.

იხ. სტატიები 1 და 2.

სწავლის შედეგების შეჯამება

ზოგადი

ყველაზე უფრო განსხვავებული, მაგრამ მოსალოდნელი ზოგადი კომპეტენციაა პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება. სხვა კომპეტენციები ერთიანდება 6 ჯგუფად ჯგუფის შიგნით ცვლადი რანჟირებით. მეორე ჯგუფი მოიცავს ეთიკურ ვალდებულებებს და ანალიზის, სინთეზის, პრობლემის გადაჭრისა და ინტერპერსონალურ უნარებს. მესამე ჯგუფში ძირითადად გაერთიანებულია სწავლის უნარები, ინტერდისციპლინურ კონტექსტში სწავლის, ასახვის, ადაპტაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები. ბოლო მნიშვნელოვანი კომპეტენციაა მეორე ენის ცოდნა, მაშინ როდესაც ლიდერობის, მენეჯმენტის, კვლევისა და მეწარმეობის უნარები, შესაბამისად, გაერთიანებულია მეხუთე და მეექვსე ჯგუფებში. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, ყველაზე უფრო დაბალი რანჟირების ქულა იყო 2.9 სამი კომპეტენციისათვის, მაშინ როდესაც დანარჩენების ქულები 3-ს აღემატებოდა და უმრავლესობა აღიწერება, როგორც “ძალიან” მნიშვნელოვანი.

მეორე საფეხურის შესაბამისად ყველა კომპეტენციის მნიშვნელობა პირველ საფეხურთან შედარებით იზრდება. ყველაზე უფრო შესამჩნევია განსხვავება მეხუთე და მეექვსე ჯგუფებში, კერძოდ ლიდერობას, მენეჯმენტსა და კვლევას გაზრდილი მნიშვნელობა ენიჭება მეორე საფეხურზე. კიდევ ერთხელ, აქ ვერ ნახავთ მოულოდნელ შედეგებს, ყველაფერი ასახავს რეგისტრირებული ექთნის კარიერის ბუნებრივ პროგრესს.

დარგობრივი

პირველი საფეხური

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული კომპეტენციის მნიშვნელობა რანჟირების სკალაზე 2.6 ქულაზე ნაკლები არ არის (მინიმალური ქულა: 2.3); 33 კომპეტენციის ქულა 3-ს აღემატება. ეს მიუთითებს კონსენსუსსა და შეთანხმებაზე, რომელიც პირველ სტატიაში იქნა მიღწეული. ის კომპეტენციები, რომელთა ქულა 3-ზე ნაკლები იყო, ასოცირებულია პოლიტიკასთან, ლიდერობასთან, შეფასებასთან, ფისკალურ საკითხებთან,

კვლევასა და ხელმძღვანელობასთან და შეფასების რისკთან. არავინ ელის სტუდენტისაგან ამ კონკეტენციების ავტონომიურ დემონსტრირებას. მართლაც, ეს არ არის გამართლებული არც ეთიკური და არც პროფესიული კუთხით. კვლევის შედეგად მიღებული გამოხმაურების მიხედვით დაემატა დამატებითი კომპეტენცია კვლევითი უნარების თანამედროვე პირობებში უკეთ წარმოჩენისათვის. ესპანეთის მაგალითი სწორედ ამ მონაცემებს ემყარება.

მეორე საფეხური

ყველა კომპეტენცია 3.5 ან მეტ შეფასებას იღებს, რაც მიუთითებს მათ უდიდეს მნიშვნელობაზე პროფესიული პრაქტიკისა და სწავლისათვის. ყველაზე უფრო მაღალი რანჟირების კომპეტენცია (3.9 ქულა) ასახავს თვითრეფლექსიას, ანგარიშვალდებულებასა და უწყვეტ განათლებას (ნომერი 6), რვა უმაღლესი ქულის მქონე კომპეტენცია ასახავდა ექთნის პროფესიულ როლს, ლიდერობას, მენეჯმენტსა და პრობლემების გადაჭრას. პირველ და მეორე საფეხურებს შორის განსხვავება ასახავს ექთნის კარიერულ ზრდას.

პირველ და მეორე საფეხურებს შორის განსხვავება ასევე ასახავს პროფესიული პრაქტიკისა და სწავლის განსხვავებულ ბუნებას. ზოგ სფეროში მიღებული კომპეტენცია, მოლოდინის შესაბამისად, უნდა იყოს მდგრადი (მაგალითად, ჯანდაცვა და უსაფრთხოება, წამლები), სხვა შემთხვევებში მნიშვნელობას იძენს მათი საჭიროება (ლიდერობა, მენეჯმენტი, კვლევა, კომუნიკაცია) და კიდევ სხვა შემთხვევაში განვითარება ინკრემენტულია (საექთნო პრაქტიკა, გადაწყვეტილების მიღება, ცოდნა).

ამ შედეგების შესაბამისად გამოიკვეთა შეთანხმების ტენდენციები, რომლებზედაც შედგა კონსენსუსი პირველი და მეორე საფეხურის კომპეტენციების საკითხზე რეგისტრირებული ექთნისათვის. ქვეყნებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანი არ არის, ის უფრო კულტურულ და არა პროფესიული სხვაობას ასახავს (მაგალითად, მეორე ენის ცოდნა და კვლევის გამოყენება). საჭიროა სამუშაოს გაგრძელება და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტირება ამ კომპეტენციების დახვეწის მიზნით.

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

ევროკავშირის ორიგინალური დირექტივის მიხედვით, შედგა საექთნო საქმეში სწავლის საკონსულტაციო კომიტეტი (იხ. 77/454/EEC). საექთნო საქმის მუდმივ კომიტეტს (www.pcnweb.org) აქვს თავის პოზიცია ბოლონის პროცესთან მიმართებაში, მან ამას წინათ შეიცვალა სახელი და ახლა ექთანთა ასოციაციის ევროპული ფედერაცია ეწოდება. თუნიზის პროექტი რომ დაიწყო, ძალიან მცირე რაოდენობით არსებობდა ერთობლივი პლატფორმები დირექტივის დებულებების

განხორციელებისათვის და ასევე მცირე იყო დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა. ეს ამბიციური, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი წამოწყებაა, თუკი გვინდა რომ თუნინგის პროექტმა პრაქტიკული შედეგი გამოიღოს. პანევროპული აქტივობა ბოლო დროს გაიზარდა, მაგალითად, 2004 წლის აპრილში ირლანდიის პრეზიდენტობის პირობებში შეიკრიბნენ საექთნო სქმის მთავარი წარმომადგენლები და შეიქმნა ევროპაში ექთნობის რეგულაციის ქსელი (www.fepi.org).

დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა გრძელდება და მესამე ფაზაშიც გადავა. თუნინგის წევრები კონსულტაციებს ატარებენ საკუთარ ქვეყნებში ეროვნული, კულტურული და პოლიტიკური ტრადიციების შესაბამისად და ამჟამად ეკონტაქტებიან არა მხოლოდ ამ პროექტში მონაწილე ჯგუფებს. სავარაუდოდ მონაწილე დაინტერესებული მხარეებია:

- ქვეყნის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც თუნინგის პროექტში არ მონაწილეობენ;
- საექთნო სექტორის მთავარი მოხელეები – ან მათთან გათანაბრებული პირები – მონაწილე ქვეყნებიდან, და მათი საშუალებით სათანადო სამინისტროები და დამსაქმებლები;
- კომპეტენტური უწყებები;
- ექთნების პროფესიული ასოციაციები და პროფკავშირები;
- სტუდენტთა ასოციაციები;
- სერვისის მომხმარებლები შეძლებისდაგვარად.

მიმდინარეობს დიალოგი თემატურ ქსელებთან, რომლებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ.

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

არიან რა ეროვნულ დონეზე ინტერპრეტაციის საგანი შესაბამისი კომპეტენტური უწყების მხრიდან, ევროკავშირის დირექტივები მოიცავენ სილაბუსების სიას და კლინიკური და თეორიული სწავლების სარეკომენდაციო საათობრივ დატვირთვას. ამ ინსტრუქციის მიხედვით, რეგისტრაციის პროგრამის ხანგრძლივობა სულ მცირე 3 წელი ანუ 4600 საათი უნდა იყოს. ECTS, კომბინირებული თუნინგის მეთოდოლოგიასთან, კარგი ინსტრუმენტი იქნება ზოგი ისტორიული ანომალიის გამოსასწორებლად. ეს დააჩქარებს კომპეტენციებზე დაფუძნებული მოქნილი ჩარჩოს შექმნას ინტერპროფესიული და ტრანს-პროფესიული ჯანდაცვისა და სოციალური სამუშაოს გარემოსათვის. ცოდნა და უნარები, რომლებიც 21-ე საუკუნეში ექთნებს მოეთხოვება, უფრო ფართოა და მოიცავს გენურ თერაპიას, ტექნოლოგიას, კომპლექსურ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საჭიროებებს, მომხმარებელთა მზარდ მოლოდინს და მოსახლეობის გაზრდილ მობილობას. პროფესიის პრაქტიკული ხასიათი და დამსაქმებლები მოითხოვენ პრაქტიკის დონეების მკაფიო აღწერას.

დირექტივებმა თავისი წვლილი შეიტანა პროგრამის შინაარსისა და ხანგრძლივობის მინიმალური სტანდარტის შემუშავებაში ევროპაში როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული კურსებისათვის. მაგალითად, მინიმალური აკადემიური დონე, განსაზღვრული კომპეტენტური უწყების მიერ, უჩვენებს პირველი საფეხურის პროგრამებს რეგისტრაციისათვის (ირლანდია, ესპანეთი, უელსი, შოტლანდია); პროგრამა, რომელიც ეკვივალენტურია პირველი საფეხურის ორი მესამედისა (ინგლისი), და 50 პროცენტისა (მალტა); უმაღლესი განათლების ასოცირებულის ხარისხიდან პირველ საფეხურზე გარდამავალ ქვეყნებში (სლოვაკეთი) და იქ, სადაც ექთნები პროფესიულ ცოდნას იღებენ ზოგადი სკოლის დონეზე უმაღლესი განათლების გარეშე (გერმანია¹²). ზოგ ქვეყანაში საექთნო საქმის აკადემიური პროგრამები ჩანასახოვან ფორმებშია და კონტროლდება მედიცინის ან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მიერ. მოცემულია ფინეთის შემთხვევა, რომელიც გვიჩვენებს ექთნების განათლების შერეულ მოდელს. საწინააღმდეგო მაგალითია დიდი ბრიტანეთიდან, სადაც მზარდ მოთხოვნილებასთან ერთად ორწლიანი პროგრამა პირველი საფეხურის პროგრამად გარდაიქმნა. I დანართი გვაწვდის ინფორმაციას თუნიუნგის წევრ ქვეყნებში პროფესიული პროფილის შესახებ.

საფეხური	რეკომენდირებული ECTS კრედიტების რაოდენობა	რეკომენდირებული ECTS კრედიტების რაოდენობა
	საექთნო პროგრამები რეგისტრაციის ან პრაქტიკული კომპეტენციით	საექთნო პროგრამები პრაქტიკული კომპეტენციის გარეშე
პირველი	მინიმუმ 180 სასურველია 210-240	180
მეორე	მინიმუმ 90 სასურველია 120	90
მესამე - პროფესიული დოქტორანტურა - ტრადიციული დოქტორანტურა	მინიმუმ 180 სასურველია 210-240	მინიმუმ 180

¹² პირველი საფეხურის პროგრამა პირველად დაიწყო ბერლინის ევანგელურ უმაღლეს სკოლაში (Fachhochschule) 4/10/2004.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

სპეციალიზაციის ცნება საექთნო საქმში გადამწყვეტია, იძლევა რა პაციენტებისა და მათი ახლობლების გარემოში უსაფრთხო პრაქტიკის განვითარების, პროგრესისა და მიღწევის საშუალებას. ამ დონეს ჩვენ ვუწოდებთ პირველი დონის ქვედონის მახასიათებელს. სწავლების მრავალი ტიპოლოგია არ ეთანხმება შეგირდობის როლს, ხელობის ცოდნასა და უნარების შექმნას, რომლებიც ხშირად პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლისათვის ფუნდამენტურ როლს თამაშობს. 13 ქვეყანაში საექთნო საქმის ანალიზის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ მართალია, არსებობს ექთნების განათლებაში სწავლებისა და სწავლის მეთოდების დიდი მრავალფეროვნება, ისინი განსხვავებული პროპორციებით გამოიყენება არსებული რესურსებისა და მოსწავლის დონის გათვალისწინებით (იხ. სტატია). ტრადიციულ მოდელებს კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ახალბედების სწავლებაში, ან უფრო კომპლექსური კომპეტენციების სწავლების საწყის ეტაპზე. ეს მეთოდები მნიშვნელოვანია უსაფრთხო პრაქტიკის განვითარებისათვის, მაგალითად, პაციენტის მოვლა და პროცედურების უსაფრთხო ჩატარება. პროფესიული ცოდნა ხშირად ერთი პირიდან მეორეს გადაეცემა და მისი გამოყენება უპრიანია სამუშაო ადგილზე, სადაც როლების მოდელირება და ზედამხედველობა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. ეს მართებულია ახალბედებისათვისაც და ექსპერტებისთვისაც.

როდესაც ხელმისაწვდომია ადამიანური და მატერიალური რესურსები, იზრდება მცირე ჯგუფებში მუშაობის ხვედრითი წილი, ასევე უფრო ხშირად გამოიყენება სასწავლო ტექნოლოგიები. ეს მოიცავს კრიტიკული მიდგომების გამოყენებას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ინტერნეტის გამოყენებით. პრაქტიკული უნარები ხშირად ვითარდება დაკვირვების, სიმულაციის, როლური თამაშის და კლინიკურ გამოცდილებაში ჩართვის ხარჯზე. მაგრამ ბევრ ქვეყანაში ცნობილია სირთულეები სტუდენტთა პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე კვალიფიცირებულ ზედამხედველობას გულისხმობს. არსებობის შემთხვევაში რესურსები ისეა განაწილებული, რომ პრაქტიკაში სწავლის საშუალებას იძლევა, რათა სტუდენტები მომზადდნენ პრაქტიკული სამუშაოსათვის, იყენებენ რა კლინიკურ ლაბორატორიებს და სიმულაციებს ვირტუალური პრაქტიკის დროს.

საექთნო საქმში კურიკულუმის განვითარების ხარისხი ასახავს არა მარტო კულტურულ, არამედ ქვეყანაში საექთნო საქმის განვითარებისა და კონტროლის ასპექტებს. ისტორიულად არსებობს ტენდენცია, საექთნო საქმემ უფრო ბიოსამედიცინო მოდელი ასახოს, ვიდრე საკუთარი მოდელი განავითაროს. კურიკულუმი ასახავს მისი დიზაინის მემკვიდრით არსებულ რესურსებსა და მასწავლებელთა და სტუდენტთა შესაძლებლობებს. პირველ საფეხურზე რეგისტრაციის საექთნო საქმის შეფასების სტრატეგიამ უნდა ასახოს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. სხვადასხვა

მიდგომა გამოიყენება ცოდნის, უნარების, პროფესიული ღირებულებების შეფასებისათვის. საჯარო უსაფრთხოების ინტერსებიდან გამომდინარე ყოველმა პროგრამამ უნდა განსაზღვროს ძირითადი კომპონენტები როგორც სალიცენზიო/რეგისტრაციის მიღების აუცილებელი წინაპირობა.

სწავლების, სწავლისა და შეფასების სტრატეგიის მაგალითი

კურსის ბოლოს მისაღწევი კომპეტენცია რას ნიშნავს ეს კომპეტენცია სტუდენტისათვის?	პოტენციური სწავლის შედეგი (სშ). მოცემულია სირთულის ზრდის შესაბამისად. ... უნარი	სწავლისა და სწავლების შესაძლო სტრატეგია/მეთოდები როგორ ვებმარებით სტუდენტებს მიაღწიონ ამ კომპეტენციას	როგორ აფასებთ, თუ მიაღწიეს და როგორ ამ კომპეტენციას. საიდან იციან სტუდენტებმა, რომ მათ მიაღწიეს და თუ არა, რატომ ვერ მიაღწიეს ამ კომპეტენციას
<p>პროფესიული, ეთიკური, მარეგულირებელი და სამართლებრივი კოდის კონტექსტში პრაქტიკული მუშაობის უნარი, მორალურ/ეთიკური დილემების აღქმისა და მათზე სათანადოდ რეაგირების უნარი.</p> <p>ექთნის სხვადასხვა როლის, პასუხისმგებლობებისა და ფუნქციების გაგება.</p> <p>სტუდენტს შეუძლია სრულად გააცნობიეროს, რას ნიშნავს იყო რეგისტრირებული ექთანი, მოვალეობები, პასუხისმგებლობა და პრაქტიკა, რომელიც ამ როლთანაა დაკავშირებული ჯანდაცვის</p>	<p>საქეთნო საქმის, როგორც სამეცნიერო დისციპლინისა და პროფესიის გაცნობიერების დემონსტრირება.</p> <p>რეგისტრირებული ექთნისა და ჯანდაცვის სხვა მუშაკთა სამართლებრივი და ეთიკური პასუხისმგებლობების ახსნა და დემონსტრირება.</p> <p>შესაბამისი საკანონმდებლო აქტების გამოყენება პაციენტის უფლებების გათვალისწინებით.</p> <p>სათანადო საკანონმდებლო აქტებისა და პოლიტიკის ცოდნა პაციენტის სამოქალაქო უფლებების დაცვისათვის, მისი ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფისათვის.</p>	<p>საკითხის შესასწავლი ლექციები.</p> <p>ეთიკური კონცეფციებისა და გამოყენების, კოდებისა და პრაქტიკის კითხვა ზედამხედველობით.</p> <p>კრიტიკული შემთხვევების ვიდეო და ანალიზი.</p> <p>პრაქტიკული მაგალითების დისკუსიები და დებატები: პროფესიული/ეთიკური დილემა პრაქტიკაში.</p> <p>როლური თამაში და სიმულაციური მაგალითები.</p> <p>ჯგუფური მუშაობა.</p> <p>პრეზენტაციები პლენარულ სესიებზე.</p>	<p>ეს კომპეტენცია კურსის განმავლობაში შეფასდება როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.</p> <p>ჩვეულებრივ არსებობს შეფასების სპეციფიკური კრიტერიუმები, რომლებიც კონკრეტულ კომპეტენციას ეხება. ამ კომპეტენციის მიღწევის რეგულარული ჩავარდნა სერიოზულია.</p> <p>ეს კომპეტენცია ფასდება პირდაპირ და არაპირდაპირ. ის ფარავს მრავალ ზოგად კომპეტენციას, მაგალითად, ეთიკურ პასუხისმგებლობას.</p> <p>აკადემიური შეფასების უკუგება დაეხმარება სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეძენაში. თეორიული შეფასების სტილი დეტალურად განიხილება დასაბუთებისა და მისი გამოყენებისათვის.</p> <p>პრაქტიკული შეფასების უკუგება მიუთითებს მიღწევას დონეს (ხშირად პორტფოლიოს, სტრუქტურული შეფასებისა და კლინიკური ანგარიშების ფორმით).</p>

<p>გუნდისა და საზოგადოების შიგნით.</p>	<p>ექთნების სამართლებრივი კოდის შესაბამისი ქცევა და პრაქტიკა. ამ სფეროში ცოდნის განახლება.</p> <p>საექთნო საქმეში რელევანტური სამართლებრივი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ქონა.</p>	<p>პრაქტიკული გამოცდილება ზედამხედველობის პირობებში ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის სხვადასხვა დაწესებულებაში.</p> <p>გაზრდილი პასუხისმგებლობა პრაქტიკაზე.</p>	
--	---	--	--

6. განათლების ხარისხის ამაღლება

ხარისხის გაუმჯობესება საექთნო საქმეში მიმართულია თეორიულ და კლინიკურ, პრაქტიკულ ან სამუშაოზე ორიენტირებულ სწავლებაზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს მიაღწიოს და შეასრულოს კურიკულუმის მიზნები და შედეგები.

არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაცია კლინიკურ გარემოში, რომ სწავლის ხარისხი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ექცევიან სტუდენტებს (ჰუმანურად თუ არა), არსებობს თუ არა ჯგუფური დამოკიდებულება, როგორია უფროსებისა და ზედამხედველობის ლიდერობისა და მენეჯმენტის სტილი. კლინიკური სასწავლო გარემოს აუდიტი უნდა ჩაატაროს თავად საგანმანათლებლო დაწესებულებამ, მარეგულირებელმა უწყებებმა ან ხარისხის უზრუნველყოფის/აკრედიტაციის სააგენტოებმა. ამ სიტუაციებში უნდა გათვალისწინებულ იქნეს:

- კლინიკური პერსონალის რაოდენობა, გამოცდილება, კვალიფიკაცია და შემადგენლობა;
- პერსონალის მოტივაცია;
- კლინიკური პრაქტიკის კვლევა;
- რაოდენობრივი თანაფარდობა პაციენტი/პერსონალი;
- ამოკიდებულება კლინიციის ტებსა და პედაგოგებს შორის;
- საექთნო საქმის ფილოსოფია;
- სწავლის საშუალებები/პირობები და ზედამხედველობა;
- პერსონალის განვითარება;
- პაციენტთა მოვლის ხარისხი.

ეს ელემენტები ემატება ხარისხის გაუმჯობესების თუნინგის მეთოდოლოგიის უკვე განხილულ საკითხებს და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ანალოგიურ სამუშაოზე ორიენტირებული სხვა პროგრამებისათვისაც. ისინი ასევე ასახავენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე არსებულ დილემას, რომელთაც შეზღუდული კონტროლის განხორციელება შეუძლიათ მათი სტუდენტების კლინიკური პრაქტიკის

დაწესებულებებზე. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა ხარისხის გაუმჯობესებაში გადაწყვეტია. ეს მიიღწევა პარტნიორობითა და ფინანსური შეთანხმებებით, პერსონალის განვითარებით, აუდიტით, სამოქმედო გეგმებითა და სტუდენტების, გარე სააგენტოებისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან უკუგებით.

2.2.9. ფიზიკა

1. შესავალი დარგობრივ სფეროში

ცოდნის ის სფერო, რომელსაც ფიზიკის მეცნიერებებს უწოდებენ, ევროპის უნივერსიტეტებში მრავალი აკადემიური პროგრამის ფორმით გვხვდება. კერძოდ, ფიზიკა, ასტრონომია, თეორიული ფიზიკა, გამოყენებითი ფიზიკა, საინჟინრო ფიზიკა, ბიოფიზიკა, ფიზიკური ოკეანოგრაფია, გეოფიზიკა, მასალათმცოდნეობა, გარემოს ფიზიკა და ა.შ.

“სუფთა” აკადემიური პროგრამას ფიზიკის პროგრამა წარმოადგენს. ზემოთ აღნიშნულ ზოგ პროგრამაში ფიზიკის გარდა და მასთან ერთად სხვა საგნებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგალითად,, ქიმია მასალათმცოდნეობაში. ყველა ზემოთ აღნიშნული პროგრამა ყოველთვის მათემატიკის სერიოზულ კურს ეფუძნება, რომელიც შემოთავაზებულია ხშირად თავად პროგრამის ფარგლებში. კონტინენტური ევროპის უნივერსიტეტები ფიზიკის მიმართულების სტუდენტებს ტრადიციულად სთავაზობენ მათემატიკის ძალიან ღრმა სწავლებას.

ფიზიკის პროგრამის შედგენისას ორი მთავარი მიდგომა არსებობს:

- პროგრამის დასაწყისში საერთო საგნები ესწავლებათ ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის სტუდენტებს და მხოლოდ მერე კეთდება ძირითადი სპეციალობის არჩევანი (მაგალითად, კოპენჰაგენის შემთხვევაში სწავლების მესამე წელს);
- დასაწყისშივე მთელი პროგრამა მხოლოდ ფიზიკაზეა ფოკუსირებული.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის ფიზიკა, მათემატიკის შემდეგ მეცნიერების ყველაზე უფრო ფუნდამენტურ დარგს წარმოადგენს. ფიზიკის პროგრამას, როგორც წესი, სთავაზობენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტები – ეს კონტინენტური ევროპის უნივერსიტეტების უმრავლესობას ეხება. სხვა, ასევე მიღებული ფორმაა, აკადემიური პროგრამის შეთავაზება ფიზიკის დეპარტამენტის ფარგლებში. სხვა შემთხვევებში მაგალითად, გამოყენებითი ფიზიკის პროგრამას სთავაზობენ საინჟინრო ფაკულტეტები ან გამოყენებითი ფიზიკის დეპარტამენტი. ფიზიკოსები ხშირად სთავაზობენ ფიზიკის კურსებს იმავე უნივერსიტეტის სხვა პროგრამების სტუდენტებს (იხ. ქვემოთ).

თუნიჩის ქსელი ასახავს ფიზიკაში არსებულ სცენართა მრავალფეროვნებას. მიუხედავად ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს რომ შესაძლოა საერთო ათვლის წერტილის განსაზღვრა არაპოპულარული ინსტიტუტების პირობებშიც კი.

2. აკადემიური ხარისხის პროფილი და დასაქმება

შესაძლო აკადემიური ხარისხების ჩამონათვალი მოცემულია ზემოთ. ჩვენ გთავაზობთ ფიზიკის ხარისხის პროფილებსა და დასაქმების სფეროებს.

ფიზიკაში შეთავაზებული ტიპური აკადემიური ხარისხები

საფეხური	ტიპური აკადემიური ხარისხები
პირველი	<p>აკადემიური პროგრამა, როგორც წესი, მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მათემატიკისა და მომიჯნავე საგნების ცოდნა (მათემატიკის საფუძვლები; მათემატიკური მეთოდები ფიზიკაში, კომპიუტერული მეცნიერებები, რიცხობრივი ანალიზი); - ფიზიკის საფუძვლების ცოდნა (შესავალი ფიზიკაში, კლასიკური ფიზიკა, კვანტური ფიზიკა (ლაბორატორია); - თეორიული ფიზიკის საბაზისო ელემენტების ცოდნა (ანალიზური მექანიკა, კლასიკური ელექტრომაგნეტიზმი, ფარდობითობა, და ა.შ., კვანტური მექანიკა /თეორია, სტატისტიკური ფიზიკა); - გამოყენებითი ფიზიკის ელემენტებისა და მასთან მომიჯნავე საგნების ცოდნა (ქიმია, ელექტრონიკა & ფარდობითობა, და ა.შ.); - თანამედროვე ფიზიკის საბაზისო ელემენტების ცოდნა (ატომური, ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, ასტროფიზიკა); - მცირე მოცულობის პროექტები ფიზიკაში, ინსტიტუტის მიხედვით; - სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები, დიდად არის დამოკიდებული სწავლების ადგილზე/ინსტიტუტზე (მაგალითად, პროფესიული სწავლება, უნარების განვითარება, პრაქტიკა და ა.შ.); - სტუდენტის მიერ თავისუფლად არჩეული საგნების ცოდნა.
მეორე	<ul style="list-style-type: none"> - თეორიული ფიზიკის ღრმა ცოდნა (ანალიტიკური მექანიკა, კლასიკური ელექტრომაგნეტიზმი, ფარდობითობა, კვანტური მექანიკა/თეორია, სტატისტიკური ფიზიკა); - მათემატიკისა და მომიჯნავე საგნების ღრმა ცოდნა (მათემატიკური მეთოდები ფიზიკაში, კომპიუტერული მეცნიერებები, რიცხობრივი ანალიზი); - თანამედროვე ფიზიკის ძირითადი საკითხების ცოდნა (ატომური, ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, ასტროფიზიკა); - სხვა სპეციალიზებული საგნების ცოდნა (ბიოფიზიკა, სამედიცინო ფიზიკა, მეტეოროლოგია, გარემოს ფიზიკა,

	<p>ოკეანოგრაფია), ინსტიტუტისა და სპეციალიზაციის მიხედვით;</p> <ul style="list-style-type: none"> - ფიზიკის კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი; - სამაგისტრო ნაშრომი ფიზიკაში და სათანადო კვლევითი უნარების გამომუშავება; - სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები, დიდად არის დამოკიდებული სწავლების ადგილზე/ინსტიტუტზე (მაგალითად, შერჩეული ელექტიური კურსების ცოდნა, ლაბორატორიაში მუშაობის უნარი, ლაბორატორიული ანგარიშის წარდგენა, სემინარებში აქტიური მონაწილეობა); - ე.წ. არასტანდარტული საგნების ცოდნა, დიდად დამოკიდებული სწავლების ადგილზე/ინსტიტუტზე (მაგალითად, პროფესიული სწავლება, უნარების განვითარება, პრაქტიკა და ა.შ.); - სტუდენტის მიერ თავისუფლად არჩეული საგნების ცოდნა.
მესამე	<ul style="list-style-type: none"> - თეზისი (დამოკიდებულია სწავლების ადგილზე/ინსტიტუტზე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სრულდება დროის შეზღუდულ პერიოდში); - ორიგინალური კვლევითი ნაშრომი, შესრულებული სამუშაო ჯგუფში. სამუშაოს შედეგად იწერება დისერტაცია, რომლიც ფასდება შესაბამისი საგამოცდო საბჭოს მიერ და/ან ქვეყნდება რეფერირებად ჟურნალში.

ფიზიკის კურსდამთავრებულთა ტიპური დასაქმება (პროფესიათა რუკა) პირველი საფეხური ფიზიკაში

ამჟამად (2005 წლის მაისი) ძალიან მწირია ინფორმაცია პირველი საფეხურის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, რადგანაც ევროპის ქვეყანათა დიდი უმრავლესობისათვის ეს შედარებით ახალი აკადემიური ხარისხია.

საფეხური	დასაქმების სფერო	
	პროფესიების კატეგორია/ჯგუფი	სპეციალიზაციის შესაბამისი პროფესიების ჩამონათვალი
პირველი	ტექნიკური სამუშაო სამთავრობო და კერძო სექტორში (საბანკო სფერო, სადაზღვევო კომპანიები, მომსახურება) გადაწყვეტილების	<ul style="list-style-type: none"> - თანამდებობები ინდუსტრიულ კომპანიებში; - ტექნიკური ასისტირება; - ინფორმატიკა, კომპიუტერული

	მიღების საშუალო დონით	<p>მეცნიერებები, საინფორმაციო ტექნოლოგია;</p> <ul style="list-style-type: none"> - სამსახური სადაზღვევო კომპანიებში და საბანკო სფეროში (კომპიუტერული პროგრამების შემუშავება, განვითარება, დაგეგმვის ასისტირება); - თვითდასაქმება - მეტეოროლოგი* - მეტროლოგი
--	-----------------------	---

*მეტროლოგიის დასაქმებისათვის დასაშვები კვალიფიკაციები, როგორც წესი, რეგულირდება ეროვნულ დონეზე

მეორე საფეხური ფიზიკის პროგრამაში (და ინტეგრირებული¹³ აკადემიური ხარისხები)

რადგანაც მეორე საფეხური იძლევა კურსდამთავრებულთა სპეციალიზაციის დივერსიფიკაციის საშუალებას, ჩვენ ჩამოვთვალეთ ფიზიკაში მეორე საფეხურის ხარისხის მრავალი ქვედახასიათება. თოთოეულ ქვესფეროში ყველაზე მნიშვნელოვან კომპეტენციებს (აქ არაა ჩამოთვლილი, მაგრამ იხ. მესამე განყოფილებაში ზოგადი დახასიათება) შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული მნიშვნელობა და წონა.

საფეხური	დასაქმების სფერო	
ქვედისციპლინა/ სპეციალიზაციის სფერო	პროფესიების კატეგორია/ჯგუფი	სპეციალიზაციის შესაბამისი პროფესიების ჩამონათვალი
მეორე ფიზიკა/ექსპერიმენტული ფიზიკა	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკოსი სახელმწიფო ან კერძო სექტორში; - პროფესიები, რომლებიც მოიცავს კვლევას, ინოვაციასა და განვითარებას; - მაღალი ტექნოლოგიების 	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკოსი (უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში); - კვლევის ასისტენტი უნივერსიტეტებში, კვლევით

¹³ ე.ი. ხანგრძლივი, ერთდონიანი პირველი ხარისხი, შუალედური გამოშვების გარეშე, რომელიც ცვლის განათლების ორსაფეხურიან (ბაკალავრს+მაგისტრი) სქემას.

საფეხური	დასაქმების სფერო	
	<ul style="list-style-type: none"> - სექტორი; - ინჟინერია; - მეტროლოგია/ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პროფესიები; - ტექნიკური კონსულტირება; - საბანკო საქმე. 	<ul style="list-style-type: none"> - ინსტიტუტებსა და ინდუსტრიაში; - ინდუსტრიული ფიზიკოსი (მიკროელექტრონიკაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ტელეკომუნიკაციებზე, ოპტოელექტრონიკაზე, ოპტიკასა და მასალებზე მომუშავე კომპანიებში); - თვითდასაქმება; - ტექნიკური კონსულტანტი; - მეტროლოგი; - ხარისხის მაკონტროლებელი; - რადიაციის დაცვის სფეროში ტექნიკური სამსახური.
ფიზიკა/თეორიული ფიზიკა	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკოსი სახელმწიფო ან კერძო სექტორში; - პროფესიები, რომლებიც მოიცავს კვლევას, ინოვაციასა და განვითარებას; - საბანკო და სადაზღვევო საქმე. 	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკოსი (უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში); - კვლევის ასისტენტი უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და ინდუსტრიაში; - ინდუსტრიული ფიზიკოსი (მიკროელექტრონიკაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ტელეკომუნიკაციებზე, ოპტოელექტრონიკაზე, ოპტიკასა და მასალებზე

საფეხური	დასაქმების სფერო	
		<ul style="list-style-type: none"> - მომუშავე კომპანიებში); - კომპიუტერულ მეცნიერებებთან დაკავშირებული პროფესიები (პროგრამული უზრუნველყოფა, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და მოდელირება); - თვითდასაქმება; - ტექნიკური კონსულტანტი.
<p>გამოყენებითი ფიზიკა/ ტექნიკური ფიზიკა/ საინჟინრო ფიზიკა/ საინფორმაციო ფიზიკა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკოსი სახელმწიფო ან კერძო სექტორში; - პროფესიები, რომლებიც მოიცავს კვლევას, ინოვაციასა და განვითარებას; - ინჟინერია; - მეტროლოგია/ხარისხის კონტროლი; - მაღალი ტექნოლოგიების სფერო. 	<ul style="list-style-type: none"> - ინდუსტრიული ფიზიკოსი: მიკროელექტრონიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ტელეკომუნიკაცია, ოპტოელექტრონიკა, ოპტიკა, მასალები; - ფიზიკოსი (უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში); - ინჟინერი; - კვლევის ასისტენტი უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და ინდუსტრიაში; - კომპიუტერულ მეცნიერებებთან დაკავშირებული პროფესიები; - მეტროლოგი; - ხარისხის ინჟინერი; - საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში თანამდებობები ინდუსტრიაში,

საფეხური	დასაქმების სფერო	
	-	<ul style="list-style-type: none"> - ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში (პროგრამული უზრუნველყოფა, ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი და მოდელირება); - სამედიცინო ფიზიკოსი (რადიოთერაპია, რადიოლოგია და რადიაციისაგან დაცვა); - რადიაციისაგან დაცვის სფეროში ტექნიკური სამსახური; - ტექნიკური კონსულტანტი; - თვითდასაქმება.
ბიოფიზიკა	- სახელმწიფო ან კერძო სექტორი.	<ul style="list-style-type: none"> - კვლევის ასისტენტი უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და ინდუსტრიაში; - თანამდებობები სადაზღვევო კომპანიებში - ბიოფიზიკოსი; - ტექნიკური კონსულტანტი; - თვითდასაქმება.
სამედიცინო ფიზიკა*	- თანამდებობები სამედიცინო ფიზიკაში: ჰოსპიტალებში, ჯანდაცვისა და მედიცინის სახელმწიფო დაწესებულებებში.	<ul style="list-style-type: none"> - სამედიცინო ფიზიკოსი (რადიოთერაპია, რადიოლოგია და რადიაციისაგან დაცვა); - კვლევის ასისტენტი უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და

საფეხური	დასაქმების სფერო	
		<ul style="list-style-type: none"> - ინდუსტრიაში; - თანამდებობები სადაზღვევო სექტორში; - თვითდასაქმება; - ტექნიკური კონსულტანტი.
<p>ფიზიკა და დიდაქტიკა ან ფიზიკა და მეორე საგანი იმავე აკადემიურ დონეზე, პლუს დიდაქტიკა</p>	<p>- სწავლება.**</p>	<ul style="list-style-type: none"> - ფიზიკის მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და გიმნაზიაში; - მასწავლებელი კერძო ორგანიზაციებში
<p>ფიზიკა/ მეტეოროლოგია და დედამიწისა და გარემოს ფიზიკა/ ოკეანოგრაფია</p>	<p>- ფიზიკოსი სახელმწიფო ან კერძო სექტორში.</p>	<ul style="list-style-type: none"> - კვლევის ასისტენტი უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებსა და ინდუსტრიაში; - მეტეოროლოგი;*** - გეოფიზიკოსი; - ოკეანოგრაფი; - ტექნიკური კონსულტანტი; - თვითდასაქმება.

* სამედიცინო ფიზიკოსი ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში რეგულირებადი პროფესიაა.

** ევროპაში განსხვავებულია სამასწავლებლო კარიერა. ზოგ ქვეყანაში ფიზიკის სწავლების უფლების მიღება არაა დამოკიდებული ფიზიკის სფეროში აკადემიურ ხარისხზე. ზოგ ქვეყანაში ფიზიკის სწავლება ჩართულია ფიზიკის აკადემიურ ხარისხში ან სრულიად დამოუკიდებელი აკადემიური ხარისხია. ასე რომ ცხრილში მოცემული სიტუაცია უნივერსალური არაა.

*** მეტეოროლოგიის სფეროში დასაქმებისათვის დასაშვები კვალიფიკაციები, როგორც წესი, რეგულირდება ეროვნულ დონეზე.

ფიზიკის როლი სხვა აკადემიურ პროგრამებში

მრავალ უნივერსიტეტში ფიზიკოსები სთავაზობენ ფიზიკის კურსს სხვა აკადემიური პროგრამის ფარგლებში, რომლებიც თავისთავად ფიზიკისგან საკმაოდ განსხვავებულია. ფიზიკა, როგორც აუცილებელი ელემენტი, საჭიროა ისეთ პროგრამებში, როგორცაა მათემატიკა, ქიმია, გეოლოგია, ბიოლოგია და ა.შ. (ყველა მათგანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში შედის), საინჟინრო სფეროს ყველა პროგრამისათვის და მედიცინის, სავეტერინარო მედიცინის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა, ფარმაცოლოგიის, ისტორიისა და ფილოსოფიის და ა.შ. პროგრამებისათვის. ამ კონტექსტში სხვადასხვა საორგანიზაციო მოდელი მუშაობს. შესაძლო - არასრული მაგალითებია:

- ფიზიკის დეპარტამენტი ემსახურება მოცემული უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ პროგრამას;
- პროფესურა, რომელიც ასწავლის ფიზიკას სხვა დეპარტამენტებზე, ამ დეპარტამენტების თანამშრომლად ითვლება და მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერების შესაბამის სფეროსთან.

მაგალითისათვის, ევროპის მასშტაბით რეგულარულად იმართება საინჟინრო პროგრამებში ფიზიკის მასწავლებელთა შეხვედრები.

3. სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები

ფიზიკის შესაბამისი სწავლის შედეგები მოცემულია აკადემიური ხარისხის პროფილთან ერთად (იხ. შესაბამისი სექცია ზემოთ). ქვემოთ ჩვენ გთავაზობთ კომპეტენციებსა და დონეებს.

ზოგადი კომპეტენციები

ზოგადი კომპეტენციების მნიშვნელობა შეფასდა ფიზიკოსების მიერ დამოუკიდებლად თითოეული საფეხურისათვის, კითხვარის საფუძველზე, რომელიც შემდგენაირად იყო შედგენილი:

რანჟირება	ზოგადი კომპეტენცია
1	დარგის საფუძველის ცოდნა
2	ანალიზისა და სინთზის უნარი
3	სწავლის უნარი
4	შემოქმედებითობა
5	ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში
6	შეგუებულობა
7	კრიტიკული და თვითკრიტიკული უნარები
8	პროფესიის საფუძველის ცოდნა
9	კვლევის უნარი
10	ინტერდისციპლინურობა

11	ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია
12	ეთიკური პასუხისმგებლობა
13	ინტერპერსონალური უნარები
14	მეორე ენის ცოდნა
15	ელემენტარული კომპიუტერული წიგნიერება
16	გადაწყვეტილების მიღება
17	მრავალფეროვნება და მულტიკულტურულობა

დარგობრივი კომპეტენციები

დარგობრივი კომპეტენციების მნიშვნელობა შეფასდა ფიზიკოსების მიერ პირველი და მეორე საფეხურისათვის კითხვარის საფუძველზე 1 – 4 ქულიან სკალაზე.

კომპეტენციები და მათი მნიშვნელობა ორი საფეხურისათვის აღწერს, თუ რას უნდა მიაღწიოს ზოგადად ფიზიკოსმა სტუდენტმა საფეხურის დასრულების შემდეგ. ჩვენ მიერ შემუშავებული კომპეტენციები კარგად ეთანადება დუბლინის მახასიათებლებს, ანუ საფეხურების იმ ზოგად მახასიათებელს, რომელიც ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს ერთ-ერთი საბაზისო ელემენტია. ეს ნაჩვენებია ქვემოთ ცხრილში, მეოთხე სვეტში, სადაც დუბლინის მახასიათებლის შესაბამისი განზომილება ფიზიკის დარგობრივ კომპეტენციას ეთანადება.

A	ცოდნა და გაცნობიერება
B	ცოდნის გამოყენება და გაცნობიერება
C	მსჯელობა/შეფასება
D	კომუნიკაციის უნარი
E	სწავლის უნარი

დამატებითი ინფორმაცია მოცემულია I დანართში.

პირველი საფეხური

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი აღწერა პირველი საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის (დესკრიპტორი ს) ნომერი
1	პრობლემის გადაჭრის უნარი	შეძლოს სწორედ შეაფასოს ფიზიკის განსხვავებულ სიტუაციებში პრობლემის მნიშვნელობა, ანალოგიების მითითება და პრობლემის გადაჭრის ცნობილი მეთოდების გამოყენება	B

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი აღწერა პირველი საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის (დესკრიპტორის) ნომერი
2	თეორიული გაცნობიერება	ჰქონდეს ფიზიკის მნიშვნელოვანი თეორიების გაგებისა და გაცნობიერების უნარი (ლოგიკური და მათემატიკური სტრუქტურა, ექსპერიმენტული მხარდაჭერა, აღწერილი ფიზიკური ფენომენები)	A
3	მათემატიკური უნარები	უნდა ესმოდეს და შეეძლოს ხშირად გამოყენებადი მათემატიკური და რიცხობრივი მეთოდების გამოყენება	A-B
4	ღრმა ცოდნა	ჰქონდეს თანამდეროვე ფიზიკის საფუძვლების ღრმა ცოდნა, მაგალითად, კვანტუმის თეორიის და ა.შ.	A
5	ექსპერიმენტული უნარები	იცნობდეს მნიშვნელოვან ექსპერიმენტულ მეთოდებს და შეეძლოს ექსპერიმენტების დამოუკიდებლად შესრულება, ასევე ექსპერიმენტული მონაცემების აღწერა, ანალიზი და კრიტიკული შეფასება	B
6	მოდელირება/პრობლემის გადაჭრის უნარი	შეეძლოს პროცესის/სიტუაციის არსებითი ნაწილის განსაზღვრა და მისი სამუშაო მოდელის შექმნა; შეეძლოს საჭირო მიახლოების გაკეთება, ჰქონდეს ფიზიკური მოდელების შექმნისათვის აუცილებელი კრიტიკული აზროვნება	B

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი აღწერა პირველი საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის (დესკრიპტორის) ნომერი
7	პრობლემის გადაჭრისა და კომპიუტერული უნარი	შეეძლოს გაანგარიშების დამოუკიდებლად შესრულება, მაშინაც, როდესაც საჭიროა დიდი ან მცირე კომპიუტერი, გარდა ამისა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება	B
8	ფიზიკის კულტურა	იცნობდეს ფიზიკის მნიშვნელოვან სფეროებს და იმ მიდგომებს, რომლებიც ფიზიკის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება	A
9	ფუნდამენტური გამოყენებითი ცოდნა &	შეიძინოს ბუნების გაგების უნარი და ფიზიკური კვლევის პრინციპები და მათი გამოყენება ფიზიკის გარდა სხვა სფეროებში, მაგალითად, ინჟინერიაში; შეეძლოს ექსპერიმენტული და თეორიული პროცედურების შემუშავება 1) აკადემიური და სამრეწველო კვლევის მიმდინარე პრობლემების გადაჭრისათვის; 2) არსებული შედეგების გაუმჯობესებისათვის	A-B-C
10	ლიტერატურის მოძიება	შეეძლოს ფიზიკური და სხვა თეორიული ლიტერატურის, ასევე ინფორმაციის სხვა წყაროების მოძიება და გამოყენება, კვლევითი პროექტისა და ტექნიკური პროექტის განვითარებისათვის. ტექნიკური ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა.	E

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი აღწერა პირველი საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის (დესკრიპტორის) ნომერი
11	სწავლის უნარი	შეეძლოს დამოუკიდებლად სხვა სფეროების ათვისება	E
12	მოდელირება	შეეძლოს არსებული მოდელების შეფარდება ახალ ექსპერიმენტულ მონაცემებთან	B
13	ადამიანური/პროფესიული უნარები	შეეძლოს პასუხისმგებლობის განვითარება, არჩევითი კურსების შერჩევა; შეეძლოს პროფესიული მოქნილობის განვითარება კურიკულუმში მოცემული სამეცნიერო ტექნიკების ფართო სპექტრის საშუალებით	A-B
14	აბსოლუტური სტანდარტები	იცნობდეს “გენიოსების ნამუშევარს”, ანუ ფიზიკის აღმოჩენებისა და თეორიების მრავალფეროვნებას, და იცოდეს მაღალი სტანდარტების შესახებ	A-C
15	ეთიკური პასუხისმგებლობა (ფიზიკისათვის მნიშვნელოვანი)	შეეძლოს სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გაგება, ესმოდეს მისი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს წინაშე	C
16	უცხო ენების ცოდნა (ფიზიკისათვის მნიშვნელოვანი)	ფლობდეს უცხო ენას და სწავლობდეს კურსებს უცხო ენაზე, ანუ სწავლობდეს საზღვრგარეთ გაცვლითი პროგრამებით, და აღიარებდეს უცხო უნივერსიტეტებში ან კვლევით დაწესებულებებში მიღებულ კრედიტებს	D

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი აღწერა პირველი საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის (დესკრიპტორის) ნომერი
17	კომუნიკაციის სპეციფიკური უნარები	შეძლოს ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა; შეძლოს საკუთარი კვლევის ან ლიტერატურული რეფერატის წარდგენა პროფესიული და დილეტანტების აუდიტორიისათვის	D

მეორე საფეხური

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი აღწერა მეორე საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის ნომერი
1	მოდელირება/პრობლემის გადაჭრის უნარი	შეძლოს პროცესის/სიტუაციის არსებითი ნაწილის განსაზღვრა და მისი სამუშაო მოდელის შექმნა; შეძლოს საჭირო მიახლოების გაკეთება, ჰქონდეს ფიზიკური მოდელების შექმნისათვის საჭირო კრიტიკული აზროვნება	B
2	პრობლემის გადაჭრის უნარი	შეძლოს სწორედ შეაფასოს ფიზიკის განსხვავებულ სიტუაციებში პრობლემის მნიშვნელობა, ანალოგიების მითითება და პრობლემის გადაჭრის ცნობილი მეთოდების გამოყენება	B
3	ლიტერატურის მოძიება	შეძლოს ფიზიკური და სხვა თეორიული ლიტერატურის, ასევე ინფორმაციის სხვა წყაროების მოძიება და გამოყენება, კვლევითი პროექტისა და ტექნიკური პროექტის განვითარებისათვის.	E

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი არწერა მეორე საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის ნომერი
		ტექნიკური ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა.	
4	სწავლის უნარი	შეეძლოს დამოუკიდებლად სხვა სფეროების ათვისება	E
5	მოდელირება	შეეძლოს არსებული მოდელების შეფარდება ახალ ექსპერიმენტულ მონაცემებთან	B
6	თეორიული გაცნობიერება	ჰქონდეს ფიზიკის მნიშვნელოვანი თეორიების გაგებისა და გაცნობიერების უნარი (ლოგიკური და მათემატიკური სტრუქტურა, ექსპერიმენტული მხარდაჭერა, აღწერილი ფიზიკური ფენომენები)	A
7	ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა	შიდიხოს ბუნების გაგების უნარი და ფიზიკური კვლევის პრინციპები და მათი გამოყენება ფიზიკის გარდა სხვა სფეროებში, მაგალითად, ინჟინერიაში; შეეძლოს ექსპერიმენტული და თეორიული პროცედურების შემუშავება 1) აკადემიური და სამრეწველო კვლევის მიმდინარე პრობლემების გადაჭრისათვის; 2) არსებული შედეგების გაუმჯობესებისათვის	A-B-C
8	ღრმა ცოდნა	ჰქონდეს თანამდეროვე ფიზიკის საფუძველების ღრმა ცოდნა, მაგალითად, კვანტუმის თეორიის და ა.შ.	A
9	მათემატიკური უნარები	უნდა ესმოდეს და შეეძლოს ხშირად გამოყენებადი მათემატიკური და რიცხობრივი მეთოდების გამოყენება	A-B

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი არწერა მეორე საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის ნომერი
10	მოწინავე კვლევა	ჰქონდეს სულ მცირე ფიზიკის ერთ-ერთ სფეროში უახლესი ცოდნა	A
11	პრობლემის გადაჭრისა და კომპიუტერული უნარი	შეეძლოს გაანგარიშებების დამოუკიდებლად შესრულება, მაშინაც, როდესაც საჭიროა დიდი ან მცირე კომპიუტერი, გარდა ამისა პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება	B
12	ექსპერიმენტული უნარები	იცნობდეს მნიშვნელოვან ექსპერიმენტულ მეთოდებს და შეეძლოს დამოუკიდებლად ექსპერიმენტების შესრულება, ასევე ექსპერიმენტული მონაცემების აღწერა, ანალიზი და კრიტიკული შეფასება	B
13	კომუნიკაციის სპეციფიკური უნარები	შეეძლოს ინტერდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა; შეეძლოს საკუთარი კვლევის ან ლიტერატურული რეფერატის წარდგენა პროფესიული და დილეტანტების აუდიტორიისათვის	D
14	მენეჯმენტი	შეეძლოს დამოუკიდებლად მუშაობა, პროექტის დაგეგმვისა და სტრუქტურების მენეჯმენტის პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე	C
15	ადამიანური/პროფესიული უნარები	შეეძლოს პასუხისმგებლობის განვითარება, არჩევითი კურსების შერჩევა; შეეძლოს პროფესიული მოქნილობის განვითარება კურიკულუმში მოცემული სამეცნიერო ტექნიკების ფართო სპექტრის საშუალებით	A-B-C

მნიშვნელობის რანჟირება	დარგობრივი კომპეტენციის მოკლე სახელი	კომპეტენციის ვრცელი არწერა მეორე საფეხურის დასრულებისას სტუდენტმა უნდა:	დუბლინის მახასიათებლის ნომერი
16	ფიზიკის კულტურა	იცნობდეს ფიზიკის მნიშვნელოვან სფეროებს და იმ მიდგომებს, რომლებიც ფიზიკის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება	A
17	განახლების უნარი	შეეძლოს გარემოს გამოყენება ახალი მეთოდებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისათვის, შეეძლოს პროფესიული რჩევის მიცემა	E
18	უცხო ენების ცოდნა (ფიზიკისათვის მნიშვნელოვანი)	ფლობდეს უცხო ენას და სწავლობდეს კურსებს უცხო ენაზე, ანუ სწავლობდეს საზღვრგარეთ გაცვლითი პროგრამებით, და აღიარებდეს უცხო უნივერსიტეტებში ან კვლევით დაწესებულებებში მიღებულ კრედიტებს	D
19	ეთიკური პასუხისმგებლობა (ფიზიკისათვის მნიშვნელოვანი)	შეეძლოს სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გაგება, ესმოდეს მისი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს წინაშე	C
20	აბსოლუტური სტანდარტები	იცნობდეს “გენიოსების ნამუშევარს”, ანუ ფიზიკის აღმოჩენებისა და თეორიების მრავალფეროვნებას, და იცოდეს მაღალი სტანდარტების შესახებ	A-B

მნიშვნელები დონეების შესახებ (ან კომპეტენციის განვითარების ხარისხზე)

ბევრი დარგობრივი კომპეტენცია გვხვდება ორივე საფეხურზე. მაგრამ მათი მნიშვნელობა (რანჟირება) განსხვავებულია. ყოველ საფეხურს თავისი პრიორიტეტი ახასიათებს. ასე მაგალითად, პირველი საფეხურის 7 საუკეთესო კომპეტენციის უმრავლესობა (“პრობლემის გადაჭრისა” და “მოდელირების და პრობლემის გადაჭრის” გარდა) მეორე საფეხურზე მე-8 პოზიციის შემდეგაა წარმოდგენილი. სხვა სიტყვებით, უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია პირველ საფეხურზე, მეორე საფეხურზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანს, ალბათ იმიტომ, რომ საკმარისად კარგად განვითარდა პირველ საფეხურზე.

მოცემული კომპეტენციისათვის აქტუალური საშუალო რანჟირების ქულა პირველ საფეხურზე ყოველთვის უფრო დაბალია, ვიდრე მეორე საფეხურზე. ასეთი დაბალი ქულები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კომპეტენციის განვითარება კუმულატიური პროცესია. ორ საფეხურს შორის რანჟირების განსხვავება შეიძლება განვიხილოთ, როგორც მომავალი განვითარების “უხეში/მიახლოებითი” საზომი. ფიზიკის კომპეტენციებს შორის ყველაზე უფრო მაღალი ქულობრივი სხვაობა არის მოწინავე კვლევა, მენეჯმენტი, კომუნიკაციის სპეციფიკური უნარი, მოდელირება, განახლების უნარი, სწავლის უნარი, ლიტერატურის მოძიება. ყველაზე უფრო დაბალია სხვაობა ისეთი კომპეტენციების შემთხვევაში, როგორცაა აბსოლუტური სტანდარტები, თეორიული გაგება, ფიზიკის კულტურა, მათემატიკური უნარები, პრობლემის გადაჭრა (მინიმალური სხვაობა). მაღალი სხვაობა მიუთითებს კომპეტენციებზე, რომლებიც მეორე საფეხურს შეესაბამება, ხოლო მცირე - იმ კომპეტენციებზე, რომელებიც პირველ საფეხურზე უკვე კარგად განვითარდა.

და ბოლოს, ჩვენი ანალიზი უჩვენებს, რომ ნამდვილად შესაძლებელია ევროპის მასშტაბით ფიზიკის პირველ საფეხურზე საერთო ძირითადი ცოდნის განსაზღვრა, მაგრამ ეს სათუო ხდება მეორე საფეხურზე, ძირითადად ინსტიტუტებს შორის არსებული განსხვავების გამო. პირველი საფეხურის საერთო ძირითადი ცოდნა საკმაოდ მსგავსია ყველაგან და უჩვენებს დროში პროგრესირებად ნიმუშს, რომელიც იმართება დარგში არსებული ცოდნის პროგრესირების საჭიროებით. გარკვეული განსხვავება ჩანს ორ ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას (სინთეზური და ანალიზური მიდგომები). ამ ზოგად კონტექსტში, ფიზიკის გარკვეული სფეროები თავიდან იქნება შესწავლილი/განხილული აკადემიური პროგრამების ფარგლებში, გაგებისა და გაცნობიერების მაღალი დონის მიღწევის მიზნით.

კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან

თუნიგის კონსულტაციებმა ფიზიკის კურსდამთავრებულებთან (უმთავრესად პრე-ბოლონიის პერიოდში) და მათ დამსაქმებლებთან მოგვცა ზოგადი კომპეტენციების შემდეგი ჩამონათვალი/თანამიმდევრობა (გთავაზობთ მხოლოდ პირველ ხუთ კომპეტენციას):

კურსდამთავრებულები	დამსაქმებლები
ანალიზისა და სინთეზის უნარი	ანალიზისა და სინთეზის უნარი
პრობლემის გადაჭრა	პრობლემის გადაჭრა
სწავლის უნარი	სწავლის უნარი
ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში	ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში
შემოქმედებითობა	გუნდური მუშაობა

კონსულტაციების შედეგები აბსოლუტურად მსგავსია. შეადარეთ პროფესურის რანჟირებას (რომელთა კითხვარი არ შეიცავდა ზოგად უნარს “პრობლემის გადაჭრას”).

4. სტუდენტის დატვირთვა და ECTS

ტიპური პროგრამების სასწავლო დატვირთვა, მოცემული კრედიტების სახით

საფეხური	ECTS კრედიტები
პირველი	180-240
მეორე	120
მესამე	როგორც წესი, სრული სამი წელიწადი

მესამე საფეხურის შემთხვევაში, კრედიტები შესაძლოა გამოყენებულია საკურსო ნაშრომის აღწერისათვის, რომ გვაჩვენოს შეფარდება საკურსო და სადისერტაციო ნაშრომებს შორის. როგორც წესი, ფიზიკის სფეროში ნორმალური ენთუზიასტი დოქტორანტი კვირაში 46-48 საათს მუშაობს (ე.ი. წელიწადში 2200 საათზე მეტს).

ტენდენციები და განსხვავებები

2002 წელს თუნიგის ქსელი ინსტიტუტების ორ თანაბარიცხოვან ჯგუფს აერთიანებდა:

1) ინსტიტუტები, რომელშიც გაიცემა ბაკალავრისა და მაგისტრი ხარისხები (ანუ ორსაფეხურიანი უმაღლესი განათლებით, როგორც წესი 3+2 სქემით). ეს იყო კოპენჰაგენი, გრანადა, ნიიმეგენი, პარიზი VI, ტრიესტი, დუბლინი და პატრასი (რომელმაც 4+2 სქემა მიიღო).

2) ინსტიტუტები, რომლებსაც აქვს ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამები (ანუ ერთსაფეხურიანი ორგანიზაცია, სამწლიანი სწავლის

შემდეგ დასრულების უფლების გარეშე). ეს იყო: გენტი, გოტებორგი, ჩალმერსის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ჰელსინკი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი, ავეირო, ჰანოვერი, ვენის ტექნიკური უნივერსიტეტი.

საერთო ძირითადი შინაარსი ორივე ჯგუფისათვის პრაქტიკულად ერთნაირი იყო. სწავლების ორსაფეხურიანი ორგანიზაციისას უფრო მარტივია საერთო ცოდნის განსაზღვრა პირველ საფეხურზე, და რთულდება მეორე საფეხურზე.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლა, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო ნიმუშები

კომპეტენცია: პრობლემის გადაჭრა (პირველი საფეხური) (სწავლა და სწავლება)

აქტიური სწავლა: ყველა კლასში (თეორია, ლაბორატორია ან პრობლემის გადაჭრა)

- თეორიის გავითილზე მრავალ კითხვას სვამენ და გარკვეული დროა გამოყოფილი დისკუსიისათვის;
- კლასს მრავალ კითხვა-პრობლემას უსვამენ და სტუდენტების ჯგუფს ევალუა ზუსტი ან მიახლოებითი პასუხის გაცემა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. სტუდენტებმა ჯგუფის წევრებს უნდა დაუსაბუთონ და აუხსნან გადაწყვეტილების მიღების მეთოდი (დასმულ პრობლემაში უფრო მარტივი პრობლემების გამოყოფა მოხდა? გამოყენებულ ინჟა უკვე ნაცნობი და ამოხსნილი პრობლემების ანალოგიები? რატომ არიან დარწმუნებული პასუხის სისწორეში?...);
- სავარჯიშოების შესრულებისას სტუდენტებმა სხვა სტუდენტებს უნდა შეუსწორონ ან კომენტარი გააკეთონ მათ მიერ პრობლემის ამოხსნაზე;
- ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტებს ევალუათ კომპლექსური პრობლემის ექსპერიმენტული ამოხსნა ან ამოხსნის მეთოდის მითითება.

კომპეტენცია: პრობლემის გადაჭრა და კომპიუტერული უნარები (პირველი საფეხური) (სწავლა და სწავლება)

...თეორიული ფიზიკის თითოეული სავალდებულო კურსი, ე.ი. კლასიკური ფიზიკა მექანიკით, ელექტროდინამიკა და ფარდობითობა, კვანტური მექანიკა, სტატისტიკური მექანიკა და შესავალი კვანტის ველის თეორიაში, შევსებულია სემესტრის ნახევრის განმავლობაში კომპიუტერული პროექტით”. უფრო მეტიც, კვლევითი სამუშაო, რომელიც ფინალურ თეზისს გულისხმობს, ასევე კომპიუტერზე სრულდება და, შესაბამისად, მისი შესრულების წინაპირობაა კომპიუტერული უნარები კვლევის სფეროს მიხედვით, იქნება ეს თეორიული, ექსპერიმენტული თუ

გამოყენებითი ფიზიკა.

კომპეტენცია: მოდელირება (მეორე საფეხური) (სწავლა და სწავლება)

მოდელირება ვიწრო გაგებით ნიშნავს კომპლექსური ფენომენისათვის მარტივი მათემატიკური აღწერის პოვნას. ის ასევე ხშირად გულისხმობს თეორიული ფიზიკის მეთოდების მისადაგებას არაფიზიკური სიტუაციებისადმი.

...არ არსებობს მოდელირების კურსი. სტუდენტები ბუნებრივი მოვლენების მოდელირებას სწავლობენ მთელი აკადემიური პროგრამის განმავლობაში. შესაძლო მაგალითებია: თავისუფალი ვარდნის შესწავლისას ფრიქციის უგულებელყოფა, ჰარმონიული ოსცილატორის ჭარბი გამოყენება მყარი წონასწორობის ფენომენის მეზობლად, და ა.შ.

ამ დროს მნიშვნელოვანია სწავლების ფორმატი: ლექციები, სავარჯიშოები, ლაბორატორიული სამუშაო, სტუდენტთა სემინარები და კვლევითი პროექტები ხელს უწყობს თეორიის შესწავლას, თეორიული მეთოდების (მაგალითად, მოდელების) შერჩევასა და გამოყენებას კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.

კომპეტენცია: სწავლის უნარი (მეორე საფეხური) (სწავლა და სწავლება)

სტუდენტები და მასწავლებლები “ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ სწავლების უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სტრატეგიას წარმოადგენს მცირე ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების (როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული) ჩართვა სასწავლო პროცესში”. კერძოდ კი “რადგანაც ჩვენი აკადემიური პროგრამა გამოყენებითი ხასიათისაა, პროექტების უმრავლესობა ექსპერიმენტს მოიცავს: სტუდენტებს მოეთხოვებათ გარკვეული სიდიდის გაზომვა. უშუალოდ ექსპერიმენტის ჩატარებამდე მათ ის უნდა დაგეგმონ და დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილება (რატომ იყენებენ მოცემულ ექსპერიმენტულ მეთოდს, ტემპერატურის რა ინტერვალებში მოხდება აზომვა, აქვთ თუ არა სათანადო ლაბორატორიული აღჭურვილობა თუ სპეციალურ სახელოსნოში უნდა დაამზადონ დამატებითი ხელსაწყოები,...). შემდეგ სტუდენტები ლაბორატორიაში ატარებენ აზომვებს. ამის შემდგომ მათ უნდა ისწავლონ თეორია, რომ მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია შეძლონ. ბოლო ორი წლის განმავლობაში ზოგი სასწავლებელი ასეთი ტიპის სამუშაოს სწავლის მოცულობის 50% და მეტსაც უთმობდა”.

კომპეტენცია: თეორიული გაცნობიერება (პირველი საფეხური) (შეფასება)

ზეპირი შემაჯამებელი გამოცდა საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კარგად აქვს გაცნობიერებული სტუდენტს მასალა და როგორ იყენებს ის ამ ცოდნას/გაცნობიერებას. ამ ტიპის გამოცდები მე-4 სემესტრის ბოლოს ტარდება ექსპერიმენტულ ფიზიკაში, თეორიულ ფიზიკაში, მათემატიკისა და არჩევით საგანში (და მაგისტრატურის ბოლო გამოცდაზე).

*კომპეტენცია: ლიტერატურის ძიება (პირველი და მეორე საფეხურები)
(სწავლა/სწავლება/შეფასება)*

სწავლების პირველ და მეორე წელს სტუდენტები გადიან სემინარს, რომელიც მოიცავს სავარჯიშოებს წყაროების მოძიებასა და მოპოვებული ინფორმაციის შეჯამების შესახებ. ამას ემატება დისკუსია პერსონალთან და ბიბლიოთეკისა და ინტერნეტის გამოყენების ინსტრუქციით არის შევსებული. სტუდენტებს ევალუაბათ სწავლების პირველ წელს გააკეთონ პრეზენტაცია, რომელიც ლიტერატურის ანალიზზეა დაფუძნებული.

საბოლოო კვლევითი პროექტი (სამაგისტრო დონეზე), როგორც წესი, იწყება კონკრეტულ თემატიკაზე ლიტერატურის მოძიებით. შედეგები სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს. სტუდენტს ამას სპეციალური კურსის ფარგლებში ასწავლიან.

სტუდენტები სრულად უნდა მონაწილეობდნენ ზემოთ აღნიშნულ აქტივობაში და სემინარის ხელმძღვანელს, ტუტორსა თუ კვლევის ზედამხედველს შედეგები წარუდგინონ. სწავლების პირველ და მეორე წელს სტუდენტთა წარმატება წერითი და ზეპირი ფორმით მოწმდება და ნიშნით ფასდება. კომპეტენცია ამ სფეროში ცალკე ფასდება, როგორც სტუდენტის პროექტის ნაწილი.

6. განათლების ხარისხის ამაღლება

ამ მომენტისათვის ჯერ არ შემუშავებულა სპეციფიკური რეკომენდაციები ფიზიკის სფეროში. თუნიგის ქსელი ფიზიკაში თავის თავზე იღებს ხარისხის გაუმჯობესების პასუხისმგებლობას. ფიზიკის ჯგუფის ერთმა წევრმა ამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ძალიან ზოგადად ჩვენ დავამატეთ – ფიზიკის SAG მუშაობისას – რომ ხშირად აღინიშნება საგანმანათლებლო კონტექსტის მნიშვნელობა ფიზიკის აკადემიური პროგრამების ხარისხისათვის, ანუ უნივერსიტეტისა და კვლევითი დაწესებულების ზოგადი აკადემიური გარემოს/რესურსების მნიშვნელობა.

წყაროები

1. Julia Gonzalez nad Robert waagenaar, eds. თუნიგ Educational Structures in Europe, Final report, Pilot Project – Phase 1 (Deusto and Groningen, 2003)
2. See the Report of Working Group 1: The student experience (The questionnaire on the doctoral studies), pages 13-43 in “Inquiries into European Higher Education in Physics”, Proceedings of the third EUPEN General Forum 99, London (GB), September 1999, edited by H.Ferdinande & A.Petit, Volume 3, Universiteit Gent, gent 1999.

დანართი I
დამოკიდებულება ფიზიკის დარგობრივ კომპეტენციებსა და დუბლინის
მახასიათებლებს შორის

შესავალი

დუბლინის მახასიათებელში მოცემული კომპეტენციები იცვლება და რთულდება პირველიდან მეორე საფეხურზე გადასვლისას. თუნინგის ფიზიკის მახასიათებელი ფიზიკის დარგობრივი კომპეტენციების აღწერაა. მათი მნიშვნელობა ყოველ საფეხურზე განისაზღვრება “რანჟირების პროცედურით”, რომელიც ფიზიკოსების მიერ იქნა შემუშავებული. ორივე საფეხურზე რანჟირება მიუსადაგეს 24-დან თითოეულ კომპეტენციას – კომპეტენციების ჩამონათვალი შეიმუშავა Physics SAG-მა ფიზიკის სოკრატეს თემატურ ქსელთან (EUPEN – EUropean Physics Education Network) თანამშრომლობით. რანჟირების შედეგად მივიღეთ კომპეტენციების ორი ჩამონათვალი, თითოეული საფეხურის შესაბამისად; ჩამონათვალი კომპეტენციების თანამიმდევრობა მოცემული საფეხურისათვის მათ პრიორიტეტულობას შეესაბამება.

ფიზიკის კომპეტენციები versus დუბლინის მახასიათებელი

ჩვენ ფიზიკის თითოეულ კომპეტენციას მივუსადაგეთ დუბლინის მახასიათებლის შესაბამისი “განზომილება”. აღმოჩნდა, რომ ყველა კომპეტენცია შეიძლება მიესადაგოს ან მოინიშნოს დუბლინის მახასიათებლის სულ მცირე ერთი განზომილებით მაინც, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ცხრილებშია ნაჩვენები სათაურით “სწავლის შედეგები და კომპეტენციები – საფეხურის დონის მახასიათებლები”. ფიზიკის დარგობრივი კომპეტენციების განაწილება დუბლინის მახასიათებლის ხუთი განზომილების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (გათვალისწინებულია პირველი 17 კომპეტენციის განაწილება ყოველ საფეხურზე; უფრო მეტიც, როდესაც კომპეტენცია დუბლინის მახასიათებლის ერთზე მეტ განზომილებას შეესაბამება, ის ცალ-ცალკეა მოყვანილი).

ცხრილი 1

ფიზიკის პირველი 17 კომპეტენციის განაწილება დუბლინის მახასიათებლების მიხედვით პირველი და მეორე საფეხურისათვის

დუბლინის მახასიათებლის ნომერი	დუბლინის მახასიათებლის განზომილება	ფიზიკის დარგობრივი კომპეტენციების რაოდენობა დუბლინის მახასიათებლისთითოეულ განზომილებაზე	
		პირველი საფეხური	მეორე საფეხური
A	ცოდნა და გაცნობიერება	7	7
B	ცოდნის გამოყენება და გაცნობიერება	8	8
C	მსჯელობა/შეფასება	3	3
D	კომუნიკაციის უნარი	2	1
E	სწავლის უნარი	2	3

განაწილება დუბლინის მახასიათებელში მოიცავს თითქმის იგივე კომპეტენციებს ორივე საფეხურზე. მთავარი შენიშვნებია:

- ფიზიკის ყველა კომპეტენცია კარგად ესადაგება დუბლინის მახასიათებლებს;
- ფიზიკის კომპეტენციები უმთავრესად შეესაბამება დუბლინის მახასიათებლის A და B ნომრებს (როგორც მოსალოდნელი იყო);
- C-თი აღნიშნული კომპეტენციები ძირითადად სამეცნიერო მსჯელობას გულისხმობს;
- კომპეტენციების ძალზედ შეზღუდული რაოდენობა შეესაბამება დუბლინის მახასიათებლის დანარჩენ ორ განზომილებას (მრავლობითი შესაბამისობა).

მიუხედავად იმისა, რომ დუბლინის მახასიათებლის შესაბამისი განაწილება ფარავს თითქმის ერთნაირ კომპეტენციებს ორივე საფეხურზე, მათი რანჟირების თანამიმდევრობა განსხვავებულია საფეხურების მიხედვით, ანუ მათი პრიორიტეტულობა/მნიშვნელობა ფიზიკოსების მიერ განსხვავებულად იქნა შეფასებული. რეკომენდირებულია დუბლინის მახასიათებლის ნომრების თანამიმდევრობისათვის ყურადღების მიქცევა – ამ თანამიმდევრობას ფიზიკის კომპეტენციების პრიორიტეტულობა განსაზღვრავს.

პირველი საფეხური: B, A, A-B, A, B-C, B, B, A, A-B, A-B-C ...

მეორე საფეხური: B, B, E, E, B, A, A-B-C, A, A-B, A ...

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ეს ორი თანამიმდევრობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ფიზიკის ორი საფეხურისათვის. თუ მხოლოდ პირველი შვიდი კომპეტენციით შემოვიფარგლებით, მაშინ გამოჩნდება, რომ:

- პირველი საფეხური ხასიათდება კომპეტენციებით, რომლებიც ძირითადად A და B ნომრებს შეესაბამება;
- მეორე საფეხური ხასიათდება კომპეტენციებით, რომლებიც ძირითადად B და E ნომრებს შეესაბამება (!!!). უნდა აღინიშნოს, რომ მეორე საფეხურზე ძალზედ მნიშვნელოვანია *სწავლის უნარის* კომპეტენცია.

თუ დავუბრუნდებით ძირითადი ტექსტის ცხრილებს, რომლებშიც მოყვანილი იყო ფიზიკის დარგობრივი კომპეტენციები და დავაკვირდებით პირველი საფეხურის კომპეტენციებს, მოცემულს A ნომრით, ვნახავთ რომ პრიორიტეტულობის მიხედვით ისინი საკმაოდ უკანაა მეორე საფეხურზე პირველთან შედარებით: მართლაც, ეს საკმაოდ 'ზოგადი' კომპეტენციაა, რომლებიც შესაძლოა უკვე პირველ საფეხურზე შეიძლება იქნეს მიღწეული. და პირიქით, მრავალი კომპეტენცია, რომლებიც ნაკლებად მნიშვნელოვანია და შესაბამისად, ნაკლებად განვითარებული პირველ საფეხურზე და გაერთიანებულია B და E კომპონენტებში, უხვად არის წარმოდგენილი მეორე საფეხურზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კონტექსტში საფეხურების დონეები კარგად არის აღწერილი კომპეტენციების პირველი შვიდი ჩამონათვალის თანამიმდევრობით და მათი განაწილებით დუბლინის მახასიათებლის მიხედვით. თანამიმდევრობა გამოხატავს მოცემულ საფეხურზე ამა თუ იმ კომპეტენციის მნიშვნელობას; განაწილება დუბლინის მახასიათებლის მიხედვით მიუთითებს მათი 5 კომპეტენციის მნიშვნელობაზე ყოველი საფეხურისათვის (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

ფიზიკის პირველი 7 კომპეტენციის განაწილება დუბლინის
მახასიათებლების მიხედვით პირველი და მეორე საფეხურისათვის

დუბლინის მახასიათებლის ნომერი	დუბლინის მახასიათებლის განზომილება	ფიზიკის დარგობრივი კომპეტენციების რაოდენობა დუბლინის მახასიათებლის თითოეულ განზომილებაზე	
		პირველი საფეხური	მეორე საფეხური
A	ცოდნა და გაცნობიერება	5	2
B	ცოდნის გამოყენება და გაცნობიერება	5	4
C	მსჯელობა/შეფასება	1	1
D	კომუნიკაციის უნარი	0	0
E	სწავლის უნარი	0	2

ამ ცხრილიში პირველ და მეორე საფეხურებს შორის უმთავრესი განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

- პირველ საფეხურზე არსებობს წონასწორობა ცოდნასა და გაცნობიერებასა და ცოდნის გამოყენებასა და გაცნობიერებას შორის, მაგრამ პირველი კომპეტენციის მნიშვნელობა უფრო მაღალია, ვიდრე მეორე საფეხურზე;
- მეორე საფეხური, რომლიც კვლავინდებურად ფოკუსირებულია ცოდნასა და გაცნობიერებაზე, მეტ პრივილეგიას ანიჭებს ცოდნის გამოყენებასა და გაცნობიერებას და ასევე წინა პლანზე სწევს სწავლის უნარს, რომელსაც პირველ საფეხურზე ბევრად უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა.

3

პროგრამის დიზაინი და განხორციელება

3.1. შესავალი

თუნინგის პროექტის წინაშე სამი ამოცანა იდგა: მას უნდა შეეთავაზებინა სამსაფეხურიან სისტემაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო; პრაქტიკული მეთოდები და საუკეთესო გამოცდილების მაგალითები. თუნინგის პირველ ფაზაში ბევრი დრო და ენერგია მოხმარდა სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შემუშავებას. ასევე დიდი ყურადღება დაეთმო ECTS-ის გარდაქმნას მხოლოდ ტრანსფერის სისტემიდან ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაში.

პროექტის მეორე ფაზაში დიდი ენერგია დასჭირდა პრაქტიკული მეთოდების შემუშავებასა და საუკეთესო გამოცდილების მაგალითების მოძიებას. თუნინგის ფილოსოფიის მიხედვით, აკადემიურმა პერსონალმა თავად უნდა შეიმუშავოს საკუთარი ფორმატი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მისი კომპონენტების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის. პროგრამის შემუშავების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს პერსონალის პროფესიონალიზმი და გამოცდილება, არსებული კონტექსტი, გარდა ამისა სტუდენტების მხრიდან უკუკავშირი და ასევე მნიშვნელოვანი მრავალრიცხოვანი გარეშე ფაქტორები. ეს ფაქტორები დაკავშირებულია დარგობრივ სფეროში არსებულ ინოვაციებთან, საზოგადოების განვითარებასთან, მაგრამ ასევე უფრო ზოგადად უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ ინოვაციებთან. თუნინგის ამოცანაა, მასალებისა და ინფორმაციის შეთავაზება, რომელიც სასარგებლოა როგორც საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის (პროფილი, დონე, სწავლის შედეგები და კომპეტენციები, მოდულები, ECTS გამოყენება), აგრეთვე სწავლების, სწავლისა და შეფასების რეფორმირებისათვის.

1988-1989 წლებში ECTS-ის შემოღების შემდეგ გასაკვირად მცირე ყურადღება ეთმობოდა პროგრამის ელემენტებზე დაყრდნობით სტუდენტების სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებას. თუნინგს თავის ამოცანად მიაჩნია უმაღლეს განათლებაში სტუდენტთა დატვირთვის გაანგარიშების მარტივი მოდელის შემუშავება. წიგნის ეს თავი მოიცავს არა მარტო მიდგომის თეორიულ აღწერას, არამედ მაგალითებსაც სტუდენტთა დატვირთვის დასაანგარიშებელი და შესამოწმებელი ფორმების ნიმუშებს.

გარკვეული დარგობრივი სფეროებისათვის ეს ფორმები შევსებულია და შეიძლება საუკეთესო გამოცდილების მაგალითებად იქნეს გამოყენებული, რათა დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს სანდო გათვლების შესრულებაში. სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის სწორი გათვლა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხს.

სტუდენტთა დატვირთვის გაანგარიშებას წინ უძღვის მოკლე სტატია, რომელშიც ახსნილია ურთიერთაკვშირი ECTS-ს, სტუდენტთა დატვირთვისა და სწავლის შედეგებს შორის. თუნინგის ფილოსოფიის მიხედვით, ეს სამი ელემენტი ერთმანეთთან მყარადაა დაკავშირებული. თუნინგ-ს მიაჩნია, რომ კრედიტების მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სწავლის შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმით და კრედიტები სტუდენტთა რეალურ სასწავლო დატვირთვის გამოხატავს. თუნინგ-ი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ სწავლის შედეგები შეიძლება აღიწეროს კრედიტებით ისე, რომ არ იქნეს გათვალისწინებული საშუალო სტუდენტის მიერ სწავლის ამ შედეგების მიღწევისათვის საჭირო დახარჯული დრო.

სწავლის შედეგების ფორმულირება კომპეტენციების ფორმით ერთი საკითხია, კომპეტენციების სწავლება, სწავლა და შეფასება კი – სხვა. აქედან გამომდინარე, თუნინგის ფარგლებში ჩატარდა ვრცელი კონსულტაციები პროექტის წევრებთან. თუნინგ-ში წარმოდგენილი ცხრა დარგობრივი სფეროს ყველა ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციისათვის მოცემულია კომპეტენციების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ეფექტური მაგალითები. კონსულტაციების ამ პროცესის საფუძველზე დაიწერა სტატია, რომელიც საკითხის არა მხოლოდ ზოგად აღწერას. არამედ ზოგადი კომპეტენციების გარკვეული ნაწილისათვის პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც გვთავაზობს. წიგნის შესაბამის ქვეთავებში დარგობრივი სფეროების მიხედვით მოცემულია დარგობრივი კომპეტენციების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო მაგალითები. პრაქტიკული მიზეზების გამო შეირჩა სწორედ ცხრა დარგობრივი სფეროს მაგალითები. ინფორმაცია სხვა დარგობრივი სფეროების შესახებ მოცემულია თუნინგის ვებგვერდზე.

3.2. ECTS, სტუდენტის დატვირთვა და სწავლის შედეგები

ECTS-ის გარდაქმნა მხოლოდ ტრანსფერის სისტემიდან ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაში თუნინგის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამისათვის მნიშვნელოვანი სტატიების მთელი რიგი დაიწერა:

- კრედიტების დაგროვების პანევროპული ჩარჩოს პრინციპები – კარგი პრაქტიკის გზამკვლევი.
- საგანმანათლებლო სტრუქტურები, სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვა და ECTS გამოთვლა.
- სტუდენტთა დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები: თუნინგის მიდგომა.

ამ სტატიებიდან ორი მომზადდა თუნინგ I (2000-2002), ხოლო ერთი – თუნინგ II (2003-2004) ფარგლებში. ეს ნაშრომები წარმოადგენენ ევროკომისიის მიერ მომზადებული ECTS-ის სახელმძღვანელოს საფუძველს, რომელიც 2004 წელს გამოქვეყნდა. სტატიებში ახსნილია ურთიერთკავშირი სტუდენტთა სასწავლო დატვირთვაზე დამოკიდებულ კრედიტებსა და კომპეტენციებით გამოხატულ სწავლის შედეგებს შორის. დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემაში კრედიტები და კომპეტენციების ფორმით გამოხატული სწავლის შედეგები განუყოფლადაა დაკავშირებული, წარმოადგენენ რა ერთი მედლის ორ მხარეს. მაშინ როდესაც კრედიტები სწავლის მოცულობას გამოხატავს, სწავლის შედეგები მის შინაარსს აღწერს. კრედიტი მიენიჭება, თუ სტუდენტის მიერ სწავლის დასახული შედეგები იქნა მიღწეული. მიუხედავად ამისა, არ არსებობს პირდაპირი კორელაცია კრედიტებსა და სწავლის შედეგებს შორის. დრო, რომელიც სჭირდება საშუალო სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევისათვის, განისაზღვრება არა მარტო შესასწავლი ცოდნისა და უნარების მოცულობით, არამედ სასწავლო გარემოს კონტექსტითაც. ქვეყანაში არსებული სწავლის კულტურა, ინსტიტუციები, სწავლის, სწავლებისა და შეფასების ორგანიზება, ისევე როგორც სტუდენტებისთვის და დონე მნიშვნელოვანწილად ახდენენ გავლენას, თუ რა დრო დასჭირდება საშუალო სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მოცემულ კონტექსტში სტუდენტის დრო, გამოხატული სასწავლო დატვირთვის ფორმატით, განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას. იმავდროულად ის უჩვენებს, რომ სწავლის შედეგები პრაქტიკაში შეზღუდულია კრედიტების გარკვეული რაოდენობით, როგორც აკადემიური პროგრამის შემადგენელი ნაწილი. სხვა სიტყვებით: სწავლის შედეგები და კრედიტები ურთიერგაწონასწორებული უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, კრედიტების სწორ გათვლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თუნინგი გთავაზობთ შესაბამის მიდგომას და ამ გათვლების განხორციელების პრაქტიკულ მაგალითებს.

სწავლის შედეგებსა და კრედიტებს შორის კომპლექსური დამოკიდებულებების საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი დოკუმენტიდან “ენების საერთო ევროპული ჩარჩო” (“Common European Framework of References for Languages”). ამ დოკუმენტში მოცემულია უცხო ენის ცოდნის სხვადასხვა დონე დაწყებული A1-ით (საფუძველები) და დამთავრებული C2-ით (მშობლიურთან მიახლოებული). ენის ცოდნის დონეები აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებიც კომპეტენციების ფორმითაა მოცემული. თუნინგს მიაჩნია, რომ კომპეტენციის ერთსა და იმავე დონის მისაღწევად საჭირო სასწავლო დატვირთვა, და შესაბამისად კრედიტების რაოდენობა, სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფისათვის განსხვავებული იქნება. ასე მაგალითად, საშუალო ფრანგ სტუდენტს შეიძლება 30 ECTS-კრედიტი დასჭირდეს ესპანურ ენაში C1 კომპეტენციის დონის მისაღწევად, მაშინ როდესაც დანიელი სტუდენტი იგივე დონის მიღწევას 60 ECTS-კრედიტს

მოანდომებს. ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ ამ ორი სტუდენტის სასტარტო მდგომარეობა განსხვავებულია: დანიელისათვის უფრო მარტივი იქნება გერმანული ჯგუფის სხვა ენის შესწავლა, მაშინ როდესაც ფრანგისათვის – რომანული ჯგუფის ენის შესწავლა. როგორც აქამდე აღინიშნა, სწავლისა და სწავლების ეფექტურობა გავლენას ახდენს სწავლის შედეგის მიღწევისათვის საჭირო კრედიტების რაოდენობაზე. სხვა სიტყვებით, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ C1 დონის მიღწევა უდრის კრედიტების x რაოდენობას ყველა სტუდენტისათვის საგანმანათლებლო კონტექსტის მიუხედავად. ეს x განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყანაში და შესაძლია სხვადასხვა ინსტიტუტშიც, რაც სასწავლო პროცესის ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

თუნიჩგი ასხვავებს სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს, რათა აჩვენოს მასწავლებელთა და სტუდენტების განსხვავებული როლები. სწავლის შედეგები განისაზღვრება აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსის დონეზე. კომპეტენციები მიიღწევა სტუდენტის მიერ. სტუდენტის მიერ კომპეტენციის მიღწეული დონე შეიძლება უფო მაღალი ან დაბალი იყოს, ვიდრე ეს სწავლის შედეგებითაა განსაზღვრული. კომპეტენციის მიღწევის დონე ფასდება ნიშნით. კომპეტენციები არა დაკავშირებული ცალკეულ კურსთან, არამედ სრული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების პროცესში ვითარდება.

პრაქტიკაში იყენებენ სწავლის შედეგების ორ ტიპს: ეგრეთ წოდებული ზღვრული სწავლის შედეგები, რომლებიც მინიმალურ დონეს განსაზღვრავს, და ე.წ. სასურველი სწავლის შედეგები. ეს უკანასკნელი გამოხატავს, თუ რას ელის აკადემიური პერსონალი საშუალო სტუდენტისაგან კომპეტენციებთან მიმართებაში. თუნიჩგი უპირატესობას სასურველ სწავლის შედეგებს ანიჭებს, რადგანაც ის უკეთ ესადაგება ევროპის ქვეყანათა დიდ უმრავლესობაში დამკვიდრებულ სწავლისა და სწავლის კულტურას.

მომზადებულია რობერტ ვაგენარის მიერ

3.3. სტუდენტის დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები: თუნიჩგის მიდგომა

საჭიროება

მაშინ როდესაც ევროპის ბევრი ქვეყანა ემზადება ბოლონიის პროცესით განსაზღვრული ორსაფეხურიანი სისტემის დანერგვისათვის, მზარდ მნიშვნელობას იძენს სტუდენტთა დატვირთვის შესახებ საერთო მიდგომის არსებობა. დატვირთვა დაკავშირებულია ECTS კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემასთან. ECTS-ი ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაში შესადარობისა და თავსებადობის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია. მკაფიოდ განსაზღვრული და შეთანხმებული მიდგომების

საჭიროება, ასევე განისაზღვრება გამჭვირვალობისა და სტუდენტთა¹⁴ მიმართ ღია დამოკიდებულების აუცილებლობით.

ECTS პრინციპები

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა – ECTS სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება პროგრამის ამოცანების მიღწევისათვის საჭირო სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, მპროგრამის ამოცანები სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების ფორმქატითაა გამოსახული. ECTS-ი რამდენიმე პრინციპს ემყარება¹⁵:

- 60 კრედიტით იზომება სტუდენტის სრული სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ევროპაში წლის განმავლობაში 1500-1800 საათს შორის მერყეობს, შესაბამისად ერთი კრედიტი 25-30 საათის ტოლია¹⁶;
- ECTS კრედიტის მიღებისათვის აუცილებელია სავალდებულო სამუშაოს შესრულება და მიღწეული სწავლის შედეგების სათანადო შეფასება. სწავლის შედეგები კომპეტენციების ერთობლიობაა, რომლებიც გამოხატავს, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ;
- ECTS-ში სტუდენტის დატვირთვა მოიცავს დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობის შესრულებისათვის საჭირო დროს, კერძოდ, ლექციებსა და სემინარებზე დასწრებას, საშინაო დავალებების შესრულებას, პრაქტიკას, პროექტების მომზადებას, და ა.შ.;
- კრედიტები გადანაწილებულია აკადემიური პროგრამის კომპონენტებზე (მოდულებზე, კურსებზე, პრაქტიკაზე, დისერტაციასა და ა.შ.) და ასახავს სამუშაოს მოცულობას, რომელიც ყოველი კომპონენტის ფარგლებში აუცილებელია დასახული შედეგის მიღწევისათვის და ჯამში ქმნის წლის განმავლობაში სასწავლო დატვირთვას.

თუნინგის პროექტმა, რომელიც ფოკუსირებულია სწავლის შედეგებსა და ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე, გვაჩვენა, რომ სწავლის, სწავლებისა და შეფასებისადმი ეს მიდგომა გავლენას ახდენს სასწავლო დატვირთვასა და შესაბამისად კრედიტების რაოდენობაზე¹⁷. სასწავლო

¹⁴ ტერმინი „სტუდენტი“ იხმარება ტექსტში ნებისმიერი ტიპის მოსწავლის აღსანიშნავად.

¹⁵ ECTS-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დოკუმენტში „ECTS-ის სახელმძღვანელო“ ევროკომისიის ვებგვერდზე: http://europa.eu.int/comm/education/programmes/socrates/ects/index_en.html

¹⁶ მეორე საფეხურის დასწრებულ პროგრამებზე შეიძლება განვასხვავოთ ორი ტიპი: ჩვეულებრივი პროგრამა წლიური 60 კრედიტის დატვირთვით და ე.წ. ინტენსიური პროგრამა, რომელიც სრული კალენდარული წლის განმავლობაში ხორციელდება (ანუ 12 თვე ნაცვლად ტრადიციული 9-10 თვიანი პროგრამებისა) და მაქსიმუმ 75 კრედიტს მოიცავს (რაც 46-50 კვირიან დატვირთვას შეესაბამება).

¹⁷ სწავლის შედეგების განმარტება თუნინგის პროექტის მიხედვით: სწავლის შედეგით განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან შეეძლოს სტუდენტს სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ. ის შეიძლება შეესაბამებოდეს სრულ აკადემიურ პროგრამას ან მის ცალკეულ კურსსა თუ მოდულს, ან სწავლის პერიოდს,

დატვირთვა, სწავლების მეთოდები და სწავლის შედეგები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მათ გარდა სხვა მნიშვნელოვანი ელემენტებიც არსებობს. სწავლის სასურველი შედეგების მიღწევაზე სხვა ბევრი ფაქტორიც ზემოქმედებს. ანგარიში უნდა გაეწიოს ტრადიციათა განსხვავებულობას, ისევე როგორც კურიკულუმის დიზაინსა და კონტექსტს, კურიკულუმს, სწავლის ორგანიზაციასა და სტუდენტის სწავლის უნარს შორის კავშირს. სხვა სიტყვებით, დრო, რომელიც ერთი და იგივე სწავლის შედეგების მიღწევისთვისაა საჭირო, შეიძლება განსხვავდებოდეს კონტექსტის მიხედვით¹⁸.

უმაღლესი განათლების პროგრამებში სტუდენტის დატვირთვის განსაზღვრა

სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ელემენტები:

- სტუდენტს აქვს დროის გარკვეული რაოდენობა, რაც პროგრამაზეა დამოკიდებული.
- პასუხისმგებლობა პროგრამის დიზაინსა და კურსების კრედიტებზე აკისრია ოფიციალურ ინსტიტუციას, მაგალითად, ფაკულტეტის საბჭოს, და ა.შ.
- საბოლოო პასუხისმგებლობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების ფორმებზე და დროში მათ განაწილებაზე დელეგირებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობიდან მასწავლებელსა და პერსონალის სხვა პასუხისმგებელ წევრებზე.
- აუცილებელია, რომ მასწავლებელს გაცნობიერებული ჰქონდეს, თუ რა სპეციფიკური სწავლის შედეგები და კომპეტენციები უნდა იქნეს გამომუშავებული კურსის/პროგრამის ფარგლებში.
- მასწავლებელს უნდა ესმოდეს კონკრეტული მოდულის/კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რომელი საგანმანათლებლო აქტივობაა უფრო შესაბამისი და მნიშვნელოვანი.
- მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს მოდულის/ კურსისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობის დროს.
- სტუდენტს გადამწყვეტი როლი აკისრია მონიტორინგის პროცესში, რათა შეფასდეს, რამდენად რეალურია განსაზღვრული სასწავლო დატვირთვა, თუმცა მონიტორინგი ასევე აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენს.


მაგ. პროგრამის პირველ ან მეორე საფეხურს. სწავლის შედეგები განსაზღვრავს კრედიტების მინიჭების მოთხოვნებს. სწავლის შედეგები აკადემიური პერსონალის მიერ განისაზღვრება.

თუნინგის პროექტი განსხვავებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. კომპეტენციები წარმოადგენს ცოდნის, გაცნობიერების, უნარების, შესაძლებლობებისა და ღირებულებების დინამიურ კომბინაციას. კომპეტენციების გამომუშავება აკადემიური პროგრამის მიზანია. სტუდენტის მიერ გამომუშავებული/შემენილი კომპეტენციები სხვადასხვა კურსების ფარგლებში ყალიბდება და ფასდება.

თუნინგის მეთოდოლოგიის მიხედვით სწავლის შედეგები კომპეტენციის ფორმით უნდა გამოიხატოს. შესაძლოა იმაზე მეტი კომპეტენციის მიღწევა, ვიდრე ეს სწავლის შედეგებითაა განსაზღვრული.

¹⁸ “Education Structures, Learning Outcomes, Workload and the Calculation of ECTS Credits”, in Julia Gonzalez and Roberty Wagenaar, eds., *Tuning Educational Structures in Europe. Final Report – Phase One* (Bilbao and Groningen 2003).

მიდგომა



ოთხი ნაბიჯი

სტუდენტთა დატვირთვის მართლაც რეალისტური და სანდო გაანგარიშებისათვის აუცილებელია სპეციალური მიდგომის შემუშავება, რისთვისაც რეკომენდირებულია ქვემოთ მოყვანილი ოთხი ნაბიჯი.

1. მოდულების/კურსების შეთავაზება

უნდა გაკეთდეს არჩევანი მოდულების გამოყენების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. პროგრამაში მოდულების გარეშე თითოეული კურსი ფასდება კრედიტების გარკვეული რაოდენობით და მათი ჯამი აკადემიური წლის განმავლობაში 60 შეადგენს. მოდულების გამოყენების შემთხვევაში კურსს/მოდულს აქვს კრედიტების ფიქსირებული რაოდენობა, მაგალითად, 5 ან მისი ჯერადი კრედიტი. მოდულების გამოყენება უნივერსიტეტში ხელს უწყობს სხავდასხვა პროგრამის სტუდენტების მიერ ერთსა და იმავე მოდულების გამოყენებას.

2. სტუდენტის დატვირთვის განსაზღვრა

მოდულის/კურსის დატვირთვა ემყარება სტუდენტის სასწავლო აქტივობებს, რის მეშვეობითაც სტუდენტმა სწავლის დასახულ შედეგებს უნდა მიაღწიოს. დატვირთვა იზომება დროის ერთეულებში (სამუშაო საათებში); მაგალითად, 5 კრედიტიანი მოდული საშუალო სტუდენტის შემთხვევაში ნიშნავს 125-150 საათიან მუშაობას.

საგანმანათლებლო აქტივობები შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით შეიძლება განისაზღვროს:

- *ინსტრუქციის მეთოდი* (სწალისა და სწავლების ტიპები): ლექცია, სემინარი, კვლევითი სემინარი, სავარჯიშოების კურსი, პრაქტიკუმი, ლაბორატორიული სამუშაო, ტუტორიალი, ინდივიდუალური მეცადინეობა, ინტერნშიპი, სავლელ სამუშაო, პრაქტიკა, პროექტი და ა.შ.;
- *სასწავლო აქტივობის ტიპები*: ლექციებზე დასწრება, სპეციფიკური დავალებების შესრულება, ტექნიკური და ლაბორატორიული უნარების გამომუშავება, ნაშრომის წერა, ინდივიდუალური სწავლა, სტატიებისა და წიგნების კითხვა, სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა, შეხვედრების გაძღოლა და ა.შ.;
- *შეფასების ტიპები*: ზეპირი გამოცდა, წერიტი გამოცდა, ტესტი, სტატია/ესე, პორტფოლიო, ანგარიში (სავლელ სამუშაოს, პრაქტიკის), უწყვეტი შეფასება, (საბოლოო) თეზისი/დისერტაცია და ა.შ.

მასწავლებელმა უნდა შეაფასოს სასწავლო აქტივობის შესრულებისათვის საჭირო დრო. დროში გამოსახული დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს კრედიტების რაოდენობას. მასწავლებელმა უნდა შეიმუშავონ დროის ეფექტური დაგეგმვისა და გამოყენების სტრატეგია.

1) განსაზღვრული დატვირთვის შემოწმება სტუდენტთა შეფასების მიხედვით არსებობს სტუდენტთა დატვირთვის კორექტულობის შემოწმების სხვადასხვა მეთოდი. ყველაზე უფრო გავრცელებულია კითხვარების გამოყენება, რომლებსაც სტუდენტები ან სწავლის პროცესში, ან კურსის დასრულების შემდეგ ავსებენ.

2) დატვირთვის მისადაგება და/ან საგანმანათლებლო აქტივობა მონიტორინგის პროცესმა ან კურსის შინაარსის შეცვლამ შესაძლოა გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს და საჭირო გახდეს დატვირთვისა და/ან სასწავლო აქტივობის მისადაგება ახალი პირობებისადმი. მოდულების გამოყენების შემთხვევაში საჭირო იქნება სასწავლო მასალის მოცულობის და/ან სწავლების, სწავლისა და შეფასების ტიპის შეცვლა, რადგანაც კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია (მაგალითად, 5 ან მისი ჯერადი). თუ პროგრამაში მოდულები არ გამოიყენება, მაშინ შესაძლოა კურსების მიხედვით თავად კრედიტების რაოდენობა შეიცვალოს, მაგრამ ეს, ცხადია, გავლენას იქონიებს სხვა კურსებზეც, რადგანაც კრედიტების საერთო რაოდენობა აკადემიური პროგრამის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია (მაგალითად, 30 კრედიტი სემესტრში, 60 კრედიტი წელიწადში და ა.შ.). დატვირთვის და/ან საგანმანათლებლო აქტივობის მისადაგება აუცილებელია, თუ მონიტორინგი უჩვენებს, რომ სტუდენტთა გათვლილი სასწავლო დატვირთვა რეალობას არ შეესაბამება.

პრაქტიკაში თუნინგის მოდელის გამოყენებასთან დაკავშირებული სირთულეების ახსნა

თუნინგის მიდგომა ეფუძნება კორელაციას რამდენიმე გადამწყვეტ ელემენტს შორის:

- აკადემიური ხარისხის პროფილი, რომელიც მიუთითებს მოდულის ადგილზე პროგრამის ფარგლებში, ისევე როგორც მოდულით გათვალისწინებული კომპეტენციებზე;
- სამიზნე ჯგუფი, მოდულის დონე და ნებისმიერი წინაპირობა;
- მოდულის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს;
- შეფასების ფორმები, რომლებიც საუკეთესოდ შეესაბამება სწავლის შედეგებს;
- სტუდენტთა დატვირთვაზე დაფუძნებული საშუალო დრო (საათებში), რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო საგანმანათლებლო აქტივობების შესრულებისათვის.

თუნინგი გთავაზობთ *ორ ფორმას*, რომელიც დაგეხმარებათ სტუდენტთა დატვირთვის შეფასებასა და მისადაგებაში. პირველი ფორმა შემუშავებულია მასწავლებლისათვის და ემსახურება საგანმანათლებლო მოდულის დაგეგმვასა და სტუდენტთა დატვირთვის განსაზღვრას. მეორე განკუთვნილია სტუდენტებისათვის და მოიცავს მოდულზე დახარჯულ რეალურ დროს, რითაც დატვირთვის კორექტულობის შემოწმების საშუალებას იძლევა. სტუდენტებს ურიგდებათ მასწავლებლის მიერ შევსებული ფორმა, რომელშიც მხოლოდ დატვირთვის გრაფაა ცარიელი. ამ ფორმების გამოყენებით მასწავლებლები და სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ სწავლის შედეგებს, მათ დამოკიდებულებას კომპეტენციებთან და დატვირთვასთან.

ორივე ფორმის ნიმუში თან ერთვის ტექსტს მაგალითებთან ერთად, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება სხვადასხვა დარგობრივ სფეროში.

პირველი მაგალითი ეხება ზოგად კომპეტენციებს, რომლებსაც კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების შედეგად ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა სწავლის პროცესში. უფრო მეტიც, შეირჩა საგანმანათლებლო აქტივობების კომბინაცია, რომელიც სწავლების, სწავლისა და შეფასების სხვადასხვა მიდგომას ფარავს. ეს მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ შეიძლება ამ მიდგომების გამოყენება. **ტიპური კურსი შეიძლება უფრო მარტივი დასაგეგმი იყოს.** და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მაგალითი იმისთვის არაა მოტანილი, რომ პირდაპირ იქნეს გადატანილი კრედიტების რაოდენობა კურსების მიხედვით, ან კურსების დასახელება და ა.შ. ჰიპოთეტური ნიმუში მხოლოდ დისკუსიისათვის საჭირო მეთოდია და

პრაქტიკაზე უჩვენებს, თუ როგორ არის ურთიერთდაკავშირებული სწავლის შედეგები, საგანმანათლებლო აქტივობები, დონეები, კრედიტები და სტუდენტთა დატვირთვა.

ჰიპოთეტურ მაგალითს თან ერთვის პრაქტიკული მაგალითები სხვადასხვა დისციპლინიდან. მათი ამოცანაა დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს კურსებისათვის კრედიტების სწორი რაოდენობის განსაზღვრაში.

მომზადებულია ხულია გონზალესისა და რობერ ვაგენარის მიერ



მოდულის დაგეგმვის ფორმა
(უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის/კურსის დასახელება:

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი):

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD):

წინაპირობები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსავითარებელი კომპეტენციები:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება



მოდულის დატვირთვის შემოწმების ფორმა
(უნდა შეივსოს სტუდენტის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის/კურსის დასახელება:

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი)

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD):

წინაპირობები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა:

განსავითარებული კომპეტენციები:

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საკმისიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება



მოდულის დატვირთვის შემოწმების ფორმა
(უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის/კურსის დასახელება: ინტერკულტურული კომუნიკაცია
მულტიკულტურულ საზოგადოებებში

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი): არჩევითი
კურსი

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD): ბაკალავრიატი

წინაპირობები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 5 (სტუდენტის სამუშაო დრო: 125 საათი)

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურულობის გაცნობიერება (უკავშირდება X, Y, Z მოდულებს)
2. მულტიკულტურულ კონტექსტში მუშაობის უნარი (უკავშირდება A, Z, J მოდულებს)
3. ჯგუფური მუშაობა (უკავშირდება ... მოდულებს)
4. ზეპირი და წერილი კომუნიკაცია (უკავშირდება ... მოდულებს)
5. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (უკავშირდება ... მოდულებს)
6. სხვა ქვეყნების კულტურისა და ტრადიციების გაგება/გაცნობიერება (უკავშირდება ... მოდულებს)
7. კულტურული სისტემების სტრუქტურის გაცნობიერების უნარი (უკავშირდება ... მოდულებს)
8. მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე დამოუკიდებელი აზრის ქონა

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
<p>კულტურის შესწავლისადმი სხვადასხვა მიდგომის ცოდნა და მათი გავლენის გაცნობიერება.</p> <p>ისეთი საკვანძო კომპეტენციების გაცნობიერება და ადეკვატურ აკადემიურ კონტექსტში გამოყენების უნარი, როგორც კულტურული იდენტობა, მულტიკულტურულობა, ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეგრეგაცია, კონტექსტი და მნიშვნელობა და ა.შ.</p> <p>სტუდენტის მიერ საკუთარი მენტალური წარმოდგენის განვითარება; კულტურის სხვადასხვა შრის გათვალისწინებით ტოლერანტობისა და კულტურული სიმბოლოების სხვადასხვა ხარისხის შესახებ მიმდინარე დებატების გათვალისწინებით</p>	კითხვარი	1/2 საათი	<p>მონაწილეობა კლასში * (40%)</p> <p>ზეპირი პრეზენტაცია (ყველა ჯგუფი) (12%)</p>
	ლექცია 1: <i>კულტურის შესწავლის მიდგომები</i>	1 საათი	
	ჯგუფური მუშაობა კულტურის დეფინიციებზე	1 საათი	
	დისკუსია კლასში	1 საათი	
	კითხვა	5 საათი	
	სემინარი წაკითხულ მასალაზე	1/2 საათი	
	ლექცია 2: <i>აღქმა და კულტურა</i>	1 საათი	
	სალექციო მასალის კითხვა	3 საათი	
	სემინარი წაკითხულ მასალაზე	1/2 საათი	
	ლექცია 3: <i>კულტურული იდენტობა, ჯგუფი, ინდივიდუუმი და საზოგადოება</i>	1 საათი	
	სალექციო მასალის კითხვა	5 საათი	
	სემინარი წაკითხულ მასალაზე	1/2 საათი	
	ლექცია 4: <i>სიმბოლოები, გმირები და ღირებულებები</i>	1 საათი	
	I ჯგუფური მუშაობის წერა და პრეზენტაცია: <i>კულტურული სიმბოლოები თანამედროვე პრესაში</i> (რელევანტური სტატიების მოძიება ინტერნეტში, ინდივიდუალური დოსიეს შემუშავება, კითხვა და ანალიზი)	15 საათი 3 საათი თითო	

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
კულტურულ სხვაობათა სხვადასხვა განზომილების გაცნობიერება და იდენტიფიცირების უნარი სივრცესთან, დროსთან, იერარქიასთან და ა.შ. მიმართებაში	ჯგუფური მუშაობა 8 მოკლე სიტუაციურ ანალიზზე (case study)		ერთი წერილობითი სიტუაციური ანალიზი (10%)
	კულტურული განზომილების თეორიული პერსპექტივის პრეზენტაცია	1 და 1/2x8 = 12 საათი	
	შერჩეული ტექსტების კითხვა	12 საათი 1 საათი	
a) აკულტურიზაციის b) ეთნოცენტრიზმიდან ეთნორელატივიზმზე გადასვლის პროცესების გაცნობიერება	ლექცია 5: <i>ბენეტის მოდელი</i>		პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული ორგვერდიანი წერილობითი ანგარიში (8%)
	ლექცია 6: <i>აკულტურიზაციის პროცესი</i>	1 საათი	
	კითხვა	4 საათი	
	ლექციაზე წარდგენილი თემების ინდივიდუალური გააზრება/რეფლექსია	1 საათი	
ინტერკულტურული კომუნიკაციის პრობლემებისა და გზების გაცნობიერება მოსმენისა და სათანადო კულტურულ კონტექსტში კითხვებზე პასუხის გაცემის უნარის	საპანელო პრეზენტაციები სხვადასხვა კულტურის შესახებ. დებატები, რეფლექსია	3 საათი	* თვითშეფასება (8%)
	ლექცია 7: <i>ინტერკულტურული კომუნიკაცია. საკვანძო საკითხები</i>	1 საათი	
	კითხვა	3 საათი	
	ლექციაზე წარდგენილი თემების ინდივიდუალური გააზრება/რეფლექსია	1 საათი	
	ფილმი "არავის მიწა"	2 საათი	
	დისკუსია ფილმის შესახებ	1 საათი	
	ლექცია 8: <i>აღქმის როლი ინტერკულტურულ კომუნიკაციაში</i>	1 საათი	
	კითხვა	2 საათი	
	დებატები: სამი მთავარი ასპექტი წაკითხული მასალიდან	2 საათი	

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
გამომუშავება მრავალფეროვნების პატივისცემისა და დაფასების უნარის განვითარება	ვიზიტი არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც სხვა კულტურის წარმომადგენლებთან მუშაობს	3 საათი	
მიგრაციის პრობლემებისა და შესაძლო სამომავლო გადაწყვეტილებების გაცნობიერება	ლექცია 9: <i>მრავალფეროვნების ღირებულება. მიგრაცია: მრავალფეროვნება ჩვენს კართან</i> კითხვა სემინარი წაკითხულ მასალაზე	1 საათი 5 საათი 1 საათი	ზეპირი პრეზენტაცია (ყველა ჯგუფი) (12%)
დებატების გაცნობიერება	ლექცია 10: <i>მრავალფეროვნების მართვა</i>	1 საათი	
თემაზე: საზოგადოებისა და პოლიტიკის მოდელები სხვადასხვა კულტურისა და მიგრანტებისათვის	ლექცია 11: <i>მულტიკულტურულობის სახეები და რეალობა</i>	1 საათი	
	II ჯგუფური მუშაობის წერა და პრეზენტაცია: <i>კულტურული კავშირისაკენ. გადაწყვეტილებები, კანონები და პოლიტიკა მულტიკულტურულ სახელმწიფოში (რელევანტური ინფორმაციის მოძიება, კითხვა და ანალიზი)</i>	15 საათი 3 საათი	
ინტერკულტურული კომუნიკაციის სფეროსი სხვადასხვა კვლევითი მიდგომის ცოდნა და გაცნობიერება	ლექცია 12: <i>მთავარი კვლევითი მიდგომები</i> ჯგუფური მუშაობა სხვადასხვა კვლევით საკითხზე სასწავლო ანგარიშის მომზადება	1 საათი 1 საათი 3 საათი	სასწავლო ანგარიში (10%)
		1 საათი	
სულ		125 საათი	100%

- მონაწილეობა კლასში გულისხმობს დასწრებას, წასაკითხი მასალის მომზადებას და დისკუსიასი მონაწილეობას.



მოდულის დატვირთვის შემოწმების ფორმა
(უნდა შეივსოს სტუდენტის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა:

მოდულის/კურსის დასახელება: ინტერკულტურული კომუნიკაცია მულტიკულტურულ საზოგადოებებში

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი): არჩევითი კურსი

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD): ბაკალავრიატი

წინაპირობები:

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 5 (სტუდენტის სამუშაო დრო: 125 საათი)

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურულობის გაცნობიერება (უკავშირდება X, Y, Z მოდულებს)
2. მულტიკულტურულ კონტექსტში მუშაობის უნარი (უკავშირდება A, Z, J მოდულებს)
3. ჯგუფური მუშაობა (უკავშირდება ... მოდულებს)
4. ზეპირი და წერიტი კომუნიკაცია (უკავშირდება ... მოდულებს)
5. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი (უკავშირდება ... მოდულებს)
6. სხვა ქვეყნების კუტურისა და ტრადიციების გაგება/გაცნობიერება (უკავშირდება ... მოდულებს)
7. კულტურული სისტემების სტრუქტურის გაცნობიერების უნარი (უკავშირდება ... მოდულებს)
8. მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე დამოუკიდებელი აზრის ქონა

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
<p>კულტურის შესწავლისადმი სხვადასხვა მიდგომის ცოდნა და მათი გავლენის გაცნობიერება.</p> <p>ისეთი საკვანძო კომპეტენციების გაცნობიერება და ადეკვატურ აკადემიურ კონტექსტში გამოყენების უნარი, როგორცაა კულტურული იდენტობა, მულტიკულტურულობა, ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეგრეგაცია, კონტექსტი, მნიშვნელობა და ა.შ.</p> <p>სტუდენტის მიერ საკუთარი მენტალური წარმოდგენის განვითარება;</p> <ul style="list-style-type: none"> - კულტურის სხვადასხვა შრის გათვალისწინებით - ტოლერანტობისა და კულტურული სიმბოლოების სხვადასხვა ხარისხის შესახებ მიმდინარე დებატების გათვალისწინებით 	კითხვარი		<p>მონაწილეობა კლასში * (40%)</p> <p>ზეპირი პრეზენტაცია (ყველა ჯგუფი) (12%)</p>
	ლექცია 1: <i>კულტურის შესწავლის მიდგომები</i>		
	ჯგუფური მუშაობა კულტურის დეფინიციასზე		
	დისკუსია კლასში		
	კითხვა		
	სემინარი წაკითხულ მასალაზე		
	ლექცია 2: <i>აქტა და კულტურა</i>		
	სალექციო მასალის კითხვა		
	სემინარი წაკითხულ მასალაზე		
	ლექცია 3: <i>კულტურული იდენტობა, ჯგუფი, ინდივიდუუმი და საზოგადოება</i>		
სალექციო მასალის კითხვა			
სემინარი წაკითხულ მასალაზე			
ლექცია 4: <i>სიმბოლოები, გმირები და ღირებულებები</i>			
I ჯგუფური მუშაობის წერა და პრეზენტაცია: <i>კულტურული სიმბოლოები თანამედროვე პრესაში</i> (რელევანტური სტატიების მოძიება ინტერნეტში, ინდივიდუალური დოსიეს შემუშავება, კითხვა და ანალიზი)			
<p>კულტურულ სხვაობათა სხვადასხვა განზომილების გაცნობიერება და იდენტიფიცირების უნარი სივრცესთან, დროსთან, იერარქიასთან და ა.შ. მიმართებაში</p>	ჯგუფური მუშაობა 8 მოკლე სიტუაციურ ანალიზზე		<p>ერთი წერილობითი სიტუაციური ანალიზი (10%)</p>
	კულტურული განზომილების თეორიული პერსპექტივის პრეზენტაცია		
	შერჩეული ტექსტების კითხვა		
<p>a) აკულტურიზაციის</p> <p>b) ეთნოცენტრიზმიდან ეთნორელატივიზმზე გადასვლის პროცესების გაცნობიერება</p>	ლექცია 5: <i>ბენეტის მოდელი</i>		<p>პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული ორგვერდიანი წერილობითი ანგარიში (8%)</p>
	ლექცია 6: <i>აკულტურიზაციის პროცესი</i>		
	კითხვა		
	ლექციაზე წარდგენილი თემების ინდივიდუალური გააზრება/რეფლექსია		
ინტერკულტურული კომუნიკაციის	საპანელო პრეზენტაციები სხვადასხვა კულტურის შესახებ. დებატები, რეფლექსია		*თვითმეფასება (8%)

პრობლემებისა და გზების გაცნობიერება	ლექცია 7: <i>ინტერკულტურული კომუნიკაცია. საკვანძო საკითხები</i>		
	კითხვა		
მოსმენისა და სათანადო კულტურულ კონტექსტში კითხვებზე პასუხის გაცემის უნარის გამომუშავება	ლექციაზე წარდგენილი თემების ინდივიდუალური გააზრება/რეფლექსია		
	ფილმი “არავის მიწა”		
	დისკუსია ფილმის შესახებ		
	ლექცია 8: <i>აღქმის როლი ინტერკულტურულ კომუნიკაციაში</i>		
მრავალფეროვნების პატივისცემისა და დაფასების უნარის განვითარება	კითხვა		
	დებატები: სამი მთავარი ასპექტი წაკითხული მასალიდან		
	ვიზიტი არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც სხვა კულტურის წარმომადგენლებთან მუშაობს		
მიგრაციის პრობლემებისა და შესაძლო სამომავლო გადაწყვეტილებების გაცნობიერება	ლექცია 9: <i>მრავალფეროვნების ღირებულება. მიგრაცია: მრავალფეროვნება ჩვენს კართან</i>		ზეპირი პრეზენტაცია (ყველა ჯგუფი) (12%)
	კითხვა		
	სემინარი წაკითხულ მასალაზე		
	ლექცია 10: <i>მრავალფეროვნების მართვა</i>		
	ლექცია 11: <i>მულტიკულტურულობის სახეები და რეალობა</i>		
	II ჯგუფური მუშაობის წერა და პრეზენტაცია: <i>კულტურული კავშირისაკენ. გადაწყვეტილებები, კანონები და პოლიტიკა მულტიკულტურულ სახელმწიფოში</i> (რეფლექსიური ინფორმაციის მოძიება, კიტხვა და ანალიზი)		
ინტერკულტურული კომუნიკაციის სფეროში სხვადასხვა კვლევითი მიდგომის ცოდნა და გაცნობიერება	ლექცია 12: <i>მთავარი კვლევითი მიდგომები</i>		სასწავლო ანგარიში (10%)
	ჯგუფური მუშაობა სხვადასხვა კვლევით საკითხზე		
	სასწავლო ანგარიშის მომზადება		
სულ	-		100%

* მონაწილეობა კლასში გულისხმობს დასწრებას, წასაკითხი მასალის მომზადებას და დისკუსიაში მონაწილეობას.



მოდულის დაგეგმვის ფორმა
(უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა: ქიმიის ბაკალავრი (BSc Chemistry)

მოდულის/კურსის დასახელება: ორგანული ქიმიის ლაბორატორია
(წარმოადგენს OC-3 მოდულის ნაწილს)

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი):
ძირითადი (მეორე კურსის ბაკალავრებისათვის)

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD): ბაკალავრიატი

წინაპირობები: არაორგანული ქიმია (ჩაბარებული), ტოქსიკოლოგია
(მოსმენილი)

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 7,5 (დატვირთვა 186 საათი, 1 კრედიტი
= 25 საათს) კრედიტები სტუდენტს ენიჭება არა ცალკე, არამედ როგორც
თეორიული/პრაქტიკული მოდულის ნაწილი.

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. პრაქტიკაში ცონდის გამოყენების უნარი;
2. დაგეგმვა და დროის მენეჯმენტი;
3. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
4. ხარისხის გააზრება;
5. ქიმიურ მასალებთან უსაფრთხო მუშაობის უნარი, მათი ქიმიური და ფიზიკური თვისებების გათვალისწინება, სპეციფიკური დამაზიანებელი ფაქტორების ჩათვლით;
6. ქიმიური მასალების გამოყენებასთან და ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკის გააზრება და შეფასება.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
უსაფრთხოების პროცედურები, ლაბორატორიული მზამები, გადაუდებელი დახმარების პროცედურები	ლექცია უსაფრთხოების წესების შესახებ + დემონსტრაცია	1	არ არის
პრაქტიკული ექსპერიმენტის დაგეგმვისა და დიზაინის კომპეტენცია	ექსპერიმენტის გაცნობიერება. მომზადება ექსპერიმენტის ჩატარებისათვის	30	დისკუსია ასისტენტთან
ექსპერიმენტული პროცედურის ანგარიშის შექმნა ისე, რომ ის სხვების მიერ უსაფრთხოდ იქნეს გამოყენებული	ანგარიშის წერა	15	ანგარიშის შეფასება ასისტენტის მიერ
ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება. სეპარაცია, იზოლაცია, გაწმენდა.	ექსპერიმენტი 1: ბუნებრივი პროდუქტების იზოლირება.	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. ნარეგების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 2: თავისუფალი რადიკალების ჩანაცვლება ნახშირწყალბადით	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 3: ნუკლეოფილური ალიფატური ჩანაცვლება	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. ნარეგების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 4: ელიმინაცია მრავლობითი CC კავშირების შექმნისათვის	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და	ექსპერიმენტი 5:	8	წერიტი ანგარიში.

სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	მრავლობითი კავშირებისადმი ელექტროფილური დამატება		პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 6: ელექტროფილური არომატული ჩანაცვლება 1 (ჰეტეროჩანაცვლება)	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 7: ნახშირბადული ჯგუფების ფორმირება დაჟანგვის გზით	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 8: ნახშირბადული კომპონენტების რედუქცია	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 9: ჰეტეროჰუკლეოფილების დამატება ალდეჰიდებსა და კეტონებისათვის	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 10: ნახშირბადური ნუკლეოფილების დამატება ნახშირბადური ჯგუფებისადმი	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 11: ელექტროფილური არომატული ჩანაცვლება 2 (CC კავშირების ფორმირება)	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების	ექსპერიმენტი 12: ორგანომეტალური კომპონენტები	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი

მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.			
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 13: ენოლატების ქიმია და ალდოლის რეაქციები, კონიუგირებული დამატება	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 14: ჰეტერომრავლობითი კავშირების სისტემები (ნიტრო და დიაზოკომპონენტები და ა.შ.)	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
რეაქტიულობა და სელექტიურობა. სუბსტანციების მახასიათებლები. ლაბორატორიული აპარატურის სწორი გამოყენება.	ექსპერიმენტი 15: პოლიფუნქციური კომპონენტებისა და ჰეტეროციკლების მომზადება და მოდიფიკაცია	8	წერიტი ანგარიში. პროდუქტის ხარისხი
დარგობრივი მასალის ზოგადი მიმოხილვა.	გავლილი მასალის გამეორება, გამოცდა	20	ზეპირი გამოცდა



მოდულის დაგეგმვის ფორმა (უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა: დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ბაკალავრი (Honours Degree)

მოდულის/კურსის დასახელება: გეოლოგიის საველე კარტოგრამა და ზედაპირების დეპოზიტი

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი): ძირითადი

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD): ბაკალავრიატი

წინაპირობები: GE200 (გეოლოგიის მეორე წელი)

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 10 (222-240 საათი, 1 კრედიტი=22-24 საათი)

განსავითარებელი ზოგადი კომპეტენციები¹⁹:

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი;
2. ორგანიზაციისა და დაგეგმვის უნარი;
3. ჯგუფური მუშაობა;
4. პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი;
5. ახალ სიტუაციებთან შეგუების უნარი;

განსავითარებელი დარგობრივი კომპეტენციები:

6. საველე მონაცემების აკურატული რეგისტრაციის უნარი სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით;
7. საველე ოქმების მომადება და შენახვა;
8. შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მანუალური ტექნიკის გამოყენებით რუკებისა და ანგარიშების მომზადება;
9. ველზე ნიმუშების შეგროვებისა და ლაბორატორიული ანალიზის ტექნიკა;
10. გაშიშვლებული ქანების გადატანა ოთხგანზომილებიან მოდელში და რეგიონის გეოლოგიური ევოლუციის აღწერა;
11. რუკების, სექციებისა და დიაგრამების მომზადება ამ ოთხგანზომილებიანი ანალიზის საილუსტრაციოდ;

¹⁹ საველე მეცადინეობა, როდესაც სტუდენტები მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად მუშაობენ, ბევრიოგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას უწყობს ხელს. ეს ჰოლისტური მიდგომა და სტუდენტს საშუალებას აძლევს მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს რეალური პრობლემების გადაჭრისათვის. აქ მოყვანილი მაგალითი გეოლოგიურ კარტოგრამას ეხება. იგივე კომპეტენციების გამომუშავება შესაძლებელი იქნებოდა სხვა საველე კურსების ფარგლებში, როგორცაა გარემოს თუ ჰიდროგეოლოგიური კარტოგრამა, ან, მოკლე ოკეანოგრაფიული კრუიზი.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
უსაფრთხოება საველე პირობებში: ველზე უსაფრთხო სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების უნარი	ორსაათიანი ლექცია და ორდღიანი საველე სავარჯიშო არჩევითი CPR და პირველი დახმარების კურსებით	22-40	უწყვეტი: უსაფრთხოების საკითხებში კვალიფიცირებული ინსტრუქტორების მიერ. ფორმალური ნიშანი არ იწერება, მაგრამ ყველას, ვისაც ჩაეთვლება, ეძლევა სერტიფიკატი.
საველე კურსი: ველზე მასალის მოგროვების, ანალიზისა და არქივირების უნარი	შვიდდღიანი საველე სამუშაო ზედამხედველობის ქვეშ. პირველი ორი დღე ლექტორების უშუალო ზედამხედველობით ჯგუფური მუშაობა – ლექტორები განსაზღვრავენ შესასრულებელ ამოცანებს. ოთხი დღე ნახევრად დამოუკიდებელი მუშაობა მცირე ჯგუფებში (2-4 პირი) და ერთი დღე – ვიზიტი კარიერში	100; 8-10 საათი ყოველდღიურად ველზე და 3 საათი ყოველ საღამოს “კარტირებისათვის” (იმ დღეს მოპოვებული მასალის ანალიზი, კონსოლიდაცია და გრაფიკული გამოსახვა). მოგზაურობის დრო: სახლი-ველი – 2 დღე	უწყვეტი შეფასება = საერთო შეფასების 50%
ველზე მოპოვებული მასალის შესახებ ანგარიშის მომზადება. მასალის ინტეგრაციისა და შეჯამების უნარი. გეოლოგიური რუკების მომზადებისა და გაცნობიერების უნარი.	ლაბორატორიული მუშაობა მცირე ჯგუფებში (2-4 პირი): შეგროვილი მასალის აღწერა, რუკების, გეგმების, დიაგრამებისა და სექციების მომზადება; სტრატეგრაფიის ანგარიშის მომზადება; სტრუქტურა; ზედაპირული დეპოზიტები; შესწავლილი უბნის ეკონომიკური პოტენციალი და გარემოსდაცვითი ასპექტები	80	დათქმულ დროში პროექტის წარდგენა. პროექტი ფასდება ნიშნით = საერთო შეფასების 50%
განმეორებითი საველე გასვლა	ორდღიანი განმეორებითი საველე გასვლა დამოუკიდებელი საველე პროექტის დაწყებისათვის	20	



მოდულის დაგეგმვის ფორმა (უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა: ევროპული კვლევები ბიზნესსა და ეკონომიკაში

მოდულის/კურსის დასახელება: ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო, გარემოსდაცვითი და რეგიონული პოლიტიკა

კურსის ტიპი (მაგალითად, ძირითადი, დამატებითი, არჩევითი):
სავალდებულო

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD): მაგისტრატურა

წინაპირობები: პირველი საფეხურის პროგრამის დასრულება

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 6 (დატვირთვა 180 საათი, 1 კრედიტი=30 საათი)

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. ევროპული ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული იდეებისა და კონცეფციების ცოდნა;
2. ევროკავშირის ინსტიტუციებისა და გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკის ცოდნა;
3. სხვადასხვა დისციპლინური მეთოდოლოგიის ინტეგრაციის უნარი;
4. ევროპული მოვლენების, განვითარებისა და პოლიტიკის ინტერპრეტაციის უნარი ეროვნულ, რეგიონალ და ადგილობრივ კონტექსტში;
5. მშობლიურ და საერთაშორისო ენაზე კომუნიკაციის უნარი სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით;
6. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
7. ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკული ინტერპრეტაციის უნარი.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის პრინციპების გაცნობიერება, მისი კავშირი ევროპისა და მსოფლიოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან და სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განვითარებასთან	<p>ლექცია 1 <i>სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, კავშირი ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ევროპასა და მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განვითარება</i></p> <p>ლექცია 2 <i>სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კონცეფცია ევროპასა და მსოფლიოში</i> სემინარი</p>	2 2 2	ლექცია 1-5: მონაწილეობა კლამი* (საერთო შეფასების 10%) ჯგუფური სამუშაოს ზეპირი პრეზენტაცია (10%)
სტუდენტებისათვის ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის, მთავარი მახასიათებლების, დაფინანსების ფორმებისა და წყაროების გაცნობა	<p>ლექცია 3 <i>ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, ტენდენციები, მთავარი მახასიათებლები, დაფინანსების ფორმები და წყაროები</i></p> <p>ინდივიდუალური მეცადინეობა ჯგუფური მუშაობა ჯგუფური სამუშაოს წერა და პრეზენტაცია</p>	4 8 2 6	
სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ინსტრუმენტების ანალიზი	<p>ლექცია 4 <i>სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ინსტრუმენტების ანალიზი</i> სემინარი</p>	4 4	
სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ექსტრაპროდუქციის ფუნქციის ცოდნა და გაცნობიერება	<p>ლექცია 5 <i>სოფლის მეურნეობის ძვარი განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ექსტრაპროდუქციის ფუნქცია</i> კითხვა</p>	1 1	
გარემოსდაცვითი პრობლემების ცოდნა და გაცნობიერება	<p>ლექცია 6 <i>გარემოსდაცვითი პრობლემები</i> სემინარი</p>	1 1	ლექცია 6-10: მონაწილეობა კლამი* ჯგუფური სამუშაოს ზეპირი პრეზენტაცია (10%)
გარემოს შეფასების სხვადასხვა მიდგომის ცოდნა	<p>ლექცია 7 <i>გარემოს შეფასება</i> სემინარი</p>	2 2	

დაბინძურების ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობების ცოდნა	ლექცია 8 დაბინძურების ეკონომიკური ანალიზის შესაძლებლობები სემინარი	2 2	
ბუნებრივი რესურსების აღწარმობისა და მათი ეკონომიკური გამოყენების შესახებ ცოდნა	ლექცია 9 ბუნებრივი რესურსების აღწარმობა სემინარი	2 2	
ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრინციპების ცოდნა და გაცნობიერება	ლექცია 10 ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრინციპები სემინარი ჯგუფური მუშაობა ინდივიდუალური მეცადინეობა ჯგუფური სამუშაოს წერა და პრეზენტაცია	2 2 4 6 6	
ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ცოდნა	ლექცია 11 ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა ჯგუფური მუშაობა სიტუაციური ანალიზი (case study) პროექტი ინდივიდუალური პროექტების პრეზენტაცია	6 2 2 10 6	ლექცია 11-12: მონაწილეობა კლასში* პროექტის ზეპირი პრეზენტაცია (20%)
სოციალურად და გარემოს დაცვის მხრივ მყარი რეგიონული განვითარების ცოდნა	ლექცია 12 სოციალურად და გარემოს დაცვის მხრივ მყარი რეგიონული განვითარება სემინარი	1 1	
დროებითი მასალის ზოგადი მიმოხილვა	ინდივიდუალური მეცადინეობა კომბინირებული გამოცდა	80 2	კომბინირებული – ზეპირი და წერითი – გამოცდა (50%)

- გულისხმობს დასწრებას და დისკუსიაში მონაწილეობას.



მოდულის დაგეგმვის ფორმა (უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა: მათემატიკა

მოდულის/კურსის დასახელება: დიფერენცირება და ინტეგრაცია

სამიზნე ჯგუფი: მათემატიკისა და ფიზიკის პირველი საფეხურის სტუდენტები

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, **BA, MA, PhD**): ბაკალავრიატის I დონე

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 10 (დატვირთვა 300 საათი, 1 კრედიტი=30 საათი)

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. სერიების, დიფერენცირებისა და ინტეგრაციის ძირითადი ტექნიკის ღრმა ცოდნა;
2. ამ ტექნიკის პრინციპების გაცნობიერება;
3. ლოგიკური და დედუქტიური არგუმენტების ცოდნა და აგაცნობიერება;
4. ფორმალური არგუმენტებისა და მითითებების/შენიშვნების გამოყენების უნარი მათემატიკურ მტკიცებულებებში;
5. დაშვებების ლოკალიზაციის უნარი თეორემების დამტკიცებისათვის;
6. მცირე პრობლემების სრული მტკიცებულებების პოვნის უნარი;
7. ანალიტიკური მეთოდების გამოყენების უნარი პრობლემების გადაჭრისათვის.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში
I კვირა		
ლოგიკის ძირითადი კონცეფციების გაგება, რომლებიც მათემატიკურ მსჯელობას უდევს საფუძვლად. ჭეშმარიტების ცხილის კალკულაცია. ვერბალური გამოთქმების თარგმნა ლოგიკური ტერმინების ენაზე	ლექცია პირველი ლოგიკური ოპერატორები, ლოგიკური ეკვივალენტობა და ლოგიკური კონსეკვენცია.	1.5
	პირველი ლექციის სწავლა	4
ინდუქციის პრინციპის გამოყენება პასკალის სამკუთხედსა და ბინომურ კოეფიციენტებთან.	ლექცია მე-2 N, Z, O, R-ს მოკლე აქსიომატური შესწავლა. ინდუქციის პრინციპი.	1.5
უტოლობების მანიპულირების უნარი. Q-სა და R-ს შორის განსხვავების ცოდნა.	ლექცია მე-3 (პრობლემზური კლასი) აბსოლუტური სიდიდე. უტოლობები. R-ის ზედა და ქვედა ზღვარი. არქიმედეს აქსიომა. Q-ს კონცენტრაცია R-ში.	1.5
	მე-2 და მე-3 ლექციის სწავლა	4
II კვირა		
ეფსილონ-N ნიშანი, ზღვრასა და ზღვრულ წერილებს შორის განსხვავების ცოდნა. ზღვარის თეორემის გამოყენების უნარი.	ლექცია მე-4 სეკვენციების კონვერგენცია. ზღვრული წერტილები. ბოლცანო-ვაიერშტრასის თეორემა. ზღვარის თეორემების ალგებრა. ზედა და ქვედა ზღვარი.	1.5
	მე-4 ლექციის სწავლა	4
სეკვენციასა და მწკრივს შორის ამოკიდებულების ცოდნა. ელემენტარული მწკრივების გამოთვლის უნარი.	ლექცია მე-5 კომის განაწილება. მწკრივების დეფინიცია. მაგალითები.	1.5
	მე-5 ლექციის სწავლა	4

	პრობლემური კლასი პირველი	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
III კვირა		
კონვერგენციის სხვადასხვა ტესტის გამოყენების უნარი. კომის პროდუქტის პრაქტიკული კალკულაცია.	ლექცია მე-6 პირობითი და აბსოლუტური კონვერგენცია. მწკრივების კონვერგენციის ტესტი. კომის პროდუქტი.	1.5
	მე-6 ლექციის სწავლა	4
ფუნქციის ზღვრის ϵ - ბ ცოდნა.	ლექცია მე-7 ფუნქციები და გრაფიკები. ფუნქციების ოპერაციები.	1.5
	მე-7 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-2	
	დრო საშინაო დავალებისათვის	
IV კვირა		
ფუნქციების ზღვრის კალკულაცია.	ლექცია მე-8 ფუნქციების ზღვრის თეორემები.	1.5
	მე-8 ლექციის სწავლა	4
უნიფორმული კონვერგენციის მნიშვნელობის ცოდნა და გაცნობიერება. სეკვენციისა და მწკრივის კონვერგენციის ტიპის (წერტილოვანი თუ უნიფორმული) განსაზღვრის უნარი.	ლექცია მე-9 ფუნქციების წერტილოვანი და უნიფორმული კონვერგენცია. კომის კრიტერიუმი სეკვენციებისა და ფუნქციათა მწკრივებისათვის. ვაიერშტრასის M-ტესტი.	1.5
	მე-9 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-3	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
V კვირა		
კონვერგენციის ინტერვალის კალკულაცია.	ლექცია მე-10 ხარისხობრივი მწკრივები. კონვერგენციის რადიუსი. ხარისხობრივი სერიების	1.5

	თვისებები. e^x გაფართოება.	
	მე-10 ლექციის სწავლა	4
სინუსისა და კოსინუსის მატების თეორემებიდან ტრიგონომეტრიული ფუნქციების გამოთვლა.	ლექცია მე-11 კოშის ფუნქციური ტოლობები. $x(\cos x, \sin x, \ln x, \arcsin x, \arccos x)$ სინუსის და კოსინუსის ხარისხობრივი მწკრივები. მატებით თეორემები	1.5
	მე-11 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-4	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
VI კვირა		
ყველა ელემენტარული ცირკულარული, ჰიპერბოლური და ა.შ. ფუნქციების და მათი ინვერსიების გრაფიკებისა და თვისებების ცოდნა.	ლექცია მე-12 გეომეტრიულიად განსაზღვრული სინუსი. ცირკულარული ფუნქცი- ები, ჰიპერბოლური ფუნქციები და მათი ინვერსიები. ლოგარი- თმული ფუნქციები.	1.5
	მე-12 ლექციის სწავლა	4
დიფერენციაციის გაზრება. მისი წესების გამოყენების უნარი.	ლექცია მე-13 წარმოებულის მახასიათებლები. დიფერენციაციის წესები.	1.5
	მე-13 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-5	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
VII კვირა		
ინვერსიული ფუნქციების წარმოებულის დგამოთვლა.	ლექცია მე-14 ინვერსიული ფუნქციის წარმოებულის. მონოტონურობა და დიფერენცირება.	1.5
	მე-14 ლექციის სწავლა	4
კონვერგენციის რადიუსის ფარგლებში ხარისხის მწკრივების წარმოებულებით მანიპულირება.	ლექცია მე-15 ზღვარი და წარმოებულის. ხარისხის მწკრივებით განსაზღვრული ფუნქცი- ების წარმოებულები. მაგალითები.	1.5
	მე-15 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-6	1.5

	დრო საშინაო დავალებისათვის	10
VIII კვირა		
ლაიბნიცის წესის გამოყენების უნარი და მოცემული ფუნქციის ტეილორის მწკრივის გამოყვანა.	ლექცია მე-16 ელემენტარული ფუნქციების n დერივატი. ლაიბნიცის თეორემა. ტეილორის თეორემა.	
	მე-16 ლექციის სწავლა	4
ტეილორის თეორემის ცოდნა და გაცნობიერება. მარტივი და რთული ფუნქციების ხარისხების მწკრივების კალკულაცია.	ლექცია მე-17 ფუნქციების ექსპანსია ხარისხების მწკივებში. კოშის მულტიპლიკაციის გამოყენება.	1.5
	მე-17 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-7	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
IX კვირა		
ფუნქციების შესწავლისა და მათი გრაფიკების აგების უნარი.	ლექცია მე-18 კონვექსური და კონკავუ- რი ფუნქციები. ფარდობი- თი და აბსოლუტური ექსტრემა. მაგალითები.	1.5
	მე-18 ლექციის სწავლა	4
ზღვრის კონცეფციის, როგორცაა $\lim_x ((=-(გაც-ნობიერება. ლოსპიტალ-ის წესის სხვადასხვა ვერ-სიის გამოყენების უნარი$	ლექცია მე-19 R გავრცობა $R(\{-,(\}$. ლოსპიტალის წესი. მაგალითები.	1.5
	მე-19 ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-8	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
X კვირა		
რიმანის ინტეგრალის იდეის წარმოდგენა.	ლექცია მე-20 სხვადასხვა ინტეგრალის შესწავლა. რიმანის ინტეგ- რალის დეფინიცია. რიმა- ნის ინტეგრალური ფუნქციები.	1.5
	მე-20 ლექციის სწავლა	4
რიმანის ინტეგრალების შედეგების გამოყენებით უსასრულო სერიების	ლექცია 21-ე დარბუქსის თეორემა. R-ინტეგრალური ფუნქ-	1.5

კალკულაცია.	ციების ვექტორულის სივრცე. თეორემების საშუალო ღირებულება.	
	21-ე ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-9	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
XI კვირა		
გაცნობიერება, რომ ინტეგრაცია არაა მხოლოდ “ანტიდიფერენციაცია”. ელემენტარული ფუნქციის ანტიდერივატივების ცოდნა.	ლექცია 22-ე კალკულუსის ფუნდამენტური თეორია. ზღვარი და ინტეგრალი.	1.5
	22-ე ლექციის სწავლა	4
ინტეგრაციის ტექნიკის მანიპულაციური უნარების შესწავლა.	ლექცია 23-ე ინტეგრაციის სხვადასხვა ტექნიკა.	1.5
	23-ე ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-10	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
XII კვირა		
უფრო რთული ინტეგრალების კალკულაცია.	ლექცია 24-ე ინტეგრაციის რთული ტექნიკები.	1.5
	24-ე ლექციის სწავლა	4
პირველი და მეორე ხარისხის არასწორი ინტეგრალების ტესტების ცოდნა.	ლექცია 25-ე არასწორი ინტეგრალები. აბსოლუტური და პირობითი კონვერგენცია. გამა და ბეტა ფუნქციები.	1.5
	25-ე ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-11	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
XIII კვირა		
ანალიზი კომპლექსურ სისტემებში შეიძლება დაყვანილ იქნეს ნაცნობი სივრცეების ანალიზზე.	ლექცია 26-ე ევკლიდის სივრცის კონვერგენცია. ნორმის დამოუკიდებლობა.	1.5
	26-ე ლექციის სწავლა	4
ლიმიტების კალკულაცია ვექტორების თანამიმდევრობით და ვექტორების სერიები, შიდა პროდუქ-	ლექცია 27-ე ზღვარი და მულტიხაზოვანი რუკები	1.5

ტი, ვექტორალური პროდუქტი, მატრიცები და დეტერმინანტები		
	27-ე ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-12	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10
XIV კვირა		
ტოპოლოგია აქსიომატური თეორია. სისტემის დიაოზის შეფასება.	ლექცია 28-ე ტოპოლოგია ევკლიდის სივრცეში. ღია და დახურული სისტემები. სისტემის ინტერიორი. აკუმულაციის წერტილები.	1.5
	28-ე ლექციის სწავლა	4
მოცმეული სისტემის კომპაქტურობის შეფასება.	ლექცია 29-ე ღია და დახურული სისტემების თვისებები. კომპაქტური სისტემები. ჰეინე-ბორელის თეორემა.	1.5
	29-ე ლექციის სწავლა	4
	პრობლემური კლასი მე-13	1.5
	დრო საშინაო დავალებისათვის	10

სასწავლო დატვირთვის ჯამური გაანგარიშება:

პირველი კვირის დატვირთვა 12.5 საათია.
 2-12 ყოველი კვირის დატვირთვა 22.5 საათია (სულ 247.5 საათი)
 ბოლო ორი კვირის (თითოეულის) დატვირთვა 18.5 საათია.
 ჯამში 297 საათი. ტესტის შესრულებისათვის გათვალისწინებულ დროსთან (=3 საათი) ერთად ქმნის 300 საათიან დატვირთვას.

შეფასება

ყოველკვირეული საშინაო დავალების შესრულება სავალდებულოა. სამუშაო ყოველ კვირას მოწმდება და სწორდება და აუცილებელია, სულ მცირე, ერთი სწორი ამოხსნის ქონა მაინც საბოლოო ტესტზე დაშვებისათვის. თუ სტუდენტმა საბოლოო ტესტში მაქსიმალურად შესაძლებელი ქულების ნახევარი მაინც დააგროვა, მას 10 კრედიტი ენიჭება.

საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო საქმე

მოდულის/კურსის დასახელება: ინტენსიური თერაპიის კლინიკა და საექთნო თეორია

კურსის ტიპი: ზოგ ქვეყანაში სავალდებულოა

სამიზნე ჯგუფი: ექთნებისათვის, ვისაც არ აქვს ინტენსიური თერაპიის სფეროში მუშაობის გამოცდილება

მოდულის/კურსის დონე: ბაკალავრიატი

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 6 (დატვირთვა 180 საათი, 1 კრედიტი = 30 საათი)

განსავითარებელი კომპეტენციები:

უნარები:

1. კრიტიკული პაციენტების სპეციფიკური მდგომარეობისა და მოთხოვნილებების ამოცნობის უნარი;
2. პაციენტის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სულიერ და ემოციურ მოთხოვნილებებზე ეფექტური რეაგირება კომპეტენციის დონის შესაბამისად;
3. იმ სამედიცინო პრობლემების ახსნა, რომლებიც ჩვეულებრივ ინტენსიურ თერაპიას საჭიროებს;
4. სიცოცხლის გადარჩენის პროცედურების ცოდნა და საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენება და სიცოცხლისათვის სამიში მდგომარეობების ამოცნობა;
5. ინტენსიურ პაციენტებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის მეთოდების ცოდნა;
6. ინტენსიურ პაციენტებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის მეთოდების უსაფრთხო გამოყენება;
7. რუტინული ბიოქიმიური და პათოლოგიის ტესტების ცოდნა და ამოცნობა;
8. დოკუმენტაციის წარმოების უნარი (ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ წერილობითი ფორმით);
9. ინტერდისციპლინურ ჯგუფში აქტიური თანამშრომლობა;
10. პაციენტებსა და მათ ოჯახებთან ეფექტური კომუნიკაციისა და ქცევის უნარი.

შესაძლოა ამ ჩამონათვალს საჭიროების შემთხვევაში დაემატოს ექთნების სხვა პრაქტიკული უნარები/კომპეტენციები. შესაბამისად შეიცვლება ECTS კრედიტები და შეფასების ფორმები. ქვემოთ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითია მოცემული. მოცემული კომპეტენციების განხორციელება ზედამხედველობის ქვეშ უნდა მოხდეს.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
ინტენსიური მოვლის კონცეფციების, ფილოსოფიისა და დეფინიციების ცოდნა. ინტენსიური მოვლის როლი ჯანდაცვის სფეროში.	კურსის მოტივაცია	1	მონაწილეობა კლასში
	ლექცია: ინტენსიური თერაპიის ისტორია და განვითარება	1	
	კითხვა	2	
	დებატები კლასში	1	
პაციენტის მოვლისა და მონიტორინგის მეთოდები. კლინიკური პრაქტიკისა და ICU საჭირო აქტივობებისათვის მზადება, ინტენსიური მოვლის (IC) სერვისის ფიზიკური, ეპიდემიოლოგიური და ინფექციური სპეციფიკის ცოდნა	ლექცია: ინფექციის კონტროლი, ეპიდემიოლოგია, მენტალური მდგომარეობა	2	ანგარიშის წერა: ყველა ჯგუფი ჰიგიენური პროტოკოლის ზეპირი პრეზენტაცია <i>ამჟღავნებს სენსიტიურ დამოკიდებულებას ICU პაციენტების მიმართ</i>
	დისკუსია კლასში	1	
	ჯგუფური მუშაობა სიტუაციურ ანალიზზე (case study)	1	
	კითხვა	4	
ჰომეოსტაზის როლის გაცნობიერება, მისი დარღვევების კლინიკური სიმპტომების ცოდნა, ადამიანის სხეულის მარილების, წყლისა და PH ბალანსის ცოდნა. აღნიშნული პრობლემების მქონე პაციენტების სპეციფიკური მოთხოვნილებებისა და მოვლის ცოდნა.	ლექცია: ჰომეოსტაზი და მისი დარღვევები	2	ზეპირი პრეზენტაცია და წერითი ანგარიში: ექთნობის გეგმა (ყველა ჯგუფი) სიტუაციური ანალიზის გამოყენება <i>შეუძლია ჰომეოსტაზის ნორმალური და პათოლოგიური მონაცემების გარჩევა (მაგალითად, სისხლის გაზები, სიტხის ბალანსი)</i>
	სემინარი მცირე ჯგუფებში	4	
	კითხვა	6	
	დემონსტრაცია	2	
ენერგეტიკული ბალანსის ფაქტორების ცოდნა, ჯანმრთელობისათვის მათი მნიშვნელობის გააზრება. ხელოვნური კვების მეთოდების ცოდნა.	ლექცია: კრიტიკული პაციენტების ხელოვნური კვება	2	წერითი ანგარიში და ზეპირი პრეზენტაცია დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ <i>შეუძლია ხელოვნურ კვებაზე მყოფი პაციენტის მოვლა</i>
	დემონსტრაცია	2	
	კითხვა	4	

ECG-ს შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა (სიცოცხლისათვის საშიში ECG ტალღები, ნორმალურ, ადეკვატურ და პათოლოგიურ ტალღებს შორის განსხვავება).	ლექცია: მწვავე კარდიოლოგიური დაავადებები	4	ზეპირი პრეზენტაცია და ექთნის წერიტი ანგარიში, დემონსტრირება პაციენტის სიმულატორზე <i>დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ შეუძლია კარდიოვასკულარული თუ რესპირატორული პრობლემების მქონე პაციენტის მოვლა</i>
	პაციენტის დემონსტრირება	4	
	ლექცია: კარდიოლოგიური პაციენტის ინტენსიური მოვლა	4	
	დისრიტმიის ამოცნობა და მისი მოვლა.	სემინარი: პაციენტის სიმულატორი	
ჰიპერტონული კრიზისა და, სისხლის მიმოქცევის სისტემის მწვავე უკმარისობის ცოდნა და გაცნობიერება.	კითხვა	10	
LCOS გამომწვევი პათოლოგიური მდგომარეობების ცოდნა			
შოკი. თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.	ლექცია: შოკი	4	ზეპირი პრეზენტაცია, წერიტი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება <i>შეუძლია შოკის დაწყების ამოცნობა, შეუძლია თერაპიის ეფექტური ინიცირება და მართვა</i>
	სემინარი	2	
	კითხვა	2	
რესპირატორული უკმარისობის მიმოხილვა, მათი კლინიკური ფორმები. პათოფიზიოლოგიური ისტორიის გაცნობიერება და მოვლის მიზნობრივი დამოკიდებულება. კონსერვაციული მეთოდები, ვენტილაციური თერაპია და შესაბამისი პაციენტების მოვლა.	ლექცია: ფილტვების კრიტიკული დაავადებები	4	ზეპირი პრეზენტაცია, წერიტი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება <i>დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ შეუძლია რესპირატორულ დახმარებაზე დამოკიდებული პაციენტის მოვლა</i>
	ლექცია: პულმონარული პაციენტების ინტენსიური მოვლა	4	
	ლექცია: ვენტილაციური თერაპია და მოვლა	4	
	სემინარი მცირე ჯგუფში, როლური თამაში, პაციენტის სიმულატორი	4	
	კითხვა	12	
თირკმელების მწვავე უკმარისობა;	ლექცია: თირკმელების მწვავე უკმარისობა	2	ზეპირი პრეზენტაცია, წერიტი ტესტი,

სამედიცინო და საექთნო მოვლა. თირკმელების ფუნქციის ჩანაცვლების მეთოდები და მოვლა.	ლექცია: ხელოვნური თირკმლის მოვლა	4	ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება
	სემინარი მცირე ჯგუფში, როლური თამაში	2	<i>შეუძლია პაციენტის რენალური სტატუსის გაუმჯობესებისა და გაუარესების ამოცნობა</i>
	კითხვა	6	
ღვიძლის დაავადებებისა და ენდოკრინული დისფუნქციების ინტენსიური მოვლა. კრიზისული სიტუაციები. კომპლექსური მდგომარეობის დროს სათანადო ეთიკური პასუხისმგებლობა.	ლექცია: ღვიძლისა და ენდოკრინული სისტემის მწვავე უკმარისობა	4	ზეპირი პრეზენტაცია, წერილი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება
	ლექცია: ღვიძლისა და ენდოკრინული სისტემის მწვავე უკმარისობის მქონე პაციენტების მოვლა	4	შეუძლია ღვიძლის პრობლემების მქონე პაციენტის მოთხოვნილებების შესაბამისი მოვლის სქემის შემუშავება, განხორციელება და შეფასება
	სემინარი მცირე ჯგუფში, დემონსტრაცია და სიტუაციური ანალიზი	2	ზეპირი პრეზენტაცია, წერილი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება
	კითხვა	6	
ნევროლოგიური დაავადებების კლინიკური სიმპტომების ცოდნა, მათი პირველადი მოვლა, სამომავლო პროგნოზისათვის მათი მნიშვნელობის გაცნობიერება. ცერებრალური შემუშავება და მისი მოვლა. ინსულტი.	ლექცია: ნევროლოგიური ინტენსიური მოვლა	2	ზეპირი პრეზენტაცია, წერილი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება
	ლექცია: ნევროლოგიური პაციენტების მოვლა	2	
	სემინარი მცირე ჯგუფში, დემონსტრაცია და სიტუაციური ანალიზი	2	<i>შეუძლია პაციენტის ნევროლოგიური ფუნქციების შეფასება და სპეციფიკური მდგომარეობის შესაბამისი მოვლა</i>
	კითხვა	4	შეუძლია გადაუდებელი დახმარების ინიცირება
სეფსისი სინდრომი და მულტიორგანული დარღვევები. პათოლოგიური პროცესებისა და კლინიკური სიმპტომების ცოდნა.	ლექცია: სეფსისისა და MOF კლინიკა, დამწვრობა და მრავლობითი ტრავმა	5	ზეპირი პრეზენტაცია, წერილი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება
	ლექცია: ზემოთ ნახსენები პაციენტების მოვლა	5	<i>შეუძლია აღნიშნული პრობლემების</i>

დამწვრობა, მრავლობითი ტრავმა, როგორც სეფსისისა და MOF ხშირი მიზეზი.	სემინარი მცირე ჯგუფში, დემონსტრაცია და სიტუაციური ანალიზი	3	<i>მქონე პაციენტის მოთხოვნილებების შესაბამისი მოვლის სქემის შემუშავება, განხორციელება და შეფასება</i>
აღნიშნული პაციენტების მოვლის სპეციფიკის ცოდნა.	კითხვა	7	
მსგავსებებისა და განსხვავებების ცოდნა და გაცნობიერება.			
ჰემოსტაზის დარღვევები. კლინიკური და საექთნო ასპექტები. სპეციალური ჰემატოლოგიური ლაბორატორიული ტესტები.	ლექცია: ჰემოსტაზის დაავადებების მქონე პაციენტების მოვლა	3	ზეპირი პრეზენტაცია, წერიტი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება <i>შეუძლია ჰემოსტატიკური დარღვევების ნიშნების ამოცნობა</i>
	სემინარი მცირე ჯგუფში, დემონსტრაცია და სიტუაციური ანალიზი	3	
	კითხვა	3	
მწვავე აბდომინალური დარღვევები, რომლებიც IC საჭიროებენ. სპეციალური ასპექტები	ლექცია: მწვავე აბდომინალური დარღვევების მქონე პაციენტების მოვლა	2	ზეპირი პრეზენტაცია, წერიტი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება <i>სეუძლია პაციენტის აბდომინალური პრობლემების შეფასება</i>
	სემინარი მცირე ჯგუფში, დემონსტრაცია და სიტუაციური ანალიზი	2	
	კითხვა	4	
მოწამლული პაციენტები. ტოქსიკოლოგია. ტოქსიკური პაციენტების IC ალგორითმი და მოვლის პრობლემები	ლექცია: ტოქსიკოზის პაციენტების ინტენსიური მოვლა	2	ზეპირი პრეზენტაცია, წერიტი ტესტი, ექთნის ანგარიში (ესე), პაციენტის დემონსტრირება <i>შეუძლია ტოქსიკური პაციენტებისათვის სპეციალური პროცედურების შემუშავება</i>
	სემინარი მცირე ჯგუფში, დემონსტრაცია და სიტუაციური ანალიზი	2	
	კითხვა	2	
		180 <i>კლინიკური პრაქტიკის გარეშე</i>	100%: 50% ზეპირი პრეზენტაცია, 25% ტესტი, 25% ესე



მოდულის დაგეგმვის ფორმა (უნდა შეივსოს მასწავლებლის მიერ)

საგანმანათლებლო პროგრამა: ფიზიკა

მოდულის/კურსის დასახელება: კვანტუმის ფიზიკა

კურსის ტიპი/სამიზნე ჯგუფი: ბაკალავრი ფიზიკოსები (შესაძლოა ინჟინრები)

მოდულის/კურსის დონე (მაგალითად, BA, MA, PhD): შესავალი (ბაკალავრიატის III კურსი)

წინაპირობები: კლასიკური მექანიკა, ელექტრომაგნეტიზმი

ECTS-ის კრედიტების რაოდენობა: 8 (დატვირთვა 204 საათი; 1 კრედიტი = 25.5 საათი)

განსავითარებელი კომპეტენციები:

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი;
2. მოდელირება (დარგობრივი კომპეტენცია, იხ. საპილოტე პროექტის I ფაზის საბოლოო ანგარიში გვ. 294-297);
3. პრობლემის გადაჭრა (დარგობრივი კომპეტენცია, იგივე წყარო);
4. თეორიული გაცნობიერება (დარგობრივი კომპეტენცია, იგივე წყარო);
5. ფიზიკის კულტურა (დარგობრივი კომპეტენცია, იგივე წყარო);
6. შრედინგერის ტოლობების ამოხსნის უნარი;
7. იმპულსის/კინეტიკური მომენტის კომპოზიცია;
8. ოპერატორების ფორმალიზმის გამოყენება;
9. კვანტუმის მექანიკის პოსტულატების ცოდნა.

სწავლის შედეგები	საგანმანათლებლო საქმიანობა	სტუდენტის სავარაუდო სამუშაო დრო საათებში	შეფასება
შრედინგერის ტოლობა	ლექციები, პრობლემის გადაჭრა (ინტეგრირებული თანამიმდევრობა, 18ლ + 14 პგ = 32 სთ)	32	წერიტი გამოცდა
	დამოუკიდებელი მუშაობის დრო	დაახლოებით 65	
ოპერატორების ფორმალიზმი	ლექციები, პრობლემის გადაჭრა (ინტეგრირებული თანამიმდევრობა, 8ლ + 5 პგ = 13 სთ)	13	ზეპირი გამოცდა
	დამოუკიდებელი მუშაობის დრო	დაახლოებით 30	
იმპულსის/კინეტიკური მომენტი	ლექციები, პრობლემის გადაჭრა (ინტეგრირებული თანამიმდევრობა, 7ლ + 7 პგ = 14სთ)	14	წერიტი გამოცდა
	დამოუკიდებელი მუშაობის დრო	დაახლოებით 25	
კვანტუმის მექანიკის პოსტულატები	ლექციები (საფუძვლების სინთეზი, კეისებისა და პარადოქსების დისკუსია, 5 ლ = 5 სთ)	5	ზეპირი გამოცდა
	დამოუკიდებელი მუშაობის დრო	დაახლოებით 20	

სტუდენტის სრული სასწავლო დატვირთვა არის (38 + 26) საკონტაქტო საათი + (65 + 30 + 25 + 20) დამოუკიდებელი მუშაობა = 204 საათი

ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი მუშაობის დრო განსხვავებულია და დამოკიდებულია კურსის ფარგლებში საგანმანათლებლო აქტივობაზე; შეფარდება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს შორის მერყეობს 2 საათიდან (იმპულსის/კინეტიკური მომენტი) 4 საათამდე (პოსტულატები).

3.4. სწავლების, სწავლისა და შეფასებისადმი მიდგომა კომპეტენციებზე დაფუძნებულ აკადემიურ პროგრამებში

0. წინასწარი ინფორმაცია

თუნიგის პროექტის მეორე ფაზის ფარგლებში დარგობრივ სფეროებზე მომუშავე ჯგუფებში მიმდინარეობდა მსჯელობა სწავლების, სწავლისა და შეფასების საუკეთესო გამოცდილებაზე, კერძოდ, როგორ შეიძლება სწავლის, სწავლებისა და შეფასების უკეთ ორგანიზება, რათა სტუდენტებს გაუადვილდეს სწავლის დასახული შედეგების მიღწევა. ბიგსი (2002) აღწერს ამას, როგორც დაგეგმილი სწავლის შედეგების კონტექსტში სწავლების, სწავლისა და შეფასების “ერთ ხაზზე განლაგებას/ერთ ჯგუფში მოქცევას”. დარგობრივ ჯგუფებში განიხილეს სხვადასხვა მიდგომა, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სფეროში და მოემსახუროს დარგობრივი სფეროს პანევროპულ სტრუქტურირებას, სადაც მოხდება არსებული გამოცდილების გაზიარება და ახალი მიდგომების შემუშავება.

1. შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია დებატები ტრადიციული აკადემიური და პროფესიული განათლების ღირსებებისა და მოთხოვნების შესახებ. დებატები უმთავრესად უნივერსიტეტებში მიმდინარეობდა, კერძოდ კი, “ცოდნის საზოგადოების” ახალ კონტექსტში. ბევრი პროფესიისათვის, რომელიც ადრე საუნივერსიტეტო განათლების გარეშე ხორციელდებოდა, ახლა ამის საჭიროება დადგა. ამის ერთ-ერთი შედეგია ზოგ ქვეყანაში უნივერსიტეტების მიერ მეტი პროფესიული კურსის შეთავაზება, და ბინარული სისტემის ქვეყნებში საუნივერსიტეტო კურსების გამოყენებითი ასპექტების აქცენტირება. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში აკადემიურ პერსონალს მოუწია საგანმანათლებლო განზომილებებისა და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ამ პროცესის თანამდევი სირთულეების გადალახვა.

ცალკე წამოიჭრა პიროვნების უფლებებისადმი ახალი მიდგომის საკითხი ნაწილობრივ გამომდინარე ადამიანის უფლებების ევროკავშირის სამართლიდან, ინფორმაციის თავისუფლებიდან, მონაცემთა დაცვიდან. ღიაობის ახალ კონტექსტში სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ შემოთავაზებებსა და საკუთარ უფლებებს. სტუდენტთა გაზრდილმა თვითშეგნებამ თან მოიტანა იმის აღქმაც, რომ უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის ქონა არ ნიშნავს ავტომატურად დასაქმებას – ყოველ შემთხვევაში მთელი ცხოვრების განმავლობაში – სწრაფად ცვალებად ევროპაში. ზოგ ქვეყანაში დამსაქმებლებმა დაიწყეს უნივერსიტეტებისადმი გაზრდილი

მოთხოვნების წაყენება და უკეთ აღწერა იმისა, თუ რას ელოდნენ სტუდენტებისაგან სწავლის დასრულებისას.

ამ ცვლილებებზე ერთ-ერთი პასუხი იყო საუნივერსიტეტო განათლებასა და ძირითად ტრანსფერულ უნარებს შორის ტრანსპარენტულობის გაზრდა. ექსპლიციტური რეაქცია იყო “სწავლის შედეგებზე” დაყრდნობილი მიდგომის ანუ კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება უნივერსიტეტებში. ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიდგომა, რომელიც ამ ტენდენციებს ასახავს: ერთის მიხედვით უმაღლესი განათლება საჯარო “სიკეთეა”, მაშინ როდესაც მეორეს მიხედვით მეტი აქცენტი უმაღლესი განათლების პროფესიონალიზაციაზე კეთდება. წინააღმდეგობა ამ ორ მიდგომას შორის (საჯარო სიკეთე და პროფესიულობა) აღინიშნება არა მარტო ევროპაში, არამედ შეერთებულ შტატებშიც. ერთ-ერთი უპირველესი განმანათლებელი აშშ-ში მსჯელობს, რომ “სწავლის შედეგების არსებობა, რომელიც განათლების რეფორმის ბაზრის მიდგომას ასახავს, ამართლებს იმ აზრს, რომ განათლება “პირადი სიკეთეა” და ასუსტებს აზრს, რომ საჯარო განათლება საჯარო სიკეთეა დემოკრატიულ საზოგადოებაში”. (Cochran-Smith, 2001, გვ.50). თუნიგის პროექტი არ ეძებს ამ დებატებზე პასუხს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი მოვალეობაა ამ საკითხის აღნიშვნა.

ევროპაში საუნივერსიტეტო განათლების ცვლილებების ვრცელი და კომპლექსური ისტორიის აღწერა, კერძოდ, იმ საკითხებისა, რამაც კურიკულუმის ცვლილებები გამოიწვია, ასევე არ არის ჩვენი ამოცანა.

ევროპას სჭირდება კულტურულად და ინტელექტუალურად მომზადებული ხალხი, რომელიც მის აწმყოსა და მომავალს შეესაბამება. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი სრულყოფილი და აზრიანი ცხოვრება, როგორც კერძო, ისე კოლექტიურ დონეზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს საკვანძო როლი აქვთ შესაბამისი სტრატეგიული მიდგომების განვითარებაში. მათი პასუხისმგებლობაა სტუდენტების მომზადება მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების პერსპექტივით, პროდუქტიული კარიერისა და მოქალაქეობისათვის. უნივერსიტეტებმა და სხვა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მეტად უნდა გააცნობიერონ მათი მიზნები და ცოდნის შექმნისა და გადაცემის საკითხში საკუთარი ლიდერობა, ასევე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე მათი გავლენა. უნივერსიტეტები სულ უფრო ხშირად და რეგულარულად მართავენ კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან. განათლება საზოგადოების პროგრესის საწინდარია, მაგრამ იმავდროულად ის უნდა პასუხობდეს საზოგადოების ინტერესებს, და ამზადებდეს სამომავლო საგანმანათლებლო პროგრამების ადეკვატურ სტრატეგიებს.

თუნიგის პროექტის მიდგომა, განავითაროს კურიკულუმები და უზრუნველყოს მათი ხარისხი, დიზაინისა და იმპლემენტაციის სტადიაზე ორივე ასპექტს მოიცავს. თუნიგის პირველ ფაზაში აქცენტი გაკეთდა პროცესში მონაწილე “აქტორებთან” და “დაინტერესებულ მხარეებთან” კონსულტაციაზე, აკადემიური და პროფესიული პროფილების განსაზღვრასა და მათ გადატანაზე სწავლის შედეგების ფორმატში.

თუნიზის პროექტმა ზოგადი კომპეტენციები ანუ ტრანსფერული უნარები განსაზღვრა და შედეგ აღწერა დარგობრივი კომპეტენციები ცონდის, უნარებისა და გაცნობიერების მხრივ ცხრა დარგობრივი სფეროსათვის. თუნიზი II-ის ფარგლებში შემდეგი ნაბიჯები იქნა გადადგმული: როგორ უნდა მოხდეს კომპეტენციების იმპლემენტაცია, რომლებიც საზოგადოების სოციალურ განვითარებას ასახავს, სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონტექსტში.

2. თუნიზის მიდგომა

თუნიზის პროექტის ფარგლებში გადაწყდა ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებსა და დარგობრივ კომპეტენციებს შორის განსხვავების განსაზღვრა, თუმცა მიღებულია, რომ საუნივერსიტეტო პროგრამების ძირითადი შედეგი სწორედ დარგობრივი კომპეტენციები უნდა იყოს. თუნიზის პირველმა ფაზამ უჩვენა, რომ დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი თანხმდება ზოგადი კომპეტენციების თაობაზე იმ ჩამონათვალიდან, რაც კითხვარით იყო შეთავაზებული, თუმცა გამოკითხულთა სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებული პრიორიტეტები ჰქონდა.

ზოგადი კომპეტენციების მნიშვნელობა კარგად არის გაცნობიერებული, მაგრამ ამ საკითხის მხოლოდ ცოდნა და გაცნობიერება საკმარისი არ არის. ჭეშმარიტად მნიშვნელოვანია კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის იმპლემენტაცია სწავლისა და სწავლების პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლისა და სწავლების რომელი შესაბამისი და ადეკვატური ფორმატი უზრუნველყოფს ამ კომპეტენციების მიღწევას ცოდნის, უნარებისა და გაცნობიერების ფორმით, და როგორ უნდა შეფასდეს ეს კომპეტენციები.

3. დეფინიციები

თუნიზის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ის, რომ სწავლის, სწავლებისა და შეფასების საკითხებს ევროპის ყველა ქვეყანაში და ყველა ინსტიტუტში საკუთარი მიდგომა ახასიათებს, რომელიც ნაციონალურ და რეგიონულ კულტურას ასახავს. ყველგან არსებობს ოფიციალური თუ დაუწერელი წესები სტუდენტების განათლების შესახებ. სხვადასხვა ნაციონალურ სისტემაში თუ უნივერსიტეტში არსებული მიდგომების შედარებითი შესწავლის შედეგად ცხადი გახდა, რომ თითოეულს შემუშავებული აქვს ტექნიკისა და სასწავლო გარემოს გარკვეული და კარგად დასაბუთებული მოდელი, რომელიც ურთიერთგაგებას საჭიროებს. ხშირად ერთი და იმავე ტერმინით სწავლების სხვადასხვა მეთოდი აღინიშნება (მაგალითად, სემინარი, ლექცია და ა.შ.), ან სხვადასხვა სახელით ერთი და იგივე აქტივობა აღიწერება. თუნიზის პროექტს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნია დეფინიციების მკაფიო და გასაგები

მოხმარების საკითხზე შეთანხმების მიღწევა. ტერმინების ლექსიკონი და ყველა ევროპულ ენაზე მათი თარგმანი 2005 წლის ბოლოს თუნიზის ვებგვერდზე განთავსდება.

უნივერსიტეტები სწავლების მრავალ ტექნიკას იყენებენ. სწავლების მეთოდების შერჩევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია განათლების ფორმაზე (დასწრებული სწავლება, დისტანციური სწავლება და ა.შ.). კონსულტაციების შედეგად შედგა შემდეგი ჩამონათვალი (რომელიც ცხადია სრულყოფილი არ არის):

- სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში);
- კონსულტაცია (ტუტორიალი);
- კვლევითი სემინარი;
- სავარჯიშოების (პრაქტიკული) კურსი;
- კლასში მიმდინარე პრაქტიკული მეცადინეობა (ვორკშოპი);
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სხდომები;
- ლაბორატორიული მეცადინეობა;
- სადემონსტრაციო კლასები;
- პრაქტიკა (ინტერნშიპი);
- სამუშაო პრაქტიკა;
- დისტანციური სწავლება, რომელიც შეიძლება სახელმძღვანელობის ან მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე მიმდინარეობდეს.

ასეთი ჩამონათვალი მხოლოდ ინდიკაციური ხასიათისაა და სინამდვილეში სწავლების კატეგორიების სიას წარმოადგენს, მაშინ, როდესაც მათი გამოყენების ხარისხი და ხასიათი იცვლება არა მარტო სხვადასხვა მასწავლებლის, არამედ დღის განმავლობაში ერთი მასწავლებლის პირობებშიც, რაც დამოკიდებულია სწავლების აქცენტებსა და სასურველ სწავლის შედეგებზე. თავად ლექცია შეიძლება ფორმატისა და ფუნქციის მიხედვით სრულიად განსხვავებული იყოს. უკიდურეს შემთხვევაში ის შეიძლება ლექტორის მიერ მასალის წაკითხვით შემოიფარგლოს, როდესაც სტუდენტები ცდილობენ ჩაიწერონ ინფორმაცია (ლექციის წაკითხვის ე.წ. “დახრილი თავების” მიდგომა – ასე ეწოდება, რადგანაც როგორც მასწავლებელი, ისევე სტუდენტები თავდახრილი წერენ და კითხულობენ სალექციო მასალას). მეორე უკიდურესობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც სტუდენტებმა წინასწარ უნდა წაიკითხონ უნივერსიტეტის შიდა ქსელით (ინტრანეტით) მოწოდებული მასალა და მიიღონ მონაწილეობა პრეზენტაციაში, რომელიც როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტების მიერ მოყვანილი მაგალითებით მდიდრდება. ლექციის დანიშნულება და ფუნქცია შეიძლება ასევე განსხვავებული იყოს. ლექცია, რომელიც ახალ საკითხს გაცნობთ, გთავაზობთ მიმოხილვას ისე, რომ სტუდენტმა სწრაფად გაიგოს და გააცნობიეროს ამ საკითხის საკვანძო ასპექტები, მათი განვითარების სირთულეები და მიმდინარე პრობლემატიკა. მაგრამ ყველა ლექცია არ გულისხმობს ზოგადი საკითხების

გაცნობას: შესაძლოა, მაგალითად, ლექციის გამოყენება ზოგიერთი საკვანძო რთული კონცეფციის დეტალების ასახსნელად, რაც სტუდენტთა მცირე ჯგუფების ჩართვას გულისხმობს. იგივეა მართებული სწავლების ყველა სხვა ტექნიკისათვის. სწავლების ტექნიკის დასახელება ყოველთვის ზუსტად არ ასახავს, რას აკეთებს მასწავლებელი.

სწავლების ტექნიკაში უკეთ გარკვევის ერთ-ერთი საშუალება იმის გაგებაა, თუ რა სასწავლო ტექნიკების გამოყენება მოეთხოვებათ სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში. ისევე როგორც სწავლების შემთხვევაში, ერთი სახელით აღნიშნული სწავლის ტექნიკაც შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. ლექციებზე დასწრების (მონაწილეობის) და სახელმძღვანელობისა და სამეცნიერო პიუბლიკაციების კითხვის გარდა, ქვემოთ მოყვანილი (ცხადია არასრული) ჩამონათვალი შეგვიქმნის წარმოდგენას, თუ რამდენად მდიდარია სწავლისა და სწავლების შესაძლებლობები.

- რელევანტური მასალი მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- მიმდინარე საჭიროებისათვის ყველაზე უფრო რელევანტური წასაკითხი მასალის შეჯამება;
- პრობლემების განსაზღვრა და ასევე მათი გადაჭრა;
- მზარდი სირთულის, თუნდაც მცირე მოცულობის კვლევის წარმოება;
- ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება;
- პროფესიული უნარების პრაქტიკა/გავარჯიშება (მაგალითად, საექთნო საქმეში, მედიცინაში, პედაგოგიკაში);
- კვლევა და სტატიების, ანგარიშების, დისერტაციების წერა მზარდი სირთულით (მასალის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად);
- სხვა სტუდენტებთან ერთად მუშაობა პრობლემის გადაჭრისა და ამის შესახებ ანგარიშის შექმნის მიზნით;
- ზეპირი პრეზენტაციების მომზადება და ჩატარება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად;
- სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება;
- შეხვედრებში (ან სემინარებში) მონაწილეობა და მათი გაძლოლა;
- ჯგუფის გაძლოლა ან მისი ეფექტური წევრობა;
- მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით სხვებთან მონაცემების შესახებ კომუნიკაცია;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება.

სწავლის საფეხურის დასრულებისათვის აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება შეფასების ფორმებს. შეფასება არ არის მხოლოდ სწავლებისა და სწავლის პერიოდის ლოგიკური ბოლო ეტაპი, არამედ ფართო გაგებით ამ პროცესების ცენტრალური ელემენტი, და პირდაპირ უკავშირდება სწავლის

შედეგებს. იყო დრო, როდესაც ბევრ ქვეყანაში ზეპირი გამოცდა შეფასების ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ფორმას წარმოადგენდა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ეს წერითი თხზულება/ესე იყო. დღესაც ზოგ ქვეყანაში ესე კვლავინდებურად შეფასების ტიპური ფორმაა. თავისთავად ესე გამოყენება ცუდი არაა, თუ ის ადეკვატურია სწავლების მოცმული პროგრამისათვის და სწავლის შედეგებისათვის. გარდა ამისა, ლექტორს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეს ყველა ესე წაკითხვისა და შეფასებისათვის და სტუდენტებისათვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებისათვის. მიუხედავად ამისა, ვრცელი წერითი ნაშრომი მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია, რომელსაც ლექტორი იყენებს იმისათვის, რომ შეაფასოს სტუდენტის მიერ წარმოებული კვლევა და შესაბამის ჟანრში სტატიის წერის უნარი.

თუნიგის პროექტში აღწერილი პროგრამების უმეტესობა იყენებს შეფასების ფორმების ფართო სპექტრს პროგრამის სხვადასხვა მომენტში. საკურსო ნაშრომის შეფასება (ნიშნით ან მის გარეშე), აფასებს სტუდენტის წარმატებას პროგრამის დასრულებისას. შეიძლება შეფასება ქვემოთ ჩამოთვლილ ფორმებს მოიცავდეს, მაგრამ ეს ისევე არასრული ჩამონათვალია.

- ტესტი (ცონდის ან უნარის შესაფასებლად);
- ზეპირი პრეზენტაცია;
- ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში;
- ტექსტის/მონაცემების ანალიზი;
- სამუშაო პრაქტიკის, ლაბორატორიული მუშაობის დროს დაკვირვება;
- სამუშაო პრაქტიკის ანგარიში ან დღიური;
- პროფესიული პორტფოლიო;
- საველე სამუშაოს ანგარიშები;
- წერილობითი ესე ან ანგარიში, მაგალითად, რელევანტური ლიტერატურის წერილობითი მიმოხილვა, განსხვავებული კვლევითი სტატიის კრიტიკა.

შეფასების ყველა ამ მეთოდისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტს მიეწოდოს ინფორმაცია შეფასების შესახებ. შეფასებას ეწოდება მაფორმირებელი (formative), რადგანაც სტუდენტი სწავლობს სამუშაოს შესრულების პარალელურად ლექტორის კომენტარებიდან, რამდენად კარგად შეასრულა მან ეს სამუშაო და როგორ უნდა გამოასწოროს შეცდომები. გავრცელებული მეთოდია სტუდენტებს თავიდანვე მიეცეს წარმატების კრიტერიუმები – სპეციფიკაცია, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს დავალების წარმატებული შესრულებისათვის.

ცხადია, ყველა პროგრამისათვის საჭიროა შემაჯამებელი შეფასება. ხანდახან საკურსო ნაშრომს, როგორც მაფორმირებელი, ასევე შემაჯამებელი ფუნქცია აქვს. შემაჯამებელი შეფასებისას სტუდენტისათვის მიცემული

ნიშანი წარმოადგენს მაფორმირებელ ელემენტს და მოიცავს ლექტორის – და ხშირად კოლეგების – მხრიდან დეტალურ ინფორმაციას.

ტრადიციულად და კვლავინდებურად სხვადასხვა მიზეზის გამო, არსებობს შეფასების ზოგი ფორმა, რომელიც არ არის შემაჯამებელი: ფასდება სტუდენტის წარმატება სწავლის ბოლოს, ის იღებს ნიშანს (რომელსაც თავისთავად ინფორმაციული დატვირთვა აქვს), მაგრამ არ იღებს ინფორმაციას საკუთარი მიღწევების შესახებ. თუ ამ ტიპის შეფასებას თან განხილვა ან კონსულტაცია სდევს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ შეფასებას მაფორმირებელი ფუნქცია აქვს.

გამოცდის ზოგი ფორმა მხოლოდ შემაჯამებელი დატვირთვისაა და შეიძლება იყოს როგორც წერიტი, ასევე ზეპირი. წერიტი გამოცდები უფრო სანდოა და უსაფრთხო; შესაძლოა ერთდროულად სტუდენტთა დიდი რაოდენობის გამოცდა, მაშინ როდესაც ზეპირი გამოცდა საშუალებას გვაძლევს გამოვცადოთ სტუდენტი ისე, რის საშუალებასაც წერიტი გამოცდა არ იძლეოდა.

წერიტი გამოცდა სხვადასხვა ფორმის შეიძლება იყოს, მათ შორის:

- ესე;
- მრავლობით კითხვებზე პასუხი;
- პრობლემის გადაჭრა (მაგალითად, მათემატიკა, ფიზიკა, ლინგვისტიკა);
- სიტუაციური/ტექსტის/მონაცემების ანალიზი;
- ლიტერატურის მიმოხილვა.

ზეპირი გამოცდა ასევე სხვადასხვა ფორმისაა და შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს.

- ზეპირი გამოკითხვა ერთი ან რამდენიმე ლექტორის მიერ;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება.

ცხადია, შეფასების ყველა ფორმას დიაგნოსტიკური დანიშნულება აქვს როგორც ლექტორისათვის, ასევე სტუდენტისათვის. იმის გააზრება, თუ რა არ იქნა მიღწეული/ნასწავლი, რა იქნა მიღწეული მცირე დანახარჯებით, რა იყო ბრწყინვალედ გაკეთებული და ა.შ.. როგორც სტუდენტმა, ასევე მასწავლებელმა იცის, სადაა მეტი სამუშაოს საჭიროება.

აქამდე არ გვიხსენებია დისერტაცია ან თეზისი. ეს კომპლექსური შეფასების მაგალითებია, და ევროპაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დარგში და სირთულის შესაბამისად სწავლის სხვადასხვა საფეხურზე. თეზისი არის პროგრამის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის შემაჯამებელი შეფასება, რომელიც გულისხმობს კომპეტენციების ფართო სპექტრის დემონსტრირებას. თეზისს მაფორმირებელი ფუნქცია კარგად აქვს გამოხატული და როგორც წესი, მზადდება ლექტორის ზედამხედველობით, რომელიც სტუდენტს სამუშაოს სხვადასხვა ეტაპზე დეტალურ ინფორმაციას აწვდის. შემაჯამებელი გამოცდა შეიძლება იყოს წერიტი ან

ზეპირი. დოქტორანტურის დონეზე თეზისის საბოლოო გამოცდა ყოველთვის ზეპირი ფორმით მიმდინარეობს – დისერტაციის დაცვა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ეს ფორმატიც შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ქვედა ორ საფეხურზე პროექტებისა და დისერტაციების შეფასება მხოლოდ სტუდენტის მიერ შესრულებულ წერით ნამუშევარს ეყრდნობა.

ბევრ ინსტიტუტში შემუშავდა ინსტრუქციები და მოთხოვნები სხვადასხვა საფეხურზე სტუდენტთა ცოდნის შეფასებისათვის, ისევე როგორც საბოლოო თეზისის მომზადებისათვის. კერძოდ, ნორმად იქცა შეფასების უნივერსალური კრიტერიუმების გამოქვეყნება. თუნინგის პროექტის ბევრი წევრი გვაცნობდა, რომ მათ დეპარტამენტებზე შემუშავებული იყო სამართლიანი შეფასების პროცედურები. ევროპის ინსტრუქცია²⁰ ამჟამად მომზადების ეტაპზეა, სადაც, მაგალითად, აღნიშნულია, რომ

“სტუდენტის შეფასების პროცედურები უნდა:

- შეიქმნას სწავლის სასურველი შედეგებისა და პროგრამის სხვა ამოცანების მიღწევის ხარისხის გაზომვისათვის;
- შეესაბამებოდეს საკუთარ დანიშნულებას, იქნება ეს დიაგნოსტიკა, ფორმირება თუ შეჯამება;
- ჰქონდეს ნიშნის დაწერის მკაფიო კრიტერიუმები;
- უნდა წარმოებდეს იმ ადამიანების მიერ, ვისაც ესმის შეფასების არსი, ვინც იცის სასურველი კვალიფიკაციისათვის სტუდენტებისათვის საჭირო ცოდნა და უნარები;
- სადაც შესაძლებელია, არ ეყრდნობოდეს ერთი გამომცდელის აზრს.”

და ბოლოს, როდესაც განვიხილავთ სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში შეფასების საკითხს, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა უნდა იქნეს გათვალისწინებული შეფასებისას. მაგალითად, ზოგი სისტემა მეტად აფასებს მძიმე მუშაობას, სხვებისათვის მნიშვნელოვანია მიღწევები, კიდევ სხვაგან – მაღალი პოტენციალი. ეს საბაზისო ღირებულებები შესაძლოა დავივიწყოთ შეფასების სისტემების მკაცრი განსაზღვრისას, მაგრამ “მობილური ევროპაში” ეს უნდა გავითვალისწინოთ.

4. თუნინგ 2-ის კონსულტაცია

სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების მიმოხილვისათვის თუნინგ II პროექტის ფარგლებში ორგანიზებული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ვრცელი კონსულტაციები. პროექტის ყველა მონაწილეს ეთხოვა დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესახებ საკუთარი აზრი გამოეთქვა და შემოეთავაზებინა იდეები ამ კომპეტენციების

²⁰ Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area §1.3.
www.bologna-bergen2005.no/Docs/00-Main_doc/050221-ENQA_report.pdf

განვითარებისათვის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ტექნიკის კონტექსტში. მონაწილეებს უნდა ეპასუხათ ხუთ შეკითხვაზე:

1. რას ნიშნავს ეს კომპეტენცია თქვენი სტუდენტებისათვის?
2. როგორ ეხმარებით სტუდენტებს სწავლების თქვენი მეთოდების გამოყენებით ამ კომპეტენციების მიღწევაში?
3. სწავლის რა ფორმებს იყენებენ თქვენი სტუდენტები ამ კომპეტენციების მიღწევისათვის?
4. როგორ აფასებთ, მიაღწიეს თუ არა, და რამდენად სტუდენტებმა დასახულ კომპეტენციებს?
5. როგორ იგებენ თქვენი სტუდენტები, მიაღწიეს თუ არა მათ დასახულ კომპეტენციებს?

თუნიგის პროექტის წევრები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებდნენ სანდო პასუხების ჩამოყალიბებისათვის, მათ შორის საკუთარ უნივერსიტეტებში კოლეგებთან საუბარს. ბევრ დარგობრივ ჯგუფში შესაძლო სტრატეგიები იდებზე ან რეალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა. ზოგი არსებულ პრაქტიკას აღწერდა, მაშინ როდესაც სხვები აღწერდნენ, როგორ შეიძლება არსებული კარგი გამოცდილების შესაბამისობა და გამოყენება კომპეტენციების ახალი კონცეფციის კონტექსტში, და ამგვარად გვთავაზობდნენ უფრო მეტად სამომავლო შესაძლებლობებს, ვიდრე არსებულ რეალობას.

ევროპაში არსებობს სწავლების და შესაბამისად ზოგადი კომპეტენციების განვითარების ორი ძირითადი გზა. პირველი არის აკადემიური პროგრამის ფარგლებში ცალკეული კურსების/მოდულების შეთავაზება, რომელთა ფარგლებშიც ზოგადი კომპეტენციების გამომუშავება ხდება. მაგალითად, აკადემიური წერს და ICT კურსები. მეორე მიდგომის მიხედვით ზოგადი კომპეტენციები ინტეგრირებულია დარგობრივ საგნებსა და მოდულებში.

კონსულტაციების შედეგად ნათელი გახდა, რომ აბსოლუტურად შესაძლებელი ზოგადი კომპეტენციების სწავლება დარგობრივი საგნების ფარგლებში, თუ პედაგოგს გაცნობიერებული აქვს ამის საჭიროება და სწავლების ისეთ სტრატეგიას იყენებს, რომელიც ზოგად კომპეტენციებს ითვალისწინებს. ძოგადად, რადგანაც სწავლის, სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა ფორმა სხვადასხვა ზოგადი კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს, თუნიგის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ სხვადასხვა მეთოდის კომბინაციის გამოყენების აუცილებლობას.

5. კონსულტაციის პროცესი ზოგად კომპეტენციებზე

თუნიგის პროექტის ფარგლებში სხვადასხვა დარგობრივი ჯგუფის მიერ მომზადებული მასალის საფუძველზე გთავაზობთ ზოგადი კომპეტენციების მიმოხილვას, კერძოდ მათი სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ ხდება ამ

ახალი მიდგომების აღქმა სტუდენტების მიერ (ან რამდენად მნიშვნელოვანია ეს სტუდენტებისათვის) და იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში და უნივერსიტეტებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გავრცელება, ფართო საზოგადოების დაინტერესება და კომპეტენციებზე დაფუძნებული ახალი კურიკულუმის შექმნის წახალისება.

საინტერესოა დაკვირვება, თუ რამდენად განსხვავებულად ხდება სხვადასხვა ზოგადი კომპეტენციის გაგება და გაცნობიერება სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფში. ხანდახან მნიშვნელოვანი განსხვავებები გვხვდება სხვადასხვა ეროვნული ტრადიციის კონტექსტში ერთი და იმავე დარგობრივი ჯგუფის ფარგლებში. როგორც არ უნდა იყოს, უფრო ხშირია განსხვავება სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფს შორის.

შეგროვილი პასუხების ანლიზი გვიჩვენებს, რომ ზოგადი კომპეტენციები ყოველთვის დარგობრივი სფეროს ფარგლებში განიხილება. მაშინაც კი, როდესაც კურსდამთავრებულები არ მუშაობენ იმ დარგობრივ სფეროში, რომელშიც აკადემიური ხარისხი მიიღეს, მათ მიერ ზოგადი კომპეტენციების აღქმა მაინც ძლიერ არის დაკავშირებული დარგობრივ სპეციფიკასთან.

ამ დაკვირვების პირველი შედეგია, რომ პრაქტიკაში შეუძლებელია ზოგადი კომპეტენციების მკაფიოდ განცალკევება დარგობრივი კომპეტენციებისაგან. უფრო ხშირად ისინი განიხილება, როგორც დარგობრივი სპეციფიკური კომპეტენციების გარკვეული ვარიაცია. დამატებითი შედეგია, რომ ყოველი ზოგადი კომპეტენციისათვის უნდა განისაზღვროს დისციპლინის ფარგლებში მისი პრიორიტეტულობა და გაცნობიერდეს სხვადასხვა დისციპლინას შორის არსებული განსხვავება.

კონსულტაციის დროს აქცენტი გაკეთდა ოცდაათ ზოგად კომპეტენციაზე, რომელიც თუნიზის პროექტის ფარგლებში განისაზღვრა. ამათგან რვა შეირჩა ამ ტექსტში უფრო დეტალური განხილვისათვის.

1. ანალიზისა და სინთეზის უნარი;
2. პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი;
3. დარგობრივი სფეროს საბაზისო ზოგადი ცოდნა;
4. ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის უნარი);
5. ინტერპერსონალური უნარები;
6. დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
7. ელემენტარული კომპიუტერული უნარები;
8. კვლევის უნარი.

ანალიზისა და სინთეზის უნარი

არ არსებობს ამ უნარის მკაფიო დეფინიცია, მაგრამ ცხადია, რომ დარგობრივი ჯგუფების (Subject Area Groups – SAG) მიერ ანალიზი და

სინთეზი ფართო მნიშვნელობით იქნა გაგებული. ბიზნესის ადმინისტრირებაზე მომუშავე ჯგუფმა ისეთი ელემენტებიც მოიხსენია, როგორც კვლევის საკითხისა თუ პრობლემის სწორი განსაზღვრა, რეკომენდაციების, როგორც ინდიკატორების აღწერისა და ფორმულირების უნარი. განათლების დარგობრივი ჯგუფი ითვალისწინებდა სტუდენტების რეფლექსიის უნარს, როგორც ანალიზისა და სინთეზის უნარის გამოხატულებას. მათემატიკოსებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტმა მისი ანალიტიკური კომპეტენცია უნდა გამოიყენოს პრობლემასთან კონფრონტაციის დროს და იმავდროულად უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება ეს მანამდე მისთვის ცნობილ პრობლემებს. თუ ეს ასეა, მათ “უნდა ნახონ, ხსნიან თუ არა ამ პრობლემას იგივე ჰიპოთეზა”, ისე რომ ადრე მიღწეული შედეგების გამოყენება აზრს იძენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა განსაზღვროს, წარსული გამოცდილებიდან რისი გამოყენება შეუძლია და მოცემული პრობლემის გადასაჭრელად ახალი მიდგომების შემუშავება დაიწყოს. ამ კონტექსტში სტუდენტი აფართოებს სინთეზის კომპეტენციას, რასაც შედეგად მკაფიო და სრულყოფილ ფორმაში მოახსენებს.

სხვა დარგობრივ ჯგუფებში ანალიზის განმარტებისას ყველა ზემოთ აღნიშნული ასპექტი იქნა გათვალისწინებული – ანუ ეს ზოგადი კომპეტენცია სტუდენტს აძლევს საშუალებას, გაიგოს და გააცნობიეროს, გაზომოს და შეაფასოს მოსაპოვებელი ინფორმაცია, რათა მისი ინტერპრეტაცია და მთავარი მომენტები განსაზღვროს. ეს უნარი ლოგიკურ აზროვნებას ითხოვს, რელევანტური დარგობრივი სფეროდან საკვანძო დაშვებების გამოყენებით და ამ სფეროს შემდგომ განვითარებასაც კვლევის მეშვეობით. არც ერთ ჯგუფში ამ უნარის გამომუშავება არ განიხილებოდა როგორც ცალკე საგნის ამოცანა, ანუ ეს ზოგადი კომპეტენცია ყველა დარგის განუყოფელი ნაწილია და მის ნებისმიერ საგანსა თუ მოდულში არის ჩართული. ამ მიდგომას ამყარებს სტუდენტების აღქმაც. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ისინი ამ კომპეტენციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგანაც ეს მათ თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირების საშუალებას აძლევს, ასწავლის მონაცემთა ლოგიკურ შეფასებას და ალტერნატიული გზების განსაზღვრის ინსტრუმენტების გამოყენებას. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ეს უნარი მათი მომავალი კარიერისათვის განმსაზღვრელია.

კომპეტენციის აღწერისათვის გამოყენებულ იქნა მრავალი სხვადასხვა გამოთქმა: ინტერპრეტაცია, მთავარი პუნქტების განსაზღვრა, გაგება, შეფასება, ინფორმაციასთან მუშაობა, გაცნობიერება, კრიტიკული შეფასება, თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება, კონტექსტში სწორი მოთავსება, ობიექტური განვითარება, კომბინირება, კვლევა, ფორმულირება, არა მხოლოდ რეპროდუცირება, გამოყენება, აღწერა, დასკვნის გაკეთება, ფიქრი, შედარება, სელექტირება, განსხვავება, კონტრასტი, დაყოფა, შეჯამება, არგუმენტირება, შეფარდება, განზოგადება, ლოგიკური აზროვნება, რაციონალური აზროვნება, დაფასება, გათვალისწინება, წინასწარ

განჭვრეტა, უზრუნველყოფა, პრობლემის გადაჭრა. დეფინიციების ეს ჩამონათვალი მნიშვნელოვანია, რადგანაც პირდაპირაა დაკავშირებული სწავლისა და სწავლების ფორმებთან, რომლის მეშვეობითაც სტუდენტმა ეს კომპეტენცია უნდა გამოიმუშავოს. აღსანიშნავია, რომ ეს კომპეტენცია პირდაპირ უკავშირდება პრობლემის გადაჭრის უნარს, სხვა ასევე მაღალი შეფასების მქონე ზოგად კომპეტენციას.

ანგარიშში აღწერილია, რომ ანალიზისა და სინთეზის უნარს სტუდენტები შემდეგი მეთოდით გამოიმუშავებენ:

- კონცეფციის იდეების ფორმულირება კითხვის, კვლევის, დისკუსიისა და ფიქრის შედეგად აკადემიური ან პროფესიული სამუშაოს ფარგლებში;
- ობიექტურად აღწერა, კატეგორიზაცია, კატეგორიების შეფარდება;
- დამოუკიდებელი ინტერპრეტაციების, შეფასებების და დისკუსიის უნარი, რომელიც დებატების ფარგლებში მუშავდება;
- საკუთარი და სხვების ნააზრევს კრიტიკული შეფასება;
- თანამედროვე კონცეფციებს შორის კავშირების მონახვა;
- ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი;
- რელევანტური თეორიების მისადაგება ამოსავალი მასალისათვის;
- არსებულ ცონდაში ახალი დასკვნების ინკორპორაცია;
- სპეციფიკური მოვლენების ან პრობლემების განხილვა ფართო კონტექსტში;
- დასტურისა და ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

იმის შეფასება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა დასახულ კომპეტენციებს, სხვადასხვა ფორმით შეიძლება მოხდეს. ზოგ დარგობრივ ჯგუფში შეფასების მეთოდების განხილვა ჯგუფურ შეხვედრებზე მიმდინარეობდა. შეფასება იმას ემყარება, თუ როგორ აანალიზებენ სტუდენტები ინფორმაციასა ან მასალას. განათლების ჯგუფში შეფასების სხვადასხვა ფორმა განისაზღვრა, როგორც დისკუსია, გამოკითხვა, დაკვირვება, პირადი თუ ჯგუფური ჩართულობის დასტური, ანგარიშების ზედამხედველობა, პრაქტიკაში აქტიური მონაწილეობა, ესეები, პროექტები, თეზისები.

სტუდენტებს შეუძლიათ “თვიშეფასების” მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ საკუთარ შეფასების პროცესში სემესტრის ბოლოს. დეტალური ინფორმაცია სტუდენტთა მოსწრების შესახებ ჯგუფური დისკუსიის შედეგად, ან წერილობითი ან პირდაპირი მეთოდით დგინდება.

დარგობრივ ჯგუფებში ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტმა თავად განსაზღვრეს ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ისინი ანალიზისა და სინთეზის უნარს ივითარებენ:

- აზრის დარწმუნებით გამოთქმის უნარი;
- კვლევის შედეგების შესაბამობა თეორიასა და/ან საკუთარ მონაცემებთან;

- ესეების უპრობლემო წერა და წაკითხული მასალის მიმოხილვა;
- პრეზენტაციების, ანგარიშებისა და ა.შ. კრიტიკული შეფასება;
- კრიტიკის მიღების უნარი.

პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი

რიგ შემთხვევებში ეს კომპეტენცია ზოგადი ფრაზებით აღიწერება, როგორცაა “კონკრეტული პრობლემების გადაჭრა საბაზისო კონცეფციებზე/ცნებებზე დაყრდნობით”. უფრო ხშირად კი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი განისაზღვრება, როგორც სპეციფიკური აკადემიური ამოცანების გადაჭრის უნარი – დარგობრივი სფეროს მიხედვით. პედაგოგთა განათლების საწყის ფაზაში მკაფიო აქცენტი კეთდება სამომავლო მასწავლებლის პროფესიაზე. მეორე საფეხურზე ეს კომპეტენცია ხშირად უფრო პროფესიული ტერმინოლოგიით აღიწერება, და უკავშირდება სამუშაო ადგილზე განსახორციელებლ ქმედებებს, როგორცაა ინფორმაციის მოგროვება სხვადასხვა წყაროდან, და/ან რთული საკითხის შესახებ ანგარიშის დაწერა.

სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მოწოდებული, დაეხმაროს სტუდენტს ამ კომპეტენციის განვითარებაში, ასახავს პრაქტიკისადმი სხვადასხვა მიდგომას. შესაბამისად, ინსტიტუციის შიგნით და გარეთ პრაქტიკის შესაძლებლობები სხვადასხვა დისციპლინაში განსხვავებულად აღიწერება, მაგალითად, როგორც სავარჯიშოები, ლაბორატორიული სამუშაო, სამრეწველო პრაქტიკა, ლექციები, სემინარები, საველე პრაქტიკა, სასწავლო ვიზიტები, ექსკურსიები, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკა. ზოგ დარგობრივ სფეროში ეს კომპეტენცია საუკეთესოდ გამომუშავდება პროექტისა თუ წერითი ტესტის შესრულებისას. სხვაგან, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირება, ქიმია, მათემატიკა და განათლება, აღნიშნა, რომ აუცილებელია პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების აქცენტირება. განათლების დარგობრივი ჯგუფი აღნიშნავს შესრულებული სამუშაოს განხილვის მნიშვნელობას. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ კომპეტენციის განვითარებას ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება.

ზოგჯერ სასწავლო აქტივობა, მიმართული ამ კომპეტენციის განვითარებაზე, სამუშაოს შესრულებასთანაა დაკავშირებული. ბიზნესის ადმინისტრირებაში, კურსებთან დაკავშირებული სამუშაო უნდა შესრულდეს მენტორი/სპონსორი კომპანიების ზედამხედველობით იმ თემებზე, რომელსაც ეს კომპანია საჭიროდ მიიჩნევს. ფიზიკაში, ქიმიაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, სწავლების ბოლო წელი სასურველია სამუშაო გარემოში შესრულდეს, და საექთნო საქმესა და განათლებაში გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო აქტივობა შეიძლება ასევე აკადემიურ სასწავლო გარემოში მიმდინარეობდეს და ხორციელდებოდეს მთელი ჯგუფის, მცირე ჯგუფებისა თუ ინდივიდუალურ დონეზე.

ტრადიციულად დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში სტუდენტები გადიან კარტირების ექვს კვირიან პრაქტიკას საველე სამუშაოების ფორმატში დამოუკიდებლად ან მცირე ჯგუფებში, როგორც წესი, შეზღუდული ზედამხედველობის პირობებში. ამ დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს ანგარიში საბოლოო გამოცდის მნიშვნელოვანი კომპონენტია და დამქირავებლების მიერ განიხილება, როგორც განმსაზღვრელი ასპექტი. სტუდენტთა წარმატების უწყვეტი შეფასება მიმდინარეობს სემინარების, სავარჯიშოების, ლაბორატორიული სამუშაოს, მასწავლებელთა რეგულარული შეხვედრების ფორმატში. ზოგი კურსისათვის ნაშრომი საბოლოო შეფასების მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. ზოგან ის მთლიანად ანაცვლებს ტრადიციულ გამოცდას. ეს უფრო მეტად მეორე საფეხურისათვისაა დამახასიათებელი. საბოლოო გამოცდები წერთი ან ზეპირი ფორმით ტარდება და მოიცავს პრაქტიკულ პრობლემებს/კითხვებს, ან პროფესიულ ტესტებს ლაბორატორიაში. ეს კომპეტენცია შეიძლება გამოძევათ იქნეს ესე მეშვეობითაც, თუ დასმული კითხვა მკაფიოდაა ფორმულირებული და კარგად სტრუქტურირებული. ამოცანის სამნაწილიანი მოდელი შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკაში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი საკითხების აღწერას, და განხორციელების მეთოდების ილუსტრირებას სამუშაო პროცესში კანდიდატის მიერ. საკითხის მარტივი აღწერა არაა საკმარისი ამ კომპეტენციის შეფასებისათვის. ესე ვერ შემოწმდება ცოდნა, რადგანაც პლაგიატობის საშიშროებაც კი არსებობს, ან, სულ მცირე, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვით შემოფარგვლის საშუალებას.

ზოგადად სტუდენტებს კარგად ესმით, შეუძლიათ თუ არა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, იღებენ რა დეტალურ უკუგებას მასწავლებლისგან ან სწავლის პროცესში, ან საბოლოო გამოცდის დროს.

დარგობრივი სფეროს საბაზისო ზოგადი ცოდნა

ეს ზოგადი კომპეტენცია აშკარად უკავშირდება ცალკეულ დარგობრივ სფეროებს. სინამდვილეში, მას შემდეგ რაც კომპეტენციის აღწერაში შემოვიდა სიტყვა “დარგობრივი სფეროს ცოდნა”, ცხადი გახდა, რომ ეს ვერ იქნება ზოგადი კომპეტენცია ამ სიტყვის ტრადიციული აგებობით, და უფრო დარგობრივ კომპეტენციას წარმოადგენს. ამ კომპეტენციის ფორმირება განსხვავდება დარგების მიხედვით და ასახავს დარგების სპეციფიკურობას. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ზოგადი ცოდნა სამ ძირითად ასპექტს მოიცავს: პირველი, ეს არის ფაქტების ცოდნა. მეორე, ამ დარგისათვის დამახასიათებელი მიდგომების ცოდნა. და ბოლოს, მესამე – აუცილებელი ზოგადი ცოდნა, რომელიც არ არის მკაცრად დარგობრივი, ანუ მათემატიკის ან უცხო ენის ცოდნა ფიზიკოსისა თუ ისტორიკოსისათვის და პოლიტიკა განათლების სტუდენტებისათვის. ანგარიშებში მცირე ადგილი ეთმობა იმ საკითხის განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ პირველ საფეხურზე საჭირო ზოგადი დარგობრივი ცოდნა მიღებულ იქნეს სკოლის

დონეზე ან უმაღლეს განათლებამდე, და შესაბამისად შეფასდეს უმაღლესი განათლების დაწყებისას, ხოლო შემდგომ მოხდეს მისი ინტეგრირება და სრულყოფა უმაღლესი განათლების ფარგლებში. როგორც წესი, პირველი საფეხურის პროგრამების შედგენისას უნივერსიტეტები ითვალისწინებენ სასკოლო პროგრამაში არსებულ რეალობას. თუმცა, ფიზიკაში სამუშაო ჯგუფს მიაჩნია, რომ დამამთავრებელ კლასებში ნასწავლი მათემატიკა უნდა ფასდებოდეს უნივერსიტეტში სწავლის დაწყებამდე. სხვა გამონაკლისია განათლება, სადაც უკვე მასწავლებლობის სურვილის მქონე მოზრდილ სტუდენტებს შეუძლიათ წარმოადგინონ პორტფოლიო, რომლიც უჩვენებს მათ გამოცდილებასა და ცოდნას, მიღებულს ფორმალურ თუ არაფორმალურ საგანმანათლებლო გზით. ევროპაში ფართოდ გამოყენება ეს მიდგომა, ცნობილი როგორც აკრედიტირებული წინასწარი სწავლის გამოცდილება.

ზოგადი საბაზისო ცოდნა დარგების უმრავლესობაში მიიღება ლექციების, კითხვის, დისკუსიის, ბიბლიოთეკებსა თუ ინტერნეტში განხორციელებული ძიების მეშვეობით და ფასდება წერითი და/ან ზეპირი გამოცდებით. სტატიების განხილვა, გამოცდის შედეგების შეჯამება თუ დისკუსია ზეპირი გამოკითხვისას ხელს უწყობს სტუდენტებს იმის გაგებაში, მიიღეს თუ არა მათ ადეკვატური ცოდნა. დიდი ძალისხმევა არ იხარჯება სწავლების ასპექტებთან მიმართებაში, ეს თითქმის ყველას მიერ აღიარებულია, როგორც საჭირო. ბუნებრივია, პანევროპულ კონტექსტში თუნინგის პროექტი უჩვენებს, რომ ზოგ დარგობრივ სფეროში საბაზისო ძირითადი ცოდნის შინაარსი ქვეყნებს შორის მკვეთრად განსხვავებულია, სხვა დარგობრივ სფეროებში ეს განსხვავება პრაქტიკულად არ არსებობს. მიუხედავად ამისა, დარგობრივი სფეროების უმრავლესობისათვის არსებობს ზოგადი შეთანხმება პირველ საფეხურზე ძირითადი დარგობრივი ცოდნის შესახებ.

უფრო რთულია საბაზისო ძირითადი ცოდნის სხვა კომპონენტებზე შეთანხმება, როგორცაა დისციპლინების ჩამონათვალი, ღირებულებები, მეთოდოლოგიური თუ ეთიკური საკითხები. თუმცა დარგობრივმა ჯგუფებმა ამ საკითხებთან დაკავშირებითაც გარკვეული სტრატეგიები შეიმუშავეს. ზოგი ასპექტი (ანალიზი, ეთიკური ღირებულებები და ინტელექტუალური სტანდარტები) განიხილება სალექციო კურსებზე. ამ შემთხვევაში სტუდენტებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ დარგობრივი სფეროს სტანდარტებისა და ღირებულებების შესახებ. სტუდენტები იღებენ ცოდნას კითხვის საშუალებით და ხედავენ, როგორ ფიქრობს და მუშაობს აკადემიური საზოგადოება და როგორია მათი მიდგომები. აღინიშნა, რომ მიდგომები, ინტელექტუალური და ეთიკური ღირებულებები ასევე ისწავლება პირადაპირი მეთოდით, როგორცაა ლაბორატორიული მუშაობა ფიზიკაში ან ისტორიული დოკუმენტების ანალიზი ისტორიაში, ზეპირი პრეზენტაციების მომზადება, ანგარიშები განათლებაში და ა.შ.

ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი (სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის უნარი)

ეს კომპეტენცია თითქმის თანაბრად აღიქმება ყველა დარგობრივ ჯგუფში, როგორც ლიტერატურაში საჭირო ინფორმაციის მოძიების უნარი, ინფორმაციის პირველად და მეორად წყაროებს შორის განსხვავების უნარი, ტრადიციული თუ ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების უნარი, ინტერნეტში ინფორმაციის პოვნის უნარი. ისტორიის დარგობრივი ჯგუფი ამ კომპეტენციას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს წყაროების გამოყენებისა და ინტერპრეტაციის კონტექსტში (საარქივო დოკუმენტების, პაპირუსების, არქეოლოგიური მასალის, მეორეადი წყაროების, ზეპირი ისპტრიული წყაროების გამოყენება და ა.შ.). ამ დარგობრივ სფეროში ბევრი სასწავლო აქტივობაა დაკავშირებული ამ კომპეტენციის განვითარებასთან, როგორცაა ლექციები, ვორკშოპები, ობიექტების ვიზიტები, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მუშაობა კვლევითი დისერტაციის ჩათვლით.

ყველა დარგობრივი ჯგუფი გამოყოფს ამ კომპეტენციის განვითარებისათვის საჭირო სასწავლო აქტივობებს. სწავლის პროცესში შეიძლება ბიბლიოთეკის პერსონალიც იყოს ჩართული და მოიცავდეს ბიბლიოთეკის ვიზიტს ან ბიბლიოთეკაში ვორკშოპს. ინტერნეტიდან ინფორმაციის მოპოვება და მისი კრიტიკული შეფასება შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს ლექციაზე მულტიმედიის გამოყენებით და მერე სტუდენტებს მიეცეს შესაბამისი დავალება. ინფორმაციის მოპოვების უნარი პროგრესირებადი ბუნებისაა: ერთ-ერთი დარგობრივი ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებისას სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მასალა ლექციებზე მიღებული ინფორმაციის გამდიდრებისათვის, მაშინ როდესაც სწავლის დასრულებისას ინფორმაციის მენეჯმენტის უნარს უკვე მკვლევარის დონეზე უნდა ფლობდნენ.

ყველა დარგობრივ სფეროში ამ კომპეტენციის განვითარებისათვის ძირითად აქტივობად მიჩნეულია ექსპერიმენტული თუ კვლევითი კომპონენტი, რომლის საშუალებითაც შეიძლება ნახვა, რამდენად კარგად ფლობს სტუდენტი ბიბლიოთეკის გამოყენების უნარს და რამდენად ეფექტურად იყენებს მოძიებულ ინფორმაციას საკუთარი სამუშაოს მიზნებში. მაგალითად, ქიმიკში, როდესაც სტუდენტი მუშაობს ლაბორატორიაში, მას სჭირდება ლიტერატურა, რომ შეძლოს საკუთარი ექსპერიმენტის შედეგების ინტერპრეტაცია ან ლაბორატორიული ანალიზების უკეთ ჩატარება. ისტორიაში, სტუდენტმა დიდი რაოდენობით ლიტერატურა უნდა წაიკოთხოს, რომ თავის კვლევაში ბიბლიოგრაფიისათვის გამოყენოს. ამ სავარჯიშოების შესრულება განსხვავებულია სწავლების სფეროს მიხედვით. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში სტუდენტებმა უნდა მოამზადონ ზეპირი ან წერიტი პრეზენტაციები რელევანტური ლიტერატურის გამოყენებით.

სტუდენტთა წარმატების შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კომპეტენციის განვითარებისათვის და არსებობს

ზეპირი თუ წერიტი კომენტარების ფორმით. ანგარიშებზე დაყრდნობით ჩანს, რომ ყველა დარგობრივ სფეროს კარგად ესმის ამ კომპეტენციის მნიშვნელობა და რომ მისი განვითარება და შეფასება შესაძლებელია ყველა დარგობრივ სფეროში მათი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინტერპერსონალური უნარები

ეს კომპეტენცია სამი დარგობრივი ჯგუფის მიერ – განათლება, საექთნო საქმე და ბიზნესის ადმინისტრირება – განიხილება, როგორც წამყვანი და ყველაგან ამა თუ იმ ფორმით შეთავაზებულია სპეციალური სწავლება, რომელიც ამ ზოგადი კომპეტენციის განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს. ყველა დარგობრივი ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს კომპეტენცია აუცილებელია კონკურენტუნარიანობისათვის, მოქალაქეობისა და დასაქმებისათვის, მაგრამ არ არის დარგობრივი და ზოგი ანგარიშის მიხედვით არც თუ ისე მნიშვნელოვანი.

ბიზნესის ადმინისტრირების ჯგუფში მიაჩნიათ, რომ ამ კომპეტენციის განვითარებისათვის აუცილებელია ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, სპეციალური ლექციები, ტრენინგი. სპეციალური სასწავლო აქტივობაა კომპიუტერული თამაში ბიზნესის ადმინისტრირებაში, სადაც სტუდენტები რეალისტური ბიზნეს სცენარების პირობებში უწევთ მუშაობა მცირე ჯგუფებში და ჯგუფური დინამიკის, დროის მენეჯმენტის, გადაწყვეტილების მიღების და ა.შ. ტრენინგი. მიუხედავად ამისა, აღინიშნა, რომ ცოტაა ცნობილი ამ კომპეტენციის შეფასების ფორმების შესახებ.

განათლებლასა და საექთნო სამქმში ინტერპერსონალური უნარები ძირითადი მნიშვნელობისაა. სინამდვილეში, განათლებისა და საექთნო საქმის პროგრამების კურსდამთავრებულების პროფესიული საქმიანობა, ფართო გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა ინტერპერსონალური ურთიერთობები. საექთნო საქმეში კომუნიკაციის ასპექტები, როგორცაა დაკვირვება, მოსმენა, კითხვების დასმა, არავერბალური კომუნიკაცია, შეხვედრებში მონაწილეობა და მათი გაძლოლა, ძირითადი უნარებია. ეს უნარები ხშირად კონტექსტუალიზებულია წერით პრაქტიკაში და მოიცავს, მაგალითად, სხვადასხვა აუდიტორიისათვის წერიტი ფორმით ჯანმრთელობის შესახებ საინფორმაციო მასალის მომზადებას.

განათლებაში ასევე კარგად ესმით ამ კომპეტენციის მნიშვნელობა. ინტერპერსონალური კომპეტენციები განიმარტება, როგორც არა მხოლოდ ჯგუფში მუშაობის უნარი, პროექტების ეფექტური წარდგენის უნარი და ლიდერობის უნარების განვითარება – აქ აქცენტი კეთდება ინტერპერსონალური უნარების დიალოგურ შემადგენელზე და სწავლება-სწავლის პროცესზე. მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტები, როგორცაა “მოსმენა” (საექთნო საქმის გარდა არც ერთ ჯგუფს არ აღუნიშნავს), ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, დისკუსიის გაძლოლის უნარი, ჯგუფებთან მუშაობის უნარი, სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანთან ცივილიზებული ფორმით კომუნიკაციის

უნარი, ინტერვიუს წარმართვა, ინტერაქტური სასწავლო გარემოს შექმნის შესაძლებლობა. დარგობრივი ჯგუფები აღნიშნავენ, რომ სტუდენტებს მრავალი ინტერპერსონალური უნარი უნდა ქონდეთ უმაღლესი განათლების დაწყებისას, თუმცა განათლებისა და საექთნო საქმის ჯგუფებში განსაკუთრებით აღინიშნა, რომ უმაღლესმა განათლებამ ეს კომპეტენციები მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს. ეს გასაკვირი არაა, თუ გავითვალისწინებთ ამ დარგობრივი სფეროებისათვის ინტერპერსონალური უნარების მნიშვნელობას.

მეთოდოლოგია ამ კომპეტენციის განვითარებისათვის განსხვავებულია და იწყება იმით, რომ სტუდენტებს უნდა ესმოდეთ ამ კომპეტენციის მნიშვნელობა და უნდა შეეძლოთ კრიტიკულად თვითშეფასების გამოყენება იმისათვის, რომ შეაფასონ, გაიგეს თუ არა სხვებმა მათი ნათქვამი. ამ აქტივობების მიზანია სტუდენტებში ინტერპერსონალური უნარების გაცნობიერების განვითარება. არსებობს უფრო მეტად “ცოდნაზე დაფუძნებული” ასპექტი, რომელიც კითხვასა და კვლევას მოიცავს. მეთოდია ასევე პრაქტიკის დროს სტუდენტების მიერ როლების განაწილებაზე დაკვირვება და ნანახისა და მოსმენილის ანალიზი; გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა აწარმოონ პერსონალური დღიურები, რომელშიც ისინი საკუთარ გამოცდილებას აღწერენ.

შედეგები შესაძლოა შეფასდეს ეფექტურად აღნიშნულ კონტექსტში. განათლების ჯგუფმა აწარმოა კონსულტაციები რამდენიმე მასწავლებელთან, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ამ უნარის ფორმალური სწავლებისა და ობიექტური შეფასების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მასწავლებელთა მომზადების პროგრამების უმრავლესობა იყენებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასების პროცედურებს კურსის პრაქტიკლი ელემენტების შეფასებისათვის. ეს მოიცავს სტუდენტთა კომპეტენციის ფორმალურ შეფასებას, გამოკითხვას, სწავლის პროცესის მენეჯმენტს, მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობას, კოლეგებთან ჯგუფური მუშაბას და ა.შ. აღქმა და დეტალური უკუგება სხვების მიერ, კერძოდ კი მოსწავლეების მიერ, უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა. კომუნიკაციის უნარების მნიშვნელობა და სპექტრი საექთნო საქმეში ექსპლიციტურია პროგრამების დიზაინისა და შეფასების პროცედურებისათვის.

ზოგადად, არსებული ანგარიშების საფუძველზე, ჩანს, რომ ინტერპერსონალური უნარები შეიძლება არც თუ სერიოზულად იქნეს აღქმული აკადემიური პერსონალის მიერ მათი გამოკლებით, ვისი დარგისათვისაც ეს კომპეტენცია საკვანძოა. ეს გასაკვირი არაა, რადგანაც უნივერსიტეტები ტრადიციულად ყურადღებას არ აქცევენ ინტერპერსონალურ უნარებს, რომლებსაც მიუხედავად ამისა, განათლებისათვის ზოგადად უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ. მიიჩნევა, რომ სტუდენტები ინტერპერსონალურ კომპეტენციებს ჩვეულებრივ სწავლის პროცესში გამოიმუშავებენ სპეციალური ძალისხმევის გარეშე. მონოკულტურულ კონტექსტში ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ 21-ე

საუკუნის ევროპაში, ან ზოგადად, 21-ე საუკუნეში, რამდენად გვხვდება მონოკულტურული კონტექსტი? არაა სავალდებულო, რომ ყველა დარგობრივმა ჯგუფმა მიზამოს განათლების, საექთნო საქმისა და ბიზნესის ადმინისტრირების ჯგუფების აქცენტებს და სწავლების იგივე სტრატეგიები გამოიყენოს. მიუხედავად ამისა, ყველა დარგობრივი სფეროს სტუდენტი სარგებელს ნახავს, თუ პროგრამებში მკაფიოდ იქნება ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე აქცენტი გაკეთებული. დამოუკიდებლად იმისაგან, იპოვიან თუ არა კურსდამთავრებულები სამსახურს სპეციალობის მიხედვით, ეს უნარები მათთვის ყოველთვის გამოსადეგარი იქნება. შესაბამისად ჩვენი ამოცანაა აკადემიური პერსონალის ყურადღება გავამახვილოთ ამ კომპეტენციის მნიშვნელობაზე და მისი სწავლების აუცილებლობაზე.

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მნიშვნელობა ყველა დარგობრივი ჯგუფის მიერ აღინიშნა. ცხადია რეალურ ცხოვრებაში – სწავლის დამთავრების შემდეგ – დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარის ქონა აუცილებელია როგორც პირადი, ისე პროფესიული ცხოვრებისათვის და ზოგადად მოქალაქისათვის. ამჟამად, სტუდენტებში ამ კომპეტენციის სწავლების მთავარი მეთოდებია, უმაღლესი განათლების საწყის ეტაპზე, სტუდენტების მიერ ლექციების გარდა სხვა სწავლების ფორმების გამოყენება (მაგალითად, ბიბლიოთეკაში, ველზე მუშაობა) დამოუკიდებლად სწავლის უნარი გამომუშავებისათვის, და სწავლის ბოლოსკენ, სტუდენტებისათვის დიდი ავტონომიის მიცემა. ზოგი რეკომენდაციის თანახმად, სტუდენტები არ უნდა შევზღუდოთ ბევრი შეზღუდული მოკლევადიანი მონაკვეთებით, არამედ მივცეთ საშუალება, ისწავლონ დროის ორგანიზება. საბოლოო სტატია ან დისერტაცია განიხილება როგორც განსაკუთრებით სასარგებლო ინსტრუმენტი იმის შესამოწმებლად, ისწავლა თუ არა სტუდენტმა დროის გამოყენება და კომპლექსური ამოცანების/დავალებების ეფექტური ორგანიზება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნაციონალური ტრადიციები სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საკითხში საკმაოდ განსხვავებულია. ზოგ ქვეყანაში, კერძოდ იქ, სადაც სტუდენტები უფრო მოზრდილ ასაკში იწყებენ სწავლას, ისინი განიხილებიან დასაწყისშივე, როგორც ზრდასრულები, ლექციებზე დასწრება არაა სავალდებულო და ვადები საკმაოდ მოქნილია, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას ყველაფერი ბოლო გამოცდაზე გამოამყდონ – წლის, კურსის ან სულაც საგანმანათლებლო პროგრამის ბოლოს. სხვა უკიდურესი მაგალითი გულისხმობს დეტალურად სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოს, სადაც სტუდენტების მიერ შესრულებული სამუშაო მოწმდება სემესტრის განმავლობაში რამდენჯერმე მოცემული გრაფიკის შესაბამისად (სტატიების წერა, გარკვეული მასალის

წაკითხვა და სწავლა). ამ შემთხვევაში ძირითადი სტრატეგიაა, ვაიძულოთ სტუდენტი დროულად შეასრულოს დავალება, რაც სასკოლო გარემოს მოგვაგონებს, მაგრამ არ აქვს სკოლისათვის დამახასიათებელი ჩამორჩენა. საინტერესოა, რომ ზოგიერთი დამოუკიდებლად მუშაობას სწავლოს ე.წ. ცურვისა და ჩადირვის სტრატეგიით, მაშინ როდესაც სხვებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მოცემული ჩარჩოების დაცვა.

ელემენტარული კომპიუტერული უნარები

როგორც ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი, დარგობრივი სფეროების უმრავლესობაში სტუდენტები ვალდებული არიან ფლობდნენ კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების მეთოდებს.

აკადემიური პროგრამის ფარგლებში ეს კომპეტენცია სხვადასხვა დარგობრივ ჯგუფში შეიძლება განიხილოს, როგორც

- კომპეტენცია, რომელიც ხელს უწყობს მოცემული დარგობრივი სფეროს შესწავლას;
- კომპეტენცია, რომელიც ზრდის მომავალში დასაქმების შანსს;
- კომპეტენცია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის კონტექსტში.

ამის მიხედვით კურიკულუმში მოცემული კომპეტენციის განვითარებას განსხვავებული ღირებულება აქვს და დარგობრივი ჯგუფების მიხედვით სხვადასხვაა. ერთი უკიდურესობაა, როდესაც სტუდენტს გარკვეული კომპეტენცია მოეთხოვება პროგრამაზე მიღებისას, ან მათ არაფორმალურად უნდა გამოიმუშავონ ეს კომპეტენცია სწავლის პროცესში. ეს ძირითადად ხდება მაშინ, როდესაც კომპიუტერული უნარები განიხილება, როგორც შედარებით ელემენტარული უნარი, სასარგებლო როგორც სწავლის პროცესის, ისე სამომავლო დასაქმებისათვის.

ყველა დარგობრივ ჯგუფს არ მიუქცევია დიდი ყურადღება ამ კომპეტენციისათვის კონსულტაციების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ მათ სფეროებში კომპიუტერული მიდგომა ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, მათემატიკაში. იმ ჯგუფებში, სადაც აღინიშნა ამ უნარის მნიშვნელობა, ხაზი გაუსვეს, რომ სტუდენტს სჭირდება კომპიუტერული უნარები დარგობრივი კურიკულუმის ნებისმიერი აქტივობისათვის. დეტალური ანგარიშები გვიჩვენებს, რომ სტუდენტებმა უნდა შეძლონ ინფორმაციის შექმნა და შენახვა, ელექტრონული ფოსტით სარგებლობა, ინტერნეტში ძიება, კომპიუტერის მეშვეობით ინფორმაციის დამუშავება ან ექსპერიენტული აპარატურის მომსახურება კომპიუტერის საშუალებით, დარგობრივი კომპიუტერული პროგრამების გამოყენება (ქიმია). სპეციალური პროგრამები გრაფიკული გამოხატვისათვის თუ კალკულაციისათვის (ფიზიკა).

სტუდენტებს სულ უფრო მეტად ავალდებულებენ გაეცნონ სწავლებისა და სწავლის ახალ ფორმებს და ტექნოლოგიებს საკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით. თანამედროვე ელექტრონული სწავლა/სწავლების მენეჯმენტის სისტემები, როგორცაა ვირტუალური სასწავლო გარემო (მაგალითად, WebCT, Blackboard), პირდაპირი ვებლინკები (განათლება).

ეს კომპეტენცია საჭიროა წერთი ნაშრომებისათვის, მაგალითად, თეზისების, დისერტაციების მომზადებისათვის ადეკვატურ ფორმატში, ყველა აკადემიური სტანდარტის დაცვით, როგორცაა სქოლიოების გამოყენება, ლიტერატურისა და წყაროების მითითება (ისტორია).

სტუდენტები სწავლობენ როგორც ფორმალურ ლექციებზე, ისე კომპიუტერულ ლაბორატორიებში პრაქტიკული სავარჯიშოებისას, სადაც ისინი იყენებენ ცოდნას საკუთარი კომპიუტერული უნარების გამომუშავებისათვის. ზოგი დარგობრივი ჯგუფი აღნიშნავდა, რომ წარმატებულია საწყისი სპეციფიკური დარგობრივი ინსტრუქციის შემდეგ სტუდენტებს მიეცეს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება. სხვა შემთხვევაში სტუდენტთა უნარები მოწმდება კურსის დასრულებისას პერსონალური ტუტორის დახმარებით (განათლება). ფორმალური ლექციები ხანდახან პროგრამით საკმაოდ გვიანაა გათვალისწინებული (სწავლის მეორე ან მესამე წელი), როდესაც უკვე სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამების სწავლებაა დაგეგმილი. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ საბაზისო კურსები პროგრამის დასაწყისშია შეთავაზებული, არც ისე იშვიათადაა მოკლე ინტენსიური კურსის ფორმატში.

ვებზე ბაზირებული შეფასება ასევე განიხილება, როგორც ფართო გაგებით კომპიუტერული უნარების განვითარების საშუალება. როგორც წესი, ასეთი სწავლება იწყება ონლაინ გვერდის გამოყენებით და გულისხმობს სტუდენტების მიერ შეფასების კრიტერიუმების გენერირებასა და განხილვას. ზოგი ლექტორი სთავაზობს სტუდენტს სხვა კრიტერიუმები იპოვოს, სხვები სთავაზობენ წინასწარ მოცემულ კრიტერიუმებს. შეფასების ეს კრიტერიუმები მოწმდება განსაზღვრული ვებგვერდების მითითებით.

განათლების დარგობრივი ჯგუფის²¹ მიხედვით კომპიუტერული კომპეტენციის განვითარებისათვის გამოყენებული სწავლისა და სწავლების ფორმები მოიცავს:

- თვითსწავლის პროგრამების თვითშეფასების პროგრამები;
- სწავლების დროს ნებაყოფლობით ისეთი ელემენტების გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა გრაფიკის, ვებშეფასების გამოყენებასთან;
- საუკეთესო პრაქტიკის მოდელირება, მაგალითად, URL წყაროების მითითება სტუდენტებისათვის, კარგი პრეზენტაციების მაგალითის მიცემა და ა.შ.
- სტუდენტების მიერ სამუშაოს შესრულება მოცემულ ფორმატში, რაც უნდა უკავშირდებოდეს ონლაინ რესურსების გამოყენებას;

²¹ (www.ltss.bristol.ac.uk/anorak) შესაძლებელია პერსონალური კითხვარის და მისი მსგავსი კითხვარი სტუდენტებისათვის ელექტრონულ ფორმატში.

- კომპიუტერულ ბიბლიოთეკებში ინფორმაციის მოძიება;
- ელექტრონულ ფორმატში კომუნიკაცია მაგალითად, ინტრანეტში;
- ხარისხის კრიტერიუმების მისადაგება ვებგვერდებისათვის.

კომპიუტერული უნარების შეფასება ემყარება სტუდენტების მიერ ამ უნარების დემონსტრირებას. მაგალითად, სტუდენტმა უნდა დაწეროს პრეზენტაცია სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (ბიზნესის ადმინისტრირება). განათლებაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განსავითარებელი ყველა აქტივობა ფოკუსირებულია სწორედ უნარის, ვიდრე ცოდნისა და გაცნობიერების განვითარებაზე. ეს გულისცხმობს, რომ სტუდენტს

- უნდა შექმნას ინფორმაციის მონაცემთა ბაზა;
- განიხილოს პრეზენტაცია, როგორც "უნარი;"
- გამოიყენოს სამიუზო სისტემები საჭირო ინფორმაციის მოპოვებისათვის;
- წარმოადგინოს სტატიები და შეფასდეს ასევე კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით.

იქ, სადაც უნარები ფასდება, სტუდენტები იღებენ ნიშანს ან დეტალურ უკუგებას. ფასდება სტუდენტების მიერ შესრულებული ყველა აქტივობა, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიებში დემონსტრირება, კომპიუტერული დავალებები, პრაქტიკული ექსპერიმენტების ანგარიშები და ასევე საკურსო ნაშრომები (აგ. საბაკალავრო ნაშრომი). განათლებაში დარდება შეძენილი კომპეტენციები სწავლის ბოლოს იმ კომპეტენციებს, რომელიც სტუდენტს სწავლის დასაწყისში ჰქონდა.

ამ კომპეტენციის აღწერისას, დარგობრივი ჯგუფები იყენებდნენ ისეთ ზმნებს, როგორცა: თავის კომფორტულად გრძნობა, შექმნა, შენახვა, გაცნობა, ძიება, ხაზვა, გამოყენება, შესაბამისობაში მოყვანა, შესვლა, პროდუცირება, შეცვლა, დაყოფა, კოპირება და ჩართვა, ფორმატირება, მიბმა, ასისტირება, ილუსტრირება, შეფასება, გენერირება, კომუნიცირება, ინტერაქცია და ა.შ.

ჯგუფი, ვისთვისაც კომპიუტერის გამოყენება შეიძლება პრობლემური იყოს, არის ზრდასრული სტუდენტები, რომლებიც პირველად შედიან უნივერსიტეტში. სკოლებში დღესდღეისობით კომპიუტერი ისწავლება, და კომპიუტერები ბოლო 10 წის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ზრდასრულ სტუდენტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ეს ცოდნა და შესაბამისად დახმარებას საჭიროებენ.

კვლევის უნარი

ყველა დარგობრივი ჯგუფი თანხმდება, რომ კვლევის უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მარტო უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. თუმცა არსებობს გარკვეული

განსხვავებები სხვადასხვა დისციპლინაში თავად კვლევის დეფინიციასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც ისტორიასა და განათლებაში აღინიშნება კვლევის მეთოდების ცოდნის აუცილებლობა, ფიზიკაში აუცილებელია კონკრეტულ კვლევით სფეროში შესაბამისი ტექნიკის ცოდნა და ქიმიაში ასევე მნიშვნელოვანია სპეციფიკური პროექტების მომზადება და მიღებული შედეგების შეფასება.

არ არსებობს მკაფიო განსხვავება, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს ეს კომპეტენცია: მასწავლებელთან ერთად თუ დამოუკიდებელი კვლევითი პროექტების ფარგლებში. არსებული მონაცემებიდან ცხადია, რომ განათლებასა და საქეთნო საქმეში სპეციფიკური კურსები კვლევითი უნარის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მეორე საფეხურზე, აუცილებელია. ეს დამატებითი დადასტურებაა მონაცემებზე დაყრდნობილი სწავლებისათვის, რომლიც დამკვიდრებულია განათლებასა და საქეთნო საქმეში. რადგანაც კვლევის კომპეტენცია ამ ორი ძირითადი გზით მიიღწევა (დამატებით კვლევითი სტატიების რეგულარული კითხვა სწავლის პროცესში), საკმაოდ რთულია გაიყოს მასწავლებლის მნიშვნელობა მოსწავლის სასწავლო აქტივობისაგან. მასწავლებელმა უნდა წარუდგინოს სტუდენტებს მეთოდოლოგიური მიდგომები, გააცნობიერებინოს კვლევის კონტექსტი, მაგალითად, კვლევაში ყველა მონაწილის სოციალური, ბიოგრაფიული და კულტურული ფონი, შექმნას და განსაზღვროს მოსწავლის კვლევითი აქტივობები, რომელმაც ეს ქმედებები უნდა შეასრულოს და რეგულარულად მიმართოს მასწავლებელს რჩევისათვის და შესრულებული სამუშაოს შეფასებისათვის. ლექტორები ქმნიან კვლევის მეთოდების ლექცია/სემინარებს ან პრაქტიკულ ვორკშოპებს, ქმნიან სავარჯიშოებს სტუდენტებისათვის, აიძულებენ მათ მოიძიონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები და შეასრულონ მონაცემთა ანალიზი, მოგვცენ ბიბლიოგრაფიული მასალა და დოკუმენტები, და წახალისონ დამატებითი ლიტერატურის ძიება და უკვე ნასწავლი მასალის დაკავშირება აკადემიური პროგრამის სხვა ნაწილებთან. უხელმძღვანელონ კითხვას და წაკითხული მასალის კრიტიკულ ანალიზს, ზედამხედველობა გასწიონს ესეს, თხზულების, პროექტის წერისას და შესრულებისას, ბიბლიოთეკის ვიზიტების ორგანიზება. სტუდენტები მონაწილეობენ კურსებში, სემინარებში, ვორკშოპებში, მუშაობენ კვლევით პროექტზე, მიმოიხილავენ არსებულ ლიტერატურას, და ახორციელებლ დოკუმენტების კვლევას, აგროვებენ და ამუშავებენ მონაცემებს, იღებენ ექსპერიმენტულ მონაცემებს, წარადგენენ მიმდინარე სამუშაოს, პასუხობენ კრიტიკას (როგორც ზეპირი, ასევე წერიტი ფორმით), კოლეგებს წარუდგენენ შესრულებულ პროექტს და განიხილავენ შედეგებს, იღებენ კომენტარებსა და შენიშვნებს, წერენ გვერდების განსაზღვრულ რაოდენობას, და ყველა ქვეყანაში, დოქტორანტურის დონეზე, იცავენ დისერტაციას ექსპერტების დასწრებით, ხშირად საერთაშორისო კონტექსტში.

არსებობს მჭიდრო კავშირი მასწავლების მიერ სტუდენტის წარმატების შეფასებასა და თავად სტუდენტის მიერ საკუთარი წარმატების გაცნობიერებას შორის. აქ ორ მთავარ მომენტზე უნდა იქნეს მიღწეული შეთანხმება: პირველი, შეფასება უნდა ეფუძნებოდეს კვლევითი პროექტის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს – როგორცაა დაწერილი ნაშრომის ხარისხი, მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობებში – და საბოლოო პროდუქტის ხარისხი – როგორცაა ორიგინალობა, დამადასტურებელი დოკუმენტური მასალის მოგროვების უნარი, მკაფიო მსჯელობა, გასაგები პრეზენტაცია; და მეორე – რეგულარული განხილვა და შეფასება უნდა მიმდინარეობდეს აკადემიური ზედამხედველისა და კოლეგების მხრიდან მუშაობის პროცესის განმავლობაში.

6. დასკვნები

სწავლის, სწავლებისა და შეფასების მიდგომებს შორის განსხვავება დარგობრივი ჯგუფების პოზიციიდან ევროპულ სივრცეში არის ახალი ნაბიჯი უმაღლესი განათლების ტრანსპარენტულობისათვის. ეს მოკლე მიმოხილვა ადასტურებს, რომ მიუხედავად სირთულისა, ეს ამოცანა შესრულებადია კეთილი ნებისა და მოსმენის კომპეტენციის არსებობის შემთხვევაში.

ბოლონის პროცესმა მოგვაწოდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემის კონცეფცია ევროპაში – გამოწვევა, რომელსაც მთელი კონტინენტი შეეჭიდა. სულ ცოტა ხნის წინათ, მიღწეულ იქნა შეთანხმება “ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესახებ ბერგენის სამიტზე. პროგრამების აკადემიურმა ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშავონ პროგრამები შეთანხმებული სწავლის შედეგების მიხედვით და გამოიყენონ დონეები, დონეების მახასიათებლები, სწავლის შედეგები, სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა კრედიტების ფორმით. თუნიუნგის მიერ შესრულებული სამუშაო უნდა დაეხმაროს მათ ამ მიდგომის გამოყენებაში კურიკულუმის შექმნის, სწავლების, სწავლისა და შეფასების ახალი მეთოდების გამოყენებაში.

ეს სტატია დაიწერა მომავალი დისკუსიის წახალისების მიზნითაც, რომელმაც უნდა მოიცვას აღნიშნული საკითხები და 25 ქვეყანაში უნივერსიტეტების თანამშრომლებთან კონსულტაციების შედეგები. ცხადია, რომ თუ პროგრამები შეიქმნა გარკვეული სწავლის შედეგების გათვალისწინებით კომპეტენციების ფორმატში, მაშინ უნდა შეიმუშავდეს ამ კომპეტენციების მიღწევისათვის საჭირო სწავლებისა და სწავლის მეთოდები. შეფასების პრაქტიკა ასევე უნდა შეესაბამებოდეს იმ ამოცანას, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული შედეგები. იმედია, რომ ეს დისკუსია გამოადგება დარგობრივი ჯგუფებს როგორც ინფორმაციის წყარო და გაცვლის საშუალება როგორც თუნიუნგის პროექტის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

მომზადებულია არლენ ვილპინისა და რობერტ ვაგენარის მიერ ანა კათრინ ისაკის, მარია სტიკი დამიანისა და ფოლკერ გემილხის მონაწილეობით.

წყაროები

Biggs, John. B (2003) *Teaching for quality learning at university: what the students does*. 2nd ed. Buckingham: society for Research into Higher Education

Cochran-Smith, Marilyn (2001) “Constructing Outcomes in Teacher Education; Policy, Practice and Pitfalls”, in: *Education Policy Analysis Archives*, Vol. 9, No.2.

Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area, www.bologna-bergen2005.no/Docs/00-Main_doc/050221_ENQA_report.pdf accessed m7th June 2005

3.5 სწავლების, სწავლისა და შეფასებისადმი მიდგომები და დარგობრივი სფეროს კომპეტენციები

3.5.1. ისტორია

1. შესავალი

თუნიგ I-ის ისტორიის ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ნაციონალური და ინსტიტუციური ტრადიციები და პრაქტიკები სწავლა/სწავლებასა და შეფასებასთან მიმართებაში საკმარისად განსხვავებულია. ყველა შემთხვევაში, მისაღწევი მიზნები ისტორიის ყველა პროგრამისა და სასწავლო ერთეულებისთვის, რომლებიც ჯგუფმა გამოავლინა „საფეხურის მახასიათებელში“, არის მიღებული, როგორც ზოგადი მიზანი და მნიშვნელოვანი სწავლის შედეგი; თუმცა, მათი მიღწევის გზები უთვალავია. თითოეულ ნაციონალურ სისტემას აქვთ საკუთარი კონსოლიდირებული გზა დარგობრივი სფეროს უნარების გადაცემის (ცოდნა, თუ როგორ გამოიყენო წყაროთა გარკვეული ტიპები ან მიდგომები გარკვეული ისტორიოგრაფიული პრობლემის მიმართ), ისევე როგორც გენერალური სტრატეგია კრიტიკული მეცნიერული მიდგომებისა და ისტორიული პერსპექტივების აღზრდისათვის. რა თქმა უნდა, არსებობს ანალოგიები და მსგავსებები და, შესაბამისად, შესაძლებელია სხვადასხვა ინსტიტუტში შემუშავებული ტექნიკისა თუ გადაწყვეტილებების ურთიერთგაზიარება. ამასთან, თითოეული სისტემა განიხილავს სწავლა/სწავლებისა და შეფასების მიდგომების კომპლექსს, როგორც ერთიანი განვითარების შედეგს. ამიტომაც, კონკრეტული სპეციფიკური გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია გარკვეულ მორგება-ადაპტაციას ითხოვდეს.

ბევრ ქვეყანაში ბოლონის პროცესის გამოყენებისა და გავრცელების თანამედროვე ფაზა ავითარებს კონტექსტს, რომელიც სპეციფიკური სასწავლო ერთეულების კურიკულუმებში ინოვაციების, ცოდნის გადაცემის საშუალებებზე ფიქრის, ერთობლივი დაგეგმვისა და კოორდინაციის შესაძლებლობას აჩენს. სწავლა/სწავლებისა და შეფასების მიდგომების სპეციფიკურ კომპეტენციებთან დაკავშირებით ჩვენ ვქმნით ძლიერ ინსტრუმენტს ცვლილებებისა და პოზიტიური ინოვაციებისათვის, რაზედაც შესაძლებელია ხარისხის შექმნა, მისი მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება.

თუნიგ I -ში, ისტორიის ჯგუფმა განსაზღვრა 30 დარგობრივი კომპეტენცია. ზოგი მათგანი არის საინტერესო ყველა სასწავლო პროგრამისათვის; სხვები მხოლოდ ნაწილისათვის. მაგალითისათვის, კომპეტენცია 17 („ძველი ენების ცოდნა“) ითვლება სავალდებულოდ ბევრ ქვეყანაში ძველი, შუა საუკუნეებისა და ასევე ახალი ისტორიის სტუდენტებისათვის, მაგრამ არა უახლესი ისტორიის სტუდენტებისათვის; მაშინ როცა, კომპეტენცია #5 („წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს

ცოდნა“) დიდი თუ მცირე ხარისხით მოეთხოვება ყველა კურსადამთავრებულს ისტორიის ნებისმიერ პროგრამაში. რიგი დარგობრივი კომპეტენციებისა უნდა მზარდად განვითარდეს სწავლების მთელი კურსის მანძილზე, პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე. სხვები მეტად შესაძლებელია მიღწეულ იქნეს სწავლების გარკვეულ მომენტებში. მაგალითად, კომპეტენცია #29, „ტექსტისა და დოკუმენტის სწორი კომენტირების, ანოტირებისა ან რედაქტირების უნარი, დისციპლინის კრიტიკული კანონების შესაბამისად“ განსაზღვრულია უფრო მეტად მეორე საფეხურის სტუდენტებისათვის, თუმცა ზოგ სასწავლო კურსში (პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი, რომელიც ამზადეს საგამომცემლო ინდუსტრიისათვის ან ადგილობრივ არქივებში სამუშაოდ) შესაძლებელია სასარგებლო იყოს პირველი საფეხურის პროგრამის დასასრულს.

პირველი ნაბიჯი კურიკულუმის დაგეგმვისას არის სწავლის საბოლოო შედეგების განსაზღვრა - საჭიროა და სასურველი - მისანიჭებელი კვალიფიკაციის აკადემიური ხარისხის პროფილის განსაზღვრა („საგანმანათლებლო შედეგი“). ეს შედეგები უნდა იყოს ფორმულირებული კომპეტენციების ტერმინებით, დარგობრივ-სპეციფიკურითა და ზოგადით. მოგვიანებით, სასწავლო მოდულებისა და ერთეულების განსაზღვრისას, - რომლებიც უნდა გავიდნენ ფინალურ შედეგზე, აქტივობების მეშვეობით, რომლებიც ითხოვს სტუდენტის დატვირთვის განსაზღვრულ საათებს და გაზომილი იქნება ECTS კრედიტებით, - საჭირო იქნება თითოეული სასწავლო ერთეულის ფოკუსირება და დაკავშირება, ძირითადი კონპეტენციების გარკვეულ რაოდენობაზე. პრაქტიკაში, თითოეული აქტუალური სასწავლო ერთეული ფორმირებას მოახდენს რამდენიმე კომპეტენციისას. ეს ნიშნავს, რომ კომპეტენციები ჩვეულებრივ შესაძლოა დაჯგუფდნენ კლასტერებად, ერთი მეორეს მიყოლებით.

რადგან, განსაზღვრული სწავლა/სწავლებისა და შეფასების მიდგომები არის უფრო მისაღები შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებისათვის (და განსაზღვრულივე ზოგადი კომპეტენციებისათვის), გამომდინარეობს, რომ სწავლა/სწავლებისა და შეფასების მიდგომების მრავალფეროვნება სასარგებლო იქნება კომპეტენციების ფართო სფეროს ფორმირებისათვის და; ასევე სტუდენტების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების განვითარებისათვის, საჭირო კომპეტენციების მიღების შესაძლებლობების მთელ რიგ გზებთან ერთად.

იმისათვის, რომ სათანადოდ განვიხილოთ ის მიდგომები, რომლებსაც განსხვავებული ინსტიტუციები დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებისათვის ახლა ქმნიან (ან შესაძლოა შექმნან მომავლში), და ამის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ისტორიის ჯგუფმა ამოიჩნია 15 კომპეტენცია ოცდაათიდან და განიხილა ისინი კომპარატიულად და ანალიტიკურად. SAG-ის ორმა წევრმა ამოიჩნია აღწერილი კომპეტენციები, აკვირდებოდნენ რა კომპეტენციების გაცნობიერებას, რა სასწავლო და სწავლების მიდგომაა გამოყენებული (ან შესაძლოა გამოვიყენოთ) მათ ინსტიტუციაში მათ განსავითარებლად, რა შეფასების მეთოდები არსებობს

(ან შესაძლოა გამოყენებულ იქნას) სტუდენტების მიღწევების შეფასებისათვის და როგორ აღიქვამენ თავად სტუდენტები კომპეტენციებსა და რამდენად დარწმუნებულნი არიან, რომ ფლობენ.

შედეგები განხილულია ქვემოთ და შეჯამებულია ცხრილის ფორმით. რა თქმა უნდა თხუთმეტი არ მოიცავს სრულად კომპეტენციებს მთელ სპექტრს, რომელიც დასჭირდება თითოეულ სტუდენტს. ეს მარტივი მაგალითებია, თუ როგორ არის ან შესაძლოა იყოს არაორაზროვნად დაკავშირებული განსაზღვრულ კომპეტენციების ფორმირებასთან სპეციფიკური სწავლა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

2. განსხვავებული სწავლა/სწავლების მიდგომები (სასწავლო ერთეულების ტიპები)

სიცხადისათვის, სწავლისა და შეფასების აქტივობების ძირითად სახეობებს ცალ-ცალკე განვიხილავთ. პრაქტიკაში მრავალი სასწავლო ერთეული შეიცავს სწავლისა და სწავლების გარემოსა და შეფასების სხვადასხვა და მრავალფეროვან სახეობას. მაგალითად, ნაწილი სასწავლო ერთეულის შესაძლოა ეფუძნებოდეს ლექციას და ნაწილი ჯგუფებში მუშაობას; შეფასება შესაძლებელია ნაწილში ეფუძნებოდეს საბოლოო შეფასებას და ნაწილშიც ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობას.

ძირითადად გამოყენებული კურსების სახეობები შემდეგია:

ლექციაში ჩვენ ვგულისხმობთ მრავალფეროვანი სწავლის, სულ ცოტა სწავლების გარემოს, როდესაც მასწავლებელი ლაპარაკობს სტუდენტების ჯგუფთან და ინტერაქცია ძირითადად ერთი, მასწავლებელი სტუდენტის მიმართულებით ხორციელდება. პრაქტიკაში ლექცია შესაძლოა ძალიან ფორმალური და საკმარისად არაფორმალურიც იყოს; აუდიტორია შესაძლოა იყოს ძალიან დიდი, ას სტუდენტამდე, ან საკმარისად პატარა. რიგ ტრადიციაში და რიგი ინდივიდუალისათვის ნორმალურია ლექციის კითხვა სტუდენტებისათვის ტექსტიდან ან ჩანაწერებიდან; სხვაგან მეტი არაფორმალური მიდგომა გამოიყენება; აქ ჩანაწერებიდან კითხვა არა მოწონებული, წახალისებულია ვიზუალური მასალისა და დისკუსიების გამოყენება.

ტუტორიალების კატეგორიას შესაძლოა მივაკუთნოთ სპეციფიკური მეთოდების მრავალფეროვნება, როდესაც მასწავლებელი რეგულარულად მზადაა გარკვეული დროს მეტად ან ნაკლებად გაწერილი დაგეგმილი აქტივობისათვის. მასწავლებელი, შესაძლოა „ტუტორი“ მცირე ჯგუფთან ან ინდივიდუალურ სტუდენტთან მუშაობდეს. ტუტორიალი შესაძლოა შეიცავდეს დისკუსიებს საგნებზე, რომელიც წარმოდგენილი იყო ლექციაზე; მიმდინარეობს დისკუსიები, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციების კორექტირება, ტექსტზე ან სხვა მასალაზე მუშაობა.

ხშირად ტუტორიალი დაკავშირებულია სალექციო კურსთან, რათა გაჩნდეს საშუალება დისკუსიების პერსონალიზაციისა და სტუდენტების თვითგამოხატვის უნარების განვითარებისათვის.

ვორქშოპი შესაძლოა დავაკავშიროთ სალექციო კურსთან ან სემინარების სერიისაგან შეიძლება შედგებოდეს ერთი სასწავლო ერთეული. ვორქშოპზე მრავალფეროვანი ტექნიკები არის გამოყენებადი, რომელთა მიზანიცაა მისცეს სტუდენტს არაფორმალური და პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობა. მასწავლებელმა შესაძლოა წარმოადგინოს მასალა (hand-out, დოკუმენტები, სურათები და სხვა სახის ვიზუალური მასალა) და სტუდენტების მცირე ჯგუფებში მოახდინოს მონახაზის, ანგარიშის, ან ზეპირი პრეზენტაციის განხილვები და დამუშავება, რომელიც წარმოდგენილი იქნება შემდგომ სესიის ფინალურ პლენარულ ნაწილზე.

სემინარის სახეები მეტია ვიდრე შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, მაგრამ აქვთ საბაზო საერთო თვისებები ყველა სისტემაში. ისინი გულისხმობენ შედარებით შეზღუდული რაოდენობის სტუდენტების დასწრებას (მაგრამ ვარიაციებით 3 ან 4-დან 30 ან 40-მდე) და ლექციებთან შედარებით ნაკლებად ფორმალურ გარემოს. დისკუსიები წახალისებულია. რიგ ქვეყნებში, ინსტიტუციებში ან სპეციფიკურ სასწავლო ერთეულებში, სემინარზე სტუდენტებს ეძლევათ დავალება ძირითადი პრობლემის სპეციფიკური ასპექტის ან მისი შემცველი ძირითადი პრობლემის შესახებ პრეზენტაციის მომზადებისა და პრეზენტირების; სწავლების ნაწილის ან მთელი პერიოდის განმავლობაში, სტუდენტები აკეთებენ თავიანთ პრეზენტაციებს, ერთი ან ორი სესიის განმავლობაში და სხვა სტუდენტები არიან ჩართულნი კითხვების დასმისა და დაკვირვებების გზით. სხვა შემთხვევებში სემინარი შეიცავს მასწავლებლის მიერ შექმნილ პრეზენტაციებს; ამ შემთხვევაში კითხვების დასმა და დაკვირვებები წახალისებულია და თანამონაწილეობა დისკუსიებში ხშირად სტუდენტების შედეგების შეფასებაში გათვალისწინებულია.

ჯგუფური მუშაობა შესაძლოა იყოს განსხვავებული სახის. მთელი სასწავლო ერთეული შეიძლება შეიცავდეს ჯგუფურ სამუშაოს, ან ჯგუფური სამუშაო შესაძლოა იყოს ნაწილი გარკვეული აქტივობების, რომლებიც ხორციელდება სასწავლო ერთეულის ფარგლებში. სხვა დისციპლინარულ სფეროებში ჯგუფები ხშირად ფორმირდება „პრობლემაზე ან დავალებაზე დაფუძნებული“ სწავლების (PBL, TBL) პრინციპის გამოყენებით. ამ შემთხვევებში იმართება ჯგუფური სესიები მასწავლებელთან, სადაც ხდება პრობლემის გადაწყვეტა ჯგუფების (ან ინდივიდების) მიერ ან შესრულებული დავალების წარმოდგენა; ჯგუფები ან ინდივიდები ჯგუფებში საკლასო შეხვედრებს შორის არსებულ დროის მონაკვეთში, ასრულებენ დავალებას ან ცდილობენ გადაწყვიტონ დასმული პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა გავრცელებული არაა ისტორიის დარგობრივ სფეროში, არსებობს რამდენიმე მაგალითი, სადაც გჯუფებში მუშაობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სამუშაო შესაძლებელია სტუდენტის მიერ განისაზღვროს და წარიმართოს, სხვა შემთხვევებში

აქტივობები განსაზღვრავს მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მართავს სწავლას (როგორც ესაა როსკილდში), ჯგუფები ირჩევენ პრობლემას ან თემას სწავლისათვის და მასწავლებელთან კავშირი აქვთ პერიოდული ტუტორიალების, ან დისკუსიების და სახელმძღვანელო სესიების ფორმით. მეორე ტიპოლოგია (მასწავლებელი განსაზღვრავს და წარმართავს) არის მეტად გავრცელებული და ხელს უწყობს ისტორიოგრაფიულ პრობლემებზე ორიენტირებულის მეტად უზრუნველყოფას; თუმცა, პირველი აძლევს დიდ ავტონომიას სტუდენტს და ავითარებს მათ დამოუკიდებელი აზროვნების უნარსა და თვითდაჯერებულობას. საზოგადოდ, ორივე ფორმა შედარებით იშვიათად ჩნდება ისტორიის სწავლება-სწავლისას, მაშინ როდესაც ძალიან სასარგებლო შეიძლება იყოს ბევრი ძირითადი კომპეტენციის ფორმირებისათვის.

ექსკურსიები (არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, სასწავლო ექსპედიციები და ვიზიტები) გამოიყენება სპეციფიკური კომპეტენციების გაზრდის ან სწავლის სფეროსთან დამოკიდებულება ორიგინალური მასალის ან გარემოს უკეთ მიწოდების მიზნით. ისინი ფართოდ, მაგრამ არა საყოველთაოდაა გამოყენებული.

ბევრ სისტემაში *სასწავლო პრაქტიკაზე* განაწილება არის არჩევითი ან სავალდებულო. თეორიულად განაწილებამ უნდა მისცეს სტუდენტისათვის აქტუალური „სამუშაო“ გამოცდილება. ძირითად შემთხვევაში ისტორიის სტუდენტები ნაწილდებიან ბიბლიოთეკებსა და არქივებში, ან სადაც გეგმავს მასწავლებელი, ან მისი ასისტენტი.

ელექტრონული განათლება და ODL კომბინირებას ახდენენ ზემოთ აღწერილი მრავალფეროვანი კურსების კატეგორიების. განსაკუთრებით სემინარები და ჯგუფური სამუშაო არის კარგად ადაპტირებული e-განათლებისათვის, მას შემდეგ რაც იგი იძლევა განსაკუთრებულ შესაძლებლობებს დისკუსიების, თანამუშაობის და სასწავლო პროცესისა და ჯგუფების ფორმირების. უმაღლესი განათლების ისტიტუციების რაოდენობა, რომლებიც ასწავლიან ისტორიას და იყენებენ e-განათლებას არის მზარდი და, ასევე არის რიგი ისტორიის ინსტიტუცია, რომელთა მიერ შეთავაზებული კურიკულუმის კურსების ნახევარი e-განათლებაზე მოდის. განვითარებული კურსები იყენებენ სწავლის მართვის სისტემებს (LMS) და სპეციალურ საგანმანათლებლო პლატფორმებს. ასევე, e-კურსების შერევა უფრო მეტად ვრცელდება. eHLEE სასწავლო პროექტი, განვითარებული CLIOnet Task Force C და ევროპის კომისიის მიერ დაფინანსებული, ავითარებს ისტორიისათვის e-განათლების საუკეთესო პრაქტიკას და ნათელია რომ ისტორიაში რიგი ტიპის სწავლის შედეგებისათვის, e-განათლების პლატფორმები განსაკუთრებით საინტერესო მეთოდებს სთავაზობს. eHLEE ამზადებს საერთაშორისო თანამშრომლობით ისტორიის კურსს მეორე საფეხურის სტუდენტებისათვის და იყენებს თუნინგის კომპეტენციებსა და კურსის დაგეგმის მეთოდოლოგიას. საერთაშორისო თანამშრომლობა არის განსაკუთრებულად შესაფერისი e-განათლებაში,

რადგან კურსზე წვდომა არაა დამოკიდებული ადგილზე და სტუდენტებს სხვასხვა ქვეყნიდან შეუძლიათ ჩაერთონ კურსში.

და ბოლოს, შესაბამისი რაოდენობა კრედიტების და აქედან, ისტორიის ყველა საფეხურის სტუდენტის, სასწავლო დატვირთვა არის ჩვეულებრივ წინასწარ განსაზღვრული - ცნობილია რამდენი კრედიტია საჭირო პერსონალურ სწავლასა და კვლევაზე დაფუძნებული ანგარიშების, თეზისებისა თუ დისერტაციების წარმოებისათვის. ასეთი სამუშაო ცენტრალურია დისციპლინის სფეროსათვის და მოიცავს სწავლას, სწავლებასა და შეფასებას, ამაზე ვისაუბრებთ ქვემოთ - პუნქტი 5.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულს ამ ზოგადი ტიპოლოგიიდან შესაძლოა ჰქონდეს უამრავი სპეციფიკური თვისება განსხვავებულ სისტემებში; და არის გამოყენებული განსხვავებული მოთხოვნებისათვის. ზემოთ აღნიშნულ კურსების ტიპოლოგიებში, განსხვავებული მიდგომები - მეტად ან ნაკლებად თავის თავზე დაფუძნებულია ან მეტად ან ნაკლებად სტუდენტზე-ორიენტირებული - იმპლემენტირებულია ნაციონალური პრაქტიკისა და ტარდიციის, ასევე, თანამშრომელთა ინდივიდუალური და კოლექტიური ანალიზის შესაბამისად.

3. სასწავლო აქტივობები

ზემოთ ჩამოთვლილი სწავლა/სწავლების აქტივობები საჭიროებს მეტ სიღრმისეულ ფიქრს, შესაძლოა დაკავშირებული იყოს ან ითხოვდეს განსხვავებულ სასწავლო აქტივობას სტუდენტისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლა არის უმაღლესი განათლების პროცესის ცენტრში, მეტად არის ფიქრი და დაგეგმა ცოდნის „გადაცემის“ საშუალებებზე, ვიდრე (თვით)„სწავლით“ აქტივობაზე. სწავლის აქტივობები დაკავშირებული ზემოთ აღწერილ სწავლების ფორმატებზე არის მოცემული მათ ძირითად მიმართულებებით: „ლექციებზე დასწრება“, „ჩანაწერების გაკთება“ და უმეტეს სისტემებში „პერსონალური სამუშაო“, რიგ შემთხვევებში „ტუტორიალები“ ან „ჯგუფური მუშაობა“.

უმეტეს სისტემებში, ისტორიის სტუდენტმა უნდა აირჩიოს თავისი სამუშაო დროის შესაბამისი ნაწილი „ინდივიდუალური მუშაობისათვის“, მათ შორის ისეთი აქტივობები როგორცაა „ბიბლიოგრაფიის შექმნა“, „ძირითადი ნამუშევრების კითხვა და პერსონალური შესწავლა“, „კლასიკური მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების კითხვა და პერსონალური შესწავლა“, „ჩანაწერებისა და მონახაზების კეთება“.

ასეთი აქტივობები საჭიროა ბევრი სხვა აქტივობების ბლოკების ასაშენებლად, როგორცაა: „თანამონაწილეობა ჯგუფურ განხილვებში“, „თანამონაწილეობა ამოცანადაფუძნებული ან პრობლემაორიენტირებული სწავლების (PBL, TBL) გუნდში“, „ზეპირი ანგარიშის მომზადება და წარმოდგენა“ და „წერიტი ანგარიშის მომზადება და წარმოდგენა“.

ისტორიის სტუდენტი იძენს ICT უნარებს სხვადასხვა საფეხურზე. მეტი ყურადღება სჭირდება ICT საბაზისო (ტექსტების რედაქტირებისა და ინტერნეტ და ონლაინწყაროებიდან ინფორმაციის მოძიების) ინსტრუმენტებს. ასევე, ისტორიის კურსდამთავრებულთათვის გამოსადეგია, მაგრამ არა ყოველთვის იმპლემენტირებული, მეტად განვითარებული ICT კომპეტენციები, რომლებიც ხელს უწყობენ მეტად დახვეწილ უნარებს საჭიროს წყაროების, გამოსახულობების პოვნისა და მათი დიגיტალიზაციისათვის, რუკების, მონაცემთა ბაზებისა და ვებგვერდების შექმნას, ონლაინსაცავების და ა.შ. e-განათლება ასევე ავითარებს e-ინსტრუმენტების როლს ისტორიის სწავლისა და სწავლების სფეროში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიის დარგობრივი სფეროსათვის „საარქივო სამუშაო“ ან მსგავსი (სამუშაო, სადაც ორიგინალური წყარო შენახვის, აღმოჩენის ან მასზე წვდომის გაფართოების მიმართულებით) აქტივობები. სასწავლო პერიოდის შესაბამისად ამ აქტივობების სპეციფიკური თვისებები მრავალფეროვანია, მაგრამ ყველა შემთხვევაში, კვლევითი კომპეტენციების ფორმირებისას, ისინი წარმოადგენენ აუცილებელ ფაზას. ინდივიდუალური კვლევითი სამუშაოსათვის მომზადება შესაძლოა ხდებოდეს „ჯგუფში ტექსტის ან წყაროს კითხვისა და კომენტირების“, სპეციალური ტურორიალის, ვორქშოპის ან მსგავსი გზით...

სასწავლო პრაქტიკაზე განაწილება, როგორც აღინიშნა ზემოთ, ამ სისტემებში გამოყენებულია, საზოგადოდ განაწილება ხდება ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, საგამომცემლო სახლებში ან ადგილობრივი მართვლობით ოფისებში ან თავად უნივერსიტეტებში, ხოლო მომავალი მასწავლებლებისათვის - სკოლებში, როგორც მასწავლებლების ან მასწავლებლის ასისტენტების. ამ კონტექსტში ისტორიის სტუდენტის სამუშაო შესაძლოა გამოადგეს დამსაქმებელს ან სამუშაო ადგილის მფლობელს. განაწილება მნიშვნელოვანია თავად სტუდენტისათვისაც, რადგან იგი იღებს შესაბამის სფეროში საქმიანობების, წყაროების, მასალების, საბიბლიოთეკო რესურსების, ინფორმაციის შექმნა-განახლების, შოუებისა და გამოფენების ორგანიზების რეალურ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. კერძო, საქალაქო თუ კომპანიის არქივებში მეორე საფეხურის სტუდენტს უნარი შესწევს ფონდების საცავების რეორგანიზაცია, კატალოგიზირება და ინვენტარიზაცია.

სწავლის აქტივობების სხვა ფორმები, რომლებთანაც ისტორიის სტუდენტს უხდება შეხება არის უცხო ენები და საზოგადოდ, სწავლა დაკავშირებულია სხვა დისციპლინარულ სფეროებთან.

4. შეფასება

ისტორიის დისციპლინარულ სფეროში, შეფასების მეთოდები ფართოდ განსაზღვრულია ნაციონალური ტარდიციების მიერ ან ნაციონალური კანონმდებლობით, ან სწავლების ორგანიზაციის მიერ. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში გამოცდა წერითია. „ექსტერნალური გამოცდის“ გამოყენება,

როგორც გაერთიანებულ სამეფოშია, ითხოვს წერიტი გამოცდის ფორმის გამოყენებას, რომელის შესაძლებელია გადაიხედოს სხვა დროს, სხვა პიროვნებების მიერ. ზოგიერთ სისტემებში ზეპირი გამოცდა არანაკლებ ორი მასწავლებლით უფრო გავრცელებული (მაგ., იტალია), სხვა ქვეყნებში ნაკლებად გამოიყენება.

ამჟამად, შეფასების კრიერიუმები არაა ყოველთვის დადგენილი (არადა კარგი პრაქტიკა ითხოვს). ხშირად ისინი გააზრებულია ნათლად ან ინტუიტიურად. მაგალითად, შეფასების ყველა ფორმისათვის ძალიან ხშირად თვისთავად ნაგულისხმევია სტუდენტის მიერ დავალების შესრულების შეფასების, რამდენად ნათელადაა ჩამოყალიბებული პრეზენტაცია, შინაარსის სიზუსტე და არსებითობა, წერის ან მეტყველების კულტურა, სტილი და ა.შ.

ცალსახაა, თუ შედეგზე, კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა არის სრულფასოვნად, არსობრივად იმპლემენტირებული, კომპეტენციები აქცენტირებულია როგორც პროგრამის მთლიანობაში, ასევე სასწავლო ერთეულების შემთხვევაში; და დადგენილია და ვითარდება შესაბამისი სწავლა/სწავლებისა და შეფასების მიდგომებს დაგეგმისას. შეფასება ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ ავლენდეს ფლობს თუ არა სტუდენტი კომპეტენციებს, რომლებიც საფეხურის შესაბამისად მოთხოვნილ სწავლის შედეგების მინიმუმს შეესაბამება. ამის ზემოთ შეფასების კრიტერიუმი უნდა აძლევდეს მოსწავლეს საშუალებას გამოავლინოს მიღწევების მაღალი საფეხურიც.

ისტორიის დარგობრივ სფეროში შეფასების უფრო მეტად გავრცელებული ფორმებია:

წერიტი გამოცდა, რომელიც შესაძლოა მეტ-ნაკლებად დამუშავება და განვითარება. წერიტი გამოცდის გამოყენება შესაძლებელია შუალედური შეფასებისას, დასასრულს ან კიდევ უფრო ხშირად. ჩვეულებრივ სტუდენტები უპასუხებენ დასმულ კითხვებს, აკეთებენ ტექსტების კომენტირებას, ან წერენ თემას. წერიტი გამოცდა შესაძლოა იყოს საკმარისად მოკლე ან გაგრძელდეს რამდენიმე საათი.

ქვიზები (ტესტირება), რომელიც არის მარტივი, მაგრამ ასევე სწრაფი და მეტად მეტად ობიექტური გამოსავლენად რამდენად ფლობს სტუდენტი განსაზღვრულ ფაქტობრივ ინფორმაციას. ქვიზები არის „მოკლე-პასუხი“ ან „მრავალ პასუხიდან ამორჩევითი“ და არც თუ ძალიან გამოიყენება ისტორიის სწავლებაში, მხოლოდ საწყის საფეხურზე გამოიყენება სტუდენტის ცოდნის გაგებისათვის.

რიგ სისტემებში *ზეპირი გამოცდა* უფრო გავრცელებულია, ვიდრე წერიტი, ან გამოიყენება ექსკლუზიურად.

სტუდენტებს შესაძლოა მოეთხოვოს წამოადგინოს წერიტი ან ზეპირი ანგარიში დაფუძნებული სპეციფიკურ კითხვაზე ან შეზღუდული სახის კვლევითი დავალება. ანგარიში ფასდება და შეფასება ჩვეულებრივ გათვალისწინებულია სასწავლო ერთეულის საბოლოო ნიშანში/შეფასებაში. რიგ შემთხვევებში, მთელი საკურსო სამუშაო შესაძლოა შედგებოდეს ერთი

ან მეტი ზეპირი ან წერითი ანგარიშისაგან და შეფასება შესაბამისად, წარმოადგენს საბოლოო შეფასებას მთლიანობაში. რიგ ტრადიციებში ანგარიშს აქვს კოდიფიცირებული სქემა რომელის შესაბამისად უნდა განხილულ იქნეს არგუმენტები (საფრანგეთი). სხვა ქვეყნებში ფორმები უფრო თავისუფალია (ჩვეულებრივ განსაზღვრულია მოცულობა), თუმცა ზოგადი ინდიკატორები შესაძლებელია მოგვეცნ. ანგარიშები ფასდება შინაარსის საინტერესობისა და სიზუსტის მიხედვით და, როგორც წესი, ეფუძნება სათქმელის გამოთქმის სიცხადეს, ეფექტურობას და სიზუსტეს, თუმცა შესაძლებელია ეს კრიტერიუმები დადგენილი არ იყოს.

დისკუსიებში თანამონაწილეობა: ბევრ „სწავლების ფორატში“ იდენტიფიცირებული #2 პუნქტის ქვეშ, სტუდენტები არიან წახალისებულნი დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, კითხვების დასმა, კომენტარების ფორმულირება ან ინფორმაციის გაცვლა. დისკუსიის სტილი სხვადასხვა ქვეყანაში (ასევე სხვადასხვა მასწავლებელთან) საკმარისად მრავალფეროვანია. რიგ შემთხვევაში, დისკუსიაში მონაწილეობას მეტი ყურადღება ენიჭება; სხვა შემთხვევებში, დისკუსიის შეფასება გამოიყენება მხოლოდ როგორც სტუდენტის დაინტერესებისა და მომზადების ზოგადი მაჩვენებელი და ინტეგრირდება გამოსდისა და ანგარიშის შედეგთან; სხვა შემთხვევებში, საკლასო დისკუსიებზე დაფუძნებული შეფასებას სპეციალურად თავს არიდებენ, რათა წახალისონ სტუდენტი საკუთარი აზრის გამოხატვისას იყოს მეტად თავისუფალი და ამდენად დისკუსიას უფრო თავისუფალი, გონებრივი იერიშის სტილისაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალიან მნიშვნელოვანი მეთოდი, როგორც სწავლა/სწავლებისა ასევე შეფასების, ეფუძნება თეზისებს, დისერტაციასა ან კვლევით ნაშრომს. რადგან ეს მეთოდი ცენტრალურია დარგობრივი სფეროსათვის, ჩვენ მას ქვემოთ ცალკე მოკლედ განვიხილავთ.

5. თეზისი, დისერტაცია და კვლევითი ნაშრომი

ზოგიერთი პირველი საფეხურის სტუდენტისათვის, მეტი მეორე და განსაკუთრებით ისტორიის მესამე საფეხურის ყველა სტუდენტისათვის, კვლევითი თეზისის ან დისერტაციის დაწერას აქვს ფუნდამენტური როლი როგორც სწავლა/სწავლებაში, ასევე შეფასებაში. სამუშაოს ამ ნაწილის შესრულება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაზას სტუდენტისათვის, რამაც უნდა განავითაროს მაღალი ხარისხი და გამოიყენოს საქმიანობისას კომპეტენციები, რომლებიც თავში წინასწარ იყო ფორმირებული, სხვა კონტექსტებში. ამ აქტივობის მიზანია წარმოჩინდეს რომ სტუდენტის ფლობს კომპეტენციებს და შეუძლია პროფესიული ისტორიული კვლევის წარმოება და განვითარება ან დახვეწა ამ კომპეტენციების. თანაბრად მნიშვნელოვანია, ეს კომპეტენციები, როგორც დარგობრივ-სპეციფიკური, ასევე ზოგადი, ინტეგრირდნენ და კოორდინირდნენ იმგვარად რომ შედეგად მიღებული ნამუშევარი იყოს ორიგინალური, კარგად სტრუქტურირებული, მეცნიერულად დაფუძნებული, დაწერილი ლინგვისტურად

გამართულად და თხრობითად და ორგანიზირებული დარგის კანონების შესაბამისად. თუმცა, ტექსტის მოცულობა და კვლევის სირთულის ხარისხი მკვეთრად ვარირებს, სწავლების საფეხურისა და ნაციონალური ან ინსტიტუციური ტრადიციის შესაბამისად, შეფასება ყოველთვის ითვალისწინებს, მეტ-ნაკლებად, ყველა ზემოთ აღწერილ კრიტერიუმს.

თეზისებისა და დისერტაციის შემთხვევაში, შეფასების მექანიზმები განისაზღვრება განსხვავებულ ნაციონალურ კონტექსტებში. სამუშაოს მოსამზადებლად შესაძლებელია არსებობდეს სპეციალური კომისია ან მხოლოდ მრჩეველი; იგივე ან სხვა მრჩეველი ან კომისია შესაძლოა იყოს პასუხისმგებელი საბოლოო შედეგის შეფასებაზე. დისერტაცია შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საჯარო დისკუსიით ან არა; საჯარო პრეზენტაცია და დისკუსია შესაძლოა იყოს ფორმალური ან იქონიოს გავლენა ფინალური შედეგის განსაზღვრაზე. რიგ ქვეყნებში კვალიფიკაცია მიენიჭებათ მიღწევების რიცხვით ინდიკატორებთან ერთად, დაფუძნებული საკურსო სამუშაოზე და/ან დისერტაციაზე; სხვაგან ეს არ გვხვდება.

მესამე საფეხური ჯერ განხილული არაა ისტორიის ჯგუფის მიერ, დასახულია თუნინგ III-ის ფარგლებში. აქ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გავამახვილოთ ყურადღება, რომ კვლევითი სამუშაოები, პირველი და მეორე საფეხურის თეზისები და დისერტაციები წარმოდგენილია უმრავლეს სისტემებში როგორც უმნიშვნელოვანესი კომპეტენციების ფორმირებისა და მათი მოქმედებაში შეფასებისათვის და რომ სადოქტორო დისერტაცია არის მსგავსი ტიპის ნაყოფი დიდ მასშტაბში.

6. სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების დაკავშირება სპეციფიურ კომპეტენციებთან

როგორც ზემოთ იქნა წარმოჩენილი, იმისათვის რომ გამოკვლეულიყო გზები, რომლებითაც დღეს ფორმირდება დარგობრივ-სპეციფიკური (და ზოგადი) კომპეტენციები ან მიდგომები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება ისინი ფორმირებულიყო, დარგობრივ სფეროს ჯგუფის წევრებმა ამოირჩიეს განსაზღვრული რაოდენობის დადგენილი კომპეტენციების სიიდან. ისინი გამოირჩინენ მათი აღქმადობის მნიშვნელოვანების საფუძველზე (გამოვიყენეთ თუნინგ I-ის კონსულტაციების შედეგები) პირველი ორი საფეხურისათვის და იმგვარად, რომ მოცული ყოფილიყო კომპეტენციების სხვადასხვა ტიპი. დარგობრივი სფეროს ჯგუფის წევრებს (თითოეულისათვის ორი კომპეტენცია) ეთხოვათ აღეწერათ თითოეული კომპეტენცია და განეხილათ გზები მათი აღქმის, სწავლებისა და შეფასების - ან თუ ასე არ ხდება, როგორ იქნებოდა კარგი სწავლება და შეფასება ნაციონალურ კონტექსტის გათვალისწინებით მომავალში. ანალიზის შედეგებმა აჩვენა ბევრი საინტერესო ასპექტი: პირველყოვლისა იყო შთამბეჭდავი ნახვა თუ როგორ კომპეტენციები ინტერპრეტირებული იყო განსხვავებულად განსხვავებულ ქვეყნებში და მეორე (ნაწილობრივ, როგორც შედეგი) როგორ სწავლა/სწავლების

სტრატეგიები განზრახული მსგავსი კომპეტენციების ფორმირებისათვის შესაძლოა ფაქტიურად საკმარისად განსხვავებული გამოვიდეს.

ორივე დაკვირვება გვაჩვენებს რომ, ტრანსპარენტულობის გარანტირებისათვის საჭიროა შეთანხმება გარკვეულ ტერმინსა და დეფინიციასზე.

კომპეტენცია #1	1. მიმდინარე მოვლენებს, პროცესებსა და წარსულს შორის ურთიერთკავშირის კრიტიკული გააზრება
სწავლების მეთოდი	სტუდენტების ფაქტებთან შეჯახება, რომ მიმდინარე მოვლენებსა და პრობლემებს აქვთ ისტორიული ფესვები, პრეცედენტები და/ან ანალოგიები; ჩვენება როგორ უნდა ფორმირდებოდეს ისტორიული დაბატები და არის დაკავშირებული მიმდინარე მოვლენებთან და პრობლემებთან; ხანდახან სასწავლო ერთეულები იგეგმება ამის გასაკეთებლად
სწავლა	ლექციებსა ან კურსებზე დასწრება, ბიბლიოგრაფიის კითხვა, მონაწილეობა ჯგუფურ დისკუსიებში, e-რესურსების გამოყენება, წერიტი სამუშაო ან პრეზენტაციების კეთება; ზოგ შემთხვევაში სპეციფიკური ისტორიული მოვლენების ან პროცესების შედარება თანამედროვეობის შესაბამისს მოვლენებთან ან პროცესებთან
შეფასების გზები	ეს კომპეტენცია გამჭოლია სწავლა/სწავლების აქტივობებისათვის და არ საჭიროებს დამოუკიდებელ შეფასებას; თუმცა როცა სპეციფიკური სასწავლო ერთეული ან აქტივობა მიმართულია ამ საკითხზე, იგი გაითვალისწინება

კომპეტენცია #2	სხვადასხვა პერიოდსა და კონტექსტში ისტორიული ხედვების განსხვავებულობის აღქმა.
სწავლების მეთოდი	ლექციები და ჯგუფში მუშაობები (დისკუსიები, ისტორიული ტექსტების მაგალითების წარმოდგენა)
სწავლა	ლექციებსა ან კურსებზე დასწრება, ბიბლიოგრაფიის კითხვა, მონაწილეობა ჯგუფურ დისკუსიებში, e-რესურსების გამოყენება, წერიტი სამუშაო ან პრეზენტაციების კეთება; განსხვავებულ პერიოდთან ან ორიენტირებთან დაკავშირებული ისტორიოგრაფიული ტექსტის შედარება და კონტექსტუალიზაცია
შეფასების გზები	წერიტი ან ზეპირი გამოცდა; პრეზენტაციისა და სადისკუსიო ჯგუფში ან სავარჯიშო კურსში ჩართულობის შეფასება

კომპეტენცია #2	კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი სპეციფიკური პერიოდის დეტალური ცოდნა
სწავლების მეთოდი	ლექციები, ჯგუფური სამუშაო, ველზე გასვლა
სწავლა	ლექციებსა ან კურსებზე დასწრება, ბიბლიოგრაფიის კითხვა, მონაწილეობა ჯგუფურ დისკუსიებში, e-რესურსების გამოყენება, წერიტი სამუშაო ან პრეზენტაციების კეთება; პერიოდთან დაკავშირებული ტექსტის კითხვა და კონტექსტუალიზაცია

შეფასების გზები	წერიტი ან ზეპირი გამოცდა; პრეზენტაციისა და სადისკუსიო ჯგუფში ან სავარჯიშო კურსში ჩართულობის შეფასება
-----------------	--

კომპეტენცია #5	წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნა
სწავლების მეთოდი	ლექციები, სავარჯიშო კურსები და/ან ტუტორიალები ისტორიის განსხვავებულ პერიოდებზე ან დიაქრონულ თემებზე;
სწავლა	ლექციებსა ან კურსებზე დასწრება, ბიბლიოგრაფიის კითხვა, მონაწილეობა ჯგუფურ დისკუსიებში, e-რესურსების გამოყენება
შეფასების გზები	წერიტი ან ზეპირი გამოცდა; პრეზენტაციისა და სადისკუსიო ჯგუფში ან სავარჯიშო კურსში ჩართულობის შეფასება

კომპეტენცია #12	სხვადასხვა ტიპის ისტორიოგრაფიული წერის ნორმების სწორად გამოყენებით, საკუთარ ენაზე წერის უნარი.
სწავლების მეთოდი	ისტორიოგრაფიული ტექსტების კითხვა და კომენტირება როგორც კლასში მასწავლებლის ასისტენტობით, ასევე დამოუკიდებლად
სწავლა	მოცემული წერიტი სამუშაოს შესრულება, განსხვავებული სახის ტექსტების შესრულება, როგორც ესეები, ასევე მიმოხილვები და შეჯამებები
შეფასების გზები	ტექსტებისა და ნაწერების კორექტირება და ზეპირი უკუკავშირი სტუდენტთან, მათი შედარება ნამუშევრის სასურველ შედეგთან
შენიშვნა	განსაკუთრებული პრობლემაა, ქვეყნებში სადაც ისტორიოგრაფიული ტექსტები ფართოდ იკითხება და ისწავლება არა-ადგილობრივ ენებზე, შესაბამისი თარგმანის მოძიება ისტორიული კონცეფციებისა და ტერმინებისათვის, რასაც მივყავართ კონცეპტუალურ სიცხადის პრობლემასთან

კომპეტენცია #14	ინფორმაციის განახლებადი ინსტრუმენტების, როგორცაა ბიბლიოგრაფიული და საარქივო საშუალებები, e-მასალები, ცოდნა და ფლობის უნარი
სწავლების მეთოდი	ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტების პრეზენტირება, ახსნა განსხვავებული ციტირების კრიტერიუმების, მიმოხილვების, სახელმძღვანელოების სიებით უზრუნველყოფა, სტუმრობა ბიბლიოთეკებსა და არქივებში, ჩვენება როგორ ვიპოვოთ მასალა ან საცავეები შენახული ელექტრონულად, სწავლება რომ გადამოწმების გარეშე წყაროს არ უნდა ენდო
სწავლა	სწავლა კეთებით, დავალებების შესრულება, წიგნებისა და სხვა მასალების (კატალოგებისა და საცავეების) პოვნა და გამოყენება, ელექტრონული მასალების პოვნა და ა.შ.
შეფასების გზები	სავარჯიშოების შედეგების შემოწმება, უკუკავშირი და რჩევები

კომპეტენცია #23	სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტრუმენტების (ლიტერატურული კრიტიკა, ენების ისტორია, ხელოვნების
-----------------	--

	ისტორია, არქეოლოგია, ანტროპოლოგია, სამართალი, სოციოლოგია, ფილოსოფია ა.შ) აღქმა და გამოყენების უნარი
სწავლების მეთოდი	ზოგი ინსტიტუცია უფლებას აძლევს ან სთხოვს სტუდენტებს აიღონ კურსები სხვა დისციპლინებში. სხვაგან, სტუდენტები იძენენ ცოდნას სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე ლექციებიდან და საკითხავი წიგნებიდან ან მომიჯნავე სფეროს სტატიებიდან. სწავლის ზოგი მიმართულებისათვის, სხვა დისციპლინების ინსტრუმენტები საჭიროა, როგორცაა რაოდენობითი მეთოდი
სწავლა	საკურსო სამუშაოებზე დამატება, მონათესავე დისციპლინების სტუდენტებთან გამოცდილების გაზიარება
შეფასების გზები	შეფასება მონათესავე დისციპლინაში გამოყენებული მეთოდების შესაბამისად, როგორცაა გამოცდა და სხვადასხვა სამუშაო ანტროპოლოგიასა და არქეოლოგიაში, ტესტები სტატისტიკისათვის და ა.შ. როცა ისტორიის კურსისათვის საჭიროა სპეციფიკური ინსტრუმენტები, ფასდება მათი ადეკვატური მოხმარების უნარი

კომპეტენცია #28	დარგის კანონიკის მიხედვით კვლევის შედეგების შესაბამისი ნარატიული ფორმით გამოსახვის უნარი.
სწავლების მეთოდი	მიცემული წერითი სამუშაოები, ვორქშოპები, სპეციალური, სახელმძღვანელო აქტივობები წერასა და რეფერირებაში, ინდივიდუალური მუშაობა
სწავლა	წერა (ჩანაწერები, კორექტურა)
შეფასების გზები	ნაწერები მომზადებული კურსისათვის გამართულია და არსებობს უკუკავშირი, დამამთავრებელი დისერტაცია ან თეზისი განიხილება და სწორდება საბოლოო პრეზენტაციამდე

მეორე საფეხური:

კომპეტენცია #9	უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი, ისტორიოგრაფიულ მეცნიერებაში აღიარებული პროფესიული ტერმინოლოგიისა და ტექნიკის გამოყენებით.
სწავლების მეთოდი	ენის კურსები და ლაბორატორიები, ისტორიის კურსები უცხო ენაში, ისტორიული წიგნების კითხვა სხვა ენებზე, ERASMUS მობილობა ან სხვა გამოცდილებები (მ.შ. ვირტუალური მობილობა)
სწავლა	გრამატიკული და ლექსიკური სწავლა და პრაქტიკა; პრაქტიკა საუბარში, ზეპირი პრეზენტაცია და დისკუსია, მოთხოვნილი ენით უცხოელ სტუდენტებთან მუშაობა, ვიდეოკონფერენციები
შეფასების გზები	ზეპირი გამოცდები, პრეზენტაციებისა და დისკუსიებში ჩართულობის შეფასებები
შენიშვნა	ეს კომპეტენცია არის განსხვავებული მოცულობის სხვადასხვა ქვეყანაში

კომპეტენცია #15	შესაბამისი პერიოდის დოკუმენტების შესწავლისთვის აუცილებელი სპეციფიკური ინსტრუმენტების ცოდნა და გამოყენების უნარები (პალეოგრაფია, ეპიგრაფია).
სწავლების მეთოდი	საზოგადოდ, სავარჯიშო კურსებზე გამოიყენება ორიგინალური დოკუმენტები, ასევე სწავლობენ შესაბამის ენებს და სხვა ინსტრუმენტებს, კურსები ტექსტის ანალიზში, გამოსახულების ანალიზში და ა.შ.
სწავლა	საანალიზო დოკუმენტებისა, სხვა წყაროებისა და ობიექტების კითხვა, დაკვირვება, სწავლა როგორ არიან ნაწარმოები და დაცულნი; ინფორმაციის რომელსაც ისინი გვაწვდიან შეფასება და კოტექსტუალიზაცია
შეფასების გზები	შეფასება ეფუძნება ზუსტ ტრანსკრიფციასა და ინტერპრეტაციის ხარისხს.

კომპეტენცია #22	მსოფლიო ისტორიის ცოდნა
სწავლების მეთოდი	ლექციები, ვორქშოპები
სწავლა	ლექციებზე დასწრება და მოცემული ბიბლიოგრაფიის კითხვა სხვა კონტინენტების ისტორიულ ხალხებსა და გლობალურ პროცესებზე; ვორქშოპები
შეფასების გზები	წერთი და ზეპირი გამოცდები; ანგარიშების, პრეზენტაციებისა და დისკუსიებში ჩართულობის შეფასება

კომპეტენცია #25	ისტორიოგრაფიული ცოდნისა და მსჯელობის გასამდიდრებლად გამოსადეგი კვლევის თემატიკის დასახვის უნარი
სწავლების მეთოდი	კვლევითი სემინარები და ინდივიდუალური ხელმძღვანელობა
სწავლა	მონაწილეობა სემინარებსა და სამეცნიერო კონფერენციებში; მომზადება და არჩევა თემების, ბიბლიოგრაფიების კომპილაცია, წყაროების მიმოხილვა
შეფასების გზები	პროექტის ტუტორ/ხელმძღვანელისა და სტუდენტების მიერ შეფასება

კომპეტენცია #26	კვლევითი პროექტებისათვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ზეპირსიტყვიერება ა.შ) იდენტიფიცირებისა და გამოყენების უნარი
სწავლების მეთოდი	კვლევითი სემინარები და ინდივიდუალური ხელმძღვანელობა, ჯგუფური მუშაობა და მცირე სავარჯიშო კურსები ტიპოლოგიისა და მეთოდოლოგიის სპეციალურ წყაროებზე
სწავლა	სპეციალური წყაროების კრიტიკული შეფასება, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში; წყაროების კომენტირება და კრიტიკა
შეფასების გზები	ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების შესრულების შეფასება

კომპეტენცია #29	დარგის კრიტიკული კანონების შესაბამისად, ტექსტებისა და დოკუმენტების სწორად კომენტირების, ანოტირების და რედაქტირების უნარი
სწავლების მეთოდი	სტუდენტებსათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტისა და ტექსტის გამოცემების კარგი მაგალითების ჩვენება და ახსნა
სწავლა	სწავლა კეთებით: ტექსტის ან დოკუმენტის გამოსაცენად მომზადება, შესაბამისი სამეცნიერო ატრიბუციით
შეფასების გზები	კვლევითი სტანდარტების შესაბამისობის შეფასება, უკუკავშირი სტუდენტთან და სხვა სტუდენტების ნამუშევრებთან შედარება

კომპეტენცია #30	ისტორიის დიდაქტიკის ცოდნა
სწავლების მეთოდი	ლექცია, სემინარი, პრაქტიკა
სწავლა	განათლების მეცნიერებების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლა, როგორც დაკავშირებული ისტორიასთან; კურსების დაგეგმა (კოგნიტური რუკა), სასწავლო მასალები, მ.შ. მულტიმედიური; პრაქტიკული სავარჯიშოები კლასებსა და სკოლებში; სავარჯიშოები დიდაქტიკაში მუზეუმებისათვის
შეფასების გზები	ზეპირი გამოცდა, პრეზენტაციისა და სასწავლო პრაქტიკის მიღწევების შეფასება, თვითშეფასების ჟურნალი, ერთობლივი შეფასება ხელმძღვანელის როლში მყოფ სკოლის მასწავლებლებთან ერთად
შენიშვნა	ამ კომპეტენციას აქვს განსხვავებული მოცულობა სხვადასხვა ქვეყანაში: ზოგ ქვეყანაში პედაგოგიკა ან დიდაქტიკა ისწავლება განცალკევებულად დარგობრივი კურსისაგან; სხვაგან სასწავლო ასპექტები არის ისტორიის კურიკულუმის ნაწილი

7. დასკვნა

თუნინგ I-ის ბევრმა ნაჩვენებმა თუ ნავარაუდებმა მიგნებამ პოვა დადასტურება თუნინგ II-ში. სასარგებლოა კიდევ ერთხელ ფორმულირება სქემატურატურად შემდეგის:

1. თითოეული ნაციონალური სისტემა შესაძლებელია და უნდა დანახულ იქნას როგორც ჰარმონიული მთელი, სადაც წესრიგი, შინაარსი, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდები ურთიერთდაკავშირებულია.

2. ყველა სისტემა თანხმობაშია ისტორიის შესწავლა-სწავლა-სწავლების ზოგად ეთიკურ და ევრიტიკულ საფუძვლებთან და მიზანი აქვთ წახალისონ კრიტიკული ისტორიული პერსპექტივა თავიანთ სტუდენტებში. დარგობრივი სფეროს ეს ასპექტი არის შეჯამებული ყოვლისმომცველ კომპეტენციებში, რომლებიც ჩვენ ვაჩვენებთ საფეხურის მახასიათებლებში, მოცემული თუნინგ I-ში.
3. შინაარსი (ფაქტობრივი ცოდნა) და წესრიგი, რომლითაც შინაარსის სწავლაა ორგანიზებული თითოეულ ნატინალურ სისტემაში ძალიან ბევრია. მიუხედავად ამისა, შედარება და ტრანსპარენტულობა არის შესაძლებელი კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.
4. ისტორიის სწავლებამ შესაძლოა შექმნას ბაზისი ბევრი სხვადასხვა პროფესიისათვის, ყველა ნათლად არაა დაკავშირებული დარგობრივ სფეროსთან. ზოგი დარგობრივ-სპეციფიკური კომპეტენცია არის საინტერესო და სასარგებლო ყველა მოქალაქისათვის; და ზოგი ზოგადი საკვანძო კომპეტენცია ეფექტურად ფორმირდება ისტორიის შესწავლის გზით.
5. სხვა დარგები და კომპეტენციები (დაკავშირებული საკუთარი ენის შესწავლასთან, სხვა ენებთან, ისეთ დაკავშირებულ დისციპლინებთან, როგორცაა ფილოლოგია, გეოგრაფია, არქეოლოგია, სოციალური მეცნიერებები ა.შ.) უმნიშვნელოვანესია ისტორიკოსის ფორმირებისათვის და უფრო მეტიც კრიტიკული ისტორიული მენტალობის ფორმირებისათვის და, აქედან გამომდინარე, უნდა შედიოდნენ ისტორიის შესწავლის პროგრამებში.
6. დარგობრივ-სპეციფიკური კომპეტენციები და ფასეული ზოგადი კომპეტენციები, რომლებსაც ქმნის ისტორიის შესწავლა შესაძლებელია სრულად განვითარდეს თუ სტუდენტი რეგულარულად ეცნობა ორიგინალურ წყაროებს და პროფესიონალურ ისტორიულ კვლევებს. შინაარსის სახელმძღვანელოების დონეზე სწავლება არაა წახალისებული ან არ იძლევა სასურველი კომპეტენციების ფორმირების საშუალებას.

ძირითადი მიგნებები ჩამოთვლილია ზემოთ, ანალიზი წარმოებული თუნინგ II, სადაც ისტორიის უმაღლესი განათლება ცდილობდა - ან უნდა ცდილიყო - მოეხდინა დარგობრივ-სპეციფიკური და ზოგადი კომპეტენციების განისაზღვრა როგორც მნიშვნელოვანი ნაყოფი და შედეგები. მართალია, რომ ძირითადი მეთოდები სწავლა/სწავლებისა და შეფასების შესაძლებელია აღიწეროს როგორც ვარიანტები უნივერსალურად გამოყენებული ტიპოლოგიები (ლექცია, სემინარი, წერიტი გამოცდა, ზეპირი გამოცდა..).

ტრადიცია და პრაქტიკა სპეციფიკური ერთი ან რამდენიმე ნატინალური სისტემისათვის შესაძლოა სრულიად არ იყოს სხვა სისტემაში. ცოდნის გაზიარებამ და გაგებამ სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების

შესახებ შესაძლოა მნიშვნელოვანი სასგებელი მოიტანოს. საზოგადოდ, სხვა დარგობრივი სფეროების მიმართ პატივისცემით, ისტორიის საგნობრივი ჯგუფი სთავაზობს განსაკუთრებულ გამოცდილებას არა მარტო საკუთარი კომპეტენციების ფორმირების, როგორცაა „პროცესებისა და მოვლენების განაწილება ქრონოლოგიურ ჩარჩოში“, ასევე ზოგადთან დაკავშირებულ კომპეტენციებს, როგორცაა „სხვადასხვა წყაროდან ინფრომაციის შეგროვებისა და ინტეგრირების უნარი“, „მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურულობის შეფასება და პატივისცემა“. ეს ცოდნა შესაძლებელია გავიზიაროთ და სხვა შემთხვევებშიც ყველა სტუდენტი, ვინც იღებს სასწალო ერთეულს ისტორიაში, მიუხედავად იმისა რომ მათი აკადემიური ხარისხი შესაძლოა სხვა დარგობრივ სფეროში იყოს, მიიღებენ უპირატესობას ისტორიაში ზოგადსაკვანძო კომპეტენციების ფორმირებაში.

მეორე მხრივ, ისტორიის შესწავლა ყოველთვის არაა ისე ორგანიზებული, რომ წაახალისოს ზოგი სხვა ზოგადი კომპეტენციების ფორმირება, რომელთა გამოყენება შესაძლებელია დასჭირდეთ ისტორიის კურსდამთავრებულებს, როგორც თავიანთ პროფესიაში, ასევე განსაკუთრებით ინტერპერსონალური უნარებში. მაგალითად, ისეთები როგორცაა „გუნდური სამუშაო“, „გადაწყვეტილების მიღება“, „სხვა დისციპლინის ექსპერტებთან კომუნიკაცია“ და ა.შ. შესაძლებელია ძალიან მნიშვნელოვანი სხვა დარგობრივი ჯგუფისათვის, აქ ხშირად იგნორირებულია ან იყოს მხარდაჭერილი ისტორიის სწავლებაში.

შესაბამისად, ისტორიის კურსდამთავრებულებსა და ისტორიის შესწავლას დიდი მოგება ექნებათ, თუ სწავლა/სწავლებისა და შეფასების ინოვაციურ მიდგომებს აიღებენ და დანერგავენ. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება შესაძლებელია დარგობრივი სფეროს შიგნით და განსაკუთრებით, ადაპტირება და მომხარება სხვა დარგობრივი სფეროებიდან იქნება მნიშვნელოვანი ამოცანა მომავალში.

მომზადებულია ანა კათერინ ისააკს მიერ

3.5.2 საექთნო საქმე

*კარგი სწავლება ნიშნავს, რომ მასწავლებელი, ისევე როგორც მისი სტუდენტი, ასევე სწავლობს.
Boyer 1990:23-4*

არსებობს საექთნო საქმის სწავლების, სწავლისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებული კარგად განვითარებული მონაცემები საილუსტრაციო ტექსტების სახით, რომლებიც წიგნის ამ თავის ბოლოშია მოცემული. ბოიერის (Boyer) ტიპოლოგია შეიძლება მივუსადაგოდ საექთნო საქმეს, რამდენადაც ის ოთხი ტიპის მეცნიერულ მიდგომას გულისხმობს: აღმოჩენა/კვლევა, ინტეგრაცია, გამოყენება/მომსახურება და თავად სწავლება. საექთნო საქმის სტუდენტები, რეგისტრაციის მიღებამდე თუ მის

შემდეგ, განმარტებიდან გამომდინარე, უკვე ზრდასრული მოსწავლეები არიან, რომლებიც სწავლობენ აკადემიური/პროფესიული პროგრამით, რაც როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის მიღებას ნიშნავს, და უზრუნველყოფს რუტინულ და მოულოდნელ სიტუაციებში პროფესიულ ქცევასა და მიდგომას. პედაგოგიური ცოდნა მოიცავს ანდრაგოგიკასთან დაკავშირებულ კონცეფციებსა და კვლევას, გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას, სამუშაოზე ორიენტირებულ სწავლებას, ორგანიზაციულ კულტურასა და სწავლას, გადაწყვეტილების მიღებას, ლიდერის თვისებების გამომუშავებას, სწავლის სოციალურ ფსიქოლოგიას, ღირებულებებს, ეთიკურ და ემოციურ განსწავლულობას.

სწავლისადმი განსხვავებული მიდგომები აისახა კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების ფორმატში, მაგალითად, კოგნიტური, ქცევითი, კონსტრუქციული და პოსტმოდერნისტული მიდგომები საექთნო საქმისა და მისი სწავლებისადმი. კომპეტენციის მიღების თეორიები, კლინიკაში გადაწყვეტილების მიღება, მენტორობა, ექსპერტთა პრაქტიკა (Benner), კონკლუდენტური ცოდნა (Polanyi) და რეფლექსია (Schon, Johns, Gibbs) ფართოდ არის გავრცელებული. საექთნო საქმეში გამოყენებული თეორიები ასევე მოიცავს სწავლის ბლუმის (Bloom) კოგნიტურ ტაქსონომიას, შტაინაკერისა და ბელის (Steinaker & Bell) ტაქსონომიას, დრეიფუსისა და ბენერის (Dreyfus & Benner) სამუშაოს ექსპერტიზის განვითარების თაობაზე. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სწავლების კოლაბორაციულ სტილებს, განსაკუთრებით მეორე საფეხურზე. რეგისტრაციის პროგრამის სულ მცირე 50% პრაქტიკაზეა ორიენტირებული – ამის გათვალისწინებით უდიდეს მნიშვნეობას იძენს იმის გაცნობიერება, თუ როგორ სწავლობენ სტუდენტები პრაქტიკის დროს. ტიპურია ბენერის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც I ჩარჩოშია მოცემული.

I ჩარჩო ბენერი 1984. განვითარების მოდელი

ბენერმა ჩაატარა კვლევა დრეიფუსის მოდელის (1981) გამოყენებით, რომლის მიხედვითაც უნარის გამომუშავებისა და განვითარების პროცესში სტუდენტი 5 ძირითად სტადიას გადის:

- დამწყები;
- გარკვეული გამოცდილების მქონე დამწყები ;
- კომპეტენტური;
- პროფესიონალი;
- ექსპერტი.

ეს ეტაპები ასახავს უნარების განხორციელების 3 ძირითად ასპექტს:

- 1) აბსტრაქტული პრინციპების ნდობიდან პარადიგმების ფორმატში არსებული კონკრეტული გამოცდილების გამოყენებამდე;
- 2) სწავლების მონაკვეთებიდან კომპლექსურ მთლიანობამდე და იმავდროულად მნიშვნელოვან კომპონენტებზე ყურადღების გამახვილება
- 3) ნეიტრალური დამკვირვებლიდან მოტივირებულ შემსრულებელამდე

**ბლუმის კოგნიტური ტაქსონომიის მაგალითი:
მისადაგებული წამლების თეორიულ კვოდნასა და გაცნობიერებასთან**



მე-6 დონე: ღირებულება	დასკვნების გაკეთება, დაცვა და გადაწყვეტილების მიღება. <i>ხვდება რა, რომ პაციენტს ტკივა, გადახედავს წამლების ჩამონათვალს და პაციენტის დიაგნოზის გათვალისწინებით, ირჩევს შესაბამის წამალს. ეფექტის მიხედვით სთავაზობს თერაპიის მოდელის შეცვლას.</i>
მე-5 დონე: სინთეზი	დასკვნების გაკეთება, კავშირების პოვნა, შედარება. <i>პაციენტი უჩივის თავბრუსხვევას, განსაკუთრებით ლოგინიდან წამოდგომის დროს. სინჯავს პაციენტს და ადგენს, რომ შესაძლოა ორი პარალელურად მიღებული წამლის ურთიერთქმედება იწვევს პაციენტის ამ მდგომარეობას.</i>
მე-4 დონე: ანალიზი	მთლიანის ნაწილების პოვნა და მათ შორის კავშირების დადგენა, კრიტიკა და შედარება. <i>ამოწმებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას და წამლების რეჟიმს და შეუძლია ამ კონკრეტული პაციენტის შემთხვევაში მედიკამენტოზური თერაპიის საჭიროების ახსნა.</i>
მე-3 დონე: გამოყენება	დემონსტრირება, ახსნა, ცოდნის გამოყენება. <i>სტეროიდების ზემოქმედების ცოდნა საშუალებას აძლევს სტუდენტს აუხსნას პაციენტს ამ წამლების მიღების დროს გლუკოზის დონის შემოწმების აუცილებლობა.</i>
მე-2 დონე: გაცნობიერება	ცოდნის გამოხატვა საკუთარი სიტყვებით, ახსნა, განსხვავებების ჩვენება. <i>შეუძლია განსაზღვროს განსხვავება კალიუმის შემცველ და ჩვეულებრივ დიურეტიკებს შორის.</i>
პირველი დონე: საბაზისო ცოდნა	დეფინიცია, განსხვავდება, ამოცნობა. <i>შეუძლია ხშირად ხმარებადი მედიკამენტების ჩვეულებრივი თერაპიული ფარგლების დადგენა.</i>

დიფერენცირების კონცეფცია ძალიან მნიშვნელოვანია საექთნო საქმეში, იძლევა რა რეალურ ცხოვრებაში პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან უსაფრთხო მუშაობის საშუალებას. ამის გამო ვცდილობთ დავასაბუთოთ და დავიცვათ საჭიროა უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირველი დონის ქვედონის არსებობის აუცილებლობის იდეა, რომ ეს კომპეტენცია იქნეს მიღწეული. სწავლის ბევრი ტიპოლოგია არ ითვალისწინებს შეგირდობის და სახელობო უნარების მნიშვნელობას, რაც ხშირად ფუძემდებლურია პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლისათვის.

სწავლისა და სწავლების მოდელები

პროექტში მონაწილე 13 ქვეყანაში საექთნო საქმის სწავლების ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად სწავლებისა და სწავლის უამრავი მოდელის არსებობისა, მათი გამოყენება განსხვავებულია და დამოკიდებულია არსებულ რესურსებსა და სტუდენტის დონეზე (იხ. I სურათი). ჩვეულებრივ არსებობს 1) ინსტრუქციის ტრადიციული მეთოდები, 2) ქცევითი და ინსტრუქციული მეთოდები, 3) კონსტრუქციული მოდელები და 4) კოლაბორაციული მიდგომები სწავლებისადმი. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად ნაკლები ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ სწავლას, სწავლას სამუშაო ადგილზე და ამ სფეროში არსებულ კვლევასაც ნაკლებად ითვალისიწნებენ. ტრადიციული მოდელი – ანუ შეგირდობის მოდელი – კვლავინდებურად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ექთნების განათლებაში. ეს მეთოდები რელევანტურია უსაფრთხო პრაქტიკის განვითარებისათვის, მაგალითად, პაციენტის უსაფრთხო მოვლისა და სამედიცინო პროცედურების ჩატარების სწავლისას. ხელობის ცოდნა ხშირად ტრადიციულად გადაეცემა და ხორციელდება სამუშაო ადგილზე, სადაც როლური მოდელირება და ტრენინგი მეტ მნიშვნელობას იძენს – ეს მართებულია როგორც დამწყებებისათვის, ასევე ექსპერტებისათვის.

ბევრი პირველი საფეხურის პროგრამა მეტ ყურადღებას უთმობს კოლაბორაციულ სასწავლო მიდგომას, როგორც ეს გამოკითხვებმა აჩვენა. ქცევითი, ინსტრუქციული და კონსტრუქციული მოდელები ხშირად გამოიყენება პედაგოგიური უნარების განვითარებისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, მეორე საფეხურის პროგრამებში აღინიშნება სწავლის კონსტრუქციულ და კოლაბორაციულ მოდელებზე აქცენტირების ტენდენცია.


მოდელი/საფეხური	I.	II
1. ტრადიციული		
2. ქცევითი/ინსტრუქციულ		
3. კონსტრუქციული		
4. კოლაბორაციული		

I სურათი

პირველი და მეორე საფეხურის კურიკულუმში სწავლის ოთხი მოდელის
გაწონასწორების თეორიული კონცეპტუალიზაცია

როდესაც ადამიანური და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია, იზრდება მცირე ჯგუფებში მუშაობის ტენდენცია და ასისტენტების გამოყენების სიხშირე. ბოლო წლებში აღინიშნება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ზრდის ტენდენცია, ვებზე დაფუძნებული სწავლების ჩათვლით. პრაქტიკული უნარების განვითარება ხშირად ხდება დაკვირვების, დემონსტრირების, სიმულაციის, როლური თამაშის და რეალური კლინიკური პრაქტიკის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში არსებობს პრაქტიკის პრობლემა, კერძოდ გართულებია სტუდენტების ზედამხედველობა კლინიკაში. ცხადია, არსებობს კლინიკური პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის, ასევე ვირტუალური პრაქტიკისა და სიმულაციების განვითარებისათვის, რესურსების შესაბამისად გადანაწილების მცდელობა.

კრიტიკული უნარების გამომუშავება ხორციელდება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებით და ქმედებაზე დაფუძნებული სწავლებით. როლური თამაში და სწავლის სხვა მოდელები (მაგალითად, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა) გამოიყენება მაგალითად, კომუნიკაციის უნარების განვითარებისათვის, პაციენტებისა და კლიენტების მოთხოვნილებებისადმი სტუდენტთა ყურადღების გამახვილებისათვის (მაგალითად, ე.წ. „ბრმა“ სიარული); უნარებისა და ემოციების გამოხატვისათვის (უარყოფითი ინფორმაციის მიწოდება); გადაწყვეტილების მიღება და პრიორიტეტების გამოყოფა (თამაშები და სიმულაციები). ინტერპროფესიული სწავლა სულ უფრო ხშირად გვხვდება და საკუთარ მეთოდოლოგიას ივითარებს (Barr 1998). ტრენინგის საჭიროების ანალიზი, კომბინირებული სამუშაო ძალის მიმოხილვასთან და უნარების ანალიზთან, ხშირად გამოიყენება საგანმანათლებლო და ტრენინგის საჭიროების განსაზღვრისათვის, კერძოდ, მაღალ საფეხურზე სწავლებისას. გთავაზობთ ტიპურ მოდელს:



ტრენინგის საჭიროების ანალიზი
ადაპტირებულია Spilsbury M 1995 Measuring the Effectiveness of Training.
IES, Brighton, Figure 3.1. p.12.

სწავლების პირობები/მეთოდებ ი იხ. წყაროები განმარტებისათვის	თუნინგის პროექტში მონაწილე დეპარტამენტების მიერ სწავლების მეთოდების ტიპური გამოყენება: ხშირად (frequently-F) / ხანახან (sometimes-S) / იშვიათად (rarely-R)												ექთნობისათვის თქვენს ქვეყანაში გამოყენებული მნიშვნელობა (ან მიუთითეთ წყარო – იხ. III დანართი)	
	B	D	F	G	H	I	M	Ne	No	Sk	Sp	UK		
ლექციები	F	F	F	S	F	F	F	F	F	F	F	F	F	მასწავლებელი უძღვება ლექციას – ინფორმატიულია
ტუტორიალი	S	F	F	F	S	F	S	S	S	F	F	F	F	მასწავლებელი ახა- ლისებს გარკვეულ საკითხთან დაკავ- შირებულ ინტერაქ- ტიურ სწავლებას ერთ ან რამდენიმე სტუდენტთან
მცირე ჯგუფები	F	F	F	F	F	F	S	S	F	F	F	F	F	დამოკიდებულია კურსსა და სტუდენ- ტთა რაოდენობაზე
სწავლება დიდ ჯგუფებში	S		S	R	F	F	F	F	F	F	F	F	F	
პრაქტიკა	F		*	*	F	F	S	S	F	F	F	F	F	პრაქტიკული უნარე- ბის გამომუშავება არა კლინიკურ გარემოში
პრაქტიკა კლინიკაში	F	F	S	*	F	S	F	F	F	F	F	F	F	საექთნო გამოცდილება
ლაბორატორიული სამუშაო	F	S	*	*	F	F	*	*	F	S	F			სამეცნიერო ლაბო- რატორიების გამოყე- ნება ექსპერიმენტუ- ლი კვლევისათვის
კითხვა	S	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	
მიმართული სწავლება	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	F	მომზადებული სამუშაო მოცემულ საკითხზე
სასწავლო წიგნი	F	F	S	R	F	S	F	F	S	F	F	S	S	სრუქტურირებული თეორიული დავალბები წერით ფორმატში
დისკუსია	F	F	F	F	F	F	S	S	F	F	F	F	F	იდების ზეპირი გაცვლა
დებატები	S	F	F	F	F	S	S	S	F	F	S	S	S	იდების წარდგენა და დაცვა
როლური თამაში	F	S	R	R	F	R	S	S	S	S	F	F	F	მონაწილეობის მიღება
სიმულაცია	F	R	R	R	F	R	S	S	S	S	F	F	F	„არარეალური“ სი- ტუაციების პრაქტიკა
დაკვირვება	S	R	S	R	F	R	S	S	S	S	S			
ვიზიტები	S		R	S	F	S	S	S	S	F	S	S	S	ინსტიტუტების, დეპარტამენტების
პრობლემაზე ორიენ-	S	S	S	S	F	F	S	S	F	F	S	F	F	

ტირებული სწავლება													
ვირტუალური სწავლა	S	F	F	S	S	R	R	R	F	R	S	F	
კვლევაზე დაფუძნებული სწავლა	S		S	S	F	F	S	S	F	S	S	F	
პორტფოლიოს განვითარება	R	S	S	S	F	F	F	F	F	S	S	F	
ინტერპროფესიული სწავლა	F	S	S	S	F	F	S	S	F	F	F	F	ორი ან მეტი პროფესიული დისციპლინის ერთდროული შესწავლა
სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში	S		F	F	F	S	F	S	F	S	R	F	
ელექტრონული სწავლა	S	S	F	S	S	R	R	S	F	S	S	F	
დისტანციური სწავლა	R	R	F	R	S	R	R	R	F	S	R	R	
სწავლა აღმოჩენებით	R		S	S	S	S	S	S	F	S	S	R	
სწავლა გამოცდილებით	F		F	F	F	S	S	F	F	F	F	F	
საინფორმაციო ან ვებ-ტექნოლოგიებზე დაყრდნობით	S	F	F	F	F		R	F	F	F	S	F	
ტრენინგი	F	F	F	F	F	F	S	F	F	F	F	S	
ზედამხედველობა	F	F	S	*	F	S	S	S	F	F	F	F	ზედამხედველობა კლინიკაში
თამაშები	S		R	R	F	R	R	R	S	S	R	R	
ინტერნშიპი	R		*	F	F	*	*		S	S	R	R	
კლინიკური სწავლება	F	F	R	*	F	S	S	F	F	F	F		
პრაქტიკანზე დაკვირვება	S	R	S	*	F	*	*	F	S	F	F	R	პრაქტიკანტზე დაკვირვება და მისი შეფასება
ვიდო/აუდიო ფირები	F	F	S	F	F	S	R	F	F	F	F	S	
დრამა	S	R	R	R	S	R	R	R	S	R	S	R	
სპეციალური სწავლება/პროექტები/დისერტაციები	F		F	F	F	F	F	F	S	F	S		სპეციალური პროექტი სწავლის ბოლო წელს

საექთნო საქმის შესწავლა პრაქტიკულ/კლინიკურ გარემოში

როგორც უკვე აღინიშნა, რეგისტრაციისათვის საჭირო პრაქტიკული პროგრამის სულ მცირე 50% მოიცავს კლინიკურ, ან სამუშაო პრაქტიკას. ეს გარემო ხშირად, როგორც კლინიკური სასწავლო გარემო აღიწერება: „კლინიკურ გარემოში ინტერაქტიური ძალების ქსელი, რომელიც სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევაზე გავლენას ახდენს“ (Dunn და Burnett, 1985). სხვადასხვა სახელით აღინიშნება ის კლინიციისტი, ვინც ასწავლის, ზედამხედველობს ან ეხმარება სტუდენტს საექთნო პრაქტიკის გავლაში. ეს მოიცავს მენტორობას, ტრენინგს, ზედამხედველობას, მასწავლებლობას, შეფასებას. არსებობს გარკვეული გაუგებრობა ტერმინოლოგიასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით როგორც

ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნის შიგნით. Simms (1993) გვთავაზობს, რომ პრაქტიკის დროს ზედამხედველობის შემდეგი როლები განვასხვავოთ:

პრაქტიკაში ზედამხედველის როლი (Simms, 1993)

სიმბოლო
კომუნიკატორი
დისციპლინატორი
მენტორი
მასწავლებელი
ის, ვინც უზრუნველზოფს შესრულებას
შემფასებელი
კოლეგა
როლის მოდელიორი
ადმიანი
ადვოკატი
გზამკვლევი
კონსულტანტი
გადაწყვეტილების მიმღები

კლინიკურ გარემოში სწავლის ხარისხზე პასუხისმგებლობა და როლები დანართშია აღწერილი.

ცხრილი აჩვენებს დაინტერესებულ მხარეთა კომპლექსურ ჩართულობას სტუდენტების სწავლისა და პრაქტიკის პროცესში და ასევე კომპეტენტური უწყებების როლს. რეგისტრაციის პროგრამის პირველ საფეხურზე სტუდენტის კლინიკური და პრაქტიკული განათლება მოწოდებულია დაეხმაროს მას სწავლის კურიკულუმის მიზნების, შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევაში, რომ მან შეძლოს საექთნო სამუშაოს პრაქტიკული განხორციელება. ზოგ ქვეყანაში არსებობს მოთხოვნები რეგისტრაციის შედმეგი დონისათვის, სპეციალიზაციის გათვალისწინებით (მაგალითად, ირლანდია).

არსებობს მნიშვნელოვანი დასაბუთება, რომ ხარისხი კლინიკურ სასწავლო გარემოში დამოკიდებულია სტუდენტებისადმი დამოკიდებულებაზე, ჯგუფში არსებულ განწყობაზე, უფროსი კლინიცისტების მენეჯმენტის სტილზე და სწავლისა და სწავლებისათვის დამხმარე რესურსების არსებობაზე. კლინიკური სასწავლო გარემოს აუდიტი შეიძლება განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიმწოდებლის (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი) მიერ, მარეგულირებელი ორგანოს ან ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ. ამ სიტუაციაში ტიპურია შემდეგი საკითხების გათვალისწინება (იხ. ცხრილი):

- კლინიკური პერსონალის რაოდენობა, გამოცდილება, კვალიფიკაცია და შემადგენლობა;
- პერსონალის მოტივაცია;
- კლინიკური პრაქტიკის კვლევა ან მტკიცებულებებზე დაფუძნება;
- პაციენტ/პერსონალის თანაფარდობა;
- საგანმანათლებლო ინსტიტუტსა და კლინიკის თანამშრომლებს შორის დამოკიდებულება;
- საექთნო მოვლის ფილოსოფია;
- სტუდენტთა სწავლის შესაძლებლობები და ზედამხედველობა;
- პერსონალის განვითარება;
- პაციენტთა მოვლის ხარისხი.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ჩვენ გამოვიყენეთ რეალური კურიკულუმის საკითხები უნგრეთიდან იმის საჩვენებლად, თუ როგორ დამოკიდებულებაშია სხვადასხვა სასწავლო თეორია ექთნობის პრაქტიკის განვითარებასთან. კურიკულუმის შემუშავების პრინციპი არა მარტო კულტურულ ფონს, არამედ საექთნო საქმის შემთხვევაში, აგრეთვე ქვეყანაში ექთნობის განვითარების მდგომარეობას, მის ადგილსა და კონტროლის მექანიზმებსაც ასახავს. ისტორიულად, საექთნო საქმე ბიოსამედიცინო მოდელის მიხედვით მუშაობს, ვიდრე მისი საკუთარი მოდელები და პრაქტიკის თეორიები განვითარდება. მოდელის შეცვლას თან სდევს პედაგოგიური მიდგომისა და შეფასების სტრატეგიების შეცვლა. კურიკულუმის განხორციელება ასახავს კურიკულუმის დიზაინს, ხელმისაწვდომ რესურსებს და მასწავლებლებისა და სტუდენტების შესაძლებლობებს. საექთნო საქმეში შეფასების სტრატეგიები პირველ საფეხურზე რეგისტრაციის პროგრამისათვის უნდა ასახავდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპეტენციებს. სხვადასხვა სტრატეგია გამოიყენება ცოდნის, უნარების, მიდგომებისა და პროფესიული ღირებულებების შეფასებისათვის. საჯარო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა პროგრამაში უნდა განისაზღვროს ძირითადი კომპონენტები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია პრაქტიკისათვის საჭირო რეგისტრაციის მიღებისათვის. შეფასების ეს სტრატეგიები მერყეობს თეორიის გამოცდიდან პრაქტიკის ეპიზოდების ჩათვლით უწყვეტ შეფასებამდე, და *viva voce* (ზეპირი გამოცდა), პორტფოლიო და პროექტებზე მუშაობა.

შემდეგი მაგალითი ეფუძნება პროექტს, რომელიც ბუდაპეშტის სემელვაისისის (Simmelweis) უნივერსიტეტის ჯანდაცვის კოლეჯში შემუშავდა. შესაბამისი უფლების მიღების შემდეგ, ეს მაგალითი დაემატა და ადაპტირებულ იქნა თუნინგის ჯგუფის მიერ. *იტალიკით* მოცემული კომენტარები მიუთითებს სწავლის, სწავლებისა და შეფასების შესაბამის თეორებზე.

ექთნების კლინიკური პრაქტიკის საგანმანათლებლო პროცესის ინსტრუქციები და მოთხოვნები, რომლებიც ეტაპობრივად უნდა განვითარდეს

პირველი დონე

დასაწყისში პრაქტიკის ოთახი უნდა აღიჭურვოს ისე, რომ გავდეს რეალურ გარემოს, შესაბამისი აპარატურის გამოყენებითა და აუდიო-ვიზუალური დემონსტრაციებით. საექთნო პროცედურები უნდა წარადგინოს უნივერსიტეტის მასწავლებელმა ასისტენტის დახმარებით (ხშირად ყოფილი წარმატებული სტუდენტი). აქ, პრაქტიკის ოთახში, სტუდენტები აკვირდებიან არა მარტო სრულ სამუშაო პროცესს, არამედ აგრეთვე მის ცალკეულ კომპონენტებს, რომლებსაც მასწავლებლის კომენტარი და სტუდენტსა და მასწავლებელს შორის ინტერაქცია სდევს თან. რთულ სავარჯიშოებს რამდენჯერმე იმეორებენ, რომ სტუდენტებმა ისინი კარგად აითვისონ.

ეს არის უნარების სწავლების კლასიკური მეთოდი, რომელიც ქცევით და ადამიანურ მიდგომებს აერთიანებს. მთელ პროცესს (gestalt) პირველად ნორმალური სიჩქარით აჩვენებენ, მერე ამატებენ ამ უნარის ლოგიკურად დაყოფილ კომპონენტებს და ეტაპებს. როდესაც ცალკეული კომპონენტები ნასწავლია, მაშინ პრაქტიკაში ხდება მთელი უნარის გავარჯიშება.

შტაინეკერისა და ბელის ტაქსონომიის დემონსტრირების დონე, რომელშიც როლების მოდელირება მასწავლებლის მიერ და დემონსტრირება გადაამწყვეტია. ბენერის მოდელის დამწყების დონე.

მე-2 დონე

უნარზე/აქტივობაზე დაკვირვების შემდეგ, პედაგოგის ზედამხედველობის ქვეშ, სტუდენტი ავარჯიშებს ინდივიდუალურ ელემენტებს. პრაქტიკა ხორციელდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე, უნარის მიხედვით. მასწავლებელი და უნარის წარმდგენი უწყვეტად ზედამხედველობენ სწავლის/პრაქტიკის პროცესს და აწვდიან სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას და დახმარებას.

ეს ასახავს შტაინეკერის და ბელის ტაქსონომიის მონაწილეობის დონეს. ტრენინგი ამ ეტაპზე ცხადია. აგარკვეული გამოცდილების მეორე დამწყები ბენერის მოდელში.

მე-3 დონე

ამ ეტაპზე სტუდენტი ასრულებს თავის აქტივობას, უნარსა თუ დავალებას უკვე სრულყოფილ ფორმაში. მინიმალური ზედამხოდველობაა საჭირო

დავალების უსაფრთხო და ეფექტური განხორციელებისათვის. სტუდენტმა ამ ეტაპზე უნდა შეძლოს საექთნო პროცედურების ინდიკატორებისა და კონტრინდიკატორების განსაზღვრა, ჩარევისათვის საჭირო აპარატურის შერჩევა, პაციენტის სომატური და ფსიქიური მომზადება და თავად პროცედურის ჩატარება. სტუდენტმა უნდა შეძლოს პრაქტიკული მაგალითის მართვა

პრაქტიკის ოთახში და მისი გამოცდაც ამ გარემოში უნდა მოხდეს.

ბენერის მიხედვით ამ ეტაპზე სტუდენტმა მიაღწია კომპეტენტურის დონეს და შტაინგერისა და ბელის მიხედვით – იდენტიფიკაციის დონეს. მიუხედავად პრაქტიკული კომპეტენციისა, სტუდენტმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს რეალურ სიტუაციაში ნამდვილ პაციენტებთან და პერსონალთან ერთად მუშაობა. ამ შემთხვევაში სტუდენტმა ჯერ არ მიაღწია რეალურ კომპეტენციას კლინიკურ გარემოში.

მე-4 დონე

ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარე კლინიკური პრაქტიკის პირობებში სტუდენტებმა უნდა ისწავლონ, პრაქტიკაში განახორციელონ, შეამოწმონ და შეაფასონ რეალური ცხოვრების საექთნო საქმიანობა და სიტუაციები. ამ ეტაპზე, პრაქტიკის ხელმძღვანელი (ზედამხედველი) ხელს უწყობს სტუდენტების მხრიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას (მაგალითად, მწოლიარე პაციენტის მოვლა). სტუდენტი შემდეგ ამტკიცებს ამ უნარს ზედამხედველობის ქვეშ და იღებს შესაბამის შეფასებას პრაქტიკის ხელმძღვანელისაგან. ამ დონეზე პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტის ყველა ქმედებას ესწრება.

სტუდენტმა უნდა აჩვენოს უსაფრთხო და ეფექტური მუშაობის უნარი. ეს შეესაბამება შტაინგერისა და ბელის ინტერნალიზაციის ეტაპს.

მე-5 დონე

ეს ბოლო ეტაპია, რომელსაც საბოლოო გამოცდა მოსდევს. ამ ეტაპზე სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, თუმცა ის კვლავინდებურად ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება და მისი სამუშაო მუდმივად ფასდება. კლინიკური პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან აითვისა ყოველდღიური რუტინული პროცედურები და უნდა აჩვენოს საექთნო საქმის შესაბამისი ცოდნა. სტუდენტის ქმედება მაქსიმალურად ზუსტი უნდა იყოს, ის უნდა აცნობიერებდეს საკუთარ კომპეტენციას და უნდა შეეძლოს სავარაუდო გართულებების თავიდან ასაცილებელი მეთოდების გამოყენება, იმდენად, რომ პრაქტიკის ხელმძღვანელმა შეიძლება ანდოს სტუდენტს ყოველდღიური რუტინული სამუშაოს ორგანიზება და როგორც პრაქტიკის ოთახში, ასევე რეალურ სიტუაციებში პაციენტების ინდივიდუალური მოვლა.

ამ ეტაპზე სტუდენტები მზად არიან პრაქტიკული სამუშაოსათვის და შესაბამისად რეგისტრაციისათვის. მათ შეუძლიათ საკუთარი თავის, როგორც ექთნის იდენტიფიცირება (შტაინგერი და ბელი) და უფრო წარმატებულ სტუდენტებს უმცროსების სწავლებაც კი შეუძლიათ (დისემინაციის ფაზა შტაინგერისა და ბელის მიხედვით). სტუდენტები შესაძლოა კვლავინდებურად კონკრეტულ კონტექსტში მუშაობდნენ, და უბრუნდებოდნენ წარსულში ნასწავლ მასალას, თუ ვერ შეძლეს კლიენტების სხვადასხვა ჯგუფზე ან კონტექსტზე კომპეტენციების გადატანა (ბენერი).

პრაქტიკული სწავლების ყველა დონე წარმოადგენს „კლინიკურ საექთნო პრაქტიკას“, სადაც აუცილებელია პრაქტიკის ხელმძღვანელის უწყვეტი აქტივობა და კონტროლი; სტუდენტის მარტო დატოვება არ შეიძლება. იმავდროულად ხელმძღვანელის ზედამხედველობის სტილი, სწავლება და

სტუდენტთა მხარდაჭერა ცვალებადია სტუდენტთა კომპეტენციის, კონტექსტისა და კლიენტის მოვლის სირთულის შესაბამისად. სწავლების მოდელები განსხვავებულია და აღწერილია როგორც ბენერის, ასევე შტაინაკერისა და ბელის მიერ.

შეფასება

პირველ საფეხურზე საექთნო საქმეში რეგისტრაციის პროგრამებში შეფასების სტრატეგიებმა უნდა უპასუხოთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენციების შეფასების საჭიროებას. შეფასების სტრატეგიების სპექტრი ასახავს ცოდნის, უნარების, თვისებებისა და პროფესიული ღირებულებების ასპექტებს. რამდენადაც კურიკულუმი შორდება ბიოსამედიცინო შინაარსს და ვითარდება სწავლის შედეგების/კომპეტენციების მიმართულებით, იცვლება შემფასებლის როლიც. მაგალითად, იცვლება სამედიცინო/სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის ხარისხი შეფასების პროცესში. შესაბამისად, თუ პროგრამა მოიცავს მნიშვნელოვან კომპონენტს სოციალური მეცნიერებებიდან, სტუდენტების სასწავლო პროცესში შეიძლება არა საექთნო პროფესიის მასწავლებლები მონაწილეობდეს, ისეთი როგორიცაა ეთიკის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები, თუ ამ კომპეტენციის ექთნები არ არიან. შესაბამისად, შეფასების ფოკუსი და ტიპი ასახავს მასწავლებლის ტრადიციებს. მაგალითად, აქცენტი დაავადების ორიენტაციაზე, სოციალურ სტრუქტურებზე, პიროვნებაზე ორიენტაცია საექთნო პრაქტიკის გავლით ან მის გარეშე. რამდენადაც პროგრამის აკადემიური ხასიათი იზრდება, შინაარსის შეფასება იცვლება კრიტიკული მიდგომებით და სცენარებზე დაფუძნებული შეფასებით. რამდენიმე ასეთი საილუსტრაციო მაგალითი მოცემულია I და II დანართებში.

I დანართი უნგრეთიდან წარმოადგენს ე.წ. ბიოსამედიცინო მიდგომას საექთნო საქმისადმი. ის მოიცავს კლინიკური შეფასების კრიტერიუმებს და კლინიკური პრაქტიკის შეფასებას მკაფიოდ გამოხატული სამედიცინო აქცენტებით. ამის საწინააღმდეგოდ, II დანართი ნორვეგიიდან გვიჩვენებს პრაქტიკული ექთნის ტრენინგის მიზნებს, ორგანიზაციასა და გამოყენებას. ეს მოდელი ასახავს უფრო თანამედროვე კურიკულუმს და ამოღებულია 2000 წლის იანვრით დათარიღებული დოკუმენტიდან „საექთნო საქმეში სამწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის გენერალური გეგმა და რეგულაციები“. 2004 წლის განახლებული ვერსია ინგლისურ ენაზე ჯერ არაა ნათარგმნი.

ზოგი საილუსტრაციო ტექსტი, გამოყენებული საექთნო საქმის სწავლასა და სწავლებაში

III დანართში მოცემულია რამდენიმე სამაგალითო ტექსტის ჩამონათვალი – ჩვენ ვეცადეთ სხვადასხვა ტექსტი გამოგვეყენებინა ინგლისურენოვანი ქვეყნებისათვის, რათა უფრო ფართო პერსპექტივა შეგვეთავაზებინა. წყაროების ეს ჩამონათვალი არ უნდა განიხილოს, როგორც რეკომენდირებული ლიტერატურა, უფრო მეტად ის წარმოადგენს მოცემული მასალის გადრმავებულ და გაფართოებულ ვარიანტს. ჩამონათვალი მოიცავს 1) კლინიკურ სწავლებაში სტუდენტების მიერ გამოყენებულ ტექსტებს, 2) თეორიულ სწავლებაში გამოყენებულ ტექსტებს, ისევე როგორც 3) საექთნო საქმის პედაგოგიკასა და დიდაქტიკის ტექსტებს. ტერმინების განმარტება მოცემულია დიდაქტიკურ ტექსტებში.

წიგნის ეს თავი იყო მცდელობა, გვეჩვენებინა და გაგვეხსნა საექთნო საქმის სწავლის, სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა და უფრო გავრცელებული საშიშროება. ჩვენ ვაჩვენეთ, თუ რამდენადაა დამოკიდებული ცალკეულ ქვეყნებში საექთნო საქმის განვითარება ამ პროფესიის სტატუსზე, ისტორიაზე, საზოგადოებაში ქალის როლზე, არსებულ რესურსებზე, მედიცინასთან დამოკიდებულებაზე, უნივერსიტეტებსა და ჯანდაცვის სტრუქტურებზე. ერთად ეს და სხვა ფაქტორები ქმნის საექთნო საქმის კურიკულუმს, მისი განხორციელების მოდუსს, კურიკულუმში თეორიისა და პრაქტიკის ბალანსს. არსებული სხვაობების მიუხედავად, ჩვენ ასევე ვაჩვენეთ, რომ ექთნების განათლების პროცესი სხვადასხვა პედაგოგიურ მიდგომას ითვალისიწნებს, რომ უზრუნველყოს სტუდენტების მიერ უსაფრთხო და ეფექტური მუშაობა მუდმივად ცვალებად გარემოში.

მომზადებულია მერი გობის მიერ შანდორ ჰოლოს, ბიორგ დეილისა და გრეის ჯაკარანის მონაწილეობით

I დანართი მაგალითი უნგრეთიდან

1. მონაცემთა შეგროვების უნარი

სტუდენტთა პრაქტიკის დროს ჩვენ უნდა გვესმოდეს, რამდენად ზუსტად აგროვებს ის მონაცემებს და იყენებს თუ არა კომუნიკაციის პირდაპირ და არაპირდაპირ ტექნიკას.

1.1. ანამნეზი

- სრული ანამნეზი
- გამოკითხვის ადეკვატური ტექნიკა/კულტურა
- პრობლემის სწორი შემოწმება
- მოსმენის უნარი/მანერა

1.2. ობიექტური მონაცემები

- დაკვირვების წარმოება სრულ ფორმატში
- დაავადების შესაბამისი ფიზიკური გამოკვლევა/გასინჯვა
- ლაბორატორიული და სხვა გამოკვლევების დანიშვნა და მათი განხორციელების ორგანიზება
- გასინჯვა სხვადასხვა ინსტრუმენტით

1.3. დოკუმენტაცია

- პაციენტის მონაცემების სისტემატიზაცია
- ინფორმაციის ზუსტი ფორმულირება
- მონაცემთა ზუსტი და მოკლე ჩაწერა
- ჩარევების დროისა და შედეგების რეგისტრაცია

1.4. სიტუაციური ანალიზი

- ყველა საჭიროებისა და პრობლემის მომცველი საექთნო ანამნეზი
- საექთნო სტატუსის ზუსტი ანგარიში
- წინა დაავადებების, ოპერაციების, გასინჯვისა და მედიკამენტების მიღების დოკუმენტირება
- პაციენტის შესახებ მოკლე და პროფესიული ანგარიში.

2. კლინიკაში გადაწყვეტილების მიღების უნარი

სტუდენტის პრაქტიკის ამ სფეროში ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რამდენად მართებულია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ესმის თუ არა სტუდენტს გადაწყვეტილების შესაძლო შედეგები, შეუძლია თუ არა პრობლემების გადაჭრა.

2.1. საექთნო საქმიანობის გეგმის შემუშავება

- მონაცემთა ძალიან ზუსტი შეგროვება
- ზუსტი საექთნო დიაგნოზის დასმა
- სხვადასხვა ალტერნატივიდან სწორი საექთნო ჩარევის შერჩევა
- პაციენტის მდგომარეობის შეცვლის შესაბამისი ქმედებები
- ჩარევის შედეგების შეფასება
- საჭირო მოდიფიკაციების განხორციელება

2.2. მკურნალობის გეგმის შესრულება

- მედიკამენტების ზუსტი ალოკაცია
- თერაპიული ჩარევების ზუსტი და პროფესიული განხორციელება
- სხვადასხვა ინსტრუმენტით გასინჯვის დანიშვნა, გასინჯვის ორგანიზება
- გართულებების იდენტიფიცირება და ადეკვატური მოქმედება
- ეფექტური მედიკამენტების, გადასხავევი მასალისა და სამედიცინო დახმარების გამოყენება

3.3. სამუშაოს ორგანიზება

- წესრიგის, დისციპლინისა და ჰიგიენის დაცვა
- გუნდში სამუშაოს სწორი განაწილება წევრებს შორის
- გუნდის სხვა წევრებთან კარგი თანამშრომლობა
- დიაგნოსტიკურ განყოფილებასთან ადეკვატური კომუნიკაცია
- პაციენტის მოვლისათვის საჭირო მედიკამენტების, გადასხავევი მასალისა და სხვა საშუალებების უზრუნველყოფა
- საჭირო ან არარსებული მასალის დროულად მოწოდება

3. როლების განვითარება

შეფასების დროს ჩვენ უნდა ვიცოდეთ, შეიცვალა თუ არა და როგორ სტუდენტი პრაქტიკის დროს, შეესაბამება თუ არა ის ექთნებისაგან მოსალოდნელ ქცევას.

- ეფექტურად იყენებს კომუნიკაციის უნარს
- კარგ ურთიერთობებს ამყარებს პაციენტებსა და თანამშრომლებთან
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებებს
- იცნობს თავისი სამსახურის ეთიკურ და სამართლებრივ ასპექტებს
- მისი ქცევა ყოველთვის შეესაბამება მოცემულ სიტუაციას
- შეუძლია გუნდის წევრის როლში ეფექტური მუშაობა
- შეუძლია საკუთარ განვითარებაზე მუდმივი მუშაობა

II დანართი
პრაქტიკული სწავლების კურიკულუმის მაგალითი ნორვეგიიდან
(დაფუძნებული 2000 წლის რეგულაციაზე)

1. პრაქტიკული ტრენინგის მიზნები

სტუდენტმა უნდა მონაწილეობა მიიღოს და ისწავლოს:

- სამედიცინო და ქირურგიული საექთნო პრაქტიკა, ფსიქიატრია, ასაკოვნების მოვლა, და სახლში პაციენტების მოვლა, როგორც პაციენტების მოვლის კომპონენტები;
- ფლობდეს ცოდნას და იღებდეს საექთნო გამოცდილებას სხვა ოკუპაციურ პროფესიებთან თანამშრომლობით პრევენციულ მედიცინაში და პრენატალურ და პოსტნატალურ მოვლაში.

პრაქტიკის განმავლობაში, სტუდენტმა უნდა

- ისწავლოს, მიიღოს გამოცდილება და განავითაროს ექთნობის კომპეტენცია სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებაში და პაციენტების სხვადასხვა სიტუაციაში, როგორც სპეცილისტების სერვისში, ასევე მუნიციპალურ ჯანდაცვის მომსახურებაში;
- ზედამხედველობის ქვეშ გააცნობიეროს და განავითაროს ცოდნა, უნარები და მიდგომები პაციენტებთან, მათ უახლოეს ნათესავებთან და სხვა ოკუპაციურ ჯგუფებთან უშუალო ურთიერთქმედების დროს;
- განავითაროს საექთნო კომპეტენცია გამოცდილ პროფესიონალებთან თანამშრომლობით და გააცნობიეროს საკუთარი და სხვების შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის ჩარჩოები;
- გაცნობიეროს და განიხილოს ეთიკური საკითხები, დაკავშირებული პაციენტის მოვლასთან;
- განივითაროს სხვა ოკუპაციურ ჯგუფთან თანამშრომლობის კომპეტენცია და სურვილი;
- პაციენტების და მათი უახლოესი ნათესავების ინსტრუქტაჟი და ზედამხედველობა;
- პაციენტების სხვადასხვა ჯგუფთან და მათ უახლოეს ნათესავებთან კომუნიკაციის უნარების განვითარება;
- ჯანდაცვისა და სოციალური უზრინველყოფის მომსახურების სტრუქტურისა და ორგანიზაციის ცოდნა და შეფასება;
- მიიღოს გამოცდილება, რომელიც შეიძლება სწავლის დროს იქნეს განხილული სადისკუსიო ჯგუფებში და გამოდგეს მომავალი სწავლის საფუძვლად

4. პრაქტიკული ტრენინგის სფეროები და ხანგრძლივობა

პრაქტიკა უნდა მოიცავდეს 30 კრედიტს. სხვადასხვა სფეროში პრაქტიკის ხანგრძლივობა აღიწერება კვირებით. ამ გეგმაში 30 კრედიტი შეესაბამება სასწავლო პროცესის 60 კვირიან ხანგრძლივობას. სულ მცირე 50 კვირა უნდა მოიცავდეს პრაქტიკას პაციენტებთან ერთად. 10 კვირა შეიძლება

დაეთმოს უნარების განვითარებას და საკუთრივ პრაქტიკისათვის მომზადებას. კოლეჯის კურიკულუმის ინსტრუქციაში აღწერილია, როგორ შეესაბამება პრაქტიკის პერიოდი სწავლის სხვა მეთოდებს, როგორცაა ინდივიდუალური სწავლა, პროექტზე ორიენტირებული სწავლა და პრაქტიკული სწავლა. კოლეჯის კურიკულუმის ინსტრუქციაში ასევე დეტალურადაა აღწერილი პრაქტიკის სიხშირე, მიზნები და განხორციელების მოდუსი. პრაქტიკის განაწილება გულისხმობს კვირაში 30 საათიან მუშაობას.

პრაქტიკის პერიოდების სფეროებისა და ხანგრძლივობის აღწერა

- A. უნარები, მომზადება და რეფლექსია პრაქტიკისათვის 10 კვირა
- B. პაციენტებთან პრაქტიკა 50 კვირა

სპეციალური ჯანდაცვის მომსახურება:

სამედიცინო და ქირურგიულ გარემოში პრაქტიკული ტრენინგი - მინიმუმ 16 კვირა.

პრაქტიკა სულ მცირე 6 კვირას უნდა მოიცავდეს სამედიცინო და 6 კვირას ქირურგიულ გარემოში.

მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურება:

მუნიციპალურ ჯანდაცვის ობიექტებში საექთნო საქმიანობა, ასაკოვანთა მოვლა და პაციენტების მოვლა სახლში - მინიმუმ 12 კვირა.

აქედან მინიმუმ 8 კვირა ეთმობა პრაქტიკას სახლის პირობებში ან სპეციალურ სანატორიუმებში.

სპეციალური ან კომუნალური ჯანდაცვის მომსახურება:

პრაქტიკა სწავლების პირველ წელს - მინიმუმ 4 კვირა.

პრაქტიკა ფსიქიატრიაში - მინიმუმ 8 კვირა.

B კატეგორიიდან პრაქტიკის სხვა ტიპები - მაქსიმუმ 10 კვირა.

პრაქტიკა უნდა მოიცავდეს ქირურგიას, საოპერაციო ოთახებს, ინტენსიური მოვლის ოთახებს, პრევენციულ მოვლას და პრენატალურ და პოსტნატალურ მოვლას. ეს პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს როგორც მინიმალურ მოცემლ ვადებში, ასევე „B კატეგორიიდან პრაქტიკის სხვა ტიპებში“.

3. პრაქტიკის დეტალური აღწერა

ექთნობის პრაქტიკული უნარების სწავლა, პაციენტებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის, ასევე სხვა ოკუპაციურ ჯგუფებთან კონტაქტის განვითარება – ამ დროს სტუდენტი უნდა სხვა ხალხის გამოცდილებაზე სწავლობდეს იმ მოთხოვნილებათა და რეგულაციების ფარგლებში. ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული პრაქტიკის დროს სტუდენტი

იღებს გამოცდილებას სხვებთან მუშაობის პროცესიდან. პრაქტიკა მოიცავს პრაქტიკას სწავლის პირველ წელს, პრაქტიკას ზედამხედველობით და დაკვირვებას.

პრაქტიკა სწავლის პირველ წელს

პირველ წელს პრაქტიკის ამოცანაა სტუდენტს აჩვენოს ექთნობის, როგორც პროფესიის, დანიშნულება და აუხსნას ექთნის როლი დიდ ორგანიზაციებში. პრაქტიკა სასურველია პირველივე სემესტრში განხორციელდეს და მინიმუმ 4 კვირას მოიცავდეს. კოლეჯმა უნდა განსაზღვროს, თუ სად ჩატარდება ტრენინგი – მუნიციპალურ თუ სპეციალურ ობიექტზე, უნდა იყოს ზედამხედველობის ქვეშ თუ არა. პრაქტიკაზე მიღებული გამოცდილება უნდა დაეხმაროს სტუდენტს აკადემიური პროგრამის ათვისებაში. კოლეჯი თანამშრომლობს ინსტიტუციებთან, სადაც პრაქტიკა ხორციელდება ტრენინგის პროგრამის გზამკვლევის შემუშავების პროცესში.

პრაქტიკა ზედამხედველობით

პრაქტიკის ამ ტიპის მიზანია სტუდენტის მიერ ოპტიმალური პროფესიული კომპეტენციების განვითარება პაციენტების საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. სტუდენტმა უნდა გაიაროს მინიმუმ 8 კვირიანი პრაქტიკა ზედამხედველობით შემდეგ სფეროებში: მედიცინა, ქირურგია, ფსიქიატრია და ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისი (მედიცინისა და ქირურგიისათვის პრაქტიკის მინიმალური ხანგრძლივობაა 6 კვირა). ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს ეს პრაქტიკა, სახლში მოვლის სერვისი. პრაქტიკა ზედამხედველობით გულისხმობს, რომ კოლეჯის აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს კარგ საგანმანათლებლო გარემოს. ამდენად, კოლეჯი პასუხისმგებელია ზედამხედველობის ხარისხზე – ეს გულისხმობს ზედამხედველისა და სასწავლო პერსონალის ხშირ ყოფნას პრაქტიკის ადგილზე. პრაქტიკის ადგილზე მომუშავე ექთნები პასუხისმგებელი არიან ზედამხედველობაზე ამ კონკრეტულ სფეროში საჭირო უნარების განვითარების პროცესში. სასწავლო სიტუაცია შეიძლება იყოს როგორც დღე, ასევე ღამე. სტუდენტმა ასეთ სიტუაციებში სხვა ექთნებთან და კოლეჯის პერსონალთან ერთად უნდა მოახდინოს პრაქტიკის ორგანიზაცია.

ზედამხედველობით პრაქტიკის დროს სტუდენტზე ზედამხედველობას სასურველია ახორციელებდნენ ის ექთნები, რომელთაც ზედამხედველობის კომპეტენცია აქვთ და სულ მცირე პროფესიული გამოცდილების ერთი წელი. კოლეჯი პასუხისმგებელია შესთავაზოს ექთნებს ზედამხედველობის კურსები. ყოველი პრაქტიკის წინ კოლეჯი და ის ინსტიტუცია, სადაც პრაქტიკა ხორციელდება, უნდა თანამშრომლობდეს პრაქტიკის კონკრეტული გეგმების შემუშავების მიზნით, სადაც აღწერილია, თუ რა უნდა ისწავლოს სტუდენტებმა ამ პრაქტიკის განმავლობაში. კოლეჯს

აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა, რომ პრაქტიკის გეგმა შეესაბამება კურიკულუმს და ზოგად გეგმას. ინსტიტუცია, სადაც პრაქტიკა ხორციელდება, პასუხისმგებელია სასწავლო გარემოს შექმნაზე და უნდა გადაჭრას პრაქტიკასთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემები.

ტრენინგი დაკვირვებით

ამ ტრენინგის მიზანია, სტუდენტმა გამოსცადოს საექთნო საქმის სხვადასხვა და მნიშვნელოვანი ასპექტი. ეს ტრენინგი მოკლევადიანია და როგორც წესი, არ ფასდება. სტუდენტის გამოცდილება ნაწილობრივ ემსახურება ოპერაციული კომპეტენციის განვითარებას, რომელიც შემდგომი ტრენინგისა და განათლების შედეგად შეიძლება სრულყოფილ კომპეტენციად ჩამოყალიბდეს.

ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს პაციენტებთან მუშაობის, პრევენციული მედიცინის სერვისებისა და პრენატალური და პოსტნატალური მოვლის გამოცდილება. კოლეჯი განსაზღვრავს, სად უნდა ჩატარდეს ტრენინგი. ყველა სტუდენტმა უნდა გამოსცადოს მუშაობა ქირურგიულ გარემოში, ინტენსიური მოვლის განყოფილებაში და ამბულატორიებში.

პრაქტიკული საექთნო უნარების სწავლა

პრაქტიკა და გამოცდილება განსაზღვრავს პრაქტიკული საექთნო უნარების სწავლას. ამ უნარების სწავლა შეუძლებელია მხოლოდ აკადემიური მიდგომით, არამედ აუცილებლად მოითხოვს პრაქტიკულ მიდგომებს. ამ ტიპის პრაქტიკული ცოდნის მიღების წინაპირობაა კლინიკური გამოცდილების მქონე პერსონალის არსებობა, ვისაც შეუძლია უნარების დემონსტრირება და შეცდომების გასწორება, და აგრეთვე სტუდენტის მიერ პაციენტებთან და სხვა სტუდენტებთან ურთიერთქმედებით პრაქტიკული უნარების გავარჯიშების შესაძლებლობა. სტუდენტები ერთმანეთს უახლოვდებიან პრაქტიკის დროს – მნიშვნელოვანია მათი ამ სიახლოვის გამოყენება სწავლის პროცესში, რომ სტუდენტმა ისწავლოს თავისი და სხვების რეაქცია სხეულთან, ფიზიკურ კონტაქტსა და ურთიერთქმედებასთან მიმართებაში. პრაქტიკული უნარების გამომუშავება შეიძლება ხორციელდებოდეს კოლეჯში ან მის ფარგლებს გარეთ. პრაქტიკული უნარების შესწავლის სფეროები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამას და იყოს საექთნო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი და ამით ხელს უნდა უწყობდეს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას. შესაბამისად, ამ უნარების სწავლების მეთოდები აღწერილი უნდა იყოს კოლეჯის კურიკულუმის გზამკვლევაში. პრაქტიკა და ტრენინგი დემონსტრაციის ოთახებში, ან ინტერაქტიურად კომპიუტერული ან ვიდეოაპარატურის გამოყენებით ძალიან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ღირებულებისაა და ეხმარება რეალური სავარჯიშოების სიმულაციას. სწავლის ეს ფორმა საჭიროებს მაქსიმუმ 10-15 კაციან ჯგუფებში ტრენინგს,

და კლინიკური კომპეტენციის მოქმე ზედამხედველის არსებობას. კოლეჯი პასუხისმგებელია უზრუნველყოს სათანადო აღჭურვილობა.

პრაქტიკული ტრენინგის შეფასება

Cf §50, No 1 და 2 1995 წლის 12 მაისის უნივერსიტეტებისა და კოლეჯების კანონის No 22. ასევე რეგულაციების § 4. შეფასება უწყვეტი და სავალდებულო ნაწილია პრაქტიკული ტრენინგის, cf.11.3.

კოლეჯის საბჭო განსაზღვრავს კურიკულუმის გზამკვლევში ყოელი მონაკვეთის მიზნებს და აღწერს პრაქტიკული ტრენინგის შეფასების კრიტერიუმებს. ზედამხედველობის ქვეშ განხორციელებული ტრენინგის ყოველი პერიოდის დასრულებისას ტრენინგის მიზნების შესაბამისი შეფასების პროცედურა უნდა ჩატარდეს. საბოლოო შეფასება დამატებით ორი პირი უნდა დაესწროს: კოლეჯის მასწავლებელი და ზედამხედველი იმ ინსტიტუციიდან, სადაც პრაქტიკული ტრენინგი განხორციელდა. სადავო შემთხვევაში მასწავლებლის შეფასება გადამწყვეტია.

სტუდენტის პრაქტიკული საექთნო უნარების შეფასება უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის ზოგადი უნარის – იმუშავოს ექთნად – შეფასებას. პრაქტიკული უნარების შეფასებისას გამოიყენება ჩააბარა / ჩაიჭრა შეფასება.

III დანართი

ზოგი საილუსტრაციო ტექსტი, გამოყენებული საექთნო საქმის სწავლასა და სწავლებაში

დანია

- 1) NIELSEN, K & KVALE 1999: *Mesterlære - Læring som social praksis*. København. Hans Reitzels Forlag.
- 2) HENDERSON, Virginia 2000: ICN: *Sygeplejens grundlæggende principper*. København: Dansk Sygeplejeråd.
HENDERSON, Virginia 1995: *The nature of nursing*. København:Munkgaards Forlag.
OREM, Dorothea E. 2001: «Self-care agency and dependent-care agency». I: Orem, Dorothea E: *Nursing- Concepts of Practice*. 6th edition, St. Louis: Mosby.
ANDERSEN, Irene Dahl 2002: *Sygeplejeprocessen: Almen sygepleje 2:Patient og sygeplejerske, samspil, oplevelse og identitet*. København:Gads Forlag.
HOLST, Inge Johanne 2004: *Sygeplejebogen 1: Grundlæggende sygepleje*.København: Gads Forlag

- LAWLER, Jocalyn 2002: *bak om skjermbretten: Sykepleie, somologi og kroppslige problemer*. Oslo: Gyldendal Akademisk.
- BENNER, Patricia 1995: *Fra novice til ekspert*. København: Munksgaard.
- MARTINSEN, Kari 1989: *Omsorg i sykepleien - en moralsk utfordring*. Fokus på sykeplejen 90. København:Munksgaard.
- ERIKSSON, Katie 2000: *Det lidende menneske*. København: Munksgaard.
- HELLESHØJ, Hanne 2002: *Sygeplejefagets pædagogiske dimension.Sygeplejefag: refleksion og handling*. København: Munksgaard.
- 3) BARROWS, H. S. 1992: *The Tutorial process*. Springfield, Illinois, Southern Illinois University School of Medicine.
- DALE, L. E. 1989: *Pedagogisk professionalitet*, 1. oplag, 2. udgave edn, Gyldendal Norsk Forlag, Oslo.
- KLAFKI, W. 2001: *Dannelsestoeri og didaktik*, 1 edn, Forlaget Klim, Århus.
- PETTERSEN, R. C. 2001: *Problembaseret læring - for elever, studerende og lærere: en grundbog i PBL*, 1. udgave edn, Dafolo, Frederikshavn.

ფიზიოლოგია

- 1) IIVANAINEN A., JAUHAINEN M. & PIKKARAINEN 2001: *Hoitamisen taito*. Tammi, Helsinki.
- 2) POLIT, D. F. & BECK, C. T. 2004: *Nursing Research: principles and methods*. 7th (or earlier) edition. Lippincott, Williams & Wilkins.
- 3) MEZIROW, J. et al. (eds.): *Uudistava oppiminen. Kriittinen reflektio aikuiskoulutuksessa. Helsingin yliopiston Lahden tutkimus- ja koulutuskeskus*. Oppimateriaaleja 23. Miktor, Helsinki.

გერმანია

- 1) Juliane JUCHLI (1997, 8. Auflage): *Praxis und Theorie der Gesundheits- und Krankenpflege*. Stuttgart (Thieme)
- 2) Juliane JUCHLI 1997: *Praxis und Theorie der Gesundheits- und Krankenpflege*, 8. Auflage. Stuttgart (Thieme).
- ARETS, J. et al. 1999: *Professionelle Pflege 1. Theoretische und praktische Grundlagen*. Hans Huber Verlag: Bern u.a.
- ARETS, J. et al. 1999: *Professionelle Pflege 2. Fähigkeiten und Fertigkeiten*. Hans Huber Verlag: Bern u.a.
- 3) HILLEBRAND, M. (2003, 4. Auflage): *Krankenpflegeexamen*. Band 1 und 2. (Urban und Fischer).
- Pschyrembel - Woerterbuch der Pflege 2003. Bearbeitet von Wied, S. und Warmbrunn, A. Berlin (de Gruyter).
- BOEGEMANN-GROSSHEIM, E. 2001: *Die berufliche Ausbildung von Krankenpflegefachkräften*. Frankfurt/Main (Mabuse).

GROSS, B. (2004): *Berufliche Sozialisation in der Pflegeausbildung – subjektive Sichtweisen und objektive Bedingungen*. Bern (Hans Huber).

უნგრეთი

- 1) *Handbook of Methodology of Leading of Nursing practical training lessons in klinikum field*, written by Maria Csóka lecturer of College of Health Care of University Budapest 2004.
- 2) *Didactics Aspects of the Clinical Practice Training in the Nurse Students Education*, (J. Mészáros PhD, Dean of College of Health Care of Semmelweis University, S. Hollós MD PhD, Head of Dept. of Clinical Studies, College of Health Care of Semmelweis University) Nursing 2004. Budapest, in Hungarian
- 3) *Role of the Bachelor Nurse Education in Development of Health Care in Hungary* (S. Hollos: PhD Thesis, Budapest, 1994. in Hungarian).

ირლანდია

- 1) LIASCHENKO, Joan 1997: «Knowing the patient?». In *Nursing Praxis: Knowledge and Action* (Thorne, S and Hayes, V. EDS.), Sage, London.
- 2) LATIMER, J. 2000: *The Conduct of Care*. Blackwell Science, Oxon. PRITCHARD, P. and MALLET, J. 1998: *The Royal Marsden manual of clinical nursing procedures*, Oxford: Blackwell Scientific Publications.
- 3) BOUD, D. 1995: *Developing students autonomy in Learning*, (2nd ed) London; Kogan Page
QUINN, F. 1995: *The principles and practice of nurse education*, (3rd ed) London: Chapman and Hall.

მალტა

- 1) PERRY A.G. & POTTER P.A.: *Clinical Nursing Skills and Techniques*. USA: Mosby. ISBN: 0 8016 7007 1
- 2) SMITH S. F., DUELL, D.J. and MARTIN B. C.: *Clinical Nursing Skills: Basic to Advanced Practice*. USA, Prentice Hall ISBN: 0 13 049371 6
- 3) ALTMAN, GB. 2000: *Delmar's Fundamental and Advanced Nursing Skills*. USA, Thomson. ISBN: 1 4018 1069 1

ნიდერლანდები

- 1) Werkcahier niveau 5, Transferpunt vaardigheidsonderwijs. Bohn Stafleu Van Loghum, 4e druk 2001.
- 2) Schoot, T. en STEVENS, P. *Ontwerpen van zorg vanuit verpleegkundig perspectief (501)*, Thieme Meulenhoff, ISBN 9023838750

CARPENITO, *Zakboek verpleegkundige diagnose*, 2e druk, Wolters-Noordhoff 2003, ISBN 9001184936

- 3) DAAN, G. etc. *Onderwijskunde Hoger Onderwijs (handboek voor docenten)*, 2000, van Gorcum, ISDN 9023235088
Hoogeveen, P. Winkels, *Het Didactisch Werkboek J. van Gorcum*, 2001, ISDN 9023231252

ნორვეგია

- 1) ALAMS, H. 2001: *Klinisk sykepleie*. Bind 1 og 2, Gyldendal Akademiske, Oslo.
STORDALEN, J. 2003: *Praktiske sykepleieferdigheter* Bergen: Fagbokforlaget.
- 2) KIRKEVOLD, M. 1998: *Sykepleieteorier: Analyse og evaluering*. (2nd ed). Oslo: Gyldendal, Akademiske
BULMAN, C. & SCHUTZ, S. (eds.) 2004: *Reflective practice in nursing*. 3rd ed. Blackwell Publishing, Oxford.
GLEN, S. & WILKIE, K. (eds.) 2000: *Problem-based learning in nursing: a new model for a new context?* Macmillan, Basingstoke.
- 3) TORUNN BJØRK, I. & SCHANCKE BJERKNES, M. (eds.) 2003: *Å Lære i praksis: en veiviser for studenten*. Universitetsforlaget, Oslo

ესპანეთი

- 1) MAZARRASA, L., GERMÁN, C., SÁNCHEZ, A.M., MERELLES, T., APARICIO, V. 2003:
Salud Pública y Enfermería Comunitaria I, II y III. Madrid: McGraw Hill. Interamericana. 2.^a Ed.
BRUNNER, LS, SUDDARTH, DS. 2001: *Enfermería Médico Quirúrgica*. Vols. I y II 9.^a ed. México. Interamericana.
CARPENITO, L. 2001: *Manual de diagnósticos de enfermería*. Madrid: McGraw Hill. Interamericana. 9.^a ed.

დიდი ბრიტანეთი

- 1) ALEXANDER, M.F., FAWCETT, J.N. and RUNCIMAN, P.J. 2000: 2nd Edn *Nursing Practice Hospital and Home: The Adult*. Churchill Livingstone, Edinburgh.
HOGSTON, R., SIMPSON, P. Editors 2002: *Foundations of Nursing Practice*, Second Edition, Basingstoke, Macmillan Press,
DEPARTMENT OF HEALTH 2001: *The Essence of Care - Patient Focussed Benchmarking for Health Care Practitioners*, London, Department of Health.
- 2) DAVEY, B., GREY, A., SEALE, C. 2001: *Health and Disease: A Reader*, 3rd Edition, Buckingham, Open University Press.

- EDWARDS, S. 2001: *Philosophy of Nursing: An Introduction*, Basingstoke, Palgrave.
- 3) LIGHT, G. and COX, R. 2001: *Learning and Teaching in Higher Education: The Reflective Professional*. Sage, London.
- ROWNTREE, D. 1987: *Assessing students: How shall we know them?* Harper and Row, London.
- GABERSON, K.B. and OERMANN M.H.: *Clinical Teaching Strategies in Nursing*. 1999. Springer Publishing, New York
- STUART, C.C. 2003: *Assessment, Supervision and Support in Clinical Practice: A guide for Nurses, Midwives and other health Professionals*. Churchill Livingstone, Edinburgh

წყაროები პრაქტიკული საკითხების შესახებ

- BENNER, P. 1984. *From Novice to expert*. Addison-Wesley Publishing.
- BENNER, P.A., TANNER, C.A. and CHESLA, C.A. 1996: *Expertise in Nursing Practice. Caring, Clinical Judgement and Ethics*. New York, Springer Publishing.
- BLOOM, B.: *A Handbook of Educational Objectives. The Cognitive Domain*. 1964. New York, McKay.
- BOND, M. & HOLLAND, S. 1998: *Skills of clinical supervision for nurses*. Open University Buckingham.
- BOYER, E. L. 1990: *Scholarship Reconsidered: Priorities of the Professoriate*. New Jersey, Carnegie Foundation for the Advancement of Teaching.
- BUTTERWORTH, T., FAUGIER, J. & BURNARD, P. 1998: *Clinical Supervision and Mentorship in nursing*. Stanley Thornes Publishing.
- DOWIES, J. and ELSTEIN, A. (eds) 1988: *Professional judgment: a reader in clinical decision making*. Cambridge University Press.
- MORTON-COOPER, A. & PALMER, A. 2000: *Mentoring, Preceptorship and Clinical Supervision*. Blackwell Science.
- OLIVER, R. & ENDERSBY, C. 1996: *Teaching and Assessing Nurses*. Balillere Tindall
- PALMER, A.: «Freedom to Learn Ch4». In HUMPHRIS, D. & MASTERSON A. (eds.) 2000: *Developing new clinical roles*. Churchill Livingstone.
- PLATT-KOCH, L. 1986: «Clinical supervision for psychiatric nurses». *Journal of Psychosocial nursing*. 26(1), 7-15.
- PROCTOR, B. 1986: «Supervision: a co-operative exercise in accountability». In MARKEN, M. and PAYNE, M. (eds): *Enabling and Ensuring*. Leicester: Leicester National Youth Bureau and Council for Education and Training in Youth and Community Work.

- SIMMS, J. 1993: «Supervision». In: WRIGHT, H. and GIDDEY, M., (Eds.): *Mental Health Nursing: From First Principles to Professional Practice*. London: Chapman Hall.
- STEINAKER, N. and BELL 1979: *The Experiential Taxonomy: A New Approach to teaching and Learning*. London Academic Press.
- WENGER, E. 1998: *Communities of Practice: Learning, Meaning and Identity*. Cambridge University Press.
- P.L. RAMRITU y A. BARNARD. 2001: «Como comprende la competencia los enfermeros recién licenciados». Consejo Internación de Enfermeras. *International Nursing Review* en español 48, 51-61.
- OVALLE, M.: *Competency-based approach. Expert Groups on the Development of a Strategy for Nursing and Midwifery Education in Europe*. WHO, Regional Office for Europe.
- OVALLE, M. & Clark, J.: *Advisory committee of training, working group 1. From input to an outcome: defining the essential competences of the nurse responsible for general care*. European Commission. Septiembre de 1997. Borrador de trabajo.
- Informe y recomendación sobre las competencias requeridas para el ejercicio de la actividad de enfermero responsable de cuidados generales en la Unión Europea*. Adoptados por el comité en Enero de 1998.
- Advisory committee on training in nursing. Report and recommendations for guidelines for education on nursing care of elderly*. Adoptado en Noviembre de 1994.
- Competències de Professions Sanitàries*. Universidad de Barcelona. 2002. En las páginas 27 a 49 la profesión enfermera.
- ICN Framework of competencies for the familiy nurse*. Draft 1. 27-07-02,

ხარისხის გამუჯობესება

ხარისხის გაუმჯობესება აკადემიური პროგრამის დონეზე: თუნინგის მიდგომა

1. შესავალი

თუნინგის პროექტის მონაწილეებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ევროპაში უმაღლესი განათლების ხარისხისადმი მზარდი ინტერესი. ინსტიტუტების დონეზე იზრდება ხარისხის განყოფილებების რაოდენობა, არსდება ხარისხის სააგენტოები, რომლებიც გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდან აფასებენ ხარისხს. უფრო მეტიც, ძირითად მონაწილე მხარეებს მიაჩნიათ, რომ ხარისხი ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის შექმნის საფუძველია. ეს განწყობა ასახულია ENQA დოკუმენტში „უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და ინსტრუქციები“, რომელიც შემუშავებულ იქნა EUA, EURASHE და ESIB-ის მონაწილეობით და მოწონებულ იქნა ბერგენში უმაღლესი განათლების მინისტრების შეხვედრაზე.

ტერმინი „ხარისხი“ უმაღლეს განათლებაში ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციის ობიექტია. ის ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც გარკვეული შემოკლება იმისათვის, რომ გამოიხატოს ხარისხის აუცილებელი კომპონენტები, და რა არის ამ ხარისხის მიღწევის საუკეთესო მეთოდები. თუნინგ-ს მიაჩნია, რომ უმაღლესი განათლების სექტორის მთავარი მიზანი და ამოცანა უნდა იყოს სტუდენტისათვის საუკეთესო და ყველაზე უფრო მეტად შესაფერისი უმაღლესი განათლების მიწოდება, გაუმჯობესება და უზრუნველყოფა. განსხვავებული სტრატეგიები და განსხვავებული მონაწილე მხარეები უნდა იყოს ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. მიუხედავად ამისა, თუნინგის წევრებს მიაჩნიათ, რომ საბოლოოდ მთავარი პასუხისმგებლობა ხარისხიანი უმაღლესი განათლების საკითხში უნივერსიტეტებსა და მათ პერსონალზეა, ცხადია

სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. სხვა მონაწილეებს და დონეებს განსხვავებული, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვთ ხარისხის სტიმულაციასა და შემოწმებაში, მაგრამ თუ თავად აკადემიური პერსონალი და სტუდენტები არ არიან ღრმად, უშუალოდ და გონივრულად ჩართულები ხარისხის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესში, გარეშე აგენტებს მხოლოდ არსებული პრობლემების რეგისტრაცია შეეძლებათ, მაგრამ ხარისხს ისინი ვერ უზრუნველყოფენ.

თუნიზის პროექტის სპეციალური ამოცანა იყო საერთო მიდგომებისა და უნივერსიტეტებისათვის შესაფერისი ინსტრუმენტების შემუშავება და მიწოდება, რაც მათ ფართო ევროპულ კონტექსტში უნდა დაეხმაროს ხარისხიანი აკადემიური პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში. წიგნის ამ თავში ჩვენ ძირითად ყურადღებას დავუთმობთ ჩვენი თვალსაზრისით ორმხრივი ნდობისა და ურთიერთგაგების მიღწევისათვის საჭირო საუკეთესო სტრატეგიებს, ისევე როგორც კვალიფიკაციების აღიარებისა და ცნობის საკითხებს, რაც პრაქტიკულად, სასწავლო პროგრამების ხარისხის განვითარებას ნიშნავს.

ბოლონიის პროცესის კონტექსტში ყველა აკადემიური პროგრამა რელევანტური უნდა იყოს საზოგადოებისათვის, უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებას, ამზადებდეს სტუდენტებს მოქალაქეობისათვის, აღიარებულ უნდა იქნეს აკადემიური საზოგადოების მიერ და ხელს უნდა უწყობდეს მობილობასა და ცნობას ტრანსპარენტულობისა და შესაბამისობის გამო. უფრო მეტიც, აკადემიური პროგრამა საინტერესო და მიმზიდველი უნდა იყოს სტუდენტთა დიდი რაოდენობისათვის როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო კონტექსტში. დასახული მიზნების მიღწევისათვის გამოყენებული მიდგომების ადეკვატურობა, მდგრადობა და თავსებადობა ასევე პროგრამის ხარისხზე მეტყველებს.

თუნიზის პროექტის ფარგლებში შემუშავდა შესაფერისი ინსტრუმენტები ხარისხის უზრუნველყოფისათვის, მათ შორის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად. პროექტმა უზრუნველყო ისეთი გარემოს შექმნა, სადაც 135 აღიარებული ევროპელი ექსპერტი 9 სხვადასხვა დარგობრივი სფეროდან ერთობლივად კონსტრუქციულად მუშაობდა, რამაც მათ შორის ურთიერთგაგება უზრუნველყო. ექსპერტებმა შეძლეს შეთანხმება ხარისხის მნიშვნელობაზე და შეიმუშავეს კურიკულუმის დიზაინის, იმპლემენტაციისა და მიწოდების სპეციალური ინსტრუქციები.

ხარისხის შესახებ მსჯელობისას სხვა მრავალ კრიტერიუმთან ერთად ხშირად გამოიყენებოდა ტერმინები: „დანიშნულებასთან შესაბამისობა - fitness for purpose“ და „დანიშნულების შესაბამისობა - fitness of purpose“. პირველი ტერმინი ხშირად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფაში და ნიშნავს, თუ რამდენად შეესაბამება აკადემიური სტრატეგიები პროგრამის მიზნებს. მეორე ტერმინით კი აღინიშნება, თუ რამდენად მისაღებია თავად პროგრამის მიზნები. თუნიზის თვალსაზრისით, ჭეშმარიტი ხარისხის განვითარებისათვის, „დანიშნულებასთან შესაბამისობას“ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ „დანიშნულების მნიშვნელობა“ გარკვეული და დადასტურებულია. შედეგად, თუნიზ-ს მიაჩნია, რომ პროგრამის ხარისხი ნიშნავს როგორც დანიშნულებასთან შესაბამისობის (ანუ პროგრამის დასახული მიზნების მიღწევის მიდგომების ადეკვატურობას), ასევე დანიშნულების მნიშვნელობის (ანუ თავად პროგრამის ადეკვატურობას: სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და ბოლონიის პროცესის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინის გამართლებას) უზრუნველყოფას. ეს უკანასკნელი საჭიროებს

კვლევისა და აკადემიურ სტანდარტებთან მჭირდო კავშირებს, ისევე როგორც დასაქმების შანსების გათვალისწინებას, რომლიც მხოლოდ იმპლიციტურია „დანიშნულებასთან შესაბამისობის“ შემთხვევაში.

თუნიგ-ს საკუთარ ამოცანად მიაჩნია პროგრამულ დონეზე ხარისხის გაუმჯობესების წახალისება და ამისათვის შესაბამისი ინსტრუმენტებისა და მეთოდების უზრუნველყოფა, რაც პროექტის ფარგლებში ხარისხის სამუშაო დეფინიციას შეესაბამება - „ხარისხის გაუმჯობესება ნიშნავს მუდმივ ძალისხმევას პროგრამის დიზაინის, იმპლემენტაციისა და მიწოდების ხარისხის ამაღლებისათვის“. თუნიგის მიდგომა ეფუძნება შემდეგ ასპექტებს:

- განსაზღვრული და შეთანხმებული საჭიროება;
- კარგად აღწერილი პროფილი;
- კომპეტენციების ფორმით ჩამოყალიბებული შესაბამისი სწავლის შედეგები;
- ECTS კრედიტების სწორი განაწილება პროგრამის სხვადასხვა კომპონენტს შორის;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასებისადმი შესაბამისი მიდგომები.

ეს ყველაფერი დამოკიდებულია „ხარისხის კულტურაზე“ – ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება და რეგულარული გამოყენება და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება.

2. თუნიგის მეთოდოლოგია

თუნიგის პროექტი ყურადღებას ამახვილებს კომპეტენციებზე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინის, იმპლემენტაციისა და მიწოდების საფუძველზე. კომპეტენციების ცნება გულისხმობს სწავლის შედეგებისა და კრედიტების, უმჯობესია ECTS კრედიტების, როგორც განმსაზღვრელი პრინციპების, გამოყენებას. პროექტის ფარგლებში განასხვავებენ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. თუნიგის მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლის შედეგები კომპეტენციებით უნდა გამოიხატოს. სწავლის შედეგი არის ის, რაც უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთებაც უნდა შეეძლოს სტუდენტს სწავლის დასრულებისას. სწავლის შედეგით შეიძლება აღიწეროს ცალკეული კურსი, მოდული ან სწავლის პერიოდი, მაგალითად, პირველი ან მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამა. სწავლის შედეგებით განისაზღვრება კრედიტების მინიჭების მოთხოვნები. სწავლის შედეგებს აყალიბებს აკადემიური პერსონალი. კომპეტენციებია ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია. კომპეტენციების გამომუშავება აკადემიური პროგრამის მიზანია. კომპეტენციები სხვადასხვა კურსის ფარგლებში ყალიბდება და მათი შეფასება სხვადასხვა დროს ხორციელდება. კომპეტენციები სტუდენტის მიერ უნდა იქნეს გამომუშავებული. სტუდენტმა შეიძლება უფრო მეტ

კომპეტენციას მიაღწიოს, ვიდრე ეს სწავლის შედეგებითაა განსაზღვრული. კომპეტენციის მიღწევის დონე ნიშნით აღიწერება.

თუნიგის მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები შედეგზეა ორიენტირებული და უფრო ხშირად მოდულების ფორმატშია სტრუქტურირებული. მოდულების სისტემის უპირატესობა მისი ტრანსპარენტულობაა. ის ხელს უწყობს და ახალისებს სწავლის შედეგებსა და ECTS კრედიტებით გამოხატულ სტუდენტთა დატვირთვას შორის კორექტული ბალანსის პოვნას.

თუნიგისთვის პროგრამის დიზაინი მისი ხარისხისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის განმსაზღვრელი ელემენტია. ცუდად სრუქტურირებული პროგრამები უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო სტუდენტთა წარმატებაზე და სწავლის ხანგრძლივობაზე, არამედ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებსა და მოქალაქეობრივ შეგნებაზე.

თუნიგის პროექტის I ფაზის ფარგლებში შემუშავებულ იქნა ეტაპობრივი მიდგომა პროგრამის განვითარებისადმი²². ეს მოდელი შემდეგ საკვანძო ელემენტებს მოიცავს:

- საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების პროცესში უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება;
- აკადემიური ხარისხის პროფილი კარგად უნდა იყოს აღწერილი;
- სწავლის სასურველი შედეგები უნდა შემუშავდეს და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატში გამოიხატოს;
- აკადემიური შინაარსი (ცოდნა, გაცნობიერება, უნარები) და სტრუქტურა (მოდულები და კრედიტები) უნდა შემუშავდეს და აღიწეროს;
- შეფასებისა და ხარისხის უზრინველყოფის შესაფერისი სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს, ფოკუსირებული კურიკულუმის მდგრადობასა და განხორციელების შესაძლებლობაზე.

უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ აკადემიურ პროგრამას საკუთარი იდენტობა აქვს, განსაზღვრული მიზნებითა და დანიშნულებით. შესაბამისად, შესამუშავებელი ხარისხის ინდიკატორები პროგრამის ფარგლებში უნდა განვითარდეს როგორც მისი ნორმალური და მნიშვნელოვანი ელემენტი. ისინი სტანდარტულ ნორმები კი არა, არამედ უფრო კრიტერიუმები უნდა იყვნენ, რომლებიც უპასუხებენ სპეციფიკური გეგმის უნიკალურობას.²³

²² Julia Gonzalez and Robert Wagenaar, eds., Tuning Educational Structures. Final Report. Phase One (Bilbao-Groningen), 2003, p-51

²³ Jones, W. Garreth (2003: Discussion Paper. Physic Group. Imperial College London, based on similar principles adopted in the IDEA League. See also: QAA, Code of practice for the assurance of academic quality and standards in higher education. Section 7: programme approval, monitoring and review (London, May 2000).


წიგნის ამ თავის ფარგლებში უპრიანად მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნული ელემენტების უფრო დეტალური განხილვა:

1. პროგრამის განხორციელების წინაპირობაა რესურსების ხელმისაწვდომობა. ამ რესურსების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს პროგრამის ხარისხზე. რესურსებში მოიაზრება აკადემიური პერსონალი, დამხმარე პერსონალი და საგანმანათლებლო გარემო (პრაქტიკის აუცილებლობის შემთხვევაში – პრაქტიკის ჩატარების ადგილიც და ზედამხედველები). ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სწავლისა და კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველაფერ ამას პერმანენტული მონიტორინგი სჭირდება. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ეს ნიშნავს მაგალითად, პერსონალისათვის სწავლების ახალი მეთოდების გაცნობას.
2. პროგრამის განხორციელების საჭიროება რომ გამოიკვეთოს, უნდა ჩატარდეს კონსულტაციები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. კონსულტაციები არა მხოლოდ აკადემიურ საზოგადოებას, არამედ პროფესიონალებს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უნდა მოიცავდეს. საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის თუნიგის ფარგლებში შემუშავდა კითხვარები, რომლებიც ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს ეხება. ამ კითხვარების შედეგად მიღებული ინფორმაცია განსაზღვრავს მოცემული დარგობრივი სფეროს საერთაშორისო ათვლის წერტილს. სხვა ინფორმაცია მოდის ამ დარგობრივ სფეროში გლობალური აკადემიური საზოგადოებიდან. ამ ჯგუფს განმსაზღვრელი როლი აქვს დარგში აკადემიური ათვლის წერტილის დეფინირებისათვის. თუმცა, საბოლოოდ იგივე აკადემიური პერსონალია პასუხისმგებელი პროგრამაზე, მან უნდა გაითვალისწინოს განსაზღვრული ათვლის წერტილები და პერსონალის კომპეტენცია, ორიენტაცია და ხელმისაწვდომობა. მართალია, კომპეტენციების მრავალფეროვნება აუცილებელია დეპარტამენტებზე, ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტებში ხარისხის უზრინველყოფისათვის, მაგრამ უნდა არსებობდეს მაკოორდინირებელი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოჰერენტულობას და შეედლებათ საჭირო ცვლილებების განხორციელება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ე.წ. „ცვლილების აგენტების“ არსებობა, მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელები, დეპარტამენტის დირექტორები, აკადემიური ან წარმომადგენლობითი საბჭოები და ა.შ., რომლებიც პასუხისმგებელია პროგრამის დიზაინზე, დამტკიცებაზე, განხორციელებაზე და მენეჯმენტზე. შესაბამისი მხარდაჭერის გარეშე ცვლილებების განხორციელება რთულია. შესაბამისად, აკადემიური პერსონალის ფართო სპექტრის და ასევე სტუდენტების აზრი წინასწარ უნდა იქნეს შევისწავლოთ, რათა

კურიკულუმი და საგანმანათლებლო მიდგომა კარგად იქნეს გაგებული და მხარდაჭერილი როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების მიერ.

3. თითოეული აკადემიური პროგრამის კვალიფიკაციის პროფილი – პროგრამის მიზნები და დანიშნულება – კარგად უნდა იყოს აღწერილი. მიზნები სწავლის შედეგების ფორმით (რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ) უნდა გამოიხატოს, რაც, თავის მხრივ, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატში უნდა ითარგმნოს. კურიკულუმის დიზაინი და სტუდენტთა შეფასება უნდა შეესაბამებოდეს აკადემიური ხარისხის პროფილს.
4. კურიკულუმის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს აკადემიურ შინაარსსა და დონეს, მაგრამ იმავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ უმაღლესი განათლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დამუკიდებლად სწავლის ხელშეწყობა – რასაც გავლენა აქვს სწავლისა და სწავლების მეთოდებზე და, შესაბამისად, სტუდენტების სასწავლო დატვირთვაზე, რომელიც ECTS კრედიტებით გამოიხატება. კურიკულუმმა ძალიან არ უნდა გადატვირთოს სტუდენტები მომცველობითი შინაარსით. კურიკულუმის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები და მათში მოქალაქეობრივი სულისკვეთების არზრდა, ისევე როგორც აკადემიური და ინტელექტუალური განვითარება.
5. უნდა ჩამოყალიბდეს შეფასების სქემა თითოეული პროგრამის მონიტორინგისა და განხილვისათვის. მონიტორინგის პროცესი გულისხმობს ძირითადი ინდიკატორების – მოსწევა გამოცდებზე, კურსდამთავრებულთა დასაქმება, კონკურსი პროგრამაზე, კითხვარებზე პასუხი, პარტნიორი დაწესებულებების აზრი და ა.შ. – სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს. ანალიზის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს სხვადასხვა უკუგების მექანიზმი. ამან უნდა მოიცვას სტუდენტები, კურსდამთავრებულები და აკადემიური პერსონალი და თანადროულად უნდა ხორციელდებოდეს. კერძოდ, უნდა არსებობდეს სტუდენტთა გამოკითხვის და ამ ინფორმაციის დამუშავების მექანიზმები. უკუგების მექანიზმების დანიშნულებაა კურიკულუმის დიზაინსა და/ან განხორციელებაში არსებული ხარვეზების გასწორება. უნდა განისაზღვროს მოლოდინები, რაც შემდგომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში უნდა იქნეს გათვალისწინებული. პროფესიული პროგრამების შემთხვევაში, რომელშიც სამუშაო პრაქტიკას საჭიროებენ, ინფორმაცია უნდა მივიღოთ ასევე იმ დაწესებულებებიდან, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან.

პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების ზემოთ მოყვანილი პრინციპები თუნინგის პროექტის ფარგლებში ვიზუალიზებულია როგორც „ხარისხის განვითარების დინამიური წრე“, რომელიც უკვე წარმოდგენილი იყო წიგნის I თავში.



ეს მოდელი ემყარება დაშვებას, რომ პროგრამების შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო უკუკავშირი, არამედ საზოგადოებაში მოსალოდნელი განვითარებები, რაც დიაგრამაში პროგრესული სპირალითაა გამოხატული.

იმისათვის, რომ წახალისოს უნივერსიტეტები პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციის და მიწოდების საქმეში, თუნინგმა შეიმუშავა ძირითადი/საკვანძო კითხვების ჩამონათვალი, რაც უნდა გავითვალისწინოთ პროგრამების შემუშავების ადრეულ სტადიაზე. ამ კითხვების მნიშვნელობა და სარგებელი კარგად ჩანს თანდართული მაგალითებიდან (დანართი I).

რადგანაც საზოგადოება მუდმივად იცვლება და აკადემიური სფეროები მუდმივად ვითარდება, განათლებაც დინამიური პროცესი გახდა. თუნინგს მიაჩნია, რომ ხარისხის პერიოდული შიდა და გარე შემოწმება არაეფექტურია ჭეშმარიტი ხარისხის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის. აქცენტი უფრო უნდა გაკეთდეს პროგრამების მუდმივ შემოწმებასა და განახლებაზე. შესაბამისად შეფასების/შემოწმების პროცესი სპეციფიკურად უნდა წარიმართოს. ინდივიდუალური კურსები და

მოდულები ცალ-ცალკე კი არა, არამედ მთელი პროგრამის კონტექსტში უდნა შეფასდეს.

კურიკულუმის შეფასებისას სამი ძირითადი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ:

- საგანმანათლებლო პროცესი;
- განათლების შედეგი;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები).

თითოეული, თავის მხრივ, მრავალ ელემენტს მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროცესი:
 - აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები);
 - სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
 - პროგრამის სტრუქტურა და პროგრამის ელემენტების თანამიმდევრობა;
 - პროგრამის კოჰერენტულობა;
 - სასწავლო დატვირთვის განაწილება სემესტრებსა და აკადემიურ წლებზე;
 - პროგრამის ვარგისიანობა;
 - სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
 - კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან;
 - საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა მობილობა.
- განათლების შედეგი:
 - სტუდენტთა რაოდენობა, განთესვა და სხვა პროგრამებზე გადასვლა;
 - პირველი და მეორე საფეხურების შედეგები;
 - დასაქმება.
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები):
 - სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები;
 - პერსონალი და მატერიალური რესურსები;
 - სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ ტუტორები.

აქ ჩამოთვლილი სხვადასხვა ელემენტი შემოთავაზებულია „კურიკულუმის შემოწმების ფორმაში“. ეს ფორმა ემყარება 14 ძირითად ფაქტორს, რომლითაც იდეალური სიტუაცია აღიწერება. პრაქტიკაში იდეალის რეალიზება რთულია, მაგრამ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა

პასუხისმგებლობაა, რაც შეიძლება მეტად დაუახლოვდეს ამ იდეალს. შემოწმების ფორმა თან ერთვის (იხ. დანართი II). მისი გამოყენება შეიძლება „ძირითადი კითხვების ჩამონათვალთან“ ერთად. ორივე ეს ინსტრუმენტი პრაქტიკაში გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და გაუმჯობესებისათვის.

3. თუნინგის როლი ხარისხის გაუმჯობესებაში

გარდა იმისა, რომ შემუშავდა პრაქტიკული და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები პროგრამების დიზაინის, განხორციელებისა და მიწოდებისათვის, თუნინგის პროექტის არანაკლებ მნიშვნელოვანი როლია აკადემიური პერსონალის პანევროპული ქსელის შექმნა. ქსელის პოტენციური როლი ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებით აღინიშნა ბერლინის კომუნიკეში. თუნინგი არის აკადემიური პერსონალის ქსელი, რომელიც წარმოადგენს როგორც ევროპის ქვეყნებს, ისე ცალკეულ ინსტიტუციებს, რომლებიც პროექტისათვის ფორმალურად იქნა შერჩეული. აკადემიური პერსონალის როლი აღნიშნულია ტენდენციები III დოკუმენტში

„თუ ბოლონის პროცესის მიზნების უდიდეს პოტენციალს ევროპაში უმაღლესი განათლების გრძელვადიანი, ფუნდამენტური და მდგრადი რეფორმის განხორციელებისათვის ეფექტურად გამოიყენებენ, აკადემიური პერსონალის ხმას მეტი ყურადღებით უნდა უსმენდნენ.“²⁴

აკადემიური პერსონალის ქსელს შეუძლია სერიოზული როლი შეასრულოს ხარისხის მნიშვნელობის გაცნობიერებაში, ისევე როგორც სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციების ჩამოყალიბებაში. ხარისხთან მიმართებაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ხარისხის თაობაზე შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროპაში ხარისხზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბებას. ქსელებმა სასარგებლო როლი შეიძლება ამ კონცეფციების გავრცელებასა და დანერგვაშიც შეასრულონ.

თუნინგის პროექტი მუშაობს ევროპულ, ტრანსნაციონალურ კონტექსტში, სადაც კვალიფიკაციებისა და აკადემიური ხარისხების აღიარება ცენტრალური საკითხია. აღიარება ემყარება შესაძრობას და ტრანსპარენტულობას. თუნინგის ძირითადი ამოცანაა შექმნას გამოყენებადი ათვლის წერტილები შესადარი, გასაგები პროგრამების შემუშავებისათვის, რომლებიც სწავლის შედეგების ფორმატში იქნება გამოხატული. სწავლის შედეგები თავის მხრივ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების კომბინაციაა, სადაც გარდა ამისა მკაფიოდ უნდა იქნეს

²⁴ Trends III დასკვნები

განსაზღვრული სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია აღიარების გრძელ გზაზე, რადგანაც ემსახურება:

- საერთაშორისოდ აღიარებულ კონცეფციებსა და შინაარსზე დაფუძნებული ათვლის წერტილების შექმნას ფართო გაგებით ყოველი დარგობრივი სფეროსათვის;
- ურთიერთგასაგები კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის განვითარებას პროგრამულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფისათვის;
- ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე შესადარობის ელემენტების შეთავაზებას;
- ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის შიდა სისტემებისადმი ნდობის განვითარებას
- ინსტიტუტის შიგნით პროგრამის აღიარებისადმი ინტერესის ზრდას;
- ახალსებს ENIC და NARIC ქსელების მუშაობას აკადემიური ხარისხების აღიარებაში;
- იყენებს ხელმისაწვდომ რესურსებს მონაცემთა ბაზის შექმნისათვის, რაც სხვადასხვა ქვეყანაში გასაგები უნდა იყოს.

როგორც ტრანსნაციონალური ქსელი, თუნინგი ქმნის უნიკალურ პლატფორმას იმ პრინციპების განხორციელებისათვის, რომლებიც უკვე განისაზღვრა როგორც *ევროპული უმაღლესი განათლების ხარისხისათვის ფუძემდებლური*.

მნიშვნელობა. სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემაში პროგრამის მთავარ ღირებულებას სტუდენტისა და საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა წარმოადგენს. პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს აკადემიურ, პროფესიულ და ასევე სოციალურ განვითარებას, ინტელექტუალურ მონაპოვარს, დასაქმებასა და ევროპულ გარემოში მოქალაქეობას. არის რა კომპეტენციებზე დაფუძნებული, თუნინგის მიდგომა ახალსებს დიალოგს დამსაქმებლებსა და სხვა სოციალურ აქტორებთან. ის ხელს უწყობს რელევანტური აკადემიური და პროფესიული პროფილის შემუშავებას და იმ საჭიროებების განსაზღვრას, რასაც პროგრამა უნდა ემსახურებოდეს.

თავსებადობა და შესადარობა. თუნინგის მეთოდოლოგიის გამოყენებით ევროპული აკადემიური პროგრამები იქნება თავსებადი და შესადარი სხვა ევროპულ პროგრამებთან, იმდენად რამდენადაც იყენებენ ერთ და იმავე ათვლის წერტილებს, და თანხმდებიან ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრაზე. ეს მეთოდოლოგია ხელს უწყობს ჭეშმარიტ შესადარობას და იმავდროულად არ ზღუდავს კურიკულუმების მრავალფეროვნებას და სწავლის პროცესის სხაობასა და კულტურულ ეთოსს. ECTS გამოყენება ასე ვე ხელს უწყობს თავსებადობასა და

შესადარობას, რამდენადაც სტუდენტთა დატვირთვა გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი პროგრამის და მისი კომპონენტების დაგეგმვისა და მონიტორინგისათვის.

ტრანსპარენტულობა. აუცილებელია ყველა აკადემიური პროგრამისათვის, განსაკუთრებით შემუშავების სტადიაზე. ტრანსპარენტულობა დაცული უნდა იყოს სწავლის შედეგების, სწავლის პროცესის, სასწავლო რესურსების, ხრისხის სისტემებისა და მონაცემთა დამუშავების პროცესში. ტრანსპარენტულობა დაკავშირებულია მკაფიო დეფინიციებთან, რაც გულისხმობს ყველასათვის – სტუდენტებისათვის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, მათ შორის ტრანსნაციონალურ კონტექსტში – გასაგები ფორმატით მუშაობას. ტრანსპარენტულობა გულისხმობს ECTS კრედიტებისა და დიპლომის დანართის, ასევე სხვა ECTS ინსტრუმენტების გამოყენებას.

მობილობა და ტრანსნაციონალური განათლება. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნა საჭიროებს მობილობის სანდო და ხარისხიანი სისტემის შექმნას. თავის მხრივ, მობილობა ხელს უწყობს ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბებას. ფიზიკური მობილობა სწავლის კარგად სტრუქტურირებული პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც სრული აკადემიური პროგრამის ფარგლებში, ზრდის ხარისხს განათლებაში ევროპული განზომილების თვალსაზრისით, ასევე ზრდის ევროპის შრომის ბაზარზე დასაქმების საშუალებას და ევროპულ მოქალაქეობრივ შეგენბას. ტრანსნაციონალური განათლება ის ძალაა, რომელსაც შეუძლია უნივერსიტეტების დაკავშირება ხარისხის გაუმჯობესების საერთო მექანიზმების შექმნის მიზნით.

მობილობის ხარისხიანი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის პერიოდებისა და აკადემიური ხარისხების ურთიერთალიარებას, ასევე მასპინძელ უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტოვიზის ადეკვატურობას. ECTS საკვანძო სისტემაა, რომელზედაც აღიარების პროცესია აგებული. თუნიგმა ხელი შეუწყო ECTS აკუმულაციის ფუნქციის განვითარებას კომპეტენციებისა და სასწავლო დატვირთვის ფორმატში გამოხატული სწავლის შედეგების სისტემატური გამოყენების გზით.

მიმზიდველობა. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, რომელიც ცდილობს მიმზიდველი გახდეს მესამე ქვეყნებისათვის, ხარისხი გარანტირებული უნდა იყოს. სხვადასხვა ქვეყნის მიერ ნაციონალურ დონეზე განვითარებული ხარისხის მექანიზმები გასაგები უნდა იყოს, როგორც ევროპული სისტემა. თუნიგის პროექტი გვთავაზობს ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიას პროგრამების შემუშავებისათვის, მათ შორის ერთობლივი პროგრამებისათვისაც. ეს ქმნის საერთო ენას კომპეტენციების სწავლების, სწავლისა და შეფასებისათვის, რის შემდგომ განვითარებას ხელი ხარისხის ინდიკატორების გამოყენებამ უნდა შეუწყოს.

უნივერსიტეტების ხარისხის კულტურის საკუთარ შიდა მექანიზმებს ქმნიან. მათ უნდა განახორციელონ აკადემიური აქტივობების მონიტორინგი ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს მათ მისიასა და აკადემიურ ღირებულებებს²⁵. თუნინგი გვთავაზობს პროგრამების შემუშავების, გადამუშავებისა და განვითარების მიდგომებს ბოლონის პროცესის პრინციპების განთვალისიწნებით.

თუნინგის ზოგადი შედეგები უნივერსიტეტებს სთავაზობს სასარგებლო ათვლის წერტილებს, მაშინ როდესაც დარგობრივი ჯგუფების შედეგები გამოდგება დისციპლინის დონეზე ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დარგობრივი სფეროს დონე შესაფერისია შემდეგისათვის:

- სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრადიციის წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის გამოცდილების გამოყენება;
- პროფესიული სტრუქტურების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა თვალსაზრისით დაინტერესება და ამით დინამიური დიალოგის ხელშეწყობა სოციალური მნიშვნელობისა და ადეკვატურობის შესახებ;
- დარგობრივ სფეროებში განვითარების ტენდენციებზე ფოკუსირება და ამით დარგობრივი სტანდარტების განვითარების ხელშეწყობა;
- კურსებისა და პროგრამების შესაბამობა პროფესიებთან და საერთაშორისო კონტექსტში აკადემიურ და პროფესიულ პროფილებთან;
- ხარისხის შესახებ საერთო შეხედულების გაცნობიერება დარგობრივი სფეროს ფარგლებში, და იმავდროულად სხვადასხვა მიდგომის აღიარება;
- კურიკულუმისა და სწავლის, სწავლებისა და შეფასების შედარება დარგების კარტირებისათვის, ურთიერთგაგების ხელშეწყობისა და სხვადასხვა დონეზე საერთო სტანდარტების განვითარებისათვის;
- ევროპაში დასაქმების სიტუაციის შესწავლა მრავალფეროვნებისა და ინოვაციების საკითხებზე აქცენტირებით;
- საფეხურების (დონეების) მახასიათებლების შემუშავებაში მონაწილეობა და ამით კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს შემუშავების ხელშეწყობა.

დარგობრივი სფეროს ფარგლებშია სწორედ შესაძლებელი პროგრამის აკადემიური განვითარების გაგება და შეფასება როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

4. ზოგი პრაქტიკული მეთოდი და წარმატებული პრაქტიკის მაგალითი

²⁵ Sursock, Andree, 2003

წიგნის ამ თავში აღნიშნულია პროგრამის დონეზე ხარისხის კულტურის განვითარების მნიშვნელობა. ამ კულტურის თანამდევი სხვადასხვა ელემენტი იდენტიფიცირებულია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თუნინგის როლს. ზემოთ უკვე აღნიშნული ორი პრაქტიკული ინსტრუმენტი მოცემულია დანართებში და მათი გამოყენება სასარგებლოა პროგრამის შემუშავების, გადამუშავების, განხორციელების, გაუმჯობესებისა და შეფასებისას. ეს არის „ძირითადი კითხვების ჩამონათვალი“ (დანართი I), რომელიც წარმოადგენს პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და გაუმჯობესების ძირითად ინსტრუმენტს ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეზე. II დანართში მოცემლია „კურიკულუმის შეფასების ფორმა“. III დანართი გვთავაზობს ხუთ მაგალითს საუკეთესო პრაქტიკიდან, და გვიჩვენებს თუ როგორ შეიძლება გამოვიყენოთ თუნინგის მიდგომა ან მისი ელემენტები პრაქტიკაში. პირველის სამი მაგალითი გვიჩვენებს თუნინგის გამოყენებას პროგრამის გადამუშავებისას ბოლონის სამსაფეხურიან სისტემაზე ინსტიტუტისა და ფაკულტეტის დონეზე, ისევე როგორც დეპარტამენტისა და თავად პროგრამის დონეზე. ბოლო ორი მაგალითი ფოკუსირებულია პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

პირველი მაგალითი გრონინგენის უნივერსიტეტიდანაა. კერძოდ, ხელოვნების ფაკულტეტიდან, სადაც აკადემიური პროგრამების დიდი ნაწილი სისტემურად გადამუშავდა ბოლონის პროცესის სამსაფეხურიანი სისტემის შესაბამისად თუნინგის მიდგომის გამოყენებით. ის გვთავაზობს – უფრო ზოგადად – იმ ნაბიჯების მიმოხილვას, რომლებიც განხორციელდა ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადამუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. რეფორმის შედეგად, ხელოვნების ფაკულტეტმა შეიმუშავა ხარისხის კულტურის საკუთარი სისტემა, დაფუძნებული თუნინგის სქემაზე, რომელიც 2005 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა.

მეორე მაგალითი წარმოადგენს კოიმბრას უნივერსიტეტის ისტორიის დეპარტამენტს და გვიჩვენებს დეპარტამენტის დონეზე თუნინგის მეთოდოლოგიის ეფექტურობას ისტორიის პროგრამის გადამუშავებისათვის. ის, ასევე გვიჩვენებს ამ მიდგომის მნიშვნელობას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

მესამე მაგალითი მიმოიხილავს საუნივერსიტეტო აკადემიური პროგრამების საბაზისო პრინციპებს და აღწერს ხარისხის მენეჯმენტის სისტემას, რომელიც ლონდონის იმპერიული კოლეჯის ფიზიკის დეპარტამენტზე მუშაობს. ეს სისტემა შესაბამისად აღიარებული და მიღებულია IDEA ლიგის მიერ. წარმოდგენილი პრინციპები სრულად ეთანხმება თუნინგის მიდგომებს კურიკულუმის შემუშავების, მიწოდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მეოთხე მაგალითი ჰელსინკის უნივერსიტეტიდან გვთავაზობს აკადემიური პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მეთოდოლოგიას, რომელიც შეფასების მატრიცას ემყარება. მატრიცა ფოკუსირებულია

შედეგებისა ან ხარისხის რვა სფეროზე: სწავლება და კვლევა, სწავლების მიზნები, ლიდერობა სწავლებაში, სწავლება, სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასება), რესურსები, უკუგება და შემდგომი სწავლა მეორე და მესამე საფეხურებზე. ის განასხვავებს ხარისხის ოთხ დონეს: მხოლოდ დამაკმაყოფილებელი, საჭიროებს განვითარებას, კარგი და შესანიშნავი. დეუსტოს უნივერსიტეტი გვთავაზობს მეხუთე მაგალითს. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება კომპეტენციების შეფასება სისტემურად. ამ მიდგომის საილუსტრაციოდ შეირჩა ზოგადი კომპეტენცია - „ჯგუფში მუშაობის უნარი“.

5. თუნინგის გამოყენება აკადემიური პროგრამის დიზაინისა და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებისათვის

შეჯამებისათვის, თუნინგი გვთავაზობს სერიოზულ ინსტრუმენტებს პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ცხადია, ხარისხზე გავლენას სხვა ელემენტებიც ახდენენ, რომლებიც ნაციონალურ, ადგილობრივ თუ ინსტიტუტციონალურ კონტექსტში მოქმედებს. მიუხედავად ამისა, თუნინგის მიდგომა შეიძლება ყველგან ეფექტურად გამოვიყენოთ ბოლონის პროცესის კონტექსტში პროგრამების შემუშავებისათვის და ხელი შევუწყოთ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის კულტურის ჩამოყალიბებას.

თუნინგი გვადლევს ზოგად ჩარჩოს სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური პროგრამების განვითარებისათვის. ის გვიჩვენებს, როგორ უნდა შემუშავდეს შედეგზე ორიენტირებული პროგრამები – ანუ როგორ იქნებიან კურსდამთავრებულები აღჭურვილი რეალურ ცხოვრებაში საჭირო კომპეტენციებით – და თან ითვალისიწნებს აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების, ისევე როგორც მოქალაქეობის განვითარებას. ის ასევე გვჩვენებს, პროგრამები ისეთ ფარმატში აღწეროთ, რომ ეს ერთნაირად გასაგები იყოს ევროპის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთაც, და ამით ხელს უწყობს თავსებადობას, ტრანსპარენტულობასა და მიმზიდველობას.

სინამდვილეში, თუნინგის ამოსავალი წერტილი არის პროგრამების შემუშავება, რომლების მეშვეობითაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი სწავლის შედეგების მიღწევა დროის მოცემულ მონაკვეთში. სწავლის შედეგები არაა ფორმულირებული დისციპლინის შინაარსის მიხედვით, არამედ უფრო შეძენილი ცოდნისა და უნარების ფორმატში. ცოდნა და უნარები გამოხატულია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ფორმით, ანუ გვიჩვენებს, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ.

თუნინგის კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სტუდენტებთან, კონსულტირების საშუალებას იძლევა და მკაფიოდ აყალიბებს პროგრამის სპეციფიკურ მიზნებს. ეს

„მიზნები“ ქმნის აკადემიური ხარისხის პროფილს, რომელიც დაკავშირებულია იმ პროფესიულ როლთან, რომელიც კურსდამთავრებულმა უნდა შეასრულოს და რის გამომუშავებაში მას აკადემიური პერსონალი უნდა დაეხმაროს. სასწავლო დატვირთვის კრედიტების გამოყენებით სასწავლო პროცესი ეფექტურად შეიძლება იქნეს ორგანიზებული.

თითოეულმა აკადემიურმა პროგრამამ დარგობრივი კომპეტენციების განვითარება უნდა უზრუნველყოს - ეს არის ცოდნა, უნარები, შესაძლებლობები და ღირებულებები, რომლებიც ამ დარგობრივ სფეროს სჭირდება. თუნინგი გვთავაზობს დარგობრივ სფეროზე ორიენტირებულ ათვლის წერტილებს დარგობრივი კომპეტენციებისათვის სხვადასხვა სფეროში: ამ ინსტრუმენტების გამოყენებით სხვა დარგობრივ სფეროებშიც შეიძლება იმავე შედეგის მიღწევა.

თუნინგის პროექტის ფარგლებში განხილულ დარგობრივ სფეროებში ასევე აღიწერა, თუ კომპეტენცის რა დონეს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა სწავლის პირველ და მეორე საფეხურებზე. არსებობს ზოგადი მახასიათებლები, რომელთა გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ინსტიტუტში ნაციონალური ან ადგილობრივი აკადემიური ტრადიციების გათვალისწინებით და ნებისმიერ კულტურულ, ეკონომიკურ თუ სოციალურ კონტექსტში. მომავალში, თუნინგი ელის საფეხურების/დონეების მახასიათებლების შემუშავებას მესამე (დოქტორანტურის) საფეხურისათვისაც.

თუნინგისათვის შედარებით ახალი იყო „ზოგად კომპეტენციებზე“ ფოკუსირება, რაც აქამდე ექსპლიციტურად არ გამოიყენებოდა აკადემიურ პროგრამებში. ყველა პროგრამაში უნდა შეირჩეს რელევანტური ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულებს მეტად გამოადგება და შესაბამისად უნდა იქნეს ორგანიზებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესი. თუნინგი არა მარტო გვიჩვენებს ზოგადი კომპეტენციების ჩამოყალიბების საერთო ენას, არამედ გვაწვდის მრავალ კონკრეტულ მაგალითს სხვადასხვა დარგობრივი სფეროდან, რომელიც გვიჩვენებს ზოგადი კომპეტენციების განვითარებისა და გამომუშავების ნიმუშებს.

ბუნებრივია, სწავლისა და სწავლების პროცესის დაგეგმვისას, რომლებიც დასახული სწავლის შედეგების მიღწევას უნდა ემსახუროდეს, ინსტიტუტებმა უნდა გაითვალისწინონ დროის ფაქტორი. დატვირთვაზე დაფუძნებული ECTS კრედიტები შესაძლებელს ხდის პროცესი ეფექტურად დაიგეგმოს და გათვალისწინებულ იქნეს სწავლასა და შეფასებაზე გამოყოფილი დრო.

ECTS კრედიტები თუნინგის ერთადერთი ინსტრუმენტია იმ გარემოს შესაქმნელად, რომელშიც შესაძლებელია სწავლის დასახული შედეგების მიღწევა. ყველა ქვეყანა, ყველა დისციპლინა და ყველა ინსტიტუტიც კი ფლობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების საკუთარ ტრადიციას. თუნინგმა დააკავშირა ეს ტრადიციები: ცოდნისა და გამოცდილების

გაზიარების პროცესში მრავალი ეფექტური მეთოდი და ტექნიკა და მიდგომა იქნა შეგროვლი და აღწერილი. ეს მასალა მოიცავს როგორც ზოგად, ასევე დარგობრივ კომპეტენციებს და სხვადასხვა დისციპლინური სფეროდან მოდის. მასალა ხელმისაწვდომია გამოყენებისათვის. თუნინგის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მიდგომის გამოყენება პროგრამის ფარგლებში საუკეთესო შედეგს უზრუნველყოფს.

შეფასება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია პროგრამის წარმატების ხარისხის გაზომვისათვის. ის უნდა ეფუძნებოდეს იმის შემოწმებას, მიაღწია თუ არა სტუდენტმა დასახულ მიზნებს. რადგანაც მიზნები სწავლის შედეგების, ანუ კომპეტენციების ფორმატშია ფორმულირებული, შეფასება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სწორედ კომპეტენციების შემოწმებას უზრუნველყოფდეს.

თუნინგმა აქაც საუკეთესო პრაქტიკიდან უამრავი საინტერესო მასალა მოაგროვა სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვადასხვა დისციპლინიდან. ეს ინფრომაცია ასევე ღია და ხელმისაწვდომია ინსტიტუტებისათვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების მეთოდების შემუშავებისათვის.

ბუნებრივია, პროგრამის დიზაინი და განხორციელება მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების საგანი უნდა იყოს, რათა განისაზღვროს, მიიღწევა თუ არა დასახული მიზნები და რამდენად ადეკვატურია სწავლების პროცესი, საჭიროა თუ არა ცვლილებები და რამდენად ასახავს პროგრამა დარგობრივი განვითარების ტენდენციებსა და საზოგადოების მოლოდინებს. მზარდ მნიშვნელობას იძენს პანევროპულ კონტექსტში არსებული განვითარების ტენდენციების გათვალისწინება. თუნინგის ინსტრუმენტები და მიდგომები საშუალებას მისცემს ინსტიტუტებს განახორციელონ როგორც საკუთარი, ისე ერთობლივი და საერთაშორისო პროგრამების მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება ფართო კონტექსტში. ამით თუნინგს საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროგრამულ დონეზე ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მომზადებულია ხულია გონზალესის, ანა კათრინ ისაკის, მარია სტიკი-დამიანისა და რობერტ ვაგენარის მიერ, ხოაკინ კარვალოს (კოიმბრას უნივერსიტეტი), გარეტ ჯონსის (იმპერიული კოლეჯი) და კრისტინა ვეჰელას (ჰელსინკის უნივერსიტეტი) მონაწილეობით.

დანართი I

თუნიგის ძირითადი კითხვების ჩამონათვალი პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შენარჩუნებისა და შეფასებისათვის ბოლონის რეფორმის ფარგლებში

პროგრამის დიზაინი

ასპექტები	ძირითადი კითხვები
აკადემიური ხარისხის პროფილი	<ul style="list-style-type: none"> - მკაფიოდ არის თუ არა განსაზღვრული ახალი პროგრამის შემუშავების საჭიროება და პოტენციალი? - დააკმაყოფილებს თუ არა პროგრამის მიზანი ახალ პროფესიულ და /ან საზოგადოებრივ მოთხოვნებს? - ჩატარდა თუ არა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან? დაადასტურეს თუ არა მათ ახალი პროგრამის საჭიროება? - რამდენად ადეკვატური იყო კონსულტაციების დროს გამოყენებული მიდგომა? რამდენად შესაბამისი იყო დაინტერესებულ მხარეთა შერჩევა კონსულტაციის პროცესისთვის? - რამდენად გასაგებია პროფილის დეფინიცია, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა და პროგრამის ადგილი ნაციონალურ და საერთაშორისო კონტექსტში? - რამდენად დასაბუთებულია მოლოდინი, რომ აკადემიური ხარისხი აღიარებულ იქნება მომავალი დასაქმების კონტექსტში? რამდენად შეესაბამება ის სპეციფიკურ პროფესიულ თუ საზოგადოებრივ კონტექსტს? - რამდენად რთულია პროგრამის პროფილი პერსონალისა და სტუდენტებისათვის? - გაცნობიერებულია თუ არა საგანმანათლებლო კონტექსტი, რომელშიც პროგრამაა შეთავაზებული?
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> - რამდენად მკაფიოდ და ადეკვატურად იქნა განსაზღვრული სწავლის შედეგები მთელი პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტებისათვის? - რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის განსაზღვრულ პროფილს? რამდენად ადეკვატურია მათი გადანაწილება პროგრამის ხვადასხვა ნაწილზე? - რამდენად გარანტირებულია პროგრამისა და მისი ნაწილების პროგრესი და კოჰერენტულობა? - ჩამოყალიბებულია თუ არა სწავლის შედეგები ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმატში და გამოხატავს თუ არა ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, შესაძლებლობებსა და ღირებულებებს? - რა გარანტიები არსებობს სწავლის შედეგების აღიარებისა და გაგებისათვის ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ?
კომპეტენციები	<ul style="list-style-type: none"> - რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული და ფორმულირებული

	<p>სტუდენტის მიერ გამოსამუშავებელი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები?</p> <ul style="list-style-type: none"> - რამდენად შეესაბამება კომპეტენციების დონე სპეციფიკურ პროგრამას? - იძლევა თუ არა კომპეტენციების აღწერის ფორმატი მათი გაზომვის/შეფასების საშუალებას? - რამდენად გარანტირებულია პროგრესი კომპეტენციების განვითარების პროცესში? - რამდენად შესაძლებელია კომპეტენციების ადეკვატური შეფასება? რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული კომპეტენციების შეფასების მეთოდოლოგია და რამდენად ადეკვატურად ასახავს ის დასახულ სწავლის შედეგებს? - რამდენად მკაფიოდაა განსაზღვრული კომპეტენციების სწავლისა და სწავლების მიდგომები? რის მიხედვით ვმსჯელობთ, რომ შედეგი მიღწევადია? - რამდენად ინოვაციური/კრეატიული და განსხვავებულია არჩეული მიდგომები? - რამდენად თავსებადია და შესაძარია კომპეტენციები მოცემულ დარგობრივ სფეროში ევროპულ ათვლის წერტილებთან?
დონე	<ul style="list-style-type: none"> - სწავლის საჭიროებების განსაზღვრისას რამდენად იქნა გათვალისწინებული პოტენციური სტუდენტების დონე? - რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების დონე კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოში განსაზღვრულ დონეს/აკადემიურ საფეხურს? - თუ ქვედონეები გათვალისწინებულია, აღწერილია თუ არა ისინი კომპეტენციების ფორმატში? - აღწერილია თუ არა დონეები: <ul style="list-style-type: none"> • ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობის ფორმატში; • პრაქტიკაში ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების გამოყენების ფორმატში; • ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების ფორმატში • ცოდნისა და გაცნობიერების კომუნიკაციის ფორმატში; • უწყვეტი განათლების ფორმატში.
კრედიტები და სასწავლო დატვირთვა	<ul style="list-style-type: none"> - გამოყენებულია თუ არა პროგრამაში ECTS კრედიტები? ეთანხმება თუ არა ECTS ძირითად მახასიათებლებს? - განაწილებულია თუ არა კრედიტები პროგრამაში? რამდენად და როგორაა კრედიტების განაწილების ადეკვატურობა უზრუნველყოფილი? - როგორია კავშირი კრედიტებსა და სწავლის შედეგებს შორის? - როგორ მოწმდება დატვირთვისა და კრედიტების განაწილებას შორის კორელაცია? - როგორ არის დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა უზრუნველყოფილი სწავლის, სწავლებისა და შეფასების კონტექსტში? - რა მექანიზმები გამოიყენება კრედიტების განაწილების შემოწმებისათვის? რამდენად და როგორ არიან სტუდენტები ამ

	<p>პროცესში ჩართულები?</p> <ul style="list-style-type: none"> - არის თუ არა ECTS გზამკვლევაში პროგრამის (კრედიტებისა და მოდულების) შესახებ ინფორმაცია მოცემული? - როგორ არის წახალისებული პროგრამაში სტუდენტთა მობილობა? - როგორ იღებენ სტუდენტები კონსულტაციას მობილობის შესახებ? - რამდენად გამოიყენება ECTS ძირითადი დოკუმენტები სტუდენტთა მობილობისათვის? - ვინაა პასუხისმგებელი აღიარების პროცედურებზე და აღიარების რომელი პროცედურები გამოიყენება?
რესურსები	<ul style="list-style-type: none"> - როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამისა და რესურსების ფორმალური მხარე? - როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და დამხმარე პერსონალის კომპლექტაცია? საჭიროებს თუ არა პროგრამა სხვა ინსტიტუტებიდან/დაწესებულებებიდან მასწავლებელთა მოწვევას? - რამდენადაა გათვალისწინებული პერსონალის განვითარება სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების მხრივ? - როგორაა უზრუნველყოფილი საჭირო სტრუქტურული, ფინანსური და ტექნიკური რესურსები (საკლასო ოთახები, აღჭურვილობა, უსაფრთხოების პროცედურები და ა.შ.)? <p>სამუშაო პრაქტიკის შემთხვევაში, როგორაა უზრუნველყოფილი სანდო და მნიშვნელოვანი პრაქტიკის განხორციელების ადგილი?</p>

პროგრამის მიწოდება, შენახვა და შეფასება

მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> - როგორ ხორციელდება პროგრამისა და მისი კომპონენტების მიწოდების ხარისხის მონიტორინგი? - როგორ ხორციელდება პროგრამის პერსონალის ხარისხისა და მოტივაციის მონიტორინგი? - არსებობს თუ არა საგანმანათლებლო გარემოს/პრაქტიკის განხორციელების ადგილის შეფასების სისტემა? - შეესაბამება თუ არა საკლასო ოთახები და აღჭურვილობა პროგრამის მიზნებს? - როგორ მოწმდება სტუდენტების დონე პროგრამაზე მოხვედრისას? - როგორ მოწმდება სტუდენტთა მოსწერება მიღწეული სწავლის შედეგებთან მიმართებაში და პროგრამისა და მისი კომპონენტების შესწავლისათვის საჭირო დროის კონტექსტში? - როგორ მოწმდება კურსდამთავრებულთა დასაქმება? - როგორ არის ორგანიზებული კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა? - გროვდება თუ არა ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესახებ?
განახლება	<ul style="list-style-type: none"> - როგორაა ორგანიზებული პროგრამის განახლებისა და შემოწმების სისტემა? - როგორ აისახება საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები პროგრამაში?

	- როგორ მიმართებაშია აკადემიური პერსონალის განვითარება დაკავშირებული პროგრამის განახლების ორგანიზაციასთან?
მდგრადობა და პასუხისმგებლობა	- როგორაა უზრუნველყოფილი პროგრამის მდგრადობა? - როგორაა უზრუნველყოფილი ის, რომ რელევანტური სტრუქტურები იღებენ პასუხისმგებლობას პროგრამის მდგრადობასა და განახლებაზე?
ორგანიზაცია და ინფორმაცია	- რამდენადაა უზრუნველყოფილი ინფორმაციის განახლება პროგრამის ორგანიზაციის შესახებ? - როგორაა უზრუნველყოფილი სტუდენტთა მხარდაჭერისა და კონსულტაციების/ტუტორინგის სისტემა? - გაიცემა თუ არა დიპლომის დანართი სტუდენტებისათვის ავტომატურად და უფასოდ ევროპის ძირითად ენაზე?

დანართი II

თუნინგის კურიკულუმის შემოწმების ფორმა

კურიკულუმის შეფასების ფარგლებში შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი ელემენტები: საგანმანათლებლო პროცესი, განათლების შედეგი და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები.

საგანმანათლებლო პროცესი:

- აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები);
- სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
- პროგრამის სტრუქტურა და პროგრამის ელემენტების თანამიმდევრობა;
- პროგრამის კოჰერენტულობა;
- სასწავლო დატვირთვის განაწილება სემესტრებსა და აკადემიურ წლებზე;
- პროგრამის ვარგისიანობა;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
- კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან;
- საერთაშორისო თანამშრომლობა და სტუდენტთა მობილობა.

განათლების შედეგი:

- სტუდენტთა რაოდენობა, განთესვა და სხვა პროგრამებზე გადასვლა;
- პირველი და მეორე საფეხურების შედეგები;
- დასაქმება.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები):

- სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები;
- პერსონალი და მატერიალური რესურსები;
- სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ტუტორები.

საგანმანათლებლო პროცესი

1. აკადემიური ხარისხის პროფილი (პროგრამის მიზნები)

წინაპირობები:

აკადემიურ პროგრამას მკაფიოდ განსაზღვრული პროფილი აქვს, რომელიც, ერთი მხრივ, აკადემიური ხარისხის მოთხოვნებს შეესაბამება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მოლოდინებს, უზრუნველყოფს რა შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულების დასაქმებას.

კითხვები:

რამდენად უჩვენებს ხელთ არსებული მონაცემები, ემთხვევა თუ არა პროგრამის პროფილი განსაზღვრულ მოთხოვნებს? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

2. სწავლის შედეგები და კომპეტენციები

წინაპირობები:

აკადემიურ პროგრამას მკაფიოდ ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები აქვს, რომლებიც პროგრამის პროფილს ასახავს. სწავლის შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება და უნარები)

კითხვები:

რამდენად შეესაბამება პროგრამის პროფილს დასახული სწავლის შედეგები და კომპეტენციები? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

3. პროგრამის ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგები და კომპეტენციები

წინაპირობები:

პროგრამის თითოეული კომპონენტისათვის საშუალოდ ხუთი სწავლის შედეგია ფორმულირებული, რომლებიც ცალსახად შეესაბამება მთელი პროგრამის სწავლის შედეგებს და მათ შემუშავებას უწყობს ხელს. სწავლის

შედეგები აღწერილია კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა, გაცნობიერება და უნარები).

კითხვები:

აღწერილია თუ არა სწავლის შედეგები მკაფიოდ საგნის/მოდულის სილაბუსებში და საჭიროების შემთხვევაში რამდენადაა განმარტებული? რამდენადაა გასაგები მახასიათებლებიდან, რომ დარგობრივი, სპეციფიკური კომპეტენციების გავარჯიშება ხორციელდება? არის თუ არა მითითებული, კომპეტენციების რომელი დონეა მისაღწევი?

4. პროგრამის სტრუქტურა და ცალკეული კომპონენტების თანმიმდევრობა

წინაპირობები:

კურიკულუმი ისეა სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფილია მთელი პროგრამის კოჰერენტულობა მის სხვადასხვა ფაზასა და სხვადასხვა კომპონენტს შორის. მუდმივი პროგრესი უზრუნველყოფილია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების მხრივ ცონდის, გაცნობიერებისა და უნარების გათვალისწინებით.

კითხვები:

რამდენად ცხადია პრაქტიკაში, რომ პროგრამის სტრუქტურა ხელს უწყობს კოჰერენტულობას და დასახული კომპეტენციების პროგრესულ განვითარებას? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

5. სასწავლო დატვირთვის განაწილება

წინაპირობები:

პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ კარგად დაბალანსებული სასწავლო დატვირთვა მის ყველა კომპონენტზეა გადანაწილებული როგორც სემესტრების, ისე აკადემიური წლების მიხედვით. პროგრამის კომპონენტებისათვის დაანგარიშებული დატვირთვა შეესაბამება საშუალო სტუდენტისათვის იმ დროს, რომელსაც ის დასახული მიზნების მიღწევას ანდომებს.

კითხვები:

რამდენადაა ნაჩვენები პრაქტიკაში, რომ სასწავლო დატვირთვა ზემოთ აღნიშნული პრინციპების მიხედვითაა გადანაწილებული? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

6. პროგრამის დაძლევის შესაძლებლობა

წინაპირობები:

პროგრამა ისეა ორგანიზებული, რომ მისი დაძლევა (განსაზღვრულ დროში პროგრამის მიზნების მიღწევა) შესაძლებელია საშუალო სტუდენტისათვის. ეს გულისხმობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების კარგ კომბინაციას, პროგრამის კომპონენტების თავსებადობასა და აკადემიური პერსონალის მხრიდან საკმარის ყურადღებას.

კითხვები:

რამდენადაა უზრუნველყოფილი და გაწონასწორებული სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, აკადემიური პერსონალის ხელმისაწვდომობა, და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

7. სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები

წინაპირობები:

გამოიყენება სწავლის, სწავლებისა და შეფასების განსხვავებული მეთოდები, რომლებიც შერჩეულია დასახული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევისათვის ადეკვატურობის შესაბამისად.

კითხვები:

რამდენადაა უზრუნველყოფილი ხელმისაწვდომი ინფორმაცია, კერძოდ საგანმანათლებლო და შეფასების რეგულაციები, კურსის სილაბუსები, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

8. კავშირი სასკოლო ზოგად განათლებასთან

წინაპირობები:

პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ ის სტუდენტთა სასტარტო დონეს ითვალისწინებს. პირველი საფეხურის პროგრამებისათვის გასათვალისწინებელია კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო სასკოლო პროგრამასთან,

ხოლო მეორე საფეხურის პროგრამებისათვის – პირველი საფეხურის პროგრამებთან.

კითხვები:

რამდენად უზრუნველყოფილია ზემოთ აღნიშნული კავშირების დაცვა, რომ სტუდენტის წინა კვალიფიკაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგ საფეხურზე განათლების გაგრძელებისათვის? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

9. საერთაშორისო თანამშრომლობა

წინაპირობები:

არსებობს სტრუქტურული კოოპერაცია უცხოელ პარტნიორ ინსტიტუტებთან. ეს თანამშრომლობა შეიძლება ერთობლივი აკადემიური პროგრამების ან სტუდენტთა მობილობის ფორმატში გამოიხატოს. სტუდენტთა მობილობისას მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი აღიარებული უნდა იყოს.

კითხვები:

რამდენადაა უზრუნველყოფილი რომ სტუდენტი არ ჩამორჩება, თუ მან პროგრამის ნაწილი უცხოურ პარტნიორ ინსტიტუტში გაიარა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი თავად არის პასუხისმგებელი (მაგალითად, თუ პროგრამა კონსულტაციის გარეშე ან გათვალისწინების გარეშე აირჩია, ან ვერ დაძლია პროგრამის კომპონენტები)? საჭიროების შემთხვევაში, რისი შეცვლა/დამატებაა აუცილებელი?

განათლების შედეგი

10. პირველი და მეორე საფეხურების (რეალიზებული) შედეგები

წინაპირობები:

ფაკულტეტი/დეპარტამენტი შემდეგი მიზნების მიღწევას ცდილობს: სწავლის პირველი წლის წარმატებული დამთავრება xx% (მაქსიმუმ პროგრამის დასაწყისიდან ორ წელიწადში), პირველი საფეხურის დასრულება პირველი წლის დასრულებაზე დაფუძნებით xx% (პროგრამის დაწყებიდან ოთხ წელიწადში), მეორე საფეხურის პროგრამის დასრულება xx% (ორი ან სამი წელი პროგრამის დაწყებიდან).

კითხვები:

მართალც მიიღწევა დასახული პროცენტული მაჩვენებლები? თუ არა, რატომ? რა შემოთავაზებებია გაუმჯობესებისათვის?

11. დასაქმება

წინაპირობები:

პროგრამა ამართლებს საზოგადოების მოლოდინს, რაც იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ შრომის ბაზარზე დასაქმება ძირითადად კარგია.

კითხვები:

პოულობენ თუ არა კურსდამთავრებულები სწავლის დასრულების შემდეგ დროის მისაღებ პერიოდში მათი კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამის სამსახურს?

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემო (რესურსები)

12. სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები

წინაპირობები:

არსებობს საკმარისი სტრუქტურული და ტექნიკური რესურსები პროგრამის განხორციელებისათვის.

კითხვები:

არსებობს თუ არა რესურსების ნაკლებობა პროგრამის განხორციელების დროს?

13. პერსონალი და მატერიალური რესურსები

წინაპირობები:

პროგრამის განხორციელებისათვის საკმარისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პერსონალია ხელმისაწვდომი როგორც პედაგოგიური, ისე დამხმარე პერსონალიდან (ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი). თითოეული პროგრამა/სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფილია პროგრამისათვის საჭირო რესურსებით (მოწვეული ლექტორები, მასალები და ა.შ.)

კითხვები:

რამდენადაა საკმარისი ეს რესურსები პრაქტიკაში?

14. სტუდენტთა მხარდაჭერა/სერვისი: სტუდენტთა კონსულტანტები/ტუტორები

წინაპირობები:

არსებობს და მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა.

კითხვები:

რამდენად ადეკვატურია სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს ის სტუდენტთა მოთხოვნებს?

დანართი III

წარმატებული პრაქტიკის მაგალითები

1. გრონინგენის უნივერსიტეტი: ხელოვნების ფაკულტეტი

ნიდერლანდებში, გრონინგენის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე გადასვლა ერთსაფეხურიანი ოთხწლიანი პროგრამიდან ორსაფეხურიან პროგრამაზე თუნინგის მიდგომის მიხედვით განხორციელდა. 19 საბაკლავრო და 25 სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისათვის შეიქმნა სპეციალური კომიტეტები, რომლებსაც დაევალით დეტალური პროცედურის განსაზღვრა. კომიტეტები ერთნაირი ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებდნენ. ამ ინსტრუქციებში დეტალურად იყო აღწერილი ყველა გამოსაყენებელი ცნება თუ კონცეფცია. ეს აუცილებელი იყო, რადგანაც იცვლებოდა არა მარტო პროგრამის საფეხურები, არამედ უნდა განხორციელებულიყო გადასვლა სწავლის სემესტრული ორგანიზაციიდან ტრიმესტრულზე, მასწავლებელზე ორიენტირებული სისტემიდან – სტუდენტზე ორიენტირებულ სისტემაზე, უნდა დანერგილიყო მოდულები და ძირითადი და დამატებითი სპეციალობები (major/minor). დეტალური ინფორმაცია იქნა მოცემული საფეხურებისა და შუალედური დონეების მახასიათებლების შესახებ, რომლებიც პროგრამის შემუშავების საბაზისო ელემენტებია, და ასევე ინფორმაცია სტუდენტთა დატვირთვის გაანგარიშების ეტაპების შესახებ.

კომიტეტებს ეთხოვათ პროგრამის პროფილის განსაზღვრა და მისი გამოხატვა სწავლის შედეგების, იმავე დარგობრივი (ცოდნა და ტექნიკური უნარები) და ზოგადი კომპეტენციების ფორმატში. პროფილები და მათი თანამდევნი სწავლის შედეგები შემოწმდა პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ, ვიდრე შემდეგი ნაბიჯი განხორციელდა: სწავლის შედეგების

გარდაქმნა მოდულებში. ყველა მოდულისათვის უნდა განსაზღვრულიყო კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებაც ეს მოდული ემსახურება. ამის ვიზუალიზაცია სპეციალური ცხრილის მეშვეობით ხორციელდება, რომ ნაჩვენები იყოს ყველა დასახული კომპეტენციის/სწავლის შედეგის მიღწევა და, ასევე პროგრამის განმავლობაში სათანადო პროგრესი. ვიდრე კონკრეტულ მასწავლებლებს ეთხოვათ კურსების შემუშავება სწავლის, სწავლებისა და შეფასების ფორმატში, მანამდე პროგრამის საერთო სტრუქტურა შეფასდა და საჭირო ცვლილებები განხორციელდა.

კურსის დიზაინი ასევე ეფუძნება სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს და უნდა ითვალისწინებდეს ECTS კრედიტებს. ზემოთ აღწერილი პროცესი 2001 წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2002/2003 წლის ზამთრამდე გაგრძელდა. 2003 წლის სექტემბერში ყველა არსებული პროგრამის ჩანაცვლება მოხდა ახალი პროგრამებით. მიმდინარე პროგრამების სტუდენტებისათვის შემუშავდა გარდამავალი შეთანხმებები. 2004 წელს გამოყენებული მიდგომის ეფექტურობა კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც მომზადდა პროგრამების გარე შეფასება. აღმოჩნდა, რომ თვითშეფასების ანგარიშების მომზადება საკმაოდ მარტივია, რადგანაც კითხვებზე პასუხის გაცემისათვის საჭირო მასალა და ინფორმაცია უკვე ხელმწიხავდომი იყო. ამ მხრივ, ძალიან ღირებული იყო ის ფაქტი, რომ კომიტეტებმა პროგრამების შემუშავებისას ნაციონალური და საერთაშორისო ათვლის წერტილები გაითვალისწინეს, როგორც ეს ინსტრუქციებში იყო აღწერილი. რეფორმის და ასევე გარე შეფასების შედეგად, ხელოვნების ფაკულტეტმა შეიმუშავა ხარისხის კულტურის საკუთარი შიდა სისტემა, რომელიც 2005 წლის გაზაფხულიდან მუშაობს. ეს სისტემა ამ წიგნში მოცემული მიდგომების მიხედვით მოქმედებს.

2. კოიმბრას უნივერსიტეტი: ისტორიის დეპარტამენტი

ისტორიის აკადემიური პროგრამები კოიმბრას უნივერსიტეტში 1986 – 2000 წლებში თითქმის არ შეცვლილა. უნივერსიტეტის მონაწილეობამ თუნინგი I-ის პროექტში 2000 წელს და TEEP-2002 ტრანსნაციონალური შეფასების საპილოტო პროექტში განსაზღვრა კურიკულუმისა და ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა, რომელიც 2003 წელს დაიწყო. უნდა შექმნილიყო პროცედურები, ინსტრუმენტები და სტრატეგიები იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო თუნინგის მიდგომების განხორციელება. შედეგად გთავაზობთ კოიმბრას უნივერსიტეტის გამოცდილებას კურიკულუმის რეფორმაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის პერსპექტივიდან.

იგაკვეთილი: განსაზღვრეთ პროგრამის პროფილი და დონე შესაბამისი და გასაგები სწავლის შედეგებით

პროგრამის მიზნების განსაზღვრის სასარგებლოა ორი პერსპექტივის გათვალისწინება: „პროფილი“ და დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგებს განსაზღვრავს. „პროფილი“ წარმოადგენს კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების აღწერას პოტენციური დამსაქმებლისათვის. კოიმბრას უნივერსიტეტის შემთხვევაში ეს ხუთპუნქტიანი ჩამონათვალია, რომელიც ისტორიის კურსდამთავრებულების პროფესიულ ვარგისობასა და მნიშვნელობას ძალიან ზოგადად აღწერს. პროფილის გარდა, თუნიზის მიხედვით, შეიქმნა 14 კომპეტენცია: 7 ზოგადი და 7 დარგობრივი. ეს სწავლის შედეგებია, უფრო აკადემიური ტერმინოლოგიით გამოხატული. პროფილი და 14 კომპეტენცია აღწერს ერთსა და იმავეს: რა იცის და რისი გაკეთება შეუძლია კურსდამთავრებულს. მაგრამ პროფილი მიმართულია გარე საზოგადოებაზე, მაშინ როდესაც კომპეტენციები უფრო საუნივერსიტეტო წრეში კურიკულუმის დეტალიზაციას ემსახურება.

II გაკვეთილი: რთული, მაგრამ აუცილებელია გამართული სტრატეგიის შემუშავება კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთდაკავშირებისათვის

ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია იმ მეთოდის პოვნა, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერსონალის მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების წვლილი პროგრამის გლობალური მიზნების მიღწევაში. ჩვენი გამოცდილებით ეს პროცესი სამ ნაბიჯს მოიცავს.

ნაბიჯი პირველი: დარწმუნდით, რომ ყველას კარგად და ერთნაირად ესმის პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციები. ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია მოკლე დოკუმენტის (ხუთი გვერდი) განვითარება, რომელიც დეტალურად აღწერს ყველა კომპეტენციას მათი შესაბამისი კურსებისა და აქტივობების ილუსტრირებით.

ნაბიჯი მეორე: შეიმუშავეთ ინდივიდუალური კურსების გლობალურ კომპეტენციებთან დაკავშირების მეთოდი. ჩვენს შემთხვევაში დარგობრივი კომპეტენციებისათვის შეიქმნა კავშირი კურიკულუმის სტრუქტურის დონეზე: ყოველ კურსს შეაქვს წვლილი 7 დარგობრივი კომპეტენციის განვითარებაში, რომლებიც პროგრამის გლობალურ სწავლის შედეგებს ქმნიან. ასე დარგობრივი კომპეტენციების წონა/წილი ცნობილია ზოგადი კურიკულუმის დატვირთვისთან მიმართებაში: ის ტოლია იმ კურსების დატვირთვისა, რომელიც მასთანაა ასოცირებული.

მსგავსი მარტივი სქემა ზოგადი კომპეტენციების განვითარებისთვის ვერ მოიძებნა. პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ისეთი კომპეტენციები, როგორც „პროექტის დაგეგმვა და მენეჯმენტი“ ან „ჯგუფური მუშაობა“ ვითარდება პრაქტიკული აქტიური განხორციელების პროცესში და არა უშუალოდ შესწავლის დროს. ამ კომპეტენციების გამომუშავების ხელშემწყობი აქტივობა ნებისმიერი კურსის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლად, თუ სათანადო

გარემოა უზრუნველყოფილი – შესაბამისად უფრო რთულია ზოგადი კომპეტენციებისათვის საერთო დატვირთვის კალკულაცია. ამ კონტექსტში არჩეულ იქნა პროგრესული მიდგომა, რომლის მიზანია პერსონალის ხელშეწყობა ზოგადი კომპეტენციის განვითარების საქმეში და პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგის შესაბამისი პროცესების განვითარება. ყველა პროფესორი ვალდებულია პროგრამის სწავლის შედეგებიდან აერჩია ზოგადი კომპეტენციები, რომლის სწავლებასა და განვითარებასაც ის თავისი კურსის ფარგლებში შეუწყობდა ხელს. პროფესორების არჩევანი ცნობილია და აღწერილია კურსის მახასიათებელში და პროგრამის საინფორმაციო სისტემაში, რაც ზრდის ზოგადი კომპეტენციების სწავლების საქმეში აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ თითოეული კურსი დაკავშირებულია სწავლის გლობალურ შედეგებთან, ძალიან მნიშვნელოვანია: ის ქმნის ინდივიდუალური კურსების სილაბუსების შეფასების ადეკვატურ კრიტერიუმებს და საშუალებას იძლევა სტუდენტებისაგან უკუგების მიღებისას. ტრადიციულად ეს კურსის დონეზე ხორციელდება, მაგრამ ამ ჩარჩოში კომპეტენციის დონეზეც შეიძლება განხორციელდეს.

III გაკვეთილი: აკადემიური საინფორმაციო სისტემები უნდა ემორჩილებოდეს თუნინგის მიდგმებს, რათა ეფექტურად შეუწყოს ხელი ხარისხის უზრუნველყოფას

კოიმბრას უნივერსიტეტში დარწმუნდნენ, რომ ძალიან რთულია ხარისხის უზრუნველყოფის სანდო სტრატეგიის დანერგვა აკადემიური ინფორმაციის სისტემების შეცვლის გარეშე. კერძოდ, აუცილებელია, რომ კომპეტენციების ჩამონათვალი და მათი შესაბამისი კურსების/მოდულების შესახებ ინფორმაცია იყოს ერთ სისტემაში თავმოყრილი ისე, რომ ქმნიდეს პროგრამის საჯარო აღწერის შესაძლებლობას. მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებიც ასევე უნდა ითვალისწინებდეს კომპეტენციების საკითხს.

დასკვნა: თუნინგის მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიას პროგრამულ დონეზე

მართლაც ნამდვილი სირთულეები ცვლილებების განხორციელების საქმეში არის პერსონალისა და სტუდენტების მოტივაცია, მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუნინგ-ი სერიოზულ დახმარებას გვიწევს ამ ეტაპზე, რადგანაც მისი მიდგომა ზემოდან ქვემოთაა მიმართული (top down approach) და ამით გარკვეულ ჩარჩოებს ქმნის და ხარისხის უზრუნველყოფის ლეგიტიმაციასაც იწვევს. გლობალური პროფილისა და სწავლის შედეგების დონეზე ადვილია ინსტიტუტის შიგნით კონსენსუსის მიღწევა. ეს შეთანხმება თუ მიღწეულია, კურიკულუმის განვითარება ადვილდება, განსაკუთრებით თუ

კომპეტენციები მკაფიოდაა ფორმულირებული და არსებულ კურსებზე მათი გადანაწილება ხდება. პროგრამის სტრუქტურა იძენს აზრს და ემსახურება კონკრეტულ მიზანს, მაშინ როდესაც ათი წლის წინ მხოლოს კურსების ჩამონათვალი არსებობდა. ამ კონტექსტში ხარისხის უზრუნველყოფა ბუნებრივი ნაბიჯია, რომელიც ემსახურება მაღალ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას.

3. ლონდონის იმპერიული კოლეჯი: ფიზიკის დეპარტამენტი

საუნივერსიტეტო აკადემიური პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ლონდონის იმპერიული კოლეჯის ფიზიკის დეპარტამენტზე და შემდგომში აღიარებულ იქნა IDEA ლიგის მიერ:

1. ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მიზანი და დანიშნულება გაცხადებული უნდა იყოს და უნდა ითვალისწინებდეს როგორც სტუდენტთა საჭიროებებსა და მოლოდინს, ისევე დისციპლინის აკადემიურ ხასიათს. გარეშე გავლენები და ცვლილებები, როგორც ნაციონალური, ისე საერთაშორისო, ისევე როგორც უნივერსიტეტის მისია, პროგრამის შემუშავებისას ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს.
2. ყოველი საგანმანათლებლო პროგრამისათვის უნდა არსებობდეს კვალიფიკაციის პროფილი, რომელიც მკაფიოდ აღწერს პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. განსაკუთრებული სიცხადე მიიღწევა, თუ პროგრამის მიზნები სწავლის შედეგების ფორმატში აღიწერება, ანუ იმ ფორმატში, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს, მათ შორის ზოგადი კომპეტენციების კონტექსტშიც. კურიკულუმის დიზაინი და სტუდენტთა შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის პროფილს. იდეალურ შემთხვევაში ყოველი სწავლის შედეგი უნდა ფასდებოდეს იმ შკალის მიხედვით, რომელიც ამ შედეგის მიღწევას ასახავს.
3. აკადემიურ დეპარტამენტზე უნდა არსებობდეს მცირე ჯგუფი (მაგალითად, სასწავლო კომიტეტი) რომელსაც გამოცდილი პროფესორი ხელმძღვანელობს (მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელი) და რომელიც პასუხისმგებელია აკადემიური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე. სტუდენტთა შეხედულებები ამ ჯგუფის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს პირდაპირ, ან სხვა, სტუდენტთა რეპრეზენტაციული ჯგუფის დახმარებით. აკადემიური პერსონალის ფართო სპექტრის შეხედულებები ასევე მოსმენილი უნდა იყოს, რომ კურიკულუმი და სასწავლო მიდგომა გაგებული და მიღებული იქნეს როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების მიერ.
4. კურიკულუმის შემუშავების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს აკადემიურ შინაარსსა და იმ დონეს, რომლის მიღწევაც დაგეგმილია,

მაგრამ ამავე დროს სწავლისა და სწავლების მეთოდებს და სტუდენტთა სასწავლო დატვირთვას. კურიკულუმმა არ უნდა გადატვირთოს სტუდენტები ზედმეტი შინაარსით. კურიკულუმში გათვალისწინებული უნდა იქნეს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები და მათი აკადემიური და ინტელექტუალური განვითარება.

5. უნდა არსებობდეს შეფასების სქემა პროგრამების განხორციელების მონიტორინგისა და მიმოხილვისათვის, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც განათლების ხარისხს, ასევე აკადემიურ სტანდარტებს. მონიტორინგის პროცესი უნდა მოიცავდეს ისეთი ძირითადი ინდიკატორების სტატისტიკური მასალის რეგულარულ მოგროვებასა და ანალიზს, როგორცაა სტუდენტთა მოსწრება, სტუდენტთა დასაქმება ან მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელება, სტუდენტთა კონკურსი პროგრამაზე, პასუხები კითხვარებზე და ა.შ. შემოწმების პროცესი პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს და მასში უნდა მონაწილეობდეს გამოცდილი გარეშე დარგობრივი სპეციალისტები, ისევე როგორც იმავე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები. შეფასების შედეგები უნდა ქვეყნდებოდეს უნივერსიტეტში.
6. უნდა მოქმედებდეს უკუგების სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და აკადემიურ პერსონალს. კერძოდ, სტუდენტთა კითხვარების შედეგების ანალიზი და გამოყენება, და ა.შ. უკუგების მექანიზმების დანიშნულებაა პროგრამის ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაში დარწმუნება.
7. რადგანაც ფიზიკას, როგორც დისციპლინას, ფართო საერთაშორისო კვლევითი კავშირები აქვს, აკადემიური პერსონალის შერჩევასა გათვალისწინებული უნდა იყოს მათი კვლევითი კომპეტენცია და საერთაშორისო გამოცდილება, რათა მიღწეულ იქნეს სტუდენტთა განათლების მაღალი სტანდარტი და მათი ჩართვა კვლევით სამუშაოში. მასწავლებლობის მაღალი კვალიფიკაცია ასევე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი უნდა იყოს პერსონალის შერჩევასა. პერსონალის ტრენინგი სწავლების ტექნიკასა და მეთოდებში უნივერსიტეტის მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

5. ჰელსინკის უნივერსიტეტი

სწავლების შეფასების მატრიცა

აქ წარმოდგენილი შეფასების მატრიცა 2004 წლის გაზაფხულზე შემუშავდა და წარმატებით გამოიყენება 2004-2006 პერიოდში სასწავლო პროცესის ხარისხისა და შედეგების შეფასებისათვის. მატრიცა განასხვავებს

ოთხ შეფასებას: მხოლოდ დამაკმაყოფილებელი, საჭიროებს განვითარებას, კარგი და შესანიშნავი.

უნდა გვახსოვდეს, რომ კატეგორიები, მოცემული „შესანიშნავ“ სვეტში, ასევე გვხვდება „კარგ“ სვეტში. წარმატების კატეგორიები ერთსა და იმავე ელემენტებს ეფუძნება და შესაბამისად ორივე სვეტში გვხვდება; ეს ელემენტები არ მეორდება ბოლო სვეტში.

შეფასების მატრიცა ძირითადად დეპარტამენტების პერსპექტივიდან შემუშავდა, მაგრამ ფაკულტეტის, პროგრამის ან დისციპლინის თვალსაზრისი იყო გათვალისწინებული. მატრიცა შეიძლება მოქნილად გამოვიყენოთ, ოღონდ სხვადასხვა დისციპლინას შორის განსხვავებების გათვალისწინებით.

შეფასება ეფუძნება რვა სფეროს და მოიცავს უკუგებას და შემდეგ საფეხურებზე სწავლის შედეგებს.

ხარისხის ან შედეგების სფერო

1. სწავლება და კვლევა

- 1.1. სწავლება, სწავლა და კვლევა
- 1.2. პედაგოგიური კვლევა, როგორც სწავლების მხარდამჭერი

2. სწავლების მიზნები

- 2.1. სწავლების მიზნები და ძირითადი ელემენტები
- 2.2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

3. სწავლების ლიდერობა

- 3.1. სწავლების სტრატეგია
- 3.2. ხარისხის კონტროლი სწავლებაში
- 3.3. განათლების დაგეგმვა
- 3.4. პედაგოგიური ასპექტი მასწავლებლების თანამდებობების დაკავებისას
- 3.5. სწავლების განვითარების პროექტები
- 3.6. ინტერნაციონალიზმი

4. სწავლება

- 4.1. სწავლების მეთოდები
- 4.2. სწავლის ზედამხედველობა და ინდივიდუალური მიდგომა
- 4.3. სწავლების გზამკვლევი და კონსულტაციები
- 4.4. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში
- 4.5. სასწავლო მასალა
- 4.6. კავშირი შრომის ბაზართან

5. სწავლის შედეგები

- 5.1. ძირითადი სილაბუსი
- 5.2. სწავლის კარგის სტრატეგიების შექმნა
- 5.3. საგამოცდო სისტემა და სწავლის შეფასება
- 5.4. შეფასების/ნიშნების კრიტერიუმები

6. რესურსები

- 6.1. ადამიანური რესურსები
- 6.2. მასწავლებლების პედაგოგიური უნარები
- 6.3. შენობა და აღჭურვილობა
- 6.4. სტუდენტთა მიღება

7. უკუგება და მიღებული ინფორმაციის მიდევნება

- 7.1. სტუდენტთა უკუგება
- 7.2. უკუგება სამუშაოდან
- 7.3. დასაქმება

8. სწავლის შემდეგი საფეხურების შესწავლა

- 8.1. შემდეგ საფეხურზე სტუდენტთა მიღება და პოზიცია
- 8.2. ზედამხედველობა და სწავლება
- 8.3. დიპლომის შემდგომი განათლება და თანამშრომლობა სწავლების შემდეგ საფეხურზე
- 8.4. სპეციალიზაცია

თვითშეფასების ფორმა

სტატისტიკა

ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
1. სწავლება და კვლევა				

1.1. სწავლება, სწავლა და კვლევა	სწავლება დეპარტამენტზე მასწავლებელზეა ორიენტირებული და ეფუძნება სახელმძღვანელოებს. ბევრს მიაჩნია, რომ შეუძლებელია კვლევითი მიდგომის გამო-	არსებობს მასწავლებელთა ჯგუფი ან ერთეული პედაგოგები, ვინც ერთმანეთს უთანხმებს სწავლებასა და კვლევას	დეპარტამენტში უზრუნველყოფილია სტუდენტების გაცნობიერება დეპარტამენტზე მიმდინარე კვლევასთან. პროფესორები უკვე პირველი წლის	დეპარტამენტს გააჩნია მკაფიო სტრატეგია სამეცნიერო პერსონალის მასწავლებლობის პრაქტიკის შესახებ: სტუდენტები განიხილებიან როგორც სამეც-
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
	ყენება და არ ცდილობს კვლევის უახლესი შედეგები გამოიყენოს საბაზისო დონის სწავლებაში		სტუდენტებს ასწავლიან. სასწავლო პროგრამის ნაწილია კვლევის უახლესი შედეგების წარდგენა. მასწავლებლებს ახალისებენ შეუთავსონ სწავლება დეპარტამენტზე მიმდინარე კვლევით პროექტებს.	ნიერო პერსონალის ნაწილი, და სილაბუსების შემუშავებაში მონაწილეობენ როგორც მასწავლებლები, ისე მკვლევრები. მასწავლებლების ამოცანაა გააცნონ სტუდენტებს საკუთარ სფეროში კვლევის უახლესი შედეგები კვლევების ფართო სფეროში უახლესი მეთოდოლოგიით. კვლევა და სწავლება ინტეგრირებულია მთელ საგანმანათლებლო პროცესში.

<p>1.2. პედაგოგიური კვლევა როგორც სწავლების მხარდამჭერი</p>	<p>დეპარტამენტში არ იცნობენ კვლევას, რომელიც უნივერსიტეტი ს პედაგოგიკის ფაკულტეტზე ხორციელდება. არ არსებობს დაინტერესება სწავლების მეთოდებში და მისი გამოყენებისა.</p>	<p>ცალკეული მასწავლებლები იცნობენ პედაგოგიური კვლევის შედეგებს უნივერსიტეტის ფარგლებში, და სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უახლეს ინოვაციებს. დეპარტამენტი ამას უშვებს, თუმცა აქტიურად მხარს არ უჭერს.</p>	<p>მასწავლებლებს ახალისებენ გაეცნონ უნივერსიტეტში მიდმინარე პედაგოგიური კვლევის შედეგებს და გამოიყენონ მისი შედეგები საკუთარ სწავლებაში. დეპარტამენტი ცნობილია თავისი ინოვაციური და ექსპერიმენტული სწავლებით.</p>	<p>პედაგოგიკაში საერთაშორისო კვლევის შედეგები ცნობილია და გამოიყენება სწავლების მეთოდოლოგიის განვითარებისათვის. ხდება ყველაზე უფრო გამოსადეგი პრაქტიკის გადაღება და გამოყენება. დეპარტამენტის ბევრი მასწავლებელი აქტიურად მიმოიხილავს საკუთარი სწავ-</p>
<p>ხარისხის ან შედეგების სფერო</p>	<p>მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები</p>	<p>ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას</p>	<p>კარგი ხარისხი და შედეგები</p>	<p>შესანიშნავი ხარისხი და შედეგები</p>
				<p>ლების მეთოდებს და აცნობებს თავისი ექსპერიმენტების შესახებ როგორც ფინეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.</p>
<p>2. სწავლების მიზნები</p>				

<p>2.1. სწავლების მიზნები და ძირითადი ელემენტები</p>	<p>მიზნები და სწავლების გეგმები ჩართულია სასწავლო გზამკვლევაში. ისინი ნაკლებ მნიშვნელოვანია ცალკეულ მასწავლებელთა სასწავლო გეგმებისათვის. როგორც მასწავლებლებმა, ასევე სტუდენტებმა არ იციან, როგორ და როდის უნდა განხორციელდეს მიზნები. არაა განსაზღვრული, რა ქმნის სწავლების ბაზისს. სტუდენტები ვერ ამბობენ, რა არის მათ დარგობრივ სფეროში მთავარი კომპეტენცია.</p>	<p>დეპარტამენტში განიხილება სწავლების მიზნები მხოლოდ მაშინ, როდესაც ფუნდამენტურად რეფორმირდება სილაბუსები და მთელი პროგრამის სტრუქტურა. შემდეგ ერთმანეთს უთახმდება სხვადასხვა სექტორის როლები და მიზნები. ხდება სასწავლო მასალის განახლება. ძირითადი კულურკულუმის ანალიზი ხორციელდება, მაგრამ შემდგომი ნაბიჯები არ სრულდება.</p>	<p>დეპარტამენტში რეგულარულად განიხილება მიზნები და სწავლების ელემენტები. შრომის ბაზრის მოთხოვნები გათვალისწინებულია სწავლის მიზნების განსაზღვრისას. დეპარტამენტი ატარებს ძირითადი კურიკულუმის სასწავლო მასალის ანალიზს, და შესაბამისად რეფორმირებული სილაბუსებისა საც. სილაბუსი მკაფიოდ განასხვავებს ძირითად კურიკულუმს და არჩევით მასალას. პროგრამაში, ასევე არის სივრცე დამატებითი საგნებისათვის.</p>	<p>კურსის შინაარსი და მიზნები ისეა შერჩეული, რომ გაწონასწორებულ მთლიანობას ქმნის აკადემიურ მოთხოვნებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის. საერთაშორისო კვლევის შედეგები დეპარტამენტის მიერ გამოიყენება პროგრამის ფარგლებში. როგორც სტუდენტებმა, ისე მასწავლებლებმა იციან ძირითადი კურიკულუმის მოთხოვნები და, შესაბამისად, დარგობრივი სფეროს მოთხოვნებიც. ისინი აქტიურად</p>
<p>ხარისხის ან შედეგების სფერო</p>	<p>მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები</p>	<p>ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას</p>	<p>კარგი ხარისხი და შედეგები</p>	<p>შესანიშნავი ხარისხი და შედეგები</p>
				<p>მონაწილეობენ კურიკულუმის განსაზღვრასა და შეფასებაში. კურიკულუმის გადამუშავება რეგულარულად ხორციელდება. ეს შრომის</p>

				ბაზრიდან მიღებული ინფორმაციისა და საერთაშორისო ტენდენციების საპასუხოდ კეთდება.
2.2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება	სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს სტუდენტთა უნარებსა და საჭიროებებს. სტუდენტები ვერ ახდენენ შესაძენვე გავლენას სწავლებისა და სწავლის მეთოდებზე. სილაბუსი ძალიან ცოტა ალტერნატიულ ვარიანტს გვთავაზობს. სტუდენტებს არ სთავაზობენ ინტერნეტით სწავლების მოქნილ გზებს.	ბევრი მასწავლებელი იყენებს მეთოდებს, რომლებიც სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს. სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა მეთოდს შორის არჩევა. ცალკეული მასწავლებლები სტუდენტებს უკუგებას აძლევენ სწავლის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.	დეპარტამენტზე მიღებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და მასწავლებლებს ამზადებენ ამ მეთოდების გამოყენებისათვის. სტუდენტების უკუგება რეგულარულად გროვდება და შეისწავლება. სტუდენტებს ასევე ეძლევათ ინფორმაცია მათი სწავლების შესახებ. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმები გამოიყენება ზედამხედველობასთან ერთად. დეპარტამენტი სთავაზობს სტუდენტებს არჩევით,	სტუდენტთა მოსწრება და სწავლის ხარისხი დეპარტამენტში განიხილება როგორც სწავლების წარმატების საზომი ერთეული. სწავლის ინდივიდუალური ტიპების ვარიაციები გათვალისწინებულია. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებიდან გამომდინარე, სწავლების უმთავრეს მიზნად მიჩნეულია სტუდენტების გაცნობიერება და მათ მიერ
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
			ინტერნეტზე დაფუძნებულ სწავლებას	პროფესიონალ იზმის უმაღლესი დონის მიღწევა. სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და უკუგების მექანიზმები ეთან-

				ხმება ამ პრინციპს. სტუდენტები მონაწილეობენ მიზნების დაგეგმვასა და სწავლების შინაარსში.
3. სწავლების ლიდერობა				
3.1. სწავლების სტრატეგია	დეპარტამენტი არ იცნობს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სწავლების სტრატეგიას. არაა ცნობილი, ვინაა პასუხისმგებელი სწავლების პროცესზე, გადაწყვეტილებების მიღებასა და ამოცანების განაწილებაზე.	უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიები ცნობილია, მაგრამ არაა გათვალისწინებული დეპარტამენტში. არ მიიღება გადაწყვეტილებები დეპარტამენტის დონეზე.	დეპარტამენტს გააჩნია საკუთარი სწავლების სტრატეგია, რომელიც ეთანხმება და შეესაბამება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიებს. დეპარტამენტის ხელმძღვანელი და აკადემიური კომიტეტი აქტიურად მუშაობენ სწავლების სტრატეგიის საკითხებზე.	დეპარტამენტის ხელმძღვანელი და აკადემიური კომიტეტი მუშაობენ სტრატეგიის განხორციელებაზე ასა და მისი გავლენის მონიტორინგში. მასწავლებლებს შორის დავალებების განაწილება და რესურსების შეფარდება სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისად ხორციელდება. სტრატეგიების შემუშავება და ეს პროცესი მასწავლებლებსა და სტუდენტებთან ერთად მიმდინარეობს.
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
3.2. ხარისხის კონტროლი სწავლებაში	სწავლების ხარისხი მასწავლებლის პასუხისმგებლობაა, ხარისხის კონტროლი ამ დონეზე არ არსებობს. არ მოიპოვება ნფორმაცია სტუდენტთა	სტუდენტთა სწავლის ხარისხი და მოსწრება განიხილება და ცალკეული მასწავლებლები ცდილობენ სწავლების მეთოდები შეუსაბამონ ამ ინფორმაციას.	დეპარტამენტს გამომუშავებული აქვს უკუკავშირის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სწავლებასა და სწავლას. შედეგები განიხილება	დეპარტამენტს გააჩნია ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს არა მარტო სწავლებისა და სწავლის

	მოსწრებისა და სწავლის ხარისხის შესახებ.	სტუდენტების მოსწრება ხანდახან ქვეყნდება.	მთლიანობაში და გავლენას ახდენს დაგეგმვის პროცესზე. ასევე სისტემატურად ხდება სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი.	მიზნებს, არამედ ასევე სწავლების მხარდაჭერას. კარგი სწავლების კრიტერიუმები განსაზღვრულია. დეპარტმენტის ხარისხის კონტროლის სისტემა დაკავშირებულია ფაკულტეტის სისტემასთან. ახალ მასწავლებლებს ამ სისტემას აცნობენ.
3.3. განათლების დაგეგმვა	არც დეპარტამენტსა და არც მასწავლებლებს არ გააჩნია არც სრული წარმოდგენა საგანმანათლებლო პროგრამაზე. მასწავლებლებმა არ იციან, რას ასწავლიან მათი კოლეგები. სწავლების პროცესის ეფექტურობის მონიტორინგი	ცალკეული მასწავლებლები ცდილობენ შეათანხმონ საკუთარი სწავლების გეგმა კოლეგების კურსებთან და ესმით სწავლებაში სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობა. არ არსებობს ეფექტური და მომცველობითი დაგეგმვის	მასწავლებლებმა და სტუდენტებმა იციან, რომელი დისციპლინები ქმნიან პროგრამას. სისტემატურად ხდება სასწავლო დატვირთვის განაწილებისა და კურსებს შორის თავსებადობის გადამოწმება. დეპარტამენტი ელის მასწავლებლებისაგან მათი კურსების	დეპარტამენტს გააჩნია მკაფიო სასწავლო გეგმა, რომელსაც სრულად ახორციელებს. დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს სწავლებისა და ზედამხედველობის მაღალ ხარისხს, რაც აკადემიური პროგრამის კონსტრუქციულ ელემენტებს
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
	არ ტარდება.	პროცესის ხელშემწყობი მექანიზმები.	მუდმივ განვითარებას, პრობლემების დაძლევის და სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას. სწავლების გეგმა ითვალისწინებს JOO	ქმნის. მთელი დეპარტამენტი, სტუდენტების ჩათვლით, მონაწილეობს დაგეგმვაში. მიზნები დისციპლინის საერთაშორისო სტანდარტების

			სტუდენტებისა და ფინეთის ვირტუალური უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებს.	მიხედვითაა დასახული. მიზნების მიღწევის მონიტორინგი სტუდენტთა მოსწრებისა და პროგრესის მიხედვით ხორციელდება.
3.4. პედაგოგიური ასპექტი მასწავლებლების თანამდებობების დაკავებისას	პედაგოგიური კვალიფიკაცია, როგორცაა პედაგოგიკის ცოდნა/ტრენინგი პედაგოგიკაში და საინფორმაციო ტექნოლოგიების მულტილატერალური გამოყენება სწავლებაში, არ მიიღება მხედველობაში მასწავლებელთა სამსახურში აყვანის დროს. ამ კვალიფიკაციას უნდობლობითა და ირონიით უყურებენ.	მასწავლებლებს აქვთ აკადემიური პორტფოლიო, რომელსაც თანამდებობაზე განაცხადის შეტანისას იყენებენ. თუმცა არაა ცხადი, როგორ იზომება პედაგოგიური კვალიფიკაცია და რა შეხედულებებისაა დეპარტამენტი ამის შესახებ.	დეპარტამენტს შემუშავებული აქვს გააზრებული პრინციპები, რომელთა მიხედვითაც იზომება და განიხილება პედაგოგიური კვალიფიკაცია. ფაკულტეტის პრინციპები და პრაქტიკა გამოყენება, როდესაც თანამდებობები დაკავებულია (მაგალითად, მასწავლებლების უნარების შეფასება). მასწავლებლებს ახალისებენ შექმნან პორტფოლიო, და პედაგოგიური	დეპარტამენტის ხელმძღვანელს და აკადემიური კომიტეტის წევრებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ პედაგოგიური კვალიფიკაციის ღირებულების ხაზგასმა და წახალისება. ეს ზოგადად აღიარებული პრაქტიკაა და სისტემურ შედეგებს უჩვენებს. დეპარტამენტი და ფაკულტეტი უზრუნველყოფენ ამ პრინციპების განხორციელებას თანამდებობების დაკავე-
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
			კვალიფიკაცია მათ აშკარა უპირატესობას აძლევს.	ბის დროს.
3.5. სწავლების განვითარების პროექტები	დეპარტამენტზე არ არსებობს მასწავლებლობის განვითარების თვის	ცალკეული მასწავლებლები ხანდახან მონაწილეობენ დეპარტამენტის ფარგლებს გარეთ	დეპარტამენტი იღებს მონაწილეობას მრავალ პროგრამაში და ეფექტურად	დეპარტამენტი წამყვანია ბევრი ინოვაციის შემუშავებასა და

	პროექტები. მასწავლებლობის უნარების განვითარება არ განიხილება, როგორც სავალდებულო.	მასწავლებელთა უნარების განვითარების პროექტებში, ან აქვთ საკუთარი პროექტები. მასწავლებლების ექსპერიმენტულობის წახალისება არ ხდება, მაგრამ არც იზღუდება, რომ მათ ინოვაციური მეთოდები დანერგონ საკუთარ პრაქტიკაში.	იყენებს მათ შედეგებს. მასწავლებლების ინიციატივა და იდეები განიხილება და გამოიყენება სწავლის დაგეგმვის პროცესში და ამოცანათა განაწილებისას. სტუდენტები ექსპერიმენტებში მონაწილეობენ.	დანერგვაში. პროექტები მისი აქტივობის ინტეგრალური ნაწილია და შედეგები დაგეგმვისათვის გამოიყენება. ყველა მასწავლებელი და სტუდენტი მონაწილეობს და იღებს ინფორმაციას ექსპერიმენტების შესახებ. დეპარტამენტი სწავლობს სხვა უნივერსიტეტების და დეპარტამენტების ექსპერიმენტებიდან. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ამ სფეროში არსებულ ქსელებთან.
3.6. ინტერნაციონალიზაცია	ინტერნაციონალიზაცია არ განიხილება როგორც სწავლების ხარისხისათვის მნიშვნელოვანი	ცალკეული მასწავლებლები იღებენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში და მათი პირადი	მასწავლებლების საერთაშორისო კონტაქტები და თანამშრომლობის ქსელები სწავლებაში გამოიყენება.	ინტერნაციონალიზაცია სწავლებაში მიზანმიმართულად მხარდაჭერილია. მასწავლებლები
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
	ფაქტორი. სულ რამდენიმე მოწვეული მეცნიერი/მასწავლებელი ან გაცვლითი სტუდენტია. დეპარტამენტი არ ახალისებს საკუთარ	კონტაქტები ახალისებს სტუდენტების მობილობას უნივერსიტეტებს შორის. სტუდენტები საზღვარგარეთ ნაწილობრივ ჩართული არიან	სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლა წახალისებულია. დეპარტამენტში ბევრი უცხოელი მასწავლებელი და სტუდენტია.	წახალისებული არიან მიიღონ სწავლებაში საერთაშორისო გამოცდილება და მათ ამის გაკეთების საშუალება ეძლევათ. დეპარტამენტი

	სტუდენტებს სწავლისათვის საზღვარგარეთ წავიდნენ.	პროგრამებში.		აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სწავლების ქსელებში და სხვა კოოპერაციულ პროექტებში. უცხოელი სტუდენტები და მასწავლებლებს ის დეპარტამენტში კარგად არიან ინტეგრირებული.
4. სწავლება				
4.1. სწავლების მეთოდები	სწავლების მეთოდების შეფასება არ ხდება. სწავლება ტრადიციული და „უსაფრთხო“ მეთოდებით ხორციელდება.	ცალკეული მასწავლებლები სწავლობენ სწავლების ახალ მეთოდს და სხვადასხვა ვარიანტს.	დეპარტამენტი მხარს უჭერს სწავლების მეთოდების განვითარებას. საკითხი ღიად განიხილება და კავშირი სწავლის მიზნებსა და სწავლის შეფასებას შორის კარგადაა გაცნობიერებული. მასწავლებლებს ახალისებენ ექსპერიმენტების ათვისებას და პედაგოგიური კვალიფიკაციის მიღებისაკენ. მასწავლებლებს	სწავლების მეთოდები მხარს უჭერს და ხელს უწყობს სწავლის მიზნების მიღწევას. რელევანტური პედაგოგიური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა კარგადაა გაცნობიერებული და ამ მეთოდების ფართო სპექტრი გამოიყენება დეპარტამენტში. მასწავ-
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
			აქვთ უფლება აირჩიონ სწავლების მედია მათი კურსის მიზნების და შინაარსის მიხედვით.	ლებლები სისტემურად ხალისდებიან, მასალებისა და ტრენინგის მეშვეობით, აითვისონ სწავლების ახალი მეთოდები და მათი ფუნდა-

				მენტური პრინციპები. დეპარტამენტი თვალს ადევნებს უახლეს პედაგოგიურ პუბლიკაციებს.
4.2. სწავლის ზედამხედველობა და ინდივიდუალური მიდგომა	სტუდენტები არ იღებენ ინდივიდუალურ ინფორმაციას მათი მოწოდების შესახებ. არ არსებობს ტიტორების სისტემა. სწავლება ძირითადად მასობრივი ლექციების ფორმით ხორციელდება, და არ არსებობს მასწავლებელთან კონსულტაციის საჭიროება შედეგების ანალიზისათვის.	ცალკეული მასწავლებლები სტუდენტებს აძლევენ ინდივიდუალურ ინფორმაციას მათი მოსწოდების შესახებ. მასწავლებლებს შეუძლიათ ტუტორობა, მაგრამ ეს არ განიხილება მათ ოფიციალურ დავალებად და არაა ასახული მათ ხელფასში.	დეპარტამენტი აქტიურად ავითარებს ზედამხედველობის და კონსულტირების მექანიზმებს და ქმნის ტუტორების სისტემას. სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუსავების საშუალება და ამ სწავლების მონიტორინგი უზრუნველყოფილია. ჯგუფური სწავლება მისასაღებელია. დეპარტამენტი ასევე ვებზე დაფუძნებულ ზედამხედველობას ახორციელებს.	ზედამხედველობა და ტუტორობა დეპარტამენტის სწავლების სტრატეგიის ნაწილია. სტუდენტები გარანტირებულად ირებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ისინი პირად სასწავლო გეგმებს ქმნიან და ათანხმებენ პედაგოგებთან. ტუტორები ეხმარებიან სტუდენტებს გადაწყვეტილების მიღებაში. ტუტორინგი მასწავლებლების მნიშვნელოვანი ფუნქციაა.
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
4.3. სწავლების გზამკვლევი და კონსულტაციები	კონსულტაცია მხოლოდ სპეციალური მიღების საათებშია შესაძლებელი. არ არსებობს შესაბამისი ფუნქციების განაწილება.	დეპარტამენტში არსებობს პასუხისმგებელი პირები. კონსულტაციების ჩატარება კონკრეტულ პირებს ევალებათ.	კონსულტაციები განიხილება როგორც დეპარტამენტის პერსონალის მნიშვნელოვანი ამოცანა და სტუდენტთა აკადემიური პოსწოდების მხარ-	სილაბუსის ყოველი დონე ითვალისწინებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ფუნქციების განაწილება მკაფიოა და მასწავლებ-

			დამჭერი აქტი- ვობა. ზედამხედ- ველობა ითვლება სამუშაო დატვირთვაში.	ლებს კარგად ესმით მათი ამოცანები. კოოპერაცია ეფექტურია. არსებობს კონ- სულტაციების მკაფიო სტრა- ტეგია და ის სისტემურად ხორციელდება და მისი განახ- ლებაც ასევე სისტემურ ხასიათს ატა- რებს. დეპარტა- მენტში მუშაობს კონ- სულტაციების მაღალ ხარისხოვანი ინტერნეტ- პროგრამა.
4.4. საინფორმა- ციო ტექნოლოგიე ბის გამოყენება სწავლებაში	დეპარტამენტი არ იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, თუმცა ცალკეული მასწავლებლები ამას აკეთებენ.	მასწავლებლები სიამოვნებით იყენებენ სწავლების პროცესში საინფორმაციო მედიას. დეპარტამენტს/ ფაკულტეტს აქვს სწავლებაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT)	დეპარტამენტი აკეთებს ინვესტიციებს სწავლების ტექნოლოგიებში. დეპარტამენტს/ ფაკულტეტს აქვს სწავლებაში ICT გამოყენების სტრატეგია, და მისი განხორციელება და მონიტორინგი	არსებობს სწავლებაში საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ მკაფიო და პრაქტიკული ხედვა, სტრატეგია ხორციელდება და მისი მონიტორინგი უზრუნველყო
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილე ბელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
		გამოყენების სტრატეგია	კარგადაა ორგანიზებული. ფაკულტეტის ვებ-გვერდი მოიცავს სწავლების განვითარების მომსახურებას.	ფილია. სწავლებაში ტექნოლოგიის გამოყენების მნიშვნელობა გაცნობიერებუ ლია და, შესა- ბამისად, ხორ- ციელდება. სწავლების

				ტექნოლოგიაში ხორციელდება აქტიური, ნაციონალური და საერთაშორისო დონის კვლევები.
4.5. სასწავლო მასალა	მასალა ხშირად ნაჩქარევადაა მომზადებული. დასარიგებელ მასალას, სლაიდებს აკლია კოჰერენტულობა და პედაგოგიური ბაზა.	ცალკეულ მასწავლებლებს აქვთ სასწავლო მასალის განვითარების მცდელობა, მაგრამ დეპარტამენტს ეს არ აინტერესებს.	დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს სასწავლო მასალების მომზადებასა და გავრცელებას. ის პედაგოგიურ ხარისხს მნიშვნელობას ანიჭებს და სწავლობს სასწავლო მასალის შექმნის ახალ გზებს.	მთელი დეპარტამენტი, სტუდენტების ჩათვლით, მონაწილეობს სასწავლო მასალის მომზადებაში. კოოპერაციის პრინციპი ნაყოფიერია. მასალა საჯაროა და ყველა მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომი.
4.6. კავშირი შრომის ბაზართან	სამუშაო გამოცდილება არაა გათვალისწინებული სწავლის პროცესში. მასწავლებელთა და მკვლევართა კონტაქტები არ გამოიყენება შინაარსის დაგეგმვისა და სწავლების მეთოდოლოგიაში	სტუდენტებს შეუძლიათ სამუშაო გამოცდილების მირება, მაგრამ ეს განიხილება, როგორც ექსტრაკურსული არული აქტივობა. სტუდენტი თავადაა პასუხისმგებელი სამუშაო/პრაქტიკ	სამუშაო გამოცდილება აკადემიური პროგრამის ნაწილია და მას დეპარტამენტი უზრუნველყოფს. უმრავლეს შემთხვევებში, მაგრამ არა ყოველთვის, პრაქტიკანტი ხელფასს იღებს. შრომითი	შრომითი გამოცდილება აკადემიური პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია. დაპრტამენტს გააჩნია უახლესი ინფორმაცია შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესახებ. შრომითი
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
		ის ადგილის პოვნაზე. მასწავლებლებს შეუძლიათ ინდივიდუალური კონტაქტების დამყარება შრომის ბაზართან.	პრაქტიკის შემდეგ სტუდენტი უკეთ აცნობიერებს, რა სჭირდება მას რეალურ ცხოვრებაში. დეპარტამენტი უზრუნველყოფს სათანადო	პრაქტიკა ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა უკეთეს დასაქმებას. პრაქტიკის

			ინფორმაციას.	დროს მირებული გამოცდილება და უნარები მყარდება დამსაქმებლებთან მუდმივი კონტაქტებით.
5. სწავლის შედეგები				
5.1. ძირითადი სილაბუსი	არაა ცხადი, იღებენ თუ არა სტუდენტები დარგობრივ სფეროში მთავარ კომპეტენციებს.	ცალკეული მასწავლებლები აფასებენ სტუდენტთა შედეგებს და ცდილობენ ასახონ ეს ინფორმაცია სილაბუსებში.	დეპარტამენტი ატარებს ძირითადი სილაბუსის ანალიზს, და შესაბამისად სტუდენტების შედეგების მონიტორინგს.	სტუდენტებსაც და მასწავლებლებსაც ესმით ძირითადი სილაბუსის მნიშვნელობა. მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა შეფასება და მიზნების მიღწევის დონის განსაზღვრა.
5.2. სწავლის კარგი სტრატეგიები ს შექმნა	სწავლის კარგი სტრატეგიების შექმნა არ განიხილება, როგორც სწავლების ნაწილი და დეპარტამენტის პასუხისმგებლობა	ცალკეული მასწავლებლები იცნობენ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა ტექნიკას. საკუთარი კურსების ფარგლებში ისინი	დეპარტამენტი ბევრ დროსა და ენერჯიას ახანდებს სწავლის უნარების განვითარებაში. სწავლის პრობლემების მქონე სტუდენტებს	დეპარტამენტი ითვალისწინებს სწავლის კარგი სტრატეგიების შექმნის მნიშვნელობას. ეს კურსდამთავრებულთათვის მნიშვნელოვან
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
		ცდილობენ სწავლების სხვადასხვა ტიპის წახალისებას.	ფაკულტეტი და/ან უნივერსიტეტი მხარდაჭერას სთავაზობს.	კომპეტენციად განიხილება. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპი სტუდენტებს წარედგინებათ როგორც

				დარგობრივი ექსპერტის აუცილებელი მახასიათებელი.
5.3. საგამოცდო სისტემა და სწავლის შეფასება	გამოცდები ტრადიციულადაა ორგანიზებული. შეფასება ძირითადად კონტროლის ფორმით ხორციელდება.	ცალკეული მასწავლებლები ატარებენ ექსპერიმენტებს საგამოცდო სისტემასთან მიმართებაში და ცდილობენ სტუდენტთა სურვილების გათვალისწინებას.	დეპარტამენტში მოქმედებს შეფასების მოქნილი და განსხვავებული სისტემა. გამოცდები პედაგოგიური კუთხით მუშავდება. აღიარებულია, რომ შეფასების სისტემას დიდი გავლენა აქვს სტუდენტთა სწავლაზე.	დეპარტამენტში მოქმედებს შეფასების ვარიანტული და პედაგოგიურად კარგად მომზადებული სისტემა. მასწავლებლები სპეციალურად სწავლობენ შეფასების ტექნიკებს. შეფასების სისტემა ეხმარება სტუდენტებს სწავლის პროცესის გაგებაში. შეფასების სისტემა ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღევას.
5.4. შეფასების/ნიშნების კრიტერიუმები	არ არსებობს სტუდენტთა მოსწრების სტატისტიკა. მასწავლებლები არ იცნობენ კოლეგების შეფასების	მასწავლებლები ერთმანეთში ადარებენ შეფასების კრიტერიუმებს, და ზოგმა ეს ინფორმაცია ასევე	არსებობს სისტემური ინფორმაცია შეფასების/ნიშნების კრიტერიუმების შესახებ. მასწავლებლებს	შეფასების მოქმედი კრიტერიუმები შეთანხმებულია და მათი გამოყენება მონიტორინგის საგანია.
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
	კრიტერიუმებს, და არც სტუდენტებმა იციან ნიშნების კრიტერიუმები.	სტუდენტებისათვისაც ხელმისაწვდომი გახადა. სტუდენტები საწყის ინფორმაციას ფლობენ შეფასების შესახებ.	აქვთ შესაბამისი ინსტრუქციები. სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას.	დეპარტამენტი ფლობს ინფორმაციას დარგში საერთაშორისო სასწავლო მიზნების შესახებ. სტუდენტები იღებენ მკაფიო

		თეზისებისათვის შეფასების კრიტერიუმები არამყარია.		ინფორმაციას, თუ რას ელიან მათგან სწავლის კონტრულ ეტაპზე. უკუგება გამოიყენება სტუდენტთა სწავლის გაუმჯობესებისათვის.
6. რესურსები				
6.1. ადამიანური რესურსები	მასწავლებელთა ნაკლებობაა და დეპარტამენტი ვერ უზრუნველყოფს სამეცნიერო კვალიფიკაციის მაღალ დონეს. მასწავლებლები გადატვირთულნი არიან და არ ესმით დეპარტამენტის ფინანსური სიტუაცია.	მასწავლებელთა ნაკლებობა დეპარტამენტში კარგად ესმით. კეთდება ინდივიდუალური ნაბიჯები მდგომარეობის გამოსწორებისათვის. პრობლემის გადაჭრის გზები ვერ მოინახა.	პერსონალის კვალიფიკაციის მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის დეპარტამენტს საკუთარი გეგმა აქვს. ბევრი მკვლევარი იღებს მონაწილეობას სწავლებასა და სტუდენტთა ზედამხედველობაში, და კეთდება გრძელვადიანი ინვესტიციები ვებზე დაფუძნებული სწავლების მხარდასაჭერად. სტუდენტები მონაწილეობენ სწავლების დაგეგმვაში.	სისტემატურად ხორციელდება პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკა. მთელი პერსონალი, მკვლევარებისა და სტუდენტების ჩათვლით, მონაწილეობს სწავლების პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. ნაპოვნია პერსონალის ნაკლებობის დაძლევის ახალი ხერხები და ხდება გრძელვადიანი დაგეგმარება.
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
6.2. მასწავლებლების პედაგოგიური უნარები	მასწავლებლებს არ აქვთ პედაგოგიური მომზადება და მათი პედაგოგიური უნარების გათვალისწინება დეპარტამენტში საერთოდ არ	ზოგი მასწავლებელი იჩენს ინიციატივას გაიაროს პედაგოგიური ტრენინგი, ან სწავლებაში საინფორმაციო	მასწავლებელთა უმრავლესობას გავლილი აქვს პედაგოგიური და ICT ტრენინგი და დეპარტამენტი ხელს უწყობს ამ უნარების განვითარებას.	დეპარტამენტის მიზანია, რომ ყველა მასწავლებელმა, მათ შორის დროებითი კონტრაქტით მომუშავემაც, გაიაროს პედაგოგიური

	ხდება. დეპარტამენტის ხელმძღვანელო ბამ არაფერი იცის პერსონალის პედაგოგიური კვალიფიკაციის შესახებ. არ ტარდება შეხვედრები პერსონალთან ამ საკითხის განსახილველად.	ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტი ამას ხელს არ უწყობს.	ტარდება შეხვედრები მასწავლებლებთან, ინფორმაციის გაცვლა უზრუნველყოფილია და ეს შეხვედრები ხელს უწყობს სწავლების დაგეგმვას.	და ICT გამოყენების ტრენინგი. სხვადასხვა პედაგოგიური მიდგომა გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას. ახალ მასწავლებლებს აცნობენ დეპარტამენტის ამ პოლიტიკას. პედაგოგიური ინოვაციები, კარიერის განვითარება და სამომავლო მუშაობა მუდმივი განხილვის საგანია. მასწავლებლების მოტივაცია გაზრდილია.
6.3. შენობა და აღჭურვილობა	დეპარტამენტის შენობის ზომა არასაკმარისია, აღჭურვილობა არამრავალფეროვანი. სწავლება და კვლევა სხვადასხვა ადგილას	მიმდინარეობს შენობასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა და შესაძლო გადაწყვეტის ძებნა.	დეპარტამენტის ფართი და აღჭურვილობა საკმარისია, ასევე IT თვალსაზრისითაც. მასწავლებლები, მკვლევრები და სტუდენტები	დეპარტამენტის ფართი ადეკვატურადაა აღჭურვილი, მათ შორის IT თვალსაზრისითაც. მასწავლებლებს, მკვლევრებსა
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
	ხორციელდება. სტუდენტებს არ აქვთ საკუთარი სასწავლო სივრცე, დეპარტამენტი ვერ უზრუნველყოფს კომპიუტერებს.	მიუხედავად ამისა დეპარტამენტს მოუწევს დროებითი გამოსავლის გამოყენება; არასაკმარისია სარემონტო რესურსები.	პირობებით კმაყოფილი არიან. სტუდენტებს დეპარტამენტზე საკუთარი ოთახი აქვთ, რომელმაც უზრუნველყო სტუდენტებსა და მასწავლებლებს	და სტუდენტებს შეუძლიათ მუშაობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა დეპარტამენტში. მეზობელი დეპარტამენტები და

		სტუდენტები იძულებულნი არიან გამოიყენონ ფაკულტეტის ბიბლიოთეკის რესურსები, რადგანაც დეპარტამენტს საკმარისი რესურსები არ გააჩნია.	შორის თანამშრომლობა.	ფაკულტეტი ასევე სარგებლობენ დეპარტამენტის რესურსებით. ყველა ოთახში უზრუნველყოფილია ინტერნეტ-კავშირი.
6.4. სტუდენტთა მიღება	სტუდენტთა მიღება ტრადიციულად ხორციელდება. არ მიიჩნევა საჭიროდ დამატებითი რესურსების ინვესტიცია ამ პროცესის გაუმჯობესებისათვის.	სტუდენტთა მიღების პროცესის რეფორმირება მნიშვნელოვნად მიიჩნევა, მაგრამ შესაბამისი მეთოდების მოძიება რთულია. ინდივიდუალური ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ მათი ეფექტი სადავოა.	სტუდენტთა მიღების პროცესის რეფორმირებით დეპარტამენტს უნდა გააუმჯობესოს ახალი სტუდენტების უნარები და მოტივაცია. სისტემური სამუშაოები შესრულდა პროცესის რეფორმირებისათვის და შედეგების მუდმივი მონიტორინგი ხორციელდებოდა. არსებობს სხვადასხვა გზა აპლიკანტთა სხვადასხვა	სტუდენტთა მიღება ფაკულტეტის სწავლების სტრატეგიის ნაწილია. შერჩევის პროცესი ეფექტური და ადეკვატურია. მიზნების მიღწევა და სტუდენტთა კვოტა სხვადასხვა სფეროში მუდმივად კონტროლდება მარკეტინგი და კომუნიკაცია ადეკვატურადაა ორგანიზებული.
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
			ჯგუფისათვის. დეპარტამენტმა ასევე მარკეტინგის პროცესს მოახმარა გარკვეული ძალისხმევა.	
7. უკუგება და მიღებული				

ინფორმაციის მიდევნება				
7.1. სტუდენტთა უკუგება	დეპარტამენტს არა აქვს უკუგების მექანიზმი. ცალკეული მასწავლებლები ხანდახან იყენებენ უკუგებას საკუთარი მიზნებისათვის. სტუდენტებს არ აქვთ უკუგების შესაძლებლობა. დეპარტამენტი არ იყენებს IT-ს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის	დეპარტამენტი ცდილობს შეინარჩუნოს სტუდენტთა უკუგების სისტემა. რეგულარულობა დაცული არაა სტუდენტთა პასიურობისა და მასწავლებელთა დაბალი მოტივაციის გამო. უკუგების მიღება ითვლება მნიშვნელოვან, მაგრამ ამავე დროს რთულ ამოცანად.	დეპარტამენტი ცდილობს უზრუნველყოს სტუდენტთა უკუგების სისტემის მუშაობა, არსებული სირთულეების მიუხედავად. სისტემის განვითარება მუდმივად ხდება და სტუდენტები ამ პროცესში მონაწილეობენ. უკუგების მნიშვნელობა გაცნობიერებულია და გათვალისწინებული. შედეგები სტუდენტებს რეგულარულად ეცნობება. გამოიყენება IT ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის.	დეპარტამენტის ხემძღვანელობას ცალსახად ესმის უკუგების სისტემის მნიშვნელობა. ინფორმაცია უნდა გროვდებოდეს და ასახავდეს პრაქტიკულ ვითარებას. არსებობს სანდო და უსაფრთხო დამოკიდებულება სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის. შეიძლება კრიტიკა უსიამოვნო იყოს, მაგრამ მისი გათვალისწინება აუცილებლად ხდება. უკუგება ეხება როგორც სწავლას, ასევე სწავლებას.
7.2. უკუგება სამუშაოდან	არ ხორციელდება ინფორმაციის შეკრება	ცალკეული მიმოხილვები და კვლევები ტარდება	დროდადრო გროვდება გარკვეული ინფორმაცია	ინფორმაცია შრომითი ორგანიზაციებიდან
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
	სამუშაო ადგილებიდან. არ არსებობს ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.	კურსდამთავრებულთა შორის მათი კმაყოფილების ხარისხის დასადგენად.	მომუშავე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შესახებ. ფაკულტეტზე/დეპარტამენტზე არსებობს მრჩეველთა კომიტეტი,	სისტემურად გროვდება სხვადასხვა არხის გამოყენებით. კონტაქტები ფაკულტეტს/დეპარტამენტსა და დაინტერესებულ

			რომელიც დაინტერესებულ მხარეთა კომუნიკაციას უზრუნველყოფს.	ჯგუფებსა და კურსდამთავრებულებს შორის მყარია. მოგროვილი ინფორმაცია გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.
7.3. დასაქმება	არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია დეპარტამენტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.	არსებობს ინფორმაცია დეპარტამენტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. დეპარტამენტი ამ ინფორმაციას ითვალისიწნებს.	დეპარტამენტი აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. მათ, ასევე იციან შრომის ბაზრის სამომავლო საჭიროებები და მოთხოვნები.	დეპარტამენტს აქვს სრულყოფილი ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ და დარგობრივ სფეროში საგანმანათლებლო და შრომითი საჭიროებების შესახებ. ეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოიყენება. სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას სწავლის ადრეულ ეტაპებზევე იღებენ.
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
8. სწავლის შემდეგი საფეხურების შესწავლა				
8.1. შემდეგ საფეხურზე სტუდენტთა მიღება და პოზიცია	სწავლის შემდგომ საფეხურზე სტუდენტთა მიღების საფუძველი	არსებობს ინფორმაცია სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის	ფაკულტეტსა და დეპარტამენტებზე არსებობს შემდგომ საფეხურზე სწავლის	დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს შემდგომ საფეხურზე სწავლის

	უცნობია და არ არსებობს თანხვედრა სხვადასხვა დეპარტამენტს შორის. სტუდენტისათვის რთულია კურიკულუმზე ინფორმაციის მიღება. არ არსებობს განახლებული ინფორმაცია სწავლის შემდგომ საფეურზე სტუდენტთა რაოდენობის შესახებ.	გაგრძელების შესაძლებლობებ ის შესახებ, მაგრამ ის არასრულყოფილია. რეგისტრაცია ნებაყოფლობითია და, შესაბამისად, არ არსებობს განახლებული ინფორმაცია სწავლის შემდგომ საფეურზე სტუდენტთა რაოდენობის შესახებ.	გაგრძელების მკაფიო წესები. ყველა სტუდენტი რეგისტრირდება სპეციალურ (Oodi) სისტემაში. სტუდენტები ირებენ კონსულტაციებს სწავლის დაფინანსების შესახებ.	გაგრძელების მსურველთა მოზიდვაზე და უზრუნველყოფს მათ წარმატებას. მათი მოსწრება მუდმივად კონტროლდება და ხდება ინფორმაციის მუდმივი განახლება.
8.2. ზედამხედველობა და სწავლება	სტუდენტს ენიშნება ფორმალური ზედამხედველი. სწავლების ტექნიკა უმნიშვნელოდ განსხვავდება. დეპარტამენტს არ აქვს კოორდინირებული სწავლება და ზედამხედველობა.	დეპარტამენტის ცალკეული მასწავლებლები გარკვეულ ძალისხმევას ახმარენ სტუდენტთა ზედამხედველობას. კვლევითი ჯგუფები დეპარტამენტზე ცალკე მუშაობენ. კვლევაში ჩართული სტუდენტები უკეთეს ზედამხედველობას იღებენ, ვიდრე	დეპარტამენტი ცდილობს ყველა სტუდენტს ერთნაირი პირობები შეუქმნას. სწავლების პროცესი კოორდინირებულია. კვლევით დაინტერესებულ სტუდენტს შესაბამისი მოდელის არჩევა უკვე ბაკალავრიატის დონეზე	ყველა სტუდენტს პერსონალური ზედამხედველი ჰყავს და ზედამხედველობა მოწმდება გარკვეული პერიოდულობით. ზედამხედველები აქტიურად არიან დაინტერესებული სტუდენტთა მოსწრებით. სწავლება მრავალფეროვან
ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი ხარისხი და შედეგები	ხარისხი და შედეგები საჭიროებს განვითარებას	კარგი ხარისხი და შედეგები	შესანიშნავი ხარისხი და შედეგები
		ისინი, ვინც კვლევაში არ მონაწილეობენ.	შეუძლია. სწავლების მაღალ საფეხურზე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები ჩვეულებრივი პრაქტიკაა.	ნია და გამოყენებულია თანამშრომლობის პოტენციალი. სწავლება ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს ითვალისწინებს.
8.3.	დეპარტამენტში	დარგის	არსებობს	დიპლომის

დიპლომის შემდგომი განათლება და თანამშრომლობა სწავლების შემდეგ საფეხურზე	არ არსებობს დიპლომის შემდგომი განათლების სკოლა და არც ამ სფეროში თანამშრომლობის ინტერესი.	კურსდამთავრებულები იღებენ მონაწილეობას კურიკულუმის ზოგ აქტივობაში პოსტდიპლომური განათლების ზოგ სკოლაში. ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება.	დიპლომის შემდგომი განათლების სკოლა და ძალიან პოპულარულია მკვლევრების თანამდებობები. გარკვეული ძალისხმევა და ფინანსები მოხმარდა ამ სკოლების ორეგანიზებას.	შემდგომი განათლების სკოლა კარგად ორგანიზებულია და მისი შედეგები საერთაშორისოდ აღიარებულია. ხარისხი და შედეგები შემოწმებული და შეფასებულია.
8.4. სპეციალიზაცია	არ არსებობს სპეციალიზაციის საშუალება.	სპეციალიზაცია შესაძლებელია და სპორადულად ფინანსდება კიდევაც. სპეციალიზაციის საჭიროების დონე არაა მკაფიოდ განსაზღვრული, თუმცა ამის ბაზარი არსებობს.	არსებობს სპეციალიზაციის ადეკვატური და კარგად ორგანიზებული შესაძლებლობები. შესაძლებელია ლიცენზიანტის ხარისხის მოპოვება პროფესიული ან სპეციალიზებული აქცენტებით.	სპეციალიზაცია დარგობრივ სფეროში კარგადაა ორგანიზებული. სწავლების ხარისხი უზრუნველყოფილია შრომის ბაზართან კავშირებით. სტუდენტები და მასწავლებლები იყენებენ უკუგების სხვადასხვა მექანიზმს.

სწავლების შეფასების მატრიცა / დანართი I: თვითშეფასების ფორმა

ხარისხის ან შედეგების სფერო	მხოლოდ დამაკმაყოფილებელი	უნდა განვითარდეს	კარგი	შესანიშნავი
1. სწავლება და კვლევა				
1.1. სწავლება, სწავლა და კვლევა				

1.2. პედაგოგიური კვლევა, როგორც სწავლების მხარდამჭერი				
2. სწავლების მიზნები				
2.1. სწავლების მიზნები და ძირითადი ელემენტები				
2.2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება				
3. სწავლების ლიდერობა				
3.1. სწავლების სტრატეგია				
3.2. ხარისხის კონტროლი სწავლებაში				
3.3. განათლების დაგეგმვა				
3.4. პედაგოგიური ასპექტი მასწავლებლების თანამდებობების დაკავებისას				
3.5. პროექტები მასწავლებლობის განვითარებისათვის				
3.6. ინტერნაციონალობა				
4. სწავლება				
4.1. სწავლების მეთოდები				
4.2. სწავლის ზედამხედველობა და ინდივიდუალური მიდგომა				
4.3. სწავლების გზამკვლევი და კონსულტაციები				
4.4. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში				
4.5. სასწავლო მასალა				
4.6. კავშირი შრომის ბაზართან				
5. სწავლის შედეგები				
5.1. ძირითადი სილაბუსი				
5.2. სწავლის კარგი ტრატეგიების შეძენა				
5.3. საგამოცდო სისტემა და სწავლის შეფასება				
5.4. შეფასების/ნიშნების კრიტერიუმები				
6. რესურსები				
6.1. ადამიანური რესურსები				
6.2. მასწავლებლების პედაგოგიური უნარები				
6.3. შენობა და აღჭურვილობა				

6.4. სტუდენტთა მიღება				
7. უკუგება და მიღებული ინფორმაციის მიდევნება				
7.1. სტუდენტთა უკუგება				
7.2. უკუგებასამუშაოდან				
7.3. დასაქმება				
8. სწავლის შემდეგი საფეხურების შესწავლა				
8.1. შემდეგ საფეხურზე სტუდენტთა მიღება და პოზიცია				
8.2. ზედამხედველობა და სწავლება				
8.3. დიპლომის შემდგომი განათლება და თანამშრომლობა სწავლების შემდეგ საფეხურზე				
8.4. სპეციალიზაცია				

სწავლების შეფასების მატრიცა / დანართი 2: სტატისტიკა

	1999	2000	2001	2002	2003
ახალი სტუდენტები/წელი					
აქტიური სტუდენტების რაოდენობა					
- ბაკალავრები					
- მაგისტრები					
- დამატებითი სპეციალობის სტუდენტები					

კურსდამთავრებულები / წელი (BA, MA, PhD)					
სწავლის სრული ხანგრძლივობა					
-MA					
-PhD					
განთესვა					
დასაქმება					
ბაკალავრები/მასწავლებლები					
მაგისტრები/პროფესორები ან წამყვანი მკვლევრები					
სასწავლო კვირა/მასწავლებელი					
უცხოელი სტუდენტები გაცვლითი პროგრამით					
უცხოელი სტუდენტები აკადემიურ პროგრამაზე					
მასწავლებელთა გაცვლა					
სწავლა უცხოეთში					
აღჭურვილობა (კომპიუტერები)/ სტუდენტი/მასწავლებელი					
კურსების რაოდენობა IT სწავლებით					
პერსონალის პედაგოგიური ტრენინგი უნივერსიტეტში (5 კვირა)					

5. დეუსტოს უნივერსიტეტი

დეუსტოს უნივერსიტეტმა²⁶ შეიმუშავა კომპეტენციების შეფასების სისტემური მიდგომა რომელიც აქ ერთი მაგალითის – ჯგუფში მუშაობის უნარის – მიხედვითაა წარმოდგენილი. მსგავსი მატრიცა მომზადდა სხვა ზოგადი კომპეტენციების შეფასებისათვის.

კომპეტენცია: ჯგუფში მუშაობის უნარი

²⁶ მეთოდოლოგიის შემდგომეხვევაზე პასუხისმგებელი იყი ექსპერტთა ჯგუფი.

განმარტება: წარმოადგენს ჯგუფში საკუთარი თავის ინტეგრირებისა და სხვა ადამიანებთან, სფეროებთან და ორგანიზაციებთან საერთო მიზნების მიღწევისათვის თანამშრომლობის უნარს.

ამ კომპეტენციის მიღწევას უზრუნველყოფს: კარგი სოციალური უნარები და ინტერპერსონალური ურთიერთობებით დაინტერესება. მკაფიოდ დეფინირებული საზოგადოებრივი ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ინტეგრაციის, პატიოსნების და სხვათა შესაძლებლობების რწმენას. საკმაო სიმწიფე განსხვავებული აზრების მოსმენისა და გაგებისათვის. შრომის განაწილების ეფექტურობის გაცნობიერება. იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის მზაობა და სურვილი. თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ღირებულების გაცნობიერება და აღიარება.

მიღწევის დონე	ინდიკატორები	მახასიათებლები				
		1	2	3	4	5
<p>მიღწევის პირველი დონე:</p> <p>აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს ჯგუფის მუშაობაში და</p>	<p>დროულად ასრულებს მასზე განაწილებულ დავალებებს.</p>	<p>არ/ვერ ასრულებს დავალებას.</p>	<p>ნაწილობრივ და დაგვიანებით ასრულებს დავალებას.</p>	<p>დათქმული ვადებში ასრულებს დავალებას.</p>	<p>დავალების შესრულების ხარისხი სასარგებლოა ჯგუფისათვის</p>	<p>დავალების შესრულება ხელს უწყობს და ახალისებს ჯგუფის სხვა წევრების მუშაობას.</p>

ხელს უწყობს ნდობას და კეთილგანწყობას, ფოკუსირებულია საერთო მიზნებზე	აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის შეხვედრებში, ცვლის ინფორმაციას, ცოდნასა და გამოცდილებას.	ხშირად აცდენს ჯგუფის შეხვედრებს და დასწრების სასპასიურია.	მცირედ მონაწილეობს და ისიც მხოლოდ სხვათა შემოთავაზებებით.	ზოგადად აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის შეხვედრებში.	მონაწილეობა ახალისებს სხვათა ჩართულობას და აუმჯობესებს მთლიანად ჯგუფის მუშაობას.	მონაწილეობა და წვლილი ფუნდამენტურია როგორც ჯგუფური დინამიკის, ასევე შედეგების ხარისხისათვის.
	მონაწილეობს დავალებების დეფინიციასა და განაწილებას.	ეწინააღმდეგება მუშაობის ორგანიზებას.	ჩართულობა შემოიფარგლება სხვების მიერ განსაზღვრული დავალებების მიღებით.	მონაწილეობს დავალებების დეფინიციასა და განაწილებას.	ორგანიზებულია და დავალებებს ეფექტურად ანაწილებს.	ხელს უწყობს ორგანიზებულ სამუშაოს, და მაქსიმალურად იყენებს ჯგუფის წევრების რესურსებს.

მიღწევის დონე	ინდიკატორები	მახასიათებლები				
		1	2	3	4	5

	მომართულია შეთანხმებისა და საერთო მიზნების მიღწევაზე.	მომართულია პირადი მიზნების მიღწევაზე.	უჭირს პირადი და ჯგუფის მიზნების ინტეგრაცია.	ჯგუფის მიზნები გათავისებულ აქვს.	ხელს უწყობს მიზნების მკაფიო განსაზღვრას და მათი მიღწევისათვის ჯგუფის ინტეგრაციას.	ხელს უწყობს ჯგუფის მობილიზებას მიზნების განსაზღვრისა და განხორციელებისას. როგორც შედეგი, ჯგუფის მუშაობა მაღალი ხარისხისაა.
	ითვალისწინებს სხვების თვალსაზრისს და იძლევა კონსტრუქციულ უკუგებას.	არ უსმენს კოლეგების აზრს და სისტემატურად უარყოფს მას. სურს საკუთარი აზრის გატანა.	უსმენს ცოტას, არ სვამს კითხვებს, არ ადარდებს სხვების აზრს. მონაწილეობა ნაკლებ სასარგებლოა.	იღებს სხვების მოსაზრებებს და იცის საკუთარ თან მათი კონსტრუქციული შეფარდება.	ხელს უწყობს კონსტრუქციულ დიალოგს და ჯგუფის სხვა წევრებს ხარისხიან მუშაობაში.	აჯამებს სხვების მოსაზრებებს და ახდენს მათ ინტეგრაციას ისე, რომ თან ინარჩუნებს კოოპერაციისა და მხარდაჭერის განწყობას.

მიღწევის დონე	ინდიკატორები	მახასიათებლები				
		1	2	3	4	5

აქტიურად მონაწილეობს და თანამშრომლობს ჯგუფის მუშაობაში და ხელს უწყობს ნდობას და კეთილგანწყობას, ფოკუსირებულია საერთო მიზნებზე	აღიარებს და ახორციელებს ჯგუფის ინსტრუქციებს.	არ აღიარებს და არ ასრულებს ჯგუფის ინსტრუქციებს.	ცდილობს ჯგუფის ინსტრუქციები მოარგოს საკუთარ ინტერესებს.	აღიარებს და ახორციელებს ჯგუფის ინსტრუქციებს.	მონაწილეობს ჯგუფის ინსტრუქციების შემუშავებაში.	სთავაზობს გადაწყვეტილებებს ჯგუფის მენეჯმენტისა და დინამიკის გაუმჯობესებისათვის. ახორციელებს ინ-
						სტრუქციის შესრუ-
						ლების მონიტორინგს.
	მონაწილეობს ჯგუფის მუშაობის პროცედურების შემუშავებაში.	არ იცნობს ან ყურადღებას არ აქცევს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს.	ვერ იღებს და ვერ ახორციელებს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს.	ადეკვატურად ასრულებს ჯგუფის მუშაობის პროცედურებს.	აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის მუშაობის პროცედურების შემუშავებაში.	ცვლის ჯგუფის მუშაობის პროცედურებს მათი გაუმჯობესების მიზნით.
ჯგუფში კონფლიქტურ სიტუაციაში კონსტრუქციულად იქცევა.	იწვევს ჯგუფში კონფლიქტის პროვოცირებას.	თავს აცილებს კონფლიქტებში მონაწილეობას.	ჯგუფში კონფლიქტის პოზიტიურ გადაწყვეტაზე მომართული.	ამჩნევს კონფლიქტის დაწყებას და სწრაფად მოქმედებს მისი თავიდან აცილებისათვის.	ცდილობს კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღებას პრობლემების თავიდან აცილებისა და შეწყვეტის მიზნით.	

მიღწევის დონე	ინდიკატორები	მახასიათებლები				
		1	2	3	4	5

	ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობას ადამიანებთან კომუნიკაციისა და დამოკიდებულების შესაბამისად.	აგრესიულია და ეჭვის ქვეშ აყენებს ჯგუფის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.	პასიურია და ჯგუფის სხვა წევრებთან შეზღუდული ურთიერთობა აქვს.	მკაფიოდ და პირდაპირ აცხადებს თავისი იდეებისა და შეხედულებების შესახებ.	აქვს პოზიტიური დამოკიდებულება ჯგუფის ყველა წევრთან, მხარს უჭერს და ახალისებს მათ.	ხელს უწყობს ჯგუფის მთლიანობას, ატარებს რა არა მხოლოდ ფორმალურ შეხვედრებს.
	დაინტერესებულია საზოგადოებისათვის ჯგუფური სამუშაოს მნიშვნელობით.	უარყოფს ან ეჭვს ქვეშ აყენებს ჯგუფური მუშაობის სარგებელს.	დაინტერესებულია სხვათა წახალისებით საერთო აქტივობაში მონაწილეობისათვის.	მხარს უჭერს და იცავს ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობას. ახორციელებს პოზიტიურ შეფასებას.	სჯერა, რომ ინდივიდის მუშაობა გადამწყვეტია ჯგუფური მუშაობის წარმატებისათვის და მიზნების მიღწევისათვის.	ახალი-სებს სხვებს გააცნობიერონ, რომ მათ სამუშაოს ფართო გამოხმაურება აქვს სხვა ჯგუფებსა და სტრუქტურებში.
შეუძლია ჯგუფის მუშაობის გაძლოლა, ჯგუფის ყველა წევრის ინტეგრაციის უზრუნველყოფა და მათი მომართვა სამუშაოს კარგ შესრულებაზე.	აქტიურად თანამშრომლობს ჯგუფური სამუშაოს დავალებში, დავალებებისა და ვადების განსაზღვრაში.	მოქმედებს წინასწარი დავალებების გარეშე.	ბოლო წუთს იღებს გადაწყვეტილებებს და სამუშაო ბოლომდე არ მიყავს. არარეალური ვადები.	აკეთებს კონკრეტულ შეთავაზებებს დავალებებისა და ვადების განაწილებისათვის.	სტიმულს აძლევს ჯგუფის სხვა წევრების მონაწილეობას და კოორდინირებას უკეთებს მათ წვლილს.	ჯგუფის წევრებს შესაბამის დავალებებს უნაწილებს, მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებით, კარგად მოქმედებს შეზღუდულ ვადებში.

მიღწევის დონე	ინდიკატორები	მახასიათებლები				
		1	2	3	4	5

ეფექტურად უძღვება შეხვედრებს.	ვერ უძღვება შეხვედრას.	ცდილობს შეხვედრის გაძლიერებას, მაგრამ ვერ აკონტროლებს პროგრამას და დროს.	ეფექტურად უძღვება შეხვედრებს და ალწევს დასახულ მიზნებს.	ეფექტურად უძღვება შეხვედრებს და ალწევს ყველა დამსწრეს დაბალანსებულ მონაწილეობას.	ალწევს ყველა დამსწრეს დაბალანსებულ მონაწილეობას.
ჯგუფს ამბიციურ და მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს სთავაზობს.	არ შეუძლია ჯგუფისათვის მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანების შეთავაზება.	ჯგუფს აბნევს, სთავაზობს რას არამკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს.	ჯგუფს მიმზიდველ და მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს სთავაზობს.	ახალისებს ჯგუფს, ჩამოაყალიბოს მიღწევადი მიზნები და მომავლის მკაფიო ხედვა.	ქმნის ჯგუფის ისეთ განწყობას, რომ წევრებს ჯგუფის ამოცანები საკუთრად მიაჩნიათ.
ხელს უწყობს ჯგუფში წარმოქმნილი სხვადასხვა მოსაზრების, უთანხმოებისა და კონფლიქტის პოზიტიურ მენეჯმენტს.	ხელს უწყობს კონფლიქტებს უთანხმოებების გაღრმავებით.	იბნევა და ვერ ათანხმებს არსებულ კონფლიქტებს, ცდილობს თავი აარიდოს ასეთ სიტუაციებს.	უმკლავდება კონფლიქტებს, აქვს რაკომუნიკაცია ცცია ჯგუფის ყველა წევრთან.	უმკლავდება კონფლიქტებს, აწონასწორებს რაკწევრების მონაწილეობას.	სხვებისათვის გასაგებს ხდის შეთანხმებული მუშაობის მომხიბვლელობას.
ახალისებს ჯგუფის წევრებს მიმართონ ჯგუფის გაძლიერებასა და მენეჯმენტს.	არ მოქმედებს ჯგუფის დინამიკის საწინააღმდეგოდ.	მისთვის რთულია ჯგუფის სხვა წევრების მხრიდან მუშაობის ადმი დამოკიდებულების შეცვლა.	ახალისებს ყველა მონაწილეს, მიაჩნია რაკეს ჯგუფის მუშაობის წინაპირობად.	იღებს ჯგუფის ყველა წევრის თანხმობას მიზნების მიღწევაზე და ყველა სხვა ასპექტზე.	ალწევს იმ მდგომარეობას, როდესაც ჯგუფის წევრები სხვათა მოსაზრებებს როგორც საკუთარს, ისე განიხილავენ.

მეორე ნაწილი

დარგობრივი კომპეტენციები

5.1. ბიზნესის ადმინისტრირება

საფუძველი

არსებობს რა ბიზნესპროგრამების შემუშავების გზების დიდი მრავალფეროვნება, ძალზედ რთულია მიზნის, შინაარსისა და მთელ ევროპაში პირველ და მეორე საფეხურზე ბიზნესპროგრამებით მისაღწევი დარგობრივი კომპეტენციებისათვის ერთი სტანდარტის გააზრება. მიუხედავად ამისა, პირველი საფეხურის დონეზე არსებობს მთელი რიგი მსგავსება მიზნებთან, შინაარსსა და დარგობრივ კომპეტენციებთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც მოსაზრებები განსხვავდება მეორე საფეხურის პროგრამებზე. თუნინგის პირველ ფაზაში ბიზნესის ჯგუფმა წარმატებას მიაღწია ბიზნესის პროგრამის შინაარსის აღწერის ჩარჩოს შემუშავებაში. ეს არის მთავარი წვლილი, რათა უფრო დეტალურად აღიწეროს ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული, მისაღწევი დარგობრივი კომპეტენციები. ეს დოკუმენტი გადმოსცემს ზოგად თვალსაზრისს ბიზნესორგანიზაციების ამოცანებზე და იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულებაც უნდა შეეძლოს ბიზნესის პროგრამის კურსდამთავრებულებს. ეს მოსაზრებები საფუძვლად დაედო ბიზნესის უფრო ზოგადი ამოცანების აკადემიურ აღწერებს, რომელთა შესრულებაც უნდა შეეძლოს კურსდამთავრებულებს და შედეგად მიღებულ იქნა თუნინგის პირველ ფაზაში შემუშავებულ ჩარჩოზე დაფუძნებული პირველი და მეორე საფეხურის დონის მახასიათებლები.

ბიზნეს ორგანიზაციების მახასიათებლები და ბიზნესის უმაღლეს დამთავრებულთა ამოცანები


საზოგადოდ, ბიზნესორგანიზაციის მიზნები და მუშაობის მახასიათებლები შეიძლება აღვწეროთ ბევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან. ერთ, ყველაზე ხშირად გამოყენებულს წარმოადგენს შეხედულება, რომ ბიზნესორგანიზაციის საბაზო ფუნქციის განსაზღვრა შესაძლებელია ფასეულობათა ჯაჭვის პერსპექტივის გამოყენებით, რომელსაც შემდეგ მივყევართ ბიზნეს ორგანიზაციის შემდეგ პირველად ფინქციებთან:

- შესყიდვა;
- პროდუქტის და/ან მომსახურების წარმოება;
- გაყიდვა;
- მომსახურება გაყიდვამდე, გაყიდვის დროს და შემდეგ.

და დამატებით გარკვეული რაოდენობის დამხმარე ფუნქციები ისეთი, როგორცაა: დიზაინი, განვითარება და შენარჩუნება:

- კომპანიის ინფრასტრუქტურის;
- კომპანიის სტრუქტურისა და სისტემის;
- საინფორმაციო სისტემების.

თუ დავუშვებთ, რომ ბიზნესის უმაღლესდამთავრებულები ძირითადად დაკავებულნი იქნებიან ბიზნესორგანიზაციის ეკონომიკური, საგეგმო და ჰუმანური რესურსების მენეჯმენტის ასპექტებით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ამ ფუნქციებთან და ამოცანებთან დაკავშირებული დარგობრივი უნარები და კომპეტენციები უნდა უნდა განუვითაროს სტუდენტებს. ზოგადთეორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე ფოკუსი გაკეთდა ისეთ ზოგად უნარებზე, რომელიც მოითხოვება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციის მიერ და საჭიროა სხვადასხვა დარგობრივი სფეროს შიგნით მუდმივცვალებადი ბიზნესგარემოსათვის სტუდენტების მოსამზადებლად:



გამოსახულება 1

ზოგადი უნარები

ანალიზი გულისხმობს უნარს განსაზღვროს:

- გარემო, რომელშიც ხორციელდება პრობლემის გადაჭრა;
- დაშვება და ამოცანები პრობლემის გადასაწყვეტად;
- რესურსები და კომპეტენციები პრობლემის გადასაწყვეტად.

არჩევანი, მაგალითად, ნიშნავს:

- გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;

- არჩევანის გაკეთებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობის ცოდნას;
- გაკეთებული არჩევანის მნიშვნელობისა და შედეგების ჩამოყალიბებას.

განხორციელება მოითხოვს უნარებს:

- დაგეგმვასა და ორგანიზებაში;
- შესაბამისი პირობების შექმნაში;
- ცვლილებების მართვაში;
- არგუმენტირებასა და საქმის დასრულებაში.

დონის მახასიათებლების მიმართულებით

თუნიგი 1³² –ის საბოლოო ანგარიშში ბიზნესის ჯგუფმა განახორციელა კლასიფიკაცია, რომელიც თეორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე შეიძლება სასარგებლოც იყოს ბიზნესკურსების დახასიათებისას. იგი ბიზნესკურსებს ყოფს 3 ძირითად კატეგორიად:

1. ძირითადი ცოდნის კურსები
2. ცოდნის გასაღრმავებელი კურსები შემდეგი შესაძლებელი ორიენტაციებით:
 - ვერტიკალური
 - ჰორიზონტალური
 - მრავალფეროვანი
3. ზოგადი უნარების კურსები (საგნისგან დამოუკიდებელი) იყოფა:
 - ინსტრუმენტული კომპეტენციები (პერსონალური)
 - ინტერპერსონალური კომპეტენციები (ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარები)
 - სისტემის კომპეტენციები (ტრანსფერული უნარები).

ძირითადი ცოდნა ნიშნავს ფუნქციონირების საბაზო თეორიების გაგებას, რომელიც აუცილებელია, რათა უმაღლესდამთავრებულმა შეძლოს მუშაობა ორგანიზაციაში.

ცოდნის გაღრმავება ნიშნავს ფუნქციონირების თეორიის და სისტემის კომპეტენციების გაგების გაფართოებას და/ან გაღრმავებას, რაც დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, რომელიც საშუალებას აძლევს უმაღლესდამთავრებულს შეასრულოს სამუშაო და განსაზღვროს და/ან დაინახოს ფუნქციონირების შედეგები მთლიანად ორგანიზაციასთან და მის გარემოსთან მიმართებაში.

ბიზნესჯგუფის მუშაობის დროს ცხადი გახდა, რომ სასარგებლოა ზემოაღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით პროგრამებისა და კურსების კატეგორიებად დაყოფა და განსაკუთრებით სასარგებლოა პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის მოსალოდნელი შინაარსის აღწერა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მასშტაბით უმაღლეს სასწავლებლებს შორის ბიზნესის პროგრამებში გარკვეული მრავალფეროვნება შეინიშნება,

დასტურდება იმ ძირითადი ცოდნისა და ზოგადი უნარების გარკვეული რაოდენობის კურსების იდენტიფიცირების შესაძლებლობა, რომლებიც აღიარებულია ბიზნესჯგუფის მიერ, როგორც წანამძღვარი (დაშვებისათვის აუცილებელი) მეორე საფეხურის პროგრამისათვის ან იმისათვის, რომ კომპანიაში განახორციელოს ბიზნესფუნქციები. რაც შეეხება მეორე საფეხურის პროგრამებს, დაწესებულებების უმეტესობა ფოკუსირებულია ცოდნის გაღრმავების ელემენტებზე და ზოგადი უნარებიც ყალიბდება, მაგრამ ორიენტაციებში (ვერტიკალური, ჰორიზონტალური ან მრავალფეროვანი) არსებითი ცვლილებების გამო, ბიზნესის ჯგუფმა მეორე საფეხურის პროგრამებში ვერ იპოვა საკმარისი საერთო კურსის ელემენტები, რათა შეედგინა კატალოგი საერთო კურსის ელემენტებისა მეორე საფეხურის ბიზნესის პროგრამებისათვის. ჯგუფს, მიუხედავად ამისა, საშუალება ჰქონდა გაეკეთებინა დონის მახასიათებლების ზოგადი ნაკრების ჩამონათვალი.

კურსის ელემენტები, რომელთა ჩართვა რეკომენდებულია ევროპაში პირველი საფეხურის ბიზნესის პროგრამებში

ბიზნესის ფასეულობათა-ჯაჭვის პერსპექტივის გამოყენებით ბიზნესის მიერ განხორციელებულ ანალიზზე დაყრდნობით, პირველი საფეხურის ბიზნესის პროგრამებმა სასურველია ჩართონ, კლასიფიკაციაზე დამყარებული, შემდეგი კურსები:

1. ძირითადი ცოდნა (და გარკვეული ზომით 2. ცოდნის გაღრმავება)

- ოპერაციული მენეჯმენტი/ლოჯისტიკა
- გაყიდვები და მარკეტინგი
- დამხმარე ფუნქციები, რომლებიც წარმოდგენილია ისეთი კურსების მიერ, როგორცაა:
 - ორგანიზება;
 - ადამიანური რესურსების მენეჯმენტი;
 - ფინანსები და საბუღალტრო საქმე;
 - ზოგადი მენეჯმენტი.

3.ა. ინსტრუმენტული უნარები

- ეკონომიკსი (მიკრო და მაკრო);
- რაოდენობრივი მეთოდები (მათემატიკა, სტატისტიკა, ბაზრის კვლევა);
- სამართალი (ეროვნული და/ან საერთაშორისო);
- საინფორმაციო ტექნოლოგიები (გამოყოფილი ან ინტეგრირებული სხვა კურსებში).

3.ბ. კომპეტენციები პერსონალურ ორგანიზებასა და საკომუნიკაციო უნარები

- ენები (დამოუკიდებლად ან ინტეგრირებული სხვა კურსებში);
- პრეზენტაცია/კომუნიკაცია/ჯგუფში მუშაობა (დამოუკიდებელი ან ინტეგრირებული სხვა კურსებში).

3.გ. სისტემური უნარები (ტრანსფერული)

- ან საბაკალავრო თეზისი, პრაქტიკა ან საქმიანობა, რომლის დროსაც ხორციელდება ბიზნესის სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადაჭრის უნარის დოკუმენტირება.

ძირითადი ცოდნის (1. ზემოთ) საზღვრებისა და ზომებისათვის, ბიზნესის ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ პირველი საფეხურის პროგრამის კრედიტების, სულ მცირე, 50% უნდა განთავსდეს ძირითადი ცოდნის საგნებზე. რაც შეეხება ინსტრუმენტულ უნარებს, ეკონომიკა უნდა ითვლიდეს კრედიტების სულ მცირე 10 პროცენტს, მაშინ როდესაც რაოდენობრივი მეთოდებს, სამართალსა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს თითოეულს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე პროგრამის კრედიტების 5 %.

მეორე საფეხური

ევროპის უნივერსიტეტებსა და ბიზნესის სკოლებში მეორე საფეხურის დონეზე ბიზნესის პროგრამების დიდი მრავალფეროვნების გამო, ჯგუფმა შეუძლებლად მიიჩნია მეორე საფეხურის ფართო დიაპაზონის მქონე კურსების ზოგადი აღწერა და კლასიფიკაცია. პროგრამების ათვისებისა და გაცვლის შუქზე ჩანს, რომ მრავალფეროვნება მეორე საფეხურის პროგრამებში წარმოადგენს აუცილებელ და მისასაღებელ სპეციალიზაციას სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ბიზნესის სასარგებლოდ და როგორც შედარებითი უპირატესობების განვითარების საშუალება, მთლიანად შეესაბამება ბოლონის დეკლარაციის იდეებს. ამასთან, ჯგუფმა წინ არ წამოსწია სპეციფიკური მითითებანი მეორე საფეხურზე შესასწავლი საგნების შესახებ და მხოლოდ ჩამოთვალა იმ კურსების/საგნების ზოგადი დონის მახასიათებლები, რომლებიც ჩვეულებრივად გვხვდება მეორე საფეხურზე.

სწავლება და შეფასება შეადგენს დონის მახასიათებლების საფუძველს

წინა პარაგრაფები ძირითადად შეეხებოდა დარგობრივი, სპეციფიკური კურსების შინაარსს და როგორც უკვე აღინიშნა ძირითადი ცოდნისა და ინსტრუმენტული უნარების კურსების მთელი რიგი განისაზღვრა პირველ საფეხურზე. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კურსის შინაარსი უნდა დავინახოთ კურსების შეფასებასთან კავშირში, რათა

განვსაზღვროთ საკომუნიკაციო, ორგანიზაციული და სისტემური უნარების განვითარების დონე.

კურიკულუმის თითოეულმა ინდივიდუალურმა კურსმა უნდა ჩამოაყალიბოს სწავლის მოსალოდნელი შედეგები. შედეგების მიღწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეფასება უნდა განვიხილოთ ორივე, როგორც სწავლების მეთოდოლოგიის, ასევე შეფასების ფორმის გათვალისწინებით. მაგალითად, კურსი, რომელიც ისწავლება ლექციებზე სტუდენტების დიდი ჯგუფებისათვის, ნიშნავს, რომ ძირითადად ცოდნა და აღქმა იქნა მიღწეული; მიუხედავად ამისა, თუ კურსი მოითხოვს უნარების განვითარებას მაგალითად, საკომუნიკაციო და გადაწყვეტილების მიღების უნარები, მაშინ შეფასების შესაბამისმა ტიპმა უნდა აისახოს ისინი; სხვა შემთხვევაში, საჭიროა მოსალოდნელი შედეგების რევიზია. მსგავსი არგუმენტაცია მართებულია მთელი პროგრამისათვის, სადაც სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი ფორმები მიზნად ისახავს მრავალფეროვანი უნარებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებას. პროგრამები, რომლებიც მთლიანად დაფუძნებულია ლექციებსა და წერით გამოცდებზე, არ უნდა ელოდნენ მრავალფეროვანი კომპეტენციების განვითარებას, ისეთის როგორიცაა საკომუნიკაციო უნარები, ორგანიზების უნარი და ა. შ.

დონის მახასიათებლები

იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ და მიაღწიონ ანალიზის, ბიზნესორგანიზაციაში ან სხვა გარემოში გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების აუცილებელ უნარებს, დონის შემდეგი მახასიათებლები პირველ და მეორე საფეხურის უნარებისა და კომპეტენციებისათვის უნდა გავითვალისწინოთ.

დონის მახასიათებლები ასახავენ იმ ამოცანების დიდ მრავალფეროვნებას, რომლების შესრულება უნდა შეძლონ ბიზნესის კურსდამთავრებულებმა, ბიზნესის ბევრ და მრავალფეროვან ფუნქციებთან კავშირში. მახასიათებლები გამოიყენება პირველი და მეორე საფეხურისათვის და იმავდროულად მათ გააჩნიათ ბუნებრივი პროგრესია და ისინი ურთიერთდაკავშირებულია.

ბიზნესის ჯგუფი თვლის, რომ მაღალი ეთიკური სტანდარტები ყოველთვის უნდა იყოს სწავლებისა და სწავლის საფუძველი და ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს ძირითად მიზანს სტუდენტებისა და უმაღლესდამთავრებულებისათვის ანალიზის, არჩევანისა და განხორციელების ძალისხმევის მიდგომებში.

პირველი საფეხურის დონის მახასიათებლები

სტუდენტს უნდა შეეძლოს:

- ა) კომპანიის თავის გარემოში ანალიზისათვის მექანიზმების გამოყენება და შეფასება;

- ბ) კომპანიის სპეციფიკურ სფეროში მუშაობა და იყოს სპეციალისტი გარკვეული ზომით;
- გ) იმუშაოს სხვა ფუნქციებითაც;
- დ) შეეძლოს თვითნაალიზი;
- ე) ჰქონდეს შესაძლებლობა იკამათოს გამოყენებული პრინციპების თაობაზე პრობლემის გადაჭრის გზების საპოვნელად, ძირითადად საოპერაციო ან ტაქტიკურ დონეზე;
- ვ) დაიცვას წამოყენებული წინადადება;
- ზ) მოემზადოს გადაწყვეტილების მიღებისათვის, ძირითადად საოპერაციო ან ტაქტიკურ დონეზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპაში პირველი საფეხურის ბიზნესის პროგრამები ხანგრძლივობისა და შინაარსის მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მეორე საფეხურის პროგრამების ხანგრძლივობაზე, შინაარსსა და მიზნებზე და ართულებს მყარი მახასიათებლების შექმნას მეორე საფეხურის პროგრამებისათვის. მიუხედავად ამისა, ბიზნესის ჯგუფის მიერ მეორე საფეხურისათვის შემოთავაზებულია შემდეგი საერთაშორისო დონის მახასიათებლები.

მეორე საფეხურის დონის მახასიათებლები/აღწერები

სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ:

- ა) უნარები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ბ) უნარი განახორციელოს კვლევა ზედამხედველობის ქვეშ;
- გ) დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- დ) ჰოლისტიკური განსჯისა და სტრატეგიულ წინადადებებზე კრიტიკული შეფასების უნარი;
- ე) ცვლილებების მართვის უნარი;
- ვ) საერთაშორისო მობილობა და კულტურული გაგება

იმისათვის, რომ გაირკვეს მთელი პროგრამის შინაარსი შეესაბამება თუ არა დონის მახასიათებლებს, უნდა განვიხილოთ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩამოყალიბებული, პროგრამასთან დაკავშირებული მოლოდინი, რომელიც გამოხატულია სწავლის შედეგებით. რეკომენდებულია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა განიხილონ პროგრამის დასრულების შედეგად მიღწეული უნარები, თავის მოსაზრებებში ასახონ, რომ სწავლის პროცესში სტუდენტებმა ხომ მიიღეს შემდეგი უნარები, რათა მოახდინონ ფორმულირება:

1. საფუძვლის;
2. საკვლევი პრობლემის;
3. მეთოდოლოგიის;

4. ანალიზის;
5. დასკვნების;
6. რეკომენდაციების;
7. ლიტერატურის;
8. პრეზენტაციის /ენის/კომუნიკაციის.

როდესაც შეხვდებით ბიზნესის კონტექსტში წარმოშობილი პრობლემა. შეფასების ეს კრიტერიუმები ხშირად გამოიყენება აკადემიური პერსონალის მიერ სემინარების, პროექტების, კვლევითი თეზისის და სხვათა შეფასებისას.

დასკვნა

ეს დოკუმენტი ფოკუსირებულია ბიზნესორგანიზაციების ზოგად ამოცანებსა და ბიზნესის კურსდამთავრებულების ბიზნესორგანიზაციებში შესასრულებელ როლსა და ამოცანებზე. აღნიშნულზე დაყრდნობით განხორციელდა ბიზნესის პროგრამების კლასიფიკაცია, რომელსაც მივყევართ პირველი საფეხურის პროგრამებისათვის სარეკომენდაციო კურსის ელემენტებთან. ეს საერთო მითითებები შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ ახალი პროგრამების შესაქმნელად პირველ საფეხურზე, არამედ ისინი საშუალებას აძლევენ უმაღლეს სასწავლებლებს განავითარონ მეორე საფეხურის პროგრამები, რომლებმაც საბოლოოდ შეიძლება აამაღლოს არა მარტო სტუდენტების, არამედ ასევე აკადემიური პერსონალის მობილობა ევროპაში, რასაც თავის მხრივ მივყევართ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს შორის აკადემიური და კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციების გაცვლის ამაღლებასთან.

ფაქტი, რომ ჯგუფმა ვერ შესძლო მეორე საფეხურისათვის საერთო კურსის ელემენტების განსაზღვრა, არ შეიძლება ჩაითვალოს წინააღმდეგობად. საპირისპიროდ, ეს ასახავს ევროპაში კულტურულ სხვადასხვაობასთან დაკავშირებულ მრავალფეროვნებას, რომელიც ხელს უწყობს სპეციალიზაციას და ეს ტრადიციული ეკონომიკური სიბრძნის თანახმად ქმნის შედარებით უპირატესობებს, რასაც, თავის მხრივ, მივყევართ საქონლისა და მომსახურების გაცვლის საჭიროებისა და სურვილის ამაღლებისაკენ, რომელიც ასევე მოიცავს სწავლებასა და კვლევას. ამასთან, გარკვეული მსგავსება პირველი საფეხურის პროგრამებისა და კურსების შინაარსსა და შეფასებაში ამ განვითარების სტიმულირების წანამძღვარია.

განვითარების ქვაკუთხედი რეკომენდებული დონის მახასიათებლებია, რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენენ შეფასების კრიტერიუმებს არა მარტო კურსების ან მთლიანად პროგრამებისათვის, არამედ ხარისხის მახასიათებლს, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ბიზნესის პროგრამებში უმაღლეს სასწავლებლებს შორის და ხარისხის საერთო სტანდარტს. ძალიან მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმაზე, რომ დონის მახასიათებლები ჰოლისტიკურია, იმ გაგებით, რომ ისინი არ გამოიყენება

მხოლოდ კურსის შინაარსის ან შეფასების ფორმების შესაფასებლად, არამედ ისინი გამოჩნდნენ, როგორც მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ სხვადასხვა დონეზე კურსის ან პროგრამის გაცხადებული სწავლის შედეგები მართლაც მიღწეული იქნება. დონის მახასიათებლები ასევე ხელს უწყობენ ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირო ზოგად უნარებს, რომლებიც გამოჩნდა თუნინგის პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში განხორციელებული გამოკვლევებში.

მომზადებულია ფოლკერ გემლიხის და პედერ ოსტერგარდის მიერ

5.2. ევროპისმცოდნეობა

შესავალი

ევროპისმცოდნეობის სფეროს ადგილის განსაზღვრისათვის უმჯობესი იქნება დაგვეწყო იმით, რომ სფერო არის როგორც მულტიდისციპლინური, ასევე ინტერდისციპლინური, როგორც ვაჩვენებთ ქვემოთ. ევროპისმცოდნეობის პროგრამები განვითარებულია სხვადასხვა ფაკულტეტსა და დეპარტამენტში და ამ ინსტიტუტებში ევროპისმცოდნეობის კვლევების ხასიათზე გადამწყვეტი ზეგავლენა აქვს მათ პირველად დარგობრივ ორიენტაციას. გარდა ამისა, ურთიერთობები სტრუქტურებს, შინაარსსა და სწავლების მიდგომებს შორის საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში. თუმცა, არსებობს მსგავსებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროპისმცოდნეობის, როგორც სხვათაგან განსხვავებულ დარგობრივ სფეროდ იდენტიფიცირებას. ამ დოკუმენტის ამოცანა არ არის განსხვავებულ კომპონენტებს შორის დროის განაწილების განხილვა, რომლებიც მრავლადაა პროგრამიდან პროგრამაში, არამედ - დარგობრივი სფეროს სტრუქტურული პრობლემატიკა.

საუნივერსიტეტო პროგრამების სტრუქტურა

არსებობს დიდი ვარიაციები პროექტში ჩართულ უნივერსიტეტების ინდივიდუალური სასწავლო პოგრამებს შორის. განსაკუთრებით:

- ა) პროგრამები არსებობს ისეთ ფაკულტეტებზე/დეპარტამენტებზე, როგორიცაა სამართალი, ხელოვნება, ეკონომიკა, ისტორია, ბიზნესს ადმინისტრირება, პოლიტიკა და სოციოლოგია და პროგრამების ხასიათზე გავლენას მათი „მასპინძელი“ ფაკულტეტები/დეპარტამენტები. რადგან ევროპისმცოდნეობა არის შედარებით ახალგაზრდა დარგობრივი სფერო, პროგრამები დაფუძნებულია განსხვავებულ ფაკულტეტებზე/დეპარტამენტებში. თუმცა, არსებობს რამდენიმე ფაკულტეტი/დეპარტამენტი ექსკლუზიურად კონცენტრირებული ევროპისმცოდნეობის დარგობრივ სფეროზე.

ბ) ევროპისმცოდნეობის, როგორც დარგობრივი სფეროს სასწავლო შინაარსთან დაკავშირებით უნივერსიტეტებს შორის განსხვავებაში ორი მთავარი ტენდენცია იკვეთება. პირველი მეტადაა წარმოდგენილი ევროკავშირის „სტაჟიანი“ წევრების უნივერსიტეტებში, მაშინ როცა მეორე უფრო მეტად ტიპურია ევროკავშირის „ახალი“ წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის.

ევროპისმცოდნეობა უნივერსიტეტების პირველი ჯგუფში უფრო მეტად დანახულია, როგორც სხვადასხვა დარგობრივი სფეროს სწავლება ევროპულ კონტექსტში, მაგალითად, სოციოლოგია, პოლიტიკა, ისტორია, კულტურა და ა.შ. მაშინ როდესაც, მეორე ჯგუფის მიდგომა მცირედ განსხვავდება, ამ უნივერსიტეტების პროგრამების მიზანი ევროკავშირის ადმინისტრაციული სტრუქტურებისათვის ექსპერტების მომზადებაა. თუმცა, ევროპისმცოდნეობის დარგობრივმა ჯგუფმა შეძლო თავის პირველ, ბრიუსელის შეხვედრაზე (2003 წლის მაისში) შემდეგი დარგობრივი სპეციფიკური კომპეტენციების იდენტიფიცირება:

1. ევროპისმცოდნეობის კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების კომენტარების ან ანოტირების უნარი;
2. უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი, დარგობრივი სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
3. მშობლიურ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი, დარგობრივი სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
4. ევროპულ ინტეგრაციის დებატების გამამდიდრებელი კვლევითი საკითხების განსაზღვრის უნარი;
5. ყველა დაკავშირებულ სფეროში შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები და ა.შ.) იდენტიფიცირებისა და გამოყენების უნარი;
6. კომპლექსური და ლოგიკურად გამართული კვლევების ორგანიზაციის უნარი
7. მულტიკულტურულ ჯგუფში მუშაობის უნარი;
8. ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარი;
9. სფეროს გამოკვლევის განხორციელების უნარი, შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით;
10. საკუთარი ღირებულებების, კონცეფციების, იდეებისა და თეორიების რეფლექსირებისა და კითხვის ქვეშ დაყენების უნარი;
11. ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკების, ნაციონალურ, ეროვნულ და ადგილობრივ ჩარჩოში ინტერპრეტირების უნარი;
12. ევროკავშირის გაფართოებისა და ინტეგრაციის პროცესების კომპლექსურობის აღქმა;
13. უფრო ღრმა ევროპული კოოპერაციის პროცესის სირთულის გაცნობიერება;

14. ინტეგრირების გზით განსხვავებული დისციპლინური მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი და აღქმა;
15. განსხვავებული ევროპული ერებიდან და კულტურული გამოცდილებებიდან წამოსული განსხვავებული ხედვების აღქმა და პატივისცემა;
16. ანსხვავებული არაევროპული ერებიდან და კულტურული გამოცდილებებიდან წამოსული განსხვავებული ხედვების აღქმა და პატივისცემა;
17. ევროპისმცოდნეობის რელევანტურობის აღქმა ევროპის თანამედროვე განვითარებაში;
18. სოციალური ქარტიის (საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, დასაქმებულობა, უმაღლესი განათლება და ა.შ.) გაგება ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესის ჩარჩოში;
19. ევროპული იდენტურობისა და ევროპული მოქალაქეობის შესახებ დებატებში გაცნობიერება;
20. ცოდნა:
 - ბიზნესის;
 - ეკონომიკის;
 - ევროპული კულტურის;
 - გეოგრაფიის;
 - ისტორიის;
 - საერთაშორისო ურთიერთობების;
 - სამართლის;
 - ფილოსოფიის;
 - პოლიტიკის;
 - სოციოლოგიისა და დემოგრაფიის;
21. ინფორმაციის მოძიების ინსტრუმენტების გამოყენების ცოდნა და უნარი;
22. ახალი ევროპული ისტორიისა და შედარებითი პერსპექტივების ცოდნა;
23. ინტეგრაციის თეორიის ცოდნა;
24. ევროინტეგრაციის ისტორიის ცოდნა;
25. ევროპული იდეის ცოდნა;
26. ევროკავშირის ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცოდნა;
27. ევროკავშირის პოლიტიკის ცოდნა;
28. ევროპაში ინტეგრაციის პროცესზე ნაციონალური, რეგიონალური და ადგილობრივი ზემოქმედების ცოდნა

დისკუსიის ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ასპექტი იყო პირველი და მეორე საფეხურის დარგობრივი კომპეტენციების დიდი მსგავსება, მიღებული ევროპის უმეტესი ქვეყნების აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად, ამასთან მეორე საფეხურმა შეიძლება მიგვიყვანოს უფრო მაღალი

დონის სწავლის შედეგებთან. შემდგომი ათენისა (2003 წ. ნოემბერი) და ბრიუსელის (2004) დისკუსიებზე დარგობრივი სფეროს შინაარსის ბირთვის პირველი და მეორე საფეხურისათვის ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- ბირთვი ევროპისმცოდნეობაში პირველი საფეხურისათვის:

- ევროპული იდეების/კონცეფციების ცოდნა;
- ევროპული ინტეგრაციის ცოდნა;
- ევროპული ინსტიტუციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკის ცოდნა;
- ევროკავშირის პოლიტიკის ცოდნა;
- ევროპა მსოფლიოში;
- ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარი;
- შესაბამისი ტერმინოლოგიის მოშველიებით საკუთარ და საერთაშორისო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

- ბირთვი ევროპისმცოდნეობაში მეორე საფეხურისათვის:

- ევროპული იდეების/კონცეფციების ცოდნა;
- ევროპული ინტეგრაციის ცოდნა;
- ევროპული ინსტიტუციებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების პოლიტიკის ცოდნა;
- ევროკავშირის პოლიტიკის ცოდნა;
- ევროპა მსოფლიოში;
- ინტეგრირების გზით განსხვავებული დისციპლინური მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი;
- ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკების, ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ჩარჩოებში ინტერპრეტირების უნარი;
- შესაბამისი ტერმინოლოგიის მოშველიებით საკუთარ და საერთაშორისო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

ორივე საფეხურზე კომპეტენციების მსგავსების მიზეზით სტიმულირებული იყო ფართო დისკუსიები ორივე, ათენისა და ბრიუსელის 2004 წლის შეხვედრებზე. ერთი ცხადი ფაქტორი გახლავთ, რომ სტუდენტები, რომლებიც იღებენ ევროპისმცოდნეობას მაგისტრის საფეხურზე, ხშირად ფლობენ განსხვავებულ დარგს ბაკალავრის საფეხურზე. მათ შესაძლოა, მაგალითად, აიღონ ისეთი დარგი, როგორცაა ეკონომიკა, ისტორია ან პოლიტიკა თავიანთ პირველ საფეხურზე და შემდგომ მეორე საფეხურზე აირჩიონ ევროპისმცოდნეობა. ეს ნიშნავს რომ მაგისტრის ხარისხი მიღება არ ხდება ევროპისმცოდნეობის დარგობრივ სფეროში (მაგალითად, ევროპის კავშირის) ისევე როგორც განკერძოებულად რომელიმე დარგის საფუძველზე. შემდგომი ფაქტორი რომ ბევრი უნივერსიტეტს აქვს ტენდენცია განავითაროს როგორც ბაკალავრის, ასევე მაგისტრის ხარისხი ევროპისმცოდნეობაში და ამიტომაც

ორივე აკადემიური ხარისხებისათვის საჭირო კომპეტენციების დეფინიციები არის მსგავსი. თუმცა, ათენის განხილვაზე TUNING-ის ჯგუფმა აღიარა, რომ პირველსა და მეორე საფეხურს შორის განსხვავება ასახული ნაწილობრივ უფრო მეტი აქცენტით უნარებზე, ვიდრე ცოდნაზე და ასევე, ინტერდისციპლინარულობის განითარებასთან დაკავშირებით.

მულტი და ინტერდისციპლინარული

შეთანხმდა, რომ ევროპის მცოდნეობა არის როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული დარგობრივი სფერო. განსხვავება შეთანხმდა შემდეგნაირად: „მულტიდისციპლინარული“ განსაზღვრავს კურსს, რომელშიც გარკვეული რაოდენობა დარგები დაკავშირებულია ან წარმომდგარია ევროპის მცოდნეობის სფეროდან და ისწავლება პარალელურად. „ინტერდისციპლინარული“ გამოხატავს კურსს, რომლის ზოგი ან ყველა დისციპლინა იმდენად დაახლოებულია, რომ მოხდეს სინთეზი.

ეს განსხვავებულობა ბუნებრივია წამოჭრის რიგ საკითხებს, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ხასიათის. მაგალითად, შესაძლოა, ზოგიერთ ქვეყანაში ნაციონალურმა კანონმდებლობამ გაართულოს ერთობლივი ხარისხების აღიარებას. თუმცა, ჯგუფი მეტად დაკავდა რიგი თეორიული თემატიკით და მათი კავშირით სწავლასა და სწავლებასთან. კერძოდ დისკუსია იყო შემდეგ საკითხებზე:

- როგორ შეიძლება მულტიდისციპლინარულმა წვლილმა გაამდიდროს ინტერდისციპლინარული შედეგი;
- ინტერდისციპლინარული კურსი გულისხმობს შედგენილ, მრავალდარგოვან აკადემიურ გუნდს;
- ინტერდისციპლინარულ კურსში, ვინაა პასუხისმგებელი ინტეგრაციაზე - სტუდენტი, ლექტორი, თუ ყველა დაკავშირებული მხარე?
- თუ მულტი და ინტერდისციპლინარული სწავლება თანაარსებობენ სპეციფიკურ ხარისხის ფარგლებში, რა თანმიმდევრობით არიან წარმოდგენილნი?
- თუ არის შესაძლებელი გადასვლა მულტიდან ინტერდისციპლინარულზე, რა ეტაპზეა შესაძლებელი და რა პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს?

ამ დისკუსიებს მივყავდით პირველსა და მეორე საფეხურის განსხვავებულობის გამოკვეთა-დაზუსტებისაკენ.

- პირველი ციკლის მოდელი წარმოდგება პირველი ნაწილისაგან, რომელშიც დარგის დაკავშირებული კომპონენტები ჩვეულებრივ ისწავლება პარალელურად (თუმცა მოდულების ზოგიერთი

თემატური ელემენტები შესაძლოა დაიწყოს ადრეულ საფეხურზე). ადეკვატური შესავლის შემდგომ (შესაძლოა ერთი ან ორი სრულდატვირთვიანი წელი), კურსი მთავრდება ინტეგრაციით ან სინთეზით, სადაც განსხვავებული დარგები ერთმანეთს ავსებენ შესაბამის პედაგოგიურ და საგანმანათლებლო გარემოში.

- თუ მეორე საფეხური იღებს სტუდენტებს რომელთაც წარმატებით დაამთავრეს პირველი საფეხურის ზემოთ აღწერილი ტიპის კურსი, ის შეიძლება იყოს სრულიად ინტერდისციპლინარული.
- ამასთან, თუ ის ემსახურება სტუდენტებს, რომლებიც კურსდამთავრებულნი არიან მონოდარგობრივი მიმართულებით, უნდა გაგრძელდეს მულტი-დან ინტერდისციპლინარული სწავლებისაკენ, პირველი საფეხურის პროგრამის ანალოგიით, თუნდაც ზედა საფეხურზე მაინც.

ამ გადაწყვეტილებებს ასევე მივყავართ პირველი და მეორე საფეხურის მახასიათებლების გარკვეულ შესწორებებთან, როგორც ნაჩვენებია შემდგომ სექციაში.

ევროპისმცოდნეობის საფეხურების მახასიათებლები

ევროპისმცოდნეობის საფეხურის მახასიათებელი ავლენს დარგის მულტიდისციპლინარულ ხასიათს, პირველ საფეხურზე ინდივიდუალური დარგით წარმოდგენილი შესავალ ეტაპზე, მაშინ როცა მეორე საფეხურზე გაღრმავებულია შემდგომი სპეციალიზაციით. ფოკუსი ინტერდისციპლინარულ სწავლებაზე ჩვეულებრივ შემოდის პირველი საფეხურის ბოლოს და ძლიერდება მეორე საფეხურზე.

პირველი საფეხურის მახასიათებლები

პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ, ევროპისმცოდნეობის დარგობრივი სფეროს სტუდენტს უნდა შეეძლოს:

1. ინტერდისციპლინარულ დარგობრივ სფეროში მუშაობა;
2. შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით საკუთარ და საერთაშორისო ენაზე კომუნიკაცია;
3. სფეროს მულტიდისციპლინარულობისა და მისი დისციპლინათა-შორისი კავშირების ჩვენება და გაგება;
4. ევროპული ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკის ცოდნის წარმოჩენა.

ევროპაში ევროპისმცოდნეობის პირველი საფეხურის სასწავლო პროგრამების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნებაა. მეორე საფეხურის მახასიათებლების სპეციფიკაციები შესაბამისად რთულია, რადგან მაგისტრის ხარისხი მორგებულია ბაკალავრის კურსებზე, საიდანაც მათი

სტუდენტები ჩვეულებრივ წარმოდგებიან. ზოგი მეორე საფეხურის პროგრამა შესაძლოა მიდიოდეს მულტიდისციპლინარულიდან ინტერდისციპლინარულსაკენ, სხვები შესაძლოა იყოს სრულიად ინტერდისციპლინარული. ზოგიერთი შესაძლოა ინარჩუნებდეს დარგებს მთელი პერიოდის განმავლობაში, სხვები აძლევენ უპირატესობას ერთს მეტად. ქვემოთმოყვანილი ჩამონათვალი შეიცავს როგორც ზოგად, გენერალურ, ასევე სპეციფიკურ მახასიათებლებს.

მეორე საფეხურის მახასიათებლები

მეორე საფეხურის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ევროპის მცოდნეობის სფეროში უნდა:

- ჰქონდეთ უნარი მოახდინონ ინტერპრეტირება ევროპული მოვლენების, განვითარებებისა და პოლიტიკების, ნაციონალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ ჩარჩოებში;
- ჰქონდეთ უნარი გამოიყენონ განსხვავებული დისციპლინური მეთოდოლოგიები ინტეგრირების გზით;
- ჰქონდეთ საკმარისი კომპეტენციები კვლევების წარმართვისათვის;
- ჰქონდეთ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- შეეძლოთ ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკულად მიყოლა და ინტერპრეტირება;
- შეეძლოთ ევროპისა და ევროინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების კრიტიკულად მიყოლა და ინტერპრეტირება;
- შეეძლოთ საკუთარ და საერთაშორისო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- საერთაშორისო მობილობისა და კულტურათშორისი ურთიერთობის უნარი.

მახასიათებლების პირველ და მეორე საფეხურებისათვის იდენტიფიცირება ემყარება ორივე: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურების არსებობის დაშვებას. ამასთან, რიგ უნივერსიტეტს ევროპის მცოდნეობის პროგრამა აქვს მხოლოდ პირველი საფეხურის ან მხოლოდ მეორე საფეხურის დონეზე. ამ შემთხვევაში სპეციფიკური საფეხურის მახასიათებლები შესაძლოა მსუბუქად მოდიფიცირდეს.

სწავლება, სწავლა, შეფასება, შესრულება

რადგან ევროპის მცოდნეობა შეიცავს მსგავს სწავლისა და სწავლების მეთოდებს, აღმოჩენილს თუნინგის პროექტის მიერ ბევრ სხვა დარგობრივ სფეროში, მათ განსხვავებულ მულტიდისციპლინარულ და ინტერდისციპლინარულ თვისებებს აქვთ რიგი სპეციფიკური გაგება. რადგან დარგობრივი სფერო ესწრაფვის ფართო ინტერდისციპლინურობას

განვითარებულ ეტაპზე, მათმა პედაგოგიკამ უნდა ასახოს ეს ამოცანა. შემდეგი მეთოდები რელევანტურია ამ მიმართულებით:

- სიმულაციური სავარჯიშოები;
- საპროექტო სამუშაო;
- ინტერდისციპლინარული სემინარები;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- პრობლემების, პოლიტიკებისა და თემების განსხვავებული პერსპექტივებისა და განზომილებების მიწოდება;
- მეთოდოლოგიური და თეორიული სემინარები;
- მოწვეული სტუმრები, პროფესიული პრაქტიკის მიწოდება;
- ინტერდისციპლინარული საბაკალავრო და სამაგისტრო თემები;
- პრაქტიკა შესაბამისს ორგანიზაციებში.

ზემოთ აღწერილი არის ილუსტრებისათვის და ჯგუფმა პრინციპულად უარი თქვა უფრო დეტალური განსაზღვრებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სწავლისა და სწავლების მეთოდები უნდა ასახავდნენ შესაბამის საფეხურსა და რესურსების სახეს.

შეჯამება

როგორც ზედა ანალიზიდანაა ნათელი, ევროპისმცოდნეობის პროგრამა არის ჩვეულებრივ ორგანიზირებული ფაკულტეტის/დეპარტამენტის ძირითადი საგნის, ორიენტირის შესაბამისად, სადაც პროგრამაა დაფუძნებული. ასევე შეუძლებელია განსხვავებულობის იდენტიფიცირება ნაციონალურ სისტემებს შორის, განსხვავებულობაა უნივერსიტეტებს შორის ქვეყნებს შიგნითაც. რადგან, ნებისმიერი ევროპული ბირთვი-კურიკულუმის საზოგადო მიზანი უნდა იყოს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვნება, სტანდარტიზაციის მცდელობებს თავი უნდა ავარიდოთ.

სპეციალური ბირთვი-კომპეტენციები შესაძლოა მიიღოს სტუდენტმა ძირითადი/ბირთვი კურსების მეშვეობით, მაგალითად კურსების, რომლების ქმნიან ევროპისმცოდნეობის ხერხემალს. ეს კურსები შესაძლოა აკომპანირებული იქნას *დამხმარე კურსებით*, რომლებიც ავსებენ ბირთვი-კურსებს ავრცობენ რა მას სფეროს სპეციფიკური ასპექტების ნათელყოფით და *სპეციალიზირებული კურსებით* (რომლებიც არის საზოგადოდ ბირთვი-კურსებად შესაბამის ფაკულტეტზე/დეპარტამენტისათვის).

სტუდენტმა უნდა მიიღოს ძირითადი/ბირთვი კომპეტენციები ნებისმიერი ევროპისმცოდნეობის პროგრამიდან. მომავალი სპეციალიზაციის ბუნება დამოკიდებულია იმ ფაკულტეტის/დეპარტამენტის დარგობრივ სფეროზე, სადაც პროგრამაა დაფუძნებული.

ამ მიდგომას შეაქვს წვლილი ეფექტური ქსელის განვითარებაში ევროპისმცოდნეობის მიმწოდებელი ინსტიტუტებს შორის. ფაქტია, რომ

საერთო ბირთვი-კომპეტენციების მიღების შემდეგ ნებისმიერ ევროპულ უნივერსიტეტში, სტუდენტს მეტი მობილობის საშუალება მიეცა.

რადგან მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის ადმინისტრაციული სტრუქტურების საჭიროებები ახალ წევრ-ქვეყნებში შეიძლება გაჯერდეს, ჩვენ შესაძლოა მოველოდეთ განგრძობად ცვლილებებს იმ საუნივერსიტეტო პროგრამების ხასიათში, რომლებიც დღეისათვის კონცენტრირებულინი არიან ექსპერტების ტრენინგებზე.

მომზადებულია ლიბორ გრეგასა და მაიკლ ნიუმანის მიერ

5.3. საექთნო საქმე

წინასწარი ანალიზი და საწყისი ინფორმაცია

საექთნო საქმე ჯანდაცვის სფეროდან პირველი რეგულირებადი და პრაქტიკული დისციპლინაა, რომელიც თუნინგის პროექტმა მოიცვა. როგორც აგანმა აღნიშნა (Agan, 1987), ეს პროფესია ინგლისურ ენაში არა ტრადიციული ნეიტრალური არსებითი სახელით, არამედ ზმნა "ექთნობით - nursing" გამოიხატება. საექთნო საქმე საერთო აღიარებით, წარმოადგენს ერთდროულად როგორც ხელოვნებას, ასევე მეცნიერებას, იღებს რა ცოდნასა და ტექნიკას მისი საკუთარი ცოდნის ბაზიდან, და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან.

საექთნო საქმეში ზოგადი საექთნო პრაქტიკის აკადემიური პროგრამების დიზაინი ექვემდებარება ევროპულ ნორმატიულ დოკუმენტებს, მაშინ როდესაც საექთნო საქმის სხვა სპეციალობები სექტორალური დირექტივებით რეგულირდება, რომლებიც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს (იხ. Conselg 1977L0453 დათარიღებული 31/07/2001). შესაბამისად საექთნო საქმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანევროპულ კონტექსტში განათლების პირველი და მეორე საფეხურებისათვის საერთო კომპეტენციების შემუშავება. ევროკავშირის დირექტივებს ნაციონალურ დონეზე შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოები ახორციელებს, მაგრამ ეს დირექტივები ჯერ არ შეიცავს კომპეტენციების ჩამონათვალს. უფრო მეტად ის ასახავს 1970 წლების დასაწყისში არსებულ სიტუაციას, როდესაც შეიქმნა სილაბუსების სია, რომელშიც განსაზღვრული იყო თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყოფილი საათები (მაგალითად, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა საექთნო საქმეში, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებში; კლინიკური პრაქტიკა ზოგად და კერძო მედიცინაში, ზოგად და კერძო ქირურგიაში, ბავშვთა მოვლასა და პედიატრიაში, დედათა მოვლაში, ფსიქიატრიაში, ასაკოვანთა მოვლა, გერიატრია და პაციენტების მოვლა სახლის პირობებში). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ECTS არის ის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლოა ისტორიულად ჩამოყალიბებული ანომალიების დაძლევა და

გამოსწორება. ECTS და თუნინგის მეთოდოლოგიამ ხელი უნდა შეუწყოს ინტერპროფესიულ და ტრანსპროფესიულ ჯანდაცვისა და სოცურუნველყოფის გარემოში კომპეტენციებზე დაფუძნებული მოქნილი ჩარჩოს ჩამოყალიბებას. თუმცა დისციპლინის პრაქტიკული ხასიათი მოითხოვს დონეების აღწერას პრაქტიკისათვის. ეს ბოლო 20 წლის განმავლობაში საექთნო საქმეში განათლებისა და პრაქტიკის უმთავრეს მიზანს, “წმინდა გრაალს” წარმოადგენდა.

დროის განმავლობაში ევროკავშირის ფარგლებში შეიქმნა სხვადასხვა აკადემიური და პროფესიული პროგრამა საექთნო საქმეში, მაშინ როდესაც ევროკავშირის დირექტივებით განისაზღვრება პროგრამის შინაარსისა და მოცულობის მინიმალური სტანდარტი. მაგალითად, კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრული მინიმალური აკადემიური დონე შეესაბამება პირველი საფეხურის პროგრამებს საექთნო საქმეში რეგისტრაციის დონეზე²⁷ (ირლანდია); პირველი საფეხურის პროგრამის ორი მესამედის ეკვივალენტურ პროგრამას (ინგლისი, მალტა) და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში - მინიმალურ უმაღლეს განათლებას (ჩეხეთის რესპუბლიკა). საერთაშორისო დონეზე, ბევრმა ქვეყანამ მიაღწია ან ცდილობს მიაღწიოს პირველი საფეხურის ეკვივალენტურ (ხშირად აღინიშნება როგორც კურსდამთარებელი – “graduate”) სტატუსს საექთნო საქმეში რეგისტრაციის დონეზე.

